(სრულად შედის ძალაში – 2016 წლის 1 ივლისიდან)

ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის

2014 წლის 27 ივნისს ხელი მოეწერა „ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებას“, რომელიც რატიფიცირებული იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ 2014 წლის 18 ივლისს.

შეთანხმების 431-ე მუხლი ითვალისწინებს შეთანხმების ძალაში შესვლამდე, მისი დროებითი გამოყენების პირობებს. აღნიშნული მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, დროებით გამოყენება ძალაში შევა შეთანხმების დეპოზიტარის მიერ შესაბამისი დოკუმენტების მიღების თარიღიდან მეორე თვის პირველ დღეს, რაც მოიცავს - საქართველოს მიერ შეთანხმების სარატიფიკაციო სიგელის დეპონირებასა და ევროკავშირის საპასუხო შეტყობინებას ამ შეთანხმების მიმართ შესაბამისი პროცედურების დასრულების შესახებ, *რომელშიც ასევე მითითებული იქნება შეთანხმების ის ნაწილები, რომლებიც გამოიყენება დროებით.*

2014 წლის 25 ივლისს შეთანხმების სარატიფიკაციო სიგელი გადაეცა ევროკავშირის საბჭოს გენერალურ სამდივნოს, რის საფუძველზეც გენერალურმა სამდივნომ ქართულ მხარეს გადმოსცა შესაბამისი ნოტიფიკაცია, სადაც შეთანხმების 431-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, *შეთანხმების დროებითი გამოყენების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2014 წლის 1 სექტემბერი* და ასევე მოწოდებულ იქნა შეთანხმების იმ ნაწილების ჩამონათვალი, რომელზედაც გავრცელდება დროებით გამოყენება, შეთანხმების ძალაში სრულად შესვლამდე.

იხილეთ ჩამონათვალი:

- კარი I;

- კარი II: მუხლები 3 და 4 და 7-9;

- კარი III: მუხლები 13 და 16;

- კარი IV: (გარდა 151-ე [რამდენადაც შეეხება ინტელექტუალური საკუთრების უფლების სისხლის სამართლებრივ აღსრულებას], 223-ე და 224-ე მუხლებისა [რამდენადაც უკავშირდება ადმინისტრაციულ საქმის წარმოებას, გადახედვას და აპელაციას წევრი სახელმწიფოების დონეზე]);

- კარი V: მუხლები 285 და 291;

- კარი VI: თავი 1 (293(a), 293(e); 294(2)(a); 294(2)(b) პუნქტების გარდა); თავი 2 (298(k) პუნქტის გარდა); თავი 3 (302(1) პუნქტის გარდა); თავი 7; თავი 10 (333(i) პუნქტის გარდა); თავი 11 (338(b) პუნქტისა და 339-ე მუხლის გარდა); თავი 13; თავი 20; თავი 23. ასევე, მუხლები 312, 319, 327, 354 და 357.

- კარი VII;

- კარი VIII (423(1) პუნქტის გარდა, რამდენადაც ამ კარის დებულებები შეზღუდულია, შეთანხმების დროებითი გამოყენების თვალსაზრისით, როგორც ეს განსაზღვრულია ამ პარაგრაფით);

შეთანხმების II-XXXI დანართები და XXXIV დანართი, ასევე, შეთანხმების I-IV ოქმები.

რაც შეეხება შეთანხმების სრულ ამოქმედებას, შეთანხმების 431-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, შეთანხმება ძალაში შევა ბოლო რატიფიკაციის ან დამტკიცების სიგელის დეპონირების თარიღიდან მეორე თვის პირველ დღეს.

პრეამბულა

ბელგიის სამეფო,

ბულგარეთის რესპუბლიკა,

ჩეხეთის რესპუბლიკა,

დანიის სამეფო,

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა,

ესტონეთის რესპუბლიკა,

ირლანდია,

საბერძნეთის რესპუბლიკა,

ესპანეთის სამეფო,

საფრანგეთის რესპუბლიკა,

ხორვატიის რესპუბლიკა,

იტალიის რესპუბლიკა,

კვიპროსის რესპუბლიკა,

ლატვიის რესპუბლიკა,

ლიტვის რესპუბლიკა,

ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო,

უნგრეთი,

მალტის რესპუბლიკა,

ნიდერლანდების სამეფო,

ავსტრიის რესპუბლიკა,

პოლონეთის რესპუბლიკა,

პორტუგალიის რესპუბლიკა,

რუმინეთი,

სლოვენიის რესპუბლიკა,

სლოვაკეთის რესპუბლიკა,

ფინეთის რესპუბლიკა,

შვედეთის სამეფო,

დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო,

„ევროკავშირის ხელშეკრულებისა“ და „ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების” ხელშემკვრელი მხარეები, შემდგომში წოდებულნი, როგორც „წევრი სახელმწიფოები” და

საქართველო

ერთის მხრივ, და

ევროკავშირი, შემდგომში წოდებული, როგორც „ევროკავშირი” და

ევროპის ატომური ენერგიის თანამეგობრობა, შემდგომში წოდებული, როგორც „ევრატომი”

მეორეს მხრივ,

შემდგომში ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები“,

ითვალისწინებენ რა მხარეებს შორის მჭიდრო კავშირებსა და საერთო ღირებულებებს, რომლებიც წარსულში დამყარდა ერთის მხრივ, ევროპულ თანამეგობრობასა და მის წევრ სახელმწიფოებს და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ” შეთანხმებით და ამჟამად ვითარდება „აღმოსავლეთ პარტნიორობის”, როგორც „ევროპული სამეზობლო პოლიტიკის” განსაკუთრებული მიმართულების, ფარგლებში; და აღიარებენ რა მხარეთა საერთო სურვილს, შემდგომში განავითარონ, გააძლიერონ და გააღრმაონ ურთიერთობები ამბიციური და ინოვაციური გზით;

ცნობენ რა საქართველოს ევროპულ მისწრაფებებსა და ევროპულ არჩევანს;

აღიარებენ რა, რომ ის საერთო ღირებულებები, რომლებსაც ეფუძნება ევროკავშირი – დემოკრატია, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა და კანონის უზენაესობა – ასევე წარმოადგენს პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის ქვაკუთხედს, რაც გათვალისწინებულია წინამდებარე შეთანხმებით;

აღიარებენ რა, რომ საქართველო, აღმოსავლეთ ევროპული ქვეყანა, ვალდებულია იხელმძღვანელოს ამ ღირებულებებით და ხელი შეუწყოს მათ დამკვიდრებას;

აღიარებენ რა, რომ საქართველოსა და წევრ სახელმწიფოებს გააჩნიათ ისტორიული კავშირები და საერთო ღირებულებები;

მხედველობაში იღებენ რა, რომ წინამდებარე შეთანხმება არ ზღუდავს და ღიას ტოვებს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობების სამომავლო პროგრესული განვითარების გზას;

ვალდებულებას იღებენ რა, შემდგომში გააძლიერონ მხარეთა საერთო ღირებულებებზე დაფუძნებული ფუნდამენტური თავისუფლებების, ადამიანის უფლებების, მათ შორის იმ პირების უფლებების, რომლებიც მიეკუთვნებიან უმცირესობებს, დემოკრატიული პრინციპების, კანონის უზენაესობისა და კარგი მმართველობის პატივისცემა;

აცნობიერებენ რა, რომ დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის გაძლირებისკენ მიმართული შიდასახელმწიფოებრივი რეფორმები ხელს შეუწყობს საქართველოს მონაწილეობას ევროკავშირის პოლიტიკაში, პროგრამებსა და სააგენტოებში. ეს პროცესი და კონფლიქტის მდგრადი მოგვარება გააძლიერებს ერთმანეთს და წვლილს შეიტანს კონფლიქტის შედეგად დაშორიშორებულ საზოგადოებას შორის ნდობის აღდგენაში;

სურთ რა, წვლილი შეიტანონ საქართველოს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ინსტიტუციონალური განვითარების პროცესში, საერთო ინტერესთა სფეროების ფართო სპექტრში მრავალი მიმართულებით თანამშრომლობის გზით, როგორიცაა სამოქალაქო საზოგადოების განვითარება, კარგი მმართველობა, მათ შორის საგადასახადო სფეროში, სავაჭრო ინტეგრაცია და გაღრმავებული ეკონომიკური თანამშრომლობა, ინსტიტუციური განვითარება, საჯარო მმართველობისა და საჯარო სამსახურის რეფორმა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, სიღარიბის შემცირება და თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სფეროში თანამშრომლობა, რაც აუცილებელია წინამდებარე შეთანხმების ეფექტიანი განხორციელებისათვის და აღნიშნავენ რა ევროკავშირის მზადყოფნას, ხელი შეუწყოს საქართველოში შესაბამისი რეფორმების განხორციელებას;

ვალდებულებას იღებენ რა, ყველა პრინციპისა და დებულების მიმართ, რომელიც გათვალისწინებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით, ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო), კერძოდ კი 1975 წლის ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენციის ჰელსინკის დასკვნითი აქტით, 1991 წლისა და, შესაბამისად, 1992 წლის მადრიდის, სტამბულისა და ვენის კონფერენციების დასკვნითი დოკუმენტებით და 1990 წლის პარიზის ქარტიით ახალი ევროპისათვის, ასევე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციითა და 1950 წლის ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპული კონვენციით.

ეხმიანებიან რა, თავიანთ სურვილს, ხელი შეუწყონ საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას, ასევე ჩაერთონ მრავალმხრივი თანამშრომლობის ეფექტიანად განხორციელებასა და დავების მშვიდობიან მოგვარებაში, კერძოდ კი, ამ მიზნით გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა (გაერო) და ეუთო-ს ფარგლებში თანამშრომლობის გზით;

ვალდებულებას იღებენ რა, დაიცვან ის საერთაშორისო ვალდებულებები, რომლებიც ეხება მასობრივი განადგურების იარაღისა და მათი მიწოდების საშუალებების გაუვრცელებლობას, ასევე ითანამშრომლონ განიარაღების საკითხებზე;

აღიარებენ რა, სხვადასხვა რეგიონული თანამშრომლობის ფორმატებში მხარეთა აქტიური მონაწილეობის დამატებით მნიშვნელობას;

მოწადინებულნი არიან რა, კიდევ უფრო განავითარონ რეგულარული პოლიტიკური დიალოგი საერთო ინტერესთა სფეროში შემავალ ორმხრივ და საერთაშორისო საკითხებზე, რეგიონული ასპექტების ჩათვლით, ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკისა და მათ შორის ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის გათვალისწინებით;

გამოხატავენ რა სრულ პატივისცემას დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვევობის პრინციპების მიმართ, საერთაშორისო სამართლის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების, 1975 წლის ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენციის ჰელსინკის დასკვნითი აქტისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციების შესაბამისად;

აღიარებენ რა, შერიგების კუთხით საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებებისა და საქართველოს ძალისხმევის მნიშვნელობას, აღადგინოს თავისი ტერიტორიული მთლიანობა და სრული და ეფექტური კონტროლი საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთი რეგიონებზე, კონფლიქტის მშვიდობიანი და საბოლოო მოგვარების მისაღწევად საერთაშორისო სამართლის პრინციპების საფუძველზე და ევროკავშირის მიერ აღებული ვალდებულებების მნიშვნელობას, მხარი დაუჭიროს კონფლიქტის მშვიდობიან და საბოლოო მოგვარებას;

აღიარებენ რა, ამ კონტექსტში, 2008 წლის 12 აგვისტოს ექვს-პუნქტიანი შეთანხმების შესრულებისა და მისი შემდგომი საიმპლემენტაციო ზომების, მშვიდობის და უსაფრთხოების შენარჩუნების მიზნით ადგილზე ქმედითი საერთაშორისო მექანიზმების არსებობის, ურთიერთხელშემწყობი არაღიარებისა და ჩართულობის პოლიტიკის გატარების, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ხელშეწყობის და საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების მნიშვნელობას;

ვალდებულებას იღებენ რა, საქართველოს ყველა მოქალაქეზე, კონფლიქტის შედეგად დაშორიშორებული საზოგადოების ჩათვლით, გაავრცელონ ევროკავშირთან საქართველოს მჭიდრო პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის შედეგად მიღებული სარგებელი;

ვალდებულებას იღებენ რა, ებრძოლონ ორგანიზებულ დანაშაულსა და უკანონო ვაჭრობას (ტრეფიკინგს) და კიდევ უფრო გააძლიერონ თანამშრომლობა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში;

ვალდებულებას იღებენ რა, გააღრმაონ დიალოგი და თანამშრომლობა მობილურობის, მიგრაციის, თავშესაფრისა და საზღვრის მართვის მიმართულებით, ასევე, ევროკავშირსა და საქართველოს შორის „პარტნიორობა მობილურობისათვის" ინიციატივის გათვალისწინებით, ყოვლისმომცველი მიდგომის გამოყენებით, ყურადღება გაამახვილონ კანონიერ მიგრაციაზე, ცირკულარული მიგრაციის ჩათვლით, და უკანონო მიგრაციის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლასა და რეადმისიის შესახებ შეთანხმების ეფექტიანი იმპლემენტაციისკენ მიმართულ თანამშრომლობაზე;

აღიარებენ რა, საქართველოს მოქალაქეებისთვის, შესაბამის ეტაპზე, უვიზო რეჟიმის შემოღების მნიშვნელობას, კარგად მართული და უსაფრთხო მობილურობის პირობებში, ვიზების გაცემის პროცედურის გამარტივების შესახებ და რეადმისიის შესახებ შეთანხმებების ეფექტიანი იმპლემენტაციის ჩათვლით;

ვალდებულებას იღებენ რა თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დაცვისა და ევროკავშირის მზადყოფნის კუთხით, წვლილი შეიტანოს საქართველოში ეკონომიკური რეფორმების განხორციელებაში, მათ შორის „ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა" და „აღმოსავლეთ პარტნიორობის" ფარგლებში;

ვალდებულებას იღებენ რა, მიაღწიონ ეკონომიკურ ინტეგრაციას, განსაკუთრებით ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DCFTA), როგორც წინამდებარე შეთანხმების განუყოფელი ნაწილის საშუალებით, რეგულაციური დაახლოების ჩათვლით და მხარეთა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) წევრობის შედეგად წარმოშობილი უფლებებისა და ვალდებულებების შესაბამისად;

სჯერათ რა, რომ წინამდებარე შეთანხმება შექმნის მხარეებს შორის ეკონომიკური ურთიერთობებისა და, უპირველეს ყოვლისა, ვაჭრობისა და ინვესტიციების განვითარებისათვის ახალ გარემოს და წაახალისებს კონკურენციას, რაც წარმოადგენს ეკონომიკური რესტრუქტურიზაციისა და მოდერნიზაციისთვის უმნიშვნელოვანეს ფაქტორებს;

ვალდებულებას იღებენ რა, პატივი სცენ მდგრადი განვითარების პრინციპებს, დაიცვან გარემო და შეამსუბუქონ კლიმატის ცვლილების პროცესი, მუდმივად გაუმჯობესონ გარემოსდაცვითი მმართველობა და გარემოსდაცვითი საჭიროებების გათვალისწინება, საზღვრისპირა თანამშრომლობისა და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების შესრულების ჩათვლით;

ვალდებულებას იღებენ რა, გააძლიერონ ენერგორესურსების მიწოდების უსაფრთხოება, მათ შორის „სამხრეთის დერეფნის" განვითარების მეშვეობით, *inter alia*, საქართველოში შესაბამისი პროექტების განვითარების წახალისების გზით, რაც ხელს შეუწყობს სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარებას, მათ შორის, საქართველოს გავლით ტრანზიტისთვის, ბაზრის ინტეგრაციის ზრდასა და ევროკავშირის კანონმდებლობის (*EU acquis*) ძირითად ელემენტებთან ეტაპობრივ რეგულაციურ დაახლოებას; აგრეთვე, ხელი შეუწყონ ენერგოეფექტურობის ზრდასა და განახლებადი ენერგორესურსების გამოყენებას;

ცნობენ რა, ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის გაძლიერების საჭიროებასა და მხარეთა ვალდებულებას, შეასრულონ ენერგოქარტიის ხელშეკრულება;

სურთ რა, გააუმჯობესონ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის უსაფრთხოების დონე და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა, როგორც მდგრადი განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი ელემენტი;

ვალდებულებას იღებენ რა, გააძლიერონ ხალხთაშორისი კონტაქტები, მათ შორის, სამეცნიერო და ტექნოლოგიურ, ბიზნესის, ახალგაზრდობის, განათლებისა და კულტურის სფეროებში თანამშრომლობისა და გაცვლების გზით;

ვალდებულებას იღებენ რა, ხელი შეუწყონ საზღვრისპირა და რეგიონთაშორის თანამშრომლობას ორივე მხარის მიერ, კეთილმეზობლური ურთიერთობების სულისკვეთებით;

აღიარებენ რა საქართველოს ვალდებულებას შესაბამის სფეროებში საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან, წინამდებარე შეთანხმების საფუძველზე თანდათანობით დაახლოებისა და მისი ეფექტური იმპლემენტაციის კუთხით;

აღიარებენ რა, საქართველოს ვალდებულებას, განავითაროს თავისი ადმინისტრაციული და ინსტიტუციური ინფრასტრუქტურა იმ დონეზე, რამდენადაც ეს აუცილებელია წინამდებარე შეთანხმების შესასრულებლად;

მხედველობაში იღებენ რა ევროკავშირის სურვილს, ხელი შეუწყოს რეფორმების განხორციელებას და ამ მიზნით გამოიყენოს თანამშრომლობის ყველა შესაძლო მექანიზმი და ტექნიკური, ფინანსური და ეკონომიკური დახმარება;

ადასტურებენ რა, რომ წინამდებარე შეთანხმების დებულებები, რომლებიც ექცევა „ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ" ხელშეკრულების III კარის V თავის ფარგლებში, სავალდებულოა გაერთიანებული სამეფოსა და ირლანდიისთვის, როგორც ცალკე ხელშემკვრელი მხარეებისთვის და არა, როგორც ევროკავშირის ნაწილისთვის, თუ ევროკავშირი, გაერთიანებულ სამეფოსა ან/და ირლანდიასთან ერთად, არ შეატყობინებს საქართველოს, რომ გაერთიანებული სამეფოსა და ირლანდიისთვის ეს დებულებები სავალდებულოა, როგორც ევროკავშირის ნაწილისთვის „თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სივრცესთან მიმართებით გაერთიანებული სამეფოსა და ირლანდიის პოზიციის შესახებ" N 21 ოქმის შესაბამისად, რომელიც თან ერთვის „ევროკავშირის ხელშეკრულებასა" და „ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ" ხელშეკრულებას. თუ ხსენებული დებულებები აღარ იქნება სავალდებულო გაერთიანებული სამეფოსა ან/და ირლანდიისთვის, როგორც ევროკავშირის ნაწილისათვის, ამ ოქმის მე-4(a) მუხლის შესაბამისად, ევროკავშირი, გაერთიანებულ სამეფოსა ან/და ირლანდიასთან ერთად, დაუყოვნებლივ შეატყობინებს საქართველოს მათი პოზიციის ნებისმიერი ცვლილების შესახებ, რის შედეგადაც მათთვის სავალდებულო დარჩება წინამდებარე შეთანხმების ის დებულებები, რომლებიც სავალდებულოა მათთვის საკუთარი უფლების ნაწილში. იგივე ეხება დანიას, დანიის პოზიციის შესახებ N 22 ოქმის შესაბამისად, რომელიც თან ერთვის ხსენებულ ხელშეკრულებებს.

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

მიზნები

1. ამრიგად, ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის მყარდება ასოცირება.

2. აღნიშნული ასოცირების მიზნებია:

   (a) ხელი შეუწყოს მხარეებს შორის პოლიტიკურ ასოცირებასა და ეკონომიკურ ინტეგრაციას, რომელიც დაფუძნებული იქნება საერთო ღირებულებებსა და მჭიდრო კავშირებზე, მათ შორის, ევროკავშირის პოლიტიკაში, პროგრამებსა და სააგენტოებში საქართველოს მონაწილეობის გაზრდის გზით;

   (b) უზრუნველყოს გაძლიერებული ჩარჩოს შექმნა საერთო ინტერესთა ყველა სფეროში გაღრმავებული პოლიტიკური დიალოგისთვის, რაც საშუალებას მისცემს მხარეებს, განავითარონ მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობები;

   (c) ხელი შეუწყოს საქართველოში დემოკრატიის გაძლიერებასა და პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ინსტიტუციურ სტაბილურობას;

   (d) ხელი შეუწყოს, დაიცვას და გააძლიეროს მშვიდობა და სტაბილურობა რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენციის 1975 წლის ჰელსინკის დასკვნითი აქტის პრინციპებზე დაყრდნობით, მათ შორის, დაძაბულობის კერების აღმოფხვრის, საზღვრის უსაფრთხოების გაძლიერების; და აგრეთვე, საზღვრისპირა თანამშრომლობასა და კეთილმეზობლური ურთიერთობების წახალისების მიზნით, ძალისხმევის გაერთიანების გზით;

   (e) ხელი შეუწყოს თანამშრომლობას, რომელიც მიზნად ისახავს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებას;

   (f) გააძლიეროს თანამშრომლობა თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სფეროში, რომლის მიზანია კანონის უზენაესობის განმტკიცება და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემა;

   (g) მხარი დაუჭიროს საქართველოს ძალისხმევას, განავითაროს მისი ეკონომიკური პოტენციალი საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით, მათ შორის მისი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების გზით;

(h) მიაღწიოს ევროკავშირის შიდა ბაზართან საქართველოს ეტაპობრივ ეკონომიკურ ინტეგრაციას, როგორც ეს გათვალისწინებულია წინამდებარე შეთანხმებით, განსაკუთრებით, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შექმნის გზით, რომელიც უზრუნველყოფს ბაზარზე საფუძვლიან დაშვებას მდგრადი და ყოვლისმომცველი რეგულაციური დაახლოების საფუძველზე, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) წევრობის შედეგად წარმოშობილი უფლებებისა და ვალდებულებების დაცვით;

(i) შექმნას პირობები საერთო ინტერესთა სხვა სფეროებში უფრო მჭიდრო თანამშრომლობისთვის.

კარი I

ზოგადი პრინციპები

მუხლი 2

ზოგადი პრინციპები

1. დემოკრატიული პრინციპების, ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა პატივისცემა, როგორც ეს აღიარებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციითა და განსაზღვრულია 1950 წლის ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით, 1975 წლის ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენციის ჰელსინკის დასკვნითი აქტითა და 1990 წლის პარიზის ქარტიით ახალი ევროპისთვის, წარმოადგენს მხარეთა შიდასახელმწიფოებრივი და საგარეო პოლიტიკის საფუძველს და წინამდებარე შეთანხმების არსებით ელემენტს. მასობრივი განადგურების იარაღის, ასეთ იარაღთან დაკავშირებული მასალებისა და მათი მიწოდების საშუალებების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა ასევე წარმოადგენს წინამდებარე შეთანხმების არსებით ელემენტს.

2. მხარეები კიდევ ერთხელ ხაზს უსვამენ მათ ერთგულებას თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის, მდგრადი განვითარებისა და ეფექტიანი მულტილატერალიზმის პრინციპებისადმი.

3. მხარეები კიდევ ერთხელ ადასტურებენ პატივისცემას კანონის უზენაესობისა და კარგი მმართველობის პრინციპების, ასევე მათი საერთაშორისო ვალდებულებების მიმართ, განსაკუთრებით გაეროს, ევროპის საბჭოსა და ეუთო-ს პრინციპების შესაბამისად. კერძოდ, ისინი თანხმდებიან, რომ ხელს შეუწყობენ სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, საზღვრების ურღვევობისა და დამოუკიდებლობის პრინციპების პატივიცემას.

4. მხარეები ვალდებულებას იღებენ უზრუნველყონ კანონის უზენაესობა, განახორციელონ კარგი მმართველობა, ებრძოლონ კორუფციას და სხვადასხვა ფორმის ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულსა და ტერორიზმს, ხელი შეუწყონ მდგრად განვითარებას, ეფექტიანი მულტილატერალიზმს და იბრძოლონ მასობრივი განადგურების იარაღის და მისი მიწოდების საშუალებების გავრცელების წინააღმდეგ. ეს ვალდებულებები წარმოადგენს მხარეებს შორის ურთიერთობებისა და თანამშრომლობის განვითარების ძირითად ფაქტორს და ხელს უწყობს მშვიდობასა და სტაბილურობას რეგიონში.

კარი II

პოლიტიკური დიალოგი და რეფორმა;

თანამშრომლობა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში

მუხლი 3

პოლიტიკური დიალოგის მიზნები

1. პოლიტიკური დიალოგი საერთო ინტერესთა ყველა სფეროში, საგარეო და უსაფრთხოების საკითხებისა და შიდასახელმწიფოებრივი რეფორმის ჩათვლით, მხარეებს შორის კიდევ უფრო განვითარდება და გაღრმავდება. აღნიშნული გაზრდის პოლიტიკური თანამშრომლობის ეფექტიანობასა და ხელს შეუწყობს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებზე დაახლოებას, ურთიერთობების გაძლიერებას ამბიციური და ინოვაციური გზით.

2. პოლიტიკური დიალოგის მიზნებია:

(a) გააღრმაოს პოლიტიკური ასოცირება და გაზარდოს პოლიტიკური და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებზე დაახლოება და

ეფექტიანობა;

(b) ხელი შეუწყოს ტერიტორიული მთლიანობის, საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვევობის, სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის პრინციპებს, როგორც ეს განმტკიცებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებასა და 1975 წლის ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენციის ჰელსინკის დასკვნით აქტში;

(c) ხელი შეუწყოს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებას;

(d) ხელი შეუწყოს საერთაშორისო სტაბილურობასა და უსაფრთხოებას მრავალმხრივი თანამშრომლობის ეფექტიანად განხორციელების საფუძველზე;

(e) გააძლიეროს მხარეებს შორის თანამშრომლობა და დიალოგი საერთაშორისო უსაფრთხოებისა და კრიზისის მართვის საკითხებზე, განსაკუთრებით გლობალურ და რეგიონულ გამოწვევებსა და მთავარ საფრთხეებზე რეაგირების მიზნით;

(f) გააძლიეროს თანამშრომლობა მასობრივი განადგურების იარაღისა და მათი მიწოდების საშუალებების გავრცელების წინააღმდეგ ბძოლის სფეროში, მასობრივი განადგურების იარაღთან დაკავშირებულ პროგრამებში ადრე დასაქმებულ მეცნიერთათვის ალტერნატიული სამუშაოს შეთავაზების ჩათვლით;

(g) ხელი შეუწყოს მხარეებს შორის შედეგზე ორიენტირებულ და პრაქტიკულ თანამშრომლობას ევროპის კონტინენტზე მშვიდობის, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მისაღწევად;

(h) გააძლიეროს დემოკრატიული პრინციპების, კანონის უზენაესობისა და კარგი მმართველობის, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების, მათ შორის მედიის თავისუფლებისა და იმ პირების უფლებების პატივისცემა, რომლებიც მიეკუთვნებიან უმცირესობებს, ასევე წვლილი შეიტანოს შიდა პოლიტიკური რეფორმების კონსოლიდაციაში;

(i) განავითაროს დიალოგი და გააღრმაოს მხარეთა თანამშრომლობა უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში;

(j) იმუშაოს სხვადასხვა ფორმატებში რეგიონული თანამშრომლობის შემდგომი წახალისების მიზნით;

(k) უზრუნველყოს, რომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის მჭიდრო პოლიტიკური ასოცირების შედეგად მიღებული ყველა სარგებელი, გაზრდილი უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებზე დაახლოების ჩათვლით, გავრცელდეს საქართველოს ყველა მოქალაქეზე, საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.

მუხლი 4

შიდასახელმწიფოებრივი რეფორმა

მხარეები ითანამშრომლებენ, რათა განავითარონ, გაამყარონ და გაზარდონ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და კანონის უზენაესობის სტაბილურობა და ეფექტიანობა; ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა პატივისცემას; განაგრძონ პროგრესი სასამართლო და სამართლებრივი რეფორმის კუთხით, რათა გარანტირებულ იქნეს სასამართლოს დამოუკიდებლობა, გაძლიერდეს მისი ადმინისტრაციული შესაძლებლობა და უზრუნველყოფილ იქნას სამართალდამცავ ორგანოთა მიუკერძოებლობა და ეფექტიანობა; განაგრძონ საჯარო მმართველობის რეფორმა და შექმნან ანგარიშვალდებული, ეფექტიანი, ქმედითი, გამჭვირვალე და პროფესიონალური საჯარო სამსახური; გააგრძელონ ეფექტიანი ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ, განსაკუთრებით, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერების თვალსაზრისით, და უზრუნველყონ შესაბამისი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტების, როგორიცაა „კორუფციის წინააღმდეგ" გაეროს 2003 წლის კონვენცია, ეფექტიანი იმპლემენტაცია.

მუხლი 5

საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა

1. მხარეები გააძლიერებენ დიალოგსა და თანამშრომლობას და ხელს შეუწყობენ ეტაპობრივ დაახლოებას საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში, ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ჩათვლით, განსაკუთრებით შეეხებიან ისეთ საკითხებს, როგორიცაა კონფლიქტის პრევენცია, კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება და კრიზისების მართვა, რეგიონული სტაბილურობა, განიარაღება, იარაღის გაუვრცელებლობა, იარაღისა და ექსპორტის კონტროლი. თანამშრომლობა დაეფუძნება საერთო ღირებულებებსა და საერთო ინტერესებს და მიმართული იქნება პოლიტიკის დაახლოებისა და ეფექტიანობის გაზრდისკენ, ორმხრივი, საერთაშორისო და რეგიონული ფორმატების გამოყენებით.

2. მხარეები კიდევ ერთხელ ადასტურებენ მათ ერთგულებას ტერიტორიული მთლიანობის, საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვევობის, სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის პრინციპების მიმართ, როგორც ეს დადგენილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებითა და 1975 წლის ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენციის ჰელსინკის დასკვნითი აქტით, ასევე, ვალდებულებას, გაავრცელონ აღნიშნული პრინციპები მათ ორმხრივ და მრავალმხრივ ურთიერთობებში. მხარეები ასევე ხაზს უსვამენ მათ სრულ მხარდაჭერას მასპინძელი სახელმწიფოს თანხმობის პრინციპის მიმართ უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალების მათ ტერიტორიებზე განლაგების თაობაზე. მხარეები თანხმდებიან, რომ უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალების მათ ტერიტორიაზე განლაგება უნდა მოხდეს მხოლოდ მასპინძელი სახელმწიფოს მკაფიო თანხმობის საფუძველზე, საერთაშორისო სამართლის შესაბამისად.

მუხლი 6

საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე მძიმე დანაშაულები

1. მხარეები კიდევ ერთხელ ადასტურებენ, რომ საერთაშორისო თანამეგობრობისთვის მნიშვნელოვანი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულები არ უნდა დარჩეს დაუსჯელი და ამგვარი დანაშაულებისათვის დაუსჯელობა თავიდან უნდა იქნეს აცილებული ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ზომების მიღების გზით, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ჩათვლით.

2. მხარეები მიიჩნევენ, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს დაარსება და მისი ეფექტიანი ფუნქციონირება წარმოადგენს მნიშვნელოვან განვითარებას საერთაშორისო მშვიდობისა და მართლმსაჯულებისთვის. მხარეები კიდევ ერთხელ ადასტურებენ მათ ვალდებულებას, განაგრძონ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან თანამშრომლობა, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტების იმპლემენტაციის გზით, მისი ერთიანობის დაცვის მიმართ სათანადო ყურადღების გამახვილებით.

მუხლი 7

კონფლიქტის პრევენცია და კრიზისის მართვა

მხარეები გააძლიერებენ პრაქტიკულ თანამშრომლობას კონფლიქტის პრევენციისა და კრიზისის მართვის კუთხით, განსაკუთრებით ევროკავშირის სამოქალაქო და სამხედრო კრიზისის მართვის ოპერაციებში, ასევე შესაბამის სწავლებებსა და წვრთვნებში, საქართველოს შესაძლო მონაწილეობის მიზნით, ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში და ევროკავშირის მიერ შესაძლო მოწვევის შემდეგ.

მუხლი 8

რეგიონული სტაბილურობა

1. მხარეები გააძლიერებენ ერთობლივ ძალისხმევას, რათა ხელი შეუწყონ რეგიონში სტაბილურობის, უსაფრთხოებისა და დემოკრატიის განვითარებას, ასევე იმუშავებენ, რათა დამატებით წაახალისონ რეგიონული თანამშრომლობა სხვადასხვა ფორმატებში და კერძოდ, იმუშაონ რეგიონში მოუგვარებელი კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების მიმართულებით.

2. ეს ძალისხმევა დაეფუძნება საერთაშორისო მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნების შესახებ საერთო პრინციპებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში, 1975 წლის ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენციის ჰელსინკის დასკვნით აქტსა და სხვა შესაბამის მრავალმხრივ დოკუმენტებში. მხარეები ასევე

სრულად გამოიყენებენ „აღმოსავლეთ პარტნიორობის" მრავალმხრივი თანამშრომლობის ჩარჩოს, რომელიც თანამშრომლობის ღონისძიებების განხორციელებისა და ღია და თავისუფალი დიალოგის საშუალებას იძლევა, ხელს უწყობს რა კავშირებს თავად პარტნიორ ქვეყნებს შორის.

მუხლი 9

კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება

1. მხარეები ადასტურებენ მათ ვალდებულებას კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების მიმართ, საქართველოს სუვერენიტეტისა და საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში მისი ტერიტორიული მთლიანობის სრული პატივისცემით, ასევე კონფლიქტის შემდგომი რეაბილიტაციისა და შერიგებისადმი მიმართული ძალისხმევის ერთობლივად ხელშეწყობის მიმართ. კონფლიქტის მდგრად გადაწყვეტამდე და კონფლიქტთან დაკავშირებულ საკითხებზე არსებული ფორმატებისთვის ზიანის მიუყენებლად, კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება იქნება პოლიტიკური დიალოგის ერთ-ერთი მთავარი თემა მხარეთა შორის, ასევე საერთაშორისო დონის სხვა შესაბამის მონაწილე მხარეებთან დიალოგისას.

2. მხარეები აღიარებენ შერიგების მიმართულებით საქართველოს ვალდებულების და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიმართ მისი ძალისხმევის მნიშვნელობას კონფლიქტის მშვიდობიანი და საბოლოო მოგვარების მისაღწევად; ასევე 2008 წლის 12 აგვისტოს ექვს-პუნქტიანი შეთანხმებისა და მისი შემდგომი საიმპლემენტაციო ზომების სრულად შესრულების, ურთიერთხელშემწყობი არაღიარებისა და ჩართულობის პოლიტიკის, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად, ყველა იძულებით გადაადგილებული პირისა და ლტოლვილის საკუთარ საცხოვრებელ ადგილებში უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების; და ადგილზე ქმედითი საერთაშორისო ჩართულობის, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ევროკავშირის ჩართულობის მნიშვნელობას.

3. მხარეები კოორდინაციას გაუწევენ, ასევე, სხვა შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად, მათ ძალისხმევას ხელი შეუწყონ საქართველოში კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებას, მათ შორის ჰუმანიტარულ საკითხებთან დაკავშირებით.

4. ყველა ეს ძალისხმევა დაეფუძნება საერთაშორისო მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნების შესახებ საერთო პრინციპებს, რომლებიც განმტკიცებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში, ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის 1975 წლის კონფერენციის ჰელსინკის დასკვნით აქტსა და სხვა შესაბამის მრავალმხრივ დოკუმენტებში.

მუხლი 10

მასობრივი განადგურების იარაღი

1. მხარეები მიიჩნევენ, რომ მასობრივი განადგურების იარაღისა და მისი მიწოდების საშუალებების გავრცელება, როგორც სახელმწიფო ასევე არასახელმწიფო აქტორებს შორის, წარმოადგენს საერთაშორისო მშვიდობისა და სტაბილურობისათვის ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ საფრთხეს. შესაბამისად, მხარეები თანხმდებიან, რომ ითანამშრომლებენ და წვლილს შეიტანენ მასობრივი განადგურების იარაღისა და მისი მიწოდების საშუალებების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლაში, საერთაშორისო განიარაღებისა და გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, ასევე სხვა შესაბამისი საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად, მათი არსებული ვალდებულებების სრულად შესრულებისა და ეროვნულ დონეზე მათი იმპლემენტაციის გზით. მხარეები თანხმდებიან, რომ ეს დებულება წარმოადგენს წინამდებარე შეთანხმების არსებით ელემენტს.

2. მხარეები თანხმდებიან, რომ ითანამშრომლებენ და წვლილს შეიტანენ მასობრივი განადგურების იარაღისა და მისი მიწოდების საშუალებების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლაში შემდეგი ქმედებების განხორციელების გზით:

(a) მიიღონ ზომები, რათა საჭიროების შემთხვევაში, ხელი მოაწერონ, რატიფიკაცია მოახდინონ, ან შეუერთდნენ და სრულად შეასრულონ ყველა სხვა შესაბამისი საერთაშორისო დოკუმენტი; და

(b) ჩამოაყალიბონ ექსპორტის კონტროლის ეფექტიანი ეროვნული სისტემა, რომელიც გააკონტროლებს მასობრივი განადგურების იარაღთან დაკავშირებული ტვირთების ექსპორტსა და ტრანზიტს, რაც მოიცავს ორმაგი დანიშნულების ტექნოლოგიებზე მასობრივი განადგურების იარაღის საბოლოო გამოყენების კონტროლსა და ექსპორტის კონტროლის დარღვევებზე ეფექტიანი სანქციების დაწესებას.

3. მხარეები თანხმდებიან, რომ აღნიშნულ საკითხებს განიხილავენ მათი პოლიტიკური დიალოგის ფარგლებში.

მუხლი 11

მცირე და მსუბუქი შეიარაღებისა და ჩვეულებრივი

შეიარაღების ექსპორტის კონტროლი

1. მხარეები აღიარებენ, რომ მცირე და მსუბუქი შეიარაღებისა და, მათ შორის, საბრძოლო მასალების უკანონო წარმოება, გადატანა და გავრცელება, და მათი დიდი რაოდენობით დაგროვება, ცუდი მართვა, არასათანადოდ დაცული მარაგები და უკონტროლო გავრცელება, კვლავ სერიოზულ საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთოხოებას.

2. მხარეები თანხმდებიან, რომ დაიცავენ და სრულად შეასრულებენ მათ შესაბამის ვალდებულებებს, რათა აღმოფხვრან მცირე და მსუბუქი შეიარაღებით, მათ შორის საბრძოლო მასალებით, უკანონო ვაჭრობა, არსებული საერთაშორისო შეთანხმებებისა და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესაბამისად, ასევე, ამ სფეროში მოქმედი სხვა საერთაშორისო დოკუმენტების ფარგლებში მათი ვალდებულებების თანახმად, როგორიცაა „მცირე და მსუბუქი შეიარაღებით უკანონო ვაჭრობის პრევენციის, მის წინააღმდეგ ბრძოლისა და მისი აღმოფხვრის შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამოქმედო პროგრამა, მისი ყველა ასპექტის გათვალისწინებით.

3. მხარეები ვალდებულებას იღებენ, რომ ითანამშრომლობენ და უზრუნველყოფენ კოორდინაციას, ქმედებათა ურთიერთშევსებადობასა და ერთობლივ ძალისხმევას მცირე და მსუბუქი შეიარაღებით, მათ შორის საბრძოლო მასალებით, უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლისა და დიდი რაოდენობით მარაგების განადგურების კუთხით, გლობალურ, რეგიონულ, ქვე-რეგიონულ და ეროვნულ დონეებზე.

4. გარდა ამისა, მხარეები თანხმდებიან, რომ გააგრძელებენ თანამშრომლობას ჩვეულებრივი შეიარაღების ექსპორტის კონტროლის სფეროში, საბჭოს 2008 წლის 8 დეკემბრის, 2008/944/CFSP ერთიანი პოზიციის ჭრილში, რომელიც განსაზღვრავს ერთიან წესებს „სამხედრო ტექნოლოგიებისა და აღჭურვილობის ექსპორტის კონტროლის შესახებ“

5. მხარეები თანხმდებიან, რომ აღნიშნულ საკითხებს განიხილავენ თავიანთი პოლიტიკური დიალოგის ფარგლებში.

მუხლი 12

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა

1. მხარეები კიდევ ერთხელ ადასტურებენ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა და მისი პრევენციის მნიშვნელობას და თანხმდებიან, რომ ერთად იმუშავებენ, როგორც ორმხრივ, ისე რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე, რათა მოახდინონ ტერორიზმის პრევენცია და იბრძოლონ ტერორიზმის ყველანაირი ფორმისა და გამოვლინების წინააღმდეგ.

2. მხარეები თანხმდებიან, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა განხორციელდეს კანონის უზენაესობის სრული პატივისცემითა და საერთაშორისო სამართალთან სრულ შესაბამისობაში, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის, ლტოლვილთა საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ჩათვლით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებითა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული ყველა სხვა შესაბამისი საერთაშორისო დოკუმენტით გათვალისწინებული პრინციპების თანახმად.

3. მხარეები ხაზს უსვამენ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული გაეროს ყველა კონვენციისა და ოქმის უნივერსალური რატიფიკაციისა და მათი სრულად იმპლემენტაციის მნიშვნელობას. მხარეები თანხმდებიან, რომ გააგრძელებენ დიალოგის ხელშეწყობას, რომელიც ეხება „საერთაშორისო ტერორიზმის შესახებ“ ყოვლისმომცველი კონვენციის პროექტს და ითანამშრომლებენ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გლობალური სტრატეგიის, ასევე, გაეროს უშიშროების საბჭოს ყველა შესაბამისი რეზოლუციისა და ევროპის საბჭოს კონვენციის იმპლემენტაციის მიმართულებით. მხარეები ასევე თანხმდებიან, რომ ითანამშრომლებენ, რათა ხელი შეუწყონ საერთაშორისო კონსენსუსს ტერორიზმის პრევენციასა და მის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით.

კარი III

თავისუფლება, უსაფრთხოება და მართლმსაჯულება

მუხლი 13

კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებათა და

ფუნდამენტურ თავისუფლებათა პატივისცემა

1. თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სფეროში თანამშრომლობისას, მხარეები განსაკუთრებულ ყურადღებას გაამახვილებენ კანონის უზენაესობის შემდგომ ხელშეწყობაზე, მათ შორის სასამართლოს დამოუკიდებლობაზე, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობასა და სამართლიანი სასამართლოს უფლებაზე.

2. მხარეები სრულად ითანამშრომლებენ სამართალდამცავ და მართლმსაჯულების მართვის სფეროებში მოქმედი ინსტიტუტების ეფექტიან ფუნქციონირებასთან დაკავშირებით.

3. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემა საფუძვლად დაედება თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სფეროში თანამშრომლობას.

მუხლი 14

პერსონალურ მონაცემთა დაცვა

მხარეები თანხმდებიან, რომ ითანამშრომლებენ, რათა უზრუნველყონ პერსონალურ მონაცემთა მაღალ დონეზე დაცვა წინამდებარე შეთანხმების I დანართში მითითებული ევროკავშირის, ევროპის საბჭოსა და საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტებისა და სტანდარტების შესაბამისად.

მუხლი 15

თანამშრომლობა მიგრაციის, თავშესაფრისა

და საზღვრის მართვის სფეროებში

1. მხარეები კიდევ ერთხელ ადასტურებენ მათ ტერიტორიებს შორის მიგრაციული ნაკადების ერთობლივი მართვის მნიშვნელობას და მიგრაციასთან დაკავშირებულ ყველა საკითხთან მიმართებაში დანერგავენ ყოვლისმომცველი დიალოგის ფორმატს, რაც ასევე მოიცავს ლეგალურ მიგრაციას, საერთაშორისო დაცვასა და არალეგალური მიგრაციის, კონტრაბანდისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლას.

2. თანამშრომლობა დაეფუძნება კონკრეტული საჭიროებების შეფასებას, რომელიც განხორციელდება მხარეთა შორის ორმხრივი კონსულტაციების შედეგად და შესრულდება შესაბამისი მოქმედი კანონმდებლობის თანახმად. კერძოდ, ყურადღება გამახვილდება შემდეგ ასპექტებზე:

(a) მიგრაციის ძირეული მიზეზები და შედეგები;

(b) საერთაშორისო დაცვასთან მიმართებით ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის განვითარება და იმპლემენტაცია, „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ" 1951 წლის ჟენევის კონვენციისა და „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ" 1967 წლის ოქმის, ასევე სხვა შესაბამისი საერთაშორისო დოკუმენტების დებულებათა შესრულების გათვალისწინებით, როგორიცაა 1950 წლის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, და „იძულებით უკან დაბრუნების არდაშვების" ("*non-refoulement*") პრინციპის პატივისცემის უზრუნველყოფა;

(c) პირთა მიღების (ადმისიის) წესები და მიღებულ პირთა უფლებები და სტატუსი, კანონიერად მცხოვრებ არამოქალაქეთა მიმართ სამართლიანი მოპყრობა და ინტეგრაცია, განათლება და ტრეინინგი; და რასიზმისა და ქსენოფობიის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები;

(d) არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ეფექტიანი და პრევენციული პოლიტიკის გაძლიერება, მიგრანტთა საზღვარზე უკანონო გადაყვანა და ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), მათ შორის ის საკითხი, თუ როგორ უნდა განხორციელდეს მიგრანტთა საზღვარზე უკანონოდ გადამყვან პირთა და ადამიანით მოვაჭრეთა ქსელის წინააღმდეგ ბრძოლა და ამგვარი ვაჭრობის მსხვერპლთა დაცვა;

(e) 2008 წლის 4 დეკემბერს ხელმოწერილი „ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა გარე საზღვრებზე ოპერატიული თანამშრომლობის

მართვის ევროპულ სააგენტოსა (FRONTEX) და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს) შორის ოპერატიული თანამშრომლობის ჩამოყალიბების შესახებ“ სამუშაო შეთანხმების იმპლემენტაცია;

(f) დოკუმენტების უსაფრთხოებისა და საზღვრის მართვის სფეროებში ისეთი საკითხები, როგორიცაა ორგანიზაცია, ტრეინინგი, საუკეთესო პრაქტიკა და სხვა ოპერატიული ღონისძიებები.

3. თანამშრომლობამ შესაძლოა ასევე ხელი შეუწყოს ცირკულარულ მიგრაციას განვითარების სასარგებლოდ.

მუხლი 16

პირთა გადაადგილება და რეადმისია

1. მხარეები უზრუნველყოფენ შემდეგი დოკუმენტების სრულ იმპლემენტაციას:

(a) „საქართველოსა და ევროკავშირს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ“ შეთანხმება, რომელიც ძალაში შევიდა 2011 წლის 1 მარტს; და

(b) ,,საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვიზების გაცემის პროცედურის გამარტივების შესახებ“ შეთანხმება, რომელიც ძალაში შევიდა 2011 წლის 1 მარტს.

2. მხარეები გააგრძელებენ მცდელობას, გაზარდონ მოქალაქეთა მობილურობა და გადადგამენ ეტაპობრივ ნაბიჯებს ერთობლივი მიზნის, კერძოდ, შესაბამის ეტაპზე უვიზო რეჟიმის შემოღების მიმართულებით, იმის გათვალისწინებით, რომ დაცული იქნება ორფაზიანი „სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით“ განსაზღვრული კარგად მართული და უსაფრთხო მობილურობის პირობები.

მუხლი 17

ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

1. მხარეები ითანამშრომლებენ დანაშაულის და სხვა სახის უკანონო ქმედებების წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის კუთხით, კერძოდ, ისეთ ტრანსნაციონალურ, ორგანიზებულ ან სხვა სახის ქმედებებთან მიმართებაში, როგორიცაა:

(a) საზღვარზე ადამიანთა უკანონო გადაყვანა და ტრეფიკინგი, ასევე მცირე შეიარაღებითა და ნარკოტიკული საშუალებებით უკანონო ვაჭრობა;

(b) კონტრაბანდა და საქონლით უკანონო ვაჭრობა;

(c) უკანონო ეკონომიკური და ფინანსური საქმიანობა, როგორიცაა გაყალბება, ფისკალური თაღლითობა და სახელმწიფო შესყიდვების სფეროში თაღლითობა;

(d) საერთაშორისო დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების თანხების გაფლანგვა;

(e) აქტიური და პასიური კორუფცია, როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორში;

(f) დოკუმენტების გაყალბება, ყალბი ამონაწერების წარდგენა; და

(g) კიბერ დანაშაული.

2. მხარეები გააძლიერებენ ორმხრივ, რეგიონულ და საერთაშორისო თანამშრომლობას სამართალდამცავ ორგანოებს შორის, ევროპოლსა და საქართველოს შესაბამის ორგანოებს შორის თანამშრომლობის განვითარების ჩათვლით. მხარეები ვალდებულებას იღებენ ეფექტიანად შეასრულონ შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტები, და განსაკუთრებით ის სტანდარტები, რომლებიც განმტკიცებულია „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის შესახებ” გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2000 წლის კონვენციასა (UNTOC) და მის სამ ოქმში, ასევე, „კორუფციის წინააღმდეგ” გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2003 წლის კონვენციაში.

მუხლი 18

უკანონო ნარკოტიკული საშუალებები

1. მხარეები, მათი შესაბამისი უფლებამოსილებისა და კომპეტენციის ფარგლებში, ითანამშრომლებენ ნარკოტიკულ საშუალებებთან მიმართებაში დაბალანსებული და ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბების მიზნით. ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებული პოლიტიკა და ქმედებები მიზნად ისახავს უკანონო ნარკოტიკული საშუალებების პრევენციასა და მის წინააღმდეგ ბრძოლის სტრუქტურების გაძლიერებას, უკანონო ნარკოტიკული საშუალებების მიწოდების, ვაჭრობისა და მათზე მოთხოვნის შემცირებას, ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებასთან დაკავშირებულ ჯანმრთელობასა და სოციალურ შედეგებზე კონცენტრაციას ზიანის შემცირების მიზნით, ასევე, ქიმიური პრეკურსორების, რომლებიც გამოიყენება ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო წარმოებისათვის, გავრცელების უფრო ეფექტიან პრევენციას.

2. ხსენებული მიზნების მისაღწევად მხარეები შეთანხმდებიან თანამშრომლობის აუცილებელ მეთოდებზე. ქმედებები დაეფუძნება ერთობლივად შეთანხმებულ პრინციპებს, შესაბამისი საერთაშორისო კონვენციებისა და ნარკოტიკული საშუალებების შესახებ ევროკავშირის სტრატეგიის (2013-20) გათვალისწინებით, ასევე, 1998 წლის ივნისში, ნარკოტიკული საშუალებების თაობაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეოცე სპეციალური სესიის მიერ დამტკიცებული „ნარკოტიკული საშუალებების მოთხოვნის შემცირების სახელმძღვანელო პრინციპების შესახებ“ პოლიტიკური დეკლარაციის გათვალისწინებით.

მუხლი 19

ფულის გათეთრება და ტერორიზმის დაფინანსება

1. მხარეები ითანამშრომლებენ, რათა არ დაუშვან მათი ფინანსური და შესაბამისი არაფინანსური სისტემების გამოყენება ზოგადად, კრიმინალური საქმიანობების და კერძოდ, ნარკოტიკული დანაშაულების შედეგად მიღებული შემოსავლების გათეთრებისა და აგრეთვე ტერორიზმის დაფინანსების მიზნით.

ეს თანამშრომლობა ასევე ვრცელდება დანაშაულის შედეგად მიღებული აქტივების ან ფულადი სახსრების დაბრუნებაზე.

2. აღნიშნულ სფეროში თანამშრომლობა საშუალებას იძლევა გაიცვალოს სათანადო ინფორმაცია შესაბამისი კანონმდებლობის ფარგლებში და მიღებულ იქნას შესატყვისი სტანდარტები ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით, რომლებიც შეესაბამება ფულის გათეთრებაზე ფინანსური მოქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) და მისი მსგავსი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დადგენილ სტანდარტებს.

მუხლი 20

თანამშრომლობა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში

1. წინამდებარე შეთანხმების მე-12 მუხლით გათვალისწინებული პრინციპების შესაბამისად, რომლებიც საფუძვლად უდევს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, მხარეები კიდევ ერთხელ ადასტურებენ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით სამართალდამცავი ორგანოების და სასამართლოს მნიშვნელობას და თანხმდებიან, რომ ითანამშრომლებენ ტერორიზმის პრევენციისა და მის აღსაკვეთად შემდეგი საშუალებებით:

(a) ტერორისტული დანაშაულების კრიმინალიზაციის უზრუნველყოფა, საბჭოს 2008 წლის 28 ნოემბრის ჩარჩო გადაწყვეტილებაში 2008/919/JHA, რომელმაც შეცვალა ჩარჩო გადაწყვეტილება 2002/475/JHA, მოცემული განმარტებების შესაბამისად;

(b) ტერორისტული დაჯგუფებებისა და ინდივიდების და მათი მხარდამჭერი ქსელების თაობაზე ინფორმაციის გაცვლა, საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, კერძოდ, მონაცემთა დაცვასთან და პირადი ცხოვრების დაცვასთან მიმართებით;

(c) ტერორიზმის პრევენციისა და აღმოფხვრის, მისი მეთოდებისა და საშუალებების და მათი ტექნიკური ასპექტების, ასევე წვრთნების თაობაზე გამოცდილების გაცვლა, შესაბამისი სამართლებრივი ნორმების თანახმად;

(d) რადიკალიზაციისა და რეკრუტირების წინააღმდეგ ბრძოლისა და რეაბილიტაციის ხელშეწყობასთან დაკავშირებით საუკეთესო გამოცდილების შესახებ ინფორმაციის გაცვლა;

(e) მოსაზრებებისა და გამოცდილების გაცვლა ტერორიზმში ეჭვმიტანილ პირთა ტრანს-სასაზღვრო გადაადგილებასა და მოგზაურობასთან, ასევე ტერორისტულ საფრთხეებთან დაკავშირებით;

(f) ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დროს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე, სისხლის სამართლებრივ პროცედურებთან მიმართებაში, საუკეთესო გამოცდილების გაზიარება;

(g) ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული ტერორიზმის საფრთხეების წინააღმდეგ ზომების მიღება და აუცილებელი ნაბიჯების გადადგმა ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული მასალების ტერორისტული მიზნებისათვის შეძენის, გადატანისა და გამოყენების პრევენციის მიზნით, ასევე მაღალი რისკის ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული საშუალებების წინააღმდეგ უკანონო ქმედებების პრევენცია.

2. თანამშრომლობა დაეფუძნება შესაბამის არსებულ შეფასებებს, როგორიცაა გაეროს და ევროპის საბჭოს შესაბამის ორგანოთა შეფასებები და განხორციელდება მხარეთა შორის ორმხრივი კონსულტაციების მეშვეობით.

მუხლი 21

სამართლებრივი თანამშრომლობა

1. მხარეები თანხმდებიან, რომ განავითარებენ სასამართლო თანამშრომლობას სამოქალაქო და კომერციულ საკითხებთან დაკავშირებით, სამოქალაქო საკითხებზე სასამართლო თანამშრომლობის შესახებ მრავალმხრივი კონვენციების თაობაზე მოლაპარაკებების, მათი რატიფიცირებისა და იმპლემენტაციის კუთხით და კონკრეტულად, საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ ჰააგის კონფერენციის კონვენციების თაობაზე საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობისა და სამართალწარმოების, ასევე, ბავშვთა დაცვის სფეროში.

2. რაც შეეხება სისხლის სამართლებრივ საკითხებზე სასამართლო თანამშრომლობას, მხარეები გააძლიერებენ თანამშრომლობას ორმხრივი სამართლებრივი დახმარების კუთხით შესაბამისი მრავალმხრივი შეთანხმებების საფუძველზე. ეს, საჭიროების შემთხვევაში, მოიცავს გაეროსა და ევროპის საბჭოს შესაბამის საერთაშორისო აქტებთან მიერთებასა და მათ იმპლემენტაციას, ასევე ევროკავშირის სამართლებრივი თანამშრომლობის სააგენტოსთან (EUROJUST) მჭიდრო თანამშრომლობას.

კარი IV

ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები

თავი 1

ეროვნული რეჟიმი და საქონლისათვის ბაზრის ხელმისაწვდომობა

ნაწილი 1

ზოგადი დებულებები

მუხლი 22

მიზანი

მხარეები შექმნიან თავისუფალ სავაჭრო ამ შეთანხმების დებულებების და ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმების (GATT 1994) XXIV მუხლის შესაბამისად.

მუხლი 23

მოქმედების სფერო და გავრცელება

1. ამ თავის დებულებები ვრცელდება მხარეებს შორის საქონლით[1] ვაჭრობაზე.

2. ამ თავის მიზნებისთვის, „წარმოშობილი“ ნიშნავს წარმოშობის წესების დაკმაყოფილებას, რომელიც განსაზღვრულია ამ შეთანხმების I ოქმში.

ნაწილი 2

საბაჟო გადასახადების, გადასახდელებისა და სხვა მოსაკრებლების გაუქმება

მუხლი 24

საბაჟო გადასახადის განმარტება

ამ თავის მიზნებისთვის, „საბაჟო გადასახადი“ მოიცავს ყველა სახის გადასახადს ან ნებისმიერი ტიპის მოსაკრებელს, რომელიც დაწესებულია ან დაკავშირებულია საქონლის ექსპორტსა ან იმპორტთან, ყველა სახის ქვე-გადასახადის ან ქვე-მოსაკრებელის ჩათვლით, რომელიც დაწესებულია ან დაკავშირებულია ასეთ იმპორტსა ან ექსპორტთან. „საბაჟო გადასახადი“ არ მოიცავს არცერთი სახის:

(a) მოსაკრებელს, რომელიც ამ შეთანხმების 31-ე მუხლის თანახმად დაწესებული შიდა გადასახადის ეკვივალენტურია;

(b) გადასახადს, რომელიც დაწესებულია წინამდებარე შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) მე-2 თავის (სავაჭრო ზომები) შესაბამისად;

(c) გადასახდელებს ან სხვა მოსაკრებლებს, რომლებიც დაწესებულია ამ შეთანხმების 30-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 25

საქონლის კლასიფიკაცია

მხარეებს შორის საქონლით ვაჭრობის კლასიფიკაცია უნდა ეფუძნებოდეს თითოეული მხარის სატარიფო ნომენკლატურას, რომელიც შესაბამისობაშია 2012 წლის ჰარმონიზებულ სისტემასთან, ,,საქონლის აღწერილობის და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციის 1983 წლის რედაქციისა (HS) და მასში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე.

მუხლი 26

იმპორტზე საბაჟო გადასახადების გაუქმება

1. ამ შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღიდან, მხარეებმა უნდა გააუქმონ ყველა საბაჟო გადასახადი მეორე მხარეში წარმოშობილ პროდუქციაზე, გარდა ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა და ამ მუხლის მე-4 პუნქტისათვის ზიანის მიყენების გარეშე.

2. ამ შეთანხმების II–A დანართში ჩამოთვლილი პროდუქტები საბაჟო გადასახადის გარეშე უნდა იქნას იმპორტირებული ევროკავშირში, ამ დანართში მითითებული სატარიფო კვოტის ფარგლებში. სატარიფო კვოტაზე გადაჭარბებით იმპორტისას გამოყენებული უნდა იყოს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის შესაბამისი საბაჟო გადასახადის განაკვეთი.

3. ამ შეთანხმების II-B დანართში ჩამოთვლილი პროდუქტები ევროკავშირში იმპორტისას უნდა დაექვემდებაროს საბაჟო გადასახადის გადახდას, ამ გადასახადის ადვალორული კომპონენტის გარეშე.

4. საქართველოში წარმოშობილი პროდუქტის იმპორტი, რომელიც ჩამოთვლილია ამ შეთანხმების II-C დანართში, დაექვემდებარება გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმს წინამდებარე შეთანხმების 27-ე მუხლის შესაბამისად.

5. ამ შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის შემდეგ, ერთ-ერთი მხარის მოთხონვის საფუძველზე, მხარეებმა უნდა გამართონ კონსულტაციები მხარეებს შორის ვაჭრობაში საბაჟო ტარიფების ლიბერალიზაციის მასშტაბის გაფართოებასთან დაკავშირებით. ამ პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას იღებს ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტი, რომელიც განსაზღვრულია ამ შეთანხმების 408-ე მუხლის მე-4 პუნქტით.

მუხლი 27

გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და სასოფლო-სამეურნეო გადამუშავებული პროდუქტებისთვის

1. წინამდებარე შეთანხმების II-C დანართში მოცემული პროდუქტები ექვემდებარება ამ მუხლით განსაზღვრულ გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმს. ამ პროდუქტების თითოეული კატეგორიის საქართველოდან ევროკავშირში იმპორტის საშუალო წლიური მოცულობა მოცემულია ამ შეთანხმების II-C დანართში.

2. როდესაც ნებისმიერი წლის განმავლობაში, დაწყებული 1 იანვრიდან, პირველ პუნქტში აღნიშნული ერთი ან მეტი პროდუქტის იმპორტის მოცულობა მიაღწევს წინამდებარე შეთანხმების II-C დანართში მითითებული მოცულობის 70%-ს, ევროკავშირი ატყობინებს საქართველოს კონკრეტული პროდუქტ(ებ)ის იმპორტის მოცულობის შესახებ. ამ შეტყობინების შემდეგ და 14 კალენდარული დღის განმავლობაში, მას შემდეგ რაც პირველ პუნქტში აღნიშნული ერთი ან მეტი პროდუქტის იმპორტი მიაღწევს წინამდებარე შეთანხმების

II-C დანართში მითითებული რაოდენობის 80%-ს, საქართველო წარუდგენს ევროკავშირს საფუძვლიან დასაბუთებას იმის შესახებ, რომ საქართველოს აქვს შესაძლებლობა აწარმოოს პროდუქცია ევროკავშირში ექსპორტისათვის ამ დანართში მითითებული მოცულობის ზემოთ. იმ შემთხვევაში, თუ ეს იმპორტი მიაღწევს წინამდებარე შეთანხმების II-C დანართში მითითებული რაოდენობის 100%-ს და იმავდროულად არ არსებობს საქართველოს მხრიდან წარდგენილი საფუძვლიანი დასაბუთება, ევროკავშირს შეუძლია დროებით შეაჩეროს პრეფერენციული რეჟიმი შესაბამის პროდუქტებზე.

აღნიშნული შეჩერება გამოიყენება 6 თვის განმავლობაში და ძალაში შედის პრეფერენციული რეჟიმის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნების დღიდან.

3. მე-2 პუნქტის თანახმად მიღებულ ყველა გადაწყვეტილებას დროებითი შეჩერების შესახებ ევროკავშირი დაუყოვნებლივ აცნობებს საქართველოს.

4. ევროკავშირის მიერ დროებითი შეჩერება მოიხსნება მისი ძალაში შესვლიდან ექვსთვიანი ვადის ამოწურვამდე იმ შემთხვევაში, თუ საქართველო ამ შეთანხმების 408-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად შექმნილ ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტს წარუდგენს დამაკმაყოფილებელ მტკიცებულებას იმის შესახებ, რომ შესაბამისი იმპორტირებული პროდუქტ(ებ)ის რაოდენობის სიჭარბე ამ შეთანხმების II-C დანართში მითითებულ რაოდენობაზე, გამოიწვია საქართველოს საწარმოო და საექსპორტო შესაძლებლობების ცვლილებამ ამ კონკრეტულ პროდუქტ(ებ)თან მიმართებაში.

5. ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტში საქართველოს მოთხოვნის საფუძველზე, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ორმხრივი თანხმობის შემთხვევაში, შეიძლება მოხდეს ამ შეთანხმების II-C დანართის ცვლილება და მოცულობის მოდიფიკაცია, რათა აისახოს საქართველოს საწარმოო და საექსპორტო შესაძლებლობებში განხორციელებული ცვლილება კონკრეტულ პროდუქტ(ებ)თან მიმართებაში.

მუხლი 28

უმოქმედობა

არცერთ მხარეს არ შეუძლია დააწესოს ახალი საბაჟო გადასახადი მეორე მხარეში წარმოშობილ საქონელზე ან გაზარდოს ამ შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღისათვის არსებული საბაჟო გადასახადები. ამავდროულად, ეს არ გამორიცხავს რომელიმე მხარის შესაძლებლობას, ვმო-ს დავების განხილვის ორგანოს (DSB) მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, შეინარჩუნოს ან გაზარდოს საბაჟო გადასახადი.

მუხლი 29

საბაჟო გადასახადები ექსპორტზე

არცერთ მხარეს არ აქვს უფლება, დააწესოს ან შეინარჩუნოს საბაჟო ან სხვა გადასახადი, გარდა ამ შეთანხმების 30-ე მუხლით გათვალისწინებული შიდა მოსაკრებლებისა, მეორე მხარის ტერიტორიაზე საქონლის ექსპორტზე ან ექსპორტთან დაკავშირებით.

მუხლი 30

გადასახდელები და სხვა მოსაკრებლები

GATT 1994-ის VIII მუხლის და მისი განმარტებითი ჩანაწერის შესაბამისად, თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ ყველა სახის გადასახდელი და მოსაკრებელი, გარდა ამ შეთანხმების 26-ე მუხლით განსაზღვრული საბაჟო გადასახადებისა და სხვა ზომებისა, რომლებიც დაწესებულია ან დაკავშირებულია პროდუქციის ექსპორტთან ან იმპორტთან, არ აღემატება გაწეული მომსახურების მიახლოებით ხარჯს და არ წარმოადგენს არაპირდაპირი სახით ადგილობრივი პროდუქციის დაცვას ან ფისკალური მიზნებისათვის იმპორტის ან ექსპორტის დაბეგვრას.

ნაწილი 3

არასატარიფო ზომები

მუხლი 31

თითოეული მხარე მიანიჭებს მეორე მხარის საქონელს ეროვნულ რეჟიმს GATT 1994-ის III მუხლისა და მისი განმარტებითი ჩანაწერების შესაბამისად. ამ მიზნით, GATT 1994-ის III მუხლი და მისიგანმარტებითი ჩანაწერები წარმოადგენს წინამდებარე შეთანხმების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 32

შეზღუდვები იმპორტსა და ექსპორტზე

არცერთმა მხარემ არ უნდა დააწესოს ან შეინარჩუნოს აკრძალვა ან შეზღუდვა მეორე მხარის საქონლის იმპორტზე ან საქონლის ექსპორტზე ან ექსპორტის მიზნით გაყიდვებზე, რომელიც განკუთვნილია მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე გასატანად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სხვაგვარად არის განსაზღვრული ამ შეთანხმებით ან GATT 1994-ის XI მუხლით და მისი განმარტებითი ჩანაწერებით. ამ მიზნით, GATT 1994-ის XI მუხლი და მისი განმარტებითი ჩანაწერები წარმოადგენს წინამდებარე შეთანხმების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს.

ნაწილი 4

საქონელთან დაკავშირებული სპეციფიკური დებულებები

მუხლი 33

ზოგადი გამონაკლისები

წინამდებარე თავში მოცემული პირობებიდან არაფერი არ უნდა უშლიდეს ხელს მხარის მიერ GATT 1994-ის XX და XXI მუხლების და ამ მუხლების შესაბამის განმარტებითი ჩანაწერებში მოცემული ნებისმიერი ზომის მიღებასა ან გატარებას, რაც წარმოადგენს წინამდებარე შეთანხმების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს.

ნაწილი 5

ადმინისტრაციული თანამშრომლობა და

კოორდინაცია სხვა ქვეყნებთან

მუხლი 34

პრეფერენციათა დროებითი შეჩერება

1. მხარეები თანხმდებიან, რომ ადმინისტრაციული თანამშრომლობა და დახმარება მნიშვნელოვანია ამ თავით მინიჭებული პრეფერენციული სატარიფო რეჟიმის განხორციელებისა და კონტროლისთვის და ხაზს უსვამენ მათ ვალდებულებას, ებრძოლონ დარღვევებსა და გაყალბებას საბაჟოზე და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

2. როდესაც ხელშემკვრელი მხარე, ობიექტური ინფორმაციის საფუძველზე, აღმოაჩენს, რომ მეორე ხელშემკვრელი მხარე ვერ უზრუნველყოფს ადმინისტრაციულ თანამშრომლობას ან დახმარებას და/ან ადგილი აქვს ამ თავით გათვალიწინებულ დარღვევას და გაყალბებას, აღნიშნულ მხარეს, ამ მუხლის შესაბამისად, შეუძლია დროებით შეაჩეროს პრეფერენციული რეჟიმი კონკრეტულ პროდუქტ(ებ)ზე.

3. ამ მუხლის მიზნებისთვის, მხარის მიერ ადმინისტრაციული თანამშრომლობის ან დახმარების მიწოდების ვერ შესრულება გულისხმობს შემდეგს:

(a) მუდმივად არ ხდება საქონლის წარმოშობის სტატუსის გადამოწმების ვალდებულებების შესრულება;

(b) ადგილი აქვს განმეორებით უარს ან დაუსაბუთებელ შეფერხებას წარმოშობის გადამოწმების და/ან ამ გადამოწმების შედეგების

მიწოდების კუთხით;

(c) ადგილი აქვს მუდმივ უარს ან დაუსაბუთებელ შეფერხებას, პრეფერენციული რეჟიმის სარგებლობისათვის საჭირო დოკუმენტების აუთენტურობის ან ინფორმაციის სიზუსტის დასადგენი ვიზიტის განხორციელების ნებართვის მისაღებად

4. წინამდებარე მუხლის მიზნებისთვის, დარღვევის ან გაყალბების აღმოჩენა, მათ შორის, შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როცა დამაკმაყოფილებელი განმარტებების გარეშე ხდება საქონლის იმპორტის სწრაფი ზრდა, რაც აღემატება მხარის ჩვეულებრივ საწარმოო და საექსპორტო შესაძლებლობებს და რაც დაკავშირებულია დარღვევის ან გაყალბების შესახებ ობიექტურ ინფორმაციასთან.

5. დროებითი შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება უნდა მოხდეს შემდეგ შემთხვევებში:

(a) მხარე, რომელმაც ობიექტური ინფორმაციის საფუძველზე, აღმოაჩინა, რომ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს ადმინისტრაციულ თანამშრომლობას ან დახმარებას და/ან ადგილი აქვს მეორე მხარის მიერ დარღვევას ან გაყალბებას, ამ ობიექტურ ინფორმაციასთან ერთად თავისი აღმოჩენის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს ამ შეთანხმების 408-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტს და შესაბამისი ინფორმაციის და ობიექტური გამოკვლევის საფუძველზე გამართავს კონსულტაციებს ამ კომიტეტში, რათა მიღწეულ იქნას ორივე მხარისათვის მისაღები გადაწყვეტილება.

(b) იმ შემთხვევაში, თუ მხარეებმა გამართეს კონსულტაციები ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტის ფარგლებში და კონსულტაციების დაწყების შესახებ შეტყობინებიდან სამი თვის თავზე ვერ მიიღეს ორივე მხარისათვის მისაღები გადაწყვეტილება, დაინტერესებულ მხარეს ეძლევა შესაძლებლობა დროებით შეაჩეროს პრეფერენციული რეჟიმი კონკრეტულ საქონელზე. პრეფერენციული რეჟიმის დროებითი შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტს.

(c) ამ მუხლის შესაბამისად პრეფერენციული რეჟიმის დროებითი შეჩერება უნდა განხორციელდეს იმ ფარგლებში, რაც საჭიროა დაინტერესებული მხარის ფინანსური ინტერესების დასაცავად. ის არ უნდა აღემატებოდეს ექვსთვიან პერიოდს, რომლის განახლებაც შესაძლებელია, თუ არაფერი შეცვლილა იმ ვითარებაში, რომლის საფუძველზეც განხორციელდა თავდაპირველი შეჩერება. ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტის ფარგლებში უნდა გაიმართოს პერიოდული კონსულტაციები დროებითი შეჩერების ზომების თაობაზე და განსაკუთრებით მათ გაუქმებაზე, ზომების დაწესების საფუძვლების აღკვეთის შემდეგ.

ითითოეულმა მხარემ, შიდა პროცედურების გათვალისწიებით, უნდა გამოაქვეყნოს შეტყობინება იმპორტიორებისათვის, რომელიც ეხება: მე- პუნქტის „a“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შეტყობინებას; მე-5 პუნქტის „b“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას და მე-5 ეუნქტის „c“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გაგრძელებას ან გაუქმებას.

მუხლი 35

ადმინისტრაციული შეცდომების მართვა

თუ უფლებამოსილი ორგანოს მიერ დაშვებულია შეცდომა პრეფერენციული რეჟიმის სრულფასოვან მართვაში ექსპორტისას, განსაკუთრებით წინამდებარე შეთანხმების I ოქმის იმ დებულებების გამოყენებაში, რომელიც ეხება პროდუქციის წარმოშობის განსაზღვრას და ადმინისტრაციული თანამშრომლობის მეთოდებს, იმ შემთხვევაში, როდესაც დაშვებული შეცდომა გავლენას ახდენს იმპორტის გადასახადზე, მსგავსი ვითარების წინაშე მყოფი ხელშემკვრელი მხარე უფლებამოსილია მიმართოს ამ შეთანხმების 408-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტს, რათა გამოკვლეულ იქნას და დაწესდეს ყველა შესაძლო ზომა არსებული ვითარების გამოსასწორებლად.

მუხლი 36

შეთანხმებები სხვა ქვეყნებთან

1. ამ შეთანხმებამ ხელი არ უნდა შეუშალოს საბაჟო კავშირების, თავისუფალი სავაჭრო ზონებისა ან საზღვრისპირა მიმოსვლის შესახებ მექანიზმების შექმნას ან შენარჩუნებას, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან წინამდებარე შეთანხმებით განსაზღვრულ ვაჭრობის პირობებს.

2. ერთერთი ხელშემკვრელი მხარის მოთხოვნის საფუძველზე, მხარეებს შორის უნდა გაიმართოს კონსულტაციები ამ შეთანხმების 408-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტის ფარგლებში, საბაჟო კავშირების, თავისუფალი სავაჭრო ზონების, საზღვრისპირა მიმოსვლის შესახებ მექანიზმების შექმნისა და მესამე ქვეყნების მიმართ სავაჭრო პოლიტიკის სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. კონკრეტულად, მესამე ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანების შემთხვევაში, მსგავსი კონსულტაციები უნდა გაიმართოს, რათა გათვალისწინებულ იქნას ევროკავშირის და საქართველოს ორმხრივი ინტერესები ამ შეთანხმების თანახმად.

თავი 2

სავაჭრო ზომები

ნაწილი 1

საერთო დაცვითი ზომები

მუხლი 37

ზოგადი დებულებები

1. მხარეები ადასტურებენ თავიანთ უფლებებს და მოვალეობებს GATT 1994-ის XIX მუხლის და ვმო-ს შეთანხმების 1A დანართში მოცემული დაცვითი ზომების შესახებ შეთანხმების („დაცვითი ზომების შეთანხმება“) და ვმო-ს შეთანხმების 1A დანართში მოცემული სოფლის მეურნეობის შესახებ შეთანხმების („შეთანხმება სოფლის მეურნეობის შესახებ“) მე-5 მუხლის შესაბამისად.

2. წინამდებარე შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) პირველ თავში (ეროვნული რეჟიმი და საქონლის ბაზარზე დაშვება) ფორმულირებული წარმოშობის პრეფერენციული წესები არ გამოიყენება ამ ნაწილთან მიმართებაში.

3. ამ ნაწილის დებულებები არ ექვემდებარება წინამდებარე შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) მე-14 თავს (დავების მოგვარება).

მუხლი 38

გამჭვირვალობა

1. მხარე, რომელიც იწყებს დაცვით ზომებთან დაკავშირებულ მოკვლევას, აცნობებს მეორე მხარეს აღნიშნული მოკვლევის დაწყების თაობაზე, იმის გათვალისწინებით, რომ ამ უკანასკნელს გააჩნია არსებითი ეკონომიკური ინტერესი.

2. ამ შეთანხმების 37-ე მუხლის გათვალისწინების გარეშე, მეორე მხარის მოთხოვნის საფუძველზე, დაცვით ზომებთან დაკავშირებული მოკვლევის დამწყები მხარე, რომელიც მიზნად ისახავს დაცვითი ზომების დაწესებას, დაუყოვნებლივ წარმოადგენს წერილობით შეტყობინებას ყველა იმ სათანადო ინფორმაციის თაობაზე, რომელიც ეხება დაცვითი ზომების შესახებ მოკვლევის დაწყებასა და დაცვითი ზომების დაწესებას და აგრეთვე, სადაც საჭიროა, წარმოადგენს ინფორმაციას დაცვითი ზომების შესახებ მოკვლევის დაწყების შესახებ, დაცვითი ზომების შესახებ მოკვლევის დროებითი და საბოლოო შედეგების შესახებ და ასევე მისცემს მეორე მხარეს კონსულტაციების გამართვის შესაძლებლობას.

3. ამ მუხლის მიზნებისთვის, მხარე მიჩნეულია არსებითი ეკონომიკური ინტერესის მქონედ იმ შემთხვევაში, თუ იგი უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში იმყოფება იმპორტირებული საქონლის ხუთ უდიდეს მიმწოდებელს შორის, რაც გამოითვლება აბსოლუტური მოცულობით ან ღირებულებით.

მუხლი 39

ზომების გამოყენება

1. დაცვითი ზომების დაწესებისას, მხარეები შეეცდებიან, რომ დააწესონ ისინი იმგვარად, რომ რაც შეიძლება ნაკლები გავლენა მოახდინოს მხარეებს შორის არსებულ ორმხრივ ვაჭრობაზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის, თუ ერთი მხარე მიიჩნევს, რომ დაცვითი ზომების დაწესებისთვის საჭირო სამართლებრივი მოთხოვნები არის დამაკმაყოფილებელი და მიზნად ისახავს ამ ზომების დაწესებას, ეს მხარე აცნობებს მეორე მხარეს აღნიშნულის თაობაზე და მისცემს მას შესაძლებლობას გამართოს ორმხრივი კონსულტაციები. თუ შეტყობინების წარდგენიდან 30 დღის განმავლობაში მხარეებმა ვერ მიაღწიეს შეთანხმებას, იმპორტიორ მხარეს შეუძლია დააწესოს შესაბამისი ზომები არსებული პრობლემის აღმოსაფხვრელად.

ნაწილი 2

ანტიდემპინგური და საკომპენსაციო ზომები

მუხლი 40

ზოგადი დებულებები

1. მხარეები ადასტურებენ თავიანთ უფლებებსა და მოვალეობებს GATT 1994-ის VI მუხლის, ვმო-ს შეთანხმების 1A დანართში მოცემული GATT 1994-ის VI მუხლის განხორციელების შესახებ შეთანხმების („ანტიდემპინგის შეთანხმება“) და ვმო-ს შეთანხმების 1A დანართში მოცემული სუბსიდიებისა და დაცვითი ზომების შესახებ შეთანხმების („სუბსიდიებისა და საკომპენსაციო ზომების შეთანხმება“) შესაბამისად.

2. წინამდებარე შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) პირველ თავში (ეროვნული რეჟიმი და საქონლის ბაზარზე დაშვება) ფორმულირებული წარმოშობის პრეფერენციული წესები არ გამოიყენება ამ ნაწილთან მიმართებაში.

3. ამ ნაწილის დებულებები არ ექვემდებარება წინამდებარე შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) მე-14 თავს (დავების მოგვარება).

მუხლი 41

გამჭვირვალობა

1. მხარეები თანხმდებიან, რომ ანტიდემპინგის და საკომპენსაციო ზომები გამოყენებული იქნება ანტიდემპინგის და სუბსიდიებისა და საკომპენსაციო ზომების შესახებ შეთანხმებების მოთხოვნების სრული შესაბამისობით და დაეფუძნება სამართლიან და გამჭვირვალე სისტემას.

2. მხარეები უზრუნველყოფენ, რომ დაუყოვნებლივ დროებითი ზომების დაწესების შემდეგ მანამ, სანამ საბოლოო გადაწყვეტილება იქნება მიღებული, სრულად და გონივრულად ინფორმაცია ყველა იმ არსებითი ფაქტისა და განხილვის შესახებ, რომლებიც ქმნიან ამ ზომების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღების საფუძველს. აღნიშნული არ უნდა მოდიოდეს წინააღმდეგობაში ანტიდემპინგის შეთანხმების მე-6 მუხლის მე-5 პუნქტთან და სუბსიდიებისა და საკომპენსაციო ზომების შესახებ შეთანხმების მე-12 მუხლის მე-4 პუნქტთან. ინფორმაციის გამჟღავნება მოხდება წერილობითი ფორმით და დაინტერესებულ მხარეებს მიეცემათ საკმარისი დრო კომენტარების გასაკეთებლად.

3. თითოეულ დაინტერესებულ მხარეს მიეცემა შესაძლებლობა იქნეს მოსმენილი და გამოხატოს თავისი შეხედულებები ანტიდემპინგური და სუბსიდიის საწინააღმდეგო მოკვლევების მიმდინარეობის დროს, თუ ეს არ აფერხებს მოკვლევის ჩატარების პროცესს.

მუხლი 42

საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინება

მხარემ შესაძლოა არ გამოიყენოს ანტიდემპინგური ან საკომპენსაციო ზომები თუ, მოკვლევის დროს არსებული ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე, ნათლად შეიძლება იმის დადგენა, რომ ამგვარი ზომების გამოყენება ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ ინტერესს. საზოგადოებრივი ინტერესის განსაზღვრა ეფუძნება სხვადასხვა ინტერესის ერთობლივად გათვალისწინებას, მათ შორის, ადგილობრივი წარმოების, მომხმარებლების და იმპორტიორების ინტერესების, იმის გათვალისწინებით, რომ მათ წარუდგინეს შესაბამისი ინფორმაცია მოკვლევის მწარმოებელ ორგანოებს.

მუხლი 43

ნაკლები გადასახადის წესი

თუ მხარე გადაწყვეტს, რომ დააწესოს დროებითი ან საბოლოო ანტიდემპინგური ან საკომპენსაციო გადასახადი, ამგვარი გადასახადის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დემპინგის ზღვარს ან სუბსიდიის მთლიან ოდენობას, და ამავე დროს, იგი უნდა იყოს დემპინგის ზღვარზე ან სუბსიდიის მთლიან ოდენობაზე ნაკლები იმ შემთხვევაში, თუ ეს ნაკლები გადასახადი იქნება ადეკვატური ადგილობრივი წარმოებისთვის მიყენებული ზიანის აღმოსაფხვრელად.

თავი 3

ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში, სტანდარტიზაცია, მეტროლოგია, აკრედიტაცია და შესაბამისობის შეფასება

მუხლი 44

მოქმედების სფერო და განსაზღვრებები

1. ეს თავი ეხება სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და შესაბამისობის შეფასების პროცედურების მომზადებას, მიღებასა და გამოყენებას იმგვარად, როგორც განსაზღვრულია ვმო-ს შეთანხმების 1A დანართში მოცემულ ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შეთანხმებაში („ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შეთანხმება“), რამაც შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს მხარეთა შორის საქონლით ვაჭრობაზე.

2. პირველი პუნქტის დებულებების მიუხედავად, მოცემული თავი არ ეხება სანიტარულ და ფიტოსანიტარულ ზომებს, რომლებიც განსაზღვრულია ვმო-ს შეთანხმების 1A დანართში მოცემული სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომების გამოყენების შესახებ შეთანხმების („სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომების შეთანხმება“) A დანართში, ასევე არ ეხება საჯარო უწყებების მიერ იმ შესყიდვებთან დაკავშირებით მომზადებულ სპეციფიკაციებს, რომლებიც განკუთვნილია საკუთარი წარმოების ან მოხმარების მიზნებისთვის.

3. წინამდებარე თავის მიზნებისთვის გამოყენებული იქნება ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შეთანხმების დანართ 1-ში მოცემული განსაზღვრებები.

მუხლი 45

ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შეთანხმების დამტკიცება

მხარეები ადასტურებენ ერთმანეთის მიმართ ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შეთანხმების ფარგლებში არსებულ უფლებებსა და ვალდებულებებს, რომელიც შეტანილია ამ შეთანხმებაში და წარმოადგენს მის ნაწილს.

მუხლი 46

ტექნიკური თანამშრომლობა

1. მხარეებმა უნდა განამტკიცონ თანამშრომლობა სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების, მეტროლოგიის, ბაზრის ზედამხედველობის, აკრედიტაციისა და შესაბამისობის შეფასების სისტემების სფეროში, მხარების შესაბამისი სისტემების უკეთ გაცნობისა და მათ შესაბამის ბაზრებზე დაშვების გაადვილების მიზნით. ამ მიზნიდან გამომდინარე, მათ შეიძლება აწარმოონ რეგულირებასთან დაკავშირებული დიალოგები როგორც ჰორიზონტალურ, ისე სექტორულ დონეებზე.

2. თანამშრომლობის პროცესში, მხარეებმა უნდა გამოავლინონ, განავითარონ და წაახალისონ ვაჭრობის ხელშეწყობასთან დაკავშირებული ინიციატივები, რაც შეიძლება მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს შემდეგით:

(a) რეგულირებასთან დაკავშირებული თანამშრომლობის განმტკიცება გამოცდილებისა და მონაცემთა ურთიერთგაცვლის და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის გზით, ტექნიკური რეგლამენტების, სტანდარტების, ბაზრის ზედამხედველობის, შესაბამისობის შეფასებისა და აკრედიტაციის ხარისხის გაუმჯობესების და რეგულირებებთან დაკავშირებული რესურსების ეფექტიანად გამოყენების მიზნით;

(b) თანამშრომლობის ხელშეწყობა და წახალისება მხარეების მეტროლოგიაზე, სტანდარტიზაციაზე, ბაზრის ზედამხედველობაზე, შესაბამისობის შეფასებასა და აკრედიტაციაზე პასუხისმგებელ შესაბამის საჯარო თუ კერძო ორგანიზაციებს შორის.

(c) საქართველოში სტანდარტიზაციის, მეტროლოგიის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასებისა და ბაზრის ზედამხედველობის სისტემისათვის ხარისხის ინფრასტრუქტურის განვითარების სტიმულირება;

(d) შესაბამისი ევროპული ორგანიზაციების საქმიანობაში საქართველოს მონაწილეობის ხელშეწყობა;

(e) გადაწყვეტილებების მოძიება ვაჭრობაში იმ ტექნიკურ ბარიერებთან დაკავშირებით, რომლებიც შესაძლოა წარმოიქმნას; და

(f) საჭიროებისამებრ, ძალისხმევის მიმართვა საკუთარი პოზიციების შესაჯერებლად საერთო ინტერესების საკითხებზე ვაჭრობასა და რეგულირებასთან დაკავშირებულ საერთაშორისო ორგანიზაციებში, როგორიცაა ვმო და გაეროს ეკონომიკური კომისია ევროპისათვის (UN-ECE).

მუხლი 47

1. სხვადასხვა სექტორებში დაახლოების პრიორიტეტების გათვალისწინებით, საქართველომ უნდა მიიღოს საჭირო ზომები ევროკავშირის მხარის ტექნიკური რეგლამენტების, სტანდარტიზაციის, მეტროლოგიის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების სისტემებთან და ბაზრის ზედამხედველობის სისტემასთან ეტაპობრივი დაახლოების მიზნით და იღებს ვალდებულებას დაიცვას ევროკავშირის მხარის შესაბამის კანონმდებლობაში გაწერილი პრინციპები და მეთოდები (საორიენტაციო ნუსხა მოცემულია ამ შეთანხმების III-B დანართში). დაახლოებისათვის საჭირო ღონისძიებების ჩამონათვალი მოცემულია ამ შეთანხმების III-A დანართში, რომელშიც ცვლილებების შეტანა შესაძლებელია ამ შეთანხმების 408-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე.

2. აღნიშნული მიზნების მისაღწევად, საქართველომ უნდა:

(a) საკუთარი პრიორიტეტების გათვალისწინებით, ეტაპობრივად დაუახლოოს საკუთარი კანონმდებლობა ევროკავშირის მხარის შესაბამის კანონმდებლობას; და

(b) მიაღწიოს და შეინარჩუნოს ადმინისტრაციული და ინსტიტუციონალური ეფექტიანობის იმ დონეს, რომელიც საჭიროა ქმედუნარიანი და გამჭვირვალე სისტემის უზრუნველსაყოფად, ამ თავის განხორციელებისთვის.

3. დაახლოების პრიორიტეტულ სფეროებში საქართველომ თავი უნდა შეიკავოს თავისი ჰორიზონტალური და სექტორული კანონმდებლობის ცვლილებისგან, გარდა ისეთი ცვლილებებისა, რომლებიც უზრუნველყოფენ კანონმდებლობის პროგრესულ დაახლოებას და დაახლოების დონის შენარჩუნებას ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან. საქართველომ ეროვნული კანონმდებლობის ასეთი ცვლილებების შესახებ უნდა აცნობოს ევროკავშირს.

4. საქართველომ უნდა უზრუნველყოს და ხელი შეუწყოს შესაბამისი ეროვნული ორგანოების მონაწილეობას ევროპულ და საერთაშორისო ორგანიზაციებში, სტანდარტიზაციის, საკანონმდებლო და ფუნდამენტური მეტროლოგიისა და შესაბამისობის შეფასების სფეროებში, აკრედიტაციის ჩათვლით, ამ ორგანოების საქმიანობის სფეროსა და მასთან დაკავშირებული წევრობის სტატუსის გათვალისწინებით.

5. სტანდარტიზაციის სისტემის ინტეგრირების მიზნით, საქართველო მაქსიმალურად უნდა ეცადოს, რომ მისმა სტანდარტიზაციის უწყებამ:

(a) ეტაპობრივად მიიღოს ევროპული (EN) სტანდარტების ნაკრები ეროვნულ სტანდარტებად, ჰარმონიზებული ევროპული სტანდარტების ჩათვლით, რომელთა ნებაყოფლობითი გამოყენება იძლევა საქართველოს კანონმდებლობაში გადმოტანილი ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობის პრეზუმფციას.

(b) მათი მიღების პარალელურად, გააუქმოს ევროპულ სტანდარტებთან წინააღმდეგობაში მყოფი ეროვნული სტანდარტები;

(c) ეტაპობრივად შეასრულოს ევროპის სტანდარტიზაციის ორგანიზაციების სრული წევრობისათვის საჭირო სხვა პირობები.

მუხლი 48

შეთანხმება სამრეწველო პროდუქციის შესაბამისობის შეფასებასა და აღიარებაზე (ACAA)

საბოლოოდ, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ სამრეწველო პროდუქციის შესაბამისობის შეფასებასა და აღიარებაზე შეთანხმება (ACAA) ოქმის სახით დაერთოს ამ შეთანხმებას და შეთანხმებისამებრ მოიცვას ერთი ან რამდენიმე სექტორი, მას შემდეგ, რაც ევროკავშირის მიერ დადასტურდება, რომ საქართველოს შესაბამისი ჰორიზონტალური და სექტორული კანონმდებლობა, ინსტიტუტები და სტანდარტები სრულად იქნა დაახლოებული ევროკავშირის კანონმდებლობასა და სტანდარტებთან. ასეთი ACAA უზრუნველყოფს, რომ მხარეებს შორის პროდუქტებით ვაჭრობა იმ სფეროებში, რომლებსაც მოიცავს აღნიშნული შეთანხმება, განხორციელდება იმავე პირობებში, რომლებიც გამოიყენება ამ პროდუქტებით ვაჭრობისას წევრ სახელმწიფოებს შორის.

მუხლი 49

ნიშანდება და ეტიკეტირება

1. ამ შეთანხმების 47-ე და 48-ე მუხლების დებულებებისთვის ზიანის მიყენების გარეშე და ნიშანდებისა და ეტიკეტირების მოთხოვნებთან დაკავშირებული ტექნიკური რეგლამენტების გათვალისწინებით, მხარეები ადასტურებენ ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შეთანხმების 2.2 თავის პრინციპებს, რომ მსგავსი მოთხოვნების შემუშავება, მიღება და გამოყენება არ მოხდება საერთაშორისო ვაჭრობაში დამატებითი დაბრკოლებების შექმნის მიზნით. აქედან გამომდინარე, ნიშანდებასა და ეტიკეტირებასთან დაკავშირებული

მოთხოვნები არ იქნება ვაჭრობის იმაზე მეტად შემზღუდავი, ვიდრე საჭიროა ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, იმ რისკების გათვალისწინებით, რაც შეუსრულებლობამ შეიძლება განაპირობოს.

2. კერძოდ, სავალდებულო ნიშანდებასა ან ეტიკეტირებასთან დაკავშირებით, მხარეები თანხმდებიან, რომ:

(a) ისინი ეცდებიან მინიმუმამდე დაიყვანონ საკუთარი მოთხოვნები ნიშანდებასა ან ეტიკეტირებასთან მიმართებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს საჭიროა ამ სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობის მისაღებად და ასევე ჯანმრთელობის, უსაფრთხოების ან გარემოს დაცვის ან საჯარო პოლიტიკის სხვა კეთილგონივრული მიზნების შესასრულებლად;

(b) მხარემ შეიძლება დაადგინოს ეტიკეტირების ან ნიშანდების ფორმა, მაგრამ არ უნდა მოითხოვოს ეტიკეტების დამტკიცება, რეგისტრაცია ან სერტიფიცირება; და

(c) მხარეები იტოვებენ უფლებას მოითხოვონ, რომ ინფორმაცია ეტიკეტზე ან ნიშანდებაზე მიეთითოს რომელიმე კონკრეტულ ენაზე.

თავი 4

სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომები

მუხლი 50

მიზანი

1. ამ თავის მიზანია სანიტარულ და ფიტოსანიტარულ ზომებს დაქვემდებარებული პროდუქციით ვაჭრობის ხელშეწყობა მხარეებს შორის, IV დანართში ჩამოთვლილი ყველა ღონისძიების ჩათვლით, ამავე დროს ადამიანების, ცხოველთა ან მცენარეთა სიცოცხლისა ან ჯანმრთელობის დაცვა შემდეგი სახით:

(a) სრული გამჭვირვალობის უზრუნველყოფა ვაჭრობასთან დაკავშირებული სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომების გატარებისას, რომლებიც ჩამოთვლილია IV დანართში.

(b) ქართული მარეგულირებელი სისტემის ევროკავშირის მარეგულირებელ სისტემასთან დაახლოება.

(c) მხარეების ცხოველთა და მცენარეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის აღიარება და რეგიონალიზაციის პრინციპის გატარება.

(d) მხარის მიერ გატარებული სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომების, რომლებიც ჩამოთვლილია ამ შეთანხმების IV დანართში, ეკვივალენტურობის აღიარების სისტემის ჩამოყალიბება.

(e) SPS შეთანხმების აღსრულების გაგრძელება.

(f) ვაჭრობის წახალისებისთვის მექანიზმებისა და პროცედურების შემუშავება; და

(g) კომუნიკაციისა და ურთიერთთანამშრომლობის გაუმჯობესება მხარეთა შორის ამ შეთანხმების IV დანართში ჩამოთვლილ ზომებთან დაკავშირებით.

2. ამ თავის მიზანია ასევე მიაღწიოს მხარეთა შორის ცხოველთა კეთილდღეობის სტანდარტებთან დაკავშირებით საერთო აზრს.

მუხლი 51

მრავალმხრივი ვალდებულებები

მხარეები კვლავ ადასტურებენ ვმო-ს შეთანხმებებით და კერძოდ, SPS შეთანხმებით მათთვის განსაზღვრულ უფლებებსა და ვალდებულებებს.

მუხლი 52

მოქმედების სფერო

ეს თავი ვრცელდება მხარის ყველა სანიტარულ და ფიტოსანიტარულ ზომაზე, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ახდენენ გავლენას მხარეთა შორის ვაჭრობაზე, IV დანართში ჩამოთვლილი ზომების ჩათვლით. წინამდებარე მოქმედების სფერო ზიანს არ აყენებს

დაახლოების მოქმედების სფეროს, როგორც ეს განსაზღვრულია ამ შეთანხმების 55-ე მუხლით.

მუხლი 53

ტერმინთა განმარტება

ამ თავის მიზნებისთვის გამოიყენება შემდეგი ტერმინთა გამარტება:

1. „სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები“ ნიშნავს SPS შეთანხმების A დანართის 1 პუნქტით განსაზღვრულ ზომებს (SPS ზომები).

2. "ცხოველები" ნიშნავს ცხოველებს, როგორც ეს განსაზღვრულია ცხოველთა ჯანმრთელობის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIE) წყლის ცხოველთა და ხმელეთის ცხოველთა კოდექსებში.

3. "ცხოველური პროდუქტები" ნიშნავს ცხოველური წარმოშობის პროდუქციას, წყლის ცხოველების პროდუქტების ჩათვლით, როგორც ეს განსაზღვრულია OIE-ს წყლის ცხოველთა ჯანმრთელობის კოდექსით.

4. "ცხოველური სუბპროდუქტები, რომლებიც არ არის განკუთვნილი ადამიანის მოხმარებისათვის" ნიშნავს ცხოველის მთლიან სხეულს ან მის ნაწილს, ცხოველური წარმოშობის პროდუქტს ან ცხოველისაგან მიღებულ სხვა პროდუქტს, რომელიც არ არის განკუთვნილი ადამიანის მოხმარებისათვის, როგორც ეს ჩამოთვლილია ამ შეთანხმების IV-A დანართის მეორე ნაწილში (II);

5. "მცენარეები" ნიშნავს ცოცხალ მცენარეებსა და მათ ცოცხალ ნაწილებს, მათ შორის თესლებსა და გერმაპლაზმას:

(a) ბოტანიკური კუთხით ხილი, გარდა ღრმა გაყინვით შენახულისა;

(b) ბოსტნეული, გარდა ღრმად გაყინვით შენახულისა;

(c) ტუბერები, გორგლბოლქვები, ბოლქვები, ფესვის ნაწილები;

(d) მოჭრილი ყვავილები;

(e) დაფოთლილი ტოტები;

(f) მოჭრილი ხეები დარჩენილი ფოთლებით;

(g) მცენარეების ქსოვილური კულტურები;

(h) ფოთლები; ყლორტები;

(i) ცოცხალი მცენარეული მტვერი; და

(j) ხის კვირტები, ყლოტები, კალმები

6. "მცენარეული პროდუქტები" ნიშნავს მცენარეული წარმოშობის პროდუქტებს, დაუმუშავებელს ან რომელსაც გავლილი აქვს მცირე დამუშავება და არ არის ამ შეთანხმების IV-A დანართის მესამე ნაწილის მცენარეთა ჩამონათვალში.

7. "თესლები" ნიშნავს თესლებს ბოტანიკური მნიშვნელობით, რომელიც დარგვისათვისაა განკუთვნილი.

8. "მავნებლები“ ნიშნავს ნებისმიერი ტიპის, სახის, მცენარის ბიოტიპის, პათოგენურ ან ცხოველურ აგენტს, რომელიც საზიანოა მცენარის ან მცენარეული პროდუქტისათვის (მავნე ორგანიზმები).

9. "დაცული ზონები" ნიშნავს ზონებს, ევროსაბჭოს 2000 წლის 8 მაისის 2000/29/EC მცენარეებისათვის და მცენარეული პროდუქტებისათვის მავნე ორგანიზმების ევროგაერთიანებაში შეღწევისა და გავრცელების საწინააღმდეგო დამცავი ზომების შესახებ დირექტივის 2(1)(h) მუხლის ან რომელიმე შემდგომი შესწორების მიხედვით;

10. "ცხოველთა დაავადება " ნიშნავს ცხოველებში ინფექციის კლინიკურ ან პათოლოგიურ გამოვლინებას;

11. "აკვაკულტურის დაავადება" ნიშნავს კლინიკური ან არაკლინიკური ინფექციის OIE -ს წყლის ცხოველთა ჯანმრთელობის კოდექსში აღნიშნულ დაავადებათა ერთი ან მეტი ეტიოლოგიური აგენტით გამოვლენას.

12. "ცხოველთა ინფექცია" არის მდგომარეობა, როდესაც ცხოველები ინარჩუნებენ ინფექციურ აგენტს, ინფექციიის კლინიკური ან პათოლოგიური ნიშნებით გამოვლენით ან მათ გარეშე.

13. "ცხოველთა კეთილდღეობის სტანდარტები" ნიშნავს ცხოველთა დაცვის სტანდარტებს, როგორც ეს შემუშავებულია და მიღებულია მხარეთა მიერ და შეესაბამება OIE-ს სტანდარტებს;

14. "სანიტარული და ფიტოსანიტარული დაცვის შესაბამისი დონე" ნიშნავს სანიტარული და ფიტოსანიტარული დაცვის დონეს SPS შეთანხმების A დანართის მე-5 პარაგრაფის მიხედვით;

15. "რეგიონი" ცხოველთა ჯანმრთელობის კუთხით ნიშნავს ზონას ან რაიონს OIE-ს ცხოველთა ჯანმრთელობის კოდექსის მიხედვით და წყლის ცხოველებთან მიმართებაში - ზონას OIE-ს წყლის ცხოველთა ჯანმრთელობის კოდექსის მიხედვით. ევროკავშირისათვის ტერმინი „ტერიტორია“ ან „ქვეყანა“ ნიშნავს ევროკავშირის ტერიტორიას.

16. "მავნებლისაგან თავისუფალი ზონა" ნიშნავს ზონას, ტერიტორიას, სადაც მეცნიერულად დადასტურებულია, რომ კონკრეტული მავნებელი არ არის წარმოდგენილი და სადაც, თუ კი შესაძლებელია, აღნიშნული მდგომარეობა შენარჩუნებულია ოფიციალურად.

17. "რეგიონალიზაცია" ნიშნავს რეგიონალიზაციის კონცეფციას, როგორც ეს აღწერილია SPS შეთანხმების მე-6 მუხლში;

18. "ცხოველთა და ცხოველური პროდუქტების ტვირთი“ ნიშნავს ერთი და იგივე ტიპის ცხოველთა ან ცხოველურ პროდუქტთა გარკვეულ რაოდენობას, რომელთაც ფარავს ერთი სერტიფიკატი ან დოკუმენტი, გადაიზიდება ერთნაირი სატრანსპორტო საშუალებებით, გაგზავნილია ერთი გამგზავნის მიერ, და წარმოშობილია ერთი და იგივე ექსპორტიორ მხარეში, ან მის რომელიმე რეგიონ(ებ)ში. ცოცხალი ცხოველების ტვირთი შეიძლება შედგებოდეს ერთი ან რამდენიმე საქონლის ან პარტიისგან;

19. "მცენარეთა და მცენარეული პროდუქტების ტვირთი" ნიშნავს მცენარეთა, მცენარეულ პროდუქტთა ან/და სხვა საგანთა რაოდენობას, რომელიც გადაადგილდება ერთი მხარიდან მეორე მხარეში და ახლავს საჭიროების შემთხვევაში, ერთი ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი. ტვირთი შეიძლება შედგებოდეს ერთი ან რამდენიმე საქონლისგან ან პარტიისგან;

20. "პარტია" ნიშნავს ერთი საქონლის რაოდენობას ან ერთეულებს, რომლის იდენტიფიცირება ხდება მისი ჰომოგენური შემადგენლობისა და წარმოშობის მიხედვით და წარმოადგენს ტვირთის ნაწილს;

21. "ეკვივალენტობა ვაჭრობის მიზნებისათვის" (ეკვივალენტობა) ნიშნავს მდგომარეობას, როდესაც ექსპორტიორ ქვეყანაში დანერგილი წინამდებარე შეთანხმების IV დანართში ჩამოთვლილი ღონისძიებები, იმის მიუხედავად განსხვავდება თუ არა იმპორტიორი მხარის მიერ დანერგილი ამ დანართში ჩამოთვლილი ღონისძიებებისგან, რეალურად აღწევს იმპორტიორი მხარის დაცვის შესაბამის ან რისკის მისაღებ დონეს;

22. "სექტორი" ნიშნავს მხარის წარმოებისა და ვაჭრობის სტრუქტურას პროდუქტის ან პროდუქტების კატეგორიისთვის;

23. "ქვესექტორი" ნიშნავს სექტორის ზუსტად განსაზღვრულ და კონტროლირებად ნაწილს;

24. "საქონელი" ნიშნავს პროდუქტებს ან საგნებს, რომლებიც მოცემულია 2-7 პუნქტებში;

25. "იმპორტის სპეციალური ნებართვა" ნიშნავს იმპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური სამსახურების მიერ ინდივიდუალური იმპორტიორის სახელზე გაცემულ წინასწარ ოფიციალურ ნებართვას საქონლის ერთი ან რამოდენიმე პარტიის იმპორტზე ექსპორტიორი მხრიდან, მოცემული თავის ფარგლებში;

26. "სამუშაო დღეები" მოიცავს კვირის დღეებს, შაბათ-კვირისა და ერთ-ერთი მხარის სახელმწიფო დასვენების დღეების გამოკლებით;

27. "ინსპექტირება" ნიშნავს სურსათის, ცხოველის საკვების, ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ნებისმიერი ასპექტის შემოწმებას იმისათვის, რომ დადგინდეს ამ ასპექტის (ასპექტების) სურსათისა და ცხოველთა საკვების კანონთან და ცხოველთა ჯანმრთელობის და ცხოველთა კეთილდღეობის წესების მოთხოვნებთან შესაბამისობა;

28. "მცენარეთა ჯანმრთელობის ინსპექტირება" ნიშნავს მცენარეებისა და მცენარეული პროდუქტების ან სხვა რეგულირებადი ობიექტების ოფიციალურ ვიზუალურ შემოწმებას მავნებლის არსებობის დასადგენად და/ან მათი ფიტოსანიტარულ რეგულაციებთან შესაბამისობის განსაზღვრას;

29. "დამოწმება" ნიშნავს შემოწმებას კვლევის მეშვეობით და ობიექტური გარემოებების მხედველობაში მიღებას, იმისათვის, რომ დადგინდეს, სრულდება თუ არა განსაზღვრული მოთხოვნები.

მუხლი 54

კომპეტენტური ორგანოები

მხარეები ერთმანეთს მიაწვდიან ინფორმაციას მათი კომპეტენტური ორგანოების, სტრუქტურის, ორგანიზაციისა და კომპეტენციათა გადანაწილების შესახებ სანიტარული და ფიტოსანიტარული ქვეკომიტეტის პირველ შეხვედრაზე, როგორც მოცემულია ამ შეთანხმების 65-ე მუხლში (SPS ქვეკომიტეტი). მხარეები ერთმანეთს შეატყობინებენ სტრუქტურის, ორგანიზაციისა და კომპეტენციათა გადანაწილების შესახებ ყოველი ცვლილების თაობაზე, საკონტაქტო პირების ცვლილების ჩათვლით.

მუხლი 55

ეტაპობრივი დაახლოება

1. საქართველომ უნდა განაგრძოს მისი სანიტარული და ფიტოსანიტარული, ცხოველთა კეთილდღეობისა და სხვა საკანონმდებლო ღონისძიებების, როგორც მოცემულია ამ შეთანხმების IV დანართში, ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება, წინამდებარე შეთანხმების XI დანართში მოცემული პრინციპებისა და პროცედურების მიხედვით.

2. მხარეები ითანამშრომლებენ ეტაპობრივი დაახლოებისა და შესაძლებლობების ზრდის მიმართულებით.

3. SPS ქვეკომიტეტი რეგულარულად დააკვირდება ამ შეთანხმების XI დანართით განსაზღვრულ დაახლოების პროცესის განხორციელებას, დაახლოების თაობაზე საჭირო რეკომენდაციების გაცემის მიზნით.

4. წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 6 თვისა, საქართველო წარადგენს ევროკავშირის იმ სანიტარულ,

ფიტოსანიტარულ, ცხოველთა კეთილდღეობისა და სხვა საკანონმდებლო ღონისძიებების სიას, როგორც ეს განსაზღვრულია ამ შეთანხმების IV დანართით, რომელსაც ის დაუახლოებს თავის კანონმდებლობას. სია დაყოფილი იქნება პრიორიტეტულ სფეროებად, სადაც გარკვეული საქონლით ან საქონელთა ჯგუფით ვაჭრობის ხელშეწყობა განხორციელდება საკანონმდებლო დაახლოების გზით. დაახლოების სია წარმოადგენს წინამდებარე თავის განხორციელების სახელმძღვანელო დოკუმენტს.

მუხლი 56

ცხოველთა ჯანმრთელობის, მავნებელთა მდგომარეობისა და რეგიონალური პირობების აღიარება ვაჭრობის მიზნებისთვის

ცხოველთა დაავადებების, ცხოველებში ან მავნებლებში ინფექციების მდგომარეობის აღიარება

1. ცხოველთა დაავადებებთან და ცხოველებში ინფექციებთან (ზოონოზის ჩათვლით) მიმართებაში განხორციელდება შემდეგი:

(a) იმპორტიორი მხარე აღიარებს ექსპორტიორი მხარის ან მისი რეგიონების ცხოველთა ჯანმრთელობის მდგომარეობას ვაჭრობის მიზნით, ამ შეთანხმების V დანართის A ნაწილით განსაზღვრულ დაავადებებთან მიმართებაში, ამ შეთანხმების V დანართში მოცემული პროცედურების შესაბამისად;

(b) როდესაც მხარე თვლის, რომ მის ტერიტორიაზე ან მისი ტერიტორიის რეგიონში მას აქვს განსაკუთრებული მდგომარეობა კონკრეტულ ცხოველთა დაავადების კუთხით, გარდა იმ დაავადებებისა, რომლებიც მოცემულია ამ შეთანხმების V-A დანართში, მას შეუძლია მოითხოვოს ამ სტატუსის აღიარება ამ შეთანხმების VI დანართის C ნაწილში მოცემული პროცედურის შესაბამისად. ამასთან მიმართებაში იმპორტიორ მხარეს აქვს უფლება მოითხოვოს გარანტიები, განმარტებითი კომენტარის თანდართვით, ცოცხალ ცხოველთა და ცხოველური პროდუქტების იმპორტთან დაკავშირებით, რომელიც შეესაბამება მხარეთა შორის შეთანხმებულ სტატუსს;

(c) მხარეების ტერიტორიის, რეგიონების, სექტორის თუ ქვესექტორის სტატუსი, რომელიც დაკავშირებულია ცხოველთა დაავადებებთან (V-A დანართში ჩამოთვლილი დაავადებების გარდა), ან ინფექციასთან ცხოველებში, და/ან მასთან დაკავშირებულ რისკებთან, შესაბამისად, როგორც განსაზღვრულია OIE-ს მიერ, მხარეების მიერ განიხილება, როგორც მათ შორის ვაჭრობის ძირითადი საფუძველი. აღნიშნულთან დაკავშირებით, იმპორტიორმა მხარემ შესაძლებელია მოითხოვოს გარანტიები ცოცხალ ცხოველთა და ცხოველური პროდუქტების იმპორტთან მიმართებაში, რომელიც შეესაბამება OIE–ს რეკომენდაციების მიხედვით განსაზღვრულ სტატუსს.

(d) წინამდებარე შეთანხმების 58-ე, მე-60 და 64-ე მუხლების დაურღვევლად და თუ იმპორტიორი მხარე არ იქნება წინააღმდეგი და არ მოითხოვს დამხმარე ან დამატებით ინფორმაციას ან კონსულტაციას და/ან გადამოწმებას, თითოეული მხარე დაუყოვნებლივ გაატარებს საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ზომებს ვაჭრობის დასაშვებად „a“, „b“ და „c“ ქვეპუნქტების მიხედვით.

2. მავნებლებთან დაკავშირებით გატარდება შემდეგი ზომები:

(a) მხარეები VI-B დანართის შესაბამისად ვაჭრობის მიზნით ცნობენ მათ იმ მავნებლებთან დაკავშირებულ მდგომარეობას, რომლებიც მითითებულია წინამდებარე შეთანხმების V-B დანართში;

(b) წინამდებარე შეთანხმების 58-ე, მე-60 და 64-ე მუხლების დაურღვევლად და თუ იმპორტიორი მხარე არ იქნება წინააღმდეგი და არ მოითხოვს დამხმარე ან დამატებით ინფორმაციას ან კონსულტაციას და/ან გადამოწმებას, თითოეული მხარე დაუყოვნებლივ გაატარებს საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ზომებს ვაჭრობის დასაშვებად წინამდებარე პუნქტის „a“ ქვეპუნქტის მიხედვით.

რეგიონალიზაციის/ზონირების, მავნებლებისგან თავისუფალ ზონების (PFA) და დაცული ზონების (PZ) აღიარება

3. მხარეები ცნობენ რეგიონალიზაციისა და PFA–ს კონცეფციას, როგორც ეს მოცემულია სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) 1997 წლის მცენარეთა დაცვის საერთაშორისო კონვენციასა (IPPC) და ფიტოსანიტარული ზომების საერთაშორისო სტანდარტებში (ISPM) და დაცულ ზონებს 2000/29/EC დირექტივის მიხედვით, რომლის შესრულებაზეც ისინი თანხმდებიან მათ შორის ვაჭრობის მიზნით.

4. მხარეები თანხმდებიან რომ რეგიონალიზაციის შესახებ გადაწყვეტილებები წინამდებარე შეთანხმების V-A დანართში მოცემულ ცხოველთა და თევზის დაავადებებზე, და წინამდებარე შეთანხმების V-B დანართში მოცემულ მავნებლებზე, მიღებულ უნდა იქნას წინამდებარე შეთანხმების VI დანართის A და B ნაწილებში მოცემული დებულებების შესაბამისად.

5. ცხოველთა დაავადებებთან დაკავშირებით, წინამდებარე შეთანხმების 58-ე მუხლზე დაყრდნობით, ექსპორტიორი მხარე იმპორტიორი მხარის მიერ მისი რეგიონალიზაციის აღიარების მიზნით ატყობინებს მიღებული ზომების შესახებ გადაწყვეტილებათა სრული აღწერითა და შესაბამისი მონაცემებით. წინამდებარე შეთანხმების 59-ე მუხლის პირობების დაურღვევლად და თუ იმპორტიორ მხარეს არ ექნება დასაბუთებული პრეტენზია და არ მოითხოვს დამატებით ინფორმაციას ან კოსულტაციას და/ან გადამოწმებას შეტყობინების მიღებიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში, ასე მიწოდებული რეგიონალიზაციის გადაწყვეტილება ჩაითვლება მიღებულად.

ამ პუნქტის პირველ ქვეპუნქტთან დაკავშირებით კონსულტაციები გაიმართება ამ შეთანხმების 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად. იმპორტიორი მხარე შეაფასებს დამატებით ინფორმაციას მისი მიღებიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში. ამ პუნქტის პირველ ქვეპუნქტში მითითებული დამოწმება განხორციელდება წინამდებარე შეთანხმების 62-ე მუხლის მიხედვით მოთხოვნის მიღებიდან 25 სამუშაო დღის განმავლობაში.

6. მავნებლებთან დაკავშირებით თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ მცენარეებით, მცენარეული პროდუქციით და სხვა ობიექტებით ვაჭრობისას გათვალისწინებულია მავნებლების მდგომარეობა მეორე მხარის მიერ აღიარებულ დაცულ ზონასა ან მავნებლებისგან თავისუფალ ტერიტორიაზეPFA-ს აღიარების მაძიებელმა მხარემ უნდა აცნობოს მეორეს მის მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ და მოთხოვნის შესაბამისად უნდა მისცეს სრული ინფორმაცია და ახსნა-განმარტება მის შექმნასა და შენარჩუნებაზე, FAO-ს ან IPPC-ის სტანდარტების, მათ შორის ISPM-ის მიხედვით. ამ შეთანხმების 64-ე მუხლის დაურღვევლად და თუ მხარე არ იქნება წინააღმდეგი და არ მოითხოვს დამატებით ინფორმაციას, კონსულტაციას და/ან გადამოწმებას შეტყობინების მიღებიდან 3 თვის განმავლობაში, რეგიონალიზაციის გადაწყვეტილება მავნებლისგან თავისუფალ ტერიტორიაზე ჩაითვლება მიღებულად.

ამ პუნქტის პირველ ქვეპუნქტთან დაკავშირებით კონსულტაციები გაიმართება წინამდებარე შეთანხმების 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად. იმპორტიორი მხარე შეაფასებს დამატებით ინფორმაციას მისი მიღებიდან სამი თვის განმავლობაში. ამ პუნქტის პირველ ქვეპუნქტში მითითებული დამოწმება განხორციელდება წინამდებარე შეთანხმების 62-ე მუხლის შესაბამისად, დამოწმებაზე მოთხოვნის მიღებიდან 12 თვის განმავლობაში, განხილვის ქვეშ მყოფი მავნებლისა თუ მცენარის ბიოლოგიის გათვალისწინებით.

7. მე-4 - მე-6 პუნქტებში მოყვანილი პროცედურების დასრულების შემდეგ და წინამდებარე შეთანხმების 64-ე მუხლის დაურღვევლად, თითოეული მხარე, ყოველგვარი დაყოვნების გარეშე, გაატარებს აუცილებელ საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ზომებს ამ პირობებით ვაჭრობის დასაშვებად.

დანაწილება

8. მხარეები შესაძლოა ჩაერთონ დანაწილებასთან დაკავშირებულ შემდგომ განხილვებში.

მუხლი 57

ეკვივალენტურობის განსაზღვრა

1. ეკვივალენტობა უნდა იქნას აღიარებული შემდეგ შემთხვევებთან დაკავშირებით:

(a) ინდივიდიალური ღონისძიება; ან

(b) ღონისძიებების ჯგუფი; ან

(c) სისტემა სექტორის, ქვე-სექტორის, საქონლის ან საქონლის ჯგუფისთვის.

2. ეკვივალენტობის განსაზღვრისას, მხარეები უნდა მიყვნენ პროცესს, რომელიც ამ მუხლის მე-3 პუნქტშია მოცემული. ეს პროცესი უნდა მოიცავდეს ეკვივალენტობის ობიექტურ დემონსტრირებას ექსპორტიორი მხარის მიერ და მოთხოვნის ობიექტურ შეფასებას იმპორტიორი მხარის მიერ. ეს შეფასება შეიძლება მოიცავდეს ინსპექტირებას ან დამოწმებას.

3. ექსპორტიორი მხარის მიერ ამ მუხლის პირველ პუნქტში მოცემული ეკვივალენტობის აღიარების მოთხოვნის შემთხვევაში, მხარეებმა დაუყონებლივ, არაუგვიანეს სამი თვისა მას შემდეგ რაც იმპორტიორი მხარე მიიღებს ამგვარ მოთხოვნას, ინიცირება უნდა გაუკეთონ საკონსულტაციო პროცესს, რომელიც მოიცავს წინამდებარე შეთანხმების VIII დანართში გაწერილ ნაბიჯებს. ექსპორტიორი მხარის მიერ რამდენიმე მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, მხარეები იმპორტიორი მხარის მოთხოვნით უნდა შეთანხდნენ ამ შეთანხმების 65-ე მუხლში მოცემულ SPS ქვეკომიტეტთან დროის განრიგზე, რომლის მიხედვითაც ისინი განახორციელებენ ამ პუნქტით განსაზღვრული პროცესის ინიცირებასა და განხორციელებას

4. საქართველომ უნდა შეატყობინოს ევროკავშირს, როდესაც დაახლოება მიღწეულია ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ღონისძიებისთვის, ღონისძიებათა ჯგუფისთვის ან სისტემისთვის, როგორც წინამდებარე შეთანხმების 55-ე მუხლის მე-3 პუნქტში მოცემული მონიტორინგის შედეგი. ეს ფაქტი ჩაითვლება როგორც საფუძველი საქართველოსთვის მოითხოვოს ეკვივალენტობის აღიარების პროცესის დაწყება მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით.

5. თუ სხვაგვარად არ არის შეთანხმებული, იმპორტიორი მხარე ვალდებულია დაასრულოს მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ეკვივალენტობის აღიარების პროცესი ექსპორტიორი მხარის მოთხოვნის მიღებიდან 360 დღეში, მათ შორის დოსიე, რომელიც აჩვენებს ეკვივალენტობას. აღნიშნული დროის პერიოდი შეიძლება გახანგრძლივდეს სეზონურ კულტურებთან მიმართებაში, როდესაც შეფასების დაყოვნება გამართლებულია იმისათვის, რომ დამოწმება განხორციელდეს სეზონური კულტურების ზრდის შესაბამისი პერიოდისთვის.

6. იმპორტიორი მხარე განსაზღვრავს მცენარეებთან, მცენარეულ პროდუქტებთან და სხვა ობიექტებთან ეკვივალენტობას ფიტოსანიტარული ზომების საერთაშორისო სტანდარტების (ISPM) მიხედვით.

7. იმპორტიორ მხარეს შეუძლია გააუქმოს ან შეაჩეროს ეკვივალენტობა, რომელიმე მხარის მიერ ზომებში ისეთი შესწორების შეტანის გამო, რომელიც გავლენას ახდენს ეკვივალენტობაზე, შემდეგი პროცედურის დაცვით:

(a) წინამდებარე შეთანხმების 58(2) მუხლის დებულებების შესაბამისად, ექსპორტიორმა მხარემ უნდა აცნობოს იმპორტიორ მხარეს იმ ღონისძიებებში განსახორციელებელი ნებისმიერი ცვლილების შესახებ, რომელთა ეკვივალენტობა უკვე აღიარებულია და ასევე შეთავაზებული ღონისძიებების სავარაუდო გავლენა უკვე განსაზღვრულ ეკვივალენტობაზე, აღნიშნული ინფორმაციის მიღებიდან 30 სამუშაო დღის განმავლობაში იმპორტიორმა მხარემ ექსპორტიორ მხარეს უნდა შეატყობინოს გაგრძელდება თუ არა შეთავაზებული ღონისძიებებისსაფუძველზე ეკვივალენტობის ცნობა.

(b) წინამდებარე შეთანხმების 58(2) მუხლის დებულებების შესაბამისად, იმპორტიორმა მხარემ დაუყონებლივ უნდა წარუდგინოს მის ღონისძიებში შესატანი ცვლილებების შესახებ შეთავაზება, რომლის მიხედვითც მოხდა შესაბამისობის (ეკვივალენტობის) აღიარება. უნდა გააგრძელოს თუ არა იმპორტიორმა მხარემ ეკვივალენტობის აღიარება, მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ პირობებზე, რომლის მიხედვითაც მოხდება ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული პროცესის ხელმეორედ ინიცირება შეთავაზებული ზომების საფუძველზე.

8. ეკვივალენტობის აღიარებას, შეჩერებას ან გაუქმებას ახდენს მხოლოდ იმპორტიორი მხარე, რომელიც მოქმედებს საკუთარ ადმინისტრაციულ და საკანონდმდებლო ფარგლებში. ამ მხარემ წერილობითი ფორმით უნდა წარუდგინოს ექსპორტიორ მხარეს დასაბუთებული ახსნა-განმარტება და შესაბამისი მონაცემები, რომელთა გამოყენება მოხდა ამ მუხლით გათვალისწინებული განსაზღვრებების და გადაწვეტილებების მიღებისას. ეკვივალენტობის აუღიარებლობის, შეჩერების ან გაუქმების შემთხვევაში, იმპორტიორმა მხარემ უნდა აცნობოს ექსპორტიორ მხარეს იმ გარემოებების შესახებ, რომელთა საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს მე-3 პუნქტის მიხედვით განსაზღვრული პროცესის ხელახალი ინიცირება.

9. წინამდებარე შეთანხმების 64-ე მუხლის პირობების დაურღვევლად, იმპორტიორმა მხარემ შეიძლება არ გააუქმოს ან არ შეაჩეროს ეკვივალენტობა, ვიდრე რომელიმე მხარის მიერ შეთავაზებული ახალი ზომები შევა ძალაში.

10. იმ შემთხვევაში, თუ ეკვივალენტობა ოფიციალურად აღიარებულ იქნა იმპორტიორი მხარის მიერ, წინამდებარე შეთანხმების VIII დანართის შესაბამისად გამართული კონსულტაციების საფუძველზე, SPS ქვეკომიტეტმა წინამდებარე შეთანხმების 65(5) მუხლით განსაზღვრული პროცედურის საფუძველზე უნდა მოახდინოს მხარეებს შორის ვაჭრობაში ეკვივალენტობის აღიარების დეკლარირება. ასეთმა გადაწყვეტილებამ შეიძლება აგრეთვე განაპირობოს ფიზიკური შემოწმების შემცირება საზღვარზე, საწარმოებისთვის სერტიფიკატებისა და პროდუქციის გაყიდვამდე შემოწმების განსაზღვრული პროცედურების გამარტივება.

სტატუსი ეკვივალენტობის აღიარების შესახებ იქნება გაწერილი წინამდებარე შეთანხმების XII დანართში.

მუხლი 58

გამჭირვალობა და ინფორმაციის გაცვლა

1. წინამდებარე შეთანხმების 59-ე მუხლის პირობების დაურღვევლად მხარეები ითანამშრომლებენ, რომ გაიზარდოს მეორე მხარის ოფიციალური კონტროლის სისტემისა და მექანიზმის ორმხრივი გაგება, რომლებიც გამიზნულია ამ შეთანხმების IV დანართში ჩამოთვლილი SPS ზომების განხორციელებისათვის, და ასეთი სტრუქტურისა და მექანიზმების ფუნქციონირების თაობაზე. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია, მათ შორის, საერთაშორისო აუდიტის ანგარიშების მეშვეობით, თუკი ის კეთდება საჯაროდ და მხარეებს შეუძლიათ გაცვალონ ინფორმაცია ასეთი აუდიტის შედეგებზე ან სხვა შესაბამისი ინფორმაცია.

2. კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოების ფარგლებში წინამდებარე შეთანხმების 55-ე მუხლის შესაბამისად ან ეკვივალენტობის განსაზღვრის ფარგლებში 57-ე მუხლის შესაბამისად, მხარეები განახორციელებენ ერთმანეთის ინფორმირებას შესაბამის სფეროებში საკანონმდებლო ან სხვა პროცედურულ ცვლილებებზე.

3. აღნიშნულ კონტექსტში, ევროკავშირი თავის კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანამდე დროულად მოახდენს საქართველოს ინფორმირებას, რათა შესაძლებლობა მისცეს საქართველოს განიხილოს თავის კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელების საკითხი.

თანამშრომლობის აუცილებელი დონე უნდა იქნეს მიღწეული, რათა ხელი შეეწყოს საკანონმდებლო დოკუმენტების გადაცემას ერთ–ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე.

ამ მიზნით თითოეული მხარე მეორე მხარეს წარუდგენს საკონტაქტო პირს. მხარეები აგრეთვე შეატყობინებენ ერთმანეთს საკონტაქტო პირების საკითხთან დაკავშირებული ცვლილებების შესახებ.

მუხლი 59

შეტყობინებები, კონსულტაციები და კომუნიკაციის ხელშეწყობა

1. თითოეული მხარე წერილობით ატყობინებს მეორე მხარეს ორი სამუშაო დღის განმავლობაში საზოგადოების, ცხოველთა ან მცენარეთა ჯანმრთელობისათვის სერიოზული ან მნიშვნელოვანი რისკების თაობაზე, მათ შორის სურსათის კონტროლთან მიმართებაში საგანგებო ვითარებაზე ან სიტუაციებზე, სადაც ნათლად არის განსაზღვრული ჯანმრთელობაზე სერიოზული ზემოქმედების რისკი, რომელიც დაკავშირებულია ცხოველური ან მცენარეული პროდუქტის მოხმარებასთან, კერძოდ:

(a) ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც გავლენას ახდენს წინამდებარე შეთანხმების 56-ე მუხლის შესაბამისად განსაზღვრულ რეგიონალიზაციის გადაწყვეტილებებზე;

(b) ცხოველთა ნებისმიერი დაავადებების არსებობა ან განვითარება, რომლებიც ჩამოთვლილია წინამდებარე შეთანხმების V-A დანართში ან იმ რეგულირებადი მავნებლების არსებობა ან განვითარება, რომლებიც ჩამოთვლილია წინამდებარე შეთანხმების V-B დანართში;

(c) ეპიდემიოლოგიური მნიშვნელობის შედეგები ან მასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები ცხოველთა დაავადებებთან ან მავნებლებთან მიმართებაში, რომლებიც არ არიან მოცემული წინამდებარე შეთანხმების V-A და V-B დანართებში ან რომელიც არის ცხოველის ახალი დაავადება ან მავნებელი; და

(d) ნებისმიერი დამატებითი ღონისძიება, ძირითადი მოთხოვნების გარდა, ცხოველთა დაავადების, ან მავნებლების კონტროლის ან აღმოფხვრისთვის, საზოგადოების ჯანდაცვის ან მცენარეთა დაცვისათვის, პროფილაქტიკის პოლიტიკაში ნებისმიერი ცვლილება, მათ შორის ვაქცინაციის პოლიტიკა.

2. შეტყობინებები ხორციელდება წერილობით, წინამდებარე შეთანხმების 58-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული საკონტაქტო პირების მეშვეობით.

წერილობითი შეტყობინება ნიშნავს შეტყობინებას ფოსტით, ფაქსით ან ელ–ფოსტით.

3. როდესაც მხარეს აქვს სერიოზული ეჭვი ადამიანის, ცხოველის ან მცენარის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ რისკზე, ამ მხარის მოთხოვნის შესაბამისად კონსულტაციები აღნიშნულ მდგომარეობაზე უნდა დაიწყოს რაც შეიძლება სწრაფად და ნებისმიერ შემთხვევაში მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 15 სამუშაო დღისა. ასეთ გარემოებებში თითოეული მხარე წარადგენს ამომწურავ ინფორმაციას ვაჭრობაში შეფერხებების თავიდან ასაცილებლად და ორივე მხარისათვის მისაღები გადაწყვეტილების მისაღებად ადამიანის, ცხოველთა და მცენარეთა ჯანმრთელობის დაცვასთან მიმართებაში.

4. მხარის მოთხოვნის შესაბამისად კონსულტაციები ცხოველთა კეთილდღეობაზე უნდა გაიმართოს რაც შეიძლება სწრაფად, მაგრამ შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 20 სამუშაო დღისა. ასეთ გარემოებებში თითოეული მხარე შეეცდება წარადგინოს მოთხოვნილი ინფორმაცია.

5. მხარის მოთხოვნის შესაბამისად კონსულტაციები, როგორც ეს აღნიშნულია მე-3 და მე-4 პუნქტებში, ტარდება ვიდეო ან აუდიო კონფერენციის სახით. მომთხოვნი მხარე უზრუნველყოფს კონსულტაციის ოქმის მომზადებას, რომელიც ოფიციალურად დადასტუდება მხარეების მიერ. აღნიშნულისთვის გამოიყენება წინამდებარე შეთანხმების 58-ე მუხლის მე-3 პუნქტის დებულებები.

6. ორმხრივად დანერგილი სწრაფი განგაშის სისტემა და ადრეული გაფრთხილების მექანიზმი ნებისმიერ ვეტერინარულ და ფიტოსანიტარიულ საგანგებო მდგომარეობაზე ამოქმედდება მოგვიანებით, მას შემდეგ რაც საქართველო მიიღებს აუცილებელ კანონმდებლობას აღნიშნულ სფეროში და შექმნის პირობებს აღნიშნული სისტემის ადგილზე სწორად ფუნქციონირებისთვის.

მუხლი 60

ვაჭრობის პირობები

1. იმპორტის პირობები ეკვივალენტობის აღიარებამდე

(a) მხარეები თანხმდებიან წინამდებარე შეთანხმების IV-A დანართით და IV-C (2) და (3) დანართებით განსაზღვრული ნებისმიერი საქონლის იმპორტი დაექვემდებაროს ეკვივალენტობის აღიარებამდე პირობებს. წინამდებარე შეთანხმების 56-ე მუხლის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილების დაურღვევლად იმპორტიორი მხარის იმპორტის პირობები გამოიყენება ექსპორტიორი მხარის მთელ ტერიტორიაზე. წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ და ამ შეთანხმების 58-ე მუხლის შესაბამისად, იმპორტიორმა მხარემ უნდა შეატყობინოს ექსპორტიორ მხარეს წინამდებარე შეთანხმების IV-A და IV-C დანართებში მითითებულ საქონელზე თავისი სანიტარული და/ან ფიტოსანიტარული საიმპორტო მოთხოვნები. აღნიშნული ინფორმაცია საჭიროებისამებრ უნდა მოიცავდეს ოფიციალური სერტიფიკატების ან დეკლარაციების ან კომერციული დოკუმენტების ნიმუშებს, რომლებიც დაწესებულია იმპორტიორი მხარის მიერ; და

(b) (i) წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტის „a“ ქვეპუნქტში მითითებული პირობების ცვლილებები ან შეთავაზებული ცვლილებები უნდა შეესაბამებოდნენ SPS შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამისი შეტყობინების პროცედურებს;

(ii) წინამდებარე შეთანხმების 64-ე მუხლის დებულებების დაურღვევლად, იმპორტიორი მხარე ამ მუხლის პირველი პუნქტის „a“ ქვეპუნქტის შესაბამისად შეცვლილი პირობების ძალაში შესვლის თარიღის დადგენისას მხედველობაში მიიღებს მხარეებს შორის ტრანსპორტირებისთვის საჭირო დროს; და

(iii)თუ იმპორტიორი მხარე ვერ შეასრულებს შეტყობინების შესახებ მოთხოვნებს ამ მუხლის პირველი პუნქტის „a“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ის გააგრძელებს იმპორტის პირობების ცვლილების მიღებიდან 30 დღის განმავლობაში იმ სერტიფიკატებით ან მოწმობებით სარგებლობას რომლებიც აკმაყოფილებდა წინა პერიოდის მოთხოვნებს.

2. იმპორტის პირობები ეკვივალენტობის აღიარების შემდეგ

(a) ეკვივალენტობის აღიარებაზე გადაწყვეტილების მიღების თარიღიდან 90 დღის განმავლობაში, როგორც ეს მითითებულია წინამდებარე შეთანხმების 57-ე მუხლის მე-10 პუნქტში, მხარეები მიიღებენ საჭირო საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ზომებს ეკვივალენტობის აღიარების განსახორციელებლად და ამის საფუძველზე მათ შორის წინამდებარე შეთანხმების IV-A და IV-C (2)(3) დანართში აღწერილი საქონლით ვაჭრობის დასაშვებად. აღნიშნულ საქონელზე იმპორტიორი მხარის მიერ მოთხოვნილი ოფიციალური სერტიფიკატი ან ოფიციალური დოკუმენტი შეიძლება ჩანაცვლდეს წინამდებარე შეთანხმების X-B დანართში მოცემული სერტიფიკატით;

(b) იმ სექტორების ან ქვესექტორების საქონლისთვის, რომლებისთვისაც ყველა ზომა არ არის აღიარებული ეკვივალენტურად, ვაჭრობა გრძელდება ამ მუხლის პირველი პუნქტის „a“ პუნქტში მოცემული პირობების დაცვით. ექსპორტიორი მხარის მოთხოვნის შემთხვევაში გამოყენებულ იქნება ამ მუხლის მე-5 პუნქტის დებულებები.

3. აღნიშნული შეთანხმების ძალაში შესვლის დღიდან საქონელი, რომელიც მოცემულია წინამდებარე შეთანხმების IV-A და IV-C (2) დანართებში, არ საჭიროებს იმპორტის ნებართვას მხარეებს შორის.

4. იმ პირობებისთვის, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ ამ მუხლის პირველი პუნქტის „a“ ქვეპუნქტში მოცემული საქონლით ვაჭრობაზე, ექსპორტიორი მხარის მოთხოვნით მხარეები დაიწყებენ კონსულტაციებს SPS ქვეკომიტეტის მეშვეობით წინამდებარე შეთანხმების 65-ე მუხლის დებულებების შესაბამისად, იმპორტიორ მხარესთან იმპორტის ალტერნატიულ ან დამატებით პირობებზე შეთანხმების მიზნით. ასეთი ალტერნატიული ან დამატებითი პირობები შეიძლება, საჭიროების შემთხვევაში, ეფუძნებოდეს ექსპორტიორი მხარის ზომებს, რომლებიც აღიარებული აქვს იმპორტიორ მხარეს როგორც ეკვივალენტური. შეთანხმების შემთხვევაში იმპორტიორი მხარე მიიღებს აუცილებელ საკანონმდებლო და/ან ადმინისტრაციულ ზომებს შეთანხმებული იმპორტის პირობების საფუძველზე იმპორტის დასაშვებად 90 დღის განმავლობაში.

5. საწარმოების სია, წინასწარი აღიარება

(a) წინამდებარე შეთანხმების IV-A დანართის მე-2 ნაწილში მოცემული ცხოველური პროდუქციის იმპორტისას, ექსპორტიორი მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, რომელსაც თან ერთვის შესაბამისი გარანტიები, იმპორტიორი მხარე საწარმოების ინდივიდუალური ინსპექტირების გარეშე პირობითად აღიარებს ექსპორტიორი მხარის ტერიტორიაზე არსებულ გადამამუშავებელ საწარმოებს წინამდებარე შეთანხმების VII.2.1 დანართის შესაბამისად. ასეთი აღიარება უნდა იყოს წინამდებარე შეთანხმების VII დანართში მოცემული პირობებისა და დებულებების შესაბამისი გარდა იმ შემთხვევისა როდესაც დამატებითი ინფორმაციაა მოთხოვნილი, იმპორტიორი მხარე შესაბამისი გარანტიებით გამყარებული მოთხოვნის მიღებიდან 30 სამუშაო დღის განმავლობაში მიიღებს ყველა აუცილებელ საკანონმდებლო ან/და ადმინისტრაციულ ზომას აღნიშნულის საფუძველზე იმპორტის დასაშვებად.

საწარმოების წინასწარი სიის დამტკიცება უნდა მოხდეს წინამდებარე შეთანხმების VII დანართის დებულებების შესაბამისად.

(b) ამ მუხლის მე-2 პუნქტის „a“ ქვეპუნქტში მოცემული ცხოველური საქონლის იმპროტისას, ექსპორტიორი მხარე მიაწოდებს იმპორტიორ მხარეს იმ საწარმოების სიას, რომლებიც აკმაყოფილებენ იმპორტიორი მხარის მოთხოვნებს.

6. მხარის მოთხოვნის შემთხვევაში მეორე მხარე წარმოადგენს საჭირო ახსნა-განმარტებებს და დამადასტურებელ ინფორმაციას იმ განსაზღვრებებსა და გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, რომლებიც წინამდებარე მუხლშია მოცემული.

მუხლი 61

სერტიფიცირების პროცედურა

1. სერტიფიცირების პროცედურის, სერტიფიკატისა და სხვა ოფიციალური დოკუმენტების გაცემისათვის მხარეები თანხმდებიან წინამდებარე შეთანხმების X დანართით განსაზღვრულ პრინციპებზე.

2. ელექტრონული სერტიფიცირების, სერტიფიკატის გაუქმების ან შეცვლის შემთხვევაში, წინამდებარე შეთანხმების 65-ე მუხლის შესაბამისად SPS ქვეკომიტეტმა შეიძლება შეიმუშაოს წესები, რომლებიც უნდა იქნას დაცული მხარეების მიერ.

3. წინამდებარე შეთანხმების 55-ე მუხლით განსაზღვრული დაახლოებული კანონდებლობის ფარგლებში მხარეები, საჭიროების შემთხვევაში, თანხმდებიან სერტიფიკატების საერთო ნიმუშებზე.

მუხლი 62

დამოწმება

1. ამ თავის დებულებების ეფექტიანი განხორციელების მიზნით თითოეულ მხარეს უფლება აქვს:

(a) განახორციელოს მეორე მხარის კომპეტენტური ორგანოს ინსპექტირების და სერტიფიცირების სისტემის მთლიანი ან ნაწილობრივი დამოწმება, და/ან საჭიროებისამებრ სხვა ღონისძიების დამოწმება, შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების, სახელმძღვანელოებისა და კოდექს ალიმენტარიუსის, ცხოველთა ჯანმრთელობის საერთაშორისო ორგანიზაციისა და მცენარეთა დაცვის საერთაშორისო კონვენციის რეკომენდაციების გათვალისწინებით;

(b) მიიღოს ინფორმაცია მეორე მხარისაგან მისი კონტროლის სისტემის შესახებ და იყოს ინფორმირებული ასეთი სისტემით განხორციელებული შემოწმების შედეგებზე, ორივე მხარისთვის მოქმედი კონფიდენციალურობის პირობების დაცვით.

2. ორივე მხარეს უფლება აქვს აცნობოს მესამე მხარეს ამ მუხლის პირველი პუნქტის „a“ ქვეპუნქტში მოცემული შედეგები დამოწმების დამტკიცების შესახებ და გახადოს ისინი საჯარო, ისე, როგორც ეს მოთხოვნილია ორივე მხარისათვის მოქმედ დებულებებში. საჭიროებისამებრ, კონფიდენციალურობის შესახებ დებულებები, რომელიც მოქმედია ორივე მხარისათვის, უნდა იქნეს გათვალისწინებული შედეგების მესამე მხარისათვის გაცნობისას ან/და გასაჯაროებისას.

3. თუ იმპორტიორი მხარე გადაწყვეტს განახორციელოს დამოწმების ვიზიტი ექსპორტიორ მხარესთან, იმპორტიორმა მხარემ აღნიშნულის შესახებ, ექსპორტიორ მხარეს უნდა აცნობოს დამოწმების ვიზიტამდე არანაკლებ 60 სამუშაო დღით ადრე, გამონაკლისია საგანგებო შემთხვევები ან თუ მხარეები სხვაგვარად შეთანხმდებიან. ასეთი ვიზიტის შესახებ ნებისმიერი ცვლილება უნდა შეთანხმდეს მხარეებს შორის.

4. ხარჯები, რომელიც გაწეულია მხარის კომპეტენტური ორგანოს ინსპექტირებისა და სერტიფიცირების სისტემის ან/და სხვა ღონისძიების, მთლიანი ან ნაწილობრივი დამოწმების განხორციელებისთვის, ეკისრება დამოწმების ან ინსპექტირების განმახორციელებელ მხარეს.

5. დამოწმების დამტკიცების შესახებ წერილობითი ოქმის სამუშაო ვერსია უნდა გადაეგზავნოს ექსპორტიორ მხარეს დამოწმების დასრულებიდან 60 სამუშაო დღის განმავლობაში. ექსპორტიორ მხარეს დამოწმების შესახებწერილობითი ოქმისპროექტზე კომენტარების გაკეთებისათვის აქვს 45 სამუშაო დღე. ექსპორტიორი მხარის მიერ გაკეთებული კომენტარები თან უნდა დაერთოს და სადაც საჭიროა, გათვალისწინებული უნდა იქნას საბოლოო შედეგში. ამასთანავე, დამოწმების პროცესში ადამიანის, ცხოველთა ჯანმრთელობისათვის ან მცენარეების დაცვისათვის მნიშვნელოვანი საფრთხის გამოვლენისას, ექსპორტიორ მხარეს უნდა ეცნობოს ამის შესახებ დაუყოვნებლივ, ნებისმიერ შემთხვევაში დამოწმების დასრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

6. სიცხადისთვის, დამოწმების შედეგებმა შესაძლებელია გავლენა იქონიოს მხარეების ან მხარის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებში, რომლებიც მითითებულია წინამდებარე შეთანხმების 55-ე, 57-ე და 63-ე მუხლებში.

მუხლი 63

იმპორტის შემოწმება და ინსპექტირების მოსაკრებელი

1. მხარეები თანხმდებიან, რომ იმპორტის შემოწმება, რომელიც ხორციელდება იმპორტიორი მხარის მიერ ექსპორტიორი მხარის საქონლის იმპორტირებისას, უნდა აკმაყოფილებდეს წინამდებარე შეთანხმების IX დანართის A ნაწილით გათვალისწინებულ პრინციპებს. ასეთი შემოწმების შედეგებმა შესაძლებელია ხელი შეუწყოს წინამდებარე შეთანხმების 62-ე მუხლში მოცემულ დამოწმების პროცესს.

2. თითოეული მხარის მიერ დადგენილი იმპორტის ფიზიკური შემოწმების სიხშირე განსაზღვრულია ამ შეთანხმების IX დანართის B ნაწილში. მხარეს შეუძლია ასეთი შემოწმების სიხშირე შეცვალოს მისი კომპეტენციისა და შიდა მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, წინამდებარე შეთანხმების 55-ე, 57-ე და მე-60 მუხლების შესაბამისად მიღწეული პროგრესის შედეგად ან დამოწმებების, კონსულტაციებისა ან ამ შეთანხმებაში გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების გატარების შედეგად. შესაბამისად, 65-ე მუხლით განსაზღვრულმა SPS ქვეკომიტეტმა თავისი გადაწყვეტილებით უნდა შეცვალოს ამ შეთანხმების IX დანართის B ნაწილი.

3. ინსპექტირების მოსაკრებელი, საჭიროებისამებრ, შეიძლება ფარავდეს მხოლოდ კომპეტენტური ორგანოს მიერ იმპორტის შემოწმებისას გაწეულ ხარჯებს. მოსაკრებელი უნდა დაანაგრიშდეს იმავე საფუძველზე, როგორც ეს ანგარიშდება ადგილობრივი წარმოების ანალოგიური პროდუქტის ინსპექტირებისას.

4. იმპორტიორმა მხარემ ექპორტიორ მხარეს, მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა აცნობოს ყველა ცვლილების შესახებ, მათ შორის ამ ცვლილებების მიზეზების შესახებ, რომელიც შეეხება იმპორტის შემოწმებებს და ინსპექტირების მოსაკრებელს, ან ასეთი შემოწმების სხვა მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ ცვლილებებს.

5. წინამდებარე შეთანხმების 65-ე მუხლის მიხედვით განსაზღვრული SPS ქვეკომიტეტის მიერ დადგენილი თარიღიდან, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ პირობებზე, რომლითაც აღიარებენ ერთმანეთის კონტროლს, წინამდებარე შეთანხმების 62-ე მუხლის პირველი პუნქტის „b“ ქვეპუნქტის შესაბამისად, იმ მიზნით, რომ მიიღონ და ორმხრივად შეამცირონ, სადაც ეს შესაძლებელია, იმპორტის ფიზიკური შემოწმების სიხშირე იმ საქონლისთვის, რომელიც მოცემულია წინამდებარე შეთანხმების მე-60 მუხლის მე-2 „a“ ქვეპუნქტში.

ზემოაღნიშნული თარიღიდან, მხარეებს შეუძლიათ ორმხრივად აღიარონ ერთმანეთის კონტროლი გარკვეულ საქონელზე და შესაბამისად ამ საქონელზე შეამცირონ ან ჩაანაცვლონ იმპორტის შემოწმება.

მუხლი 64

1. იმ შემთხვევაში თუ ექსპორტიორი მხარე ახორციელებს ღონისძიებებს თავის ტერიტორიაზე, რათა უზრუნველყოს ნებისმიერი რისკის კონტროლი, რომელიც სერიოზულ საფრთხეს ან რისკს წარმოადგენს ადამიანის, ცხოველის ჯანმრთელობისა და მცენარის სიჯანსაღისთვის, ექსპორტიორმა მხარემ, ამ მუხლის მე-2 პუნქტის პირობების დაურღვევლად, უნდა განახორციელოს ეკვივალენტური ღორნისძიებები, იმპორტორ ქვეყანის ტერიტორიაზე საფრთხის ან რისკის წარმოშობის თავიდან ასაცილებლად.

2. ადამიანის, ცხოველის ჯანმრთელობის ან მცენარის დასაცავად იმპორტიორ მხარეს შეუძლია განახორციელოს დროებითი ღონისძიებები. მხარეებს შორის ტვირთის ტრასპორტირებისას, იმპორტიორმა მხარემ უნდა მიიღოს მაქსიმალურად შესაფერისი და თანაზომადი გადაწყვეტილება, რათა თავიდან აიცილოს შეფერებები მხარეთა შორის ვაჭრობაში.

3. მხარე, რომლიც ახორციელებს მე–2 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების მიღებას, ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ამის შესახებ, არაუგვიანეს ღონისძიებების მიღებიდან ერთი სამუშაო დღისა. რომელიმე მხარის მოთხოვნისა და ამ შეთანხმების 59-ე მუხლის მე-3 პუნქტში მოცემული დებულებების საფუძველზე, მხარეებმა უნდა გამართონ კონსულტაციები, არსებული მდგომარეობის შესახებ, შეტყობინებიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში. მხარეებმა, მხედველობაში უნდა მიიღონ კონსულტაციის პერიოდში წარმოდგენილი ნებისმიერი ინფორმაცია და შეეცადონ თავიდან აიცილონ შეფერხებები ვაჭრობაში, საჭიროებისამებრ გაითვალისწინონ წინამდებარე შეთანხმების 59-ე მუხლის მე–3 პუნქტის დებულებებით განსაზღვრული კონსულტაციების შედეგები.

მუხლი 65

სანიტარული და ფიტოსანიტარული ქვეკომიტეტი

1. SPS ქვეკომიტეტი ამიერიდან დაფუძნებულია. კომიტეტმა უნდა გამართოს შეხვედრა ამ შეთანხმების ძალაში შესვლიდან 3 თვის განმავლობაში, შემდეგ კი ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე, ან მინიმუმ წელიწადში ერთხელ. თუ მხარეები შეთანხმდებიან, SPS ქვეკომიტეტის შეხვედრა შესაძლებელია გაიმართოს ვიდეო ან აუდიო კონფერენციის სახით. SPS ქვეკომიტეტმა შესაძლებელია ცალკეული საკითხების დასარეგულირებლად გამოიყენოს კორესპონდენცია.

2. SPS ქვეკომიტეტს უნდა ჰქონდეს შემდეგი ფუნქციები:

(a) ამ თავთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის განხილვა;

(b) ამ თავის განხორციელებაზე მონიტორინგი და ყველა იმ საკითხის განხილვა, რომელიც შეიძლება წამოიჭრას მისი განხორციელებისას;

(c) ამ შეთნხმების IV-XII დანართების გადახედვა, კერძოდ ამ თავით გათვალისწინებული კონსულტაციებისა და პროცედურების განხორციელებაში მიღწეული პროგრესის კუთხით.

(d) საბოლოოდ განახორციელოს ცვლილებები ამ შეთანხმების IV - XII დანართებში, ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით მოცემული პირობის მიხედვით, ან მოცემული თავით გათვალისწინებული სხვა ფორმით და

(e) ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემოწმებისათვის მიაწოდოს მოსაზრებები და რეკომენდაციები სხვა ორგანოებს, წინამდებარე შეთანხმების VIII კარით გათვალისწინებული პირობების მიხედვით (ინსტიტუციური, ზოგადი და დასკვნითი დებულებები).

3. მხარეები თანხმდებიან საჭიროებისამებრ შექმნან ტექნიკური სამუშაო ჯგუფები, რომლებიც დაკომპლექტებული იქნება მხარეთა ექსპერტებით. სამუშაო ჯგუფმა უნდა მოახდინოს ამ თავის განხორციელებიდან გამომდინარე ტექნიკური და სამეცნიერო საკითხების იდენტიფიცირება და მოგვარება. დამატებითი ექსპერტიზის საჭიროების შემთხვევაში მხარეებმა შესაძლებელია ჩამოაყალიბონ დროებითი ჯგუფები, მათ შორის სამეცნიერო და ექსპერტთა ჯგუფები. ასეთი დროებითი ჯგუფების წევრობა არ უნდა იყოს შეზღუდული მხარეთა წარმომადგენლობით.

4. SPS ქვეკომიტეტმა რეგულარულად უნდა აცნობოს, ანგარიშების წარდგენის ფორმით, ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტს, რომელიც შექმნილია წინამდებარე შეთანხმების 408-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საკუთარი საქმიანობისა და კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ.

5. SPS ქვეკომიტეტმა პირველივე შეხვედრაზე უნდა დაამტკიცოს თავისი სამუშაო პროცედურები.

6. ნებისმიერი გადაწყვეტილება, რეკომენდაცია, ანგარიში ან სხვა ქმედება განხორციელებული SPS ქვეკომიტეტის ან SPS ქვეკომიტეტის მიერ შექმნილი სხვა ჯგუფის მიერ, დამტკიცებული უნდა იქნას მხარეთა შორის კონსენსუსის საფუძველზე.

თავი 5

საბაჟოსა და ვაჭრობის ხელშეწყობა

მუხლი 66

მიზნები

1. მხარეები აღიარებენ საბაჟოსა და ვაჭრობის ხელშეწყობის მნიშვნელობას ორმხრივ განვითარებად სავაჭრო გარემოში. მხარეები თანხმდებიან გააძლიერონ თანამშრომლობა აღნიშნულ სფეროში, რათა უზრუნველყონ კანონიერი ვაჭრობის განვითარების და ეფექტური კონტროლის განხორციელების მიზნების აღსრულება, როგორც შესაბამისი კანონმდებლობისა და პროცედურების, ასევე შესაბამისი უწყებების ადმინისტრაციული შესაძლებლობების, როგორც მნიშვნელოვანი პრინციპის, გამოყენების გზით.

2. მხარეები აღიარებენ, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს საჯარო პოლიტიკის ამოცანებს, რომლებიც მოიცავს ვაჭრობის ხელშეწყობას, უსაფრთხოებას, თაღლითობის თავიდან აცილებას და მათ შორის დაბალანსებულ მიდგომას.

მუხლი 67

კანონმდებლობა და პროცედურები

1. მხარეები თანხმდებიან როგორც ძირითად პრინციპზე, რომ მათი შესაბამისი საბაჟო და ვაჭრობის მარეგულირებელი კანონმდებლობა უნდა იყოს სტაბილური და ყოვლისმომცველი. ასევე დებულებები და პროცედურები უნდა იყოს პროპორციული, გამჭვირვალე, პროგნოზირებადი, არადისკრიმინაციული, მიუკერძოებელი და სრულდებოდეს ეფექტურად და ერთგვაროვნად, აგრეთვე უზრუნველყოს:

(a) ლეგიტიმური ვაჭრობის ხელშეწყობა და დაცვა საკანონმდებლო მოთხოვნების ეფექტური აღსრულების და შესაბამისობის ხარჯზე;

(b) ეკონომიკურ ოპერატორებზე ზედმეტი და დისკრიმინაციული ტვირთის დაკისრების თავიდან აცილება, თაღლითობის თავიდან აცილება და კანონმორჩილების მაღალი დონის მქონე ეკონომიკური ოპერატორების ხელშეწყობა;

(c) საბაჟო დეკლარირებისათვის ერთიანი ადმინისტრაციული დოკუმენტის გამოყენება;

(d) შესაბამისი ზომების გატარება საზღვარზე განხორციელებული საბაჟო პროცედურების ეფექტიანობის, გამჭვირვალობისა და გამარტივების ზრდისთვის;

(e) საქონლის შემოტანა, გატანის და გაშვების გამარტივებისა და ხელშეწყობის მიზნით, თანამედროვე საბაჟო ტექნიკის გამოყენება, რისკის შეფასების, გაფორმების შემდგომი კონტროლის და კომპანიის აუდიტის მეთოდების ჩათვლით;

(f) ყველა ეკონომიკური ოპერატორის კანონმორჩილების დანახარჯების შემცირებისა და პროგნოზირების ზრდისკენ სწრაფვა;

(g) ობიექტური რისკის შეფასების კრიტერიუმებისათვის ზიანის მიყენების გარეშე, იმპორტით, ექსპორტით და ტრანზიტით გადაადგილებულ საქონელთან მიმართებაში არსებული მოთხოვნების და პროცედურების არადისკრიმინაციული ადმინისტრირება;

(h) საბაჟოსა და ვაჭრობის სფეროსთან დაკავშირებული საერთაშორისო ინსტრუმენტების გამოყენება, მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის (მსო) დროებითი დაშვების შესახებ სტამბულის 1990 წლის კონვენციის, ჰარმონიზებული სისტემის 1983 წლის საერთაშორისო კონვენციის, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის, გაეროს 1975 წლის TIR კონვენციის, საქონლის სასაზღვრო კონტროლის ჰარმონიზაციის შესახებ 1982 წლის კონვენციის მიერ შემუშავებული ინსტრუმენტების ჩათვლით; ამასთავე საჭიროებიდან გამომდინარე შესაძლებელია მხედველობაში იქნეს მიღებული გლობალური ვაჭრობის ხელშეწყობის და უზრუნველოფის შესახებ მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის ჩარჩო სტანდარტების და ევროკომისიის ისეთი სახელმძღვანელოს გათვალისწინება, როგორიცაა საბაჟო სახელმძღვანელო რეკომენდაციები;

(i) საბაჟო პროცედურების გამარტივების და ჰარმონიზების შესახებ განახლებული კიოტოს 1973 წლის კონვენციის დებულებების იმპლემენტაციასა და ასახვასთან დაკავშირებული ზომების მიღება;

(j) სატარიფო კლასიფიკაციის და წარმოშობის წესების შესახებ წინასწარი სავალდებულო რეგულაციების უზრუნველყოფა. მხარეები უზრუნველყოფენ რომ გადაწყვეტილება გაუქმდეს ან გაბათილდეს მხოლოდ დაინტერესებული ოპერატორის შეტყობინების შემდეგ და ყველანაირი უკუქმედების ძალის გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გადაწყვეტილება მიღებულ იქნა არასწორი ან არასრული ინფორმაციის საფუძველზე;

(k) არადისკრიმინაციული და ობიექტური კრიტერიუმების მიხედვით უფლებამოსილ მოვაჭრეთათვის გამარტივებული პროცედურების დანერგვა და გამოყენება;

(l) საბაჟო რეგულაციების და პროცედურული მოთხოვნების დარღვევისთვის დაკისრებული ნებისმიერი ჯარიმის თანაზომადობისა და არადისკრიმინაციულობის უზრუნველმყოფი წესების შემოღება, ასევე იმის უზრუნველყოფა, რომ ამ წესების აღსრულებამ არ გამოიწვიოს გაუმართლებელი და უსაფუძვლო შეფერხებები;

(m) სახელმწიფო უწყებების მიერ გაწეული მომსახურებისას გამჭვირვალე, არადისკრიმინაციული და პროპორციული წესების გამოყენება,

როცა ეს მომსახურება ასევე ხორციელდება კერძო სექტორის მიერ.

2. სამუშაო მეთოდების გაუმჯობესების, ასევე განხორციელებული ოპერაციების არადისკრიმინაციულობის, გამჭვირვალობის, ეფექტიანობის, კეთილსინდისიერების და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით, მხარეები:

(a) მიიღებენ შემდგომ ზომებს საბაჟო და სხვა შესაბამისი უწყებების მიერ მოთხოვნილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის სტანდარტიზაციის, გამარტივებისა და შემცირებისათვის;

(b) საქონლის სწრაფი გაშვებისა და გაფორმების უზრუნველყოფის მიზნით შეძლებისდაგვარად გაამარტივებენ მოთხოვნებსა და ფორმალურ მხარეს;

(c) საბაჟოზე წარდგენილი საქონლის მიმართ, საბაჟო ან სხვა შესაბამისი უწყების მიერ მიღებული ადმინისტრაციული ზომების, გადაწყვეტილებებისა და დადგენილებების გასაჩივრების უფლების გარანტირების მიზნით, უზრუნველყოფენ სწრაფ, ეფექტიან და არადისკრიმინაციულ პროცედურებს. აღნიშნული გასაჩივრების პროცედურები უნდა იყოს ადვილად ხელმისაწვდომი და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯი, გასაჩივრების უფლების უზრუნველყოფის მიზნით, უნდა იყოს გონივრული და უწყების მიერ გაწეული ხარჯების შესაბამისი;

(d) მიიღებენ შესაბამის ზომებს, როდესაც სადაო ადმინისტრაციული ზომები, გადაწყვეტილებები და დადგენილებები ექვემდებარება გასაჩივრებას, რათა მოხდეს საქონლის დროული გაშვება, ხოლო გადასახდელების გადახდა გადავადდეს და დაექვემდებაროს, გადახდის უზრუნველმყოფელი ღონისძიებების გატარებას. საჭიროების შემთხვევაში საქონლის გაშვება დაექვემდებარება გარანტიის წარდგენას, როგორიცაა თავდებობა ან დეპოზიტი; და

(e) უზრუნველყოფენ, კონკრეტულად საზღვარზე, კეთილსინდისიერების უმაღლესი სტანდარტების შენარჩუნებას, ამ სფეროს შესაბამის საერთაშორისო კონვენციებსა და ინსტრუმენტებში, კერძოდ, საჭიროებისამებრ მსო-ს განახლებულ არუშას 2003 წლის დეკლარაციაში და ევროკომისიის 2007 წლის საბაჟო ეთიკის სახელმძღვანელო მითითებებში ასახულ პრინციპებზე დაყრდნობით.

3. მხარეები თანხმდებიან გააუქმონ:

(a) ნებისმიერი მოთხოვნა საბაჟო ბროკერების სავალდებულო გამოყენების შესახებ;

(b) ნებისმიერი მოთხოვნა გადაზიდვამდე წინასწარი შემოწმებისა ან დანიშნულების ადგილზე შემოწმების სავალდებულო გამოყენების შესახებ

4. ტრანზიტთან დაკავშირებით:

(a) ამ შეთანხმების მიზნებისათვის გამოიყენება ტრანზიტის წესები და განმარტებები, რომლებიც განსაზღვრულია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის დებულებებით, კერძოდ 1994 წლის GATT-ის მე-5-მუხლით, და დაკავშირებული დებულებებით, ვაჭრობის ხელშეწყობასთან დაკავშირებული დოჰას მოლაპარაკებების რაუნდის შედეგად მიღებული განმარტებების და ცვლილებების ჩათვლით. აღნიშნული დებულებები ვრცელდება მაშინაც, როდესაც საქონლის ტრანზიტი იწყება ან მთავრდება მხარის ტერიტორიაზე;

(b) მომავალში საქართველოს საერთო სატრანზიტო სისტემაში[2] მონაწილეობის გათვალისწინებით, მხარეები შეეცდებიან მათი შესაბამისი საბაჟო სატრანზიტო სისტემების განვითარებადი კავშირის მიღწევას;

(c) ტრანზიტული მოძრაობის ხელშესაწყობად მხარეები უზრუნველყოფენ მათ ტერიტორიაზე არსებულ უწყებებსა და სამსახურებს შორის თანამშრომლობასა და კოორდინაციას. ტრანზიტთან მიმართებაში მხარეები ასევე შეუწყობენ ხელს სახელმწიფო უწყებებისა და კერძო სექტორის თანამშრომლობას.

მუხლი 68

ურთიერთობები ბიზნეს სექტორთან

მხარეები თანხმდებიან:

(a) უზრუნველყონ შესაბამისი კანონმდებლობის და პროცედურების გამჭვირვალობა და საჯაროობა, სადაც შესაძლებელი იქნება ელექტრონული საშუალებებით, და იქონიოს მათი მიღების შესახებ დასაბუთება. გაიმართოს რეგულარული კონსულტაციები და განისაზღვროს გონივრული დროის მონაკვეთი ახალი ან შეცვლილი დებულებების გამოქვეყნებიდან მათ ძალაში შესვლამდე.

(b) საბაჟო და ვაჭრობის საკითხებთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ინიციატივებთან და პროცედურებთან მიმართებაში სავაჭრო წარმომადგენლებთან დროული და რეგულარული კონსულტაციების გამართვის საჭიროებაზე.

(c) გაასაჯაროონ ადმინისტრაციული ხასიათის ინფორმაცია, უწყების მოთხოვნების, საქონლის შეტანის ან გატანის პროცედურების, პორტებსა და სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზე საბაჟო სამსახურების სამუშაო საათებისა და სამუშაო პროცედურების შესახებ, ასევე ინფორმაციის მოსაძიებლად საკონტაქტო ინფორმაცია.

(d) ხელი შეუწყონ ოპერატორებსა და შესაბამის უწყებებს შორის თანამშრომლობას, არადისკრეციული და საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი პროცედურების მეშვეობით, მათ შორის მსო-ს მიერ გამოქვეყნებულ პროცედურებზე დაყრდნობით; და

(e) უზრუნველყონ, რომ მათი შესაბამისი საბაჟო და საბაჟოსთან დაკავშირებული მოთხოვნები და პროცედურები პასუხობდეს სავაჭრო სექტორის კანონიერ საჭიროებებს, იხელმძღვანელონ საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებით და შეძლებისდაგვარად ნაკლებად შეზღუდონ ვაჭრობა.

მუხლი 69

მოსაკრებლები და გადასახდელები

1. მხარეები აკრძალავენ იმპორტის ან ექსპორტის გადასახადების და სხვა მოსაკრებლების ეკვივალენტური ეფექტის მქონე ადმინისტრაციულ გადასახდელებს.

2. მხარის საბაჟო უწყების, ან მისი სახელით მოქმედი სხვა უწყების მიერ იმპორტზე ან ექსპორტზე დაკისრებულ ან აღნიშნულთან დაკავშირებულ ყველა სახის მოსაკრებელთან და გადასახდელებთან მიმართებით და წინამდებარე შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) პირველი თავის (ეროვნული რეჟიმი და საქონლის ბაზარზე დაშვება) შესაბამისი დებულებებისათვის ზიანის მიყენების გარეშე:

(a) მოსაკრებლების და გადასახდელების დაკისრება შესაძლებელია მხოლოდ დეკლარანტის მოთხოვნის საფუძველზე, საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული სამუშაო პირობების, საათებისა და ადგილებისაგან განსხვავებული პირობებით, საათებში და ადგილებზე გაწეული მომსახურების განხორციელებაზე, ასევე ამ მომსახურებასთან და ასეთი იმპორტის ან ექსპორტის განხორციელებასთან დაკავშირებულ ფორმალურ მხარეებთან დაკავშირებით;

(b) მოსაკრებლების და გადასახდელების ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს მიწოდებული მომსახურების ხარჯებს;

(c) მოსაკრებლების და გადასახდელების გამოთვლა არ უნდა განხორციელდეს ადვალორულ პრინციპზე დაყრდნობით;

(d) გადასახდელების და მოსაკრებლების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება ოფიციალურად განსაზღვრული მედია საშუალების მეშვეობით, შესაძლებლობის შემთხვევაში ოფიციალურ ვებ-გვერდზე. აღნიშნული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს მიწოდებულ მომსახურებაზე დაკისრებული გადასახდელის ან მოსაკრებლის მიზნობრიობას, ინფორმაციას პასუხისმგებელი უწყების შესახებ, ინფორმაციას დასაკისრებელი გადასახდელების და მოსაკრებლების შესახებ და როდის და როგორ უნდა განხორციელდეს გადახდა;

(e) ახალი ან შეცვლილი გადასახდელების და მოსაკრებლების დაკისრება არ უნდა განხორციელდეს მანამ, სანამ აღნიშნული ინფორმაცია არ გამოქვეყნდება და არ გახდება ხელმისაწვდომი.

მუხლი 70

საბაჟო ღირებულების განსაზღვრა

1. მხარეებს შორის ვაჭრობაში, საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა მოხდება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შეთანხმების 1A დანართში აღნიშნული GATT 1994-ის მე-7 მუხლის განხორციელების შეთანხმების დებულებების მიხედვით. მისი დებულებები შესულია ამ შეთანხმებაში და წარმოადგენს მის ნაწილს. მინიმალური საბაჟო ღირებულება არ გამოიყენება.

2. მხარეები ითანამშრომლებენ, რათა მიაღწიონ ერთიან მიდგომას საბაჟო ღირებულებასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში.

მუხლი 71

საბაჟო თანამშრომლობა

მხარეები გააძლიერებენ თანამშრომლობას საბაჟო სფეროში რათა ეფექტიანი კონტროლის, უსაფრთხოების და თაღლითობის თავიდან აცილების უზრუნველყოფასთან ერთად უზრუნველყონ ამ თავში მოყვანილი მიზნების განხორციელება და ვაჭრობის შემდგომი ხელშეწყობა. აღნიშნული მიზნებისათვის მხარეები უფლებამოსილნი არიან საჭიროებისამებრ ნიმუშად გამოიყენონ ევროკომისიის საბაჟო სახელმძღვანელო რეკომენდაციები.

ამ თავში აღნიშნული დებულებების დაცვის მიზნით მხარეები, აგრეთვე:

(a) გაცვლიან ინფორმაციას საბაჟო კანონმდებლობის და პროცედურების შესახებ;

(b) განავითარებენ ერთობლივ ინიციატივებს იმპორტის, ექსპორტის და ტრანზიტის პროცედურებთან დაკავშირებით, ისევე როგორც იმუშავებენ ბიზნეს სექტორისათვის ეფექტიანი სერვისის მიწოდების მიმართულებით;

(c) ითანამშრომლებენ საბაჟოს და სხვა ვაჭრობასთან დაკავშირებული პროცედურების ავტომატიზების მიზნით;

(d) საჭიროებისამებრ გაცვლიან ინფორმაციას და მონაცემებს, კონფიდენციალურობისა და პირადი სახის ინფორმაციის დაცვის პრინციპების გათვალისწინებით;

(e) ითანამშრომლებენ საქონლით, მათ შორის თამბაქოს პროდუქტებით, უკანონო სასაზღვრო ვაჭრობასთან ბრძოლის და თავიდან აცილების მიზნით;

(f) გაცვლიან ინფორმაციას ან გამართავენ კონსულტაციებს, იქ სადაც შესაძლებელია, საბაჟო სფეროში ერთიანი პოზიციის ჩამოსაყალიბებლად ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებში როგორებიცაა, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, მსო, გაერო, გაერთიანებული ერების კონფერენცია ვაჭრობისა და განვითარების შესახებ და გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია;

(g) ითანამშრომლებენ ამ შეთანხმების შესაბამისი დებულებების მიხედვით საბაჟოსა და ვაჭრობასთან დაკავშირებული რეფორმების ხელშეწყობის მიზნით ტექნიკური დახმარების დაგეგმვისა და განხორციელების მიმართულებით;

(h) გაიზიარებენ საბაჟო ოპერაციებთან დაკავშირებულ საუკეთესო პრაქტიკას, კერძოდ რისკის მართვაზე დაფუძნებული საბაჟო კონტროლის სისტემების და ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის მიმართულებით, განსაკუთრებით ფალსიფიცირებულ საქონელთან მიმართებაში;

(i) საზღვრის გადაკვეთის პროცესის ხელშეწყობის და კონტროლის გაძლიერების მიზნით, ხელს შეუწყობენ მხარეთა ყველა სასაზღვრო უწყებას შორის კოორდინაციას, სადაც მიზანშეწონილი და შესაძლებელია საზღვრის ერთობლივი მართვის გათვალისწინებით; და

(j) სადაც მიზანშეწონილი და შესაძლებელია, უზრუნველყოფენ სავაჭრო პარტნიორობის პროგრამების და საბაჟო კონტროლის ურთიერთაღიარებას, ვაჭრობის ხელშეწყობის ეკვივალენტური ზომების ჩათვლით.

მუხლი 72

ადმინისტრაციული ურთიერთდახმარება საბაჟო საკითხებში

წინამდებარე შეთანხმებით, კერძოდ 71-ე მუხლით გათვალისწინებული თანამშრომლობის სხვა ფორმებისათვის ზიანის მიყენების გარეშე, მხარეები უზრუნველყოფენ საბაჟო საკითხებში ადმინისტრაციულ ურთიერთდახმარებას წინამდებარე შეთანხმების საბაჟო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ II ოქმის დებულებების შესაბამისად.

მუხლი 73

ტექნიკური დახმარება და შესაძლებლობათა განვითარება

ვაჭრობის ხელშეწყობისა და საბაჟო რეფორმების დანერგვის მიზნით მხარეები ითანამშრომლებენ ტექნიკური დახმარებისა და შესაძლებლობათა განვითარების უზრუნველსაყოფად.

მუხლი 74

საბაჟო ქვეკომიტეტი

1. აღნიშნული შეთანხმებით იქმნება საბაჟო ქვეკომიტეტი. ქვეკომიტეტი ანგარიშვალდებულია ამ შეთანხმების 408-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტის წინაშე.

2. ქვეკომიტეტის ფუნქციები მოიცავს რეგულარული კონსულტაციების გამართვას და მონიტორინგს ამ თავის შესრულებასა და ადმინისტრირებაზე, საბაჟო თანამშრომლობის, საზღვართშორისი საბაჟო თანამშრომლობის და მართვის, ტექნიკური დახმარების, წარმოშობის წესების, ვაჭრობის ხელშეწყობის, და საბაჟო სფეროში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების საკითხების ჩათვლით.

3. საბაჟო ქვეკომიტეტი აგრეთვე უზრუნველყოფს:

(a) წინამდებარე თავისა და I და II ოქმების შესრულებას;

(b) წინამდებარე თავისა და I და II ოქმების განხორციელების მიზნით პრაქტიკული საკითხების, ზომების და გადაწყვეტილებების მიღებას, მათ შორის ინფორმაციის და მონაცემების გაცვლის, საბაჟო კონტროლისა და სავაჭრო პარტნიორობის პროგრამების ურთიერთაღიარების და ორმხრივად შეთანხმებული სარგებლის თაობაზე;

(c) საერთო ინტერესის მქონე საკითხებზე მოსაზრებათა გაზიარებას, გასატარებელი ღონისძიებებისა და მათი გამოყენებისა და განხორციელებისათვის საჭირო რესურსების შესახებ საკითხების ჩათვლით;

(d) საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების შემუშავებას; და

(e) შიდა წესების და პროცედურების შემუშავებას.

მუხლი 75

საბაჟო კანონმდებლობის მიახლოება

წინამდებარე შეთანხმების XIII დანართის მიხედვით განხორციელდება ეტაპობრივი დაახლოება ევროკავშირის საბაჟო კანონმდებლობასთან და საერთაშორისო კანონმდებლობის ცალკეულ აქტებთან.

თავი 6

დაფუძნება, მომსახურებით ვაჭრობა და ელექტრონული კომერცია

ნაწილი 1

ზოგადი დებულებები

მუხლი 76

მიზანი, მოქმედების სფერო და გავრცელება

1. მხარეები, ადასტურებენ რა საკუთარ ვალდებულებებს ვმო-ს შეთანხმების შესაბამისად, ადგენენ საჭირო ზომებს, ნაცვალგების პრინციპით დაფუძნების და მომსახურებით ვაჭრობის თანმიმდევრული ლიბერალიზაციისათვის და თანამშრომლობისათვის ელექტრონული კომერციის სფეროში.

2. წინამდებარე შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) მე-8 თავი (საჯარო შესყიდვები) ეხება საჯარო შესყიდვებს და წინამდებარე თავში არაა განსაზღვრული საჯარო შესყიდვების შესახებ ნებისმიერი სხვა ვალდებულება

3. სუბსიდიების საკითხს ეხება წინამდებარე შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) მე-10 თავი (კონკურენცია) და ამ თავის დებულებები არ გამოიყენება მხარეების მიერ გაცემული სუბსიდიებისათვის.

4. ამ თავის დებულებების შესაბამისად, თითოეული მხარე იტოვებს უფლებას არეგულიროს და შემოიღოს ახალი რეგულაციები პოლიტიკის ლეგიტიმური მიზნების მიღწევისათვის.

5. მოცემული თავი არ გამოიყენება იმ ღონისძიებების მიმართ, რომლებიც გავლენას ახდენს მხარის დასაქმების ბაზარზე დაშვების მაძიებელ ფიზიკურ პირებზე, ასევე ეს თავი არ ეხება მოქალაქეობასთან, მუდმივ რეზიდენტობასა და დასაქმებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს.

6. ამ თავით განსაზღვრული არცერთი დებულება არ უნდა ზღუდავდეს მხარეს იმ ღონისძიებების გამოყენებისაგან, რომლებიც არეგულირებს მის ტერიტორიაზე ფიზიკური პირების შესვლას ან მათ დროებით ყოფნას, იმ ღონისძიებების ჩათვლით, რომლებიც აუცილებელია მისი საზღვრების ერთიანობის დასაცავად და მის საზღვრებზე ფიზიკური პირების მოწესრიგებული გადაადგილების უზრუნველსაყოფად, იმის გათვალისწინებით, რომ ეს ღონისძიებები არ გამოიყენება ისეთი სახით, რომ გაუბათილოს ან შეამციროს სარგებელი, რომელსაც მხარე იღებს ამ თავითა და წინამდებარე შეთანხმების XIV დანართით განსაზღვრული სპეციფიკური ვალდებულებებით[3].

ტერმინთა განმარტება

ამ თავის მიზნებისათვის:

(a) „ზომა“ გულისხმობს მხარის მიერ გამოყენებულ ნებისმიერ ზომას კანონის, რეგულაციის, წესის, პროცედურის, გადაწყვეტილების, ადმინისტრაციული ქმედების ან ნებისმიერი სხვა ფორმით;

(b) „მხარის მიერ მიღებული ან გამოყენებული ზომები“ გულისხმობს ზომებს, რომლებიც გამოიყენება:

(i) ცენტრალური, რეგიონული ან ადგილობრივი მთავრობების და ხელისუფლების მიერ; და

(ii) არასამთავრობო ორგანოების მიერ ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი მთავრობების ან ხელისუფლების მიერ დელეგირებული უფლებამოსილების შესრულების შემთხვევაში;

(c) „მხარის ფიზიკური პირი“ გულისხმობს ევროკავშირის წევრი ქვეყნის ან საქართველოს მოქალაქეს მათი შესაბამისი კანონმდებლობის თანახმად;

(d) „იურიდიული პირი“ გულისხმობს კანონმდებლობის შესაბამისად, მოგების მიღების ან სხვა მიზნებისათვის შექმნილ ან ორგანიზებულ სახელმწიფო ან კერძო იურიდიულ პირს, კორპორაციის, ტრასტის, პარტნიორობის, ერთობლივი საწარმოს, ინდივიდუალური მეწარმის ან ასოციაციის ჩათვლით;

(e) „მხარის იურიდიული პირი“ გულისხმობს (d) პუნქტით განსაზღვრულ და ევროკავშირის წევრი ქვეყნის ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებულ იურიდიულ პირს, რომელსაც გააჩნია იურიდიული მისამართი, ცენტრალური მართვის ან ფაქტობრივი საქმიანობის ადგილი ტერიტორიაზე[4], რომელზეც ვრცელდება ხელშეკრულება ევროპის კავშირის ფუნქციონირების შესახებ ან საქართველოს ტერიტორიაზე;

თუ ამ იურიდიულ პირს გააჩნია მხოლოდ იურიდიული მისამართი ან ცენტრალური ადმინისტრაცია იმ ტერიტორიაზე, რომელზეც ვრცელდება ხელშეკრულება ევროპის კავშირის ფუნქციონირების შესახებ ან საქართველოს ტერიტორიაზე, ის არ განიხილება როგორც ევროკავშირის ან საქართველოს იურიდიული პირი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მის საქმიანობას აქვს რეალური და უწყვეტი კავშირი ევროკავშირის ან საქართველოს ეკონომიკასთან;

წინა პუნქტის დებულებების მიუხედავად, გადამზიდავი კომპანიები, რომლებიც დაფუძნებულები არიან ევროკავშირის ან საქართველოს ფარგლებს გარეთ და კონტროლდებიან ევროკავშირის წევრი ქვეყნის ან საქართველოს მოქალაქეების მიერ, ასევე უნდა სარგებლობდნენ ამ შეთანხმების, თუ მათი სატრანსპორტო საშუალებები დარეგისტრირებულია ევროკავშირის წევრ ქვეყანაში ან საქართველოში კანონმდებლობის შესაბამისად და გადაადგილდება ევროკავშირის წევრი ქვეყნის ან საქართველოს დროშის ქვეშ;

(f) მხარის იურიდიული პირის „შვილობილი კომპანია“ გულისხმობს იურიდიულ პირს, რომელიც ეკუთვნის ან კონტროლდება იმ იურიდიული პირის მიერ[5];

(g) იურიდიული პირის „ფილიალი“ გულისხმობს საქმიანობის ადგილს, რომელსაც თავად არ აქვს დამოუკიდებელი სამართლებრივი სტატუსი, წარმოადგენს მუდმივ დაწესებულებას, როგორიცაა სათაო კომპანიის დანაყოფი, გააჩნია მმართველობის სტრუქტურა და არის მატერიალურად აღჭურვილი მესამე მხარეებთან საქმიანობის წარმოებისათვის, ისე, რომ ამ მესამე მხარეებისთვის ცნობილია, რომ საჭიროების შემთხვევაში შეუძლიათ ჰქონდეთ სამართლებრივი კავშირი სათაო ოფისთან, რომელიც მდებარეობს საზღვარგარეთ, თუმცა, არაა საჭირო პირდაპირი ურთიერთობის დამყარება სათაო ოფისთან, რადგან ფილიალს შეუძლია საქმიანობის წარმოება ადგილზე;

(h) „დაფუძნება“ გულისხმობს:

(i) ევროკავშირის ან საქართველოს იურიდიულ პირებთან მიმართებაში, ეკონომიკური საქმიანობის წამოწყების და განხორციელების უფლებას, იურიდიული პირის შექმნის, მათ შორის შესყიდვის გზით და/ან ფილიალის ან წარმომადგენლობის შექმნით საქართველოში ან ევროკავშირში;

(ii) ფიზიკურ პირებთან მიმართებაში, ევროკავშირის ან საქართველოს ფიზიკური პირების უფლებას, წამოიწყონ და განახორციელონ ეკონომიკური საქმიანობა, როგორც თვითდასაქმებულებმა და შექმნან მეწარმე სუბიექტები, განსაკუთრებით კომპანიები, რომლებსაც ისინი აკონტროლებენ;

(i) „ეკონომიკური საქმიანობა“ მოიცავს ინდუსტრიული, კომერციული და პროფესიული ხასიათის ღონისძიებებს და სახელობო საქმიანობას და არ მოიცავს მთავრობის ფუნქციების შესრულებისათვის განხორციელებულ ღონისძიებებს;

(j) „ღონისძიებები“ გულისხმობს ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებას;

(k) „მომსახურება“ მოიცავს მომსახურებას ნებისმიერ სექტორში, მთავრობის ფუნქციების შესრულებისათვის მიწოდებული

მომსახურების გარდა;

(l) „მთავრობის ფუნქციების შესრულებისათვის მომსახურების მიწოდება და სხვა ღონისძიებების გატარება“ მოიცავს მომსახურებას ან ღონისძიებებს, რომლებიც არ ხორციელდება არც კომერციული მიზნებისათვის და არც კონკურენციის პირობებში ერთ ან მეტ ეკონომიკურ ოპერატორთან;

(m) მომსახურების საზღვრებს გარეთ მიწოდება გულისხმობს მომსახურების მიწოდებას:

(i) ერთი მხარის ტერიტორიიდან მეორე მხარის ტერიტორიაზე (რეჟიმი I); ან

(ii) ერთი მხარის ტერიტორიაზე მეორე მხარის მომხმარებლისათვის (რეჟიმი II);

(n) მხარის „მომსახურების მიმწოდებელი“ გულისხმობს ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელსაც სურს მიაწოდოს ან აწვდის მომსახურებას;

(o) „მეწარმე“ გულისხმობს მხარის ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელსაც სურს განახორციელოს ან ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას დაფუძნების გზით.

ნაწილი 2

დაფუძნება

მუხლი 78

მოქმედების სფერო

ეს ნაწილი ეხება მხარეების მიერ მიღებულ ან გამოყენებულ ზომებს, რომლებიც გავლენას ახდენს დაფუძნებაზე ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფეროში, გარდა:

(a) ბირთვული მასალების მოპოვება, გადამუშავება და წარმოება[6];

(b) სამხედრო და საომარი მასალების წარმოება და ვაჭრობა;

(c) აუდიო-ვიზუალური მომსახურება;

(d) ეროვნული საზღვაო კაბოტაჟი[7], და

(e) ადგილობრივი და საერთაშორისო საჰაერო ტრანსპორტის მომსახურება[8], რეგულარული ან არარეგულარული და მომსახურება, რომელიც პირდაპირ უკავშირდება მოძრაობის უფლებების განხორციელებას, გარდა შემდეგი მომსახურებისა:

(i) თვითმფრინავის მოვლისა და შეკეთების მომსახურება, რომლის დროსაც თვითმფრინავი ამოღებულია ექსპლუატაციიდან;

(ii) საჰარეო სატრანსპორტო მომსახურების გაყიდვა და მარკეტინგი;

(iii) კომპიუტერული დაჯავშნის სისტემის(CRS) მომსახურება;

(iv) სახმელეთო მომსახურება;

(v) აეროპორტის საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურება .

მუხლი 79

ეროვნული რეჟიმი და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი

1. ამ შეთანხმების XIV-E დანართში მითითებული დათქმების გათვალისწინებით, საქართველომ, შეთანხმების ძალაში შესვლის

მომენტიდან, უნდა მიანიჭოს:

(a) ევროკავშირის შვილობილი კომპანიების, ფილიალების და იურიდიული პირების წარმომადგენლობების დაფუძნებას იმაზე არანაკლებ ხელსაყრელი რეჟიმი, ვიდრე იგი ანიჭებს საკუთარ იურიდიულ პირებს, მათ ფილიალებს და წარმომადგენლობებს ან რომელიმე მესამე ქვეყნის შვილობილ კომპანიებს, ფილიალებსა და წარმომადგენლობებს, რომელიც უფრო უკეთესი იქნება;

(b) საქართველოში ევროკავშირის შვილობილი კომპანიების, ფილიალების და იურიდიული პირების წარმომადგენლობების საქმიანობას, მათი დაფუძნების შემდეგ, იმაზე არანაკლებ ხელსაყრელი რეჟიმი, ვიდრე ანიჭებს საკუთარ იურიდიულ პირებს, მათ ფილიალებს და წარმომადგენლობებს ან რომელიმე მესამე ქვეყნის შვილობილ კომპანიებს, ფილიალებსა და წარმომადგენლობებს, რომელიც უფრო უკეთესი იქნება[9].

2. ამ შეთანხმების XIV-A დანართში მითითებული დათქმების გათვალისწინებით, ევროკავშირმა, შეთანხმების ძალაში შესვლის მომენტიდან, უნდა მიანიჭოს:

(a) საქართველოს შვილობილი კომპანიების, ფილიალებისა და იურიდიული პირების წარმომადგენლობების დაფუძნებას იმაზე არანაკლებ ხელსაყრელი რეჟიმი, ვიდრე ევროკავშირი ანიჭებს საკუთარ იურიდიულ პირებს, მათ ფილიალებს და წარმომადგენლობებს ან რომელიმე მესამე ქვეყნის შვილობილ კომპანიებს, ფილიალებს და წარმომადგენლობებს, რომელიც უფრო უკეთესი იქნება;

(b) ევროკავშირში საქართველოს შვილობილი კომპანიების, ფილიალებისა და იურიდიული პირების წარმომადგენლობების საქმიანობას, მათი დაფუძნების შემდეგ, იმაზე არანაკლებ ხელსაყრელი რეჟიმი, ვიდრე ანიჭებს საკუთარ იურიდიულ პირებს, მათ ფილიალებს და წარმომადგენლობებს ან რომელიმე მესამე ქვეყნის შვილობილ კომპანიებს, ფილიალებს და წარმომადგენლობებს, რომელიც იქნება უპირატესი[10].

3. ამ შეთანხმების XIV-A და XIV-E დანართებში მითითებული დათქმების გათვალისწინებით, მხარეებმა არ უნდა შემოიღონ ახალი რეგულაციები ან ზომები, რომლებიც მათ საკუთარ იურიდიულ პირებთან შედარებით გამოიწვევენ დისკრიმინაციას საქართველოს ან ევროკავშირის იურიდიული პირების დაფუძნებასთან მიმართებაში მათ ტერიტორიაზე ან მათ საქმიანობასთან მიმართებაში, დაფუძნების შემდეგ.

მუხლი 80

გადახედვა

1. დაფუძნების პირობების თანმიმდევრული ლიბერალიზაციის მიზნით, მხარეებმა რეგულარულად უნდა გადახედონ ამ ნაწილის დებულებებს და წინამდებარე შეთანხმების 79-ე მუხლით გათვალისწინებულ დათქმებს, ასევე დაფუძნების გარემოს, საერთაშორისო შეთანხმებებით გათვალისწინებული მათი ვალდებულებების შესაბამისად.

2. პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადახედვის ფარგლებში, მხარეებმა უნდა შეაფასონ დაფუძნებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ბარიერი, რომელმაც იჩინა თავი. ამ თავის დებულებების გაღრმავების მიზნით, მხარეებმა, საჭიროების შემთხვევაში, უნდა მოძებნონ შესაბამისი გზები ამ ბარიერების გადასალახად, რაც შეიძლება მოიცავდეს შემდგომ მოლაპარაკებებს, მათ შორის მოლაპარაკებებს ინვესტიციების დაცვასთან და ინვესტორისა და სახელმწიფოს დავების მოგვარების პროცედურებთან დაკავშირებით.

მუხლი 81

სხვა შეთანხმებები

ეს თავი გავლენას არ ახდენს მხარეების მეწარმეების უფლებებზე, რომლებიც მათ გააჩნიათ ინვესტიციებთან დაკავშირებული ნებისმიერი არსებული ან მომავალი საერთაშორისო შეთანხმებიდან, რომლის მხარესაც წარმოადგენს ევროკავშირის წევრი სახელმწიფო და საქართველო.

მუხლი 82

ფილიალებისა და წარმომადგენლობების მოპყრობის სტანდარტი

1. წინამდებარე შეთანხმების 79-ე მუხლის დებულებები არ ზღუდავს მხარეებს, გამოიყენონ განსაკუთრებული წესები დაფუძნებასთან და მათ ტერიტორიაზე მეორე მხარის იურიდიული პირების ფილიალებისა და წარმომადგელობების საქმიანობასთან დაკავშირებით, რომლებიც არ არიან დარეგისტრირებულნი პირველი მხარის ტერიტორიაზე. ეს განსხვავებული წესები უნდა იყოს დასაბუთებული იმ ტექნიკური ან სამართლებრივი განსხვავებებით, რომლებიც არსებობს ამ ფილიალებსა და წარმომადგენლობებს და იმ იურიდიული

პირების ფილიალებსა და წარმომადგენლობებს შორის, რომლებიც რეგისტრირებულია მხარის ტერიტორიაზე ან ფინანსურ მომსახურებასთან მიმართებაში, გამომდინარეობს გონივრული მიზეზებიდან.

2. განსხვავებული რეჟიმი არ უნდა გასცდეს იმ ფარგლებს, რაც უკიდურესად აუცილებელია სამართლებრივი და ტექნიკური თვალსაზრისით ფინანსური სერვისების კუთხით, გონივრული დასაბუთების საფუძველზე.

ნაწილი 3

მომსახურების საზღვრებს გარეთ მიწოდება

მუხლი 83

მოქმედების სფერო

ეს ნაწილი ეხება მხარეების მიერ გატარებულ ზომებს, რომლებიც გავლენას ახდენს მომსახურების საზღვრებს გარეთ მიწოდებაზე მომსახურების ყველა სექტორში, გარდა შემდეგისა:

(a) აუდიო-ვიზუალური მომსახურება;

(b) ეროვნული საზღვაო კაბოტაჟი[11] და,

(c) ადგილობრივი და საერთაშორისო საჰაერო ტრანსპორტის მომსახურება[12], რეგულარული ან არარეგულარული და მომსახურება, რომელიც პირდაპირ უკავშირდება მოძრაობის უფლებების განხორციელებას, გარდა შემდეგი მომსახურებისა:

(i) თვითმფრინავის მოვლის და შეკეთების მომსახურება, რომლის დროსაც თვითმფრინავი ამოღებულია ექსპლუატაციიდან;

(ii) საჰარეო სატრანსპორტო მომსახურების გაყიდვა და მარკეტინგი;

(iii) კომპიუტერული დაჯავშნის სისტემის (CRS) მომსახურება;

(iv) სახმელეთო მომსახურება;

(v) აეროპორტის საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურება.

მუხლი 84

ბაზარზე დაშვება

1. მომსახურების საზღვრებს გარეთ მიწოდების მეშვეობით ბაზარზე დაშვებასთან მიმართებაში, თითოეულმა მხარემ მეორე მხარის მომსახურებას და მომსახურების მიმწოდებლებს უნდა მიანიჭოს იმაზე არანაკლებ ხელსაყრელი რეჟიმი, ვიდრე ეს არის განსაზღვრული ამ შეთანხმების XIV-B და XIV-F დანართებში არსებული სპეციფიკური ვალდებულებებით.

2. იმ სექტორებში, სადაც მხარეები იღებენ ბაზარზე დაშვების ვალდებულებებს, მხარეებმა არ უნდა განაგრძონ ან წამოიწყონ შემდეგი ზომების გატარება, არც რეგიონულ საფუძველზე და არც ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს არის მოცემული წინამდებარე შეთანხმების XIV-B და XIV-F დანართებში:

(a) შეზღუდვები მომსახურების მიმწოდებლების რაოდენობაზე, რაოდენობრივი კვოტების, მონოპოლიების, მომსახურების ექსკლუზიური მიმწოდებლების ან ეკონომიკური საჭიროებების ტესტის მოთხოვნების ფორმით;

(b) შეზღუდვები მომსახურებასთან დაკავშირებული გარიგებების ან აქტივების მთლიან ღირებულებაზე, რაოდენობრივი კვოტების ან ეკონომიკური საჭიროებების ტესტის მოთხოვნის ფორმით;

(c) შეზღუდვები მომსახურების ოპერაციების მთლიან რაოდენობაზე ან წარმოებული მომსახურების მთლიან რაოდენობაზე, გამოსახულს დადგენილ რაოდენობრივ ერთეულებში კვოტების ან ეკონომიკური საჭიროებების ტესტის მოთხოვნის ფორმით.

მუხლი 85

ეროვნული რეჟიმი

1. შეთანხმების XIV-B და XIV-F დანართებში მოცემულ სექტორებში, სადაც ბაზარზე დაშვების ვალდებულებები გაწერილია და ექვემდებარება მოცემულ საერთო და საკვალიფიკაციო პირობებს, თითოეულმა მხარემ ყველა ღონისძიებაზე, რომელიც გავლენას ახდენს მომსახურების საზღვრებს გარეთ მიწოდებაზე, მეორე მხარის მომსახურებასა და მომსახურების მიმწოდებლებს უნდა მიანიჭოს იმაზე არანაკლებ ხელსაყრელი რეჟიმი, ვიდრე ის ანიჭებს საკუთარ მსგავს მომსახურებასა და მომსახურების მიმწოდებლებს.

2. მხარემ შეიძლება შეასრულოს პირველი პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნები მეორე მხარის მომსახურებისთვის ან მომსახურების მიმწოდებლებისათვის ფორმალურად იდენტური ან ფორმალურად განსხვავებული რეჟიმის მინიჭებით, იმასთან შედარებით, რასაც ის ანიჭებს საკუთარ მსგავს მომსახურებას და მომსახურების მიმწოდებლებს.

3. ფორმალურად იდენტური ან ფორმალურად განსხვავებული რეჟიმი უნდა ჩაითვალოს ნაკლებ ხელსაყრელად, თუ ის ცვლის კონკურენციის პირობებს ერთი მხარის მომსახურების ან მომსახურების მიმწოდებლების სასარგებლოდ, მეორე მხარის მსგავს მომსახურებასთან ან მომსახურების მიმწოდებლებთან შედარებით.

4. ამ მუხლით განსაზღვრული სპეციფიკური ვალდებულებები არ უნდა იქნას გაგებული ისე, რომ ნებისმიერ მხარეს მოეთხოვოს კონკურენციის არსებული შეზღუდვიდან გამომდინარე შედეგების ანაზღაურება, რომელიც განპირობებულია შესაბამისი მომსახურების და მომსახურების მიმწოდებლების უცხოური ხასიათით.

მუხლი 86

ვალდებულებების ჩამონათვალი

ბაზარზე დაშვებისა და ეროვნული რეჟიმის შეზღუდვები, რომელიც ვრცელდება მეორე მხარის მომსახურებასა და მომსახურების მიმწოდებლებზე, ამ ნაწილისა და შესაბამისი ვალდებულებების შესაბამისად თითოეული მხარის მიერ ლიბერალიზებულ სექტორებში, განსაზღვრულია ვალდებულებების ჩამონათვალში, რომელიც მოცემულია წინამდებარე შეთანხმების XIV-B და XIV-F დანართებში.

მუხლი 87

გადახედვა

მხარეებს შორის მომსახურების საზღვრებს გარეთ მიწოდების თანმიმდევრული ლიბერალიზაციის მიზნით, ამ შეთანხმების 408-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულმა ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტმა რეგულარულად უნდა გადახედოს ამ შეთანხმების 86-ე მუხლით განსაზღვრული ვალდებულებების ჩამონათვალს. გადახედვისას გათვალისწინებული უნდა იყოს წინამდებარე შეთანხმების 103-ე, 113-ე, 122-ე და 126-ე მუხლებით განსაზღვრული ეტაპობრივი დაახლოების პროცესი და მისი გავლენა მხარეებს შორის მომსახურების საზღვრებს გარეთ მიწოდებაზე არსებული ბარიერების გაუქმებაზე.

ნაწილი 4

ფიზიკური პირების დროებითი წარმომადგენლობა საქმიანი მიზნებისთვის

მუხლი 88

მოქმედების სფერო და ტერმინთა განმარტება

1. ეს ნაწილი ეხება მხარეების მიერ გატარებულ ზომებს მათ ტერიტორიებზე ძირითადი პერსონალის, სტაჟიორების, ბიზნესის გამყიდველების, საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლების და დამოუკიდებელი პროფესიონალების შესვლასთან და დროებით ყოფნასთან დაკავშირებით, წინამდებარე შეთანხმების 76-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად.

2. ამ ნაწილის მიზნებისათვის:

(a) „ძირითადი პერსონალი“ გულისხმობს ერთი მხარის იურიდიულ პირში, გარდა არამომგებიანი ორგანიზაციისა[13], დასაქმებულ ფიზიკურ პირებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან დაფუძნებაზე ან მეწარმე სუბიექტის კონტროლზე, ადმინისტრირებასა და საქმიანობაზე. „ძირითადი პერსონალი“ მოიცავს „ბიზნეს ვიზიტორებს“ დაფუძნების მიზნებისათვის და „კორპორაციის შიგნით გადაადგილებულ პირებს“.

(i) „ბიზნეს ვიზიტორები“ დაფუძნების მიზნებისათვის გულისხმობს ფიზიკურ პირებს, რომლებიც მუშაობენ მაღალ თანამდებობაზე და პასუხისმგებელნი არიან მეწარმე სუბიექტის დაფუძნებაზე. ისინი არ სთავაზობენ ან უწევენ ვინმეს მომსახურებას, აგრეთვე არ ერთვებიან სხვა რაიმე სახის ეკონომიკურ საქმიანობაში, გარდა იმისა, რაც საჭიროა დაფუძნების მიზნებისათვის. ისინი არ იღებენ ანაზღაურებას მიმღებ მხარეში არსებული წყაროდან.

(ii) „კორპორაციის შიგნით გადაადგილებული პირები“ გულისხმობს ფიზიკურ პირებს, რომლებიც დასაქმებულები არიან იურიდიულ პირში ან იყვნენ მისი პარტნიორები არანაკლებ 1 წლის განმავლობაში და რომლებიც დროებით არიან მივლენილები მეწარმე სუბიექტში, რომელიც შეიძლება იყოს მეორე მხარის ტერიტორიაზე საწარმოს/იურიდიული პირის შვილობილი კომპანია, ფილიალი ან სათავო კომპანია. აღნიშნული ფიზიკური პირი უნდა მიეკუთვნებოდეს ერთ-ერთ შემდეგ კატეგორიას:

(1) მენეჯერები: იურიდიულ პირში მაღალ თანამდებობაზე მომუშავე პირები, რომლებსაც ზოგად ზედამხედველობას ან მართვას უწევს დირექტორთა საბჭო ან აქციათა მფლობელები ან მათი ეკვივალენტური სტრუქტურა, და ამავე დროს ეს პირები ახორციელებენ მეწარმე სუბიექტის მართვას, რაც მოიცავს:

- მეწარმე სუბიექტის, დეპარტამენტის ან ქვედანაყოფის მართვას;

- სხვა ზედამხედველების, პროფესიონალების ან მაღალი თანამდებობის პირების საქმიანობის ზედამხედველობას ან კონტროლს; და

- პერსონალურ უფლებამოსილებას სამსახურში აყვანაზე ან გაშვებაზე, ან რეკომენდაციის გაწევას სამსახურში აყვანაზე, გაშვებაზე ან პერსონალთან დაკავშირებულ სხვა ქმედებებზე;

(2) სპეციალისტები: იურიდიულ პირში მომუშავე პირები, რომლებსაც გააჩნიათ მეწარმე სუბიექტის წარმოების, კვლევებისათვის საჭირო მოწყობილობების, ტექნიკის, პროცესების, პროცედურების ან მართვის შესაბამისი ცოდნა. ამგვარი ცოდნის შეფასებისას, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული არა მხოლოდ მოცემული მეწარმე სუბიექტისთვის აუცილებელი სპეციფიკური ცოდნა, არამედ ის ფაქტიც, აქვს თუ არა პირს კვალიფიკაციის მაღალი დონე გარკვეული ტიპის სამუშაოსთან ან ვაჭრობასთან მიმართებაში, რომელიც მოითხოვს სპეციფიკურ ტექნიკურ განათლებას, მათ შორის აკრედიტებული პროფესიის წევრობას.

(b) „სტაჟიორები“ გულისხმობს ერთი მხარის იურიდიული პირის ან მისი ფილიალის მიერ არანაკლებ ერთი წლის ვადით დასაქმებულ ფიზიკურ პირებს, რომლებიც ფლობენ უნივერსიტეტის დიპლომს და არიან დროებით მივლენილები მეორე მხარეში ამ იურიდიული პირის მიერ დაფუძნებულ მეწარმე სუბიექტში, კარიერული განვითარების მიზნით ან ბიზნესის ტექნიკაში ან მეთოდებში ტრეინინგის მიღების მიზნით[14].

(c) „ბიზნესის გამყიდველები“[15] გულისხმობს ერთი მხარის მომსახურების ან საქონლის მიმწოდებლის წარმომადგენელ ფიზიკურ პირებს, რომელთაც სურთ შესვლა და დროებითი ყოფნა მეორე მხარის ტერიტორიაზე მომსახურების ან საქონლის გაყიდვაზე მოლაპარაკებების წარმოების მიზნით, ან ამ მიმწოდებლისთვის მომსახურების ან საქონლის გაყიდვაზე ხელშეკრულების დადების მიზნით. ისინი არ ერთვებიან საზოგადოებისათვის პირდაპირ მიყიდვაში, არ ღებულობენ ანაზღაურებას მიმღებ მხარეში არსებული წყაროდან და არ წარმოადგენენ კომისიის აგენტებს.

(d) „საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები“ გულისხმობს ფიზიკურ პირებს, დასაქმებულებს ერთი მხარის იურიდიულ პირში, რომელიც თავის მხრივ არ წარმოადგენს პერსონალის დასაქმების ან მომსახურების მიწოდების სააგენტოს და არ მოქმედებს ასეთი სააგენტოს მეშვეობით. ეს იურიდიული პირი არ არის დაფუძნებული მეორე მხარის ტერიტორიაზე და გაფორმებული აქვს რეალური კონტრაქტი მეორე მხარის საბოლოო მომხმარებლისათვის მომსახურების მიწოდებისათვის, რაც მოითხოვს მისი დასაქმებულების მეორე მხარეში დროებით ყოფნას მომსახურების მიწოდებისათვის კონტრაქტის შესრულების მიზნით.

(e) „დამოუკიდებელი პროფესიონალები“ გულისხმობს ისეთ ფიზიკურ პირებს, რომლებიც ჩართულები არიან მომსახურების

მიწოდებაში და დაფუძნებულები არიან თვითდასაქმებულის ფორმით ერთ-ერთ მხარეში, არ არიან დაფუძნებულები მეორე მხარეში და გაფორმებული აქვთ რეალური კონტრაქტი (გარდა პერსონალის დასაქმების ან მომსახურების მიწოდების სააგენტოს მეშვეობით გაფორმებული კონტრაქტებისა) მეორე მხარეში საბოლოო მომხმარებლისათვის მომსახურების მიწოდების მიზნით, რომელიც მოითხოვს მათ დროებით ყოფნას ამ მხარეში მომსახურების მიწოდებისათვის კონტრაქტის შესრულების მიზნით.

(f) „კვალიფიკაციები“ გულისხმობს დიპლომებს, სერტიფიკატებს ან (ფორმალური კვალიფიკაციის დამადასტურებელ) სხვა დოკუმენტებს, რომლებიც გაცემულია კანონმდებლობით, მარეგულირებელი ან ადმინისტრაციული წესით განსაზღვრული უწყების მიერ და ადასტურებს პროფესიული ტრეინინგის წარმატებით დასრულებას.

მუხლი 89

ძირითადი პერსონალი და სტაჟიორები

1. იმ სექტორებში, სადაც ვალდებულება აღებულია ამ თავის მე-2 ნაწილის (დაფუძნება) და ამ შეთანხმების XIV-A და XIV-E დანართებით ან, ამ შეთანხმების XIV-C და XIV-G დანართებით განსაზღვრული დათქმების შესაბამისად, თითოეულმა მხარემ უნდა დართოს ნება მეორე მხარის მეწარმეებს, რომ მათ, მათ მიერ დაფუძნებულ მეწარმე სუბიექტში დაასაქმონ ამ მეორე მხარის ფიზიკური პირები, სადაც, ეს დასაქმებულები წარმოადგენენ ძირითად პერსონალს ან სტაჟიორებს, წინამდებარე შეთანხმების 88-ე მუხლის შესაბამისად. ძირითადი პერსონალის ან სტაჟიორების დროებითი შემოსვლა და დროებითი ყოფნა შესაძლებელია პერიოდით, რომელიც არ აღემატება 3 წელიწადს კორპორაციის შიგნით გადაადგილებული პირებისათვის, 90 დღეს ნებისმიერ 12-თვიან პერიოდში ბიზნეს ვიზიტორებისათვის დაფუძნების მიზნით და 1 წელიწადს სტაჟიორებისათვის.

2. ყველა იმ სექტორებში, სადაც ვალდებულება აღებულია მოცემული თავის მე-2 ნაწილის (დაფუძნება) შესაბამისად, ის ზომები, რომლებსაც არ იყენებს ან არ იღებს მხარე რეგიონული დაყოფის საფუძველზე და მთელს ტერიტორიაზე, როცა სხვაგვარად არ არის განსაზღვრული წინამდებარე შეთანხმების XIV-C და XIV-G დანართებით, განხილება, როგორც შეზღუდვები მეწარმის მიერ დასასაქმებელი ფიზიკური პირების საერთო რაოდენობაზე, რომლებიც წარმოადგენენ ძირითად პერსონალს და სტაჟიორებს კონკრეტულ სექტორებში, რაოდენობრივი კვოტის ან ეკონომიკური საჭიროებების ტესტის მოთხოვნის ფორმით, და აგრეთვე დისკრიმინაციულ შეზღუდვებად.

მუხლი 90

ბიზნესის გამყიდველები

იმ სექტორებში, სადაც ვალდებულება აღებულია ამ თავის მე-2 ნაწილის (დაფუძნება) ან მე-3 ნაწილის (საზღვრებს გარეთ მიწოდება) და ამ შეთანხმების XIV-A, XIV-E დანართებით და XIV-B და XIV-F დანართებით განსაზღვრული დათქმების შესაბამისად, თითოეულმა მხარემ უნდა დართოს ნება ბიზნესის გამყიდველებს, შემოვიდნენ და დროებით დარჩნენ არაუმეტეს 90 დღის განმავლობაში ნებისმიერ 12-თვიან პერიოდში.

მუხლი 91

საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები

1. მხარეები ადასტურებენ მათ ვალდებულებებს, რომლებიც გამომდინარეობს გენერალური შეთანხმებიდან მომსახურებით ვაჭრობის შესახებ (GATS), საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლების შესვლასთან და დროებით ყოფნასთან მიმართებაში. ამ შეთანხმების XIV-D და XIV-H დანართების შესაბამისად, თითოეულმა მხარემ უნდა დართოს ნება მეორე მხარის საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლებს, მიაწოდონ მომსახურება მათ ტერიტორიაზე, ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული პირობების გათვალისწინებით.

2. მხარეების მიერ აღებული ვალდებულებები ექვემდებარება შემდეგ პირობებს:

(a) ფიზიკური პირები, როგორც იმ იურიდიული პირის დასაქმებულები, რომელმაც მიიღო მომსახურების კონტრაქტი არაუმეტეს 12 თვის ვადით, დროებით უნდა იყვნენ ჩართულები მომსახურების მიწოდებაში;

(b) ფიზიკურმა პირებმა, რომლებიც შედიან მეორე მხარეში, უნდა შესთავაზონ მომსახურება როგორც იურიდიული პირის დასაქმებულებმა, რომელიც აწვდის მომსახურებას მეორე მხარეში, შესვლისათვის განაცხადის წარდგენამდე არანაკლებ 1 წლის განმავლობაში. ამასთან ერთად, მეორე მხარეში შესვლისათვის განაცხადის წარდგენის მომენტისათვის, ფიზიკურ პირებს უნდა გააჩნდეთ არანაკლებ სამწლიანი პროფესიული გამოცდილება[16] საქმიანობის იმ სექტორში, რომელიც კონტრაქტის საგანს წარმოადგენს;

(c) ფიზიკურ პირებს, რომლებიც შედიან მეორე მხარეში, უნდა გააჩნდეთ:

i) უნივესტიტეტის დიპლომი ან ეკვივალენტური დონის[17] ცოდნის დამადასტურებელი კვალიფიკაცია და

ii) პროფესიული კვალიფიკაცია, სადაც ის არის მოთხოვნილი საქმიანობის განხორციელებისათვის იმ მხარის კანონების, რეგულაციების ან სამართლებრივი მოთხოვნების შესაბამისად, რომელშიც ხდება მომსახურების მიწოდება;

(d) ფიზიკურმა პირმა არ უნდა მიიღოს ანაზღაურება მეორე მხარეში მომსახურების მიწოდებისათვის, გარდა მისი დამსაქმებელი იურიდიული პირისაგან მიღებული ანაზღაურებისა.

(e) ფიზიკური პირის მხარეში შესვლა და დროებითი ყოფნა არ უნდა აღემატებოდეს სულ ექვსთვიან პერიოდს ან ლუქსემბურგის შემთხვევაში, 25 კვირას ნებისმიერი 12 თვის განმავლობაში ან კონტრაქტის მოქმედების ვადას, რომელიც უფრო ნაკლები იქნება;

(f) ამ მუხლის დებულებებით განსაზღვრული დაშვება უკავშირდება მხოლოდ კონტრაქტით განსაზღვრულ მომსახურებას და არ გულისხმობს იმ მხარის პროფესიული წოდების გამოყენებას, რომელშიც ხდება მომსახურების მიწოდება;

(g) მომსახურების კონტრაქტით განსაზღვრულ პირთა რაოდენობა არ უნდა იყოს იმაზე მეტი, ვიდრე საჭიროა კონტრაქტის შესრულებისათვის, როგორც ეს შეიძლება მოთხოვნილი იყოს იმ მხარის კანონებით, რეგულაციებით ან სხვა სამართლებრივი მოთხოვნებით, რომელშიც ხდება მომსახურების მიწოდება.

მუხლი 92

დამოუკიდებელი პროფესიონალები

1. ამ შეთანხმების XIV-D და XIV-H დანართების შესაბამისად, მხარეებმა უნდა დართონ ნება მათ ტერიტორიაზე მეორე მხარის დამოუკიდებელ პროფესიონალებს მომსახურების მიწოდებაზე, ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით.

2. მხარეების მიერ აღებული ვალდებულებები ექვემდებარება შემდეგ პირობებს:

(a) ფიზიკური პირები დროებით უნდა იყვნენ ჩართულები მომსახურების მიწოდებაში, როგორც მეორე მხარეში თვითდასაქმებულები და უნდა გააჩნდეთ მომსახურების კონტრაქტი, რომლის ხანგრძლივობა არ აღემატება 12 თვეს;

(b) ფიზიკური პირები მეორე მხარეში შესვლისათვის განაცხადის წარდგენის მომენტისათვის უნდა ფლობდნენ არანაკლებ ექვსწლიან პროფესიულ გამოცდილებას საქმიანობის იმ სექტორში, რომელიც კონტრაქტის საგანს წარმოადგენს;

(c) ფიზიკურ პირებს, რომლებიც შედიან მეორე მხარეში, უნდა გააჩნდეთ:

(i) უნივერსიტეტის დიპლომი ან შესაბამისი დონის[18] ცოდნის დამადასტურებელი კვალიფიკაცია და

(ii) პროფესიული კვალიფიკაცია, სადაც ის არის მოთხოვნილი საქმიანობის განხორციელებისათვის იმ მხარის კანონების, რეგულაციების ან სამართლებრივი მოთხოვნების შესაბამისად, სადაც ხდება მომსახურების მიწოდება;

(d) ფიზიკური პირის მხარეში შესვლა და დროებითი ყოფნა არ უნდა აღემატებოდეს ექვსთვიან მთლიან პერიოდს ან ლუქსემბურგის შემთხვევაში, 25 კვირას ნებისმიერ 12-თვიან პერიოდში ან კონტრაქტის მოქმედების ვადას, რომელიც უფრო ნაკლები იქნება;

(e) ამ მუხლის დებულებებით განსაზღვრული დაშვება უკავშირდება მხოლოდ კონტრაქტით განსაზღვრულ მომსახურებას და არ გულისხმობს იმ მხარის პროფესიული წოდების გამოყენებას, რომელშიც ხდება მომსახურების განხორციელება.

ნაწილი 5

საკანონმდებლო რეგულირება

ქვენაწილი 1

შიდა რეგულირება

მუხლი 93

მოქმედების სფერო და ტერმინთა განმარტება

1. შემდეგი წესები მოქმედებს მხარეების მიერ გამოყენებულ ზომებზე, რომელიც უკავშირდება ლიცენზირების მოთხოვნებსა და პროცედურებს, საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და პროცედურებს, რომლებიც გავლენას ახდენს:

(a) მომსახურების საზღვრებს გარეთ მიწოდებაზე;

(b) მათ ტერიტორიაზე იურიდიული და ფიზიკური პირების დაფუძნებაზე, ამ შეთანხმების 77-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად; და

(c) მათ ტერიტორიაზე ფიზიკური პირების კატეგორიების დროებით ყოფნაზე, ამ შეთანხმების 88-ე მუხლის მე-2 პუნქტის ა-ე ქვეპუნქტების შესაბამისად.

2. მომსახურების საზღვრებს გარეთ მიწოდების შემთხვევაში, ეს წესები უნდა გავრცელდეს მხოლოდ იმ სექტორებზე, რომლებზეც მხარეებმა აიღეს სპეციფიკური ვალდებულებები და იმ მასშტაბით, რომლითაც ეს სპეციფიკური ვალდებულებები ვრცელდება ამ შეთანხმების XIV-B და XIV-F დანართების შესაბამისად. დაფუძნების შემთხვევაში, ეს წესები არ უნდა გავრცელდეს სექტორებზე იმ მასშტაბით, როგორც ეს არის განსაზღვრული შესაბამისი დათქმებით ამ შეთანხმების XIV-A და XIV-E დანართების შესაბამისად. ფიზიკური პირების დროებითი წარმომადგენლობის შემთხვევაში, ეს წესები არ ვრცელდება სექტორებზე იმ მასშტაბით, როგორც ეს არის განსაზღვრული შესაბამისი დათქმებით ამ შეთანხმების XIV-C, XIV-D, XIV-G და XIV-H დანართების შესაბამისად.

3. ეს წესები არ უნდა გამოიყენებოდეს ზომების მიმართ, იმის გათვალისწინებით, რომ ისინი წარმოადგენენ შეზღუდვებს ამ შეთანხმების შესაბამისი დანართების მიხედვით.

4. ამ ნაწილის მიზნებისათვის:

(a) „ლიცენზირების მოთხოვნები“ წარმოადგენს არსებით მოთხოვნებს, განსხვავებულს საკვალიფიკაციო მოთხოვნებისაგან, რომლებთანაც ფიზიკური ან იურიდიული პირი ვალდებულია იყოს შესაბამისობაში, რათა მიიღოს, შეცვალოს ან განაახლოს ავტორიზაცია საქმიანობის განსახორციელებლად, როგორც განსაზღვრულია პირველი პუნქტის ა-გ ქვეპუნქტებში.

(b) „ლიცენზირების პროცედურები“ წარმოადგენს ადმინისტრაციულ ან პროცედურულ წესებს, რომლებიც ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა, რომელსაც სურს ავტორიზაციის მიღება, მათ შორის ლიცენზიის შეცვლა ან განახლება საქმიანობის განხორციელების მიზნით, განსაზღვრული პირველი პუნქტის ა-გ ქვეპუნქტებში, უნდა დაიცვას, რათა დაადასტუროს ლიცენზიის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

(c) „საკვალიფიკაციო მოთხოვნები“ გულისხმობს იმ ძირითად მოთხოვნებს, რომელიც უკავშირდება სერვისის მიწოდებისათვის საჭირო ფიზიკური პირის კომპეტენციას და რომლის ჩვენებაც საჭიროა მომსახურეობის მიწოდებისათვის ავტორიზაციის მოსაპოვებლად

(d) „საკვალიფიკაციო პროცედურები“ წარმოადგენს ადმინისტრაციულ ან პროცედურულ წესებს, რომლებიც ფიზიკურმა პირმა უნდა დაიცვას, რათა დაამტკიცოს მისი საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობა მომსახურების მიწოდებისათვის საჭირო ავტორიზაციის ნებართვის მოსაპოვებლად.

(e) „კომპეტენტური ორგანო“ მოიცავს ნებისმიერ ცენტრალურ, რეგიონულ ან ადგილობრივ მთავრობებს და ხელისუფლებას ან არასამთავრობო ორგანოს ცენტრალური ან რეგიონული ან ადგილობრივი მთავრობების ან ხელისუფლების მიერ დელეგირებული უფლებამოსილების შემსრულებელს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას მომსახურების მიწოდებისათვის ავტორიზაციის გაცემაზე მათ შორის მომსახურების გარდა სხვა ეკონომიკურ საქმიანობისთვის დაფუძნების ან დაფუძნებისათვის საჭირო ავტორიზაციის გაცემასთან დაკავშირებით.

მუხლი 94

ლიცენზირებისა და კვალიფიკაციის პირობები

1. თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ ლიცენზირების მოთხოვნებთან და პროცედურებთან, საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან და პროცედურებთან დაკავშირებული ღონისძიებები დაეფუძნოს კრიტერიუმებს, რომლებიც ხელს უშლის კომპეტენტურ ორგანოებს თვითნებური ფორმით გამოიყენონ საკუთარი ძალაუფლება შეფასების დროს

2. პირველ პუნქტში დასახელებული კრიტერიუმები უნდა იყოს:

(a) საჯარო პოლიტიკის მიზნების თანაზომადი;

(b) ნათელი და ცალსახა;

(c) ობიექტური;

(d) წინასწარ დადგენილი;

(e) საზოგადოებისთვის წინასწარ ცნობილი;

(f) გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი.

3. ავტორიზაცია ან ლიცენზია უნდა გაიცეს მაშინვე, როცა შესაბამისი გამოკვლევის საფუძველზე დადგენილია, რომ ავტორიზაციის ან ლიცენზიის მიღების პირობები იქნა დაკმაყოფილებული.

4. თითოეულმა მხარემ უნდა გამოიყენოს ან შექმნას სასამართლო, საარბიტრაჟო ან ადმინისტრაციული ორგანოები ან პროცედურები, რომლებიც დაზარალებული მეწარმეების ან მომსახურების მიმწოდებლების მოთხოვნის საფუძველზე, განახორციელებენ დაფუძნებაზე, საზღვრებს გარეთ მომსახურების მიწოდებაზე ან საქმიანი მიზნებისათვის ფიზიკური პირების დროებით წარმომადგენლობაზე გავლენის მქონე ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების დაუყოვნებლივ განხილვას და იქ, სადაც გამართლებულია, გაითვალისწინონ მათი გამოსწორებისათვის საჭირო შესაბამისი ღონისძიებების შემოღება. იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი პროცედურები დამოუკიდებელი არ არის იმ უფლებამოსილი ორგანოსაგან, რომელიც იღებს ასეთ ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებებს, მხარე უზრუნველყოფს, რომ ეს პროცედურები, პრაქტიკულად, ითვალისწინებდეს ობიექტურ და მიუკერძოებელ განხილვას.

5. იმ შემთხვევაში, როცა მოცემული საქმიანობის განხორციელებისათვის ლიცენზიების რაოდენობა არის შეზღუდული არსებული ბუნებრივი რესურსების ან ტექნიკური შესაძლებლობის სიმწირის გამო, თითოეულმა მხარემ უნდა გამოიყენოს პოტენციური კანდიდატების შერჩევის პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს მიუკერძოებლობისა და გამჭვირვალობის სრულ გარანტიას, მათ შორის, ადეკვატურ საჯაროობას პროცედურის დაწყების, განხორციელების და დასრულების შესახებ.

6. ამ მუხლის დებულებების შესაბამისად, შერჩევის პროცედურის წესების დადგენისას, თითოეულ მხარეს შეუძლია მხედველობაში მიიღოს საჯარო პოლიტიკის მიზნები, მათ შორის, ჯანმრთელობა, უსაფრთხოება, გარემოს დაცვა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება.

მუხლი 95

ლიცენზირებისა და საკვალიფიკაციო პროცედურები

1. ლიცენზირებისა და საკვალიფიკაციო პროცედურები და ფორმალური მხარე უნდა იყოს გასაგები, უნდა გამოქვეყნდეს წინასწარ და განმცხადებლებს უნდა ჰქონდეთ გარანტია, , რომ მათი განაცხადი განიხილება ობიექტურად და მიუკერძოებლად.

2. ლიცენზირებისა და საკვალიფიკაციო პროცედურები, ასევე ფორმალური მხარე უნდა იყოს რაც შეიძლება მარტივი და ზედმეტად არ უნდა გაართულოს ან შეაფერხოს მომსახურების განხორციელება. ნებისმიერი სალიცენზიო მოსაკრებელი[19], რომელიც შეიძლება დაეკისროს განმცხადებლებს მათი განაცხადიდან გამომდინარე, უნდა იყოს გონივრული და შესაბამისი ავტორიზაციის პროცედურის ხარჯის პროპორციული.

3. თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ ლიცენზირების ან ავტორიზაციის პროცესში კომპეტენტური ორგანოს მიერ გამოყენებული პროცედურები და მიღებული გადაწყვეტილებები იყოს მიუკერძოებელი ყველა განმცხადებლის მიმართ. კომპეტენტურმა ორგანომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება დამოუკიდებლად და არ უნდა იყოს ანგარიშვალდებული იმ მომსახურების რომელიმე მიმწოდებლის წინაშე, რომლისთვისაც საჭიროა ლიცენზიის ან ავტორიზაციის მიღება.

4. იმ შემთხვევაში, როდესაც განაცხადების მიღებისთვის დაწესებულია სპეციფიკური პერიოდი, განმცხადებელს უნდა მიეცეს განაცხადის წარდგენისათვის გონივრული ვადა. კომპეტენტურმა ორგანომ უნდა წამოიწყოს განაცხადის დამუშავება ზედმეტი შეფერხების გარეშე. სადაც შესაძლებელია, განაცხადები უნდა იქნას მიღებული ელექტრონული ფორმით აუთენტურობის იგივე პირობებით, რაც არსებობს განაცხადის წერილობითი ფორმით წარდგენის შემთხვევაში.

5. თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ განაცხადის დამუშავება, მათ შორის საბოლოო გადაწყვეტილების მიღება, მოხდეს დასრულებული განაცხადის წარდგენიდან გონივრულ ვადაში. თითოეული მხარე მიზნად ისახავს განაცხადის დამუშავებისთვის გონივრული ვადის დაწესებას.

6. კომპეტენტურმა ორგანომ, იმ განაცხადის მიღებიდან, რომელსაც ის მიიჩნევს არასრულად, გონივრული ვადაში უნდა შეატყობინოს განმცხადებელს შესაძლებლობის ფარგლებში, რომ მან განაცხადის დასრულების მიზნით წარადგინოს დამატებითი ინფორმაცია და მისცეს მას საშუალება გამოასწოროს უზუსტობები.

7. სადაც შესაძლებელია, აუთენტური ასლები უნდა იქნას მიღებული ორიგინალი დოკუმენტების ნაცვლად.

8. თუ კომპეტენტურმა ორგანომ უარი თქვა განაცხადის მიღებაზე, განმცხადებელი დროულად უნდა იქნას ინფორმირებული წერილობითი ფორმით. მოთხოვნის შემთხვევაში, განმცხადებელი ასევე უნდა იქნას ინფორმირებული განაცხადის მიღებაზე უარის

თქმის მიზეზებისა და გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადების შესახებ.

9. თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ ლიცენზია ან ავტორიზაცია, მისი გაცემის შემდეგ, ძალაში შედის შეფერხების გარეშე განსაზღვრული ვადების და პირობების შესაბამისად.

ქვენაწილი 2

ზოგადი დებულებები

მუხლი 96

ორმხრივი აღიარება

1. ამ თავის დებულებები არ უნდა ზღუდავდეს მხარეს, რომ მოითხოვოს ფიზიკური პირებისაგან მომსახურების მიწოდების ტერიტორიაზე მოთხოვნილი საჭირო კვალიფიკაციის და/ან პროფესიული გამოცდილების ფლობა საქმიანობის შესაბამის სექტორთან მიმართებაში.

2. თითოეულმა მხარემ უნდა წაახალისოს მათ ტერიტორიებზე შესაბამისი პროფესიული ორგანოები, ამ შეთანხმების 408-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტისთვის ორმხრივ აღიარებაზე რეკომენდაციების წარდგენისაკენ, მეწარმეებისა და მომსახურების მიმწოდებლების მიერ, მთლიანად ან ნაწილობრივ, იმ კრიტერიუმების შესრულების მიზნით, რომელიც თითოეული მხარის მიერ გამოიყენება მეწარმეების და მომსახურების მიმწოდებლების და განსაკუთრებით, პროფესიული მომსახურების მიმწოდებლების ავტორიზაციის, ლიცენზირების, საქმიანობის და სერტიფიცირებისათვის.

3. მეორე პუნქტში მითითებული რეკომენდაციების მიღებისას, ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტმა გონივრულ ვადაში უნდა განიხილოს ეს რეკომენდაცია იმ მიზნით, რომ დაადგინოს მისი შესაბამისობა ამ შეთანხმებასთან და არსებული ინფორმაციის საფუძველზე შეაფასოს:

(a) თითოეული მხარის მიერ, მომსახურების მიმწოდებლებისა და მეწარმეების ავტორიზაციის, ლიცენზირების, საქმიანობის და სერტიფიცირებისათვის გამოყენებული სტანდარტების და კრიტერიუმების დაახლოება და;

(b) ორმხრივი აღიარების შეთანხმების პოტენციური ეკონომიკური ღირებულება.

4. იმ შეთხვევაში, როდესაც ეს მოთხოვნები არის დაკმაყოფილებული, ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტმა უნდა გადადგას საჭირო ნაბიჯები მოლაპარაკებებისათვის და მხარეები, მათი კომპეტენტური ორგანოების მეშვეობით, უნდა ჩაერთონ მოლაპარაკებებში ორმხრივი აღიარების შეთანხმებაზე.

5. ნებისმიერი ასეთი შეთანხმება უნდა იყოს შესაბამისობაში ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შეთანხმების შესაბამის დებულებებთან და განსაკუთრებით, GATS-ის მე-7 მუხლთან.

მუხლი 97

გამჭვირვალობა დაკონფიდენციალური ინფორმაციის გასაჯაროება

1. თითოეულმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გასცეს პასუხი მეორე მხარის ყველა მოთხოვნას სპეციფიკური ინფორმაციის გაცემაზე, რომელიც ეხება მის მიერ განხორციელებულ ზოგად ღონისძიებებს ან საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომლებიც ეხება ან გავლენას ახდენს წინამდებარე შეთანხმებაზე. გარდა ამისა, თითოეულმა მხარემ უნდა შექმნას ერთი ან რამდენიმე საკონტაქტო ერთეული მეორე მხარის მეწარმეებისა და მომსახურების მიმწოდებლების მოთხოვნის საფუძველზე, მათთვის ყველა ზემოაღნიშნულ საკითხზე სპეციფიკური ინფორმაციის მიწოდების მიზნით. მხარეებმა უნდა აცნობონ ერთმანეთს შესაბამისი საკონტაქტო ერთეულების შესახებ ამ შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღიდან სამი თვის განმავლობაში. არ არის აუცილებელი, რომ აღნიშნული საკონტაქტო ერთეულები იყვნენ კანონებისა და რეგულაციების დეპოზიტარები.

2. არაფერი ამ შეთანხმებაში არ უნდა მოითხოვდეს მხარის მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის წარდგენას, რომლის გასაჯაროებამ შეიძლება გამოიწვიოს კანონის აღსრულების შეფერხება ან სხვაგვარად მოვიდეს წინააღმდეგობაში საჯარო ინტერესთან ან ზიანი მიაყენოს კონკრეტული სახელმწიფო ან კერძო საწარმოების ლეგიტიმურ კომერციულ ინტერესებს.

ქვენაწილი 3

კომპიუტერული მომსახურება

მუხლი 98

კომპიუტერულ მომსახურების გაგება

1. იმის გათვალისწინებით, რომ ვაჭრობისას კომპუტერული სერვისის ლიბერალიზაცია ხდება ამ თავის მე-2 ნაწილის (დაფუძნება), მე-3 ნაწილის (მომსახურების საზღვრებს გარეთ მიწოდება) და მე-4 ნაწილის (ფიზიკური პირების დროებითი წარმომადგენლობა საქმიანი მიზნებისთვის) მიხედვით, მხარეებმა უნდა დაიცვან ამ მუხლის 2-ე, 3-ე და 4-ე პუნქტები

2. CPC[20] 84, გაეროს კოდი, რომელიც გამოიყენება კომპიუტერული და მასთან დაკავშირებული მომსახურების აღწერისთვის, მოიცავს ძირითად ფუნქციებს, რომლებიც გამოიყენება ყველა კომპიუტერული და მასთან დაკავშირებული მომსახურების უზრუნველსაყოფად:

(a) კომპიუტერული პროგრამები განსაზღვრულია, როგორც ინსტრუქციების კომპლექტი, რომლებიც საჭიროა კომპიუტერების მუშაობისთვის და ურთიერთკავშირებისთვის (მათი განვითარების და დანერგვის ჩათვლით);

(b) მონაცემთა დამუშავების და შენახვის; და

(c) მასთან დაკავშირებული მომსახურებისთვის, როგორიცაა კლიენტის თანამშრომლების კონსულტაციები და ტრეინინგები.

ტექნოლოგიური განვითარება იწვევს ამ მომსახურების მზარდ შეთავაზებას, როგორც შესაბამისი მომსახურების პაკეტის, რომელიც შეიძლება შეიცავდეს ზოგიერთ ან ყველა ამ ძირითად ფუნქციებს. მაგალითად, ისეთი მომსახურება, როგორიცაა ვებ ან დომეინ ჰოსტინგი, მონაცემთა სიღრმისეული ანალიზი და განაწილებული გამოთვლები, თითოეული შეიცავს ძირითადი კომპიუტერული მომსახურების ფუნქციების კომბინაციებს.

3. კომპიუტერული და მასთან დაკავშირებული მომსახურება, იმის მიუხედავად არის თუ არა ის ქსელის საშუალებით, მათ შორის ინტერნეტით მიწოდებული, მოიცავს ყველა მომსახურებას, რომელიც უზრუნველყოფს:

(a) კონსულტაციას, სტრატეგიას, ანალიზს, დაგეგმარებას, სპეციფიკაციას, დიზაინს, განვითარებას, ინსტალაციას, განხორციელებას, ინტეგრაციას, ტესტირებას, გამართვას, განახლებას, მხარდაჭერას, ტექნიკურ დახმარებას ან მენეჯმენტს კომპიუტერებისთვის ან კომპიუტერული სისტემებისათვის;

(b) კომპიუტერულ პროგრამებს, განსაზღვრულს როგორც ინსტრუქციების კომპლექტი, რომელიც საჭიროა კომპიუტერების მუშაობისთვის და ურთიერთკავშირებისთვის (როგორც ასეთი), ასევე კონსულტაციას, სტრატეგიას, ანალიზს, დაგეგმარებას, სპეციფიკაციას, დიზაინს, განვითარებას, ინსტალაციას, განხორციელებას, ინტეგრაციას, ტესტირებას, გამართვას, განახლებას, ადაპტაციას, შენახვას, მხარდაჭერას, ტექნიკურ დახმარებას, კომპიუტერული პროგრამების მენეჯმენტს ან გამოყენებას; ან

(c) მონაცემთა დამუშავებას, მონაცემთა შენახვას, მონაცემთა ჰოსტინგს ან მონაცემთა ბაზების მომსახურებას; ან ოფისის დანადგარების და მოწყობილობის მოვლას და შეკეთებას, კომპიუტერების ჩათვლით; ან კლიენტის იმ თანამშრომლების ტრეინინგს, რომლებიც კავშირში არიან კომპიუტერულ პროგრამებთან, კომპიუტერებთან ან კომპიუტერულ სისტემებთან და სხვაგან არსად არიან კლასიფიცირებულნი.

4. კომპიუტერული და მასთან დაკავშირებული მომსახურება უზრუნველყოს სხვა მომსახურების (მაგალითად, საბანკო საქმიანობა) განხორციელებას როგორც ელექტრონული, ისე სხვა საშუალებებით. თუმცა, არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება მომსახურების განხორციელების საშუალებასა (მაგალითად, ვებ-ჰოსტინგი ან აპლიკაციის ჰოსტინგი) და კონტენტ ან ძირითად მომსახურებას შორის, რომელიც მიწოდებულია ელექტრონულად (მაგალითად, საბანკო საქმიანობა). ასეთ შემთხვევებში, კონტენტი ან ძირითადი მომსახურება არ იფარება CPC 84-ით.

ქვენაწილი 4

საფოსტო და საკურიერო მომსახურება

მუხლი 99

მოქმედების სფერო და განმარტებები

1. ეს ქვენაწილი ადგენს მარეგულირებელი სისტემის პრინციპებს ყველა საფოსტო და საკურიერო მომსახურებისთვის, რომელიც ლიბერალიზებულია ამ თავის მე-2 ნაწილის (დაფუძნება), მე-3 ნაწილის (მომსახურების საზღვრებს გარეთ მიწოდება) და მე-4 ნაწილის (ფიზიკური პირების დროებითი წარმომადგენლობა საქმიანი მიზნებისთვის) შესაბამისად.

2. ამ ქვენაწილის და ამ თავის მე-2 ნაწილის (დაფუძნება), მე-3 ნაწილის (მომსახურების საზღვრებს გარეთ მიწოდება) და მე-4 ნაწილის (ფიზიკური პირების დროებითი წარმომადგენლობა საქმიანი მიზნებისთვის) მიზნებისთვის:

(a) "ლიცენზია" გულისხმობს მარეგულირებელი ორგანოს მიერ ინდივიდუალური მიმწოდებელისთვის მინიჭებულ ავტორიზაციას, რომელიც მოითხოვება მომსახურების მიწოდების დაწყებამდე.

(b) „უნივერსალური მომსახურება“ გულისხმობს განსაზღვრული ხარისხის საფოსტო მომსახურების მუდმივ უზრუნველყოფას ტერიტორიის ყველა პუნქტის ყველა მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომ ფასად.

მუხლი 100

უნივერსალური მომსახურება

თითოეულ მხარეს აქვს უფლება განსაზღვროს ისეთი უნივერსალური მომსახურების ვალდებულება, როგორიც მას სურს. თავის მხრივ, ასეთი ვალდებულებები არ განიხილება როგორც ანტიკონკურენტული, იმ პირობით, რომ ისინი ადმინისტრირებულია გამჭვირვალე, არადისკრიმინაციული და ნეიტრალური წესით და არ წარმოადგენს იმაზე მეტად დამამძიმებელს, ვიდრე აუცილებელია მხარის მიერ განსაზღვრული უნივერსალური მომსახურებისთვის.

მუხლი 101

ლიცენზიები

1. ლიცენზია შეიძლება იქნეს მოთხოვნილი მხოლოდ უნივერსალური მომსახურების ფარგლებში არსებული მომსახურებისთვის.

2. იმ შემთხვევაში, როდესაც მოთხოვნილია ლიცენზია, შემდეგი საკითხები უნდა გახდეს საჯაროდ ხელმისაწვდომი:

(a) ლიცენზირების ყველა კრიტერიუმი და ვადები, რაც ჩვეულებისამებრ მოითხოვება ლიცენზიის განაცხადზე გადაწყვეტილების მისაღებად და

(b) ლიცენზიის ვადები და პირობები.

3. ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის მიზეზები განმცხადებლისთვის ცნობილი უნდა გახდეს მოთხოვნის საფუძველზე და თითოეული მხარის მიერ ჩამოყალიბდეს გასაჩივრების პროცედურა დამოუკიდებელი ორგანოს საშუალებით. ასეთი პროცედურა უნდა იყოს გამჭვირვალე, არადისკრიმინაციული და ეფუძნებოდეს ობიექტურ კრიტერიუმებს.

მუხლი 102

მარეგულირებელი ორგანოს დამოუკიდებლობა

მარეგულირებელი ორგანო უნდა იყოს იურიდიულად დამოუკიდებელი და არაანგარიშვალდებული ნებისმიერი საფოსტო და საკურიერო მომსახურების მიმწოდებლის მიმართ. მარეგულირებელი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და გამოყენებული პროცედურები უნდა იყოს მიუკერძოებელი ბაზრის ყველა მონაწილის მიმართ.

მუხლი 103

ეტაპობრივი დაახლოება

მომსახურებებით ვაჭრობის შემდგომი ლიბერალიზაციის მიზნით, მხარეები აღიარებენ საქართველოს მოქმედი და მომავალი კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოების მნიშვნელობას ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან, რომელიც მოცემულია ამ შეთანხმების XV-C დანართში.

ქვენაწილი 5

ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელები და მომსახურება

მუხლი 104

გამოყენების სფერო და ტერმინთა განმარტება

1. ეს ქვენაწილი განსაზღვრავს რეგულირების პრინციპებს ყველა ტიპის ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებისთვის, რომელიც ლიბერალიზებულია ამ თავის მე-2 ნაწილის (დაფუძნება), მე-3 ნაწილის (მომსახურების საზღვრებს გარეთ მიწოდება) და მე-4 ნაწილის (ფიზიკურ პირთა დროებითი წარმომადგენლობა საქმიანი მიზნებისათვის) შესაბამისად.

2. ამ ქვენაწილის და ამ თავის მე-2 ნაწილის (დაფუძნება), მე-3 ნაწილის (მომსახურების საზღვრებს გარეთ მიწოდება) და მე-4 ნაწილის (ფიზიკურ პირთა დროებითი წარმომადგენლობა საქმიანი მიზნებისათვის) მიზნებისათვის:

(a) "ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურება" გულისხმობს ყველა მომსახურებას, რომელიც ახორციელებს, სრულად ან ძირითადად, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით სიგნალის გადაცემას, მაუწყებლობისათვის განკუთვნილი ქსელებით სატელეკომუნიკაციო და გადაცემის მომსახურების ჩათვლით. აღნიშნული მომსახურება არ მოიცავს იმ მომსახურებას, რომელიც უზრუნველყოფს ან ახორციელებს სარედაქციო კონტროლს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების და მომსახურების გამოყენებით გადაცემულ კონტენტზე;

(b) "საერთო სარგებლობის საკომუნიკაციო ქსელი" გულისხმობს ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელს, რომელიც სრულად ან ძირითადად გამოიყენება საჯაროდ ხელმისაწვდომი ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებების მისაწოდებლად;

(c) "ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელი" გულისხმობს სიგნალების გადაცემა/გავრცელების სისტემებს, ელექტრონული საინფორმაციო სიგნალების დამუშავების ან დამისამართების მოწყობილობებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში და სხვა რესურსებს, რომლებიც ელექტრონული სიგნალების სადენიანი, რადიოსიხშირული, ოპტიკურბოჭკოვანი ან სხვა ელექტრომაგნიტური საშუალებით გავრცელების შესაძლებლობას იძლევა, მათ შორის თანამგზავრული, ფიქსირებული (არხული და პაკეტური კომუტაციის, ინტერნეტის ჩათვლით) და მიწისზედა მობილური ქსელები, ელექტრო საკაბელო სისტემები, იმ შემთხვევაში, თუ ისინი გამოიყენება ელექტრონული საკომუნიკაციო სიგნალების გავრცელების მიზნით; ქსელები, რომლებიც გამოიყენება რადიო და

ტელემაუწყებლობისთვის, საკაბელო სატელევიზიო ქსელები, იმის მიუხედავად, თუ რა სახის მონაცემთა გადაცემას ახორციელებენ;

(d) "მარეგულირებელი ორგანო" გულისხმობს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მოქმედ ორგანოს ან ორგანოებს, რომლის/რომელთა პასუხისმგებლობას წარმოადგენს ამ ქვე-ნაწილში განხილული ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების რეგულირება;

(e) მომსახურების მიმწოდებელი ჩაითვლება "მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების" მქონედ იმ შემთხვევაში, თუ მას ბაზარზე ინდივიდუალურად ან ბაზრის სხვა მონაწილესთან (მონაწილეებთან) ერთობლივად გააჩნია დომინირებულის ეკვივალენტური პოზიცია, რაც გულისხმობს ეკონომიკურ უპირატესობას, რომელიც მას საშუალებას აძლევს ბაზარზე იმოქმედოს კონკურენტებისგან, კლიენტებისგან და მომხმარებელისაგან დამოუკიდებლად;

(f) "ურთიერთჩართვა" გულისხმობს საერთო სარგებლობის ქსელების ფიზიკურ და ლოგიკურ კავშირს, რომელსაც იყენებს ერთი ან რამდენიმე ელექტრონული ქსელის ოპერატორი, რათა იმავე ან სხვა ელექტრონული ქსელის ოპერატორის მომხმარებლებს მისცეს შესაძლებლობა, დაუკავშირდეს მისსავე ან სხვა ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის მომხმარებელს, ან ისარგებლოს სხვა ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის მომსახურებით. მომსახურება შეიძლება მიწოდებული იყოს ჩართული მხარეების ან ქსელთან დაშვების მქონე სხვა მხარეების მიერ. ურთიერთჩართვა წარმოადგენს ქსელთან დაშვების სპეციფიკურ ტიპს, რომელიც ხორციელდება საერთო სარგებლობის ქსელის ოპერატორებს შორის;

(g) "უნივერსალური მომსახურება" გულისხმობს განსაზღვრული ხარისხის მომსახურების ერთობლიობას, რომელიც მისაწვდომ ფასად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა მომხმარებლისათვის მხარეთა ტერიტორიაზე, მიუხედავად მათი გეოგრაფიული ადგილმდებარეობისა. უნივერსალური მომსახურების უზრუნველყოფისა და დანერგვის ფარგლები განისაზღვრება თითოეული მხარის მიერ;

(h) "დაშვება" გულისხმობს საშუალებების და მომსახურების წვდომის უზრუნველყოფას მომსახურების სხვა მიმწოდებლისთვის, განსაზღვრული პირობებით, ექსკლუზიურად ან არაექსკლუზიურად, ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით. აღნიშნული, სხვა საკითხებთან ერთად, მოიცავს დაშვებას ქსელის ელემენტებთან და საშუალებებთან, რომელშიც შეიძლება იგულისხმებოდეს ფიქსირებული ან არაფიქსირებული საშუალებებით ტექნიკური აპარატურის კავშირი (კერძოდ წვდომა ადგილობრივი დაშვების ქსელთან და იმ ინფრასტრუქტურულ ერთეულებთან, რომლებიც საჭიროა ადგილობრივი ქსელის მეშვეობით მომსახურების უზრუნველსაყოფად); ეს მოიცავს, აგრეთვე, დაშვებას ფიზიკურ ინფრასტრუქტურასთან, მათ შორის, შენობებთან, საკანალიზაციო არხებთან, ჭებთან და ანძებთან; დაშვებას პროგრამულ უზრუნველყოფასთან, ოპერაციული სისტემების ჩათვლით; დაშვებას ნომრის ტრანსლირებასთან ან ეკვივალენტური ფუნქციის მქონე სისტემებთან; დაშვებას ფიქსირებული და მობილური საკომუნიკაციო ქსელის შესაბამის ელემენტებთან, განსაკუთრებით როუმინგული მომსახურებისთვის; დაშვებას ციფრული სატელევიზიო მომსახურების კოდირებული წვდომის სისტემებთან და ვირტუალური ქსელის მომსახურებასთან;

(i) "საბოლოო მომხმარებელი" გულისხმობს მომხმარებელს, რომელსაც არ გააჩნია საერთო სარგებლობის ქსელი ან არ უზრუნველყოფს საჯაროდ ხელმისაწვდომ ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებას;

(j) "ადგილობრივი დაშვების ქსელი" გულისხმობს ფიზიკურ არხს, რომელიც აბონენტის შენობებში განთავსებულ ფიქსირებულ საერთო სარგებლობის ქსელში ქსელის დასრულების წერტილს აკავშირებს მთავარ საკომუტაციო ან მსგავსი ტიპის აპარატურასთან.

მუხლი 105

მარეგულირებელი ორგანო

1. თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ მარეგულირებელი ორგანო იურიდიულად განცალკევებული და ფუნქციონალურად დამოუკიდებელი იყოს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ნებისმიერი მიმწოდებლისგან. თუ რომელიმე მხარე ინარჩუნებს მფლობელობას ან ახორციელებს კონტროლს ელექტრონული კომუნიკაციის ქსელების ან მომსახურების მიმწოდებელთან მიმართებით, ამ მხარემ უნდა უზრუნველყოს მარეგულირებელი ფუნქციის ეფექტური სტრუქტურული გამიჯვნა იმ საქმიანობისგან, რომელიც საკუთრებასთან ან კონტროლთან არის დაკავშირებული.

2. თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ მარეგულირებელი ორგანო საკმარისად უფლებამოსილი იყოს შესაბამისი სექტორის ეფექტიანი რეგულირებისთვის. ამოცანები, რომლებსაც ახორციელებს მარეგულირებელი ორგანო, უნდა იყოს საჯარო, საზოგადოებისთვის მარტივად და ნათლად ხელმისაწვდომი, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ფუნქციები განაწილებულია რამდენიმე უწყებას შორის.

3. თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ მარეგულირებელი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და განხორციელებული პროცედურები იყოს მიუკერძოებელი და გამჭვირვალე ბაზრის ყველა მონაწილისთვის.

4. მარეგულირებელი ორგანო უნდა იყოს უფლებამოსილი, განახორციელოს ბაზრის ანალიზი იმ შესაბამისი საქონლისა და მომსახურების ბაზრებზე, რომლებიც ექვემდებარება *ex ante* რეგულირებას. იმ შემთხვევაში, როდესაც მარეგულირებელმა ორგანომ, ამ შეთანხმების 107-ე მუხლის შესაბამისად, უნდა განსაზღვროს, დააკისროს, შეუნარჩუნოს, შეუცვალოს ან შეუჩეროს თუ არა დაკისრებული ვალდებულება, მან ბაზრის ანალიზზე დაყრდნობით უნდა დაადგინოს, არის თუ არა შესაბამისი ბაზარი კონკურენტული.

5. იმ შემთხვევაში როდესაც მარეგულირებელი ორგანო მიიჩნევს, რომ შესაბამისი ბაზარი არ არის კონკურენტული, მან უნდა დაადგინოს ამ ბაზარზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე მომსახურების მიმწოდებლები და დააკისროს, შეუნარჩუნოს ან შეასწოროს კონკრეტული ვალდებულებები ამ შეთანხმების 107-ე მუხლის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, როდესაც მარეგულირებელი ორგანო მიიჩნევს, რომ ბაზარი კონკურენტულია, მან, ამ შეთანხმების 107-ე მუხლის შესაბამისად, ბაზრის მონაწილეებს არ უნდა დააკისროს ან ძალაში დატოვოს რაიმე სახის ვალდებულება.

6. თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ მომსახურების მომწოდებლებს, რომლებსაც ეხებათ მარეგულირებელი ორგანოს გადაწყვეტილება, უფლება აქვთ გაასაჩივრონ აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო ორგანოში, რომელიც დამოუკიდებელია გადაწყვეტილებაში მონაწილე მხარეებისგან. თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ საქმის არსებითი ვითარება სრულად იქნას მიღებული მხედველობაში. გასაჩივრების შედეგის მოლოდინის პერიოდში, მარეგულირებელი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება რჩება ძალაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სააპელაციო ორგანო გადაწყვეტს სხვაგვარად. თუ სააპელაციო ორგანო არ წარმოადგენს სასამართლოს, მან უნდა წარმოადგინოს თავისი გადაწყვეტილების წერილობითი დასაბუთება და ეს გადაწყვეტილება უნდა ექვემდებარებოდეს გადახედვას მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ. სააპელაციო ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები უნდა ამოქმედდეს მიღებისთანავე.

7. იმ შემთხვევაში, როდესაც მარეგულირებელი ორგანო მიმართავს ამ ქვენაწილში განსაზღვრულ ნებისმიერ ღონისძიებას, რომელიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს შესაბამის ბაზარზე, თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ გათვალისწინებული იყოს დაინტერესებული მხარეების უფლება, გონივრულ ვადაში წარმოადგინონ თავისი კომენტარები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. მარეგულირებლებმა უნდა გამოაქვეყნონ მათი საკონსულტაციო განხილვები. საკონსულტაციო განხილვების შედეგები უნდა იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას.

8. თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების და მომსახურების მიმწოდებლებმა წარმოადგინონ ყველა სახის ინფორმაცია, მათ შორის, ფინანსური მონაცემები, რათა მარეგულირებელმა ორგანომ უზრუნველყოს გადაწყვეტილებების ამ ქვე-ნაწილთან შესაბამისობა. მიმწოდებლები ვალდებულნი არიან, დროულად, მოთხოვნისთანავე წარმოადგინონ აღნიშნული ინფორმაცია, მარეგულირებელი ორგანოს მიერ მოთხოვნილი განრიგის და დეტალების შესაბამისად. მარეგულირებელი ორგანოს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია უნდა იყოს განსახილველი საკითხის თანაზომადი. მარეგულირებელმა ორგანომ უნდა განმარტოს აღნიშნული ინფორმაციის მოთხოვნის საფუძველი.

მუხლი 106

ავტორიზაცია ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებისთვის

1. თითოეული მხარე, შესაძლებლობის ფარგლებში, უზრუნველყოფს, რომ მომსახურების მიწოდების ავტორიზაცია ხორციელდებოდეს მარტივი შეტყობინების საფუძველზე.

2. თითოეული მხარე უზრუნველყოფს ლიცენზიის შესაძლო საჭიროებას ნუმერაციისა და სიხშირეების საკითხის გადაწყვეტისას. აღნიშნული ლიცენზიის ვადები და პირობები უნდა იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი.

3. ლიცენზიის გაცემის შემთხვევაში, თითოეული მხარე უზრუნველყოფს შემდეგს:

(a) ლიცენზირების კრიტერიუმებისა და ლიცენზიასთან დაკავშირებულ განაცხადზე გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო გონივრული ვადის საჯაროობა;

(b) ლიცენზიის მინიჭებაზე უარის მიზეზი, მოთხოვნის შემთხვევაში, წერილობით უნდა ეცნობოს განმცხადებელს;

(c) იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს არსებითი საფუძვლის გარეშე უარი ეთქვა ლიცენზიის გაცემაზე, მას უნდა შეეძლოს მიმართოს სააპელაციო ორგანოს დახმარებისთვის;

(d) ლიცენზიის მოსაკრებელი[21], არ უნდა აღემატებოდეს აღნიშნული ლიცენზიის მართვის, კონტროლის და აღსრულების ადმინისტრაციულ ხარჯებს. მოცემული პუნქტი არ ითვალისწინებს რადიოსიხშირული სპექტრით და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის სალიცენზიო მოსაკრებელს.

მუხლი 107

დაშვება და ურთიერთჩართვა

1. თიოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელ ნებისმიერ პირს ჰქონდეს უფლება და ვალდებულება, აწარმოოს მოლაპარაკებები დაშვებასა და ურთიერთჩართვაზე საერთო სარგებლობის ელექტრონული კომუნიკაციების ქსელების ოპერატორებთან და მომსახურების მიმწოდებლებთან. დაშვებისა და ურთიერთჩართვის პირობები უნდა შეთანხმდეს მომსახურების მიმწოდებელ მხარეებს შორის მიმდინარე კომერციული მოლაპარაკებების საფუძველზე.

2. თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ ურთიერთჩართვის ხელშეკრულების თაობაზე მოლაპარაკებების მიმდინარეობისას მომსახურების მიმწოდებლების მიერ მოპოვებული ინფორმაცია გამოყენებული იქნას მხოლოდ დანიშნულებისამებრ და ინფორმაციის მიწოდების ან შენახვისას დაცული იქნას მისი კონფიდენციალურობა.

3. თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ თუ მომსახურების შესაბამისი ბაზარი არ არის ეფექტურად კონკურენტული ამ შეთანხმების 105-ე მუხლის შესაბამისად, მარეგულირებელ ორგანოს ჰქონდეს უფლებამოსილება, მომსახურების მიმწოდებელი ცნოს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირად და დაშვებასა და/ან ურთიერთჩართვასთან მიმართებით დააკისროს მას ერთი ან რამდენიმე ქვემოთ მითითებული ვალდებულება:

(a) დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულება იმის უზრუნველსაყოფად, რომ ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორი არსებითად მსგავს გარემოში, მსგავსი მომსახურების მიმწოდებელ სხვა ავტორიზებულ პირებს, სთავაზობს ეკვივალენტურ პირობებს და ასევე სხვა ავტორიზებულ პირებს უზრუნველყოფს იმავე ხარისხის მომსახურებით და ინფორმაციით და იმავე პირობებით, როგორც საკუთარ მომსახურებას ან მისი შვილობილი კომპანიების ან პარტნიორების მომსახურებას;

(b) ვერტიკალურად ინტეგრირებული კომპანიის ვალდებულება, გამჭვირვალე გახადოს მისი საბითუმო და შიდა ტრანსფერული ტარიფები, დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულების არსებობის და არასამართლიანი კროსსუბსიდირების თავიდან აცილების მიზნით. მარეგულირებელ ორგანოს შეუძლია განსაზღვროს ფორმატი და აღრიცხვის გამოსაყენებელი მეთოდოლოგია;

(c) ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის შესაბამის ელემენტებთან და მათთან დაკავშირებულ ტექნიკურ საშუალებებთან დაშვების და მათი გამოყენების ვალდებულება, მათ შორის, სააბონენტო წყვილებთან განცალკევებულად დაშვება, როდესაც მარეგულირებელი ორგანო თვლის, რომ დაშვებაზე უარის თქმა ან არაგონივრული პირობების შეთავაზება ხელს შეუშლის საცალო დონეზე მდგრადი, კონკურენტული ბაზრის ჩამოყალიბებას, ან არ შეესაბამება საბოლოო მომხმარებლის ინტერესებს;

მარეგულირებელი ორგანოები უფლებამოსილნი არიან, ამ პუნქტში მითითებულ ვალდებულებებს დაამატონ პირობები სამართლიანობის, გონივრულობისა და განრიგის შესახებ.

(d) მესამე მხარისათვის გადაყიდვის მიზნით საბითუმო პირობებით სპეციფიკური მომსახურების მიწოდება; ტექნიკურ ინტერფეისებთან, პროტოკოლებთან და სხვა მნიშვნელოვან ტექნოლოგიებთან თავისუფალი დაშვების უზრუნველყოფა, რაც აუცილებელია მომსახურებისა და ვირტუალური ქსელების ურთიერთთავსებადობისათვის; თანალოკაციის ფართით უზრუნველყოფა ან სხვა ტექნიკური საშუალებების გაზიარება, რაც მოიცავს კანალიზაციას, შენობებს, ანძებს; მომხმარებლისათვის მიწოდებული უწყვეტი მომსახურებების ურთიერთთავსებადობის უზრუნველყოფისათვის სპეციფიური მომსახურებების მიწოდება, ინტელექტუალური ქსელის მომსახურებისათვის საჭირო ტექნიკური საშუალებების ჩათვლით; მომსახურების მიწოდებისას კეთილსინდისიერი კონკურენციისათვის საჭირო საოპერაციო სისტემასთან ან მსგავს პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაშვება; ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ან მასთან დაკავშირებული ტექნიკური საშუალებების ურთიერთჩართვა.

მარეგულირებელი ორგანოები უფლებამოსილნი არიან, ამ პუნქტში მითითებულ ვალდებულებებს დაამატონ პირობები სამართლიანობის, გონივრულობისა და განრიგის შესახებ.

(e) ხარჯთაღრიცხვისა და ფასის კონტროლის ვალდებულება, რაც მოიცავს ფასების ხარჯზე ორიენტირებულობასა და ხარჯთაღრიცხვის სისტემასთან დაკავშირებულ ვალდებულებას, ურთიერთჩართვისა და/ან დაშვების სპეციფიკური ტიპების უზრუნველსაყოფად, ისეთი შემთხვევებისთვის, როდესაც ბაზრის ანალიზი აჩვენებს, რომ ეფექტიანი კონკურენციის ნაკლებობამ, შესაძლოა გამოიწვიოს ოპერატორის მხრიდან მაღალი ფასის დაწესება ან ფასების შემცირება, საბოლოო მომხმარებელთა საზიანოდ.

არსებული რისკების გათვალისწინებით, მარეგულირებელმა ორგანომ მხედველობაში უნდა მიიღოს ოპერატორის მიერ განხორციელებული ინვესტიცია და საშუალება მისცეს მას, მიიღოს გონივრული უკუგების განაკვეთი.

(f) ბაზრის შესაბამის პროდუქტთან/მომსახურებასთან და გეოგრაფიულ სეგმენტთან დაკავშირებით, მარეგულირებელი ორგანოს მიერ მომსახურების მიმწოდებლებზე დაწესებული სპეციფიკური ვალდებულების გამოქვეყნება. უახლესი ინფორმაცია, რომელიც არ არის კონფიდენციალური და არ მოიცავს ბიზნეს საიდუმლოებას, ყველა დაინტერესებული პირისათვის უნდა იყოს საჯარო და ადვილად ხელმისაწვდომი.

(g) ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ვალდებულება, განსაკუთრებით იმ შემთხვევისთვის, როდესაც ოპერატორს

დაკისრებული აქვს დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულება, მარეგულირებელ ორგანოს შეუძლია, მოსთხოვოს ოპერატორს, გამოაქვეყნოს დეტალური შეთავაზების წინადადება, რომელიც ბაზრის საჭიროებიდან გამომდინარე, დაყოფილი იქნება შესაბამის კომპონენტებად, ფასებისა და შესაბამისი პირობების ჩათვლით, რათა ავტორიზებულ პირს არ მოეთხოვოს ქსელის იმ ელემენტებისათვის, ტექნიკური საშუალებებისთვის ან ფუნქციონალური რესურსებისთვის დამატებითი საფასურის გადახდა, რომლებიც მას არ მოუთხოვია.

4. თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირთან ურთიერთჩართვის მსურველ ავტორიზებულ პირს საშუალება ჰქონდეს, ურთიერთჩართვის და/ან დაშვების პირობებთან არსებულ დავასთან დაკავშირებით, ნებისმიერ დროს ან საჯაროდ ცნობილი დროის შემდეგ, დახმარებისათვის მიმართოს დამოუკიდებელ ადგილობრივ ორგანოს, რომელიც, შესაძლოა, იყოს მარეგულირებელი ორგანო, როგორც განსაზღვრულია ამ შეთანხმების 104-ე მუხლის მე-2 პუნქტის „d“ ქვეპუნქტში.

მუხლი 108

შეზღუდული რესურსები

1. თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ შეზღუდული რესურსების, მათ შორის სიხშირეების, ნუმერაციის და გატარების უფლების, განაწილებისა და გამოყენების ნებისმიერი პროცედურა წარიმართოს ობიექტურად, თანასწორად, დროულად, გამჭვირვალედ და არადისკრიმინაციულად. ინფორმაცია განაწილებული და გაცემული სიხშირული დიაპაზონის შესახებ უნდა იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი. ეს მოთხოვნა არ ეხება მთავრობის სპეციალური გამოყენებისათვის განაწილებულ სიხშირულ დიაპაზონს.

2. სიხშირული სპექტრის ეფექტური და ეფექტიანი გამოყენების უზრუნველსაყოფად, თითოეული მხარე უზრუნველყოფს მათ ტერიტორიაზე, ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებისათვის განკუთვნილი რადიოსიხშირული სპექტრის ეფექტიან მართვას. იმ შემთხვევაში, როდესაც კონკრეტულ სიხშირეებზე მოთხოვნა აღემატება მათ ხელმისაწვდომობას, აღნიშნული სიხშირეები უნდა განაწილდეს სათანადო და გამჭვირვალე პროცედურის დაცვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას ამ სიხშირეების გამოყენების ოპტიმიზაცია და კონკურენციის განვითარების ხელშეწყობა.

3. თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ ეროვნული ნუმერაციის რესურსის მინიჭება და ეროვნული ნუმერაციის გეგმის მართვა დაევალოს მარეგულირებელ ორგანოს.

4. როდესაც სახელმწიფო ან ადგილობრივი უწყება ინარჩუნებს საკუთრებას ან ახორციელებს კონტროლს საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების და/ან მომსახურების ოპერატორზე, უნდა მოხდეს ეფექტური გამიჯვნა იმ სტრუქტურულ ერთეულებს შორის, რომელსაც ექნება უფლების მინიჭების და საკუთრების ან კონტროლთან დაკავშირებული საქმიანობების განხორციელების უფლება-მოსილება.

მუხლი 109

უნივერსალური მომსახურება

1. თითოეულ მხარეს უფლება აქვს, განსაზღვროს უნივერსალური მომსახურების ვალდებულების სახეები, რომლის დანერგვაც მას სურს.

2. ეს ვალდებულება თავისთავად არ ჩაითვლება ანტიკონკურენტულად, თუ მისი ადმინისტრირება ხორციელდება გამჭვირვალედ, ობიექტურად და არადისკრიმინაციულად. ასეთი ვალდებულების ადმინისტრირება ნეიტრალური უნდა იყოს, ასევე, კონკურენციის კუთხით და არ უნდა იყოს მხარის მიერ განსაზღვრული უნივერსალური მომსახურების პირობებზე მძიმე.

3. თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ ყველა მიმწოდებელს ჰქონდეს უნივერსალური მომსახურების უზრუნველყოფის უფლება და არც ერთი მიმწოდებელი არ უნდა იყოს წინასწარ გამორიცხული. შერჩევა უნდა განხორციელდეს ეფექტიანი, გამჭვირვალე, ობიექტური და არადისკრიმინაციული მექანიზმით. საჭიროების შემთხვევაში, თითოეულ მხარეს შეუძლია შეაფასოს, წარმოადგენს თუ არა უნივერსალური მომსახურება ამ მომსახურების გაწევისთვის შერჩეული კომპანიისთვის (კომპანიებისთვის) დამატებით ტვირთს. დასაბუთებულ გათვლებზე დაყრდნობით და იმ მარკეტინგული უპირატესობის გათვალისწინებით, რაც, შესაძლოა, დროთა განმავლობაში მოიპოვოს უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელმა კომპანიამ (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მარეგულირებელმა ორგანომ, შესაძლოა, განსაზღვროს, არის თუ არა საჭირო მომსახურების მიმწოდებლის (მიმწოდებლების) კომპენსირების ან უნივერსალური მომსახურების ვალდებულების შესრულების წმინდა ხარჯის გაყოფის მექანიზმების ამოქმედება.

4. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი სააბონენტო ცნობარი, დაბეჭდილი ან ელექტრონული ფორმით, თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ ორგანიზაციებმა, რომლებიც აქვეყნებენ ასეთ ცნობარებს, მათთვის სხვა ორგანიზაციებიდან მიწოდებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით დაიცვან არადისკრიმინაციის პრინციპი.

მუხლი 110

ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების საზღვრებს გარეთ უზრუნველყოფა

არცერთ მხარეს არ აქვს უფლება მოსთხოვოს მეორე მხარის მომსახურების მიმწოდებელს, დააფუძნოს მეწარმე სუბიექტი ან იყოს მისი ტერიტორიის რეზიდენტი, მომსახურების საზღვრებს გარეთ მიწოდების მიზნებისათვის.

მუხლი 111

ინფორმაციის კონფიდენციალურობა

თითოეული მხარე უზრუნველყოფს ელექტრონული კომუნიკაციებისა და მასთან დაკავშირებული საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის და საჯაროდ ხელმისაწვდომი საკომუნიკაციო მომსახურების ტრაფიკის მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვას, მომსახურებით ვაჭრობის შეზღუდვის გარეშე.

მუხლი 112

დავები მომსახურების მიმწოდებლებს შორის

1. თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ ელექტრონული კომუნიკაციების ქსელების ან მომსახურების მიმწოდებლებს შორის, ამ ნაწილში განხილულ უფლებებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებით წამოჭრილი დავის მოგვარება, ერთ-ერთი მხარის მიერ მიმართვის შემთხვევაში, მოხდება შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოს მიერ შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილების მიღების გზით, შესაძლოდ მოკლე ვადაში და ნებისმიერ შემთხვევაში არაუგვიანეს ოთხი თვისა.

2. მარეგულირებელი ორგანოს გადაწყვეტილება უნდა იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი, თუმცა, უნდა იყოს დაცული ბიზნეს კონფიდენციალურობა. ელექტორნული კომუნიკაციების ქსელების და მომსახურების შესაბამის მიმწოდებლებს ამომწურავად უნდა ეცნობოთ გადაწყვეტილების მიღების საფუძვლები.

3. იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი დავა ეხება მომსახურების საზღვრებს გარეთ მიწოდებას, შესაბამისმა მარეგულირებელმა ორგანოებმა, დავის გადასაწყვეტად უნდა იმოქმედონ კოორდინირებულად.

მუხლი 113

ეტაპობრივი დაახლოება

მომსახურებით ვაჭრობის შემდგომი ლიბერალიზაციის მიზნით, მხარეები აღიარებენ საქართველოს მოქმედი და მომავალი კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოების აუცილებლობას ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან, რომელიც მოცემულია ამ შეთანხმების XV-B დანართში.

ქვენაწილი 6

ფინანსური მომსახურება

მუხლი 114

მოქმედების სფერო და ტერმინთა განმარტება

1. ეს ქვენაწილი განსაზღვრავს რეგულირების პრინციპებს ყველა ტიპის ფინანსური მომსახურებისთვის, რომელიც ლიბერალიზებულია წინამდებარე თავის მე-2 ნაწილის (დაფუძნება), მე-3 ნაწილის (მომსახურების საზღვრებს გარეთ მიწოდება) და მე-4 ნაწილის (ფიზიკურ პირთა დროებითი წარმომადგენლობა საქმიანი მიზნებისათვის) შესაბამისად.

2. ამ ქვენაწილის და ამ თავის მე-2 (დაფუძნება), მე-3 (მომსახურების საზღვრებს გარეთ მიწოდება) და მე-4 (ფიზიკურ პირთა დროებითი წარმომადგენლობა საქმიანი მიზნებისათვის) ნაწილების მიზნებისთვის:

(a) „ფინანსური მომსახურება“ გულისხმობს მხარის ფინანსური მომსახურების მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებულ ნებისმიერ ფინანსური ხასიათის მომსახურებას. ფინანსური მომსახურება მოიცავს შემდეგ საქმიანობებს:

(i) დაზღვევა და დაზღვევასთან დაკავშირებული მომსახურება:

(1) პირდაპირი დაზღვევა (მათ შორის თანადაზღვევა):

(a) სიცოცხლის;

(b) არა-სიცოცხლის;

(2) გადაზღვევა და რეტროცესია;

(3) სადაზღვევო შუამავლობა, როგორიცაა საბროკერო და სააგენტო მომსახურება; და

(4) დაზღვევის დამხმარე მომსახურება, როგორიცაა საკონსულტაციო, აქტუარული, რისკის შეფასებისა და ზარალის დარეგულირების მომსახურება.

(ii) საბანკო და სხვა ფინანსური მომსახურება (გარდა დაზღვევისა):

(1) საზოგადოებისგან დეპოზიტებისა და სხვა დაბრუნებადი სახსრების მიღება;

(2) ყველა სახის კრედიტების გაცემა, მათ შორის, სამომხმარებლო კრედიტი, იპოთეკური კრედიტი, ფაქტორინგი და კომერციული საქმიანობის დაფინანსება;

(3) ფინანსური ლიზინგი;

(4) ყველა სახის საგადახდო და ფულადი გადარიცხვის მომსახურება, მათ შორის, საკრედიტო და სადებეტო ბარათები, სამგზავრო ჩეკები და საბანკო ჩეკები;

(5) გარანტიები და პირობითი ვალდებულებები;

(6) საკუთარი ან კლიენტთა სახსრებით ბირჟაზე თუ ბირჟის გარეთ ვაჭრობა შემდეგი ინსტრუმენტებით:

(a) ფულადი ბაზრის ინსტრუმენტები (მათ შორის ჩეკები, ობლიგაციები, სადეპოზიტო სერტიფიკატები)

(b) უცხოური ვალუტა;

(c) დერივატივები, რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება ფიუჩერსებითა და ოპციონებით;

(d) გაცვლითი კურსის და საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტები, მათ შორის, სვოპ და ფორვარდულ განაკვეთზე კონტრაქტები;

(e) მიმოქცევადი ფასიანი ქაღალდები;

(f) სხვა სავაჭრო ინსტრუმენტები და ფინანსური აქტივები, მათ შორის, ზოდები.

(7) მონაწილეობა ყველა სახის ფასიანი ქაღალდის გამოშვებაში, მათ შორის, ანდერრაითინგსა და განთავსებაში აგენტის სტატუსით (საჯარო თუ კერძო შეთავაზების გზით) და ზემოაღნიშნულთან დაკავშირებული სხვა მომსახურების მიწოდებაში;

(8) საშუამავლო მომსახურება ფულადი ინსტრუმენტების ბაზარზე;

(9) აქტივების მართვა, როგორიცაა ნაღდი ფულის ან პორტფელის მართვა, ყველა სახის კოლექტიური ინვესტიციის მართვა, საპენსიო ფონდის მართვა, კასტოდიანური, დეპოზიტარული და სატრასტო მომსახურება;

(10) ანგარიშსწორებისა და კლირინგის მომსახურება ფინანსური აქტივებისათვის, მათ შორის ფასიანი ქაღალდებისათვის, დერივატივებისა და სხვა სავაჭრო ინსტრუმენტებისათვის.

(11) ფინანსური ინფორმაციის მიწოდება და გადაცემა, ფინანსური მონაცემების დამუშავება და მასთან დაკავშირებული პროგრამული უზრუნველყოფა.

(12) საკონსულტაციო, საშუამავლო და სხვა დამხმარე ფინანსური მომსახურება ყველა იმ საქმიანობასთან დაკავშირებით, რომელიც ჩამოთვლილია 1-11 ქვეპუნქტებში, მათ შორის, საკრედიტო მდგომარეობის შემოწმება და ანალიზი, ინვესტიციებისა და პორტფელის გამოკვლევა და კონსულტაცია, კონსულტაცია შესყიდვებთან და კორპორაციულ რესტრუქტურიზაციასთან და სტრატეგიასთან დაკავშირებით.

(b) „ფინანსური მომსახურების მიმწოდებელი“ გულისხმობს მხარის ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელსაც სურს მიაწოდოს ან აწვდის ფინანსურ მომსახურებას. ტერმინი „ფინანსური მომსახურების მიმწოდებელი“ არ მოიცავს საჯარო უწყებას.

(c) „საჯარო უწყება“ გულისხმობს:

(i) მხარის მთავრობას, ცენტრალურ ბანკს ან მონეტარულ ორგანოს, ან უწყებას, რომელსაც ფლობს ან აკონტროლებს მხარე, რომელიც ძირითადად ახორციელებს სამთავრობო ფუნქციებს ან საქმიანობებს სამთავრობო მიზნებისათვის, გარდა უწყებისა, რომლის ძირითადი საქმიანობაა ფინანსური მომსახურების მიწოდება კომერციული პირობებით; ან

(ii) კერძო კომპანია, რომელიც ასრულებს იმ ფუნქციებს, რომლებსაც ჩვეულებრივ ცენტრალური ბანკი ან მონეტარული ორგანო ახორციელებს, ამ ფუნქციების შესრულებისას.

(d) „ახალი ფინანსური მომსახურება“ გულისხმობს ფინანსური ხასიათის მომსახურებას, მათ შორის არსებულ ან ახალ პროდუქციასთან დაკავშირებულ მომსახურებას, ან მიწოდების ისეთ სახეს, რომლის დროსაც ხდება იმ პროდუქტის მოწოდება, რომლის მიმწოდებელი არის არა ამ მხარის, არამედ მეორე მხარის ტერიტორიის ფინანსური მიმწოდებელი.

მუხლი 115

გონივრული გამონაკლისი

1. თითოეულმა მხარემ გონივრული მიზნებისათვის შეიძლება შემოიღოს ან გამოიყენოს ისეთი ზომები, როგორიცაა:

(a) ინვესტორების, დეპოზიტარების, პოლისების მფლობელების ან იმ პირების დაცვა, რომელთა მიმართაც ფინანსური მომსახურების მიმწოდებელს აქვს ვალდებულება;

(b) მხარის ფინანსური სისტემის მთლიანობის და სტაბილურობის უზრუნველყოფა.

2. ეს ზომები არ უნდა იყოს უფრო დამამძიმებელი, ვიდრე საჭიროა დასახული მიზნის მისაღწევად და არ უნდა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსური მომსახურების მიმწოდებლის დისკრიმინაცია საკუთარი ფინანსური მომსახურების მიმწოდებლებთან შედარებით.

3. არაფერი ამ შეთანხმებაში არ უნდა იქნას გაგებული ისე, რომ მოსთხოვოს მხარეს ინდივიდუალური მომხმარებლების საქმეებისა და ანგარიშების შესახებ ინფორმაციის ან საჯარო დაწესებულებების განკარგულებაში არსებული კონფიდენციალური ან კერძო საკუთრების ინფორმაციის გამჟღავნება.

მუხლი 116

ეფექტიანი და გამჭვირვალე რეგულირება

1. თითოეული მხარე მაქსიმალურად ეცდება, რომ დაინტერესებულ პირებს წინასწარ წარუდგინოს ინფორმაცია იმ ზოგადი გამოყენების ზომების შესახებ, რომლის მიღებასაც გეგმავს მხარე, მასზე კომენტარების გაკეთების მიზნით. აღნიშნული უნდა განხორციელდეს:

(a) ოფიციალური გამოქვეყნების გზით; ან

(b) სხვა წერილობითი ან ელექტრონული ფორმით.

2. თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს დაინტერესებული პირების ინფორმირება იმ მოთხოვნების შესახებ, რომელიც საჭიროა ფინანსური მომსახურების მიწოდების მიზნით განცხადების შესავსებად.

განმცხადებლის მოთხოვნის საფუძველზე, შესაბამისმა მხარემ უნდა შეატყობინოს განმცხადებელს განცხადების სტატუსის შესახებ. თუ შესაბამისი მხარე მოითხოვს დამატებით ინფორმაციას განმცხადებლისგან, აღნიშნულის შესახებ განმცხადებელს უნდა ეცნობოს ზედმეტი დაყოვნების გარეშე.

3. თითოეული მხარე მაქსიმალურად ეცდება, რომ უზრუნველყოს საკუთარ ტერიტორიაზე, ფინანსური მომსახურების სექტორის რეგულირების და ზედამხედველობის, გადასახადების გადაუხდელობასა და არიდებასთან ბრძოლის საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების გამოყენება. ასეთი საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტებია, მათ შორის, ბაზელის კომიტეტის „საბანკო სექტორის ეფექტიანი ზედამხედველობის ძირითადი პრინციპები“, დაზღვევის ზედამხედველების საერთაშორისო ასოციაციის „დაზღვევის ძირითადი პრინციპები“, ფასიანი ქაღალდების რეგულატორთა საერთაშორისო ორგანიზაციის „ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველობის ამოცანები და პრინციპები“, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) „შეთანხმება გადასახადებთან დაკავშირებით ინფორმაციის გაცვლაზე“, დიდი ოცეულის (G20) „საგადასახო ინფორმაციის გაცვლისა და გამჭვირვალობის დებულება“ და ფინანსური მოქმედების სამუშაო ჯგუფის „ორმოცი რეკომენდაცია ფულის გათეთრებაზე“ და „ცხრა სპეციალური რეკომენდაცია ტერორიზმის დაფინანსებაზე“.

მხარეები, ასევე, მხედველობაში იღებენ დიდი შვიდეულის ქვეყნების ფინანსთა მინისტრების მიერ გამოქვეყნებულ „ინფორმაციის გაცვლის ათ ძირითად პრინციპს“ და მიიღებენ ზომებს ორმხრივ ურთიერთობებში მათი გამოყენებისათვის.

მუხლი 117

ახალი ფინანსური მომსახურება

თითოეულმა მხარემ ნება უნდა დართოს მეორე მხარის ფინანსური მომსახურების მიმწოდებელს მიაწოდოს ისეთი ახალი ტიპის მომსახურება, რომლის განხორციელების უფლებასაც ის მისცემდა საკუთარ ფინანსური მომსახურების მიმწოდებელს მსგავს შემთხვევაში, ადგილობრივი კანონმდებლობის ფარგლებში. მხარეს შეუძლია განსაზღვროს იურიდიული ფორმა, რომლის საშუალებითაც შეიძლება მომსახურების მიწოდება, და ასევე შეუძლია მოითხოვოს ავტორიზაცია მომსახურების გაწევაზე. როდესაც ავტორიზაცია არის სავალდებულო, გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული გონივრულ ვადებში და მასზე უარის თქმა შეიძლება მხოლოდ გონივრული მიზნებიდან გამომდინარე.

მუხლი 118

მონაცემთა დამუშავება

1. თითოეულმა მხარემ ნება უნდა დართოს მეორე მხარის ფინანსური მომსახურების მიმწოდებელს, გადააგზავნოს ინფორმაცია ელექტრონული ან სხვა ფორმით მისი ტერიტორის ფარგლებში ან ტერიტორიის მიღმა მოცემული ინფორმაციის დამუშავების მიზნით, რაც საჭიროა მომსახურების მიმწოდებლის ბიზნესის ჩვეულებრივი სამუშაო რეჟიმის უზრუნველსაყოფად.

2. თითოეულმა მხარემ უნდა მიიღოს ადეკვატური დაცვის მექანიზმები ინდივიდუალური პირების კონფიდენციალურობის, თავისუფლებისა და ფუნდამენტური უფლებების დაცვის მიზნით, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება პერსონალური ინფორმაციის გადაცემას.

მუხლი 119

განსაკუთრებული გამონაკლისები

1. ამ თავში არაფერი უნდა იქნას გაგებული ისე, რომ ხელი შეუშალოს მხარეს, მათ შორის საჯარო უწყებებს, საკუთარ ტერიტორიაზე ექსკლუზიურად განახორციელოს საქმიანობა ან იმ მომსახურების მიწოდება, რომელიც წარმოადგენს საჯარო საპენსიო სქემის ან სოციალური დაცვის კანონით განსაზღვრული სქემის ნაწილს, გარდა ადგილობრივი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც ფინანსური მომსახურების მიმწოდებლის მიერ მომსახურების მიწოდება ნებადართულია საჯარო უწყებებთან ან კერძო მიმწოდებლებთან კონკურენციის პირობებში.

2. მოცემული შეთანხმება არ ეხება ცენტრალური ბანკის ან მონეტარული ორგანოს ან სხვა ნებისმიერ საჯარო უწყების მიერ მონეტარული ან გაცვლითი კურსების პოლიტიკის ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებებს.

3. ამ თავში არაფერი უნდა იქნას გაგებული ისე, რომ ხელი შეუშალოს მხარეს, მათ შორის საჯარო უწყებებს, საკუთარ ტერიტორიაზე

ექსკლუზიურად განახორციელოს საქმიანობა ან მომსახურების მიწოდება, მხარის ან მისი საჯარო უწყებების ფინანსური რესურსების ან გარანტიის გამოყენებით.

მუხლი 120

თვითრეგულირებადი ორგანიზაციები

როდესაც მხარე მეორე მხარის ფინანსური მომსახურების მიმწოდებლისაგან მოითხოვს ნებისმიერი თვითრეგულირებადი ორგანოს, ფასიანი ქაღალდების, ფიუჩერსული ბირჟის ან ბაზრის, საკლირინგო სააგენტოს ან სხვა ნებისმიერი ორგანიზაციის ან ასოციაციის წევრობას, მონაწილეობას ან მასზე წვდომას იმ მიზნით, რომ მეორე მხარის ფინანსური მომსახურების მიმწოდებელმა მიაწოდოს ფინანსური მომსახურება ამ მხარის ფინანსური მომსახურების მიმწოდებლებთან თანაბარ პირობებში, ან როდესაც მხარე მსგავს ერთეულებს პირდაპირ ან არაპირდაპირ ანიჭებს უპირატესობას ან პრივილეგიებს ფინანსური მომსახურების მიწოდების დროს, მხარემ უნდა უზრუნველყოს ამ შეთანხმების 79-ე და 85-ე მუხლებით გათვალისწინებული შესაბამისი ვალდებულებების დაცვა.

მუხლი 121

კლირინგისა და საგადახდო სისტემები

იმ ვადებითა და პირობებით, რომლებიც ანიჭებს ეროვნულ რეჟიმს, თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს მის ტერიტორიაზე დაფუძნებული მეორე მხარის ფინანსური მომსახურების მიმწოდებლისთვის საჯარო უწყებების მიერ მართული საგადახდო და საკლირინგო სისტემების ხელმისაწვდომობა, და ასევე წვდომა ოფიციალური დაფინანსებისა და რეფინანსირების სახსრებზე, რომლებიც ხელმისაწვდომია ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას. მოცემული მუხლის მიზანი არ არის წვდომის დაშვება მხარის ბოლო ინსტანციის კრედიტორის სახსრებთან.

მუხლი 122

ეტაპობრივი დაახლოება

მომსახურებით ვაჭრობის შემდგომი ლიბერალიზაციის მიზნით მხარეები აღიარებენ საქართველოს მოქმედი და მომავალი კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოების აუცილებლობას საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტებთან, რომელიც მოცემულია ამ შეთანხმების 116-ე მუხლის მე-3 პუნქტში და ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან, რომელიც წარმოდგენილია ამ შეთანხმების XV-A დანართში.

ქვენაწილი 7

სატრანსპორტო მომსახურება

მუხლი 123

მოქმედების სფერო

წინამდებარე ქვენაწილი ადგენს საერთაშორისო სატრანსპორტო მომსახურების ლიბერალიზაციის პრინციპებს ამ თავის მე-2 ნაწილის (დაფუძნება), მე-3 ნაწილის (მომსახურების საზღვრებს გარეთ მიწოდება) და მე-4 ნაწილის (ფიზიკური პირების დროებითი წარმომადგენლობა საქმიანი მიზნებისთვის) შესაბამისად.

მუხლი 124

საერთაშორისო საზღვაო ტრანსპორტი

1. წინამდებარე ქვენაწილის და ამ თავის მე-2 ნაწილის (დაფუძნება), მე-3 ნაწილის (მომსახურების საზღვრებს გარეთ მიწოდება) და მე-4 ნაწილის (ფიზიკური პირების დროებითი წარმომადგენლობა საქმიანი მიზნებისთვის) მიზნებისთვის:

(a) ,,საერთაშორისო საზღვაო ტრანსპორტი" მოიცავს სატრანსპორტო ოპერაციებს ერთი პუნქტიდან მეორე პუნქტის მიმართულებით და მულტიმოდალურ სატრანსპორტო ოპერაციებს, რაც წარმოადგენს ერთზე მეტი სატრანსპორტო სახეობის მეშვეობით ერთიანი სატრანსპორტო დოკუმენტით ტვირთების გადაზიდვას ზღვის გამოყენებით და ამ მიზნით, უფლებას უშუალოდ დაიდოს ხელშეკრულება ტრანსპორტის სხვა სახეობის მომწოდებლებთან.

(b) ,,საზღვაო სატვირთო მომსახურება" გულისხმობს სტივიდორული კომპანიების, მათ შორის ტერმინალის ოპერატორების საქმიანობას, მაგრამ არ მოიცავს დოკერების უშუალო საქმიანობას, როდესაც ეს მუშახელი ორგანიზებულია სტივიდორული ან ტერმინალის ოპერატორი კომპანიებისაგან დამოუკიდებლად. მითითებული საქმიანობა მოიცავს შემდეგი ქმედებების ორგანიზებასა და ზედამხედველობას:

(i) ტვირთის დატვირთვა/გადმოტვირთვა გემზე/გემიდან;

(ii) ტვირთის შეკვრა/გახსნა;

(iii) ტვირთის მიღება/გადაცემა და შენახვა გადაზიდვამდე ან გადმოტვირთვის შემდეგ;

(c) ,,საბაჟო შემოწმების მომსახურება" (ან „საბაჟო საბროკერო მომსახურება") გულისხმობს მეორე მხარის სახელით განხორციელებულ საბაჟო პროცედურებს, რომლებიც უკავშირდება იმპორტს, ექსპორტს ან ტვირთის გადაზიდვას, მიუხედავად იმისა, აღნიშნული მომსახურება მომსახურების მიმწოდებლის ძირითად თუ დამატებით საქმიანობას წარმოადგენს;

(d) ,,საკონტეინერო სადგური და სასაწყობე მომსახურება" გულისხმობს საქმიანობას, რომელიც შედგება კონტეინერების განთავსებისაგან როგორც ნავსადგურის ტერიტორიაზე, ასევე ხმელეთზე მათი შევსების/დაცლის, შეკეთებისა და გადაზიდვისათვის მომზადების მიზნით;

(e) „საზღვაო სააგენტოს მომსახურება" გულისხმობს საქმიანობას, რომელიც მოიცავს მოცემულ გეოგრაფიულ არეალში ერთი ან მეტი გადამზიდავი ხაზების ან გადამზიდავი კომპანიის ბიზნეს ინტერესების წარმოდგენას აგენტის სახით შემდეგი მიზნებისთვის:

(i) საზღვაო სატრანსპორტო ან მასთან დაკავშირებული მომსახურების მარკეტინგი და გაყიდვა ფასების კოტირებიდან ანგარიშ-ფაქტურის წარდგენამდე, კონოსამენტის გაცემა კომპანიების სახელით, აუცილებელი დამხმარე მომსახურების შესყიდვა და შემდგომი გაყიდვა, დოკუმენტების მომზადება და ბიზნეს ინფორმაციის მიწოდება;

(ii) იმ კომპანიების სახელით მოქმედება, რომლებიც ორგანიზებას უკეთებენ გემების შესვლას ან საჭიროების შემთხვევაში ტვირთების მიღებას;

(f) „ტვირთის გადაზიდვის მომსახურება" გულისხმობს საქმიანობას, რომელიც მოიცავს გადამზიდავების სახელით გადაზიდვის ოპერაციების ორგანიზებას და მონიტორინგს სატრასპორტო და მასთან დაკავშირებული მომსახურების მიღების, დოკუმენტების მომზადების და ბიზნეს ინფორმაციის მიწოდების გზით.

(g) „ფიდერული მომსახურება" გულისხმობს ზღვის მეშვეობით, საერთაშორისო ტვირთების, უმეტესწილად კონტეინერებით, წინასწარ ან შემდგომ გადაზიდვას მხარის ტერიტორიაზე მდებარე ნავსადგურებს შორის.

2. საერთაშორისო საზღვაო ტრანსპორტთან მიმართებაში თითოეული მხარე თანხმდება კომერციულ საწყისებზე ტვირთებთან შეუზღუდავი დაშვების პრინციპის ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფაზე, საერთაშორისო საზღვაო მომსახურების მიწოდების თავისუფლებაზე, ასევე, ეროვნული რეჟიმის გამოყენებაზე ასეთი მომსახურების მიწოდების ფარგლებში.

საერთაშორისო საზღვაო ტრანსპორტის სფეროში მხარეთა შორის არსებული ლიბერალიზაციის დონის გათვალისწინებით:

(a) თითოეული მხარე ეფექტიანად გამოიყენებს საერთაშორისო საზღვაო ბაზრებზე და ვაჭრობაში შეუზღუდავი დაშვების პრინციპს კომერციულ და არადისკრიმინაციულ საწყისებზე;

(b) თითოეული მხარე მიანიჭებს მეორე მხარის დროშის ქვეშ მცურავ ან მეორე მხარის მომსახურების მიმწოდებლის მიერ ოპერირებად გემებს იმაზე არანაკლებ ხელსაყრელ რეჟიმს, ვიდრე ის ანიჭებს საერთაშორისო საზღვაო გადაზიდვებში მონაწილე საკუთარ გემებს ან მესამე მხარის გემებს, იმის მიხედვით, თუ რომელია უკეთესი, შემდგომში ჩამოთვლილთან დაკავშირებით, მათ შორის: ნავსადგურში თავისუფალი შესვლა, ნავსადგურის ინფრასტრუქტურისა და მომსახურების გამოყენება, საზღვაო დამხმარე მომსახურების გამოყენება, ასევე მასთან დაკავშირებული საფასურები და გადასახდელები, საბაჟო საშუალებები და დატვირთვა-გადმოტვირთვისთვის ნავმისადგომისა და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა.

3. აღნიშნული პრინციპების გამოყენებისას თითოეული მხარე:

(a) არ მოიცავს ღონისძიებებს ტვირთის განაწილების შესახებ მესამე ქვეყნებთან მომავალ შეთანხმებებში, რომლებიც შეეხება საზღვაო სატრანსპორტო მომსახურებას, მათ შორის მშრალ და თხევად ტვირთს და სახაზო გადაზიდვებს, და გონივრულ ვადაში გააუქმებს ღონისძიებებს ასეთი ტვირთის განაწილების შესახებ იმ შემთხვევაში, თუ ისინი წარმოდგენილია წინა შეთანხმებებში; და

(b) ამ შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ გააუქმებს და თავს შეიკავებს ნებისმიერი ცალმხრივი ღონისძიებების და ადმინისტრაციული, ტექნიკური და სხვა დაბრკოლებების შექმნისაგან, რაც შეიძლება წარმოადგენდეს ფარულ შეზღუდვას ან ჰქონდეს დისკრიმინაციული ეფექტი საერთაშორისო საზღვაო ტრანსპორტის სფეროში მომსახურების თავისუფალ მიწოდებაზე.

4. თითოეული მხარე საკუთარ ტერიტორიაზე დაფუძნების ნებას რთავს მეორე მხარის საერთაშორისო საზღვაო სატრანსპორტო მომსახურების მიმწოდებელს დაფუძნების და საქმიანობის იმ პირობებით, რომლებიც არანაკლებ ხელსაყრელია, ვიდრე საკუთარი ან მესამე მხარის მომსახურების მიმწოდებლისათვის მინიჭებული პირობები, იმის მიხედვით, თუ რომელია უკეთესი.

5. თითოეულმა მხარემ მეორე მხარის საზღვაო სატრანსპორტო მომსახურების მიმწოდებლებისთვის გონივრული და არადისკრიმინაციული წესებით და პირობებით ხელმისაწვდომი უნდა გახადოს ნავსადგურებში შემდეგი ტიპის მომსახურება: სალოცმანო გაცილება, გემის ჩაბმა და ბუქსირება, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, გემის საწვავითა და წყლით გამართვა, ნარჩენების შეგროვება და ბალასტის ჩაბარება, ნავსადგურის კაპიტნის მომსახურება, სანავიგაციო დახმარება, გემის ოპერირებისთვის აუცილებელი სახმელეთო ოპერაციული მომსახურება, მათ შორის კომუნიკაციები, წყლის და ელექტროენერგიის მიწოდება, გადაუდებელი შეკეთებისთვის აუცილებელი აღჭურვილობა, ღუზაზე დგომა, ნავმისადგომები და სანავმისადგომე მომსახურება.

6. თითოეული მხარე დაუშვებს ისეთი მოწყობილობების გადაადგილებას, როგორიცაა ცარიელი კონტეინერები, რომელთა გადაზიდვა არ ხდება ტვირთის სახით თანხის გადახდის სანაცვლოდ, საქართველოს ნავსადგურებს ან ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ნავსადგურებს შორის.

7. თითოეული მხარე კომპეტენტური ორგანოს ავტორიზაციის საფუძველზე უფლებას მისცემს მეორე მხარის საერთაშორისო სატრანსპორტო მომსახურების მიმწოდებლებს განახორციელონ ფიდერული მომსახურება მათ სახელმწიფო ნავსადგურებს შორის.

მუხლი 125

საჰაერო ტრანსპორტი

მხარეებს შორის საჰაერო ტრანსპორტის თანმიმდევრული ლიბერალიზაცია, რომელიც შესაბამისობაშია მათ ნაცვალგებით კომერციულ საჭიროებებთან და ბაზარზე ორმხრივი დაშვების პირობებთან, მოწესრიგდება ,,ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ, ერთის მხრივ, საქართველოსა, და მეორე მხრივ, ევროკავშირს და მის წევრ სახელმწიფოებს შორის შეთანხმების" შესაბამისად.

მუხლი 126

ეტაპობრივი დაახლოება

მომსახურებებით ვაჭრობის შემდგომი ლიბერალიზაციის მიზნით მხარეები აღიარებენ საქართველოს მოქმედი და მომავალი კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოების აუცილებლობას ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან, რომელიც მოცემულია ამ შეთანხმების XV-D დანართში.

ნაწილი 6

ელექტრონული კომერცია

ქვენაწილი 1

ზოგადი დებულებები

მუხლი 127

მიზნები და პრინციპები

1. მხარეები აღიარებენ რა, რომ ელექტრონული კომერცია მრავალ სექტორში ზრდის ვაჭრობის შესაძლებლობებს, თანხმდებიან, რომ ხელი შეუწყონ მათ შორის ელექტრონული კომერციის განვითარებას, განსაკუთრებით ურთიერთთანამშრომლობას იმ საკითხებში, რომელიც წარმოიშობა ელექტრონული კომერციით ამ თავის დებულებების შესაბამისად.

2. მხარეები თანხმდებიან, რომ ელექტრონული კომერციის განვითარება უნდა იყოს თავსებადი მონაცემთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებთან ელექტრონული კომერციის მომხმარებელთა ნდობის უზრუნველყოფის მიზნით.

3. მხარეები თანხმდებიან, რომ ელექტრონული ტრანზაქციები უნდა იქნას განხილული, როგორც მომსახურების უზრუნველყოფა ამ თავის მე-3 ნაწილის (მომსახურების საზღვრებს გარეთ მიწოდება) მიხედვით, რაც არ შეიძლება იყოს საბაჟო მოსაკრებლის საგანი.

მუხლი 128

თანამშრომლობა ელექტრონულ კომერციასთან დაკავშირებით

1. მხარეებმა უნდა აწარმოონ დიალოგი ელექტრონული კომერციიდან წარმოშობილ რეგულირების საკითხებზე, რაც მათ შორის ეხება შემდეგ საკითხებს:

(a) საზოგადოებისთვის გაცემული ელექტრონული ხელმოწერების სერტიფიკატების აღიარებას და საზღვრებს გარეთ სერტიფიცირების მომსახურების გამარტივებას;

(b) საშუამავლო მომსახურების მიმწოდებლების პასუხისმგებლობას ინფორმაციის გადაცემაზე ან შენახვაზე;

(c) ელექტრონული კომერციის კომუნიკაციებში თვითნებურ წვდომასთან მიმართებას;

(d) მომხმარებელთა დაცვას ელექტრონული კომერციის ფარგლებში;

(e) ელექტრონული კომერციის განვითარებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

2. თანამშრომლობამ შეიძლება მიიღოს აღნიშნულ საკითხებზე მხარეების შესაბამის კანონმდებლობისა და მისი განხორციელების შესახებ ინფორმაციის გაცვლის ფორმა.

ქვენაწილი 2

საშუამავლო მომსახურების მიმწოდებლების პასუხისმგებლობა

მუხლი 129

საშუამავლო მომსახურების გამოყენება

1. მხარეები აღიარებენ, რომ შუამავლების მომსახურება შეიძლება გამოყენებულ იქნას მესამე მხარის მიერ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებისთვის და საშუამავლო მომსახურების მიმწოდებლებისთვის უნდა იქნას უზრუნველყოფილი ამ ქვენაწილში განსაზღვრული ზომების გატარება[22].

2. ამ შეთანხმების 130-ე მუხლის მიზნებისთვის „მომსახურების მიმწოდებელი" გულისხმობს ციფრული ონლაინ კომუნიკაციებისათვის გადაცემის, მარშრუტიზაციის ან კავშირების მიმწოდებელს, მომხმარებლის მიერ განსაზღვრულ ორ ან მრავალ წერტილს შორის, მომხმარებლის მიერ არჩეული მონაცემებით, კონტენტის მოდიფიცირების გარეშე. ამ შეთანხმების 131-ე და 132-ე მუხლების მიზნებისთვის, „მომსახურების მიმწოდებელი" ნიშნავს მიმწოდებელს ან საშუალებების ოპერატორს ონლაინ მომსახურებისთვის ან ქსელთან დაშვებისთვის.

მუხლი 130

საშუამავლო მომსახურების მიმწოდებლების პასუხისმგებლობა:

„ინფორმაციის გადაცემა”

1. იმ შემთხვევაში, როცა საინფორმაციო საზოგადოების მომსახურება შედგება მომსახურების მიმღების მიერ საკომუნიკაციო ქსელში გადაცემული ინფორმაციისგან, ან საკომუნიკაციო ქსელთან ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისგან, თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ მომსახურების მიმწოდებელი არ არის პასუხისმგებელი გადაცემულ ინფორმაციაზე იმ პირობით, რომ მიმწოდებელი:

(a) არ ახდენს გადაცემის ინიცირებას;

(b) არ ირჩევს გადაცემული ინფორმაციის მიმღებს; და

(c) არ ირჩევს ან ცვლის გადაცემულ ინფორმაციას.

2. პირველ პარაგრაფში აღნიშნული ინფორმაციის გადაცემა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მოიცავს გადაცემული ინფორმაციის ავტომატურ, შუალედურ და მოკლევადიან შენახვას იმ პერიოდის განმავლობაში, რაც აუცილებელია საკომუნიკაციო ქსელში გადაცემის განსახორციელებლად და იმ პირობით, რომ ინფორმაცია არ ინახება გადაცემისათვის საჭირო გონივრულ ვადაზე მეტ ხანს.

3. აღნიშნულმა მუხლმა გავლენა არ უნდა იქონიოს სასამართლოს ან ადმინისტრაციული ორგანოების შესაძლებლობაზე, მხარეების სამართლებრივი სისტემის შესაბამისად მომსახურებების მიმწოდებელს მოსთხოვოს დარღვევის შეწყვეტა ან აღკვეთა.

მუხლი 131

საშუამავლო მომსახურების მიმწოდებლების პასუხისმგებლობა:

„ქეშირება”

1. იმ შემთხვევაში, როცა საინფორმაციო საზოგადოების მომსახურება მოიცავს მომსახურების მიმღების მიერ საკომუნიკაციო ქსელში მიწოდებულ ინფორმაციას, თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ მომსახურების მიმწოდებლები არ არიან პასუხისმგებელნი ინფორმაციის ავტომატურ, შუალედურ და მოკლევადიან შენახვაზე, თუ იგი განპირობებულია მხოლოდ ერთი მიზეზით, რომ მომსახურების სხვა მიმღებების მოთხოვნით მათთვის ინფორმაცია იყოს ეფექტურად მიწოდებული იმ პირობით, რომ:

(a) მიმწოდებელი არ ცვლის ინფორმაციას;

(b) მიმწოდებელი ასრულებს პირობებს ინფორმაციის წვდომაზე;

(c) მიმწოდებელი ასრულებს ინფორმაციის განახლების წესებს, რომელიც ფართოდ გავრცელებული და გამოყენებულია წარმოებაში;

(d) მიმწოდებელი არ ერევა იმ ტექნოლოგიების კანონიერ გამოყენებაში, რომელიც ფართოდ არის გავრცელებული და გამოყენებული წარმოებაში, რათა მიღებულ იქნას მონაცემები ინფორმაციის გამოყენებაზე; და

(e) მიმწოდებელი იღებს ოპერატიულ ზომებს მის მიერ შენახული ინფორმაციის წაშლაზე ან ინფორმაციასთან ხელმისაწვდომობის შეწყვეტაზე იმის შემდეგ, რაც მისთვის ფაქტობრივად ცნობილი ხდება[23], რომ ინფორმაცია გადაცემის საწყის წყაროდან იყო ამოღებული ქსელიდან ან მასთან წვდომა იყო შეწყვეტილი, ან სასამართლომ ან ადმინისტრაციულმა ორგანომ მოითხოვა აღნიშნული ინფორმაციის წაშლა ან წვდომის შეწყვეტა.

2. აღნიშნულმა მუხლმა გავლენა არ უნდა იქონიოს სასამართლოს ან ადმინისტრაციული ორგანოს შესაძლებლობაზე, მხარეების კანონმდებლობის შესაბამისად მომსახურების მიმწოდებელს მოსთხოვოს დარღვევების შეწყვეტა ან აღკვეთა.

მუხლი 132

საშუამავლო მომსახურების მიმწოდებლების პასუხისმგებლობა:

„ჰოსტინგი”

1. იმ შემთხვევაში, როცა საინფორმაციო საზოგადოების მომსახურება მოიცავს მომსახურების მიმღების მიერ მიწოდებული ინფორმაციის შენახვას, თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ მომსახურების მიმწოდებელი არ იყოს პასუხისმგებელი ინფორმაციაზე, რომელიც ინახება მომსახურების მიმღების თხოვნით იმ პირობით, რომ:

(a) მიმწოდებლისთვის ფაქტობრივად არ არის ცნობილი არაკონონიერი საქმიანობის ან ინფორმაციის შესახებ და ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის კუთხით არ არის ინფორმირებული ფაქტების ან გარემოებების შესახებ, რომლებისგანაც არაკანონიერი საქმიანობა ან ინფორმაცია ხდება ნათელი; ან

(b) ასეთი ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, მიმწოდებელი მოქმედებს ოპერატიულად, რათა წაშალოს ან შეწყვიტოს წვდომა ინფორმაციაზე;

2. პირველი პარაგრაფი არ გამოიყენება იმ შემთხვევებში, როცა მომსახურების მიმღები მოქმედებს მომსახურების მიმწოდებლის გავლენის ან კონტროლის ქვეშ.

3. აღნიშნულმა მუხლმა გავლენა არ უნდა მოახდინოს სასამართლოს ან ადმინისტრაციული ორგანოს შესაძლებლობაზე, მხარეების კანონმდებლობის შესაბამისად მოსთხოვოს მომსახურების მიმწოდებელს დარღვევის შეწყვეტა ან აღკვეთა, ასევე, არ უნდა იქონიოს გავლენა მხარის შესაძლებლობაზე, რომ შეიმუშაოს პროცედურები ინფორმაციაზე წვდომის შეწყვეტის ან აღკვეთის სამართავად.

მუხლი 133

მონიტორინგის ზოგადი ვალდებულების არარსებობა

1. ამ შეთანხმების 130-ე, 131-ე და 132-ე მუხლებით განსაზღვრული მომსახურების უზრუნველყოფის დროს მხარეებმა მიმწოდებლებს არ უნდა დააკისრონ ზოგადი ვალდებულება ინფორმაციის მონიტორინგზე, რომელსაც ისინი გადასცემენ ან ინახავენ, ასევე მხარეებმა არ უნდა დააკისრონ ზოგადი ვალდებულება იმ ფაქტებისა და გარემოებების აქტიურ მოძიებაზე, რომლებიც მიუთითებენ არაკანონიერ საქმიანობაზე.

2. მხარეს შეუძლია დააწესოს ვალდებულებები საინფორმაციო საზოგადოების მომსახურების მიმწოდებლებისთვის, რათა დაუყოვნებლივ აცნობონ კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებს განხორციელებული არაკანონიერი საქმიანობის ეჭვის არსებობის შემთხვევაში, ან მომსახურების მიმღების მიერ მიწოდებული ინფორმაციის ან ვალდებულებების შესახებ, რომ მიაწოდონ ინფორმაცია კომპეტენტური ორგანოების მოთხოვნის შემთხვევაში, რომელიც იმ მომსახურების მიმღებების იდენტიფიცირების შესაძლებლობას იძლევა, ვისთანაც მათ შენახვის ხელშეკრულება აქვთ გაფორმებული.

ნაწილი 7

გამონაკლისები

მუხლი 134

ზოგადი გამონაკლისები

1. ამ შეთანხმების 415-ე მუხლით გათვალისწინებული ზოგადი გამონაკლისებისთვის ზიანის მიყენების გარეშე ამ თავისა და ამ შეთანხმების XIV-A და XIV-E, XIV-B და XIV-F, XIV-C და XIV-G, XIV-D და XIV-H დანართების დებულებები წარმოადგენს ამ მუხლში მითითებული გამონაკლისების საგანს.

2. იმ პირობით, რომ ასეთი ზომები არ იქნება გამოყენებული იმგვარად, რომ შექმნას თვითნებური ან დაუსაბუთებელი დისკრიმინაცია ქვეყნებს შორის, სადაც არსებობს მსგავსი პირობები ან ფარული შეზღუდვა დაფუძნებაზე ან მომსახურების საზღვრებს გარეთ მიწოდებაზე, წინამდებარე თავში არაფერი უნდა უშლიდეს ხელს ნებისმიერ მხარეს იმ ზომების მიღებასა და გამოყენებაში, რომლებიც:

(a) საჭიროა საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან საზოგადოებრივი მორალის დაცვისათვის ან საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნებისთვის;

(b) საჭიროა ადამიანების, ცხოველების ან მცენარეების სიცოცხლის ან ჯანმრთელობის დაცვისთვის;

(c) უკავშირდება ამოწურვადი რესურსების კონსერვაციას, თუ ასეთი ზომები გამოიყენება ადგილობრივ მეწარმეებზე დაწესებულ შეზღუდვებთან ერთად ან მომსახურების ადგილობრივ მიწოდებასა და მოხმარებაზე;

(d) საჭიროა მხატვრული, ისტორიული ან არქეოლოგიური ღირებულების მქონე ეროვნული საგანძურის დასაცავად;

(e) საჭიროა იმ კანონებთან და რეგულაციებთან შესაბამისობის დასაცავად, რომლებიც შეუსაბამობაში არ მოდის ამ თავის დებულებებთან, მათ შორის ისეთის, რომელიც უკავშირდება:

(i) შეცდომაში შემყვანი და არაკეთილსინდისიერი საქმიანობის აღკვეთას ან კონტრაქტების შეუსრულებლობის შედეგებთან გამკლავებას;

(ii) ინდივიდუალურ პირთა პირად ცხოვრებაში ჩაურევლობას, პერსონალური ინფორმაციის გადამუშავებასა და გავრცელებასთან დაკავშირებით და ინდივიდუალური ჩანაწერების და ანგარიშების კონფიდენციალურობის დაცვას;

(iii) უსაფრთხოებას.

(f) არ არის შესაბამისობაში ამ შეთანხმების 79-ე და 85-ე მუხლებთან იმის გათვალისწინებით, რომ განსხვავებული მოპყრობა მიმართულია მეორე მხარის ეკონომიკური საქმიანობის, მეწარმეების ან მომსახურების მიმწოდებლების მიმართ პირდაპირი გადასახადების ეფექტიანი ან სამართლიანი დაწესების ან ამოღების უზრუნველყოფაზე[24].

3. ამ თავის და ამ შეთანხმების XIV-A და XIV-E, XIV-B და XIV-F, XIV-C და XIV-G, XIV-D და XIV-H დანართების დებულებები არ ეხება მხარეების შესაბამის სოციალური დაცვის სისტემებს ან მხარის ტერიტორიაზე ისეთ საქმიანობას, რომელიც თუნდაც შემთხვევით უკავშირდება ოფიციალური ძალაუფლების გამოყენებას.

მუხლი 135

საგადასახადო ზომები

ამ თავის დებულებების შესაბამისად მინიჭებული უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი არ უნდა გამოიყენებოდეს საგადასახადო რეჟიმის მიმართ, რომელსაც მხარეები იყენებენ ან გამოიყენებენ მომავალში მხარეებს შორის ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების მიზნით გაფორმებული შეთანხმებების საფუძველზე.

მუხლი 136

უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გამონაკლისები

1. არაფერი ამ შეთანხმებაში არ უნდა იქნას გაგებული იმგვარად, რომ:

(a) მოსთხოვოს ნებისმიერ მხარეს, წარადგინოს ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებას ის მიიჩნევს თავისი უსაფრთხოების არსებითი ინტერესების საწინააღმდეგოდ;

(b) შეზღუდოს მხარე ისეთ ღონისძიებების გატარებისაგან, რომელსაც ის მიიჩნევს აუცილებლად თავისი უსაფრთხოების არსებითი ინტერესების დასაცავად და რომელიც:

(i) უკავშირდება იარაღის, აღჭურვილობის ან საომარი მასალების წარმოებას ან ვაჭრობას;

(ii) უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ხორციელდება სამხედრო დაწესებულების მომარაგების მიზნით;

(iii) უკავშირდება გახლეჩად და თერმობირთვულ მასალებს ან იმ მასალებს, რომლისგანაც ისინი მიიღება; ან

(iv) მიღებულია ომის ან საერთაშორისო ურთიერთობებში შექმნილი სხვა სახის საგანგებო მდგომარეობის დროს; ან

(c) შეზღუდოს მხარე იმ ღონისძიების შესრულებისაგან, რომელიც მან ვალდებულების სახით აიღო საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

თავი 7

მიმდინარე გადახდები და კაპიტალის მოძრაობა

მუხლი 137

მიმდინარე გადახდები

მხარეები იღებენ ვალდებულებას, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეთანხმების VIII მუხლის შესაბამისად არ დააწესებენ შეზღუდვებს და დაუშვებენ თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში , მხარეებს შორის ნებისმიერ გადახდებსა და ტრანსფერებს საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშზე.

მუხლი 138

კაპიტალის მოძრაობა

1. ამ შეთანხმების ძალაში შესვლიდან საგადასახდელო ბალანსის კაპიტალისა და ფინანსურ ანგარიშთან მიმართებაში მხარეები უზრუნველყოფენ კაპიტალის თავისუფალ მოძრაობას იმ პირდაპირ ინვესტიციებთან, მათ შორის, უძრავი ქონების შეძენასთან დაკავშირებით, რომლებიც ხორციელდება მიმღები მხარის კანონმდებლობის შესაბამისად იმ ინვესტიციებთან დაკავშირებით, რომლებიც ხორციელდება ამ შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) მე-6 თავის (დაფუძნება, მომსახურებით ვაჭრობა და ელექტრონული კომერცია) დებულებების შესაბამისად და ინვესტირებული კაპიტალის და მისგან გამომდინარე ნებისმიერი მოგების განაღდებას ან რეპატრიაციას.

2. ამ შეთანხმების ძალაში შესვლიდან საგადასახდელო ბალანსის კაპიტალისა და ფინანსურ ანგარიშზე განხორციელებულ გარიგებებთან მიმართებაში, გარდა ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული გარიგებებისა, ამ შეთანხმების სხვა დებულებებისათვის ზიანის მიყენების გარეშე თითოეული მხარე უზრუნველყოფს:

(a) იმ კრედიტებთან დაკავშირებული კაპიტალის თავისუფალ მოძრაობას, რომელიც თავის მხრივ უკავშირდება ისეთ კომერციულ გარიგებებს ან მომსახურების გაწევას, რომელშიც მონაწილეობს ერთ-ერთი მხარის რეზიდენტი;

(b) იმ კაპიტალის თავისუფალ მოძრაობას, რომელიც უკავშირდება მხარის ინვესტორების პორტფელურ ინვესტიციებს, ფინანსურ სესხებსა და კრედიტებს.

მუხლი 139

დაცვითი ზომები

განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც გადახდები ან კაპიტალის მოძრაობა იწვევს ან შეიძლება გამოიწვიოს ევროკავშირის ერთ ან მეტ წევრ სახელმწიფოში ან საქართველოში გაცვლითი კურსის პოლიტიკის ან მონეტარული პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებული სერიოზული სირთულეები, მათ შორის სერიოზული სირთულეები საგადასახდელო ბალანსთან დაკავშირებით, მხარეებმა შეიძლება შემოიღონ დაცვითი ზომები არაუმეტეს ექვსი თვის ვადით, თუ ასეთი ზომები წარმოადგენს აუცილებლობას. მხარემ, რომელიც ახორციელებს დაცვითი ზომების შემოღებას, ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს და ასევე, შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში, ასეთი დაცვითი ზომების გაუქმების შესაბამისი ვადები.

მუხლი 140

გამარტივებისა და განვითარების დებულებები

1. მხარეებმა უნდა გამართონ კონსულტაციები, მათ შორის კაპიტალის მოძრაობის გამარტივების მიზნით, რათა ხელი შეუწყონ ამ შეთანხმების მიზნების მიღწევას.

2. ამ შეთანხმების ძალაში შესვლიდან პირველი ოთხი წლის განმავლობაში მხარეებმა უნდა მიიღონ ზომები კაპიტალის თავისუფალ მოძრაობაზე ევროკავშირის წესების შემდგომი ეტაპობრივი გამოყენებისათვის აუცილებელი პირობების შესაქმნელად.

3. ამ შეთანხმების ძალაში შესვლიდან მეხუთე წლის ბოლოს, ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტმა, რომელიც განსაზღვრულია ამ შეთანხმების 408-ე მუხლის მე-4 პუნქტით, უნდა განიხილოს მიღებული ზომები და განსაზღვროს შემდგომი ლიბერალიზაციის პირობები.

თავი 8

საჯარო შესყიდვები

მუხლი 141

მიზნები

1. მხარეები აცნობიერებენ გამჭვირვალე, არადისკრიმინაციული, კონკურენტული და ღია ტენდერის წვლილს ეკონომიკის მდგრად განვითარებაში და მიზნად ისახავენ თავიანთი შესაბამისი შესყიდვების ბაზრების ეფექტიან, ნაცვალგებით და ეტაპობრივ გახსნას.

2. ეს თავი ითვალისწინებს ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე როგორც ტრადიციული სექტორის, ასევე კომუნალური მომსახურების სექტორის საჯარო ხელშეკრულებებისა და კონცესიებისათვის ეროვნული რეჟიმის პრინციპის საფუძველზე საჯარო შესყიდვების ბაზრების ორმხრივ ხელმისაწვდომობას. ეს თავი ითვალისწინებს საქართველოში საჯარო შესყიდვების კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის საჯარო შესყიდვების კანონმდებლობასთან ევროკავშირში საჯარო შესყიდვების მმართველ პრინციპებსა და იმ ტერმინებსა და განმარტებებზე დაყრდნობით, რომლებიც მოცემულია ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2004 წლის 31 მარტის N2004/18/EC დირექტივაში სამუშაოების, საქონლის მიწოდებისა და მომსახურების საჯარო ხელშეკრულების დასადებად გამარჯვებულის გამოვლენის პროცედურების კოორდინაციის შესახებ (დირექტივა 2004/18/EC) და ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2004 წლის 31 მარტის N2004/17/EC დირექტივაში წყლის, ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და საფოსტო მომსახურების სექტორში მოქმედი ორგანიზაციების მიერ შესყიდვების პროცედურების კოორდინაციის შესახებ (დირექტივა 2004/17/EC).

მუხლი 142

მოქმედების სფერო

1. ეს თავი ვრცელდება სამუშაოს, საქონლის მიწოდების და მომსახურების საჯარო ხელშეკრულებებზე, ასევე კომუნალური მომსახურების სექტორში სამუშაოს, საქონლის მიწოდებისა და მომსახურების საჯარო ხელშეკრულებებზე და სამუშაოს და მომსახურების კონცესიებზე იმ შემთხვევაში და იქ, სადაც ასეთი ხელშეკრულებები გამოიყენება.

2. ეს თავი ვრცელდება ნებისმიერ შემსყიდველ სახელმწიფო ორგანოსა და შემსყიდველ ორგანიზაციაზე, რომელიც აკმაყოფილებს ევროკავშირის საჯარო შესყიდვების კანონმდებლობის განმარტებებს (შემდგომში მოიხსენიება როგორც „შემსყიდველი ორგანიზაცია“). ის ასევე ვრცელდება საჯარო სამართალს დაქვემდებარებულ ორგანოებსა და კომუნალური მომსახურების სექტორში მოქმედ საწარმოებზე, როგორიცაა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოები, რომლებიც ახორციელებენ შესაბამის

საქმიანობას და კერძო საწარმოები, რომლებიც კომუნალური მომსახურების სექტორში მოქმედებენ სპეციალური ან ექსკლუზიური უფლებების საფუძველზე.[25]

3. ეს თავი ვრცელდება ხელშეკრულებებზე, რომელთა ღირებულება აღემატება ამ შეთანხმების XVI-A დანართით დადგენილ მონეტარულ ზღვრებს.

4. საჯარო ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულების გამოთვლა უნდა მოხდეს დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე სრულად გადასახდელი თანხის საფუძველზე. აღნიშნული მონეტარული ზღვრების გამოყენებისას საქართველომ უნდა მოახდინოს ხელშეკრულების ღირებულების გაანგარიშება და კონვერტაცია ეროვნულ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსის გამოყენებით.

5. მონეტარული ზღვრები უნდა გადაიხედოს რეგულარულად ყოველ ორ წელიწადში ერთხელ დაწყებული ამ შეთანხმების ძალაში შესვლის წლიდან და უნდა დაეფუძნოს ევროს საშუალო დღიურ ღირებულებას, გამოსახულს სპეციალურ სასესხო უფლებებში (SDR). საანგარიშო პერიოდი არის გადახედვამდე 24 თვე, რომელიც მთავრდება აგვისტოს ბოლო დღეს. გადახედილი ზღვარი ძალაში შედის პირველი იანვრიდან. ამგვარად გადახედილი მონეტარული ზღვრები, საჭიროების შემთხვევაში, უნდა დამრგვალდეს სიმცირისკენ უახლოეს ათასეულ ევრომდე. გადახედილი მონეტარული ზღვარი უნდა დაამტკიცოს ამ შეთანხმების 408-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულმა ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტმა.

მუხლი 143

ინსტიტუციური გარემო

1. თითოეულმა მხარემ უნდა დააფუძნოს ან შეინარჩუნოს საჯარო შესყიდვების სისტემის სათანადო ფუნქციონირებისა და ამ თავის პრინციპების განხორციელებისათვის აუცილებელი შესაბამისი ინსტიტუციური ჩარჩო და მექანიზმები.

2. საქართველომ უნდა განსაზღვროს, კონკრეტულად:

(a) ცენტრალური აღმასრულებელი ორგანო, რომლის ამოცანაა თანმიმდევრული პოლიტიკის უზრუნველყოფა და მისი განხორციელება საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებულ ყველა სფეროში. აღნიშნულმა ორგანომ ხელი უნდა შეუწყოს და კოორდინირება გაუწიოს ამ თავის განხორციელებას და უხელმძღვანელოს ევროკავშირის კანონმდებლობასთან ეტაპობრივი დაახლოების პროცესს ამ შეთახმების XVI-B დანართის შესაბამისად.

(b) მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი ორგანო, რომლის ამოცანაა შემსყიდველი სახელმწიფო ორგანოების ან შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ ხელშეკრულების დასადებად გამარჯვებულის გამოვლენისას მიღებული გადაწყვეტილებების გადასინჯვა. ამ კონტექსტში „დამოუკიდებელი“ გულისხმობს იმას, რომ ეს ორგანო უნდა იყოს საჯარო დაწესებულება, რომელიც განცალკევებულია ყველა შემსყიდველი ორგანიზაციისაგან და ეკონომიკური ოპერატორებისაგან. ასეთი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სასამართლო გასაჩივრება უნდა იყოს შესაძლებელი.

3. თითოეული მხარე უზრუნველყოფს ადგილობრივი კანონმდებლობის დარღვევასთან დაკავშირებული ეკონომიკური ოპერატორების საჩივრების განმხილველი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ეფექტიან აღსრულებას.

მუხლი 144

ხელშეკრულების დადების მარეგულირებელი ძირითადი სტანდარტები

1. ამ შეთანხმების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 3 წლისა, მხარეებმა უნდა შეასრულონ ამ მუხლის 2-15 პუნქტებით გათვალისწინებული ხელშეკრულების დადების ძირითადი სტანდარტები. აღნიშნული ძირითადი სტანდარტები უშუალოდ გამომდინარეობს ევროკავშირის საჯარო შესყიდვების კანონმდებლობით რეგულირებული საჯარო შესყიდვების წესებიდან და პრინციპებიდან, მათ შორის, არადისკრიმინაციულობის, თანასწორი მოპყრობის, გამჭვირვალობის და პროპორციულობის პრინციპებიდან.

გამოქვეყნება

2. თითოეული მხარე უზრუნველყოფს ყველა დაგეგმილი შესყიდვის მედიის სათანადო საშუალებებში გამოქვეყნებას იმ წესით, რაც საკმარისია:[26]

(a) კონკურენციისათვის ბაზრის გასახსნელად; და

(b) ნებისმიერი დაინტერესებული ეკონომიკური ოპერატორისთვის დაგეგმილ შესყიდვასთან დაკავშირებით ინფორმაციის სათანადო ხელმისაწვდომობისათვის ხელშეკრულების დადებამდე და ხელშეკრულების მისაღებად თავისი ინტერესის გამოსახატად.

3. გამოქვეყნება უნდა იყოს ეკონომიკური ოპერატორების ხელშეკრულებიდან გამომდინარე ეკონომიკური ინტერესის შესაბამისი.

4. გამოქვეყნებული ინფორმაცია სულ მცირე უნდა შეიცავდეს დასადები ხელშეკრულების არსებით დეტალებს, თვისობრივი შერჩევის კრიტერიუმებს, ხელშეკრულების დადების მეთოდს, ხელშეკრულების დადების კრიტერიუმებს და სხვა დამატებით ინფორმაციას, რისი ცოდნაც ლოგიკურად ესაჭიროება ეკონომიკურ ოპერატორს, რათა მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების მოსაპოვებლად ინტერესის გამოხატვის შესახებ.

ხელშეკრულების დადება

5. ხელშეკრულების დადება უნდა მოხდეს გამჭვირვალე და მიუკერძოებელი პროცედურების გამოყენებით, რაც ხელს შეუშლის კორუფციულ პრაქტიკას. მიუკერძოებლობა უზრუნველყოფილი უნდა იქნას, კერძოდ, ხელშეკრულების პირობების არადისკრიმინაციული აღწერით, ყველა ეკონომიკური ოპერატორისათვის თანაბარი ხელმისაწვდომობით, სათანადო ვადების დადგენით და გამჭვირვალე და ობიექტური მიდგომით.

6. შემსყიდველმა ორგანიზაციამ, მოთხოვნილი სამუშაოს, საქონლის ან მომსახურების მახასიათებლების აღწერისას უნდა გამოიყენოს შესრულების და ფუნქციების ზოგადი აღწერა და საერთაშორისო, ევროპული ან ეროვნული სტანდარტები.

7. სამუშაოს, საქონლის ან მომსახურების მოთხოვნილი მახასიათებლების აღწერისას დაუშვებელია კონკრეტული მოდელის, წყაროს, ცალკეული პროცესის, სასაქონლო ნიშნის, პატენტის, წარმოშობის წყაროს ან მწარმოებლის მითითება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი მითითება დასაბუთებულია ხელშეკრულების პირობებით და აღწერას თან ერთვის ტერმინები „ან ექვივალენტური“. უპირატესობა უნდა მიენიჭოს შესრულებისა და ფუნქციების ზოგად აღწერას.

8. შემსყიდველმა ორგანიზაციამ არ უნდა დააწესოს ისეთი პირობა, რომლის შედეგია მეორე მხარის ეკონომიკური ოპერატორების პირდაპირი ან არაპირდაპირი დისკრიმინაცია, როგორიცაა მოთხოვნა, რომ ეკონომიკური ოპერატორი, რომელიც გამოხატავს ხელშეკრულებისადმი ინტერესს, უნდა იყოს დაფუძნებული იმავე ქვეყანაში, რეგიონში ან ტერიტორიაზე, სადაც შემსყიდველი ორგანიზაცია.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად იმ შემთხვევებში, როდესაც არსებობს ხელშეკრულების სპეციფიკური გარემოებებით დასაბუთებული აუცილებლობა, გამარჯვებულ განმცხადებელს შეიძლება მოეთხოვოს ცალკეული ბიზნეს ინფრასტრუქტურის დაფუძნება შესრულების ადგილას.

9. ინტერესის გამოსახატად და სატენდერო წინადადების წარსადგენად განსაზღვრული ვადა უნდა იყოს საკმარისი, იმისათვის, რომ მეორე მხარის ეკონომიკურმა ოპერატორმა შეძლოს ტენდერის გონივრული შეფასება და სატენდერო წინადადების მომზადება.

10. ყველა მონაწილეს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, წინასწარ გაეცნოს მოქმედ წესებს, შერჩევის კრიტერიუმებს და ხელშეკრულების დასადებად გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმებს. ეს წესები თანაბრად გამოიყენება ყველა მონაწილის მიმართ.

11. შემსყიდველ ორგანიზაციებს შეუძლიათ მოიწვიონ განმცხადებელთა შეზღუდული რაოდენობა შეთავაზების წარსადგენად იმ პირობით, რომ:

(a) აღნიშნული გაკეთდა გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული გზით; და

(b) შერჩევა ეფუძნება მხოლოდ ობიექტურ ფაქტორებს, როგორიცაა განმცხადებლის გამოცდილება შესაბამის სექტორში, ბიზნესის ზომა და ინფრასტრუქტურა ან მათი ტექნიკური და პროფესიული შესაძლებლობები.

წინადადების წარსადგენად შეზღუდული რაოდენობის განმცხადებელთა მოწვევისას გათვალისწინებულ უნდა იქნას სათანადო კონკურენციის უზრუნველყოფის საჭიროება.

12. შემსყიდველ ორგანიზაციებს შეუძლიათ გამოიყენონ მოლაპარაკების პროცედურა მხოლოდ გამონაკლისის სახით განსაზღვრულ შემთხვევებში, როდესაც ასეთი პროცედურის გამოყენება ფაქტიურად არ ზღუდავს კონკურენციას.

13. შემსყიდველ ორგანიზაციებს შეუძლიათ გამოიყენონ შეფასების სისტემა მხოლოდ იმ პირობით, რომ კვალიფიციურ ეკონომიკურ ოპერატორთა სია შედგენილია ამის თაობაზე განცხადების საკმარისად გავრცელების, გამჭვირვალე და ღია პროცედურის გზით. ამ სისტემის ფარგლებში ხელშეკრულება უნდა იქნეს დადებული ასევე არადისკრიმინაციულ საფუძველზე.

14. თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ გამჭვირვალე პროცედურების გზით დაიდოს ხელშეკრულება იმ პრეტენდენტთან, რომელმაც წარმოადგინა ეკონომიკურად ყველაზე მომგებიანი წინადადება ან წარადგინა ყველაზე დაბალი ფასი, ტენდერის კრიტერიუმებისა და პროცედურული წესების საფუძველზე, რომელიც დადგენილი და ცნობილი იყო წინასწარ. საბოლოო გადაწყვეტილება ეცნობება ყველა განმცხადებელს დაუყოვნებლივ. დამარცხებულ განმცხადებლს მოთხოვნის საფუძველზე უნდა ეცნობოს გადაწყვეტილების მიზეზი ისეთი დეტალებით, რაც საკმარისი იქნება ასეთი გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის.

სასამართლო წესით დაცვა

15. თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ ნებისმიერ პირს, რომელსაც აქვს ან შეიძლება ჰქონდეს ინტერესი ხელშეკრულების მოსაპოვებლად და რომელსაც მიადგა ან შეიძლება მიადგეს ზიანი შესაძლო დარღვევის შედეგად, ჰქონდეს ეფექტიანი, მიუკერძოებელი სასამართლო წესით დაცვის უფლება ხელშეკრულების დამდები ორგანიზაციის ნებისმიერი გადაწყვეტილებისგან, რაც დაკავშირებულია ხელშეკრულების დადებასთან. ასეთი გასაჩივრების პროცედურის მსვლელობისას მიღებული და საბოლოო გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს იმ საშუალებით, რაც საკმარისი იქნება ყველა დაინტერესებული ეკონომიკური ოპერატორის ინფორმირებისათვის.

მუხლი 145

ეტაპობრივი დაახლოების დაგეგმვა

1. ეტაპობრივი დაახლოების დაწყებამდე საქართველომ უნდა წარუდგინოს ამ შეთანხმების 408-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტს ამ თავის განხორციელების ყოვლისმომცველი სამუშაო გეგმა, ვადების და ეტაპების მითითებით, რომელიც უნდა მოიცავდეს ყველა იმ რეფორმას, რომელიც უკავშირდება ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებას და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერებას. სამუშაო გეგმა უნდა შეესაბამებოდეს ამ შეთანხმების XVI-B დანართით დადგენილ ეტაპებსა და დროის განრიგს.

2. ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტის მიერ მოწონების შემდეგ აღნიშნული სამუშაო გეგმა განიხილება ამ თავის განხორციელებისთვის სარეკომენდაციო დოკუმენტად. ევროკავშირი მაქსიმალურად დაეხმარება საქართველოს სამუშაო გეგმის განხორციელებაში.

მუხლი 146

ეტაპობრივი დაახლოება

1. საქართველომ უნდა უზრუნველყოს მისი საჯარო შესყიდვების კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოება ევროკავშირის საჯარო შესყიდვების კანონმდებლობასთან.

2. ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება უნდა განხორციელდეს თანმიმდევრული ეტაპების მიხედვით, როგორც დადგენილია ამ შეთანხმების XVI-B დანართით და შემდგომში დაკონკრეტებულია XVI-C - XVI-F, XVI-H, XVI-I და XVI-K დანართებით. ამ შეთანხმების XVI-G და XVI-J დანართები განსაზღვრავენ არასავალდებულო ელემენტებს, რომლებთან დაახლოება არ არის საჭირო, მაშინ, როდესაც ამ შეთანხმების XVI-L - XVI-O დანართები განსაზღვრავენ ევროკავშირის კანონმდებლობის იმ ელემენტებს, რომლებიც რჩება ეტაპობრივი დაახლოების მიღმა. ამ პროცესში ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს ევროპის სასამართლოს შესაბამის გადაწყვეტილებებს და ევროკომისიის მიერ დამტკიცებულ საიმპლემენტაციო ღონისძიებებს, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, მოცემულ მომენტში ევროკავშირის კანონმდებლობის ნებისმიერ ცვლილებას. თითოეული ეტაპის განხორციელება უნდა შეაფასოს ამ შეთანხმების 408-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულმა ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტმა და ამ კომიტეტის მიერ დადებითი შეფასების შემთხვევაში უნდა მოხდეს ბაზრის ორმხრივი გახსნა, როგორც მოცემულია ამ შეთანხმების XVI-B დანართში. ევროკომისიამ საქართველოს დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ევროკავშირის კანონმდებლობის ნებისმიერი ცვლილების შესახებ. ევროკომისია, მოთხოვნის საფუძველზე, შესაბამის კონსულტაციას და ტექნიკურ დახმარებას გაუწევს საქართველოს აღნიშნული ცვლილების განხორციელების მიზნით.

3. ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტმა შემდგომი ეტაპის შეფასება უნდა განაგრძოს მხოლოდ მაშინ, როდესაც წინა ეტაპის განხორციელების ღონისძიებები გატარდება და მოწონებულ იქნება მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირობების მიხედვით.

4. თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ საჯარო შესყიდვების ის ასპექტები და სფეროები, რომლებზეც არ ვრცელდება ეს მუხლი, შესაბამისობაშია ამ შეთანხმების 144-ე მუხლით განსაზღვრულ გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციულობისა და თანასწორი მოპყრობის პრინციპებთან.

მუხლი 147

ბაზარზე დაშვება

1. მხარეები თანხმდებიან, რომ მათი შესაბამისი ბაზრების ეფექტიანი და ნაცვალგებითი გახსნა უნდა მოხდეს ეტაპობრივად და ერთდროულად. საკანონმდებლო დაახლოების პროცესში, ორმხრივად მინიჭებული ბაზარზე დაშვების არეალი დაკავშირებულია ამ შეთანხმების XVI-B დანართით განსაზღვრულ პროცესში მიღწეულ პროგრესთან.

2. ბაზრის გახსნის შემდგომ ეტაპზე გადასვლის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება მიღებული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შეფასების, ასევე პრაქტიკაში მისი განხორციელების საფუძველზე. აღნიშნული შეფასება უნდა განხორციელდეს რეგულარულად ამ შეთანხმების 408-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტის მიერ.

3. თუ ერთმა მხარემ, ამ შეთანხმების XVI-B დანართის შესაბამისად, გახსნა თავისი შესყიდვების ბაზარი მეორე მხარისათვის:

(a) ევროკავშირმა უნდა უზრუნველყოს ხელშკერულების დადების პროცედურების ხელმისაწვდომობა საქართველოს კომპანიებისათვის, მიუხედავად იმისა, დაფუძნებულია თუ არა ეს კომპანიები ევროკავშირში, ევროკავშირის კომპანიებისათვის მინიჭებულ რეჟიმზე არანაკლებ ხელსაყრელი პირობებით ევროკავშირის საჯარო შესყიდვების წესების მიხედვით.

(b) საქართველომ უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების დადების პროცედურების ხელმისაწვდომობა ევროკავშირის კომპანიებისათვის, მიუხედავად იმისა, დაფუძნებულია თუ არა ეს კომპანიები საქართველოში, საქართველოს კომპანიებისათვის მინიჭებულ რეჟიმზე არანაკლებ ხელსაყრელი პირობებით ეროვნული შესყიდვების წესების მიხედვით.

4. ეტაპობრივი დაახლოების პროცესის ბოლო ეტაპის განხორციელების შემდეგ მხარეები იმსჯელებენ ბაზრის ორმხრივად გახსნის შესაძლებლობაზე იმ შესყიდვებისათვის, რომელთა ღირებულება ამ შეთანხმების XVI-A დანართით განსაზღვრულ მონეტარულ ზღვრებს ქვემოთაა.

5. ფინეთი აკეთებს დათქმას ალანდის კუნძულებთან მიმართებაში.

მუხლი 148

შეტყობინება

1. თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციები და ეკონომიკური ოპერატორები კარგად იყვნენ ინფორმირებულები საჯარო შესყიდვების პროცედურების შესახებ, მათ შორის, ყველა შესაბამისი საკანონმდებლო და ადმინისტრაციული აქტების გამოქვეყნების გზით.

2. თითოეული მხარე უზრუნველყოფს ტენდერების შესახებ ინფორმაციის ეფექტიანი გავრცელებას.

მუხლი 149

თანამშრომლობა

1. მხარეებმა უნდა გააღრმაონ თანამშრომლობა საკუთარი საუკეთესო პრაქტიკისა და მარეგულირებელი ჩარჩოს შესახებ გამოცდილების და ინფორმაციის გაცვლის გზით.

2. ევროკავშირმა ხელი უნდა შეუწყოს ამ თავის განხორციელებას, მათ შორის, ტექნიკური დახმარების გაწევის გზით იქ, სადაც ეს შესაფერისი იქნება. ცალკეული გადაწყვეტილება ფინანსური დახმარების გაწევის შესახებ მიღებულ უნდა იქნას ევროკავშირის მხარის დაფინანსების შესაბამისი მექანიზმებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით ამ შეთანხმების VII კარში (ფინანსური დახმარების და ანტი-კორუფციული და კონტროლის წესები) მოცემული ფინანსური თანამშრომლობის შესახებ ნორმების შესაბამისად.

3. თანამშრომლობის საკითხთა საორიენტაციო სია მოცემულია ამ შეთანხმების XVI-P დანართში.

თავი 9

ინტელექტუალური საკუთრების უფლებები

ნაწილი 1

ზოგადი დებულებები

მუხლი 150

მიზნები

წინამდებარე თავის მიზნებია:

(a) ინოვაციური და შემოქმედებითი პროდუქტების წარმოებისა და კომერციალიზაციის ხელშეწყობა მხარეებს შორის, და

(b) ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვისა და აღსრულების ადეკვატური და ეფექტიანი დონის მიღწევა.

მუხლი 151

ვალდებულებების არსი და ფარგლები

1. მხარეებმა უნდა უზრუნველყონ ინტელექტუალური საკუთრების სფეროში დადებული იმ საერთაშორისო შეთანხმებების ადეკვატური და ეფექტიანი განხორციელება, რომლის ხელმომწერებიც თავად არიან და რომლებიც მოიცავს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შეთანხმებას ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ (TRIPS შეთანხმება). წინამდებარე თავის მოთხოვნები უნდა ავსებდეს და დამატებით აკონკრეტებდეს TRIPS-ის შეთანხმებით და ინტელექტუალური საკუთრების სფეროში არსებული სხვა საერთაშორისო შეთანხმებებით განსაზღვრულ მხარეების უფლებებსა და ვალდებულებებს.

2. წინამდებარე შეთანხმების მიზნებისთვის, „ინტელექტუალური საკუთრება“ ეხება ინტელექტუალური საკუთრების მინიმუმ ყველა იმ კატეგორიას, რომელზეც ვრცელდება წინამდებარე შეთანხმების 153 - 189 მუხლები.

3. ინტელექტუალური საკუთრების დაცვა მოიცავს არაკეთილსინდისიერი კონკურენციისგან დაცვას, როგორც ეს სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის (1967) 10*bis* მუხლითაა დარეგულირებული (პარიზის კონვენცია).

მუხლი 152

უფლებების ამოწურვა

თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ამოწურვის ადგილობრივი ან რეგიონული რეჟიმი.

ნაწილი 2

ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან დაკავშირებული სტანდარტები

ქვენაწილი 1

საავტორო და მომიჯნავე უფლებები

მუხლი 153

დაცვის მინიჭება

მხარეები განამტკიცებენ მათ მიერ ნაკისრ ვალდებულებას ქვემოთ ჩამოთვლილთან დაკავშირებით:

(a) ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოებთა დაცვის შესახებ ბერნის კონვენციით გათვალისწინებულ უფლებებზე და მოვალეობებზე (ბერნის კონვენცია);

(b) შემსრულებლების, ფონოგრამების დამამზადებლების და მაუწყებლობის ორგანიზაციების უფლებათა დაცვის შესახებ რომის კონვენციაზე (1961);

(c) TRIPS შეთანხმებაზე;

(d) ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის ხელშეკრულებაზე საავტორო უფლებების შესახებ;

(e) ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის ხელშეკრულებაზე შესრულებებისა და ფონოგრამების შესახებ.

მუხლი 154

ავტორები

მხარეები ანიჭებენ ავტორებს განსაკუთრებულ უფლებას ნება დართონ ან აკრძალონ:

(a) მათი ნაწარმოების პირდაპირი ან არაპირდაპირი, დროებითი ან მუდმივი რეპროდუცირება ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით, მთლიანად ან ნაწილობრივ;

(b) ნებისმიერი ფორმით მათი ნაწარმოების ორიგინალის ან ასლის საზოგადოებაში გავრცელება გაყიდვის ან სხვა გზით;

(c) მათი ნაწარმოების ნებისმიერი საჯარო შესრულება სადენიანი ან უსადენო კავშირგაბმულობის საშუალებით მათ შორის იმგვარად, რომ ის ხელმისაწვდომი იყოს საზოგადოების წევრებისთვის მათ მიერ არჩეულ დროს და ადგილიდან.

მუხლი 155

შემსრულებლები

მხარეები ანიჭებენ შემსრულებლებს განსაკუთრებულ უფლებას:

(a) ნება დართონ ან აკრძალონ მათი შესრულების ჩაწერა (ფიქსაცია)[27];

(b) ნება დართონ ან აკრძალონ მათი შესრულების ჩანაწერის პირდაპირი ან არაპირდაპირი, დროებითი ან მუდმივი, ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით მთლიანი ან ნაწილობრივი რეპროდუცირება;

(c) საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახადონ მათი შესრულების ჩანაწერი გაყიდვის ან საკუთრების სხვა ფორმით გადაცემის გზით;

(d) ნება დართონ ან აკრძალონ მათი შესრულების ჩანაწერის გადაცემა სადენიანი ან უსადენო კავშირგაბმულობის მეშვეობით, ისე, რომ ის ხელმისაწვდომი იყოს საზოგადოების წევრებისთვის მათ მიერ არჩეულ დროს და ადგილიდან;

(e) ნება დართონ ან აკრძალონ მათი შესრულების გადაცემა უკაბელო საშუალებებით და საზოგადოებისთვის მიწოდება გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოცემული შესრულება წარმოადგენს ეთერში ადრე გადაცემულ ან ჩაწერილ შესრულებას.

მუხლი 156

ფონოგრამების დამამზადებლები

თითოეული მხარე ანიჭებს ფონოგრამების დამამზადებლებს განსაკუთრებულ უფლებას:

(a) ნება დართონ ან აკრძალონ მათი ფონოგრამების პირდაპირი ან არაპირდაპირი, დროებითი ან მუდმივი, ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით, მთლიანი ან ნაწილობრივი რეპროდუცირება;

(b) საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახადონ მათი ფონოგრამები, მათ შორის ფონოგრამის ასლები, გაყიდვის ან საკუთრების სხვა ფორმით გადაცემის გზით;

(c) ნება დართონ ან აკრძალონ მათი ფონოგრამის გადაცემა სადენიანი ან უსადენო კავშირგაბმულობის საშუალებით ისე, რომ ის ხელმისაწვდომი იყოს საზოგადოების წევრებისთვის მათ მიერ არჩეულ დროს და ადგილიდან.

მუხლი 157

მაუწყებლობის ორგანიზაციები

თითოეული მხარე ანიჭებს მაუწყებლობის ორგანიზაციას განსაკუთრებულ უფლებას ნება დართოს ან აკრძალოს:

(a) მათი გადაცემის ჩაწერა;

(b) მათი გადაცემის ჩანაწერის რეპროდუცირება;

(c)მათი გადაცემის ჩანაწერის საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობა სადენიანი ან უსადენო კავშირგაბმულობის საშუალებით,

(d) მათი გადაცემის ხელახალი გადაცემა უსადენო საშუალებებით და ასევე საჯარო გადაცემა ადგილებში, სადაც შესვლა ფასიანია.

მუხლი 158

მაუწყებლობა და საზოგადოებისთვის მიწოდება

1. თითოეული მხარე ადგენს უფლებას იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას მომხმარებლის მიერ სათანადო ერთჯერადი ჰონორარის გადახდა, თუ მოგების მიღების მიზნით გამოცემული ფონოგრამა ან ასეთ ფონოგრამაზე ჩაწერილი ნაწარმოები გამოიყენება ეთერში გადასაცემად უსადენო კავშირგაბმულობის მეშვეობით ან საჯარო გადაცემის ნებისმიერი სახით და ამასთან, უზრუნველყოფილ იქნას აღნიშნული ჰონორარის განაწილება შესაბამის შემსრულებლებსა და ფონოგრამის დამამზადებლებს შორის.

2. თითოეული მხარე უფლებამოსილია, შემსრულებლებსა და ფონოგრამის დამამზადებლებს შორის შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში დაადგინოს მათ შორის ჰონორარის განაწილების პირობები.

მუხლი 159

დაცვის ვადა

1. ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოების ავტორის უფლებები ბერნის კონვენციის მე–2 მუხლის თანახმად მოქმედებს ავტორის სიცოცხლეში და მისი გარდაცვალებიდან 70 წლის შემდეგ მიუხედავად იმისა, თუ როდის გახდა კანონიერად ნაწარმოები საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი.

2. ტექსტის მქონე მუსიკალური ნაწარმოების დაცვის მოქმედების ვადა იწურება ავტორთაგან უკანასკნელი ავტორის გარდაცვალებიდან 70 წლის შემდეგ მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ეს პირები მითითებული თანაავტორებად; ეს პირები არიან: ტექსტის ავტორი და მუსიკალური ნაწარმოების ავტორი თუ ორივეს წვლილი მიმართული იყო მოცემული ტექსტიანი მუსიკალური კომპოზიციის შესაქმნელად.

3. შემსრულებლის უფლება იწურება შესრულების თარიღიდან არანაკლებ 50 წლის გასვლის შემდეგ, თუმცა:

(a) თუ ამ ვადაში შესრულების ჩანაწერი, არა ფონოგრამის სახით, გამოცემის ან საზოგადოებისთვის მიწოდების გზით კანონიერად ხელმისაწვდომი გახდა, უფლებები იწურება აღნიშნული ფაქტებიდან ერთ-ერთის პირველად დადგომიდან 50 წლის შემდეგ,

(b) თუ ამ ვადაში ფონოგრამაზე ჩაწერილი შესრულება გამოცემის ან საზოგადოებისათვის მიწოდების გზით კანონიერად ხელმისაწვდომი გახდა, უფლებები იწურება აღნიშნული ფაქტებიდან ერთ-ერთის პირველად დადგომიდან 70 წლის შემდეგ.

4. ფონოგრამის დამამზადებლის უფლებები იწურება ჩაწერიდან არანაკლებ 50 წლის შემდეგ. თუმცა:

(a) თუ ამ ვადაში ფონოგრამა გამოცემის ან საზოგადოებისათვის მიწოდების გზით კანონიერად ხელმისაწვდომი გახდა, აღნიშნული უფლებები იწურება პირველი კანონიერი გამოცემიდან არანაკლებ 70 წლის შემდეგ. თუ ზემოთ მითითებულ ვადაში არ მომხდარა კანონიერი გამოცემა და თუ ამ ვადაში ფონოგრამა კანონიერად იქნა მიწოდებული საზოგადოებისათვის, აღნიშნული უფლებები იწურება პირველად საჯარო გაცნობის თარიღიდან არანაკლებ 70 წლის შემდეგ;

(b) თუ ფონოგრამის მართლზომიერად გამოცემის ან საზოგადოებისთვის მიწოდებიდან 50 წლის შემდეგ, ფონოგრამის დამამზადებელი გასაყიდად არ სთავაზობს ფონოგრამის ასლების საკმარის რაოდენობას ან არ ხდის მას საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომს, შემსრულებელმა შეიძლება შეწყვიტოს ხელშეკრულება, რომლის ძალითაც მან გადასცა მისი შესრულების ჩანაწერზე უფლებები ფონოგრამის დამამზადებელს.

5. მაუწყებლობის ორგანიზაციების უფლებები იწურება მაუწყებლობის პირველად გადაცემიდან არანაკლებ 50 წლის შემდეგ, მიუხედავად იმისა, გადაცემა ხდება სადენით თუ უსადენო გზით, საკაბელო ან სატელიტური კავშირის ჩათვლით.

6. ამ მუხლით გათვალისწინებული ვადების ათვლა იწყება იმ წელიწადის შემდგომი წლის პირველი იანვრიდან, როდესაც დადგა იურიდიული ფაქტი, რომელიც მოცემული ვადების ათვლის დაწყების საფუძველია.

მუხლი 160

ტექნოლოგიური საშუალებების დაცვა

1. თითოეული მხარე უზრუნველყოფს შესაბამის სამართლებრივ დაცვას ნებისმიერი ეფექტური ტექნოლოგიური საშუალებების გვერდის ავლის წინააღმდეგ, რომელსაც პირი ახორციელებს განზრახ ან გაუფრთხილებლად, და მისი ქმედება ემსახურება ზემოაღნიშნულ მიზანს.

2. თითოეული მხარე უზრუნველყოფს შესაბამის სამართლებრივ დაცვას შემოსავლების მიღების მიზნით იმ მოწყობილობის, პროდუქტის ან კომპონენტის დამზადების, იმპორტის, გავრცელების, გაყიდვის, გაქირავების, გაყიდვის ან გაქირავების მიზნით რეკლამირების, შენახვის, ან მომსახურების გაწევის წინააღმდეგ, რომელიც:

(a) წახალისებულია, რეკლამირებულია ან ბაზარზეა შეთავაზებული ნებისმიერი ეფექტური ტექნოლოგიური საშუალებების გვერდის ავლის მიზნით;

(b) გააჩნია მხოლოდ შეზღუდული კომერციული მნიშვნელობა ან გამოყენება, გარდა ნებისმიერი ეფექტური ტექნოლოგიური საშუალებების გვერდის ავლის მიზნებისა; ან

(c) შექმნილია, წარმოებულია, გადაკეთებულია ან განკუთვნილია ნებისმიერი ეფექტური ტექნოლოგიური საშუალებების გვერდის ავლის მიზნით.

3. წინამდებარე შეთანხმების მიზნებისთვის ტერმინი „ტექნოლოგიური საშუალებები" გულისხმობს ნებისმიერ ტექნოლოგიას, მოწყობილობას ან კომპონენტს, რომელთა ნორმალურად ფუნქციონირების დროს აღკვეთილია ან იზღუდება მოქმედებები ნაწარმოებებთან ან სხვა ობიექტებთან მიმართებაში, რომლებიც ადგილობრივი კანონმდებლობით არ არის ნებადართული ნებისმიერი საავტორო ან მომიჯნავე უფლებების მფლობელის მიერ. ტექნოლოგიური საშუალება ქმედითად ჩაითვლება, თუ დაცული ნაწარმოების ან სხვა ობიექტის გამოყენებისას უფლებათა მფლობელი მასთან წვდომას აკონტროლებს იმ დაცვითი პროცესების მეშვეობით (დაშიფრვის, კოდირების, კოპირების შეზღუდვისა და სხვა გზით), რომლებიც ემსახურება დაცვის მიზანს.

მუხლი 161

1. თითოეული მხარე უზრუნველყოფს შესაბამის სამართლებრივ დაცვას ნებისმიერი პირისგან, რომელიც ნებართვის გარეშე განზრახ ახორციელებს ნებისმიერ შემდეგ ქმედებას:

(a) ნებისმიერი ელექტრონული უფლებების მართვის ინფორმაციის წაშლა ან შეცვლა; ან

(b) წინამდებარე შეთანხმებით დაცული ნაწარმოების ან სხვა ობიექტის გავრცელება, გავრცელების მიზნით იმპორტი, მაუწყებლობა, საჯარო გადაცემა ან საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომად ქცევა, საიდანაც ელექტრონული უფლებების მართვის ინფორმაცია უნებართვოდ არის წაშლილი ან შეცვლილი,

როდესაც ასეთმა პირმა იცოდა ან სათანადო საფუძველი ჰქონდა სცოდნოდა, რომ ეს ქმედება იწვევს, შესაძლებელს ხდის, ხელს უწყობს, ან მალავს ადგილობრივი კანონმდებლობით დადგენილ ნებისმიერ საავტორო ან მომიჯნავე უფლებათა დარღვევას.

2. წინამდებარე თავის მიზნებისთვის ტერმინი „უფლებების მართვის ინფორმაცია" გულისხმობს უფლებათა მფლობელების მიერ მიწოდებულ ნებისმიერ ინფორმაციას, რომლის საშუალებით ხორციელდება ამ თავით განსაზღვრული ნაწარმოების ან სხვა ობიექტის ავტორის ან სხვა უფლებათა მფლობელის იდენტიფიცირება, ან ინფორმაციას ნაწარმოების სხვა ობიექტის გამოყენების პირობების შესახებ, აგრეთვე ნებისმიერი ციფრები და კოდები, რომლებშიც მოცემულია ასეთი ინფორმაცია. პირველი პუნქტი გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც ამ ინფორმაციის ნებისმიერი ელემენტი აღნიშნულია ნაწარმოების ან ამ თავით დაცული სხვა ობიექტის ასლზე ან ჩნდება მისი საჯარო გაცნობის დროს.

მუხლი 162

გამონაკლისები და შეზღუდვები

1. თითოეული მხარე უფლებამოსილია მხარეთა მიერ ხელმოწერილი კონვენციების და საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად დაადგინოს შეზღუდვები ან გამონაკლისები ამ შეთანხმების 154–159 მუხლებით გათვალისწინებულ უფლებებთან დაკავშირებით მხოლოდ გარკვეულ, განსაკუთრებულ შემთხვევებში იმ პირობით, რომ ასეთი შეზღუდვები ხელს არ შეუშლის ნაწარმოების ნორმალურ გამოყენებას და უსაფუძვლოდ არ შელახავს უფლებების მფლობელთა კანონიერ ინტერესებს.

2. თითოეული მხარე უზრუნველყოფს ამ შეთანხმების 155–158 მუხლებით გათვალისწინებული დროებითი რეპროდუცირების განხორციელებას, რომელიც არის დროებითი და შემთხვევითი ქმედება, წარმოადგენს ტექნიკური პროცესის აუცილებელ და მნიშვნელოვან ნაწილს და მისი ერთადერთი მიზანია:

(a) მესამე პირებს შორის შუალედური გამოყენებისას ქსელში გადაცემა, ან

(b) კანონიერი გამოყენება ნაწარმოების ან სხვა ობიექტისა, რომელსაც არ აქვს დამოუკიდებელი კომერციული მნიშვნელობა და რომელზეც არ ვრცელდება ამ შეთანხმების 155-158 მუხლებით დადგენილი რეპროდუცირების უფლება.

მუხლი 163

ავტორების უფლება სახვითი ხელოვნების ნაწარმოების ხელახალი გაყიდვისას

1. თითოეული მხარე უზრუნველყოფს ხელოვნების ნაწარმოების ორიგინალის ავტორის სასარგებლოდ ხელახალი გაყიდვის უფლების ხელშეუვალ უფლებად განსაზღვრას, რომელიც არ შეიძლება იქნას გასხვისებული, თუნდაც წინასწარ, იმისათვის, რომ ავტორის მიერ ნაწარმოების პირველად გასხვისების შემდეგ, ავტორმა მიიღოს გასაყიდი ფასის შესაბამისი ჰონორარი ნაწარმოების ნებისმიერი ხელახალი გაყიდვისას.

2. პირველ პუნქტში მითითებული უფლება გამოყენებული უნდა იქნას ყველა ხელახალი გაყიდვის შემთხვევაში, რომელშიც ჩართულნი არიან გამყიდველები, მყიდველები, სახელოვნებო ბაზარზე მოქმედი პროფესიონალი შუამავლები, როგორიცაა სამხატვრო სალონები, სახვითი ხელოვნების გალერეები და ზოგადად სახვითი ხელოვნების ნაწარმოებების დილერები.

3. თითეულმა მხარემ შეიძლება დაადგინოს, რომ პირველ პუნქტში მითითებული უფლება არ გავრცელდეს ხელახალი გაყიდვის იმ შემთხვევებზე, სადაც გამყიდველს უშუალოდ ავტორისგან აქვს მიღებული ნაწარმოები ხელახალ გაყიდვამდე სამ წელზე ნაკლები პერიოდით ადრე და ხელახალი გაყიდვის ფასი არ აღემატება გარკვეულ მინიმალურ თანხას.

4. ჰონორარი გადაიხდება გამყიდველის მიერ. თითოეულმა მხარემ შეიძლება დაადგინოს, რომ მე–2 პუნქტში მითითებული ერთ-ერთი ფიზიკური ან იურიდიული პირი, გამყიდველის გარდა, უნდა იყოს ერთპიროვნულად პასუხისმგებელი ან გამყიდველთან ერთად იზიარებდეს ჰონორარის გადახდის ვალდებულებას.

5. დადგენილი სამართლებრივი დაცვა შეიძლება მოთხოვნილი იქნას მხარის მიერ დაშვებულ ფარგლებში იქ, სადაც ეს დაცვა მოითხოვება. ჰონორარის შეგროვების პროცედურა და ოდენობა უნდა განისაზღვროს ადგილობრივი კანონმდებლობით.

მუხლი 164

თანამშრომლობა უფლებების კოლექტიური მართვის დარგში

მხარეები უნდა ესწრაფვოდნენ კოლექტიური მართვის შესაბამის საზოგადოებებთან დიალოგისა და თანამშრომლობისკენ, მხარეთა ტერიტორიებზე ნაწარმოებების და სხვა დაცული ობიექტების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობისა და ასეთი ნაწარმოებებისა და სხვა დაცული ობიექტების გამოყენებისათვის საავტორო ჰონორარების გადარიცხვის მიზნით.

ქვენაწილი 2

სასაქონლო ნიშნები

მუხლი 165

საერთაშორისო შეთანხმებები

მხარეები განამტკიცებენ მათ მიერ აღებულ ვალდებულებას:

(a) ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმების ოქმის მიმართ,

(b) ნიშნების რეგისტრაციისათვის განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის შესახებ ნიცის შეთანხმების მიმართ.

მუხლი 166

რეგისტრაციის პროცედურა

1. თითოეული მხარე უზრუნველყოფს სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის სისტემას, რომლის ფარგლებშიც სასაქონლო ნიშნების შესაბამისი უწყების მიერ მიღებული ყოველი საბოლოო უარყოფითი გადაწყვეტილება უნდა იყოს სათანადოდ დასაბუთებული და წერილობით უნდა ეცნობოს განმცხადებელს.

2. თითოეული მხარე უზრუნველყოფს სასაქონლო ნიშნების განაცხადების გასაჩივრების შესაძლებლობას. ასეთი გასაჩივრების პროცედურები უნდა ეფუძნებოდეს შეჯიბრებითობის პრინციპს.

3. მხარეები უზრუნველყოფენ სასაქონლო ნიშნებზე განაცხადებისა და რეგისტრირებული ნიშნების ელექტრონულ მონაცემთა ბაზის საჯარო ხელმისაწვდომობას.

მუხლი 167

საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნები

თითოეული მხარე აღასრულებს საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნების დაცვას პარიზის კონვენციის 6*bis* მუხლისა და TRIPS-ის შეთანხმების მე-16 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად და ამასთან, მას შეუძლია გაითვალისწინოს სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კავშირისა და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო) გენერალური ასამბლეის მიერ ისმოს წევრი ქვეყნების ოცდამეთოთხმეტე სხდომაზე (1999 წლის სექტემბერი) მიღებული ერთობლივი რეკომენდაცია საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნების დაცვის დებულებებთან დაკავშირებით.

მუხლი 168

სასაქონლო ნიშანზე მინიჭებული უფლებების გამონაკლისები

თითოეული მხარე უზრუნველყოფს შეზღუდული სახის ისეთ გამონაკლისებს სასაქონლო ნიშანზე მინიჭებულ უფლებებზე, როგორიცაა აღწერილობითი დასახელებების კეთილსინდისიერი გამოყენება, გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვა 176–ე მუხლის შესაბამისად, ან სხვა შეზღუდული გამონაკლისები იმ პირობით, თუ მხედველობაში იქნება მიღებული სასაქონლო ნიშნის მფლობელისა და მესამე პირთა კანონიერი ინტერესები.

ქვენაწილი 3

გეოგრაფიული აღნიშვნები

მუხლი 169

მოქმედების სფერო

1. წინამდებარე ქვენაწილი არეგულირებს იმ გეოგრაფიული აღნიშვნების აღიარებასა და დაცვას, რომლებიც წარმოშობილია მხარეთა ტერიტორიებიდან.

2. იმისათვის, რომ ერთი ხელშემკვრელი მხარის გეოგრაფიულ აღნიშვნას მიენიჭოს დაცვა მეორე ხელშემკვრელი მხარის მიერ, ის უნდა ფარავდეს ამ შეთანხმების 170-ე მუხლში მითითებული ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით განსაზღვრულ პროდუქციას.

მუხლი 170

დადგენილი გეოგრაფიული აღნიშვნები

1. ევროკავშირმა, შეისწავლა რა ,,საქართველოს კანონი საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ" მიღებული 1999 წლის 22 აგვისტოს, ასკვნის, რომ ეს კანონი შეესაბამება ამ შეთანხმების XVII-A დანართში მითითებულ პირობებს.

2. საქართველომ, შეისწავლა რა ევროკავშირის საბჭოს 1991 წლის 10 ივნისის რეგულაცია (EEC) N1601/91, რომელიც ადგენს არომატიზებული ღვინოების, არომატიზებულ ღვინოებზე დაფუძნებული სასმელების და არომატიზებული ღვინოპროდუქტების კოქტეილების განსაზღვრის, აღწერის და წარმოდგენის ზოგად წესებს, 2006 წლის 20 მარტის სოფლის მეურნეობისა და სხვა საკვები პროდუქტების გეოგრაფიული აღნიშვნების და ადგილწარმოშობის დაცვის შესახებ ევროკავშირის საბჭოს რეგულაციის (EC) N510/2006, იმპლემენტაციის წესებით, რომელიც შეეხება ევროკავშირში სოფლის მეურნეობისა და სხვა საკვები პროდუქტების გეოგრაფიული აღნიშვნების რეგისტრაციას, კონტროლს და დაცვას, 2007 წლის 22 ოქტომბრის ევროკავშირის საბჭოს რეგულაციის (EC) N1234/2007 II ნაწილის II კარის I თავის I სექცია, რომელიც შეეხება სასოფლო სამეურნეო ბაზრების საერთო მოწყობას და სოფლის მეურნეობის ზოგიერთი პროდუქტის სპეციალურ დებულებებს (ერთიანი ბაზრის ორგანიზების რეგულაცია), ევროპის პარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2008 წლის 15 იანვრის რეგულაცია (EC) N 110/2008, რომელიც შეეხება სპირტიანი სასმელების გეოგრაფიული აღნიშვნების განსაზღვრას, აღწერას, წარმოდგენას, ეტიკეტირებას და დაცვას, ასკვნის, რომ ეს კანონები, წესები და პროცედურები შეესაბამება ამ შეთანხმების XVII-A დანართში მითითებულ პირობებს.

3. საქართველო, დაასრულა რა გასაჩივრების პროცედურა ამ შეთანხმების დანართში XVII-BB მითითებული კრიტერიუმების შესაბამისად, შეისწავლა რა ამ შეთანხმების XVII-C დანართში მოცემული ევროკავშირის გეოგრაფიული აღნიშვნებით დაცული სოფლის მეურნეობისა და სხვა საკვები პროდუქტების მონაცემები და ღვინოების, სპირტიანი სასმელებისა და არომატიზებული ღვინოების გეოგრაფიული აღნიშვნები, რომლებიც მოცემულია ამ შეთანხმების XVII-D დანართში, რომლებიც რეგისტრირებულია ევროკავშირის მიერ ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კანონმდებლობით, იღებს ვალდებულებას, დაიცვას ეს გეოგრაფიული აღნიშვნები წინამდებარე ქვენაწილით განსაზღვრულ დონეზე.

4. ევროკავშირი, დაასრულა რა გასაჩივრების პროცედურა ამ შეთანხმების XVII-B დანართში მითითებული კრიტერიუმების შესაბამისად, შეისწავლა რა საქართველოს გეოგრაფიული აღნიშვნებით დაცული სოფლის მეურნეობისა და სხვა საკვები პროდუქტების მონაცემები, რომლებიც მოცემულია ამ შეთანხმების XVII-C დანართში და ღვინოების, არომატიზებული ღვინოების და სპირტიანი სასმელების გეოგრაფიული აღნიშვნები, რომლებიც მოცემულია ამ შეთანხმების XVII-D დანართში, რომლებიც რეგისტრირებულია საქართველოს მიერ პირველი პუნქტით განსაზღვრული კანონმდებლობის შესაბამისად, იღებს ვალდებულებას, დაიცვას ეს გეოგრაფიული აღნიშვნები წინამდებარე ქვენაწილით განსაზღვრულ დონეზე.

5. ევროკავშირსა და საქართველოს შორის „სოფლის მეურნეობისა და სხვა საკვები პროდუქტების გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის შესახებ შეთანხმების“ მე-11 მუხლით შექმნილი ერთობლივი კომიტეტის გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება ამავე შეთანხმების III და IV დანართების ცვლილებას, რომელიც მიღებულია წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლამდე, მიჩნეულ იქნება გეოგრაფიული აღნიშვნების ქვე-კომიტეტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებად, იმავე III და IV დანართებში დამატებული გეოგრაფიული აღნიშვნები კი მიჩნეულ იქნება ამ შეთანხმების XVII-C და XVII-D დანართების ნაწილად. შესაბამისად, მხარეები იცავენ ზემოაღნიშნულ გეოგრაფიულ აღნიშვნებს, როგორც წინამდებარე შეთანხმებით დადგენილ გეოგრაფიულ აღნიშვნებს.

მუხლი 171

ახალი გეოგრაფიული აღნიშვნების დამატება

1. მხარეები თანხმდებიან ამ შეთანხმების XVII-C და XVII-D დანართებში ახალი გეოგრაფიული აღნიშვნების დამატების შესაძლებლობაზე შეთანხმების 179-ე მუხლის მე–3 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურის მიხედვით მას შემდეგ, რაც დასრულდება ამ შეთანხმების 170-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული გასაჩივრებისა და მონაცემების შესწავლის პროცედურები ორივე მხარისთვის მისაღები შედეგით.

2. მხარე არ არის ვალდებული დაიცვას როგორც გეოგრაფიული აღნიშვნა ის სახელი, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის მცენარის ან ცხოველის ჯიშის სახელთან, რის შედეგადაც, შესაძლოა მომხმარებელს მცდარი წარმოდგენა შეექმნას პროდუქტის ნამდვილი წარმოშობის შესახებ.

მუხლი 172

გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის ფარგლები

1. ამ შეთანხმების XVII-C და XVII-D დანართებში მოცემული, ასევე, ამ შეთანხმების 171-ე მუხლის შესაბამისად დამატებული გეოგრაფიული აღნიშვნები დაცულია შემდეგი შემთხვევებისაგან:

(a) დაცული სახელის ნებისმიერი პირდაპირი ან არაპირდაპირი ფორმით კომერციული გამოყენება:

(i) ისეთ მსგავს პროდუქტებთან მიმართებაში, რომელიც არ შეესაბამება დაცული სახელის მქონე პროდუქტის მონაცემებს,

(ii) თუ ამგვარი გამოყენებით ხდება გეოგრაფიული აღნიშვნის რეპუტაციით სარგებლობა;

(b) ნებისმიერი არასწორი გამოყენება, იმიტაცია ან მიბაძვა[28] იმ შემთხვევაშიც კი, თუ პროდუქტის ნამდვილი წარმოშობა მითითებულია, ან თუ დაცული სახელი ნათარგმნია ან მას თან ახლავს ისეთი სიტყვები, როგორიცაა "სტილი", "ტიპი", "მეთოდი", "წარმოებული", "იმიტაცია", "არომატი", "მსგავსი" ან მსგავსი სიტყვები;

(c) ნებისმიერი სხვა ყალბი ან შეცდომაში შემყვანი აღნიშვნა პროდუქტის წარმომავლობის, წარმოშობის, სახეობის ან განსაკუთრებული ხარისხის შესახებ, განთავსებული შიდა ან გარე შეფუთვაზე, სარეკლამო მასალაზე ან პროდუქტთან დაკავშირებულ დოკუმენტაციაში და პროდუქტის მოთავსება ისეთ კონტეინერში, რომელმაც შესაძლოა არასწორი შთაბეჭდილება შექმნას მისი წარმოშობის შესახებ;

(d) ნებისმიერი სხვა ქმედება, რამაც შესაძლოა მომხმარებელი შეცდომაში შეიყვანოს პროდუქტის ნამდვილ წარმოშობასთან დაკავშირებით.

2. თუ გეოგრაფიული აღნიშვნები მთლიანად ან ნაწილობრივ წარმოადგენს ომონიმებს, დაცვა გავრცელდება თითოეულ აღნიშვნაზე იმ პირობით, თუ იგი გამოიყენებოდა კეთილსინდისიერად, ადგილობრივი და ტრადიციული გამოყენების წესების და აღრევის რისკის გათვალისწინებით. TRIPS-ის შეთანხმების 23-ე მუხლის მოთხოვნებისთვის ზიანის მიყენების გარეშე ხელშემკვრელი მხარეები ერთობლივად დაადგენენ გამოყენების პრაქტიკულ პირობებს, რომელთა თანახმადაც მოხდება ომონიმური გეოგრაფიული აღნიშვნების ერთმანეთისაგან გარჩევა იმის გათვალისწინებით, რომ ყველა დაინტერესებული მწარმოებელი ჩაყენებული იქნება თანაბარ პირობებში და მომხმარებელი არ იქნება შეცდომაში შეყვანილი. ომონიმური დასახელება, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს მომხმარებელი იმასთან დაკავშირებით, რომ პროდუქტი სხვა ტერიტორიიდან არის წარმოშობილი, არ უნდა დარეგისტრირდეს, მაშინაც კი, თუ ეს დასახელება სწორია და წარმოადგენს პროდუქტის წარმოშობის კონკრეტულ ტერიტორიას, რეგიონს ან ადგილს.

3. თუ მხარე მესამე ქვეყანასთან მოლაპარაკებათა კონტექსტში შესთავაზებს მესამე ქვეყნის გეოგრაფიული აღნიშვნის დაცვას და ეს დასახელება მეორე მხარის გეოგრაფიული აღნიშვნის ომონიმურია, ამ უკანასკნელ მხარეს ეცნობება აღნიშნულის შესახებ და მიეცემა თავისი აზრის გამოთქმის შესაძლებლობა მანამ, სანამ აღნიშნულ დასახელებაზე გავრცელდება დაცვა.

4. წინამდებარე ქვენაწილის არც ერთი პუნქტი არ ავალდებულებს მხარეს დაიცვას მეორე მხარის ის გეოგრაფიული აღნიშვნა, რომელიც არ ან აღარ არის დაცული წარმოშობის ქვეყანაში. მხარეები ერთმანეთს შეატყობინებენ, თუ გეოგრაფიულ აღნიშვნას შეუწყდება დაცვა წარმოშობის ქვეყანაში.

მუხლი 173

გეოგრაფიული აღნიშვნების ტრანსკიპციის დაცვა

1. წინამდებარე ქვენაწილის შესაბამისად დაცული გეოგრაფიული აღნიშვნები, რომლებიც შესრულებულია ქართული ან ისეთი არალათინური ანბანით, რომელიც გამოიყენება ოფიციალურად ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში, ექვემდებარება დაცვას მათ ლათინურ ტრანსკრიპციასთან ერთად. ეს ტრანსკრიპცია შეიძლება ასევე გამოყენებულ იქნას პროდუქტის ეტიკეტირებისთვის.

2. წინამდებარე ქვენაწილის შესაბამისად დაცული ლათინური ანბანით შესრულებული გეოგრაფიული აღნიშვნები იმავე წესით ექვემდებარება დაცვას ქართული და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში ოფიციალურად მოქმედი სხვა არალათინური ანბანების ტრანსკრიპციებთან ერთად. ეს ტრანსკრიპცია შეიძლება ასევე გამოყენებულ იქნას პროდუქტის ეტიკეტირებისთვის.

მუხლი 174

გეოგრაფიული აღნიშვნების გამოყენების უფლება

1. წინამდებარე ქვენაწილით დაცული სახელის გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერი იმ მწარმოებლის მიერ, რომელსაც ბაზარზე გააქვს სოფლის მეურნეობისა და სხვა საკვები პროდუქტები, ღვინო, არომატიზებული ღვინოები ან სპირტიანი სასმელები, რომლებიც შეესაბამებიან შესაბამისი პროდუქტისათვის დადგენილ მოთხოვნებს.

2. მას შემდეგ, რაც გეოგრაფიულ აღნიშვნაზე გავრცელდება წინამდებარე ქვენაწილით გათვალისწინებული დაცვა, ასეთი დაცული სახელის გამოყენებისათვის საჭირო არ იქნება გამოყენების უფლების მქონე პირთა რეგისტრაცია ან მათ მიერ სხვა გადასახადის გადახდა.

მუხლი 175

დაცვის განხორციელება

მხარეები უზრუნველყოფენ ამ შეთანხმების 170-174 მუხლებით გათვალისწინებულ დაცვას საჯარო ორგანოების მიერ შესაბამისი ადმინისტრაციული მოქმედების განხორციელების გზით. ისინი ასევე განახორციელებენ ასეთ დაცვას დაინტერესებული მხარის მოთხოვნით.

მუხლი 176

ურთიერთობა სასაქონლო ნიშნებთან

1. მხარეები უარს იტყვიან სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე, საკუთარი გადაწყვეტილების *(ex officio)* ან ნებისმიერი დაინტერესებული მხარის მოთხოვნის საფუძველზე თითოეული მხარის კანონმდებლობის შესაბამისად გააუქმებენ იმ სასაქონლო ნიშანს, რომელიც შეესაბამება ამ შეთანხმების 172-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ რომელიმე გარემოებას მსგავსი პროდუქტების გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვასთან მიმართებაში იმ პირობით, თუ განაცხადი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ წარდგენილ იქნა გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციასთან დაკავშირებით შესაბამის ტერიტორიაზე განაცხადის შეტანის შემდეგ.

2. ამ შეთანხმების 170-ე მუხლში მითითებული გეოგრაფიული აღნიშვნებისთვის დაცვის მინიჭების შესახებ განაცხადის წარდგენის თარიღად მიიჩნევა 2012 წლის 1 აპრილი.

3. ამ შეთანხმების 171-ე მუხლში მითითებული გეოგრაფიული აღნიშვნებისთვის რეგისტრაციის მოთხოვნის წარდგენის თარიღად მიიჩნევა მეორე მხარისთვის გეოგრაფიული აღნიშვნის დაცვასთან დაკავშირებით მოთხოვნის წარდგენის თარიღი.

4. მხარეებს არ ეკისრებათ ვალდებულება დაიცვან გეოგრაფიული აღნიშვნა, თუ კარგი რეპუტაციის მქონე ან საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნის შემთხვევაში ამგვარმა დაცვამ შესაძლოა შეცდომაში შეიყვანოს მომხმარებელი პროდუქტის ნამდვილ წარმოშობასთან დაკავშირებით.

5. მე-4 პუნქტისთვის ზიანის მიყენების გარეშე მხარეები დაიცავენ გეოგრაფიულ აღნიშვნებს იმ შემთხვევაშიც, თუ არსებობს უფრო ადრინდელი სასაქონლო ნიშანი. უფრო ადრინდელი სასაქონლო ნიშანი ნიშნავს ისეთ სასაქონლო ნიშანს, რომლის გამოყენებაც შეესაბამება ამ შეთანხმების 172-ე მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ რომელიმე გარემოებას და რომელზეც ერთ-ერთი მხარის ტერიტორიაზე შეტანილ იქნა განაცხადი, განხორციელდა რეგისტრაცია ან დამკვიდრებულ იქნა გამოყენების გზით, თუ ამის შესაძლებლობას იძლევა შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობა, იმ თარიღამდე, ვიდრე მეორე მხარეს წარედგინა მოთხოვნა გეოგრაფიული აღნიშვნის დაცვასთან დაკავშირებით წინამდებარე ქვენაწილის შესაბამისად. ამგვარი სასაქონლო ნიშნის გამოყენება შეიძლება გაგრძელდეს ან განახლდეს გეოგრაფიული აღნიშვნისათვის დაცვის მინიჭების მიუხედავად იმ პირობით, თუ სასაქონლო ნიშნების შესახებ მხარის კანონმდებლობით არ არსებობს სასაქონლო ნიშნის გაუქმების ან ბათილად ცნობის საფუძველი.

მუხლი 177

ზოგადი წესები

1. წინამდებარე ქვენაწილი მოქმედებს მხარეთა მიერ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) შეთანხმებით ნაკისრი უფლებებისა და ვალდებულებებისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

2. ამ შეთანხმების 170-ე და 171-ე მუხლებში მითითებული პროდუქტის იმპორტი, ექსპორტი და ბაზარზე გატანა განხორციელდება იმპორტიორი მხარის ტერიტორიაზე მოქმედი კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად.

3. ნებისმიერი საკითხი, რომელიც წარმოიშობა რეგისტრირებული პროდუქტის ტექნიკურ მონაცემებთან დაკავშირებით, გადაწყდება ამ შეთანხმების 179-ე მუხლის შესაბამისად შექმნილი ქვე-კომიტეტის მიერ.

4. წინამდებარე ქვენაწილის ფარგლებში დაცული გეოგრაფიული აღნიშვნები შესაძლებელია გაუქმდეს მხოლოდ იმ მხარის მიერ, რომლის ტერიტორიაზეც წარმოიშვა ეს პროდუქტი.

5. წინამდებარე ქვენაწილში მითითებული პროდუქტის მონაცემები ისევე, როგორც მასში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება, დამტკიცდება იმ მხარის ორგანოთა მიერ, რომლის ტერიტორიაზეც წარმოიშვა ეს პროდუქტი.

მუხლი 178

თანამშრომლობა და გამჭვირვალობა

1. მხარეები უშუალოდ ან ამ შეთანხმების 179-ე მუხლის შესაბამისად შექმნილი ქვე-კომიტეტის მეშვეობით შეინარჩუნებენ კავშირს წინამდებარე ქვენაწილის იმპლემენტაციასთან და ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე. კერძოდ, მხარეს შეუძლია მეორე მხარისაგან მოითხოვოს ინფორმაცია პროდუქტის მონაცემებთან და მის მოდიფიკაციასთან დაკავშირებით და ასევე ინფორმაცია საკონტაქტო პირების შესახებ კონტროლის მიზნებისათვის.

2. თითოეულ მხარეს შეუძლია საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადოს მეორე მხარის წინამდებარე მუხლის შესაბამისად დაცული გეოგრაფიულ აღნიშვნები, მონაცემები ან მათი აღწერილობა და საკონტაქტო დეტალები კონტროლის მიზნებისთვის.

მუხლი 179

გეოგრაფიული აღნიშვნების ქვე-კომიტეტი

1. მხარეები ქმნიან გეოგრაფიული აღნიშვნების ქვე-კომიტეტს. მის შემადგენლობაში შედიან ევროკავშირის და საქართველოს წარმომადგენლები წინამდებარე ქვენაწილის განხორციელებაზე მონიტორინგისა და გეოგრაფიულ აღნიშვნებთან დაკავშირებით თანამშრომლობისა და დიალოგის გაძლიერების მიზნით. გეოგრაფიული აღნიშვნების ქვე-კომიტეტი ანგარიშვალდებულია წინამდებარე შეთანხმების 408-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტის წინაშე.

2. გეოგრაფიული აღნიშვნების ქვე-კომიტეტი გადაწყვეტილებებს იღებს კონსენსუსის წესით. ის თავად ადგენს საპროცედურო წესებს. ქვე-კომიტეტი შეიკრიბება ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით, ევროკავშირში ან საქართველოში, მხარეთა შორის შეთანხმებით დადგენილ დროს, ადგილას და ფორმით (მათ შორის ვიდეოკონფერენციის ფორმით), მოთხოვნის წარდგენის დღიდან არაუგვიანეს 90 დღისა.

3. გეოგრაფიული აღნიშვნების ქვე-კომიტეტი ასევე უზრუნველყოფს წინამდებარე ქვენაწილის სათანადო ფუნქციონირებას და შესაძლოა განიხილოს მის განხორციელებასთან და მოქმედებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი. კერძოდ, ის პასუხისმგებელი იქნება შემდეგზე:

(a) ცვლილებების შეტანა ამ შეთანხმების 170-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებში, რომლებიც ეხება მხარეთა ტერიტორიებზე მოქმედ კანონებს;

(b) ამ შეთანხმების XVII-C და XVII-D დანართების მოდიფიცირება, რომლებიც შეეხება გეოგრაფიულ აღნიშვნებს;

(c) ინფორმაციის გაცვლა გეოგრაფიულ აღნიშვნებთან დაკავშირებით მიღებული კანონებისა და შემუშავებული პოლიტიკის საკითხებზე და გეოგრაფიული აღნიშვნების სფეროში ნებისმიერ ისეთ საკითხზე, რომელიც საერთო ინტერესების საგანს წარმოადგენს;

(d) გეოგრაფიულ აღნიშვნებთან დაკავშირებით ინფორმაციის გაცვლა წინამდებარე ქვენაწილის შესაბამისად მათი დაცვის ღონისძიებების განხილვის მიზნით.

ქვენაწილი 4

დიზაინი

მუხლი 180

საერთაშორისო შეთანხმებები

მხარეები ადასტურებენ 1999 წლის სამრეწველო დიზაინის საერთაშორისო რეგისტრაციის ჰააგის შეთანხმების ჟენევის აქტის მიმართ მათ მიერ ნაკისრ ვალდებულებებს.

მუხლი 181

რეგისტრირებული დიზაინის დაცვა

1. თითოეული მხარე უზრუნველყოფს დამოუკიდებლად შექმნილი დიზაინის დაცვას, რომელსაც აქვს სიახლე და ორიგინალურია[29]. ამგვარი დაცვა უზრუნველყოფილი უნდა იქნას რეგისტრაციის საშუალებით და წინამდებარე მუხლის დებულებების შესაბამისად განსაკუთრებულ უფლებას უნდა ანიჭებდეს რეგისტრირებული დიზაინის მფლობელს.

2. პროდუქტში ჩართული ან მისთვის გამოყენებული დიზაინი, რომელიც შედგენილი პროდუქტის ნაწილია, მიიჩნევა ახლად და ინდივიდუალურად მხოლოდ მაშინ:

(a) თუ იგი შედგენილ პროდუქტში ხილულია მისი ჩვეულებრივი გამოყენების დროს;

(b) ხილული ნიშნები თავისთავად აკმაყოფილებს სიახლისა და ინდივიდუალობის კრიტერიუმებს.

3. 2(a) პუნქტში გამოყენებული მნიშვნელობით „ჩვეულებრივი გამოყენება" ნიშნავს საბოლოო მომხმარებლის მიერ გამოყენებას, გარდა ტექნიკური მომსახურებისა, მიმდინარე და აღდგენითი სარემონტო სამუშაოებისა.

4. რეგისტრირებული დიზაინის მფლობელს ენიჭება განსაკუთრებული უფლება, მესამე პირებს ნება დართოს ან აუკრძალოს სულ მცირე ასეთი პროდუქტის დამზადება, გასაყიდად შეთავაზება, გაყიდვა, იმპორტი, ექსპორტი, შენახვა ან ისეთი ნივთების გამოყენება, რომელიც გამოსახავს ან რომელშიც ჩართულია დაცული დიზაინი, როდესაც ასეთი ქმედებები ხორციელდება კომერციული მიზნებისთვის, ეწინააღმდეგება დიზაინის ჩვეულებრივ გამოყენებას ან არ შეესაბამება კეთილსინდისიერ სავაჭრო პრაქტიკას.

5. დაცვის ხანგრძლივობა უნდა იყოს 25 წელი, რომელიც აითვლება სარეგისტრაციო განაცხადის შემოტანის დღიდან ან ჰააგის სამრეწველო დიზაინების საერთაშორისო დეპონირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად დადგენილი თარიღიდან პარიზის კონვენციის დებულებათა შეუალახავად.

მუხლი 182

გამონაკლისები და შეზღუდვები

1. თითოეულ მხარეს შეუძლია დააწესოს შეზღუდული გამონაკლისები დიზაინის დაცვაზე იმ პირობით, თუ ეს გამონაკლისები დაუსაბუთებლად არ ეწინააღმდეგება დაცული დიზაინის ჩვეულებრივ გამოყენებას და უსაფუძვლოდ არ ლახავს დაცული დიზაინის მფლობელის კანონიერ ინტერესებს მესამე პირების კანონიერი ინტერესების გათვალისწინებით.

2. დიზაინის დაცვა არ უნდა გავრცელდეს ისეთ დიზაინზე, რომელიც არსებითად ტექნიკური ან ფუნქციონალური მოსაზრებებითაა განპირობებული. კონკრეტულად, დიზაინის უფლება არ უნდა მოიცავდეს პროდუქტის გამოსახულების ნიშნებს, რომლებიც აუცილებლად და ზუსტად უნდა მეორდებოდეს იმისათვის, რომ ამ დიზაინის მქონე პროდუქტის წარმოება იქნას ნებადართული ან

რომლის მიმართაც ის გამოიყენება, როგორც მექანიკურად დაკავშირებული ან მასში, მის ირგვლივ ან საპირისპიროდ მოთავსებული, თან იმგვარად, რომ იგივე ფუნქციას ასრულებდეს.

მუხლი 183

კავშირი საავტორო უფლებებთან

მხარის საავტორო უფლებების შესახებ კანონით დიზაინი ასევე უნდა ექვემდებარებოდეს დაცვას მისი შექმნის ან ნებისმიერი ფორმით დაფიქსირების თარიღიდან. დაცვის მინიჭებისათვის ფარგლებსა და პირობებს, მათ შორის, ორიგინალურობის სათანადო ხარისხს, განსაზღვრავს თითოეული მხარე.

ქვენაწილი 5

პატენტები

მუხლი 184

საერთაშორისო შეთანხმებები

მხარეები ადასტურებენ მათ მიერ WIPO-ს საპატენტო კოოპერაციის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს.

მუხლი 185

პატენტები და საზოგადოებრივი ჯანმრთელობა

1. მხარეები აღიარებენ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მინისტერიალის კონფერენციის მიერ 2001 წლის 14 ნოემბერს მიღებულ TRIPS-ის შეთანხმებასა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის თაობაზე დეკლარაციის მნიშვნელობას.

2. მხარეები პატივს სცემენ და ხელს შეუწყობენ 2003 წლის 30 აგვისტოს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური საბჭოს გადაწყვეტილების განხორციელებას, რომელიც ეხება ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული დეკლარაციის მე-6 პუნქტს.

მუხლი 186

დამატებითი დაცვის მოწმობა

1. მხარეები აღიარებენ, რომ მათ ტერიტორიებზე პატენტით დაცული სამედიცინო და მცენარეთა დაცვის პროდუქტები ბაზარზე მოხვედრამდე შეიძლება ექვემდებარებოდეს ადმინისტრაციული დაშვების პროცედურებს. ისინი აცნობიერებენ, რომ პერიოდი პატენტზე განაცხადის შეტანის მომენტიდან შესაბამის ბაზარზე პროდუქტის პირველად დაშვებამდე, როგორც ეს ამ მიზნებისთვის დადგენილია შესაბამისი კანონმდებლობით, შეიძლება ამცირებდეს პატენტით დაცვის ვადას.

2. თითოეული მხარე ანიჭებს დამატებითი ვადით დაცვას პატენტით დაცულ სამედიცინო ან მცენარეთა დაცვის იმ პროდუქტს, რომელიც ადმინისტრაციული დაშვების პროცედურას ექვემდებარება. ეს ვადა, შეესაბამება რა ამ მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადებაში მითითებულ ვადას, მცირდება ხუთი წლით.

3. მე-2 პუნქტში აღნიშნულის მიუხედავად, დაცვის დამატებითი ვადის ხანგრძლივობა არ შეიძლება აღემატებოდეს ხუთ წელს.

4. იმ სამედიცინო პროდუქტებისათვის, რომლებისთვისაც ჩატარდა პედიატრიული კვლევები, და სადაც ამ კვლევების შედეგები მითითებულია პროდუქტის შესახებ ინფორმაციაში, მხარეებმა უნდა დაადგინონ მე–2 პუნქტში მითითებული დაცვის ვადის დამატებით 6 თვით გაგრძელება.

მუხლი 187

სამედიცინო პროდუქტების ბაზარზე განთავსების ნებართვის მისაღებად წარდგენილი მონაცემების დაცვა[30]

1. მხარეები აყალიბებენ ყოვლისმომცველ სისტემას, რათა გარანტირებული იქნას იმ ინფორმაციის კონფიდენციალურობა, ფარულობა და არ გამოყენება, რომელიც წარდგენილია სამედიცინო პროდუქტის ბაზარზე განთავსების ნებართვის მიღების მიზნით.

2. თითოეული მხარე უზრუნველყოფს თავის შესაბამის კანონმდებლობაში, რომ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც წარდგენილია სამედიცინო პროდუქტის ბაზარზე განთავსების ნებართვის მისაღებად, დარჩება კონფიდენციალური და დახურული მესამე პირებისათვის და ისარგებლებს არაკეთილსინდისიერი კომერციული გამოყენების წინააღმდეგ დაცვით.

3. ამ მიზნით არანაკლებ ექვსი წლის განმავლობაში, რომელიც აითვლება მოცემული სამედიცინო პროდუქტის რომელიმე ერთ-ერთ მხარეში ბაზარზე პირველად დაშვებიდან, თითოეული მხარე არ დაუშვებს, რომ სხვა განმცხადებლებმა ბაზარზე გაყიდონ იგივე ან მსგავსი პროდუქტი იმ განმცხადებლის ბაზარზე დაშვების ნებართვაზე დაყრდნობით, რომელმაც წარადგინა ცდებისა და კვლევების მონაცემები, თუ ამ განმცხადებელმა, რომელმაც წარმოადგინა ცდებისა და კვლევების მონაცემები, არ გასცა თანხმობა ამ მონაცემების გამოყენებაზე. წინამდებარე პერიოდის განმავლობაში ბაზარზე პირველად დაშვების უფლების მოსაპოვებლად წარმოდგენილი ცდებისა და კვლევების მონაცემები ვერ იქნება გამოყენებული ნებისმიერი მომდევნო განმცხადებლის სასარგებლოდ, რომელიც მიზნად ისახავს ბაზარზე დაშვების უფლების მოპოვებას სამედიცინო პროდუქტზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ პირველ განმცხადებელს გაცემული აქვს თანხმობა ამის თაობაზე.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი ექვსწლიანი ვადა გაგრძელდება მაქსიმუმ შვიდ წლამდე, თუ ნებართვის მიღებიდან პირველი ექვსი წლის განმავლობაში ძირითადი ნებართვის მფლობელი მიიღებს ნებართვას პრეპარატის ერთი ან მეტი ახალი სამკურნალო დანიშნულებით გამოყენებაზე, რომელიც ითვლება მნიშვნელოვანი კლინიკური უპირატესობის მქონედ მკურნალობის არსებულ მეთოდებთან შედარებით.

5. საქართველომ ამ შეთანხმების 408-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტის მიერ დადგენილ ვადაში უნდა უზრუნველყოს საკუთარი კანონმდებლობის ევროკავშირის სამედიცინო პროდუქტების მონაცემების დაცვის მარეგულირებელ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

მუხლი 188

მონაცემთა დაცვა ბაზარზე განთავსების ნებართვის მისაღებად მცენარეთა დაცვის საშუალებებისთვის

1. თითოეული მხარე ადგენს უსაფრთხოებისა და ეფექტიანობის მოთხოვნებს მცენარეთა დაცვის საშუალებების ბაზარზე განთავსების ნებართვის გაცემამდე.

2. თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ მონაცემები, რომელებიც პირველად არის წარდგენილი განმცხადებლის მიერ მცენარეთა დაცვის საშუალებების ბაზარზე განთავსების ნებართვის მოსაპოვებლად, დაცული იქნება არაკეთილსინდისიერი კომერციული გამოყენებისაგან და არ იქნება გამოყენებული სხვა რომელიმე პირის სასარგებლოდ, რომელიც მიზნად ისახავს ბაზარზე განთავსების ნებართვის მიღებას, თუ არ არის წარმოდგენილი პირველი მფლობელის ცალსახა თანხმობა.

3. ბაზარზე დაშვების ნებართვის მოსაპოვებლად პირველად წარმოდგენილი ცდის ან კვლევის ანგარიში უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

(a) აუცილებელი იყოს ნებართვის გასაცემად ან ნებართვაში შესწორების შესატანად იმისათვის, რომ დასაშვები იყოს მისი გამოყენება მცენარეთა სხვა კულტურების მიმართ, და

(b) სერტიფიცირებული იყოს ისე, რომ შეესაბამებოდეს კარგი ლაბორატორიული პრაქტიკის ან კარგი ექსპერიმენტული პრაქტიკის პრინციპებს.

4. მონაცემთა დაცვის პერიოდი უნდა განისაზღვროს სულ მცირე ათი წლის ვადით შესაბამის მხარეში პირველი ნებართვის გაცემიდან.

მუხლი 189

მცენარეთა ჯიშები

მხარეებმა უნდა დაიცვან უფლებები მცენარეთა ჯიშებზე მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის საერთაშორისო კონვენციის შესაბამისად და ითანამშრომლონ ამ უფლებების წახალისებისა და აღსრულებისათვის.

ნაწილი 3

ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულება

მუხლი 190

ზოგადი ვალდებულებები

1. მხარეები ადასტურებენ TRIPS-ის ხელშეკრულების, კერძოდ მისი III ნაწილის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებს და უზრუნველყოფენ ამ ნაწილით განსაზღვრულ ხელშემწყობ ზომებს, პროცედურებსა და ქმედებებს, რომლებიც აუცილებელია ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულებისთვის[31].

2. ხსენებული ხელშემწყობი ზომები, პროცედურები და ქმედებები სამართლიანი და თანასწორი უნდა იყოს და არ უნდა მოხდეს მათი უმიზეზოდ გართულება ან ხარჯებთან დაკავშირება, დროში შეზღუდვა ან უსაფუძვლოდ შეფერხება.

3. ხსენებული ხელშემწყობი ზომები და ქმედებები უნდა იყოს ეფექტიანი, თანაზომადი და მიმართული გადარწმუნებისკენ და მათი გამოყენება უნდა მოხდეს იმგვარად, რომ თავიდან იქნას აცილებული ლეგიტიმური ვაჭრობისათვის ბარიერების შექმნა და დადგენილი უსაფრთხოების ზომები არ უნდა უშვებდეს მათ ბოროტად გამოყენებას.

მუხლი 191

უფლებამოსილი განმცხადებლები

თითოეული მხარე აღიარებს შემდეგ პირებს, რომლებიც უფლებამოსილნი არიან მოითხოვონ წინამდებარე ნაწილში და TRIPS-ის ხელშეკრულების მე–3 ნაწილში მითითებული ზომების, პროცედურების და ქმედებების განხორციელება:

(a) ინტელექტუალური საკუთრების უფლებების მფლობელები შესაბამისი კანონმდებლობის შესაბამისად,

(b) ყველა სხვა პირი, რომელიც უფლებამოსილია გამოიყენოს ხსენებული უფლებები, სახელდობრ ლიცენზიები, შესაბამისი კანონის მიხედვით და მისი დებულებებით ნებადართულის ფარგლებში;

(c) ინტელექტუალური საკუთრების უფლებების კოლექტიური მართვის ორგანიზაციები, რომლებიც მუდმივად არიან აღიარებულნი ინტელექტუალური საკუთრების უფლებების მფლობელთა წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონედ შესაბამისი კანონის მიხედვით და მისი დებულებებით ნებადართულის ფარგლებში,

(d) პროფესიული დაცვის ორგანიზაციები, რომლებიც მუდმივად არიან აღიარებულნი ინტელექტუალური საკუთრების უფლებების მფლობელთა წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონედ შესაბამისი კანონის მიხედვით და მისი დებულებებით ნებადართულ ფარგლებში.

ქვენაწილი 1

სამოქალაქო აღსრულება

მუხლი 192

მტკიცებულებათა უზრუნველყოფის ღონისძიებები

1. თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ თუნდაც საქმის წარმოებაში მიღებამდე კომპეტენტურ სასამართლოს შეეძლოს მხარის მიმართვის საფუძველზე, რომელმაც წარმოადგინა სათანადო მტკიცებულება, რომელიც ასაბუთებს, რომ მისი ინტელექტუალური საკუთრების უფლება დაირღვა ან შესაძლოა დაირღვეს, გამოიყენოს დაუყოვნებლივი და ეფექტური წინასწარი უზრუნველყოფის ღონისძიებები შესაბამისი მტკიცებულების შენარჩუნებისათვის, რომელიც დაკავშირებულია შესაძლო უფლების დარღვევასთან, ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის პრინციპით.

2. ასეთი ღონისძიებები შესაძლოა მოიცავდეს დეტალურ აღწერას ნიმუშის აღებით ან მის გარეშე, ან სავარაუდო კანონდარღვევით წარმოებული საქონლის და საჭიროების შემთხვევაში, ამ საქონლის წარმოებისა ან/და გასაღების პროცესში გამოყენებული ყველა მასალის, იარაღების/ხელსაწყოების და მათთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ამოღებას. აღნიშნული ღონისძიებების გატარება შესაძლებელი უნდა იყოს მეორე მხარის მოსმენის გარეშეც, კერძოდ, თუ ნებისმიერი გაჭიანურება უფლებათა მფლობელს მიაყენებს აუნაზღაურებელ ზიანს ან თუ სახეზეა მტკიცებულების განადგურების აშკარა რისკი.

3. როდესაც მტკიცებულებების უზრუნველყოფის ღონისძიებები გამოყენებულია მეორე მხარის მოსმენის გარეშე, დაინტერესებულ მხარეებს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოთ სულ მცირე აღნიშნული ღონისძიებების გამოყენების შემდგომ.

მუხლი 193

ინფორმაციის მიღების უფლება

1. თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევასთან დაკავშირებული სამართალწარმოების დროს და მოსარჩელის სამართლიანი და დასაბუთებული მოთხოვნის შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილი იყოს დაავალოს უფლებების დარღვევით წარმოებული საქონლის ან მომსახურების წარმოშობისა და გასაღების ქსელის თაობაზე ინფორმაციის წარმოდგენა დამრღვევს ან/და ნებისმიერ სხვა პირს, რომელიც:

(a) დადგენილია, რომ ფლობს უკანონო საქონელს კომერციული მასშტაბით;

(b) დადგენილია, რომ იყენებდა უკანონო მომსახურებებს კომერციული მასშტაბით;

(c) დადგენილია, რომ კომერციული მასშტაბით აწვდიდა უკანონო მომსახურებას, რომელიც გამოიყენებოდა მართლსაწინააღმდეგო ქმედებებში;

(d) „a“, „b“ და „c“ ქვეპუნქტებში განსაზღვრულ პირთა ინფორმაციაზე დაყრდნობით დადგენილია, რომ ის ჩაბმული იყო მოცემული საქონლის წარმოებაში, დამზადებასა და გასაღებაში ან მომსახურების გაწევაში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია საჭიროებისამებრ უნდა მოიცავდეს შემდეგს:

(a) მწარმოებლების, დამამზადებლების, დისტრიბუტორების, მიმწოდებლების და საქონლის ან მომსახურების სხვა ადრინდელი მფლობელების, აგრეთვე საბითუმო და საცალო მოვაჭრეების (რომელთათვისაც განკუთვნილია მოცემული საქონელი/ მომსახურება) სახელებსა და მისამართებს;

(b) ინფორმაციას წარმოებულ, დამზადებულ, მიწოდებულ, მიღებულ ან შეკვეთილ რაოდენობაზე, ასევე მოცემული საქონლის ან მომსახურების ფასებზე.

3. პირველი და მე-2 პუნქტები ვრცელდება იმ საკანონმდებლო ნორმების შეულახავად, რომლებიც:

(a) უფლების მფლობელს ანიჭებს უფლებამოსილებას მიიღოს უფრო სრული ინფორმაცია;

(b) არეგულირებს სამოქალაქო და სისხლის სამართლებრივ წარმოებაში გამოსაყენებელ ამ მუხლით გათვალისწინებულ ინფორმაციას;

(c) არეგულირებს ინფორმაციაზე უფლების არასათანადო გამოყენებას;

(d) იძლევა იმ ინფორმაციის მიწოდებაზე უარის თქმის შესაძლებლობას, რომელმაც შესაძლოა აიძულოს პირველ პუნქტში მითითებული პირი, აღიაროს საკუთარი თავის ან ახლო ნათესავის მონაწილეობა ინტელექტუალური საკუთრების დარღვევაში; ან

(e) არეგულირებს ინფორმაციის წყაროს კონფიდენციალურობის დაცვას ან პერსონალური მონაცემების დამუშავებას.

მუხლი 194

დროებითი ღონისძიებები

1. თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ სასამართლოს შეეძლოს მოსარჩელის განცხადების საფუძველზე დაავალოს სავარაუდო დამრღვევ მხარეს ქმედების განხორციელება ან/და ქმედებისგან თავის შეკავება, რომელიც გამიზნულია ინტელექტუალური საკუთრების უფლების გარდაუვალი ხელყოფის შესაჩერებლად ან დროებით აუკრძალოს, სათანადო შემთხვევაში განმეორებადი ჯარიმის დაკისრების გამოყენებითაც კი, თუ ასეთი რამ კანონითაა გათვალისწინებული, ინტელექტუალური საკუთრების უფლების სავარაუდო დარღვევების გაგრძელება ან დაუქვემდებაროს ამგვარი ქმედების გაგრძელება გარკვეული გარანტიის წარმოდგენას, რომელიც უზრუნველყოფს უფლებათა მფლობელის კომპენსაციას. ამგვარი დროებითი უზრუნველყოფის ღონისძიება შეიძლება დაევალოს იგივე პირობებით შუამავალს, ვისი მომსახურებაც მესამე პირის მიერ გამოიყენება ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევისათვის.

2. დროებითი უზრუნველყოფის ღონისძიებით შეიძლება გაიცეს ბრძანება იმ საქონლის ამოღება/ჩამორთმევასა თუ მიწოდების შეჩერებაზე, რომელიც სავარაუდოდ არღვევს ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს, რათა მოხდეს მათი სავაჭრო ბრუნვაში შეღწევის ან/და მათი სავაჭრო არხებში მოძრაობის აღკვეთა.

3. იმ შემთხვევაში, თუ სავარაუდო სამართალდარღვევა ჩადენილია მოგების მიღების მიზნით, მხარეები უზრუნველყოფენ, რომ თუ მოსარჩელე დაადასტურებს გარემოებებს, რომ საფრთხე ექმნება ზიანის ანაზღაურებას, სასამართლოს შეეძლოს დროებითი უზრუნველყოფის ღონისძიების სახით გამოსცეს დამრღვევი მხარის უძრავი ან მოძრავი ქონების დაყადაღების ბრძანება, მათ შორის, მისი ანგარიშებისა და სხვა აქტივების დაყადაღება. ამ მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, კომპეტენტურ ორგანოს უნდა შეეძლოს სავარაუდო დამრღვევის მფლობელობაში არსებული საბანკო, ფინანსური ან კომერციული დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მუხლი 195

გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიებები

1. თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ კომპეტენტურ სასამართლოს შეეძლოს, მოსარჩელის განცხადების საფუძველზე უფლების მფლობელისათვის სამართალდარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შეულახავად და რაიმე კომპენსაციის გარეშე გასცეს ბრძანება იმ საქონლის, სულ მცირე, სავაჭრო ბრუნვიდან ცალსახად ამოღებაზე ან განადგურებაზე, რომელიც დადგენილია, რომ არღვევს ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს. შესაბამის შემთხვევაში სასამართლო ორგანოს ასევე უნდა შეეძლოს გამოსცეს ბრძანება იმ მასალებისა და იარაღების განადგურების თაობაზე, რომელიც უპირატესად გამოიყენებოდა ამ საქონლის წარმოებაში.

2. მხარეების სასამართლო ორგანოებს უნდა ჰქონდეთ უფლებამოსილება, დაავალონ სამართალდამრღვევ პირს ამ ღონისძიებების საკუთარი ხარჯით განხორციელება, თუ ამგვარი დავალების საწინააღმდეგოდ არ არის წარმოდგენილი კონკრეტული მიზეზები.

3. თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილება მიღებულია ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევასთან დაკავშირებით, სასამართლოს აგრეთვე უნდა შეეძლოს გამოიყენოს უზრუნველყოფის ღონისძიება, რომელიც ითვალისწინებს არამართლზომიერი ქმედების გაგრძელების შეჩერებას დამრღვევის და ასევე შუამავლის მიერ, ვისი მომსახურებაც მესამე პირის მიერ გამოყენებულია ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევისათვის.

4. მხარეები უზრუნველყოფენ, რომ სათანადო შემთხვევაში და იმ მხარის განცხადების საფუძველზე, რომელზეც მოქმედებს წინამდებარე მუხლი, სასამართლოს შეეძლოს ფულადი კომპენსაციის დაკისრება დაზარალებული მხარის სასარგებლოდ ამ მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებების გამოყენების ნაცვლად, თუ ეს პირი მოქმედებდა განზრახვისა და გაუფრთხილებლობის გარეშე, თუ მოცემული ღონისძიებების ამ პირის მიმართ გამოყენება მიაყენებს მას არათანაზომიერ ზიანს და თუ ამასთან, დაზარალებულ მხარეს ფულადი კომპენსაციის მიღება სათანადოდ აკმაყოფილებს.

მუხლი 196

ზიანი

1. თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ სასამართლოს შეეძლოს, დაზარალებული პირის განცხადების საფუძველზე დააკისროს სამართალდამრღვევს, რომელიც ჩაება სამართალდარღვევაში წინასწარი შეცნობით ან ჰქონდა სათანადო საფუძველი რომ სცოდნოდა, ზიანის იმ ოდენობით ანაზღაურება უფლების მფლობელის სასარგებლოდ, რაც რეალურად მიადგა მას ამ ქმედების შედეგად. სასამართლომ ზიანის განსაზღვრისას:

(a) მხედველობაში უნდა მიიღოს ყველა შესაბამისი გარემოება ისეთი, როგორიცაა უარყოფითი ეკონომიკური შედეგები, დაკარგული შემოსავლის ჩათვლით, რომელიც განიცადა დაზარალებულმა მხარემ, სამართალდამრღვევის მიერ მიღებული უსამართლო მოგება და გარკვეულ შემთხვევებში სხვა არაეკონომიკური ფაქტორები, როგორიცაა უფლების მფლობელის მორალური შეურაცხყოფა, რომელიც გამოიწვია სამართალდარღვევამ; ან

(b) "a" ქვეპუნქტის ალტერნატივად, სასამართლოს უნდა შეეძლოს ზიანის ანაზღაურების სახით ერთჯერადი თანხის დაკისრება იმ გარემოებების გათვალისწინებით, როგორიცაა, სულ მცირე, ჰონორარის ან საფასურის ოდენობა, რომელიც გადახდას დაექვემდებარებოდა, თუ დამრღვევი მოიპოვებდა მოცემული ინტელექტუალური საკუთრების უფლების გამოყენების ნებართვას.

2. როდესაც დამრღვევმა არ იცოდა ან არ შეიძლება სცოდნოდა, რომ ჩაბმული იყო სამართალდაღვევაში, მხარეებმა შეიძლება დაადგინონ, რომ სასამართლოს შეეძლოს დაზარალებული მხარის სასარგებლოდ შემოსავლის ან ზიანის ანაზღაურების დაკისრება, რომლის დადგენაც წინასწარ შესაძლებელია.

მუხლი 197

იურიდიული ხარჯები

თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ გონივრული და პროპორციული იურიდიული ხარჯები და სხვა ხარჯები, რომელიც გასწია მოგებულმა მხარემ ზოგადი წესის თანახმად, დაეკისროს წაგებულ მხარეს, თუკი თანასწორობის პრინციპი იძლევა ამის საშუალებას და თუ ეს ადგილობრივი საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ გამონაკლისებს არ ეწინააღმდეგება.

მუხლი 198

სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნება

თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ სამრეწველო საკუთრების სამართალწარმოების ან საავტორო უფლებებთან დაკავშირებული სამართალწარმოების დროს ან ორივე შემთხვევაში სასამართლოს აქვს შესაძლებლობა დაავალოს მხარეს, მოსარჩელის შუამდგომლობით და დამრღვევის ხარჯით გადაწყვეტილების გავრცელებისათვის შესაბამისი ზომების გატარება, მათ შორის, გადაწყვეტილების მთლიანად ან ნაწილობრივ გამოქვეყნება.

მუხლი 199

ავტორობის ან მფლობელობის პრეზუმფცია

წინამდებარე ქვენაწილით გათვალისწინებული ღონისძიებების, პროცედურების და ზომების გამოყენების მიზნით:

(a) ლიტერატურული ან ხელოვნების ნაწარმოების ავტორი საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე ითვლება ასეთად და შესაბამისად არის უფლებამოსილი დაიწყოს დარღვევაზე სამართალწარმოება. საკმარისი უნდა იყოს მისი სახელის ნაწარმოებზე ჩვეულებრივ დატანა;

(b) სათანადო ცვლილებების გათვალისწინებით, ”a“ ქვეპუნქტის დებულებები ვრცელდება საავტორო უფლებების მფლობელ პირებზე, მათ დაცულ ობიექტებთან მიმართებაში.

ქვენაწილი 2

სხვა დებულებები

მუხლი 200

სასაზღვრო ღონისძიებები

1. წინამდებარე შეთანხმების 75-ე მუხლის და XIII დანართის შეულახავად ეს მუხლი განსაზღვრავს შეთანხმების ზოგად პრინციპებს, რომელიც არეგულირებს საბაჟო ორგანოების მიერ ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულებას და მხარეთა საბაჟო ორგანოების ვალდებულებას ურთიერთთანამშრომლობაზე.

2. ინტელექტუალური საკუთრების უფლების აღსრულებასთან დაკავშირებული სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელებისას მხარეებმა უნდა უზრუნველყონ მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების განუხრელი შესრულება ტარიფებსა და ვაჭრობაზე გენერალური შეთანხმებისა GATT 1994 და TRIPS შეთანხმების ფარგლებში.

3. სასაზღვრო ღონისძიებებთან დაკავშირებული წინამდებარე მუხლის დებულებები პროცედურული ხასიათისაა. ისინი ადგენენ სასაზღვრო ორგანოების სამოქმედო პირობებსა და პროცედურებს იმ შემთხვევებისთვის, როდესაც ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევით წარმოებული საქონელი პოტენციურად არის ან უნდა ყოფილიყო სასაზღვრო კონტროლს დაქვემდებარებული. ამ დებულებებმა რაიმე სახით არ უნდა იქონიონ გავლენა მხარეთა ინტელექტუალური საკუთრების შესახებ მატერიალურ კანონმდებლობაზე.

4. ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა ეფექტიანი აღსრულების ხელშეწყობისთვის სასაზღვრო ორგანოებმა უნდა გამოიყენონ სხვადასხვა მიდგომები, რათა გამოვლინდეს სამართალდარღვევით წარმოებული საქონლის შემცველი ტვირთი. ხსენებული მიდგომები მოიცავს რისკების ანალიზის ტექნიკას, რაც, მათ შორის, დაფუძნებული იქნება უფლების მფლობელის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე, დაზვერვით მოპოვებულ ინფორმაციასა და ტვირთის შემოწმებაზე.

5. მხარეები თანხმდებიან TRIPS-ის შეთანხმების 69-ე მუხლის ეფექტიან განხორციელებაზე ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევით წარმოებული საქონლის საერთაშორისო ვაჭრობის კონტექსტში. ამ მიზნით, მხარეებმა უნდა დააფუძნონ და აცნობონ მათ ტეროტორიაზე მოქმედი საბაჟო ადმინისტრაციების საკონტაქტო პირების შესახებ და მზად უნდა იყვნენ მონაცემებისა და ინფორმაციის გაცვლისთვის, ორივე მხარეზე გავლენის მქონე ამგვარი საქონლით ვაჭრობის შესახებ. კერძოდ, მათ ხელი უნდა შეუწყონ მათი ქვეყნების საბაჟო ორგანოებს შორის ინფორმაციის გაცვლასა და თანამშრომლობას კონტრაფაქციული და საავტორო უფლების დაღვევით წარმოებული (მეკობრული) საქონლით ვაჭრობის დარგში. ამ შეთანხმების საბაჟო საკითხებში ორმხრივი ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ II ოქმის დებულებების შეულახავად, საბაჟო ორგანოებმა, სადაც საჭიროება მოითხოვს, ოპერატიულად და მხარეთა მონაცემთა დაცვის შესახებ კანონმდებლობის სრული დაცვით უნდა გაცვალონ ამგვარი ინფორმაცია.

6. თითოეული მხარის საბაჟო ორგანომ უნდა ითანამშრომლოს მოთხოვნის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით, რათა მის ხელთ არსებული შესაბამისი ინფორმაცია მეორე მხარის საბაჟო ორგანოს მიაწოდოს; განსაკუთრებით ეს ეხება მხარის ტერიტორიაზე ტრანზიტით გამავალ საქონელს, რომელიც მეორე მხარის ტერიტორიისთვის არის გამიზნული (ან ამ ქვეყნიდანაა წარმოშობილი).

7. ამ შეთანხმების 74–ე მუხლში მითითებულმა ქვე-კომიტეტმა უნდა განსაზღვროს პრაქტიკული მექანიზმები, რომელიც აუცილებელია წინამდებარე მუხლში მითითებული მონაცემებისა და ინფორმაციის გაცვლისათვის.

8. ამ შეთანხმების საბაჟო საკითხებში ორმხრივი ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ II ოქმი ვრცელდება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევისას, ამ მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტების გამოყენებიდან გამომდინარე თანამშრომლობის ფორმების შეულახავად.

9. ამ შეთანხმების 74-ე მუხლში მითითებული ქვე-კომიტეტი უნდა მოქმედებდეს როგორც პასუხისმგებელი ქვე-კომიტეტი, რათა უზრუნველყოფილი იქნას წინამდებარე მუხლის გამართული მოქმედება და განხორციელება.

მუხლი 201

ქცევის ნორმები

მხარეებმა ხელი უნდა შეუწყონ:

(a) ქცევის კოდექსების შემუშავებას სავაჭრო ან პროფესიული ასოციაციების ან ორგანიზაციების მიერ, რაც ხელს შეუწყობს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულებას;

(b) შემუშავებული ქცევის კოდექსებისა და მათი პრაქტიკაში გატარების თაობაზე შეფასებების წარდგენას შესაბამისი მხარეების კომპეტენტური ორგანოებისათვის.

მუხლი 202

თანამშრომლობა

1. მხარეები თანხმდებიან ითანამშრომლონ წინამდებარე თავის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებებისა და პირობების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით.

2. თანამშრომლობის სფერო მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება, შემდეგ ქმედებებს:

(a) ინტელექტუალური საკუთრების უფლებების მარეგულირებელი კანონმდებლობის, ასევე მათი დაცვისა და აღსრულების შესაბამისი წესების შესახებ ინფორმაციის გაცვლა; ამ სფეროებში საკანონმდებლო ცვლილებების მიმართულებით გამოცდილების გაზიარება;

(b) ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების შესახებ გამოცდილებისა და ინფორმაციის გაზიარება;

(c) გამოცდილების გაზიარება საბაჟოს, პოლიციის, ადმინისტრაციული და სასამართლო ორგანოების მიერ ცენტრალური და ადგილობრივი აღსრულების შესახებ; კოორდინაცია კონტრაფაქციული საქონლის ექსპორტის აღკვეთის მიზნით, სხვა ქვეყნებთან კოორდინაციის ჩათვლით;

(d) ადამიანური რესურსების განვითარება,

(e) კადრების გაცვლა და გადამზადება;

(f) ინტელექტუალური საკუთრების უფლებებზე ინფორმაციის გავრცელება და მასთან დაკავშირებული ცოდნის ამაღლება, მათ შორის, ბიზნეს წრეებსა და სამოქალაქო საზოგადოებაში; მომხმარებლებისა და უფლებების მფლობელთა ცნობიერების გაზრდა;

(g) ინსტიტუციონალური თანამშრომლობის გაძლიერება, მაგალითად, ინტელექტუალური საკუთრების უწყებებს შორის;

(h) ინტელექტუალური საკუთრების უფლებებსა და პოლიტიკაზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და განათლების აქტიური ხელშეწყობა; ეფექტიანი სტრატეგიების შემუშავება ძირითადი სამიზნე აუდიტორიის გამოსავლენად და საკომუნიკაციო პროგრამების შესამუშავებლად, რათა გაიზარდოს მომხმარებელთა და მედიის ცნობიერება ინტელექტუაულური საკუთრების სამართლის დარღვევებზე, მათ შორის, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების რისკებზე, და ორგანიზებულ დანაშაულთან კავშირზე.

თავი 10

კონკურენცია

მუხლი 203

პრინციპები

მხარეები აცნობიერებენ თავისუფალი და შეუზღუდავი კონკურენციის მნიშვნელობას თავიანთ სავაჭრო ურთიერთობებში. მხარეები აღიარებენ, რომ ანტიკონკურენციული ბიზნეს ქმედებები და სახელმწიფო ჩარევა (მათ შორის სუბსიდიების სახით) ქმნის ბაზრების ნორმალური ფუნქციონირების შეზღუდვის შესაძლებლობას და ამცირებს ვაჭრობის ლიბერალიზაციიდან გამომდინარე სარგებელს.

მუხლი 204

ანტიტრასტული და შერწყმების მარეგულირებელი კანონმდებლობა და მისი

განხორციელება

1. მხარეებს მათ შესაბამის ტერიტორიაზე უნდა გააჩნდეთ ყოვლისმომცველი კონკურენციის კანონები, რომლებიც ეფექტიანად იქნება მიმართული ანტიკონკურენციულ შეთანხმებებზე, შეთანხმებულ ქმედებებსა და დომინირებული საბაზრო ძალაუფლების მქონე კომპანიების ერთპიროვნულ ანტიკონკურენციულ ქმედებაზე და რომლებიც ითვალისწინებს შერწყმების ეფექტიან კონტროლს, თავისუფალი კონკურენციის მნიშვნელოვანი შეზღუდვისა და დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების მიზნით.

2. მხარეებს უნდა გააჩნდეთ ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული კონკურენციის კანონების ეფექტიან აღსრულებაზე პასუხისმგებელი და შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანო.

3. მხარეები აცნობიერებენ თავიანთი კონკურენციის კანონების გამოყენებისას საჯაროობისა და არადისკრიმინაციულობის დაცვის მნიშვნელობას პროცედურული სამართლიანობის პრინციპისა და მხარეთა დაცვის უფლების გათვალისწინებით.

მუხლი 205

სახელმწიფო მონოპოლიები, სახელმწიფო საწარმოები და საწარმოები სპეციალური ან ექსკლუზიური უფლებებით

1. ამ თავში მოცემული დებულებები არ ზღუდავს მხარეებს, რომ შექმნან ან შეინარჩუნონ სახელმწიფო მონოპოლიები, სახელმწიფო საწარმოები ან მიანიჭონ საწარმოს სპეციალური ან ექსკლუზიური უფლებები თავიანთი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. კომერციულ სახელმწიფო მონოპოლიებთან, სახელმწიფო საწარმოებთან და სპეციალური ან ექსკლუზიური უფლებების მქონე საწარმოებთან მიმართებაში თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს ასეთ საწარმოებზე 204-ე მუხლის პირველ პუნქტში მითითებული კონკურენციის კანონების გავრცელება ისე, რომ კანონების აღსრულებამ ხელი არ შეუშალოს, კანონით ან ფაქტობრივად, ამ საწარმოების მიერ მათთვის დაკისრებული ცალკეული საზოგადოებრივი მნიშვნელობის ამოცანის შესრულებას.

მუხლი 206

სუბსიდიები

1. ამ მუხლის მიზნისთვის „სუბსიდია" არის ღონისძიება, რომელიც აკმაყოფილებს სუბსიდიებისა და საკომპენსაციო ზომების შესახებ შეთანხმების პირველი მუხლით განსაზღვრულ პირობებს მიუხედავად იმისა, სუბსიდია გაცემულია საქონლის წარმოებისათვის თუ მომსახურების მიწოდებისათვის და რომელიც განსაზღვრულია აღნიშნული შეთანხმების მე-2 მუხლით.

2. თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს საჯაროობა სუბსიდიების სფეროში. ამ მიზნის მისაღწევად, თითოეულმა მხარემ მეორე მხარეს 2 წელიწადში ერთხელ უნდა მიაწოდოს ანგარიში იმ სუბსიდიის სამართლებრივი საფუძვლის, ფორმის, ოდენობის ან ბიუჯეტის და სადაც შესაძლებელია, სუბსიდიის მიმღების შესახებ, რომელიც გაცემულია მისი მთავრობის ან ნებისმიერი საჯარო დაწესებულების მიერ საქონლის წარმოებასთან მიმართებაში. ანგარიში წარდგენილად ითვლება, თუ შესაბამისი ინფორმაცია განთავსებულია თითოეული მხარის მიერ საჯაროდ ხელმისაწვდომ ვებ-გვერდზე.

3. მეორე მხარის მოთხოვნის საფუძველზე მხარემ დროულად უნდა მიაწოდოს ინფორმაცია და გასცეს პასუხი ცალკეულ სუბსიდიასთან დაკავშირებულ კითხვებს, თუ სუბსიდია ეხება მომსახურების მიწოდებას.

მუხლი 207

დავების მოგვარება

დავების მოგვარების მექანიზმის ნორმები, რომლებიც მოცემულია ამ შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) მე-14 თავში (დავების მოგვარება) არ ვრცელდება ამ შეთანხმების 203-ე, 204-ე და 205-ე მუხლებზე.

მუხლი 208

ურთიერთმიმართება ვმო-სთან

ამ თავში მოცემული დებულებები ზიანს არ აყენებს მხარის უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც გამომდინარეობს ვმო-ს შეთანხმებიდან, კერძოდ, სუბსიდიებისა და საკომპენსაციო ზომების შესახებ შეთანხმებიდან და დავების მოგვარების პროცედურებიდან (DSU).

მუხლი 209

კონფიდენციალობა

ამ თავით გათვალისწინებული ინფორმაციის გაცვლისას, მხარეებმა უნდა გაითვალისწინონ მათ იურისდიქციაში მოქმედი შეზღუდვები, რომლებიც უკავშირდება პროფესიული და კომერციული საიდუმლოების მოთხოვნებს.

თავი 11

ვაჭრობასთან დაკავშირებული დებულებები ენერგეტიკის სფეროში

მუხლი 210

განმარტებები

წინამდებარე თავის მიზნებიდან გამომდინარე:

a) „ენერგოპროდუქტი” ნიშნავს ნედლ ნავთობს (HS კოდი 27.09), ბუნებრივ აირს (HS კოდი 27.11) და ელექტროენერგიას (HS კოდი 27.16);

b) „ენერგიის ტრანსპორტირების საშუალებები” ნიშნავს მაღალი წნევის ბუნებრივი აირის მილსადენებს, მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ქსელებსა და ხაზებს, მათ შორის, ურთიერთდამაკავშირებელ სისტემებს, რომლებიც გამოიყენება გაზისა თუ ელექტროენერგიის გადამცემი ქსელების დასაკავშირებლად, ნედლი ნავთობის ტრანსპორტირების მილსადენებს, რკინიგზასა და სხვა ფიქსირებული საშუალებებს, რომლებიც გამოიყენება ენერგოპროდუქტების ტრანზიტისათვის;

c) „ტრანზიტი” ნიშნავს ენერგოპროდუქტების გატარებას „მხარის” ტერიტორიაზე სატრანზიტო გადაზიდვის ჩათვლით ან მის გარეშე, საწყობში მოთავსების, ტვირთის ცალკეულ ერთეულებად დანაწევრების ან ტრანსპორტირების ტიპის შეცვლით, როცა ასეთი სახის გატარება შეადგენს სრული მარშრუტის ნაწილს, რომელიც იწყება და სრულდება იმ მხარის ტერიტორიის საზღვრებს გარეთ, რომლის ტერიტორიასაც კვეთს მარშრუტი.

d) „უკანონო მითვისება” ნიშნავს ნებისმიერ ქმედებას, რაც გულისხმობს ენერგიის ტრანსპორტირების საშუალებებიდან ენერგოპროდუქტების უკანონო მითვისებას

მუხლი 211

ტრანზიტი

მხარეები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ ტრანზიტის განხორციელება მათ მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად, რომელსაც ითვალისწინებს 1994 წლის ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმებისა და ენერგეტიკული ქარტიის ხელშეკრულების დებულებები.

მუხლი 212

ენერგოპროდუქტების უკანონო მითვისება ტრანზიტის პროცესში

თითოეული მხარე ვალდებულია, მიიღოს ყველა შესაბამისი ზომა ტრანზიტის პროცესში ენერგოპროდუქტების ნებისმიერი სახით უკანონო მითვისების აკრძალვისა და ასეთ შემთხვევებზე რეაგირებისათვის, რომლებსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს მოცემული მხარის ტერიტორიაზე მისი კონტროლისა თუ იურისდიქციის დაქვემდებარებაში მყოფი ნებისმიერი იურიდიული პირის მხრიდან.

მუხლი 213

შეუფერხებელი ტრანზიტი

1. მხარეს ეკრძალება მის ტერიტორიაზე ტრანზიტით გამავალი ენერგოპროდუქტების მითვისება ან სხვა რაიმე სახით ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როცა ამგვარი მითვისება ან ჩარევა განსაკუთრებულად არის გათვალისწინებული კონტრაქტით ან სხვა ხელშეკრულებით, რომელიც ეხება ტრანზიტს; ან, როცა ენერგიის ტრანსპორტიების საშუალებების უწყვეტი მუშაობა სათანადო ჩარევის

გარეშე წარმოადგენს გაუმართლებელ საფრთხეს საზოგადოების უსაფრთხოების, კულტურული მემკვიდრეობის, ჯანმრთელობის ან გარემოსათვის; ასეთი ჩარევა მისაღებია, თუკი ის არ წარმოადგენს საერთაშორისო ვაჭრობისადმი თვითნებურ და გაუმართლებელ შერჩევით მიდგომას ან მის ფარულ შეზღუდვა-დაბრკოლებას.

2. მხარეების ან ერთ-ერთი მხარის კონტროლისა თუ იურისდიქციის ქვეშ მყოფი ერთი ან მეტი იურიდიული პირის მონაწილეობით ნებისმიერი სახის დავის შემთხვევაში მხარეს, რომლის ტერიტორიაზეც ხორციელდება ენერგოპროდუქტების ტრანზიტი, შესაბამისი კონტრაქტის საფუძველზე დავების მოგვარების პროცედურის ან წინამდებარე შეთანხმების XVIII დანართით გათვალისწინებული საგანგებო სიტუაციის პროცედურის ან მეოთხე კარის მე-14 თავით გათვალისწინებული პროცედურის დასრულებამდე ეკრძალება ენერგოპროდუქტების ტრანზიტის პროცესის შეწყვეტა ან მისი მოცულობის შემცირება, ასევე, მისი კონტროლისა თუ იურისდიქციისს ქვეშ მყოფი ნებისმიერი იურიდიული პირის, მათ შორის სახელმწიფო სავაჭრო საწარმოსათვის, ამგვარი ტრანზიტის შეწყვეტის ან მისი მოცულობის შემცირების ნების დართვა, გარდა პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. მხარე არ არის პასუხისმგებელი წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული ტრანზიტის შეწყვეტასა თუ მოცულობის შემცირებაზე, თუ ამ მხარეს არ შეუძლია ენერგოპროდუქტების მიწოდება და მისი ტრანზიტის განხორციელება მესამე მხარის ან მესამე მხარის კონტროლისა თუ იურისდიქციის ქვეშ მყოფი იურიდიული პირის მოქმედებების შედეგად.

მუხლი 214

ოპერატორების ვალდებულებები ტრანზიტის პროცესში

თითოეული მხარე ვალდებულია, უზრუნველყოს ენერგიის ტრანსპორტირების საშუალებების ოპერატორების მხრიდან საჭირო ზომების მიღება, რათა მოხდეს:

(a) ტრანზიტის ავარიული შეწყვეტის ან შემცირების რისკის მინიმიზაცია;

(b) ტრანზიტის ავარიული შეწყვეტის ან შემცირების შემთხვევაში მისი ნორმალური განხორციელების დაჩქარებულ რეჟიმში აღდგენა.

მუხლი 215

მარეგულირებელი უწყებები

1. თითოეული მხარე პასუხისმგებელია შექმნას დამოუკიდებელი მარეგულირებელი უწყებები, რომელიც აღჭურვილი იქნება ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის ბაზრების რეგულირების უფლებით. ეს მარეგულირებელი უწყებები უნდა იყვნენ იურიდიულად განცალკევებული და ფუნქციონალურად დამოუკიდებელი ერთეულები სხვა ნებისმიერი საჯარო თუ კერძო საწარმოსაგან, ბაზარის მონაწილისა თუ ოპერატორისაგან.

2. მარეგულირებელი უწყების გადაწყვეტილებები და მის მიერ გამოყენებული პროცედურები უნდა იყოს მიუკერძოებელი ბაზარის ყველა მონაწილესთან მიმართებაში.

3. ოპერატორს, რომელზეც მარეგულირებელი უწყების გადაწყვეტილება იქონიებს უარყოფით ზეგავლენას, უნდა ჰქონდეს ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება ჩართული მხარეებისაგან დამოუკიდებელ სააპელაციო უწყებაში. ყველა შემთხვევაში, როცა სააპელაციო უწყება არ არის თავისი არსით იურიდიული უწყება, აუცილებელია მისი გადაწყვეტილების წერილობითი ფორმით წარდგენა და ეს გადაწყვეტილებები ასევე უნდა ექვემდებარებოდეს მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი სასამართლო უწყების მიერ განხილვას. სააპელაციო უწყების გადაწყვეტილება დაუყონებლივ უნდა შევიდეს ძალაში და ამოქმედდეს.

მუხლი 216

ბაზრების ორგანიზება

1. მხარეები ვალდებულნი არიან, უზუნველყონ ენერგეტიკული ბაზრების ოპერირება კონკურენტული, უსაფრთხო და ეკოლოგიურად მდგრადი პირობების მისაღწევად და ასევე არ განახორციელონ საწარმოთა დისკრიმინაცია მათ უფლებებსა თუ ვალდებულებებთან მიმართებაში.

2. მიუხედავად პირველ პუნქტში დადგენილი პირობებისა, ზოგადი ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, მხარეს აქვს საწარმოებზე ვალდებულებების დაკისრების უფლება, რომლებიც შეიძლება დაკავშირებული იყოს უსაფრთხოებასთან, მათ შორის მიწოდების უსაფრთხოებასთან, რეგულარობასთან, ხარისხსა და მიწოდების ფასთან, გარემოს დაცვასთან, მათ შორის ენერგოეფექტურობასთან, განახლებადი წყაროებიდან ენერგიის მოპოვებასა და კლიმატის დაცვასთან. ასეთი ვალდებულებები უნდა იყოს მკაფიოდ ჩამოყალიბებული, გამჭვირვალე, პროპორციული და გადამოწმებადი.

3. იმ შემთხვევაში, თუ მხარე არეგულირებს ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის გაყიდვის ფასებს ადგილობრივ ბაზარზე, ის ვალდებულია უზრუნველყოს რეგულირებადი ფასების გამოსათვლელად გამოყენებული მეთოდოლოგიის გამოქვეყნება რეგულირებადი ფასების ძალაში შესვლამდე.

მუხლი 217

ენერგიის ტრანსპორტირების საშუალებებზე დაშვება

1. თითოეული მხარე ვალდებულია საკუთარ ტერიტორიაზე უზრუნველყოს ენერგიის ტრანსპორტირების საშუალებებზე, ასევე, თხევადი ბუნებრივი აირისა და სასაწყობე საშუალებებზე მესამე მხარის დაშვების სისტემის განხორციელება, რომელიც ვრცელდება ყველა მომხმარებელზე და არის გამჭვირვალე, ობიექტური და არადისკრიმინაციული.

2. თითოეული მხარე ვალდებულია, უზრუნველყოს ენერგიის ტრანსპორტირების საშუალებებზე დაშვების ტარიფის და ენერგიის ტრანსპორტირების საშუალებებზე დაშვებასთან დაკავშირებული სხვა პირობების ობიექტურობა, გონივრულობა და გამჭვირვალობა და ასევე არადისკრიმინაციული მიდგომა ენერგოპროდუქტის წარმომავლობის, მფლობელობისა თუ საბოლოო დანიშნულების ადგილის მიუხედავად.

3. მხარე ვალდებულია, უზრუნველყოს ყველა ტექნიკური და დაკონტრაქტებული სიმძლავრის, როგორც ფიზიკურის, ასევე, ვირტუალურის, განაწილება გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული კრიტერიუმებისა და პროცედურების მეშვეობით.

4. მესამე მხარის დაშვებაზე უარის შემთხვევაში, მხარეები ვალდებულნი არიან, მოთხოვნის შესაბამისად უზრუნველყონ ენერგოსატრანსპორტო საშუალებათა ოპერატორების მიერ დასაბუთებული ახსნა-განმარტების წარდგენა მომთხოვნი მხარისათვის, რაც სამართლებრივი კომპენსაციის საგანს წარმოადგენს.

5. გამონაკლისის სახით მხარემ შეიძლება თავი აარიდოს პირველიდან მე-4 პუნქტის ჩათვლით დებულებების შესრულებას, მის კანონმდებლობაში მოცემული ობიექტური კრიტერიუმის საფუძველზე. კერძოდ, მხარეს საკუთარ კანონმდებლობაში შეუძლია გაითვალისწინოს მესამე მხარის დაშვების წესებისგან გამონაკლისის დაშვება ცალკეულ შემთხვევაში შეზღუდული დროით ძირითადი ახალი ენერგიის ტრანსპორტირების საშუალებებისთვის.

მუხლი 218[32]

ენერგეტიკული თანამეგობრობის ხელშეკრულებასთან მიმართებაში

1. მოცემული თავის დებულებებსა და ენერგეტიკული თანამეგობრობის ხელშეკრულების დებულებებს ან ენერგეტიკული თანამეგობრობის ხელშეკრულების ძალით ევროკავშირის კანონმდებლობაში შესულ დებულებებს შორის კონფლიქტის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ენერგეტიკული თანამეგობრობის ხელშეკრულების დებულებებსა ან ენერგეტიკული თანამეგობრობის ხელშეკრულების ძალით ევროკავშირის კანონმდებლობაში შესულ დებულებებს.

2. მოცემული თავის განხორციელების პროცესში უპირატესობა ენიჭება კანონებისა და სხვა აქტების მიღებას, რომლებიც თანხვედრაშია ენერგეტიკული თანამეგობრობის ხელშეკრულებასთან ან ეფუძნება ევროკავშირის კანონმდებლობას. წინამდებარე თავთან დაკავშირებული დავის შემთხვევაში კანონები ან სხვა აქტები, რომლებიც თანხვედრაშია ამ კრიტერიუმთან, ჩაითვლება კანონებად და აქტებად, რომლებიც თანხვედრაშია მოცემულ თავთან. ამ კრიტერიუმთან კანონებისა და სხვა აქტების თანხვედრის დასადგენად გათვალისწინებული უნდა იყოს ენერგეტიკული თანამეგობრობის ხელშეკრულების 91-ე მუხლის ძალით მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილება.

თავი 12

გამჭვირვალობა

მუხლი 219

განმარტებები

ამ თავის მიზნებისთვის:

a) „ზოგადი გამოყენების ზომა" მოიცავს კანონებს, რეგულაციებს, სასამართლოს გადაწყვეტილებებს, პროცედურებს და ადმინისტრაციულ წესებს, რომლებსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეთ ამ შეთანხმების IV კარით (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) გათვალისწინებულ ნებისმიერ საკითხზე. ის არ მოიცავს ზომებს, რომლებიც ეხება კონკრეტულ პირს ან პირთა ჯგუფს.

b) „დაინტერესებული პირი" ნიშნავს მხარის ტერიტორიაზე დაფუძნებულ ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელზეც პირდაპირი ზეგავლენა შეიძლება ჰქონდეს ზოგადი გამოყენების ზომას.

მუხლი 220

მიზანი

აღიარებენ რა, რომ მარეგულირებელმა გარემომ შეიძლება გავლენა იქონიოს მხარეთა შორის ვაჭრობასა და ინვესტიციებზე, მხარეები უზრუნველყოფენ პროგნოზირებადი მარეგულირებელი გარემოს შექმნასა და ეფექტიან პროცედურებს ეკონომიკური ოპერატორებისთვის, მცირე და საშუალო საწარმოების ჩათვლით, სამართლებრივი სიცხადის და პროპორციულობის გათვალისწინებით.

მუხლი 221

გამოქვეყნება

1. თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ ზოგადი გამოყენების ზომები:

(a) იყოს სწრაფად და ადვილად ხელმისაწვდომი ოფიციალური არხის მეშვეობით და სადაც შესაძლებელია, ელექტრონული საშუალებებით, რათა ნებისმიერმა პირმა შეძლოს ამ ზომების გაცნობა;

(b) იძლევიან მიზნის განმარტებას და ამ ზომების დასაბუთებას; და

(c) უზრუნველყოფენ საკმარისი დროის შუალედს ამ ზომების გამოქვეყნებასა და ძალაში შესვლას შორის, გარდა სათანადოდ დასაბუთებული შემთხვევებისა, უსაფრთხოების ზომებისა ან საგანგებო სიტუაციების ჩათვლით.

2. თითოეული მხარე:

(a) მიზნად ისახავს, ადრეულ საფეხურზე საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადოს ზოგადი გამოყენების ზომის მიღებასა ან ცვლილებასთან დაკავშირებული ნებისმიერი წინადადება ამ წინადადების მიზნისა და მისი დასაბუთების ჩათვლით.

(b) უზრუნველყოფს დაინტერესებული პირებისთვის ამგვარ წინადადებაზე კომენტარის გაკეთების გონივრულ შესაძლებლობებს, კერძოდ, იძლევა საკმარის დროს ამგვარი შესაძლებლობებისათვის; და

(c) მიზნად ისახავს მხედველობაში მიიღოს ამგვარ წინადადებასთან დაკავშირებით დაინტერესებული პირების კომენტარები.

მუხლი 222

შეკითხვები და საკონტაქტო პირები

1. ამ შეთანხმების IV კართან (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული ზომები) დაკავშირებით ნებისმიერ საკითხთან მიმართებაში მხარეებს შორის კომუნიკაციის გაადვილების მიზნით თითოეული მხარე განსაზღვრავს საკონტაქტო პირს, რომელიც იქნება კოორდინატორი.

2. თითოეული მხარე დააფუძნებს ან შეინარჩუნებს შესაბამის მექნიზმებს, რათა პასუხი გასცეს ნებისმიერი პირის შეკითხვებს შეთავაზებულ ან ძალაში მყოფ ზოგადი გამოყენების ზომებთან და მათ მოქმედებასთან დაკავშირებით. შეკითხვებზე რეაგირება შეიძლება განხორციელდეს პირველი პუნქტით გათვალისწინებული საკონტაქტო პირის მეშვეობით ან სხვა მექანიზმის გამოყენებით, საჭიროებიდან გამომდინარე.

3. მხარეები აღიარებენ, რომ მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ნებისმიერი პასუხი შეიძლება არ იყოს გადამწყვეტი ან იურიდიულად სავალდებულო, არამედ მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის გამოსაყენებელი, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ სხვაგვარად არის მოცემული მათ შესაბამის კანონებსა და რეგულაციებში.

4. მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, მეორე მხარე დაუყოვნებლივ უზრუნველყოფს ინფორმაციის მიწოდებას და პასუხის გაცემას იმ კითხვებზე, რომლებიც ეხება ზოგადი გამოყენების ზომას, ან ნებისმიერ წინადადებას ზოგადი გამოყენების ზომის მიღებასა ან ცვლილებაზე, რომელსაც მომთხოვნი მხარის მოსაზრებით შეიძლება რაიმე გავლენა ჰქონდეს ამ შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) მოქმედებაზე მიუხედავად იმისა, მომთხოვნ მხარეს შეატყობინეს თუ არა მანამდე ამ ზომის შესახებ.

მუხლი 223

ზოგადი გამოყენების ზომების ადმინისტრირება

1. თითოეული მხარე ზოგადი გამოყენების ზომების ადმინისტრირებას ახორციელებს ობიექტურად, მიუკერძოებლად და გონივრულად.

2. ამ მიზნით, თითოეული მხარე, ამგვარი ზომების მეორე მხარის ცალკეული პირების, საქონლის ან მომსახურების მიმართ გამოყენებისას განსაკუთრებულ შემთხვევებში:

(a) მიზნად ისახავს უზრუნველყოს იმ დაინტერესებული პირების გონივრული გაფრთხილება, რომლებზეც პირდაპირი გავლენა აქვს ადმინისტრაციულ პროცედურებს, იმის თაობაზე, თუ როდის არის ეს პროცედურა ინიცირებული, ამ პროცედურის შინაარსის აღწერის, ინიცირებაზე უფლებამოსილი ორგანოს განაცხადის და ნებისმიერი საკამათო საკითხის ზოგადი აღწერილობის ჩათვლით;

(b) ამგვარ დიანტერესებულ პირებს აძლევს გონივრულ შესაძლებლობას, ნებისმიერ საბოლოო ადმინისტრაციულ ქმდებამდე თავიანთი პოზიციის მხარდასაჭერად წარმოადგინონ ფაქტები და არგუმენტები, რამდენადაც ამის საშუალებას იძლევა დრო, პროცედურის წარმოების ხასიათი და საზოგადოებრივი ინტერესი; და

(c) უზრუნველყოფს, რომ მისი პროცედურები ეფუძნება კანონს და ხორციელდება კანონის შესაბამისად.

მუხლი 224

გადახედვა და გასაჩივრება

1. თითოეული მხარე ჩამოაყალიბებს ან შეინარჩუნებს სასამართლო, საარბიტრაჟო ან ადმინისტრაციულ ტრიბუნალებს ან პროცედურებს ამ შეთანხმების IV კარით (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) გათვალისწინებული ადმინისტრაციული ქმედების საკითხებთან დაკავშირებით სწრაფი გადახედვისა და საჭიროების შემთხვევაში შესწორებების შეტანის მიზნით. ამგვარი ტრიბუნალები ან პროცედურები იქნება მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი იმ უწყებებისა და უფლებამოსილი ორგანოებისაგან, რომელთაც დაკისრებული აქვთ ადმინისტრაციული აღსრულება და მათ, ვინც პასუხისმგებელნი არიან ამ საკითხზე არ უნდა ჰქონდეთ არსებითი ინტერესი მისაღებ შედეგთან დაკავშირებით.

2. თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ ამგვარი ტრიბუნალების და პროცედურების დროს სამართალწარმოების მხარეები აღჭურვილნი არიან შემდეგი უფლებით:

(a) გონივრული შესაძლებლობა მხარი დაუჭირონ და დაიცვან მათი შესაბამისი პოზიციები; და

(b) გადაწყვეტილება, რომელიც ეფუძნება მტკიცებულებას და წარმოდგენილ მონაცემებს ან სადაც კანონი ითხოვს, მონაცემებს, რომელიც შედგენილია ადმინისტრაციული ორგანოების მიერ.

3. თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ ასეთი გადაწყვეტილება, რომელიც ექვემდებარება კანონით გათვალისწინებულ გასაჩივრებას ან გადახედვას, უნდა განხორციელდეს და პრაქტიკაში დამკვიდრდეს იმ უწყების ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ, რომელიც პასუხისმგებელია ამ ადმინისტრაციულ ქმედებაზე.

მუხლი 225

რეგულირების ხარისხი, შესრულება და კარგი ადმინისტრაციული ქცევა

1. მხარეები თანხმდებიან ითანამშრომლონ რეგულირების ხარისხისა და შესრულების ხელშესაწყობად, მათ შორის, რეგულირების პოლიტიკასა და რეგულირების გავლენის შეფასებაზე ინფორმაციის გაცვლისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების გზით.

2. მხარეები აღიარებენ კარგი ადმინისტრაციული ქცევის[33] პრინციპების მნიშვნელობას და თანხმდებიან ითანამშრომლონ ამგვარი პრინციპების ხელშესაწყობად, მათ შორის ინფორმაციის გაცვლის და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით.

მუხლი 226

სპეციალური წესები

ამ თავის დებულებები მოქმედებს ამ შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) სხვა თავებით განსაზღვრული გამჭვირვალობასთან დაკავშირებული სპეციალური წესებისათვის ზიანის მიყენების გარეშე.

თავი 13

ვაჭრობა და მდგრადი განვითარება

მუხლი 227

კონტექსტი და ძირითადი მიზნები

1. მხარეები მხარს უჭერენ 1992 წლის „განაწესს 21-ე საუკუნისათვის გარემოსა და განვითარება”-ზე შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) 1998 წლის დეკლარაციას შრომის ძირითადი პრინციპებისა და უფლებების შესახებ, 2002 წლის იოჰანესბურგის მდგრადი განვითარების გეგმას, 2006 წლის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მინისტერიალის დეკლარაციას სრული და ნაყოფიერი დასაქმებისა და ღირსეული შრომის უზრუნველსაყოფად, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 2008 წლის დეკლარაციას სოციალური თანასწორობა სამართლიანი გლობალიზაციის შესახებ. მხარეები ადასტურებენ თავიანთ ვალდებულებას, ხელი შეუწყონ საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას იმგვარად, რომ დაეხმარონ მდგრადი განვითარების ძირითადი ამოცანების განხორციელებას ახლანდელი და მომავალი თაობების კეთილდღეობისათვის და ამავე დროს უზრუნველყონ რომ, აღნიშნული ამოცანები გათვალისწინებული და ასახული იქნება მათი სავაჭრო ურთიერთობის თითოეულ საფეხურზე.

2. მხარეები ადასტურებენ თავიანთ ვალდებულებას, ხელი შეუწყონ მდგრად განვითარებას და აღიარებენ, რომ ეკონომიკური განვითარება, სოციალური განვითარება და გარემოს დაცვა მისი ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთგამაძლიერებელი საშუალებებია. ისინი ხაზს უსვამენ ვაჭრობასთან დაკავშირებულ შრომითი[34] და გარემოსდაცვითი საკითხების, როგორც ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების მიმართ გლობალური მიდგომის ნაწილის, მნიშვნელობას.

მუხლი 228

რეგულაციის უფლება და დაცვის დონე

1. მხარეები აღიარებენ თითოეული მხარის უფლებას, განსაზღვრონ ქვეყნის მდგრადი განვითარების პოლიტიკა და პრიორიტეტები, შექმნან ადგილობრივი გარემოსა და შრომითი ურთიერთობების დაცვის დონე და შესაბამისად მიიღონ ან შეცვალონ კანონები და პოლიტიკა, რათა მოხდეს მათი თანხვედრა ამ შეთანხმების 229-ე და 230-ე მუხლებში მოცემულ საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებსა და შეთანხმებებთან.

2. ამ კონტექსტში თითოეულმა მხარემ უნდა სცადოს იმის უზრუნველყოფა, რომ მისი კანონები და პოლიტიკა ითვალისწინებდეს და ხელს უწყობდეს გარემოსა და შრომითი ურთიერთობების დაცვის მაღალი დონის მიღწევას და შეეცადოს გააგრძელოს ამ კანონებისა და პოლიტიკის და მათი ძირითადი დაცვის დონის გაუმჯობესება.

მუხლი 229

მრავალმხრივი შრომითი სტანდარტები და შეთანხმებები

1. მხარეები აღიარებენ სრული და ნაყოფიერი დასაქმებისა და ღირსეული შრომის არსებობას ყველასათვის, როგორც გლობალიზაციის მართვის ძირითად ელემენტებს და ადასტურებენ თავიანთ ვალდებულებას, ხელი შეუწყონ საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას იმ ფორმით, რომელიც უზრუნველყოფს სრული და ნაყოფიერი დასაქმებისა და ღირსეული შრომის არსებობას ყველასათვის. ამ კონტექსტში მხარეები ვალდებულებას იღებენ კონსულტაცია გაუწიონ და ითანამშრომლონ სათანადოდ ორმხრივი ინტერესების მქონე ვაჭრობასთან დაკავშირებულ შრომის საკითხებზე.

2. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) წევრობის შედეგად, ასევე შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) შრომის ძირითადი პრინციპებისა და უფლებების შესახებ დეკლარაციით აღებული ვალდებულებების შესაბამისად და მის განსახორციელებლად, რომელიც მიღებულ იქნა 1998 წლის შრომის საერთაშორისო კონფერენციის 86-ე სესიაზე, მხარეები ვალდებულებას იღებენ პატივი სცენ, ხელი შეუწყონ და ასახონ საკუთარ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში და მთელს ტერიტორიაზე საერთაშორისოდ აღიარებული შრომის ძირითადი სტანდარტები იმ ფორმით, როგორც ეს მოცემულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) კონვენციებში და განსაკუთრებით:

(a) გაერთიანების თავისუფლება და კოლექტიური მოლაპარაკებების უფლების რეალური აღიარება;

(b) იძულებითი ან ძალდატანებითი შრომის ყოველგვარი ფორმის აღმოფხვრა;

(c) ბავშვთა შრომის რეალური გაუქმება;

(d) ყოველგვარი დისკრიმინაციის აღკვეთა დასაქმებასა და შრომასთან მიმართებაში.

3. მხარეები ადასტურებენ თავიანთ ვალდებულებას, რეალურად ასახონ მათ კანონებში და პრაქტიკაში განახორციელონ ფუნდამენტური, პრიორიტეტული და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) სხვა კონვენციები, რომლებიც საქართველოსა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერაა რატიფიცირებული.

4. მხარეები ასევე მხედველობაში მიიღებენ დარჩენილი პრიორიტეტული და სხვა კონვენციების რატიფიკაციის საკითხს, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც უახლესი კონვენციები შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მიერ. მხარეები რეგულარულად გაცვლიან ინფორმაციას ამ მხრივ არსებული მდგომარეობისა და განვითარების შესახებ.

5. მხარეები აღიარებენ, რომ შრომის ფუნდამენტური პრინციპებისა და უფლებების დარღვევა სამუშაო ადგილზე არ შეიძლება მოწოდებულ იქნას ან სხვაგვარად გამოყენებულ იქნას, როგორც ლეგიტიმური შედარებითი უპირატესობა და ეს შრომითი სტანდარტები არ შეიძლება გამოყენებულ იქნას პროტექციონისტული სავაჭრო მიზნებისთვის.

მუხლი 230

მრავალმხრივი გარემოსდაცვითი მმართველობა და შეთანხმებები

1. მხარეები აღიარებენ მრავალმხრივი გარემოსდაცვითი მმართველობისა და შეთანხმებების მნიშვნელობას, როგორც საერთაშორისო საზოგადოების პასუხს გლობალურ ან რეგიონულ გარემოსდაცვით პრობლემებზე და ხაზგასმით აღნიშნავენ ერთობლივი მხარდაჭერის გაძლიერების საჭიროებას ვაჭრობისა და გარემოსდაცვით პოლიტიკას შორის. აღნიშნულ კონტექსტში, მხარეები თანხმდებიან კონსულტაცია გაუწიონ და სათანადოდ ითანამშრომლონ, რათა მოლაპარაკებები აწარმოონ ვაჭრობასთან დაკავშირებულ გარემოსდაცვით საკითხებსა და საერთო ინტერესების მქონე ვაჭრობასთან დაკავშირებულ სხვა გარემოსდაცვით საკითხებზე.

2. მხარეები ადასტურებენ თავიანთ ვალდებულებას, ეფექტიანად განახორციელონ თავიანთ კანონებსა და პრაქტიკაში ის მრავალმხრივი გარემოსდაცვითი შეთანხმებები (MEAs), რომელთა მხარესაც წარმოადგენენ.

3. მხარეები რეგულარულად გაცვლიან ინფორმაციას არსებულ მდგომარეობასა და მიღწევებზე, რასაც ითვალისწინებს მრავალმხრივი გარემოსდაცვითი შეთანხმებების (MEAs) რატიფიკაცია ან ამგვარ შეთანხმებებში ცვლილებების შეტანა.

4. მხარეები ადასტურებენ თავიანთ ვალდებულებას, მიაღწიონ გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისა (UNFCCC) და კიოტოს პროტოკოლის ძირითად მიზანს. ისინი ვალდებულებას იღებენ გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის (UNFCCC) ფარგლებში და მასთან დაკავშირებული შეთანხმებებისა და გადაწყვეტილებების ფარგლებში ითანამშრომლონ კლიმატის ცვლილების საერთაშორისო ჩარჩოს სამომავლო განვითარებაზე.

5. ეს შეთანხმება არ ზღუდავს მხარეებს, მიიღონ ან გაატარონ ზომები სხვა მრავალმხივი გარემოსდაცვითი შეთანხმებების (MEAs) განსახორციელებელად, რომელთა მხარეებიც ისინი არიან იმ პირობით, რომ არ მოხდება აღნიშნული ზომების გამოყენება ისეთი ფორმით, რომელიც იძლევა სადავო ან დაუსაბუთებელი დისკრიმინაციის საშუალებას მხარეებს შორის ან ფარული შეზღუდვების დაწესებას სავაჭრო ურთიერთობებზე.

მუხლი 231

ვაჭრობისა და ინვესტიციების ხელშემწყობი მდგრადი განვითარება

მხარეები ადასტურებენ თავიანთ ვალდებულებას, გააძლიერონ ვაჭრობის წვლილი მდგრადი განვითარების მიზნის მისაღწევად, მათ შორის მის ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით მიმართულებებში. შესაბამისად:

(a) მხარეები აღიარებენ ძირითადი შრომითი სტანდარტებისა და ღირსეული შრომის სასარგებლო როლს ეკონომიკურ ეფექტიანობაზე, ინოვაციებსა და პროდუქტიულობაზე, და მათ უნდა მიაღწიონ პოლიტიკის შეთანხმებულობას, რათა მოხდეს ერთი მხრივ, სავაჭრო პოლიტიკისა და მეორეს მხრივ, შრომითი პოლიტიკის თანხვედრა;

(b) მხარეები შეეცდებიან გააადვილონ და ხელი შეუწყონ ვაჭრობასა და ინვესტიციების განხორციელებას გარემოსთვის უსაფრთხო საქონლისა და მომსახურების სფეროში, მათ შორის შესაბამისი არასატარიფო ბარიერების გათვალისწინების ჩათვლით;

(c) მხარეები შეეცდებიან ხელი შეუწყონ დაბრკოლებების აღმოფხვრას ვაჭრობასა და ინვესტიციებში დაკავშირებულს იმ საქონელსა და მომსახურებასთან, რომელიც განსაკუთრებით უკავშირდება კლიმატის ცვლილების შერბილებას, როგორიც არის მდგრადი განახლებადი ენერგია და ენერგოეფექტური პროდუქტები და მომსახურება. ეს შეიძლება მოიცავდეს შესაბამისი ტექნოლოგიების დანერგვას და იმ სტანდარტების გავრცელებას, რომლებიც პასუხობენ გარემოსდაცვით და ეკონომიკურ საჭიროებებს და მინიმუმამდე ამცირებენ ვაჭრობაში ტექნიკურ ბარიერებს;

(d) მხრეები თანხმდებიან ხელი შეუწყონ საქონლით ვაჭრობას, რომელიც დაეხმარება სოციალური მდგომარეობისა და გარემოსდაცვითი კუთხით მიღებული გამოცდილების გაძლიერებას, მათ შორის იმ საქონლით, რომელიც არის ნებაყოფლობითი მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის გეგმის ნაწილი, როგორიც არის სამართლიანი და ეთიკური სავაჭრო სქემები და ეკო-ეტიკეტები;

(e) მხარეები თანხმდებიან ხელი შეუწყონ კორპორატიულ სოციალურ პასუხისმგებლობას, ინფორმაციისა და საუკეთესო გამოცდილების გაზიარების ჩათვლით. ამ მიმართულებით მხარეები მიმართავენ შესაბამის საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებსა და სახელმძღვანელოებს, განსაკუთრებით ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) სახელმძღვანელოს საერთაშორისო საწარმოებისათვის.

მუხლი 232

ბიომრავალფეროვნება

1. მხარეები აღიარებენ ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და მისი მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფის აუცილებლობას, როგორც ერთ-ერთ ძირითად ელემენტს მდგრადი განვითარების მისაღწევად და გამოთქვამენ მზადყოფნას, უზრუნველყონ ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და ბიომრავალფეროვნების მდგრადი გამოყენება ბიომრავალფეროვნების კონვენციისა და სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტების შესაბამისად, რომელთა მხარესაც ქვეყნები წარმოადგენენ.

2. ამ მიზნით მხარეები თანხმდებიან:

(a) ხელი შეუწყონ ვაჭრობას ბუნებრივი რესურსიდან მიღებული იმ პროდუქტებით, რომელიც მიღებულია ბიოლოგიური რესურსების მდგრადი გამოყენებით და ამავე დროს წვლილი შეაქვს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის პროცესში;

(b) უზრუნველყონ ინფორმაციის გაცვლა ბუნებრივი რესურსებიდან მიღებული პროდუქტით ვაჭრობასთან დაკავშირებულ ქმედებებთან მიმართებაში ბიომრავალფეროვნების დანაკარგებისა და მასზე ზეწოლის შემცირების მიზნით, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, ითანამშრომლონ მათი შესაბამისი პოლიტიკის გავლენის მაქსიმიზაციისა და ურთიერთმხარდაჭერის მიზნით;

(c) ხელი შეუწყონ გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობათა საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენციის (CITES) სიაში იმ სახეობების შეტანას, რომელთა კონსერვაციის სტატუსი სარისკოდ მიიჩნევა; და

(d) ითანამშრომლონ რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის ხელშეწყობისა და მისი მდგრადი გამოყენების მიზნით ბუნებრივ და აგროკულტურულ ეკოსისტემებში, რაც მოიცავს გადაშენების პირას მყოფ სახეობებს, მათ ჰაბიტატებს, განსაკუთრებული დაცვის ბუნებრივ ტერიტორიებს და გენეტიკურ მრავალფეროვნებას, ეკოსისტემების აღდგენას, ასევე გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების აღმოფხვრას ან შემცირებას, რაც გამოწვეულია ეკოსისტემის ცოცხალი და არაცოცხალი ბუნებრივი რესურსების გამოყენებით.

მუხლი 233

ტყის მდგრადი მართვა და ხე-ტყის ნაწარმით ვაჭრობა

1. მხარეები აღიარებენ ტყის კონსერვაციის უზრუნველყოფის, მისი მდგრადი მართვის მნიშვნელობას და ტყის წვლილს მხარეთა ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური მიზნების მიღწევაში.

2. ამ მიზნით მხარეები თანხმდებიან:

(a) ხელი შეუწყონ ტყის მდგრადი მართვის შედეგად წარმოებული ხე-ტყის ნაწარმით ვაჭრობას, რომელიც მიღებულია მწარმოებელი ქვეყნის ადგილობრივი კანონმდებლობისა და შესაბამისი ორმხრივი თუ რეგიონალური ხელშეკრულებების სრული დაცვით.

(b) ხელი შეუწყონ ტყის მდგრადი მართვის შედეგად მიღებული მერქნისა და სამერქნე მასალის მოხმარების ზომების შესახებ ინფორმაციის გაცვლას და საჭიროების შემთხვევაში ითანამშრომლონ აღნიშნული ზომების განვითარების მიზნით.

(c) მიიღონ სპეციალური ზომები, რათა ხელი შეუწყონ ტყის საფარის დაცვას; ებრძოლონ ტყის უკანონო ჭრასა და მასთან დაკავშირებულ ვაჭრობას, მათ შორის მესამე ქვეყნებთანაც.

(d) გაცვალონ ინფორმაცია ტყის მართვის გაუმჯობესების ღონისძიებებზე და საჭიროების შემთხვევაში მჭიდროდ ითანამშრომლონ, რათა მაქსიმალურად გაზარდონ გავლენა და უზრუნველყონ ტყის უკანონო ჭრის შედეგად მიღებული მერქნისა და სამერქნე მასალით ვაჭრობის აღმკვეთი ეფექტური პოლიტიკისა და სპეციალური ზომების გატარება.

(e) ხელი შეუწყონ საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენციის (CITES) სიაში ხე-ტყის იმ სახეობების შეტანას, რომელთა კონსერვაციის სტატუსი სარისკოდ მიიჩნევა.

(f) ითანამშრომლონ რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე ხე-ტყის საფარის დაცვისა და ყველანაირი ტყის ტიპის მდგრადი მართვის ხელშეწყობის მიზნით.

მუხლი 234

თევზის პროდუქტით ვაჭრობა

თევზის მარაგის მდგრადი და გონივრული მართვის მნიშვნელობის გათვალისწინებით და სავაჭრო ურთიერთობებში ეფექტური მმართველობის ხელშეწყობის მიზნით მხარეები იღებენ ვალდებულებას:

(a) ხელი შეუწყონ თევზის მეურნეობის მართვის საუკეთესო გამოცდილების დანერგვას, რათა უზრუნველყონ თევზის მარაგის კონსერვაცია და მდგრადი მართვა ეკოსისტემების მიდგომის გათვალისწინებით;

(b) გაატარონ ეფექტური ზომები თევზჭერის საქმიანობის მონიტორინგისა და კონტროლის მიზნით;

(c) უზრუნველყონ ზღვის ცოცხალი რესურსების გრძელვადიანი კონსერვაცია და მდგრადი გამოყენება გაეროსა (UN) და სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) ძირითადი ინსტრუმენტების შესაბამისად;

(d) ხელი შეუწყონ მხარეებს შორის მონაცემების შეგროვების ურთიერთშეთანხმებული სქემის განვითარებასა და მეცნიერულ თანამშრომლობას თევზის მეურნეობის მართვასთან დაკავშირებული სამეცნიერო რჩევების გაუმჯობესების მიზნით;

(e) შეძლებისდაგვარად მჭიდროდ ითანამშრომლონ თევზჭერის მართვის შესაბამის რეგიონულ ორგანიზაციებთან; და

(f) უზრუნველყონ ურთიერთანამშრომლობა არალეგალური, არადოკუმენტირებული და დაურეგულირებელი (IUU) თევზჭერისა და მასთან დაკავშირებული ქმედებების წინააღმდეგ ყოვლისმომცველი, ეფექტიანი და გამჭვირვალე ზომების გამოყენებით. მხარეები ასევე თანხმდებიან განახორციელონ პოლიტიკა და მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა არალეგალური, არადოკუმენტირებული და დაურეგულირებელი პროდუქცია არ მოხვდეს სავაჭრო მიმოქცევასა და შესაბამის ბაზრებზე.

მუხლი 235

დაცვის დონეების გაძლიერება

1. მხარეები აცნობიერებენ, რომ მიუღებელია ვაჭრობისა თუ ინვესტიციების წახალისება იმ დაცვის დონის შესუსტებით, რომელიც გათვალისწინებულია ადგილობრივი გარემოსდაცვითი თუ შრომითი კანონმდებლობით.

2. მხარემ არ უნდა მოახდინოს თავის არიდება და უგულვებელყოფა ან შესთავაზოს თავის არიდება და უგულვებელყოფა მისი გარემოსდაცვითი თუ შრომის კანონმდებლობიდან ვაჭრობის წახალისების ან მათ ტერიტორიაზე ინვესტორის ინვესტიციების შემოყვანის, მოძიების, გაძლიერების ან შენარჩუნების მიზნით.

3. მხარემ არ უნდა დაუშვას მუდმივი ან პერიოდული ქმედებების ან უმოქმედობის ერთობლიობით ჩაიშალოს გარემოსდაცვითი და შრომითი კანონმდებლობის ეფექტიანი განხორციელება, ინვესტიციებისა და ვაჭრობის წახალისებისთვის.

მუხლი 236

სამეცნიერო ინფორმაცია

როდესაც მზადდება და ხორციელდება ღონისძიებები, რომელთა მიზანია გარემოსა და შრომითი პირობების დაცვა, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ ვაჭრობასა ან ინვესტიციებზე, მხარეებმა მხედველობაში უნდა მიიღონ ხელმისაწვდომი სამეცნიერო და ტექნიკურ ინფორმაცია, შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტები, სახელმძღვანელოები ან რეკომენდაციები, მათი არსებობის შემთხვევაში. ამ მხრივ, მხრეებმა შეიძლება ასევე გამოიყენონ „გამაფრთხილებელი პრინციპი".

მუხლი 237

გამჭვირვალობა

თითოეულმა მხარემ ადგილობრივი კანონმდებლობისა და ამ შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) მე-12 თავის (გამჭვირვალობა) შესაბამისად უნდა უზრუნველყოს, რომ ნებისმიერი ღონისძიება, რომლის მიზანია გარემოსა და/ან შრომითი პირობების დაცვა, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინონ ვაჭრობასა და ინვესტიციებზე, იქნება მომზადებული, განხილული და განხორციელებული გამჭვირვალედ, წინასწარი დროული შეტყობინებითა და საჯარო განხილვებით, შესაბამისი და დროული კომუნიკაციითა და კონსულტაციებით არასამთავრობო სექტორთან.

მუხლი 238

მდგრადობის ზემოქმედების მიმოხილვა

მხარეები ვალდებულებას იღებენ განიხილონ, განახორციელონ მონიტორინგი და შეაფასონ წინამდებარე შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) გავლენა მდგრად განვითარებაზე, მათი შესაბამისი მონაწილეობითი პროცესებითა და ინსტიტუტებით, აგრეთვე წინამდებარე შეთანხმების საფუძველზე შექმნილი ინსტიტუტების, მაგალითად ვაჭრობასთან დაკავშირებული მდგრადობის ზემოქმედების შეფასების მეშვეობით.

მუხლი 239

ვაჭრობასა და მდგრად განვითარებაზე ერთობლივი მუშაობა

მხარეები აცნობიერებენ ერთობლივი მუშაობის მნიშვნელობას ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხებზე გარემოსდაცვით და შრომით პოლიტიკაში, რათა მიღწეულ იქნას აღნიშნული შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) მიზნები. მათ შეიძლება ითანამშრომლონ, მათ შორის შემდეგ სფეროებში:

(a) ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების შრომითი ან გარმოსდაცვითი საკითხების საერთაშორისო ფორუმები, მათ შორის განსაკუთრებით მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO), შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP) და მრავალმხრივი გარემოსდაცვითი შეთანხმებები (MEAs);

(b) მეთოდოლოგია და ინდიკატორები ვაჭრობის მდგრადობის ზემოქმედების შესაფასებლად.

(c) შრომითი და გარემოსდაცვითი რეგულაციების, წესების და სტანდარტების გავლენა ვაჭრობაზე; აგრეთვე ვაჭრობისა და საინვესტიციო წესების გავლენა შრომით და გარემოსდაცვით კანონმდებლობაზე, მათ შორის შრომითი და გარემოსდაცვითი რეგულაციების და პოლიტიკის განვითარებაზე;

(d) წინამდებარე შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) დადებითი და უარყოფითი გავლენა მდგრად განვითარებაზე და მათი შესაბამისი გამაძლიერებელი, აღმკვეთი ან შემარბილებელი საშუალებები; აგრეთვე მხედველობაში იქნება მისაღები ერთი ან ორივე მხარის მიერ განხორციელებული მდგრადობაზე ზემოქმედების შეფასება;

(e) ფუნდამენტური, პრიორიტეტული და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) სხვა უახლესი კონვენციებისა და ვაჭრობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი გარემოსდაცვითი შეთანხმებების (MEAs) რატიფიცირების ხელშეწყობის თაობაზე თავიანთი შეხედულებებისა და საუკეთესო გამოცდილების გაზიარება;

(f) კერძო და/ან სახელმწიფო სერტიფიცირების, მიკვლევადობისა და მარკირების სქემების, მათ შორის ეკო-მარკირების ხელშეწყობა;

(g) კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ხელშეწყობა, მაგალითად ცნობიერების ამაღლების, საერთაშორისოდ აღიარებული სახელმძღვანელოებისა და პრინციპების დანერგვისა და გავრცელების მეშვეობით;

(h) შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ღირსეული შრომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები, რაც მათ შორის გულისხმობს ურთიერთკავშირს ვაჭრობასა და სრულ და პროდუქტიულ დასაქმებას, შრომითი ბაზრის რეგულირებას, ძირითად შრომით სტანდარტებს, შრომით სტატისტიკას, ადამიანური რესურსების განვითარებასა და კვალიფიკაციის უწყვეტ ამაღლებას, სოციალურ დაცვასა და სოციალურ ჩართულობას, სოციალურ დიალოგსა და გენდერულ თანასწორობას შორის.

(i) მრავალმხრივი გარემოსდაცვითი შეთანხმებების (MEAs) ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მათ შორის საბაჟოსთან თანამშრომლობა.

(j) კლიმატის ცვლილების მიმდინარე და სამომავლო საერთაშორისო რეჟიმის ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები, დაბალემისიიანი ტექნოლოგიებისა და ენერგო ეფექტურობის საშუალებების ხელშეწყობის ჩათვლით.

(k) ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და მდგრადი გამოყენების ხელშემწყობი ვაჭრობასთან დაკავშირებული ზომები.

(l) ტყის კონსერვაციისა და მდგრადი მართვის ხელშემწყობი ვაჭრობასთან დაკავშირებული ზომები, ამასთანავე ბრძოლა გაუდაბნოებისა და ტყის უკანონო ჭრის წინააღმდეგ.

(m) ვაჭრობასთან დაკავშირებული ზომები, რომლებიც მიმართულია მდგრადი თევზჭერის გამოცდილებისა და მდგრადად მართული თევზის პროდუქტებით ვაჭრობის ხელშეწყობისაკენ.

მუხლი 240

ინსტიტუციონალური მოწყობა და ზედამხედველობის მექანიზმი

1. თითოეული მხარე ამ თავის განხორციელების მიზნებისათვის ასახელებს მის ადმინისტრაციაში შემავალ საკონტაქტო პირს მეორე მხარესთან ურთიერთობისთვის.

2. შესაბამისად შეიქმნა ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების ქვეკომიტეტი. ის თავისი საქმიანობის შესახებ ანგარიშს ჩააბარებს ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტს, რომელიც განსაზღვრულია ამ შეთანხმების 408-ე მუხლის მე-4 პუნქტით.

3. ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების ქვეკომიტეტი შეკრებას გამართავს აღნიშნული შეთანხმების ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში, ხოლო შემდგომ საჭიროებისამებრ, რათა ზედამხედველობა გაუწიოს აღნიშნული თავის, მათ შორის ამ შეთანხმების 239-ე მუხლით გათვალისწინებული ურთიერთთანამშრომლობის საკითხების განხორციელებას. აღნიშნული ქვეკომიტეტი შეიმუშავებს საკუთარ რეგლამენტს.

4. თითოეულ მხარემ უნდა მოიწვიოს ახალი ან უკვე არსებული ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფი (ჯგუფები), რათა განიხილოს აღნიშნული თავის მიხედვით გათვალისწინებული მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები. ამგვარ ჯგუფს (ჯგუფებს) საშუალება ექნება მხარეებს წარუდგინონ შეხედულებები ან რეკომენდაციები ამ თავის განხორციელების შესახებ, მათ შორის მისი (მათი) საკუთარი ინიციატივით.

5. ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფი (ჯგუფები) უნდა შედგებოდეს სამოქალაქო საზოგადოების დამოუკიდებელი წარმომადგენლობითი ორგანიზაციებისაგან, რომელშიც დაბალანსებული იქნება ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი მხარეების მონაწილეობა, დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ორგანიზაციების, არასამთავრობო ორგანიზაციების, ბიზნეს ჯგუფების, აგრეთვე სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეების ჩათვლით.

მუხლი 241

ერთობლივი სამოქალაქო საზოგადოების დიალოგის ფორუმი

1. მხარეებმა ხელი უნდა შეუწყონ ერთობლივ ფორუმს მათი ტერიტორიების ფარგლებში არსებულ სამოქალაქო საზოგადოებასთან, მათ შორის ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფის (ჯგუფების) წევრებისა და ფართო საზოგადოების მონაწილეობით, რათა შედგეს დიალოგი წინამდებარე შეთანხმების მდგრადი განვითარების საკითხებზე. მხარეებმა ხელი უნდა შეუწყონ შესაბამისი ინტერესების დაბალანსებულ წარმომადგენლობას, მათ შორის დამსაქმებელთა დამოუკიდებელი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების, დასაქმებულთა, გარემოსდაცვითი ინტერესებისა და ბიზნეს ჯგუფების, აგრეთვე საჭიროებისამებრ სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით.

2. ერთობლივი სამოქალაქო საზოგადოების დიალოგის ფორუმი მოწვეულ იქნება წელიწადში ერთხელ, თუ მხარეების მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი. მხარეები შეთანხმდებიან ერთობლივი სამოქალაქო საზოგადოების დიალოგის ფორუმის მუშაობაზე არაუგვიანეს აღნიშნული შეთანხმების ძალაში შესვლიდან ერთი წლისა.

3. მხარეებმა უნდა წარადგინონ განახლებული ინფორმაცია წინამდებარე თავის განხორციელებასთან დაკავშირებით ერთობლივი სამოქალაქო საზოგადოების დიალოგის ფორუმის წინაშე. ერთობლივი სამოქალაქო საზოგადოების დიალოგის ფორუმის შეხედულებები და მოსაზრებები უნდა წარედგინოს მხარეებს და გასაჯაროვდეს.

მუხლი 242

სამთავრობო კონსულტაციები

1. აღნიშნულ თავთან მიმართებაში წამოჭრილ ნებისმიერი საკითხზე მხარეებმა უნდა მიმართონ შეთანხმების ამ და 243-ე მუხლებით დადგენილ პროცედურებს.

2. მხარემ შესაძლოა მოითხოვოს კონსულტაციები მეორე მხარესთან აღნიშნულ თავთან მიმართებაში წარმოჭრილ ნებისმიერ საკითხზე მეორე მხარის საკონტაქტო პირთან წერილობითი მოთხოვნის გაგზავნით. მოთხოვნაში ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული საკითხი, იდენტიფიცირებული უნდა იყოს პრობლემის არსი და უნდა ერთვოდეს აღნიშნულ თავთან მიმართებაში წამოყენებული პრეტენზიის მოკლე აღწერა. კონსულტაციები უნდა დაიწყოს მყისიერად მხარის მიერ კონსულტაციების მოთხოვნის დაფიქსირების შემდეგ.

3. მხარეები ყველანაირი საშუალებით უნდა ეცადონ მიაღწიონ ორივე მხარისათვის მისაღებ გადაწყვეტილებას. მხარეებმა მხედველობაში უნდა მიიღონ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ან შესაბამისი მრავალმხრივი გარემოსდაცვითი ორგანიზაციებისა თუ უწყებების საქმიანობა, რათა ხელი შეუწყონ ურთიერთთანამშრომლობასა და საქმიანობის თანხვედრას მხარეებსა და აღნიშნულ ორგანიზაციებს შორის. საჭიროების შემთხვევაში მხარეებმა შესაძლებელია მოიძიონ რჩევები აღნიშნული ორგანიზაციებიდან ან უწყებებიდან, ან ფიზიკური პირებიდან ან ორგანოებიდან, რომლებსაც ისინი მიიჩნევენ შესაფერისად, რათა ბოლომდე შესწავლილ იქნას საკითხი.

4. თუ მხარე მიიჩნევს, რომ საკითხი საჭიროებს შემდგომ განხილვას, ამ მხარეს შეუძლია მოითხოვოს ვაჭრობისა და მდგრად განვითარების ქვეკომიტეტის მოწვევა მეორე მხარის საკონტაქტო პირთან წერილობითი მოთხოვნის გაგზავნით. ქვეკომიტეტი უნდა შეიკრიბოს მყისიერად და შეეცადოს საკითხის გადაწყვეტაზე შეთანხმების მიღწევას.

5. საჭიროების შემთხვევაში ვაჭრობისა და მდგრად განვითარების ქვეკომიტეტს შეუძლია რჩევა მოიძიოს ერთ-ერთი ან ორივე მხარის

ადგილობრივ მრჩეველთა ჯგუფიდან (ჯგუფებიდან) ან მოითხოვოს სხვა ექსპერტული დახმარება.

6. კონსულტაციაში მონაწილე მხარეების მიერ საკითხთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა გასაჯაროვდეს.

მუხლი 243

ექსპერტთა პანელი

1. მხარემ ამ შეთანხმების 242-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად კონსულტაციის საჭიროების შესახებ მოთხოვნის გაგზავნიდან 90 დღის შემდეგ შესაძლებელია მოითხოვოს ექსპერტთა პანელის მოწვევა საკითხის შესასწავლად, რომელიც სამთავრობო კონსულტაციების შედეგად არადამაკმაყოფილებელად იქნა გადაწყვეტილი.

2. ამ შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) მე-14 თავის (დავების მოგვარება) მე-3 ნაწილის (დავების მოგვარების პროცედურები) ქვე-ნაწილი 1 (საარბიტრაჟო პროცესი), ქვე-ნაწილი 3 (საერთო დებულებები) და 270-ე მუხლის დებულებები ისევე, როგორც პროცედურული წესები წინამდებარე შეთანხმების დანართ XX-ში და ამ შეთანხმების დანართ XXI - ში მოცემული არბიტრებისა და მედიატორების ქცევის კოდექსი (ქცევის კოდექსი) გამოიყენება, თუ ამ მუხლში სხვაგვარად არ არის მითითებული.

3. ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების ქვეკომიტეტმა აღნიშნული შეთანხმების ძალაში შესვლიდან პირველ შეკრებაზე უნდა შეადგინოს სულ მცირე 15 პირისგან შემდგარი სია, რომლებსაც ექნებათ სურვილი და შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ როგორც ექსპერტებმა პანელის საქმიანობაში. თითოეულმა მხარემ ექსპერტებად უნდა წარმოადგინოს სულ მცირე 5 პიროვნება. მხარეებმა ასევე უნდა შეარჩიონ სულ მცირე 5 პიროვნება, რომლებიც არ არიან მხარეების მოქალაქეები და რომლებსაც შეუძლიათ დაიკავონ ექსპერტთა პანელის თავჯდომარის პოზიცია. ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების ქვეკომიტეტი უზრუნველყოფს აღნიშნული სიის ამ დონეზე შენარჩუნებას.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სია უნდა შედგებოდეს პირებისაგან, რომლებსც ექნებათ შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება აღნიშნულ თავთან დაკავშირებულ იურიდიულ, შრომით ან გარემოსდაცვით საკითხებზე ან საერთაშორისო ხელშეკრულებების ფარგლებში წარმოჭრილი დავების გადაწყვეტასთან მიმართებაში. ისინი უნდა იყვნენ დამოუკიდებელნი, უნდა იმოქმედონ პირადი კომპეტენციის ფარგლებში და სადავო საკითხებთან დაკავშირებით არ უნდა იღებდნენ რომელიმე ორგანიზაციიდან ან მთავრობიდან მოქმედების ინსტრუქციებს, არ უნდა იყვნენ დაკავშირებული რომელიმე მხარის მთავრობასთან და შეესაბამებოდნენ წინამდებარე შეთანხმების XXI დანართს.

5. წინამდებარე თავის ფარგლებში წამოჭრილ საკითხებთან მიმართებაში ექსპერტთა პანელი უნდა იყოს დაკომპლექტებული ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სიის მიხედვით წინამდებარე შეთანხმების 249-ე მუხლისა და XX დანართში მოცემული წესებისა და პროცედურების ნაწილის მე-8 წესის შესაბამისად.

6. ექსპერტთა პანელმა შესაძლოა მოიძიოს ინფორმაცია და რჩევა რომელიმე მხარის, ადგილობრივი მრჩეველთა ჯგუფის (ჯგუფების) ან ნებისმიერი სხვა წყაროს მეშვეობით, რომელსაც მიიჩნევს სათანადოდ. წინამდებარე შეთანხმების 229-ე და 230-ე მუხლებთან დაკავშირებულ მრავალმხრივი შეთანხმებებით გათვალისწინებულ საკითხებთან მიმართებაში პანელმა შესაძლოა მოიძიოს ინფორმაცია და რჩევა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ან მრავალმხრივი გარემოსდაცვითი შეთანხმებების (MEAs) ორგანოებიდან.

7. ექსპერტთა პანელმა ამ შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) მე-14 თავის (დავების მოგვარება) შესაბამისი პროცედურების გათვალისწინებით უნდა მოამზადოს ანგარიში, რომელშიც მოცემული იქნება კვლევა ფაქტებზე დაყრდნობით, შესაბამისი დებულებების გამოყენების შესაძლებლობები და დასაბუთებული ახსნა-განმარტება მის მიერ გაკეთებული ნებისმიერი დასკვნისა და რეკომენდაციებისა. მხარეებმა ანგარიში უნდა გაასაჯაროონ მომზადებიდან 15 დღის განმავლობაში.

8. მხარეებმა უნდა განიხილონ ექსპერტთა პანელის ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით განსახორციელებელი ღონისძიებები. დაინტერესებულმა მხარემ უნდა აცნობოს თავის მრჩეველთა ჯგუფებს და მეორე მხარეს განსახორციელებელ ნებისმიერ ქმედებებთან ან ზომებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების შესახებ ანგარიშის გასაჯაროებიდან არაუგვიანეს 3 თვისა. ექსპერტთა პანელის ანგარიშისა და რეკომენდაციების განხორციელებას ზედამხედველობას გაუწევს ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების ქვეკომიტეტი. მრჩეველთა ორგანოებსა და ერთობლივ სამოქალაქო საზოგადოების დიალოგის ფორუმს ამასთან დაკავშირებით

შეუძლიათ წარუდგინონ დაკვირვების შედეგები ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების ქვეკომიტეტს.

თავი 14

დავების მოგვარება

ნაწილი 1

მიზანი და მოქმედების სფერო

მუხლი 244

მიზანი

ამ თავის მიზანია, შექმნას ეფექტიანი და ქმედითი მექანიზმი მხარეთა შორის ამ შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) ინტერპრეტაციასა და გამოყენებასთან დაკავშირებული დავების თავიდან აცილებისა და მოგვარებისათვის, რაც შესაძლებლობის შემთხვევაში მიმართული იქნება ორივე მხარისთვის მისაღები შეთანხმების მიღწევისკენ.

მუხლი 245

მოქმედების სფერო

ეს თავი მოქმედებს ნებისმიერი იმ დავის მიმართ, რომელიც ეხება ამ შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) ინტერპრეტაციასა და გამოყენებას, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა.

ნაწილი 2

კონსულტაციები და მედიაცია

მუხლი 246

კონსულტაციები

1. მხარეები უნდა ეცადონ, ამ შეთანხმების 245-ე მუხლში აღნიშნული ნებისმიერი დავა გადაწყვიტონ კეთილსინდისიერი კონსულტაციების მეშვეობით, რაც მიმართული იქნება ორივე მხარისთვის მისაღები შეთანხმების მიღწევისკენ.

2. კონსულტაციების წამოწყება ხდება ერთი მხარის მიერ მეორე მხარისთვის გაგზავნილი წერილობითი მოთხოვნით, რომელშიც მითითებულია მოთხოვნის მიზეზი განსახილველი საკითხის ჩათვლით და ამ შეთანხმების 245-ე მუხლის ის დებულება, რომელიც მხარის აზრით არის გამოსაყენებელი. მოთხოვნის ასლი ეგზავნება ასოცირების კომიტეტს ვაჭრობის საკითხებზე, როგორც დადგენილია ამ შეტანხმების 408-ე მუხლის მე-4 პუნქტით.

3. კონსულტაციები უნდა ჩატარდეს მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის ვადაში და, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმებულან, მოთხოვნის ადრესატი მხარის ტერიტორიაზე. კონსულტაციები დასრულებულად ითვლება მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარეები კონსულტაციების გაგრძელებაზე შეთანხმდებიან. კონსულტაციები, კონკრეტულად კი კონსულტაციის მიმდინარეობისას გამჟღავნებული ყველა სახის ინფორმაცია და მხარეთა პოზიციები, კონფიდენციალურია და არ შეიძლება მეორე მხარის საწინააღმდეგოდ იქნას გამოყენებული ნებისმიერ შემდგომ პროცესში.

4. კონსულტაციები გადაუდებელ საკითხებზე, მათ შორის მალფუჭებად საქონელთან ან სეზონურ საქონელთან ან მომსახურებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, უნდა გაიმართოს მოთხოვნის ადრესატის მიერ მოთხოვნის მიღებიდან 15 დღის ვადაში და უნდა

დასრულდეს იმავე 15 დღეში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარეები კონსულტაციების გაგრძელებაზე შეთანხმდებიან.

5. თუ მხარე, რომლის მიმართაც არის წაყენებული მოთხოვნა, კონსულტაციების დაწყების მოთხოვნას ამ უკანასკნელის მიღებიდან 10 დღის განმავლობაში არ უპასუხებს, თუ კონსულტაციები არ გაიმართება ამ მუხლის მე-3 ან მე-4 პუნქტით დადგენილ ვადებში, თუ მხარეები შეთანხმდებიან, რომ კონსულტაციები არ გაიმართოს ან თუ კონსულტაციები დასრულდა და მხარეებს შორის მისაღები შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული, მხარეს, რომელმაც წამოიწყო კონსულტაციების პროცედურა, შეუძლია მიმართოს ამ შეთანხმების 248-ე მუხლით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

6. კონსულტაციების მიმდინარეობისას თითოეულმა მხარემ უნდა წარმოადგინოს საკმარისი ფაქტობრივი ინფორმაცია, რათა მოხდეს სრულყოფილი განხილვა იმისა, თუ რა ფორმით შეეძლო განსახილველ ღონისძიებას გავლენა მოეხდინა ამ შეთანხმების მოქმედებასა და გამოყენებაზე.

7. როდესაც კონსულტაციები ეხება ენერგოპროდუქტების გადაზიდვას ქსელების მეშვეობით და ერთი მხარე დავის გადაწყვეტას გადაუდებლად მიიჩნევს მხარეთა შორის ბუნებრივი აირის, ნავთობის ან ელექტროენერგიის გადაზიდვის სრული ან ნაწილობრივი შეფერხების გამო, კონსულტაციები მხარეებს შორის უნდა გაიმართოს მოთხოვნის წარდგენიდან 3 დღის ვადაში და დასრულებულად უნდა ჩაითვალოს იმავე 3 დღეში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარეები კონსულტაციების გაგრძელებაზე შეთანხმდებიან.

მუხლი 247

მედიაცია

ნებისმიერ ისეთ ღონისძიებასთან დაკავშირებით, რომელიც რომელიმე მხარის სავაჭრო ინტერესებზე უარყოფით გავლენას ახდენს, მხარეს შეუძლია მეორე მხარეს მოსთხოვოს მედიაციის პროცესში ჩართვა ამ შეთანხმების დანართ XIX-ის შესაბამისად.

ნაწილი 3

დავების მოგვარების პროცედურები

ქვენაწილი 1

საარბიტრაჟო პროცესი

მუხლი 248

საარბიტრაჟო პროცესის ინიცირება

1. თუ მხარეთა შორის დავა ამ შეთანხმების 246-ე მუხლში მოცემული კონსულტაციებით ვერ გადაწყდება, კონსულტაციების ინიციატორ მხარეს შეუძლია ამ მუხლის შესაბამისად მოითხოვოს საარბიტრაჟო პანელის შექმნა.

2. საარბიტრაჟო პანელის შექმნის წერილობითი მოთხოვნა უნდა გაეგზავნოს მეორე მხარესა და ასოცირების კომიტეტს ვაჭრობის საკითხებზე, რომელიც შექმნილია ამ შეთანხმების 408-ე მუხლის მე-4 პუნქტით. განმცხადებელმა მხარემ მოთხოვნაში უნდა მიუთითოს განსახილველი ღონისძიება და ის, თუ როგორ არის ეს ღონისძიება ამ შეთანხმების 245-ე მუხლში მითითებულ დებულებებთან შეუსაბამო ისე, რომ ეს საკმარისი იყოს საჩივრის სამართლებრივი საფუძვლის ნათლად წარმოჩენისთვის.

მუხლი 249

სააბრიტრაჟო პანელის შექმნა

1. საარბიტრაჟო პანელი შედგება 3 არბიტრისგან.

2. საარბიტრაჟო პანელის შექმნის მოთხოვნის მიღებისთანავე მხარეებმა უნდა გაიარონ კონსულტაციები ერთმანეთთან და ეცადონ, შეთანხმდნენ პანელის შემადგენლობაზე. ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების მიუხედავად საარბიტრაჟო პანელის შექმნამდე ნებისმიერ დროს მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით შეადგინონ საარბიტრაჟო პანელი.

3. თუ პანელის შექმნის მოთხოვნიდან 5 დღის შემდეგ პანელის შექმნის შესახებ შეთანხმება არ იქნება მიღწეული, თითოეულ მხარეს შეუძლია პანელის შესადგენად ამ მუხლით გათვალისწინებული პროცედურის გამოყენება მოითხოვოს. ამ მუხლით გათვალისწინებული პროცედურის დაწყების მოთხოვნიდან 10 დღის განმავლობაში, თითოეულ მხარეს შეუძლია დანიშნოს არბიტრი ამ შეთანხმების 268-ე მუხლით გათვალისწინებული სიიდან. თუ რომელიმე მხარე არ დანიშნავს არბიტრს, მაშინ მეორე მხარის მოთხოვნით, არბიტრს წილისყრით აირჩევს ამ შეთანხმების 408-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტის თავმჯდომარე, თანათავმჯდომარეები, ან მათი დელეგატები ამ შეთანხმების 268-ე მუხლის მიხედვით შედგენილი სიის შესაბამისი მხარის ქვე-სიიდან. თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან საარბიტრაჟო პანელის თავმჯდომარის კანდიდატურაზე, პანელის თავმჯდომარეს, ნებისმიერი მხარის მოთხოვნით, წილისყრით აირჩევს ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტის თავმჯდომარე, თანათავმჯდომარეები, ან მათი დელეგატები ამ შეთანხმების 268-ე მუხლის მიხედვით შედგენილი საარბიტრაჟო პანელის თავმჯდომარეების ქვე-სიიდან.

4. ერთი ან რამდენიმე არბიტრის წილისყრით არჩევის შემთხვევაში, წილისყრა ტარდება ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული წილისყრის მოთხოვნიდან 5 დღის ვადაში.

5. საარბიტრაჟო პანელის შექმნის თარიღად ითვლება ის დღე, როდესაც სამივე შერჩეული არბიტრი XX დანართში მოცემული პროცედურული წესების მიხედვით, დაეთანხმება დანიშვნას.

6. თუ 268-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე სია არ არის შედგენილი ან არ შეიცავს საკმარის სახელებს იმ დროისთვის, როდესაც ამ მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით წარდგენილი იქნება მოთხოვნა, არბიტრები შეირჩევა წილისყრით. წილისყრა მოხდება იმ პირებს შორის, რომლებიც ოფიციალურად არიან წარდგენილნი თითოეული მხარის მიერ. თუ რომელიმე მხარე არ წარადგენს კანდიდატურებს, წილისყრა მოხდება მეორე მხარის მიერ წარდგენილ პირებს შორის.

7. თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან, IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) მე-11 თავთან (ვაჭრობასთან დაკავშირებული დებულებები ენერგეტიკის სფეროში) დაკავშირებული დავის არსებობისას, რომელსაც ერთი მხარე გადაუდებლად მიიჩნევს ბუნებრივი აირის, ნავთობის ან ელექტროენერგიის გადაზიდვის სრული ან ნაწილობრივი შეფერხების ან შეფერხების საფრთხის გამო, გამოიყენება ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შერჩევის პროცედურა ამ მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადებისთვის მიმართვის გარეშე და ამ მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნული ვადა არის 2 დღე.

მუხლი 250

წინასწარი გადაწყვეტილება საქმის გადაუდებლობის თაობაზე

მხარის მოთხოვნის საფუძველზე საარბიტრაჟო პანელმა შექმნიდან 10 დღის განმავლობაში უნდა მიიღოს წინასწარი გადაწყვეტილება საქმის გადაუდებლობის საკითხზე.

მუხლი 251

საარბიტრაჟო პანელის ანგარიში

1. შექმნიდან არა უგვიანეს 90 დღისა საარბიტრაჟო პანელი მხარეებს წარუდგენს შუალედურ ანგარიშს, რომელიც უნდა შეიცავდეს დადგენილ ფაქტებს, დასკვნებს შესაბამისი დებულებების გამოყენებაზე და დადგენილებებისა და რეკომენდაციების მიღების ძირითად მიზეზებს. როდესაც საარბიტრაჟო პანელის თავმჯდომარე ამ ვადას არასაკმარისად მიიჩნევს, ის წერილობით აცნობებს მხარეებს და ამ შეთანხმების 408-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტს დაგვიანების მიზეზებს და

თარიღს, როდესაც პანელი შუალედური ანგარიშის წარდგენას გეგმავს. შუალედური ანგარიშის წარდგენა არცერთ შემთხვევაში არ უნდა გადასცილდეს საარბიტრაჟო პანელის შექმნიდან 120 დღეს. შუალედური ანგარიში არ განსაჯაროვდება.

2. შეტყობინების მიღებიდან 14 დღის განმავლობაში მხარეს შეუძლია საარბიტრაჟო პანელს წარუდგინოს წერილობითი მოთხოვნა შუალედური ანგარიშის კონკრეტული ასპექტების გადახედვის თაობაზე.

3. გადაუდებელი შემთხვევებისას, მათ შორის მალფუჭებად საქონელთან ან სეზონურ საქონელთან ან მომსახურებასთან დაკავშირებული შემთხვევებისას, საარბიტრაჟო პანელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა შუალედური ანგარიში წარმოადგინოს საარბიტრაჟო პანელის შექმნიდან 45 დღეში ან ნებისმიერ შემთხვევაში არა უგვიანეს 60 დღისა. მხარეს შეუძლიათ პანელს წარუდგინოს წერილობითი მოთხოვნა შუალედური ანგარიშის კონკრეტული ასპექტების გადახედვის თაობაზე შეტყობინების მიღებიდან 7 დღის განმავლობაში.

4. მას შემდეგ, რაც საარბიტრაჟო პანელი მხარეების წარდგენილ წერილობით კომენტარებს განიხილავს, მას შეუძლია ცვლილებები შეიტანოს საკუთარ ანგარიშში და განახორციელოს იმგვარი შემდგომი მოკვლევა, რასაც საჭიროდ მიიჩნევს. პანელის საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მოიცავდეს იმ არგუმენტების საკმარის განხილვას, რაც შუალედური ანგარიშის ეტაპზე იქნა წამოყენებული და ნათლად უნდა პასუხობდეს მხარეთა შეკითხვებსა და არგუმენტებს.

5. ამ შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) მე-11 თავთან (ვაჭრობასთან დაკავშირებული დებულებები ენერგეტიკის სფეროში) დაკავშირებული დავის არსებობისას, რომელსაც ერთი მხარე გადაუდებლად მიიჩნევს ბუნებრივი აირის, ნავთობის ან ელექტროენერგიის გადაზიდვის სრული ან ნაწილობრივი შეფერხების ან შეფერხების საფრთხის გამო, შუალედური ანგარიშის წარდგენა უნდა მოხდეს საარბიტრაჟო პანელის შექმნიდან 20 დღეში და ამ მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით წარდგენილი ნებისმიერი მოთხოვნა უნდა გაკეთდეს წერილობითი ანგარიშის წარდგენიდან 5 დღის ვადაში. საარბიტრაჟო პანელს ასევე შეუძლია გადაწყვიტოს, რომ არ გამოსცეს შუალედური ანგარიში.

მუხლი 252

ენერგეტიკის სფეროში არსებული გადაუდებელი დავების კონსილიაცია

1. ამ შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) მე-11 თავთან (ვაჭრობასთან დაკავშირებული დებულებები ენერგეტიკის სფეროში) დაკავშირებული დავის არსებობისას, რომელსაც ერთი მხარე გადაუდებლად მიიჩნევს ბუნებრივი აირის, ნავთობის ან ელექტროენერგიის გადაზიდვის სრული ან ნაწილობრივი შეფერხების ან შეფერხების საფრთხის გამო, ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს, საარბიტრაჟო პანელისთვის მიმართვის გზით მოითხოვოს, რომ საარბიტრაჟო პანელის თავმჯდომარემ შეასრულოს მომრიგებელი შუამავლის ფუნქცია.

2. მომრიგებელი შუამავალი უნდა ეცადოს, რომ დავა მხარეთა შეთანხმების საფუძველზე გადაწყდეს ან მოხდეს ასეთი შეთანხმების მიღწევის პროცედურაზე შეთანხმება. თუ ასეთი შეთანხმება ვერ მიიღწევა მომრიგებელი შუამავლის დანიშვნიდან 15 დღის განმავლობაში, ამ უკანასკნელმა მხარეებს უნდა შესთავაზოს დავის კონკრეტული გადაწყვეტა ან რეკომენდაცია მისცეს დავის გადაწყვეტის პროცედურასთან დაკავშირებით. კონსილიატორი ასევე იღებს გადაწყვეტილებას იმ წესების და პირობების შესახებ, რომელიც დაცული უნდა იყოს მის მიერ მითითებული თარიღიდან დავის გადაწყვეტამდე.

3. კონსილიატორის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან სამი თვის განმავლობაში ან დავის გადაწყვეტამდე, რომელი შემთხვევაც უფრო ადრე დადგება, მხარეებმა და მათ დაქვემდებარებაში ან იურისდიქციაში მყოფმა დაწესებულებებმა უნდა დაიცვან მე-2 პუნქტის მიხედვით გაცემული რეკომენდაციები მოქმედების წესებსა და პირობებთან დაკავშირებით.

4. მომრიგებელმა შუამავალმა უნდა დაიცვას ქცევის კოდექსი, რომელიც მოცემულია ამ შეთანხმების XXI დანართში.

მუხლი 253

1. საარბიტრაჟო პანელმა მხარეებსა და ამ შეთანხმების 408-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტს თავისი საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ უნდა შეატყობინოს პანელის შექმნიდან 120 დღის განმავლობაში. როდესაც გადაწყვეტილების მიღება არ ესწრება აღნიშნულ ვადაში, პანელის თავმჯდომარე ამის შესახებ წერილობით აცნობებს მხარეებს და ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტს შეატყობინებს დაგვიანების მიზეზებს და თარიღს, როდესაც პანელი გადაწყვეტილების წარდგენას გეგმავს. გადაწყვეტილების მიღება არცერთ შემთხვევაში არ უნდა გადასცილდეს საარბიტრაჟო პანელის შექმნიდან 150 დღეს.

2. გადაუდებელი შემთხვევებისას, მათ შორის მალფუჭებად საქონელთან ან სეზონურ საქონელთან ან მომსახურებასთან დაკავშირებული შემთხვევებისას, საარბიტრაჟო პანელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა მხარეებს გადაწყვეტილება საარბიტრაჟო პანელის შექმნიდან 60 დღეში მიაწოდოს. ეს არცერთ შემთხვევაში არ უნდა გადასცილდეს საარბიტრაჟო პანელის შექმნიდან 75 დღეს.

3. ამ შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) მე-11 თავთან (ვაჭრობასთან დაკავშირებული დებულებები ენერგეტიკის სფეროში) დაკავშირებული დავის არსებობისას, რომელსაც ერთი მხარე გადაუდებლად მიიჩნევს ბუნებრივი აირის, ნავთობის ან ელექტროენერგიის გადაზიდვის სრული ან ნაწილობრივი შეფერხების ან შეფერხების საფრთხის გამო, პანელმა მხარეებს თავისი გადაწყვეტილების შესახებ უნდა აცნობოს შექმნიდან 40 დღეში.

ქვენაწილი 2

გადაწყვეტილების შესრულება

მუხლი 254

საარბიტრაჟო პანელის გადაწყვეტილების შესრულება

მოპასუხე მხარემ სწრაფად და კეთილსინდისიერად უნდა მიიღოს საჭირო ზომები საარბიტრაჟო პანელის გადაწყვეტილების შესასრულებლად.

მუხლი 255

შესრულების გონივრული ვადა

1. თუ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ შესრულება შეუძლებელია, მხარეები უნდა ეცადონ შეთანხმდნენ ვადაზე, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შესრულდება. ამ შემთხვევაში მოპასუხე მხარემ მხარეებისთვის გაგზავნილი გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 30 დღისა, მეორე მხარესა და ამ შეთანხმების 408-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტს უნდა აცნობოს იმ დროის შესახებ, რაც მას გადაწყვეტილების შესასრულებლად დასჭირდება („გონივრული ვადა“).

2. თუ მხარეები ვერ თანხმდებიან გონივრულ ვადაზე, განმცხადებელმა მხარემ, მოპასუხე მხარის მიერ ამ მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით გაგზავნილი შეტყობინების მიღებიდან 20 დღის განმავლობაში, წერილობით უნდა სთხოვოს საარბიტრაჟო პანელს განსაზღვროს გონივრული ვადის ხანგრძლივობა. ასეთი მოთხოვნის შესახებ შეტყობინება უნდა გაეგზავნოს მეორე მხარეს და ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტსაც. თავდაპირველმა საარბიტრაჟო პანელმა თავისი გადაწყვეტილება მხარეებს და ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტს უნდა აცნობოს მოთხოვნის გაგზავნიდან 20 დღის განმავლობაში.

3. გონივრული ვადის გასვლამდე სულ ცოტა ერთი თვით ადრე, მოპასუხე მხარემ განმცხადებელ მხარეს წერილობით უნდა აცნობოს პანელის გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

4. მხარეთა ურთიერთშეთანხმებით შესაძლებელია გონივრული ვადის გაგრძელება.

მუხლი 256

პანელის გადაწყვეტილების შესრულების მიზნით მიღებული ზომების გადახედვა

1. მოპასუხე მხარემ განმცხადებელ მხარეს და ამ შეთანხმების 408-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტს უნდა აცნობოს გონივრული ვადის დასრულებამდე მიღებული ნებისმიერი იმ ზომის შესახებ, რომელიც მიღებული იყო პანელის გადაწყვეტილების შესრულების მიზნით.

2. თუ მხარეებს შორის არსებობს დავა ამ მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნის შესასრულებლად მიღებული რომელიმე ზომის არსებობასა ან ამ შეთანხმების 245-ე მუხლთან შესაბამისობასთან დაკავშირებით, განმცხადებელმა მხარემ წერილობით უნდა მოსთხოვოს საარბიტრაჟო პანელს, რათა ამ უკანასკნელმა მიიღოს გადაწყვეტილება აღნიშნულ საკითხზე. ასეთ მოთხოვნაში უნდა იყოს აღნიშნული განსახილველი ზომა და ისე უნდა იყოს ახსნილი ამ ზომის წინამდებარე შეთანხმების 245-ე მუხლის დებულებებთან შეუსაბამობა, რომ ეს საკმარისი იყოს საჩივრის სამართლებრივი საფუძვლის ნათლად წარმოჩენისთვის. თავდაპირველმა საარბიტრაჟო პანელმა თავისი გადაწყვეტილება მხარეებს და ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტს უნდა აცნობოს მოთხოვნის გაგზავნიდან 45 დღის განმავლობაში.

მუხლი 257

გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში დავის მოგვარებისთვის მიღებული დროებითი საშუალებები

1. თუ მოპასუხე მხარე გონივრული ვადის გასვლამდე საარბიტრაჟო პანელს არ შეატყობინებს პანელის გადაწყვეტილების შესრულების მიზნით მიღებული რაიმე ზომის შესახებ, თუ საარბიტრაჟო პანელი დაადგენს, რომ მიღებული არაა რაიმე ზომა, ან რომ ამ შეთანხმების 256-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით მიღებული ზომა მხარის ამ შეთანხმების 245-ე მუხლით დადგენილ ვალდებულებებთან შეუსაბამოა, მოპასუხე მხარემ, განმცხადებელი მხარის მოთხოვნით და მასთან კონსულტაციების შემდეგ, უნდა შეთავაზოს დროებითი კომპენსაცია.

2. თუ განმცხადებელი მხარე გადაწყვეტს, არ მოითხოვოს დროებითი კომპენსაცია ამ მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, თუ მოთხოვნა წაყენებული იყო, მაგრამ გონივრული ვადის დასრულებიდან ან პანელის მიერ ამ შეთანხმების 256-ე მუხლის მიხედვით ზომების არარსებობის ან ზომების 245-ე მუხლთან შეუსაბამობის შესახებ გადაწყვეტილების წარდგენიდან 30 დღის განმავლობაში შეთანხმება კომპენსაციაზე ვერ იქნა მიღწეული, განმცხადებელ მხარეს უფლება აქვს, მეორე მხარისა და ამ შეთანხმების 408-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტისთვის შეტყობინების გაგზავნით შეაჩეროს ამ შეთანხმების 245-ე მუხლში მითითებული ნებისმიერი დებულებიდან გამომდინარე ვალდებულებები შესაბამისი ოდენობით, რაც უთანაბრდება დარღვევით გამოწვეულ გაუქმებას ან შეზღუდვას. შეტყობინება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას შეჩერებული ვალდებულებების ოდენობის შესახებ. განმცხადებელ მხარეს შეუძლია ვალდებულებების შეჩერება განახორციელოს მოპასუხე მხარის მიერ შეტყობინების მიღებიდან 10 დღის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოპასუხე მხარემ ამ მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით არბიტრაჟი მოითხოვა.

3. ვალდებულებების შეჩერებისას, განმცხადებელ მხარეს შეუძლია გაზარდოს თავისი სატარიფო განაკვეთები ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სხვა წევრ სახელმწიფოთა მიმართ დადგენილ დონემდე ვაჭრობის იმ მოცულობაზე, რაც განისაზღვრება იმგვარად, რომ ვაჭრობის მოცულობა გამრავლებული ტარიფის გაზრდის ოდენობაზე უთანაბრდება დარღვევით გამოწვეულ გაუქმებას ან შეზღუდვას.

4. თუ მოპასუხე მხარე მიიჩნევს, რომ ვალდებულებების შეჩერების დონე არ არის შეზღუდვით გამოწვეული დარღვევის ეკვივალენტური, მას შეუძლია თავდაპირველ საარბიტრაჟო პანელს წერილობით მოსთხოვოს ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება. ამგვარი მოთხოვნა განმცხადებელ მხარეს და ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტს უნდა ეცნობოს ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული 10-დღიანი პერიოდის გასვლამდე. თავდაპირველმა პანელმა ვალდებულების შეჩერების დონეზე თავისი გადაწყვეტილების შესახებ მხარეებსა და ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტს უნდა შეატყობინოს მოთხოვნის წარდგენიდან 30 დღის განმავლობაში. პანელის მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე მხარის ვალდებულებები არ უნდა შეიზღუდოს და ნებისმიერი შეზღუდვა შესაბამისობაში უნდა იყოს პანელის გადაწყვეტილებასთან.

5. ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შეჩერება და კომპენსაცია დროებითია და არ შეიძლება გამოყენებული იქნეს მას შემდეგ, რაც:

a) მხარეები მიაღწევენ შეთანხმებას ამ შეთანხმების 262-ე მუხლის მიხედვით; ან

b) მხარეები შეთანხმდებიან, რომ ამ შეთანხმების 256-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით შეტყობინებული ზომით მოპასუხე მხარის ქმედება მოყვანილ იქნა შესაბამისობაში 245-ე მუხლის დებულებებთან; ან

c) ყველა ის ზომა, რომელიც შეუთავსებელი იყო 245-ე მუხლის დებულებებთან, გაუქმებულია ან შესწორებულია ისე, რომ ამ დებულებებთან შესაბამისობაში მოდის, როგორც ეს ამ შეთანხმების 256-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით არის დადგენილი.

მუხლი 258

ენერგეტიკის სფეროში არსებული გადაუდებელი დავების მოგვარების საშუალებები

1. ამ შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) მე-11 თავთან (ვაჭრობასთან დაკავშირებული დებულებები ენერგეტიკის სფეროში) დაკავშირებული დავის არსებობისას, რომელსაც ერთი მხარე გადაუდებლად მიიჩნევს ბუნებრივი აირის, ნავთობის ან ელექტროენერგიის გადაზიდვის სრული ან ნაწილობრივი შეფერხების ან შეფერხების საფრთხის გამო, დავის მოგვარების საშუალებებთან დაკავშირებით მხარეებს შორის მოქმედებს ამ მუხლის დებულებები.

2. ამ შეთანხმების 255-ე, 256-ე და 257-ე მუხლებიდან გადახვევის გზით განმცხადებელს შეუძლია ამ შეთანხმების IV კარიდან (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) გამომდინარე ვალდებულებების შეჩერება იმ ოდენობით, რაც უთანაბრდება იმ მხარის ქმედებით გამოწვეულ შეზღუდვას ან გაუქმებას, რომელმაც არ შეასრულა საარბიტრაჟო პანელის გადაწყვეტილება, ამ გადაწყვეტილების მიღებიდან 15 დღის განმავლობაში. ამ შეჩერების ძალაში შესვლა შესაძლებელია დაუყოვნებლივ. ვალდებულებების ამგვარი შეჩერება შესაძლებელია გაგრძელდეს იმ დროით, რა დროის განმავლობაშიც მოპასუხე მხარე არ ასრულებს პანელის გადაწყვეტილებას.

3. თუ მოპასუხე მხარე სადავოდ ხდის შესრულების არარსებობას ან შესრულების არარსებობის გამო ვალდებულებების შეჩერების დონეს, მას შეუძლია ამ შეთანხმების 257-ე მუხლის მე-4 პუნქტის და 259-ე მუხლის მიხედვით წამოიწყოს პროცესი, რომელიც დაჩქარებული წესით განიხილება. განმცხადებელ მხარეს შეზღუდვის მოხსნის ან მისი შეცვლის ვალდებულება წარმოეშობა მხოლოდ პანელის მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. პროცესის მიმდინარეობისას მას შეუძლია ვალდებულების შეჩერება ძალაში დატოვოს.

მუხლი 259

გადაწყვეტილების შეუსრულებლობის გამო დავის მოგვარების დროებითი საშუალებების გამოყენების შემდეგ გადაწყვეტილების შესრულების მიზნით მიღებული ზომების გადახედვა

1. ვალდებულებების შეჩერების ან დროებითი კომპენსაციის განხორციელების შემდეგ, მოპასუხე მხარემ განმცხადებელ მხარეს და ამ შეთანხმების 408-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტს უნდა შეატყობინოს იმ ზომების შესახებ, რომელიც მან საარბიტრაჟო პანელის გადაწყვეტილების შესრულების მიზნით მიიღო. ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი გამონაკლისების გარდა, განმცხადებელმა მხარემ ვალდებულებების შეჩერება შეტყობინების მიღებიდან 30 დღეში უნდა გააუქმოს. იმ შემთხვევებში, როდესაც კომპენსაცია იქნა გამოყენებული, ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი გამონაკლისების გარდა, მოპასუხე მხარეს შეუძლია ასეთი კომპენსაციის განხორციელება შეწყვიტოს საკითხის პანელის გადაწყვეტილებასთან შესაბამისობის მოყვანის თაობაზე შეტყობინების გაგზავნიდან 30 დღეში.

2. თუ მხარეები შეტყობინების მიღებიდან 30 დღის განმავლობაში ვერ შეთანხმდებიან იმის თაობაზე, მოჰყავს თუ არა მოპასუხე მხარის მიერ მიღებულ ზომას საკითხი ამ შეთანხმების 245-ე მუხლის დებულებებთან შესაბამისობაში, განმცხადებელმა ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება წერილობით უნდა მოსთხოვოს თავდაპირველ საარბიტრაჟო პანელს. ეს მოთხოვნა ერთდროულად უნდა გადაეგზავნოს მეორე მხარესა და ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტს. პანელმა თავისი გადაწყვეტილების შესახებ მხარეებსა და ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტს უნდა აცნობოს მოთხოვნის წარდგენიდან 45 დღის განმავლობაში. თუ პანელი გადაწყვეტს, რომ მიღებულ ზომას საკითხი 245-ე მუხლის დებულებებთან შესაბამისობაში მოჰყავს, ვალდებულებების შეჩერება ან კომპენსაცია უნდა შეწყდეს. შესაბამის შემთხვევებში, განმცხადებელი მხარე ვალდებულია ვალდებულებების შეჩერების ოდენობა შეუთავსოს საარბიტრაჟო პანელის მიერ დადგენილ ოდენობას.

მუხლი 260

არბიტრების ცვლილება

თუ ამ თავის მიხედვით მიმდინარე საარბიტრაჟო პროცესში თავდაპირველი პანელი ან მისი წევრები ვეღარ მონაწილეობენ, უარს ამბობენ მონაწილეობაზე, ან საჭიროა მათი შეცვლა იმის გამო, რომ ისინი არ აკმაყოფილებენ ამ შეთანხმების XXI დანართში მოცემულ ქცევის კოდექსის მოთხოვნებს, ამოქმედდება ამ შეთანხმების 249-ე მუხლით გაწერილი პროცედურა. ასეთ შემთხვევაში, გადაწყვეტილების შეტყობინებისათვის დადგენილი ვადა გაგრძელდება 20 დღით, გარდა 249-ე მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული გადაუდებელი დავებისა, რა შემთხვევაშიც ვადა 5 დღით გაგრძელდება.

ქვენაწილი 3

საერთო დებულებები

მუხლი 261

არბიტრაჟისა და გადაწყვეტილების შესრულების პროცედურების შეჩერება და შეწყვეტა

საარბიტრაჟო პანელი ორივე მხარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე ვალდებულია, ნებისმიერ დროს შეაჩეროს მუშაობა მხარეთა მიერ შეთანხმებული ვადით, რომელიც არ უნდა აჭარბებდეს ზედიზედ 12 თვეს. საარბიტრაჟო პანელი ვალდებულია განაგრძოს მუშაობა ამ პერიოდის დასრულებამდე ორივე მხარის წერილობითი მოთხოვნის ან ამ პერიოდის დასრულების მომენტისათვის ნებისმიერი მხარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. განმცხადებელმა მხარემ აღნიშნულის შესახებ შეტყობინება უნდა გაუგზავნოს ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტის თავმჯდომარეს ან თანათავმჯდომარეებს და მეორე მხარეს. თუ პროცესის შეჩერების შეთანხმებული ვადის გასვლის დროისათვის მხარე არ მოითხოვს საარბიტრაჟო პანელის მუშაობის გაგრძელებას, პროცესი შეწყდება. საარბიტრაჟო პანელის მუშაობის შეჩერება და შეწყვეტა გავლენას არ ახდენს არცერთი მხარის უფლებებზე სხვა პროცესებში, ამ შეთანხმების 269-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 262

მორიგება

მხარეებს შეუძლიათ ამ შეთანხმების IV კარით (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) გათვალისწინებული დავა ნებისმიერ დროს დაასრულონ მორიგებით. მათ ასეთი გადაწყვეტილების შესახებ ერთობლივად უნდა აცნობონ ამ შეთანხმების 408-ე მუხლის მე-4 პუნქტში განსაზღვრულ ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტს და, შესაბამის შემთხვევაში, საარბიტრაჟო პანელის თავმჯდომარეს. თუ მორიგება რომელიმე მხარის შიდა პროცედურების მიხედვით საჭიროებს დამტკიცებას, შეტყობინება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ასეთი მოთხოვნის შესახებ და ასეთ შემთხვევაში დავის მოგვარების პროცესი შეჩერდება. თუ ამგვარი დამტკიცება საჭირო არ არის, ან თუ გაიგზავნება შეტყობინება ასეთი სახის შიდა პროცედურების დასრულების შესახებ, დავის მოგვარების პროცესი შეწყდება.

მუხლი 263

პროცედურული წესები

1. ამ თავის მიხედვით დავის მოგვარების პროცედურებზე ვრცელდება ამ შეთანხმების XX დანართად მოცემული პროცედურული წესები და ამ შეთანხმების XXI დანართად მოცემული ქცევის კოდექსი.

2. საარბიტრაჟო პანელის ნებისმიერი სხდომა საჯაროა, თუ პროცედურული წესებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მუხლი 264

ინფორმაცია და ტექნიკური რჩევები

მხარის მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით, საარბიტრაჟო პანელს შეუძლია ნებისმიერი წყაროსგან, მათ შორის დავის მონაწილე მხარეებისგან, მოიპოვოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რასაც საჭიროდ თვლის საარბიტრაჟო პროცესისთვის. საარბიტრაჟო პანელს, თუ ის საჭიროდ თვლის, ასევე აქვს უფლება მიიღოს ექსპერტთა შეფასებები. ექსპერტთა შერჩევამდე, პანელმა კონსულტაციები უნდა გაიაროს მხარეებთან. მხარის ტერიტორიაზე დაფუძნებულ ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს აქვთ უფლება პროცედურული წესების შესაბამისად პანელს წარუდგინონ „სასამართლოს მეგობრის" - (amicus curiae) დასკვნები. ამ მუხლის მეშვეობით მოპოვებული ნებისმიერი ინფორმაცია უნდა ეცნობოს თითოეულ მხარეს და წარედგინოს კომენტარების გასაკეთებლად.

მუხლი 265

განმარტების წესები

ნებისმიერმა საარბიტრაჟო ტრიბუნალმა ამ შეთანხმების 245-ე მუხლში მოცემული დებულებები უნდა განმარტოს საერთაშორისო საჯარო სამართლის ჩვეულებითი ნორმების, მათ შორის საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ 1969 წლის ვენის კონვენციით კოდიფიცირებული ნორმების, შესაბამისად. პანელმა ასევე მხედველობაში უნდა მიიღოს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის დავების მოგვარების ორგანოს მიერ დამტკიცებული პანელისა და სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებებში მოცემული შესაბამისი განმარტებები. საარბიტრაჟო პანელის გადაწყვეტილებებმა არ უნდა განავრცოს ან შეამციროს ამ შეთანხმებით მხარეთათვის მინიჭებული უფლებები და მოვალეობები.

მუხლი 266

საარბიტრაჟო პანელის გადაწყვეტილებები და განჩინებები

1. საარბიტრაჟო პანელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს გადაწყვეტილების კონსენსუსით მისაღებად. თუმცა, თუ გადაწყვეტილების კონსენსუსით მიღება არ ხერხდება, განსახილველი საკითხი ხმათა უმრავლესობით გადაწყდება. პანელის თათბირები კონფიდენციალურია და განსხვავებული აზრები არ გამოიცემა.

2. მხარეები საარბიტრაჟო პანელის გადაწყვეტილებებს უპირობოდ უნდა დაეთანხმონ. გადაწყვეტილებები ფიზიკურ ან იურიდიულ პირს არ უნდა აკისრებდეს რაიმე უფლებას ან ვალდებულებას. გადაწყვეტილებები უნდა შეიცავდეს დადგენილ ფაქტებს, დასკვნებს ამ შეთანხმების 245-ე მუხლში მითითებული შესაბამისი დებულებების გამოყენებადობის თაობაზე და მის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილებისა და დასკვნის მიღების ძირითად მიზეზებს. ამ შეთანხმების 408-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულმა ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტმა საარბიტრაჟო პანელის სრული გადაწყვეტილებები მისი წარდგინებიდან 10 დღის ვადაში უნდა გახადოს საჯაროდ ხელმისაწვდომი გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის სხვაგვარად გადაწყვეტს იმ მიზნით, რომ დაიცვას მხარის მიერ მოწოდებული კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც კონფიდენციალურად განისაზღვრა ამ მხარის მიერ თავისი კანონმდებლობის საფუძველზე.

მუხლი 267

მიმართვები ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსადმი

1. ამ მუხლში განსაზღვრული პროცედურები მოქმედებს დავებზე, რომლებიც უკავშირდება ამ შეთანხმების იმ დებულებების ინტერპრეტაციასა და გამოყენებას, რომლებიც მხარეს აკისრებს იმგვარ ვალდებულებას, რაც ევროკავშირის სამართლის დებულებაზე მითითებით დგინდება.

2. როდესაც წარმოიშობა დავა ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ევროკავშირის სამართლის დებულების ინტერპრეტაციის საკითხზე, საარბიტრაჟო პანელმა საკითხის გადაწყვეტის მაგივრად უნდა მიმართოს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად. ასეთ შემთხვევაში, საარბიტრაჟო პანელის გადაწყვეტილების მიღებისთვის დადგენილი ვადების მოქმედება ჩერდება ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება საარბიტრაჟო პანელისთვის სავალდებულო ხასიათს ატარებს.

ნაწილი 4

ზოგადი დებულებები

მუხლი 268

არბიტრების სია

1. ამ შეთანხმების ძალაში შესვლიდან არა უგვიანეს 6 თვისა, ამ შეთანხმების 408-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულმა ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტმა უნდა შეადგინოს სულ მცირე 15 პირისგან შემდგარი სია, რომლებსაც სურთ და შეუძლიათ არბიტრობა. სია უნდა შედგებოდეს სამი ქვე-სიისგან: თითო ქვე-სია თითო მხარისთვის და ერთი ქვე-სია, რომელშიც შევლენ ის პირები, რომლებიც არ არიან არცერთი ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეები და რომლებიც საარბიტრაჟო პანელის თავმჯდომარეობას გასწევენ. თითოეული ქვე-სია უნდა შეიცავდეს სულ მცირე 5 პირს. ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტმა უნდა უზრუნველყოს, რომ სია ყოველთვის ასეთ მდგომარეობაში შენარჩუნდეს.

2. არბიტრებს უნდა გააჩნდეთ სამართლისა და საერთაშორისო ვაჭრობის სპეციალიზებული ცოდნა და გამოცდილება. ისინი უნდა იყვნენ დამოუკიდებლები, იმოქმედონ პირადი კომპეტენციის ფარგლებში, არ უნდა მიიღონ ინსტრუქციები არცერთი ორგანიზაციის ან მთავრობისგან, არ უნდა იყვნენ რომელიმე მხარის მთავრობასთან დაკავშირებული და უნდა შეესაბამებოდნენ ამ შეთანხმების XXI დანართში მოცემულ ქცევის კოდექსის მოთხოვნებს.

3. ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტს შეუძლია შეადგინოს იმ პირთა 12 კაციანი დამატებითი სია, რომლებსაც გააჩნიათ განათლება და გამოცდილება იმ სექტორებში, რომელსაც ეს შეთანხმება ფარავს. მხარეთა შეთანხმების საფუძველზე ასეთი დამატებითი სიები გამოყენებულ უნდა იქნას ამ შეთანხმების 249-ე მუხლში გაწერილი პროცედურის მიხედვით საარბიტრაჟო პანელის შესაქმნელად.

მუხლი 269

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში აღებულ ვალდებულებებთან ურთიერთმიმართება

1. ამ თავში მოცემული დავის მოგვარების მექანიზმისთვის მიმართვამ არ უნდა იქონიოს გავლენა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში განხორციელებულ ნებისმიერ ქმედებაზე, მათ შორის დავის მოგვარების პროცედურაზე.

2. თუმცა, თუ მხარეს რომელიმე კონკრეტულ ღონისძიებასთან დაკავშირებით ინიცირებული აქვს დავის მოგვარების პროცესი ამ თავის ან ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ხელშეკრულების ფაგლებში, მას არ აქვს უფლება წამოიწყოს მეორე პროცესი იმავე ღონისძიებასთან დაკავშირებით, სანამ პირველი პროცესი არ დასრულდება. ამასთანავე, მხარეს არ აქვს უფლება დავების მოგვარების ორივე ორგანოში მოითხოვოს იმ ვალდებულების შესრულება, რომელიც ამ თავისა და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ხელშეკრულების მიხედვით იდენტურია. იმ შემთხვევაში, როდესაც დავის მოგვარების პროცესი დაწყებულია, მხარეების მიერ ერთი ფორუმის არჩევა გამორიცხავს მეორეს გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არჩეული ფორუმი ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას საჩივარზე აღნიშნულ ვალდებულებასთან დაკავშირებით, იურისდიქციის ან პროცედურული მიზეზების გამო.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის მიზნებისთვის:

(a) ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავის მოგვარების პროცესი ინიცირებულად ითვლება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ხელშეკრულების მე-2 დანართში მოცემული დავების მოგვარების წესებისა და პროცედურის შესახებ შეთანხმების („დავების მოგვარების პროცედურა") მე-6 მუხლით გათვალისწინებული პროცედურის მიხედვით მხარის მიერ პანელის შექმნის მოთხოვნით, და დასრულებულად ითვლება, როდესაც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის დავების მოგვარების ორგანო დაამტკიცებს პანელის და სააპელაციო ორგანოს გადაწყვეტილებას დავების მოგვარების პროცედურის მე-16 მუხლისა და მე-17 მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად; და

(b) ამ შეთანხმებით გათვალისწინებული დავის მოგვარების პროცესი ინიცირებულად ითვლება ამ შეთანხმების 248-ე მუხლის მიხედვით მხარის მიერ საარბიტრაჟო პანელის შექმნის მოთხოვნით და დასრულებულად ითვლება, როდესაც საარბიტრაჟო პანელი ამ შეთანხმების 253-ე მუხლის შესაბამისად მხარეებს და 408-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტს გადაუგზავნის თავის გადაწყვეტილებას.

4. მხარეს ამ შეთანხმების არცერთმა დებულებამ არ უნდა შეუშალოს ხელი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის დავების მოგვარების ორგანოს გადაწყვეტილების შესაბამისად ვალდებულებების შეჩერების იმპლემენტაციაში. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ხელშეკრულება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხარისთვის ამ თავით გათვალისწინებული ვალდებულებების შეჩერებისთვის ხელის

შეშლის მიზნით.

მუხლი 270

ვადები

1. ამ თავში დადგენილი ყველა ვადა, საარბიტრაჟო პანელისთვის გადაწყვეტილებების მიღების ვადების ჩათვლით, გამოითვლება კალენდარული დღეებით და აითვლება შესაბამისი ქმედების განხორციელების ან ფაქტის დადგომის მომდევნო დღიდან, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2. დავის მონაწილე მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია ამ თავში დადგენილი ნებისმიერი ვადის შეცვლა. საარბიტრაჟო პანელს შეუძლია მხარეებს ნებისმიერ დროს შესთავაზოს ამ თავში გათვალისწინებული ნებისმიერი ვადის შეცვლა, რაც ამ შეთავაზების მიზეზებსაც უნდა შეიცავდეს.

თავი 15

დაახლოების ზოგადი დებულებები IV კარის შესაბამისად

მუხლი 271

პროგრესი დაახლოებაში ვაჭრობასთან დაკავშირებულ სფეროებში

1. ამ შეთანხმების IV კარით (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) განსაზღვრულ ვაჭრობასთან დაკავშირებულ სფეროებში საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების შეფასების ხელშეწყობის მიზნით, ამ შეთანხმების 419-ე მუხლის შესაბამისად, მხარეებმა ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტში, რომელიც განსაზღვრულია ამ შეთანხმების 408-ე მუხლის მე-4 პუნქტით ან მის ერთ-ერთ ქვეკომიტეტში, რომელიც შექმნილია ამ შეთანხმების შესაბამისად, რეგულარულად და არანაკლებ წელიწადში ერთხელ უნდა განიხილონ დაახლოებაში მიღწეული პროგრესი წინასწარ განსაზღვრული ვადების მიხედვით, რომელიც მითითებულია ამ შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) მე-3, მე-4, მე-5, მე-6 და მე-8 თავებში.

2. ევროკავშირის მოთხოვნის საფუძველზე და ამ განხილვის მიზნებისთვის, საქართველომ ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტს ან მის ერთ-ერთ ქვეკომიტეტს უნდა მიაწოდოს წერილობითი ინფორმაცია დაახლოებაში მიღწეულ პროგრესზე და დაახლოებული ეროვნული კანონმდებლობის ეფექტიან განხორციელებასა და აღსრულებაზე, ამ შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) შესაბამის თავებთან მიმართებით.

3. საქართველომ უნდა აცნობოს ევროკავშირს, როცა ის მიიჩნევს, რომ დაასრულა დაახლოება პირველ პუნქტში დასახელებული ერთ-ერთი თავის შესაბამისად.

მუხლი 272

შეუსაბამო ეროვნული კანონმდებლობის გაუქმება

დაახლოების პროცესის შემადგენელი ნაწილის სახით, საქართველომ უნდა გააუქმოს ეროვნული კანონმდებლობის დებულებები ან ადმინისტრაციული პრაქტიკა, რომელიც არ შეესაბამება ევროკავშირის იმ კანონმდებლობას, რომელთანაც ამ შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) შესაბამისად განსაზღვრულია დაახლოება ან საქართველოს ადგილობრივ კანონმდებლობას, რომელიც შესაბამისად დაახლოებულია ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

მუხლი 273

ვაჭრობასთან დაკავშირებულ სფეროებში დაახლოების შეფასება

1. ამ შეთანხმების IV კარით (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) განსაზღვრული დაახლოების შეფასება ევროკავშირის მიერ უნდა დაიწყოს მას შემდეგ, რაც საქართველო აცნობებს ევროკავშირს ამ შეთანხმების 271-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული ამ შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) მე-4 და მე-8 თავებით.

2. ევროკავშირმა უნდა შეაფასოს, რამდენად მოხდა საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან და რამდენად ეფექტიანად ხდება ეროვნული კანონმდებლობის განხორციელება და აღსრულება. საქართველომ ევროკავშირს უნდა მიაწოდოს ყველა საჭირო ინფორმაცია ამ შეფასების განხორციელებისთვის, ორმხრივად შეთანხმებულ სამუშაო ენაზე.

3. შეფასების პროცესში, ევროკავშირმა მხედველობაში უნდა მიიღოს საქართველოში შესაბამისი ინფრასტრუქტურის, უწყებების და პროცედურების არსებობა და ფუნქციონირება, რომელიც აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობის ეფექტიანი განხორციელებისა და აღსრულებისთვის.

4. ევროკავშირის მიერ მე-2 პუნქტის შესაბამისად განხორციელებულმა შეფასებამ მხედველობაში უნდა მიიღოს ეროვნული კანონმდებლობის ყველა ის დებულება ან ადმინისტრაციული პრაქტიკა, რომელიც არ შეესაბამება ევროკავშირის იმ კანონმდებლობას, რომელთანაც ამ შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) შესაბამისად განსაზღვრულია დაახლოება ან საქართველოს ადგილობრივ კანონმდებლობას, რომელიც შესაბამისად დაახლოებულია ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

5. ამ შეთანხმების 276-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ ვადებში, ევროკავშირმა უნდა აცნობოს საქართველოს მის მიერ განხორციელებული შეფასების შედეგები, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სხვაგვარად არის განსაზღვრული. მხარეებმა შეიძლება განიხილონ განხორციელებული შეფასება ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტში, რომელიც განსაზღვრულია ამ შეთანხმების 408-ე მუხლის მე-4 პუნქტში ან მის შესაბამის ქვეკომიტეტებში, ამ შეთანხმების 419-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

მუხლი 274

დაახლოებასთან დაკავშირებული პროცესები

1. საქართველომ უნდა უზრუნველყოს ამ შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) შესაბამისად დაახლოებული ეროვნული კანონმდებლობის ეფექტიანი განხორციელება და მიიღოს ნებისმიერი ზომა, რომელიც საჭიროა ევროკავშირის კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილების ეროვნული კანონმდებლობაში ასახვისთვის, ამ შეთანხმების 418-ე მუხლის შესაბამისად.

2. ევროკავშირმა უნდა აცნობოს საქართველოს კომისიის ყველა იმ საბოლოო საკანონმდებლო ინიციატივის შესახებ, რომელიც გულისხმობს ევროკავშირის იმ კანონმდებლობის მიღებას ან არსებულის ცვლილებას, რომელიც უკავშირდება ამ შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) შესაბამისად საქართველოზე დაკისრებულ დაახლოების ვალდებულებებს.

3. საქართველომ ევროკავშირს უნდა აცნობოს ყველა იმ ქმედების, მათ შორის საკანონმდებლო ინიციატივის და ადმინისტრაციული პრაქტიკის შესახებ, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ამ შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) შესაბამისად განსაზღვრულ საქართველოს დაახლოების ვალდებულებების შესრულებაზე.

4. მოთხოვნის შემთხვევაში მხარეებმა უნდა განიხილონ მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრული ნებისმიერი ინიციატივის ან ქმედების ზეგავლენა ქართულ კანონმდებლობაზე ან ამ შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) შესაბამისად განსაზღვრულ ვალდებულებებთან შესაბამისობაზე.

5. თუ ამ შეთანხმების 273-ე მუხლის შესაბამისად განხორციელებული შეფასების შემდეგ საქართველო შეცვლის საკუთარ კანონმდებლობას ამ შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) მე-3, მე-4, მე-5, მე-6 და მე-8 თავებით განსაზღვრული დაახლოების შესაბამისად მომხდარი ცვლილებების ასახვის მიზნით, ევროკავშირის მხარემ უნდა განახორციელოს ახალი შეფასება, ამ შეთანხმების 273-ე მუხლის შესაბამისად. თუ საქართველო განახორციელებს ნებისმიერ სხვა ქმედებას, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს დაახლოებული ქართული კანონმდებლობის განხორციელებასა და აღსრულებაზე, ევროკავშირს შეუძლია ახალი შეფასების განხორციელება ამ შეთანხმების 273-ე მუხლის შესაბამისად.

6. აუცილებლობის შემთხვევაში, ევროკავშირის მიერ განხორციელებული შეფასების საფუძველზე, რომლის თანახმად საქართველოს კანონმდებლობა დაახლოებულია ევროკავშირის კანონმდებლობასთან და ხდება მისი ეფექტიანად განხორციელება და აღსრულება, ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის მინიჭებული შეღავათები შეიძლება დროებით შეჩერდეს, თუ საქართველო არ მოახდენს მისი კანონმდებლობის დაახლოებას, ამ შეთანხმების IV კარით (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) განსაზღვრული დაახლოების ცვლილების ასახვისთვის, იმის გათვალისწინებით, რომ ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებული შეფასება აჩვენებს, რომ საქართველოს კანონმდებლობა აღარ არის დაახლოებული ევროკავშირის კანონმდებლობასთან ან ასოცირების საბჭო ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას ამ შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) განახლებაზე ევროკავშირის კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებების შესაბამისად.

7. თუ ევროკავშირი აპირებს შეღავათების შეჩერებას, მან ამის შესახებ დროულად უნდა აცნობოს საქართველოს. საქართველომ შეტყობინების მიღებიდან 3 თვის ვადაში შესაბამისი წერილობითი მიზეზების განმარტებით ამ საკითხით შეიძლება მიმართოს ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტს, რომელიც განსაზღვრულია ამ შეთანხმების 408-ე მუხლის მე-4 პუნქტით. მიმართვიდან 3 თვის ვადაში, ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტმა უნდა განიხილოს საკითხი. თუ საკითხი არ არის გადაცემული ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტისთვის ან თუ მისი გადაწყვეტა ვერ ხდება კომიტეტის მიერ მიმართვიდან 3 თვის ვადაში, ევროკავშირს შეუძლია განახორციელოს შეღავათების შეჩერება. შეჩერება დროულად უნდა გაუქმდეს, თუ ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტი გადაწყვეტს საკითხს.

მუხლი 275

ინფორმაციის გაცვლა

ამ შეთანხმების IV კარით (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) გათვალისწინებულ დაახლოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცვლა უნდა მოხდეს ამ შეთანხმების 222-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საკონტაქტო პირების მეშვეობით.

მუხლი 276

ზოგადი დებულება

1. ამ შეთანხმების 408-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულმა ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტმა უნდა დაამტკიცოს შესაბამისი პროცედურები დაახლოების შეფასების ხელშეწყობისთვის და დაახლოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის ეფექტური გაცვლის უზრუნველყოფისთვის, მათ შორის შეფასების ვადები და ფორმა, შინაარსი და გასაცვლელი ინფორმაციის სამუშაო ენა.

2. ნებისმიერი მითითება ევროკავშირის სამართლებრივ აქტზე ამ შეთანხმების IV კარში (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) მოიცავს ცვლილებების, დამატებების და ჩანაცვლებების ღონისძიებებს, რომლებიც გამოქვეყნებულია ევროკავშირის ოფიციალურ გაზეთში 2013 წლის 29 ნოემბრამდე.

3. ამ შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) მე-3, მე-4, მე-5, მე-6 და მე-8 თავების დებულებებს კონფლიქტის შემთხვევაში ამ თავის დებულებებთან შედარებით უპირატესი ძალა აქვს.

4. ამ თავის დებულებების დარღვევასთან დაკავშირებული პრეტენზიები არ განიხილება ამ შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთანდაკავშირებული საკითხები) მე-14 თავის (დავების მოგვარება) შესაბამისად.

კარი V

ეკონომიკური თანამშრომლობა

თავი 1

ეკონომიკური დიალოგი

მუხლი 277

1. ევროკავშირი და საქართველო ხელს შეუწყობენ ეკონომიკური რეფორმის პროცესს თავიანთი შესაბამისი ეკონომიკების ძირეული პრინციპების უკეთ გაცნობიერების, ეკონომიკური პოლიტიკის ფორმულირებისა და იმპლემენტაციის გზით.

2. საქართველო უნდა მიისწრაფოდეს, რომ დააფუძნოს ქმედითი საბაზრო ეკონომიკა და ეტაპობრივად დაუახლოოს საკუთარი ეკონომიკური და ფინანსური რეგულაციები ევროკავშირის რეგულაციებს და იმავდროულად უზრუნველყოს სწორი მაკროეკონომიკური პოლიტიკის გატარება.

მუხლი 278

ამ მიზნით, მხარეები თანხმდებიან, წარმართონ რეგულარული ეკონომიკური დიალოგი, რომელიც მიზნად ისახავს:

(a) მაკროეკონომიკურ ტენდენციებსა და პოლიტიკაზე, ისევე, როგორც სტრუქტურულ რეფორმებზე, მათ შორის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიებზე, ინფორმაციის გაცვლას;

(b) პროფესიული გამოცდილების და მოწინავე პრაქტიკის გაცვლას ისეთ სფეროებში, როგორებიცაა საჯარო ფინანსები, მონეტარული და გაცვლითი კურსის შესახებ პოლიტიკის ჩარჩოები, ფინანსური სექტორის პოლიტიკა და ეკონომიკური სტატისტიკა;

(c) ინფორმაციისა და გამოცდილების გაცვლას რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის, მათ შორის, ევროპის ეკონომიკური და სავალუტო კავშირის ფუნქციონირების შესახებ;

(d) ეკონომიკის, საფინანსო და სტატისტიკის სფეროებში ორმხრივი თანამშრომლობის სტატუსის განხილვას.

თავი 2

საჯარო ფინანსების მართვა და ფინანსური კონტროლი

მუხლი 279

მხარეები ითანამშრომლებენ სახელმწიფო სექტორის შიდა ფინანსური კონტროლისა (PIFC) და გარე აუდიტის სფეროში შემდეგი ამოცანების მისაღწევად:

(a) სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის შემდგომი განვითარება და იმპლემენტაცია, რომელიც ეფუძნება მენეჯერული ანგარიშვალდებულების პრინციპს და მოიცავს ფუნქციონალურად დამოუკიდებელ შიდა აუდიტის სუბიექტებს მთელს საჯარო სექტორში, რაც განხორციელდება საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სტანდარტებისა და მეთოდოლოგიების, ასევე ევროკავშირის კარგი პრაქტიკის მეშვეობით, და საქართველოს მთავრობის

მიერ დამტკიცებული სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სტრატეგიული ხედვის დოკუმენტის საფუძველზე;

(b) სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სტრატეგიული ხედვის დოკუმენტში შეიძლება აისახოს მითითება იმის თაობაზე, განხორციელდება თუ არა ფინანსური ინსპექტირების სისტემა და რა პირობების გათვალისწინებით, სადაც ამგვარი ფუნქცია საჩივრის არსებობით იქნება განპირობებული, შეავსებს და არ მოახდენს შიდა აუდიტის საქმიანობის დუბლირებას;

(c) სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სტრატეგიული ხედვის დოკუმენტით გათვალისწინებულ მონაწილეებს შორის ეფექტიანი თანამშრომლობა მმართველობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით;

(d) სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის ჰარმონიზაციის ცენტრის მხარდაჭერა და მისი კომპეტენციების გაძლიერება;

(e) საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, როგორც საქართველოში წამყვანი აუდიტორული ინსტიტუტის, შემდგომი გაძლიერება დამოუკიდებლობის, ორგანიზაციული და აუდიტორული შესაძლებლობების, ფინანსური და ადამიანური რესურსების, ასევე, უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტის მიერ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) გარე აუდიტის საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების იმპლემენტაციის თვალსაზრისით; და

(f) ინფორმაციის, გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაცვლა, *inter alia*, ამ სფეროებში პერსონალის გაცვლისა და ერთობლივი ტრეინინგის გზით.

თავი 3

დაბეგვრა

მუხლი 280

მხარეები ითანამშრომლებენ საგადასახადო სფეროში კარგი მმართველობის გაძლიერების კუთხით, ეკონომიკური ურთიერთობების, ვაჭრობის, ინვესტიციებისა და სამართლიანი კონკურენციის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

მუხლი 281

280-ე მუხლის გათვალისწინებით, მხარეები აღიარებენ და ვალდებულებას იღებენ, რომ შეასრულებენ საგადასახადო სფეროს კარგი მმართველობის პრინციპებს, როგორებიცაა მაგალითად, გამჭვირვალობის, ინფორმაციის გაცვლისა და სამართლიანი საგადასახადო კონკურენციის პრინციპებს, როგორც ეს განსაზღვრულია წევრი სახელმწიფოების მიერ ევროკავშირის დონეზე. ამ მიზნით, ევროკავშირისა და წევრი სახელმწიფოებისთვის ზიანის მიუყენებლად, მხარეები გააუმჯობესებენ საერთაშორისო თანამშრომლობას საგადასახადო სფეროში, ხელს შეუწყობენ კანონიერი საგადასახადო შემოსავლების ადმინისტრირებას, და მიიღებენ ზომებს ზემოხსენებული პრინციპების ეფექტიანი შესრულებისათვის.

მუხლი 282

მხარეები ასევე გააძლიერებენ და გააღრმავებენ თავიანთ თანამშრომლობას, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს საგადასახადო სისტემისა და ადმინისტრირების განვითარებას, მათ შორის, გადასახადების შეგროვებისა და კონტროლის შესაძლებლობის გაძლიერებას, უზრუნველყოფენ გადასახადების ეფექტიან შეგროვებას და გააქტიურებენ ბრძოლას საგადასახადო თაღლითობისა და გადასახადებისგან თავის არიდების წინააღმდეგ. მხარეები მიზნად ისახავენ, გააძლიერონ თანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება საგადასახადო თაღლითობის წინააღმდეგ საბრძოლველად, კერძოდ კი დამატებითი ღირებულების გადასახადის (დღგ) სისტემის ბოროტად გამოყენების კუთხით (კარუსელური თაღლითობა).

მუხლი 283

მხარეები გააძლიერებენ თავიანთ თანამშრომლობას და განახორციელებენ პოლიტიკის ჰარმონიზაციას აქციზურ საქონელთან

დაკავშირებული თაღლითობისა და კონტრაბანდის წინააღმდეგ საპასუხო ქმედებების განსახორციელებლად და მის წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს თანამშრომლობა მოიცავს, მათ შორის, თამბაქოს პროდუქციაზე აქციზის ტარიფების, შეძლებისდაგვარად, ეტაპობრივ დაახლოებას, რეგიონულ კონტექსტში შესაძლებლობების გათვალისწინებით და "თამბაქოს კონტროლის შესახებ" ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ჩარჩო კონვენციის შესაბამისად. ამ მიზნით, მხარეები შეეცდებიან გააძლიერონ თავიანთი თანამშრომლობა რეგიონული კონტექსტის ფარგლებში.

მუხლი 284

რეგულარული დიალოგი გაიმართება ამ თავით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით.

მუხლი 285

საქართველო მოახდენს ეროვნული კანონმდებლობის დაახლოებას წინამდებარე შეთანხმების XXII დანართში მითითებულ ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან, ამავე დანართის დებულებების შესაბამისად.

თავი 4

სტატისტიკა

მუხლი 286

მხარეები განავითარებენ და განამტკიცებენ თანამშრომლობას სტატისტიკის საკითხებზე, რაც ხელს შეუწყობს დროული, საერთაშორისო დონეზე შედარებადი და საიმედო სტატისტიკური მონაცემების უზრუნველყოფის გრძელვადიანი მიზნის შესრულებას. მოსალოდნელია, რომ მდგრადი, ეფექტიანი და პროფესიონალურად დამოუკიდებელი ეროვნული სტატისტიკის სისტემა საქართველოსა და ევროკავშირის მოქალაქეებს, ბიზნესებსა და გადაწყვეტილების მიმღებთ მიაწვდის რელევანტურ ინფორმაციას, რაც საშუალებას მისცემთ, მის საფუძველზე მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები. ეროვნული სტატისტიკის სისტემა დაიცავს გაეროს „ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტურ პრინციპებს", სტატისტიკის სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობის, მათ შორის, „ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსის" გათვალისწინებით, ეროვნული სტატისტიკის სისტემის ევროპის სტატისტიკის ნორმებსა და სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

მუხლი 287

თანამშრომლობა მიზნად ისახავს:

(a) ეროვნული სტატისტიკის სისტემის შესაძლებლობების შემდგომ გაძლიერებას, რომლის ფარგლებშიც აქცენტი გაკეთდება საფუძვლიანი საკანონმდებლო ბაზის განვითარებაზე, ადექვატური მონაცემებისა და მეტამონაცემების წარმოებაზე, გავრცელების პოლიტიკასა და მომხმარებლებზე ორიენტირებულობაზე, მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფების გათვალისწინებით, კერძოდ, საჯარო და კერძო სექტორი, აკადემიური წრეები და სხვა მომხმარებლები;

(b) საქართველოს სტატისტიკის სისტემის ევროპის სტატისტიკის სისტემასთან პროგრესული შესაბამისობის მიღწევას;

(c) ევროკავშირისათვის მაქსიმალურად დაზუსტებული მონაცემების მიწოდება სათანადო საერთაშორისო და ევროპული მეთოდოლოგიების, მათ შორის, კლასიფიცირების მეთოდოლოგიის გამოყენების მეშვეობით;

(d) სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანამშრომლების პროფესიული და მართვის შესაძლებლობების ამაღლებას, რაც ხელს შეუწყობს ევროკავშირის სტატისტიკის სტანდარტების გამოყენებას და წვლილს შეიტანს საქართველოს სტატისტიკის სისტემის განვითარებაში;

(e) მხარეებს შორის გამოცდილების გაზიარებას სტატისტიკური „*know-how*“-ს განვითარების მიმართულებით; და

(f) სტატისტიკური მონაცემების წარმოებისა და გავრცელების ყველა პროცესის ხარისხის სრული მართვის ხელშეწყობას.

მუხლი 288

მხარეები ითანამშრომლებენ ევროპის სტატისტიკის სისტემის ფარგლებში, რომელშიც „ევროსტატი“ წარმოადგენს ევროპის სტატისტიკის ხელმძღვანელ ორგანოს. თანამშრომლობა მოიცავს შემდეგ სფეროებს:

(a) მაკროეკონომიკური სტატისტიკა, მათ შორის ეროვნული ანგარიშები, საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა, საგადასახდელო ბალანსის სტატისტიკა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტატისტიკა;

(b) დემოგრაფიული სტატისტიკა, მათ შორის აღწერა და სოციალური სტატისტიკა;

(c) სოფლის მეურნეობის სტატისტიკა, მათ შორის სოფლის მეურნეობის აღწერა და გარემოს დაცვის სტატისტიკა;

(d) ბიზნეს სტატისტიკა, რომელიც მოიცავს ბიზნესის რეესტრს და ადმინისტრაციული წყაროების სტატისტიკური მიზნებისთვის გამოყენებას;

(e) ენერგეტიკის სტატისტიკა, მათ შორის ბალანსები;

(f) რეგიონული სტატისტიკა;

(g) ჰორიზონტალური საქმიანობა, მათ შორის სტატისტიკური კლასიფიკაციები, ხარისხის მართვა, მომზადება, გავრცელება, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება;

(h) სხვა შესაბამისი სფეროები.

მუხლი 289

მხარეები, *inter alia,* გაცვლიან ინფორმაციასა და პროფესიულ გამოცდილებას და განავითარებენ თანამშრომლობას, იმავდროულად მხედველობაში მიიღებენ სტატისტიკის სისტემის რეფორმის დროს უკვე დაგროვილ გამოცდილებას, რომელიც დაიწყო სხვადასხვა დახმარების პროგრამების ფარგლებში. ძალისხმევა მიმართული იქნება საქართველოს სტატისტიკის კანონმდებლობის ევროკავშირის სტატისტიკის კანონდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანაზე, საქართველოს სტატისტიკის სისტემის განვითარების ეროვნულ სტრატეგიაზე დაყრდნობით, ევროპის სტატისტიკის სისტემის განვითარების გათვალისწინებით. სტატისტიკური მონაცემების წარმოების პროცესში აქცენტი გაკეთდება შერჩევითი გამოკვლევების შემდგომ დახვეწასა და ადმინისტრაციული ჩანაწერების გამოყენებაზე, იმავდროულად, მხედველობაში მიიღება საპასუხო რეაგირების ტვირთის შემსუბუქების საჭიროება. მონაცემები იქნება გამოსადეგი სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების უმთავრეს სფეროებში პოლიტიკის შემუშავებისა და მონიტორინგისათვის.

მუხლი 290

რეგულარული დიალოგი გაიმართება წინამდებარე თავში გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით. ევროპის სტატისტიკის სისტემის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები, მათ შორის ტრეინინგები, შეძლებისდაგვარად, ღია იქნება საქართველოს მონაწილეობისთვის.

მუხლი 291

შესაძლებლობისა და საჭიროების შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობის სტატისტიკის სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობასთან ეტაპობრივი დაახლოება განხორციელდება ყოველწლიურად განახლებადი „სტატისტიკური მოთხოვნების შესახებ მოკლე მიმოხილვის“ მიხედვით, რომელსაც მხარეები მიიჩნევენ წინამდებარე შეთანხმების დანართად (დანართი XXIII).

კარი VI

თანამშრომლობის სხვა სფეროები

თავი 1

ტრანსპორტი

მუხლი 292

მხარეები:

(a) გააფართოებენ და გააძლიერებენ თანამშრომლობას ტრანსპორტის სფეროში, რათა ხელი შეუწყონ მდგრადი სატრანსპორტო სისტემების განვითარებას;

(b) წაახალისებენ ტრანსპორტის ეფექტიან და უსაფრთხო მუშაობას, ასევე სატრანსპორტო სისტემების ინტერმოდალურობასა და ურთიერთთავსებადობას; და

(c) გამოიჩენენ ძალისხმევას, რომ გაძლიერონ თავიანთ ტერიტორიებს შორის ძირითადი სატრანსპორტო კავშირები.

მუხლი 293

აღნიშნული თანამშრომლობა, სხვა სფეროებს შორის, მოიცავს შემდეგ სფეროებს:

(a) მდგრადი ეროვნული სატრანსპორტო პოლიტიკის განვითარება, რომელიც მოიცავს ტრანსპორტის ყველა ტიპს, განსაკუთრებით, ეკოლოგიურად სუფთა, ეფექტიანი და უსაფრთხო სატრანსპორტო სისტემების უზრუნველყოფისა და ტრანსპორტის სფეროში აღნიშნული საკითხების პოლიტიკის სხვა სფეროებში ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით;

(b) დარგობრივი სტრატეგიების განვითარება საგზაო, სარკინიგზო, საავიაციო, საზღვაო ტრანსპორტსა და ინტერმოდალურობასთან დაკავშირებული ეროვნული სატრანსპორტო პოლიტიკის ჭრილში, ტექნიკურ აღჭურვილობასა და სატრანსპორტო პარკების განახლებასთან დაკავშირებული სამართლებრივი მოთხოვნების ჩათვლით, წინამდებარე შეთანხმების XXIV და XV-D დანართებში განსაზღვრული საერთშორისო სტანდარტების შესაბამისად, რაც ასევე მოიცავს განრიგებს, იმპლემენტაციის ეტაპებს, ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ფინანსურ გეგმებს;

(c) ინფრასტრუქტურული პოლიტიკის გაძლიერება ტრანსპორტის სხვადასხვა ტიპებთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურული პროექტების უკეთ იდენტიფიცირებისა და შეფასებისთვის.

(d) დაფინანსების პოლიტიკის განვითარება, რომელიც ორიენტირებულია მოვლა-პატრონობაზე, შესაძლებლობის შემზღუდველ ფაქტორებზე და სატრანსპორტო ქსელების დამაკავშირებელი ინფრასტრუქტურის დანაკლისზე, ასევე სატრანსპორტო პროექტებში კერძო სექტორის ჩართულობის გააქტიურებასა და ხელშეწყობაზე;

(e) შესაბამის საერთაშორისო სატრანსპორტო ორგანიზაციებში გაწევრიანება და შეთანხმებებთან მიერთება, საერთაშორისო სატრანსპორტო შეთანხმებებისა და კონვენციების მკაცრი შესრულებისა და ეფექტური აღსრულების უზრუნველყოფის პროცედურების ჩათვლით;

(f) სამეცნიერო და ტექნიკური თანამშრომლობა და ინფორმაციის გაცვლა ტრანსპორტის ტექნოლოგიების განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით, როგორიცაა გონივრული სატრანსპორტო სისტემები; და

(g) გონივრული სატრანსპორტო სისტემებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების ხელშეწყობა ტრანსპორტის ყველა შესაბამისი საშუალების მართვისა და ოპერირებისთვის, ასევე კოსმოსური სისტემებისა და ტრანსპორტის ხელშემწყობი კომერციული

კომპიუტერული პროგრამების ინტერმოდალურობისა და თანამშრომლობის სფეროში დახმარება.

მუხლი 294

1. თანამშრომლობა ასევე მიზნად ისახავს მგზავრთა და საქონლის გადაადგილების გაუმჯობესებას, საქართველოს, ევროკავშირსა და რეგიონის მესამე ქვეყნებს შორის სატრანსპორტო ნაკადების ზრდას, ადმინისტრაციული, ტექნიკური და სხვა ბარიერების მოხსნის გზით, სატრანსპორტო ქსელის დახვეწისა და ინფრასტრუქტურის განახლების მეშვეობით, კერძოდ, მხარეთა დამაკავშირებელ მთავარ სატრანსპორტო ქსელებში. ეს თანამშრომლობა მოიცავს საზღვრის გადაკვეთის ხელშემწყობ ქმედებებს.

2. თანამშრომლობა მოიცავს ინფორმაციის გაცვლასა და ერთობლივ ქმედებებს:

(a) რეგიონულ დონეზე, კერძოდ, ყურადღება გამახვილდება და ინტეგრირებული პროგრესი იქნება მიღწეული სხვადასხვა რეგიონული სატრანსპორტო თანამშრომლობის სქემის ფარგლებში, როგორიცაა აღმოსავლეთ პარტნიორობის სატრანსპორტო პანელი, ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი (TRACECA), ბაქოს პროცესი და სხვა სატრანსპორტო ინიციატივები;

(b) საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობა ეხება საერთაშორისო სატრანსპორტო ორგანიზაციებს და მხარეთა მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო შეთანხმებებსა და კონვენციებს; და

(c) ევროკავშირის სხვადასხვა სატრანსპორტო სააგენტოების ფარგლებში.

მუხლი 295

რეგულარული დიალოგი გაიმართება ამ თავში განხილულ საკითხებზე.

მუხლი 296

საქართველო მოახდენს ეროვნული კანონმდებლობის დაახლოებას წინამდებარე შეთანხმების XXIV და XV-D დანართებში მითითებულ ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან, ამავე დანართების დებულებების შესაბამისად.

თავი 2

თანამშრომლობა ენერგეტიკის სფეროში

მუხლი 297

თანამშრომლობა ემყარება პარტნიორობის, საერთო ინტერესების, გამჭვირვალობისა და პროგნოზირებადობის პრინციპებს და მიზნად ისახავს ბაზრის ინტეგრაციასა და რეგულაციურ დაახლოებას ენერგეტიკის დარგში, უსაფრთხო, ეკოლოგიურად სუფთა და ხელმისაწვდომი ენერგიის უზრუნველყოფის საჭიროების გათვალისწინებით.

მუხლი 298

სხვა სფეროებთან ერთად თანამშრომლობა მოიცავს შემდეგ სფეროებს:

(a) ენერგეტიკული სტრატეგიები და პოლიტიკა;

(b) კონკურენტული, გამჭვირვალე და ეფექტიანი ენერგეტიკული ბაზრის ჩამოყალიბება, სადაც მესამე მხარეს ექნება ქსელებსა და მომხმარებლებზე არადისკრიმინაციული წვდომა ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად, საჭიროებისამებრ, შესაბამისი მარეგულირებელი ჩარჩოს შემუშავების ჩათვლით;

(c) თანამშრომლობა რეგიონულ ენერგეტიკულ საკითხებზე და საქართველოს შესაძლო მიერთება ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულებასთან, სადაც ამჟამად, საქართველოს დამკვირვებლის სტატუსი აქვს;

(d) მიმზიდველი და სტაბილური საინვესტიციო გარემოს შექმნა ინსტიტუციური, სამართლებრივი, ფისკალური და სხვა პირობების გათვალისწინებით;

(e) საერთო ინტერესებზე დაფუძნებული ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის განვითარება, ენერგორესურსების, მიმწოდებლების და ტრანსპორტირების მარშრუტების დივერსიფიცირებისათვის ეკონომიკურად და ეკოლოგიურად მისაღები ფორმით;

(f) ენერგორესურსების მიწოდების უსაფრთხოების განმტკიცება, ბაზრის ინტეგრაციის გაზრდა და ეტაპობრივი რეგულაციური დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობის უმთავრეს ელემენტებთან;

(g) ენერგორესურსებით ვაჭრობის, ტრანზიტისა და ტრანსპორტირების, და ფასების პოლიტიკის, მათ შორის, ენერგორესურსების გადაცემის ხარჯზე დაფუძნებული აღრიცხვის ზოგადი სისტემის გრძელვადიანი სტაბილურობისა და უსაფრთხოების გაღრმავება და განმტკიცება, ურთიერთსასარგებლო და არადისკრიმინაციულ საფუძველზე, საერთაშორისო წესების, მათ შორის ენერგოქარტიის ხელშეკრულების მიხედვით;

(h) ენერგოეფექტურობისა და ენერგიის დაზოგვის ხელშეწყობა ეკონომიკურად და ეკოლოგიურად გამართლებული გზით;

(i) განახლებადი ენერგიის წყაროების განვითარება და ხელშეწყობა, სადაც მთავარი აქცენტი გაკეთდება ჰიდრო რესურსებზე, და ამ სფეროში ორმხრივი და რეგიონული ინტეგრაციის ხელშეწყობა;

(j) სამეცნიერო და ტექნიკური თანამშრომლობა და ინფორმაციის გაცვლა ენერგიის წარმოებაში, ტრანსპორტირებაში, მიწოდებასა და საბოლოო მოხმარების პროცესში ტექნოლოგიების განვითარებისა და დახვეწის მიზნით, სადაც განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ენერგოეფექტურობას და ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიებს; და

(k) ბირთვული უსაფრთხოებისა და რადიაციული დაცვის სფეროში თანამშრომლობა: ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს (აესს)-ის და სხვა შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და კონვენციების პრინციპებისა და სტანდარტების გათვალისწინებით, რომლებიც დაიდო ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ფარგლებში, და შეძლებისდაგვარად შესაბამისობაშია ევროპის ატომური ენერგიის თანამეგობრობის დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან.

მუხლი 299

რეგულარული დიალოგი გაიმართება წინამდებარე თავში განხილულ საკითხებზე .

მუხლი 300

საქართველო მოახდენს ეროვნული კანონმდებლობის დაახლოებას წინამდებარე შეთანხმების XXV დანართში მითითებულ ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან, ამავე დანართის დებულებების შესაბამისად.

თავი 3

გარემოს დაცვა

მუხლი 301

მხარეები განავითარებენ და განამტკიცებენ თანამშრომლობას გარემოს დაცვის საკითხებზე, რითიც წვლილს შეიტანენ მდგრადი განვითარებისა და მწვანე ეკონომიკის გრძელვადიანი მიზნების განხორციელებაში. გარემოს გაძლიერებული დაცვა სარგებელს მოუტანს საქართველოსა და ევროკავშირის მოქალაქეებსა და ბიზნეს სექტორს, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გაუმჯობესების, ბუნებრივი რესურსების შენარჩუნების, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი ეფექტიანობის გაზრდის გზით, ასევე, თანამედროვე, სუფთა ტექნოლოგიების გამოყენების მეშვეობით, რაც ხელს შეუწყობს წარმოების ეკოლოგიურად მდგრადი მოდელების ჩამოყალიბებას. თანამშრომლობა წარიმართება მხარეთა ინტერესების გათვალისწინებით, თანასწორობისა და ორმხრივი სარგებლიანობის ისევე, როგორც გარემოს დაცვის სფეროში მხარეებს შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულებისა და მრავალმხრივი შეთანხმებების გათვალისწინებით.

მუხლი 302

1. თანამშრომლობა მიზნად ისახავს გარემოს ხარისხის შენარჩუნებას, დაცვას, გაუმჯობესებასა და რეაბილიტაციას, ადამიანების ჯანმრთელობის დაცვას, ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებასა და საერთაშორისო დონეზე ძალისხმევის ხელშეწყობას, გარემოს დაცვის რეგიონულ ან გლობალურ პრობლემებთან გასამკლავებლად, მათ შორის ისეთ სფეროებში, როგორებიცაა:

(a) გარემოსდაცვითი მმართველობა და ჰორიზონტალური საკითხები, მათ შორის სტრატეგიული დაგეგმვა, გარემოზე ზემოქმედების შეფასება და გარემოს სტრატეგიული შეფასება, განათლება და ტრეინინგი, მონიტორინგი და გარემოსდაცვითი საინფორმაციო სისტემები, ზედამხედველობა და აღსრულება, გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა, გარემოსთან დაკავშირებულ დანაშაულთან ბრძოლა, ტრანს-სასაზღვრო თანამშრომლობა, გარემოს შესახებ ინფორმაციის საჯაროობა, გადაწყვეტილების მიღების პროცესები და ადმინისტრაციული და სამართლებრივი განხილვის ეფექტიანი პროცედურები;

(b) ჰაერის ხარისხი;

(c) წყლის ხარისხი და წყლის რესურსების მართვა, მათ შორის წყალდიდობის რისკის მართვა, წყლის რესურსების სიმწირე და გვალვები, ასევე საზღვაო გარემო;

(d) ნარჩენების მართვა;

(e) ბუნების დაცვა, მათ შორის, სატყეო მეურნეობა და ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონსერვაცია;

(f) ინდუსტრიული დაბინძურება და ინდუსტრიული საფრთხეები; და

(g) ქიმიური ნივთიერებების მართვა;

2. თანამშრომლობა მიზნად ისახავს გარემოს დაცვის საკითხების ინტეგრირებას არა მხოლოდ გარემოსდაცვით პოლიტიკაში, არამედ პოლიტიკის სხვა სფეროებშიც.

მუხლი 303

თანამშრომლობა, სხვა საკითხებთან ერთად, ითვალისწინებს ინფორმაციისა და ექსპერტიზის გაცვლას; ორმხრივ და რეგიონულ დონეზე თანამშრომლობას, მათ შორის სამხრეთ კავკასიაში თანამშრომლობის არსებული სტრუქტურების ფორმატში და საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობის გზით, განსაკუთრებით, მხარეების მიერ რატიფიცირებული მრავალმხრივი გარემოსდაცვითი შეთანხმებების გათვალისწინებით, ასევე თანამშრომლობას შესაბამისი უწყებების ფარგლებში.

მუხლი 304

1. თანამშრომლობა, სხვა საკითხებთან ერთად, ითვალისწინებს შემდეგ მიზანს:

(a) „გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული გეგმის“ (NEAP) შემუშავებას, რომელიც მოიცავს ყველა ეროვნულ და

სექტორულ გარემოსდაცვით სტრატეგიულ მიმართულებებს საქართველოში, ასევე ინსტიტუციურ და ადმინისტრაციულ საკითხებს;

(b) გარემოს დაცვის საკითხების პოლიტიკის სხვა სფეროებში ასახვის ხელშეწყობას; და

(c) აუცილებელი ადამიანური და ფინანსური რესურსების განსაზღვრას.

2. NEAP პერიოდულად განახლდება და დამტკიცდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 305

რეგულარული დიალოგი გაიმართება წინამდებარე თავში განხილულ საკითხებზე.

მუხლი 306

საქართველო მოახდენს ეროვნული კანონმდებლობის დაახლოებას წინამდებარე შეთანხმების XXVI დანართში მითითებულ ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან, ამავე დანართის დებულებების შესაბამისად.

თავი 4

კლიმატთან დაკავშირებული ქმედებები

მუხლი 307

მხარეები განავითარებენ და გააძლიერებენ თანამშრომლობას კლიმატის ცვლილების დასაძლევად. თანამშრომლობა წარიმართება მხარეთა ინტერესებიდან გამომდინარე, თანასწორობისა და ორმხრივი სარგებლიანობის საფუძველზე ამ სფეროში ორმხრივ და მრავალმხრივ ვალდებულებებს შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულების გათვალისწინებით.

მუხლი 308

თანამშრომლობა მიზნად ისახავს კლიმატის ცვლილების შერბილებას და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციას, ასევე საერთაშორისო დონეზე ღონისძიებების გატარების ხელშეწყობას, მათ შორის შემდეგ სფეროებში:

(a) კლიმატის ცვლილების შერბილება;

(b) კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია;

(c) ნახშირბადით ვაჭრობა;

(d) უსაფრთხო და მდგრადი დაბალნახშირბადიანი შემცველობისა და საადაპტაციო ტექნოლოგიების კვლევა, განვითარება, დემონსტრირება, დანერგვა და გავრცელება; და

(e) კლიმატთან დაკავშირებული საკითხების დარგობრივ პოლიტიკაში ინტეგრაცია.

მუხლი 309

მხარეები, *სხვა საკითხთა შორის,* აგრეთვე გაცვლიან ინფორმაციას და პროფესიულ გამოცდილებას; წარმართავენ ერთობლივ კვლევით საქმიანობას და ერთმანეთს გაუზიარებენ ინფორმაციას სუფთა ტექნოლოგიების შესახებ; განახორციელებენ ერთობლივ ქმედებებს რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე, რომლის დროსაც გაითვალისწინებენ მხარეების მიერ რატიფიცირებულ მრავალმხრივ გარემოსდაცვით შეთანხმებებს, გარდა ამისა, საჭიროებისამებრ, განახორციელებენ ერთობლივ საქმიანობას შესაბამისი უწყებების ფარგლებში. მხარეები განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ ტრანს-სასაზღვრო საკითხებსა და რეგიონულ თანამშრომლობას.

მუხლი 310

საერთო ინტერესების გათვალისწინებით, თანამშრომლობის ფარგლებში სხვა საკითხებთან ერთად, მომზადდება და განხორციელდება:

(a) „ადაპტაციის ეროვნული სამოქმედო გეგმა“ (NAPA);

(b) „დაბალი ემისიების განვითარების სტრატეგია“ (LEDS), „ეროვნულ დონეზე მისაღები შემარბილებელი ზომების“ ჩათვლით;

(c) ტექნოლოგიების საჭიროების შეფასების საფუძველზე, ტექნოლოგიების გადაცემის ხელშემწყობი ღონისძიებები;

(d) ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებებისა და ფტორშემცველ სათბურის გაზებთან დაკავშირებული ღონისძიებები.

მუხლი 311

რეგულარული დიალოგი გაიმართება წინამდებარე თავში განხილულ საკითხებზე.

მუხლი 312

საქართველო მოახდენს ეროვნული კანონმდებლობის დაახლოებას წინამდებარე შეთანხმების XXVII დანართში მითითებულ ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან, ამავე დანართის დებულებების შესაბამისად.

თავი 5

სამრეწველო და საწარმოების პოლიტიკა და

სამთო-მოპოვებითი საქმიანობა

მუხლი 313

მხარეები განავითარებენ და განამტკიცებენ თანამშრომლობას სამრეწველო და საწარმოების პოლიტიკის სფეროში, რაც ხელს შეუწყობს ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას ყველა ეკონომიკური ოპერატორისთვის, განსაკუთრებული აქცენტით მცირე და საშუალო საწარმოებზე, როგორც ეს შესაბამისადაა განსაზღვრული ევროკავშირისა და საქართველოს კანონმდებლობებში. გაძლიერებული თანამშრომლობა ხელს შეუწყობს ევროკავშირის და საქართველოს იმ ბიზნესების ადმინისტრაციული და მარეგულირებელი ჩარჩოების დახვეწას, რომლებიც ევროკავშირისა და საქართველოს ფარგლებში ფუნქციონირებენ, და დაეყრდნობა ევროკავშირის სამრეწველო და მცირე და საშუალო საწარმოების პოლიტიკას, ამ სფეროში საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და პრაქტიკის გათვალისწინებით.

მუხლი 314

ამ მიზნით, მხარეები ითანამშრომლებენ შემდეგი მიმართულებით:

(a) მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების პოლიტიკის განხორციელება „მცირე ბიზნესის აქტით“ გათვალისწინებულ პრინციპებზე დაყრდნობით და იმპლემენტაციის პროცესის მონიტორინგი რეგულარული დიალოგის საშუალებით. ეს თანამშრომლობა ასევე ითვალისწინებს მიკრო და ხელნაკეთობათა საწარმოებზე ფოკუსირებას, რომლებიც ძალზე მნიშვნელოვანია როგორც ევროკავშირის, ისე საქართველოს ეკონომიკებისთვის;

(b) უკეთესი ჩარჩო პირობების შექმნა ინფორმაციის და კარგი პრაქტიკის გაცვლის გზით, რაც ხელს შეუწყობს კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებას. აღნიშნული თანამშრომლობა მოიცავს ისეთი სტრუქტურული საკითხების (რესტრუქტურიზაცია) მართვას, როგორებიცაა გარემოს დაცვა და ენერგეტიკა;

(c) რეგულაციებისა და მარეგულირებელი პრაქტიკის გამარტივება და რაციონალიზაცია, სადაც განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება მარეგულირებელი მექანიზმების შესახებ კარგი პრაქტიკის გაცვლის საკითხებზე, ევროკავშირის პრინციპების ჩათვლით;

(d) ინოვაციური პოლიტიკის განვითარების წახალისება კვლევებისა და განვითარების კომერციალიზაციის შესახებ (მათ შორის, ტექნოლოგიებზე დაფუძნებული დამწყები ბიზნესების, კლასტერების განვითარებისა და ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის დამხმარე მექანიზმები) ინფორმაციისა და საუკეთესო პრაქტიკის გაცვლის გზით;

(e) ევროკავშირისა და საქართველოს ბიზნესებს შორის, ასევე ამ ბიზნესებსა და ევროკავშირისა და საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის კონტაქტების გაზრდის ხელშეწყობა;

(f) ევროკავშირსა და საქართველოს შორის ექსპორტის ხელშემწყობი საქმიანობის წახალისება;

(g) ევროკავშირისა და საქართველოს შესაბამის სამრეწველო სექტორებში მოდერნიზაციისა და რესტრუქტურიზაციის ხელშეწყობა;

(h) თანამშრომლობის განვითარება და განმტკიცება სამთომოპოვებით მრეწველობებში, რომელიც მიზნად ისახავს ურთიერთგაგების მიღწევას, ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას და არა-ენერგეტიკულ სამთომოპოვებით დარგში, განსაკუთრებით კი ლითონის მადნეულისა და სამრეწველო წიაღისეულის საკითხებზე ინფორმაციის გაცვლასა და თანამშრომლობის ხელშეწყობას. ინფორმაციის გაცვლა ითვალისწინებს სამთომოპოვებითი და ნედლეულის დარგის განვითარებას, ნედლეულით ვაჭრობას, საუკეთესო პრაქტიკას სამთომოპოვებითი მრეწველობის მდგრადი განვითარების მიმართულებით, ასევე მომზადებას, უნარებს, ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას.

მუხლი 315

რეგულარული დიალოგი გაიმართება წინამდებარე თავში განხილულ საკითხებზე. აღნიშნულ პროცესში ჩართულები იქნებიან ბიზნესის წარმომადგენლები ევროკავშირიდან და საქართველოდან.

თავი 6

კორპორაციული სამართალი,

ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი და კორპორაციული მმართველობა

მუხლი 316

აღიარებენ რა, სრულყოფილად ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკის შექმნისა და ვაჭრობის წახალისებისთვის, ეფექტური წესებისა და პრაქტიკის მნიშვნელობას კორპორაციული სამართლისა და კორპორაციული მმართველობის, ასევე ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროებში, მხარეები თანხმდებიან, რომ ითანამშრომლებენ შემდეგ სფეროებში:

(a) აქციონერთა, კრედიტორთა და სხვა ბიზნეს პარტნიორთა დაცვა აღნიშნულ სფეროში ევროკავშირის წესების შესაბამისად;

(b) ეროვნულ დონეზე შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების იმპლემენტაცია და ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში ევროკავშირის წესებთან ეტაპობრივი დაახლოება; და

(c) კორპორაციული მმართველობის პოლიტიკის შემდგომი განვითარება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე ამ სფეროში ევროკავშირის წესებთან და რეკომენდაციებთან ეტაპობრივი დაახლოება.

მუხლი 317

მხარეები მიზნად ისახავენ, აღნიშნულ სფეროებში ერთმანეთს გაუზიარონ ინფორმაცია და პროფესიული გამოცდილება, როგორც არსებულ სისტემებთან მიმართებით, ასევე შესაბამისი სიახლეების თაობაზე. გარდა ამისა, მხარეები ეცდებიან, რომ უზრუნველყონ ინფორმაციის ეფექტიანი გაცვლა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ბიზნეს კომპანიების რეესტრსა და საქართველოს კომპანიების ეროვნულ რეესტრს შორის.

მუხლი 318

რეგულარული დიალოგი გაიმართება წინამდებარე თავში განხილულ საკითხებზე.

მუხლი 319

საქართველო მოახდენს ეროვნული კანონმდებლობის დაახლოებას წინამდებარე შეთანხმების XXVIII დანართში მითითებულ ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან, ამავე დანართის დებულებების შესაბამისად.

თავი 7

ფინანსური მომსახურება

მუხლი 320

აღიარებენ რა ფინანსური მომსახურების სფეროში წესებისა და პრაქტიკის ეფექტური ნაკრების არსებობის რელევანტურობას სრულყოფილად ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებისა და ორივე მხარეს შორის სავაჭრო კავშირების ხელშეწყობისათვის, მხარეები თანხმდებიან, რომ ითანამშრომლებენ ფინანსური მომსახურების სფეროში შემდეგი ამოცანების შესრულების მიზნით:

(a) ღია საბაზრო ეკონომიკის საჭიროებებთან ფინანსური მომსახურების რეგულაციის ადაპტაციის პროცესის ხელშეწყობა;

(b) ინვესტორებისა და ფინანსური მომსახურების სხვა მომხმარებლების ეფექტური და ადეკვატური დაცვის უზრუნველყოფა;

(c) საქართველოს საფინანსო სისტემის, მისი სრული შემადგენლობით, სტაბილურობისა და სიძლიერის უზრუნველყოფა;

(d) ფინანსური სისტემის სხვადასხვა მონაწილეებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა, მარეგულირებლებისა და ზედამხედველების ჩათვლით; და

(e) დამოუკიდებელი და ეფექტიანი ზედამხედველობის უზრუნველყოფა.

მუხლი 321

1. მხარეები წაახალისებენ თანამშრომლობას შესაბამის მარეგულირებელ და საზედამხედველო ორგანოებს შორის, ინფორმაციის გაცვლის, ფინანსურ ბაზრებთან დაკავშირებით პროფესიული გამოცდილების გაზიარებისა და სხვა ამგვარი ღონისძიებების ჩათვლით.

2. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ამგვარი ორგანოების ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარებას, პერსონალის გაცვლისა და ერთობლივი ტრეინინგების ჩათვლით.

მუხლი 322

რეგულარული დიალოგი გაიმართება წინამდებარე თავში განხილულ საკითხებზე.

მუხლი 323

საქართველო მოახდენს ეროვნული კანონმდებლობის დაახლოებას წინამდებარე შეთანხმების XV-A დანართში მითითებულ ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან, ამავე დანართის დებულებების შესაბამისად.

თავი 8

თანამშრომლობა საინფორმაციო საზოგადოების სფეროში

მუხლი 324

მხარეებმა ხელი უნდა შეუწყონ თანამშრომლობას საინფორმაციო საზოგადოების განვითარების კუთხით, რათა ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფართოდ გავრცელებისა და ხელმისაწვდომ ფასად უკეთესი ხარისხის მომსახურების მიწოდების გზით სარგებლობა მოუტანონ მოქალაქეებსა და ბიზნეს სექტორს. თანამშრომლობა მიზნად ისახავს ელექტრონული საკომუნიკაციო ბაზრების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობას, და ამ სფეროში კონკურენციისა და ინვესტიციების წახალისებას.

მუხლი 325

თანამშრომლობა მოიცავს, *inter alia*, შემდეგ საკითხებს:

(a) ინფორმაციისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება ეროვნული საინფორმაციო საზოგადოების ინიციატივების განხორციელების კუთხით, რაც მოიცავს, *Inter alia*, მიმართულებებს, რომლებიც გამიზნულია, ხელი შეუწყოს ფართოზოლოვანი მომსახურების ხელმისაწვდომობას, ქსელის უსაფრთხოების გაუმჯობესებას და საჯარო სექტორში ელექტრონული მომსახურების განვითარებას; და

(b) ინფორმაციის, საუკეთესო პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარება ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში სრულყოფილი მარეგულირებელი ჩარჩოს შემუშავების ხელშეწყობის მიზნით, კერძოდ, დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერება, რადიოსიხშირული რესურსების უკეთესად გამოყენების ხელშეწყობა და საქართველოში და ასევე საქართველოსა და ევროკავშირს შორის ქსელების ურთიერთთავსებადობის ხელშეწყობა.

მუხლი 326

მხარეები ხელს შეუწყობენ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ევროკავშირის მარეგულირებლებსა და საქართველოში არსებული მარეგულირებელი ორგანოების თანამშრომლობას.

მუხლი 327

საქართველო მოახდენს ეროვნული კანონმდებლობის დაახლოებას წინამდებარე შეთანხმების XV-B დანართში მითითებულ ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან, ამავე დანართის დებულებების შესაბამისად.

თავი 9

ტურიზმი

მუხლი 328

მხარეები ითანამშრომლებენ ტურიზმის სფეროში კონკურენტული და მდგრადი ტურიზმის, როგორც ეკონომიკური ზრდისა და გაძლიერების, დასაქმებისა და საერთაშორისო გაცვლების ხელშემწყობი ინდუსტრიის განვითარების მიზნით.

მუხლი 329

ორმხრივი და ევროპის დონეზე თანამშრომლობა დაეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

(a) ადგილობრივი თემების, განსაკუთრებით სოფლად, თვითმყოფადობისა და ინტერესების პატივისცემას, ადგილობრივი განვითარების საჭიროებებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით;

(b) კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობას; და

(c) ტურიზმსა და გარემოს დაცვას შორის პოზიტიურ ურთიერთქმედებას.

მუხლი 330

თანამშრომლობისას ყურადღება გამახვილდება შემდეგ საკითხებზე:

(a) ინფორმაციის, საუკეთესო პრაქტიკის, გამოცდილებისა და "*know-how*"-ს გაცვლა;

(b) საჯარო, კერძო და ადგილობრივი თემების ინტერესებს შორის პარტნიორობის შენარჩუნება, ტურიზმის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის მიზნით;

(c) ტურისტული ნაკადების, პროდუქტების და ბაზრების, ინფრასტრუქტურის, ადამიანური რესურსების და ინსტიტუციური სტრუქტურების ხელშეწყობა და განვითარება.

(d) ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავება და იმპლემენტაცია;

(e) ტურიზმის სფეროში მომზადება და შესაძლებლობების განვითარება, რაც მომსახურების სტანდარტების გაუმჯობესებისკენაა მიმართული; და

(f) ტურიზმის განვითარება და ხელშეწყობა, მათ შორის, ადგილობრივ თემებში;

მუხლი 331

რეგულარული დიალოგი გაიმართება წინამდებარე თავში განხილულ საკითხებზე.

თავი 10

სოფლის მეურნეობა და სასოფლო განვითარება

მუხლი 332

მხარეები ითანამშრომლებენ სოფლის მეურნეობისა და სასოფლო განვითარების ხელშეწყობის მიზნით, კერძოდ, პოლიტიკისა და კანონმდებლობის პროგრესული თავსებადობის მიღწევის მეშვეობით.

მუხლი 333

მხარეებს შორს თანამშრომლობა სოფლის მეურნეობისა და სასოფლო განვითარების კუთხით მოიცავს, *inter alia*, შემდეგ სფეროებს*:*

(a) სოფლის მეურნეობისა და სასოფლო განვითარების პოლიტიკის საკითხზე ურთიერთგაგების ხელშეწყობა;

(b) ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარება, რათა უზრუნველყოფილ იქნას პოლიტიკის დაგეგმვა, შეფასება, განხორციელება და ცხოვრებაში გატარება აღსრულება ევროკავშირის რეგულაციებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად;

(c) სოფლის მეურნეობის წარმოების მოდერნიზაციისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა;

(d) სოფლის განვითარების პოლიტიკის შესახებ ცოდნისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება სოფლის თემებში ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიზნით;

(e) სოფლის მეურნეობის სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ბაზრებზე ყველა დაინტერესებული მხარისათვის ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;

(f) ხარისხიანი პოლიტიკისა და მისი კონტროლის მექანიზმების ხელშეწყობა,
გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების ჩათვლით;

(g) ღვინის წარმოებადა აგრო ტურიზმი

(h) სასოფლო-სამეურნეო მწარმოებელთა შორის ინფორმაციის გავრცელება და ფერმერთა მომსახურების ცენტრების განვითარების ხელშეწყობა; და

(i) საკითხების ჰარმონიზაციისაკენ სწრაფვა საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში, რომლის წევრსაც წარმოადგენს ორივე მხარე.

მუხლი 334

რეგულარული დიალოგი გაიმართება წინამდებარე თავში განხილულ საკითხებზე .

თავი 11

მეთევზეობა და საზღვაო მმართველობა

ნაწილი 1

მეთევზეობის პოლიტიკა

მუხლი 335

1. მხარეები ითანამშრომლებენ მეთევზეობის დარგის ურთიერთსასარგებლო, საერთო ინტერესების სფეროებში, მათ შორის, წყლის ცოცხალი რესურსების კონსერვაციისა და მართვის, შემოწმებისა და კონტროლის, მონაცემთა შეგროვების და უკანონო, შეუთანხმებელი და დაურეგულირებელი თევზჭერის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე, როგორც ეს განსაზღვრულია სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) 2001 წლის საერთაშორისო სამოქმედო გეგმით „უკანონო, შეუთანხმებელი და დაურეგულირებელი თევზჭერის პრევენციის, შეკავებისა და აღმოფხვრის შესახებ“ (IPOA).

2. ეს თანამშრომლობა პატივს სცემს მხარეების მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს წყლის ცოცხალი რესურსების კონსერვაციისა და მართვის საკითხებთან მიმართებაში.

მუხლი 336

მხარეები განახორციელებენ ერთობლივ ქმედებებს, გაცვლიან ინფორმაციას და დაეხმარებიან ერთმანეთს, რათა ხელი შეუწყონ:

(a) მეთევზეობის მენეჯმენტის კარგ მმართველობასა და საუკეთესო პრაქტიკას, რომელიც ითვალისწინებს თევზის მარაგების მდგრად კონსერვაციასა და მართვის უზრუნველყოფას და ეფუძნება ეკოსისტემის მიდგომის პრინციპებს;

(b) რაციონალურ თევზჭერასა და მეთევზეობის მართვას მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამისად, რათა უზრუნველყოფილ იქნას ჯანსაღ პირობებში თევზის მარაგისა და ეკოსისტემების შენარჩუნება; და

(c) რეგიონული თანამშრომლობის განვითარებას, მათ შორის, მეთევზეობის მართვის რეგიონული ორგანიზაციების ფარგლებში, მიზანშეწონილობის მიხედვით.

მუხლი 337

336-ე მუხლზე დაყრდნობით და საუკეთესო მეცნიერული რჩევების გათვალისწინებით, მხარეები გააძლიერებენ თანამშრომლობასა და საკუთარი საქმიანობის კოორდინაციას შავ ზღვაში წყლის ცოცხალი რესურსების მართვისა და კონსერვაციის სფეროში. ორივე მხარე ხელს შეუწყობს შავი ზღვის რეგიონულ თანამშრომლობას და მეთევზეობის მართვის შესაბამის რეგიონულ ორგანიზაციებთან ურთიერთობებს, მიზანშეწონილობისამებრ.

მუხლი 338

მხარეები მხარს დაუჭერენ ისეთ ინიციატივებს, როგორიცაა გამოცდილების გაცვლა და დახმარების გაწევა მდგრადი თევზჭერის უზრუნველყოფისათვის აუცილებელი პოლიტიკის გატარების მიზნით, რომელიც ეყრდნობა ევროკავშირის კანონმდებლობასა და მხარეთა ინტერესების პრიორიტეტულ სფეროებს, მათ შორის:

(a) წყლის ცოცხალი რესურსების, თევზჭერის მოცულობისა და ტექნიკური ზომების მართვა;

(b) თევზჭერის პროცესის შემოწმება და კონტროლი, საჭირო სათვალთვალო ტექნიკის, მათ შორის, ელექტრონული მონიტორინგის მოწყობილობებისა და მიკვლევადობის საშუალებების გამოყენებით, ასევე აღსრულებადი კანონმდებლობისა და კონტროლის მექანიზმების უზრუნველყოფა;

(c) თავსებადი თევზჭერის, ხმელეთზე გადმოტვირთვის, ფლოტის, ბიოლოგიური და ეკონომიკური მონაცემების ჰარმონიზებული შეგროვება;

(d) თევზჭერის შესაძლებლობების ფარგლების მართვა, რომელიც ასევე მოიცავს მოქმედი თევზის სარეწი ფლოტის რეგისტრაციას;

(e) ბაზრების ეფექტიანობა, განსაკუთრებით კი, მწარმოებელი ორგანიზაციების ხელშეწყობის, მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდებისა და მარკეტინგის სტანდარტებისა და მიკვლევადობის უზრუნველყოფის გზით; და

(f) მეთევზეობის დარგისთვის სტრუქტურული პოლიტიკის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სოციალურ მდგრადობას.

ნაწილი 2

საზღვაო პოლიტიკა

მუხლი 339

მეთევზეობის, საზღვაო ტრანსპორტის, გარემოს დაცვისა და სხვა სფეროების ფარგლებში თანამშრომლობის გათვალისწინებით და „საზღვაო სამართლის შესახებ“ გაეროს კონვენციის (UNCLOS) საფუძველზე მოქმედი საზღვაო სამართლის შესახებ შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმებების თანახმად, მხარეები განამტკიცებენ თანამშრომლობას ინტეგრირებული საზღვაო პოლიტიკის ფარგლებში, კერძოდ ხელს შეუწყობენ:

(a) საზღვაო საკითხებთან მიმართებით ინტეგრირებული მიდგომის, კარგი მმართველობის შემუშავებასა და საუკეთესო პრაქტიკის გაცვლას საზღვაო სივრცის გამოყენების პროცესში;

(b) ზღვის რესურსების მდგრადი გამოყენების დაგეგმვას, როგორც საშუალებას, რომელიც უზრუნველყოფს გაუმჯობესებული გადაწყვეტილების მიღებას ადამიანური საქმიანობის კონკურენტულ პროცესში მედიაციის გაწევის მიზნით, ეკოლოგიური სისტემის მიდგომის შესაბამისად;

(c) სანაპირო ზონის ინტეგრირებულ მართვას ეკოსისტემის მიდგომის შესაბამისად, მდგრადი სანაპირო განვითარების უზრუნველსაყოფად და სანაპირო რისკებთან მიმართებაში, მათ შორის, კლიმატის ცვლილების ზემოქმედებასთან გასამკლავებლად, სანაპირო რეგიონების მდგრადობის ხელშეწყობის მიზნით;

(d) საზღვაო მრეწველობაში ინოვაციებს და რესურსების ეფექტიანობას, როგორც ეკონომიკური ზრდისა და დასაქმების ხელშემწყობ ფაქტორს, მათ შორის, საუკეთესო პრაქტიკის გაცვლის გზით;

(e) საზღვაო ინდუსტრიებს, მომსახურებებსა და სამეცნიერო ინსტიტუტებს შორის სტრატეგიული ალიანსების ჩამოყალიბებას, რომლებიც სპეციალიზდებიან საზღვაო კვლევებზე;

(f) ტრანსსასაზღვრო და სხვადასხვა დარგებს შორის საზღვაო თვალთვალის ძალისხმევის გაღრმავებას, რათა გაუმკლავდნენ მზარდ რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ინტენსიურ საზღვაო სატრანსპორტო მოძრაობასთან, გემების ოპერატიულ გადმოტვირთვასთან, საზღვაო შემთხვევებსა და ზღვაზე უკანონო საქმიანობებთან; და

(g) გამართავენ რეგულარულ დიალოგს და ხელს შეუწყობენ საზღვაო საქმიანობის საკითხებში ჩართულ დაინტერესებულ მხარეებს შორის სხვადასხვა ქსელების ჩამოყალიბებას.

მუხლი 340

აღნიშნული თანამშრომლობა მოიცავს შემდეგს:

(a) ინფორმაციის, საუკეთესო პრაქტიკის, გამოცდილების გაცვლას და საზღვაო *"know-how"*-ს გაზიარებას, მათ შორის საზღვაო სექტორში ინოვაციური ტექნოლოგიებისა და საზღვაო გარემოს დაცვის საკითხებზე;

(b) ინფორმაციისა და საუკეთესო პრაქტიკის გაცვლას პროექტების დაფინანსების შესაძლებლობების თაობაზე, მათ შორის, საჯარო-კერძო პარტნიორობის სფეროში; და

(c) მხარეებს შორის თანამშრომლობის გაძლიერებას შესაბამისი საერთაშორისო საზღვაო ფორუმების ფორმატებში.

მუხლი 341

მხარეებს შორის რეგულარული დიალოგი გაიმართება წინამდებარე თავში განხილულ საკითხებზე.

თავი 12

თანამშრომლობა კვლევის, ტექნოლოგიების

განვითარებისა და დემონსტრირების სფეროში

მუხლი 342

მხარეები ხელს შეუწყობენ თანამშრომლობას სამოქალაქო სამეცნიერო კვლევების, ტექნოლოგიების განვითარებისა და დემონსტრირების (RTD) ყველა სფეროში ორმხრივ სარგებელზე დაყრდნობით და ინტელექტუალური საკუთრების უფლების სათანადო და ეფექტიანი დაცვის დონეების უზრუნველყოფის შესაბამისად.

მუხლი 343

კვლევების, ტექნოლოგიების განვითარებისა და დემონსტრირების (RTD) კუთხით თანამშრომლობა მოიცავს:

(a) დარგობრივ დიალოგს და სამეცნიერო და ტექნოლოგიური ინფორმაციის გაცვლას;

(b) თითოეული მხარის შესაბამის პროგრამაზე დაშვების სათანადო ხელშეწყობას;

(c) კვლევითი შესაძლებლობებისა და ქართული კვლევითი დაწესებულებების მონაწილეობის გაზრდას ევროკავშირის კვლევით ჩარჩო პროგრამებში;

(d) ერთობლივი კვლევითი პროექტების ხელშეწყობას კვლევების, ტექნოლოგიების განვითარებისა და დემონსტრირების (RTD) ყველა სფეროში;

(e) ტრენინგებისა და მობილობის პროგრამების უზრუნველყოფას მეცნიერების, მკვლევარებისა და სხვა კვლევითი პერსონალისათვის, რომლებიც ჩართულნი არიან მხარეთა კვლევების, ტექნოლოგიების განვითარებისა და დემონსტრირების (RTD) საქმიანობებში;

(f) შესაბამისი კანონმდებლობის ფარგლებში, წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებულ საქმიანობაში მონაწილე კვლევითი მუშაკების თავისუფალი გადაადგილებისა და საქონლის ტრანსსასაზღვრო გადაადგილების ხელშეწყობას, რომლებიც მსგავსი საქმიანობისათვის გამოიყენება;

(g) თანამშრომლობის სხვა ფორმებს კვლევების, ტექნოლოგიების განვითარებისა და დემონსტრირების (RTD) სფეროებში, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 344

მსგავსი თანამშრომლობის საქმიანობების განხორციელებისას, უნდა მოხდეს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში გადადგმული სხვა ნაბიჯების თანხვედრა, როგორც ეს გათვალისწინებულია წინამდებარე შეთანხმების VII კარში (ფინანსური დახმარება, და თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლისა და კონტროლის შესახებ დებულებები).

თავი 13

მომხმარებელთა პოლიტიკა

მუხლი 345

მხარეები ითანამშრომლებენ, რათა უზრუნველყონ მომხმარებელთა დაცვის მაღალი დონე და მიაღწიონ თავსებადობას მომხმარებელთა დაცვის თავიანთ სისტემებს შორის.

მუხლი 346

ამ მიზნების მისაღწევად, თანამშრომლობა, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა, მოიცავდეს:

(a) მომხმარებელთა შესახებ კანონმდებლობის დაახლოებას სავაჭრო ბარიერების თავიდან აცილების პარალელურად;

(b) მომხმარებელთა დაცვის სისტემების შესახებ ინფორმაციის გაცვლის ხელშეწყობას, რომელიც მოიცავს მომხმარებელთა შესახებ კანონმდებლობასა და მის აღსრულებას, მომხმარებელთა პროდუქტების უვნებლობას, ინფორმაციის გაცვლის სიტემებს, მომხმარებელთა განათლებას/ინფორმირებულობასა და მათი შესაძლობების გაძლიერებას, ასევე მომხარებელთათვის კომპენსაციის უზრუნველყოფას;

(c) ადმინისტრაციის თანამდებობის პირებისა და მომხმარებელთა ინტერესების დამცველთა სხვა წარმომადგენლების მომზადებას; და

(d) მომხმარებელთა დამოუკიდებელი ასოციაციების საქმიანობისა და მომხმარებელთა წარმომადგენლებს შორის კონტაქტების ხელშეწყობას.

მუხლი 347

საქართველო მოახდენს ეროვნული კანონმდებლობის დაახლოებას წინამდებარე შეთანხმების XXIX დანართში მითითებულ ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან, ამავე დანართის დებულებების შესაბამისად.

თავი 14

დასაქმება, სოციალური პოლიტიკა და თანაბარი შესაძლებლობები

მუხლი 348

მხარეები გააძლიერებენ დიალოგსა და თანამშრომლობას ღირსეული შრომის პირობების (Decent Work Agenda), დასაქმების პოლიტიკის, სამუშაოზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების, სოციალური დიალოგის, სოციალური დაცვის, სოციალური ჩართულობის, გენდერული თანასწორობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის, ასევე კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ხელშესაწყობად, და ამგვარად წვლილს შეიტანენ მეტი და უკეთესი სამუშაო ადგილის, სიღარიბის შემცირების, გაძლირებული სოციალური ინტეგრაციის, მდგრადი განვითარებისა და გაუმჯობესებული ცხოვრების დონის უზრუნველყოფაში.

მუხლი 349

თანამშრომლობა, რომელიც დაფუძნებულია ინფორმაციის გაცვლასა და საუკეთესო გამოცდილებაზე, შესაძლოა, მოიცავდეს გარკვეულ საკითხებს შემდეგი სფეროებიდან:

(a) სიღარიბის შემცირება და სოციალური ინტეგრაციის გაძლიერება;

(b) დასაქმების პოლიტიკა, რომელიც მიმართულია მეტი და უკეთესი სამუშაო ადგილისა და სათანადო სამუშაო პირობების შექმნისკენ, ჩრდილოვანი ეკონომიკისა და არაფორმალური დასაქმების შემცირების ჩათვლით;

(c) შრომის ბაზართან დაკავშირებით აქტიური ზომებისა და ეფექტიანი დასაქმების სერვისების ხელშეწყობა, მხარეთა შრომის ბაზრების მოდერნიზაციისა და შრომის ბაზრების საჭიროებების ადაპტაციის მიზნით;

(d) მეტად ინკლუზიური შრომის ბაზრებისა და სოციალური უსაფრთხოების სისტემების გაუმჯობესება, რაც აერთიანებს სოციალურად დაუცველ ადამიანებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და უმცირესობათა ჯგუფებს მიკუთვნებული ადამიანების ჩათვლით;

(e) თანაბარი შესაძლებლობები და ანტიდისკრიმინაცია, რომელიც მიზნად ისახავს გენდერული თანასწორობის გაძლიერებას და მამაკაცსა და ქალს შორის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას, ასევე, სქესის, რასობრივი ან ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიის ან მრწამსის, შეზღუდული შესაძლებლობის, ასაკის ან სექსუალური ორიენტაციის ნიადაგზე დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლას;

(f) სოციალური პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს სოციალური უსაფრთხოებისა და სოციალური დაცვის სისტემების გაძლიერებას, თანასწორობის, ხელმისაწვდომობისა და ფინანსური მდგრადობის კუთხით;

(g) სოციალური პარტნიორების მონაწილეობის გაძლიერება და სოციალური დიალოგის ხელშეწყობა, მათ შორის, ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარის შესაძლებლობების გაძლიერების გზით;

(h) სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ხელშეწყობა; და

(i) კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში ცნობიერების ამაღლება და დიალოგის ხელშეწყობა.

მუხლი 350

მხარეები წაახალისებენ ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და განსაკუთრებით, სოციალური პარტნიორების ჩართულობას პოლიტიკის განვითარებისა და რეფორმირების პროცესში და მხარეებს შორის არსებული თანამშრომლობის პროცესში, რომელიც გათვალისწინებულია წინამდებარე შეთანხმების VIII კარში (ინსტიტუციური, ზოგადი და დასკვნითი დებულებები).

მუხლი 351

მხარეები მიზნად ისახავენ გააძლიერონ თანამშრომლობა დასაქმებისა და სოციალური პოლიტიკის საკითხებზე ყველა შესაბამის რეგიონულ, მრავალმხრივ და საერთაშორისო ფორმატში და ორგანიზაციების ფარგლებში.

მუხლი 352

მხარეები ხელს შეუწყობენ კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობასა და ანგარიშვალდებულებას და წაახალისებენ ბიზნეს პასუხისმგებლობის პრაქტიკას, როგორიცაა მთელი რიგი საერთაშორისო კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სახელმძღვანელო რეკომენდაციების შედეგად დამკვიდრებული პრაქტიკა და განსაკუთრებით, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) სახელმძღვანელო რეკომენდაციები მრავალეროვანი კომპანიებისთვის.

მუხლი 353

რეგულარული დიალოგი გაიმართება წინამდებარე თავში განხილულ საკითხებზე .

მუხლი 354

საქართველო მოახდენს ეროვნული კანონმდებლობის დაახლოებას წინამდებარე შეთანხმების XXX დანართში მითითებულ ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან, ამავე დანართის დებულებების შესაბამისად.

თავი 15

საზოგადოებრივი ჯანდაცვა

მუხლი 355

მხარეები თანხმდებიან, რომ განავითარებენ თანამშრომლობას საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის უსაფრთხოების დონის ამაღლებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით, რაც წარმოადგენს მდგრადი განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის უმთავრეს კომპონენტს.

მუხლი 356

თანამშრომლობა მოიცავს შემდეგ კონკრეტულ სფეროებს:

(a) საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის გაძლიერება, კერძოდ, ჯანმრთელობის სექტორის რეფორმის გაგრძელების, მაღალი ხარისხის ჯანდაცვის უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის სფეროში ადამიანური რესურსების განვითარების, ჯანმრთელობის სფეროში მმართველობისა და ჯანდაცვის დაფინანსების სრულყოფის გზით;

(b) ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობა და გადამდებ დაავადებათა კონტროლი, როგორებიცაა, მაგალითად, აივ ინფექცია/შიდსი, ვირუსული ჰეპატიტი, ტუბერკულოზი და ანტიმიკრობული რეზისტენტობა, ასევე - საზოგადოებრივი ჯანმრთელობის წინაშე არსებული საფრთხეებისა და საგანგებო სიტუაციების მიმართ გაზრდილი მზაობა;

(c) არაგადამდებ დაავადებათა პრევენცია და კონტროლი, ძირითადად ინფორმაციისა და საუკეთესო პრაქტიკის გაცვლის, ჯანსაღი ცხოვრების წესისა და ფიზიკური აქტივობის ხელშეწყობისა და ჯანმრთელობის იმ მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა კვება, ალკოჰოლის, ნარკოტიკებისა და თამბაქოს მიმართ დამოკიდებულება;

(d) ადამიანის ბიოლოგიური მასალის ხარისხი და უსაფრთხოება;

(e) ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია და ცოდნა; და

(f) ჯანმრთელობის სფეროში იმ საერთაშორისო შეთანხმებების ეფექტური იმპლემენტაცია, რომლებიც აღიარებულია მხარეებს შორის, კერძოდ, ჯანმრთელობის შესახებ საერთაშორისო რეგულაციები და „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ ჩარჩო კონვენცია.

მუხლი 357

საქართველო მოახდენს ეროვნული კანონმდებლობის დაახლოებას წინამდებარე შეთანხმების XXXI დანართში მითითებულ ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან, ამავე დანართის დებულებების შესაბამისად.

თავი 16

განათლება, ტრეინინგი და ახალგაზრდობა

მუხლი 358

მხარეები ითანამშრომლებენ განათლებისა და ტრეინინგის სფეროში, რათა გააქტიურონ თანამშრომლობა და დიალოგი, მათ შორის, დიალოგი პოლიტიკის საკითხებზე, რომელიც მიზნად ისახავს ევროკავშირის შესაბამის პოლიტიკასა და პრაქტიკასთან მიახლოვებას. მხარეები ითანამშრომლებენ, რათა ხელი შეუწყონ მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლას, წაახალისონ განათლებისა და ტრეინინგის სფეროში თანამშრომლობა და გამჭვირვალობა ყველა დონეზე, უმაღლეს განათლებაზე განსაკუთრებული აქცენტით.

მუხლი 359

განათლებისა და ტრეინინგების სფეროში თანამშრომლობა, *inter alia*, მიმართული იქნება შემდეგი სფეროების განვითარებისაკენ:

(a) მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის ხელშეწყობა, რომელიც წარმოადგენს ზრდისა და სამუშაო ადგილების უზრუნველყოფის უმთავრეს ასპექტს და რაც საშუალებას მისცემს მოქალაქეებს, სრულყოფილი მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში;

(b) განათლებისა და ტრეინინგის სისტემების მოდერნიზება, ხარისხის გაუმჯობესება, განათლების ყველა საფეხურის რელევანტურობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა - ადრეულ ასაკში განათლებისა და მზრუნველობიდან დაწყებული, უმაღლესი განათლების ჩათვლით;

(c) უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლება იმ საშუალებით, რომელიც თანხვედრაშია ევროკავშირის „უმაღლესი განათლების მოდერნიზაციის დღის წესრიგსა“ (Modernisation Agenda for Higher Education) და „ბოლონიის პროცესთან“;

(d) აკადემიურ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება, ევროკავშირის თანამშრომლობის პროგრამებში მონაწილეობა, სტუდენტებისა და მასწავლებლების მობილურობის გაზრდა;

(e) უცხო ენების სწავლების ხელშეწყობა;

(f) კვალიფიკაციისა და კომპეტენციის აღიარების მიმართულებით პროგრესის ხელშეწყობა და ამ მხრივ ტრანსპარენტულობის უზრუნველყოფა;

(g) პროფესიული განათლებისა და ტრეინინგის სფეროში თანამშრომლობის ხელშეწყობა ევროკავშირის შესაბამისი საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით; და

(h) ევროპასთან ინტეგრაციის პროცესის, აგრეთვე, ევროკავშირი-აღმოსავლეთის პარტნიორობის ურთიერთობებზე აკადემიური დიალოგის შესახებ ცოდნისა და განათლების ამაღლება, და ევროკავშირის შესაბამის პროგრამებში მონაწილეობა.

მუხლი 360

მხარეები თანხმდებიან ახალგაზრდობის სფეროში თანამშრომლობაზე, რათა:

(a) ხელი შეუწყონ თანამშრომლობასა და გაცვლებს ახალგაზრდობის პოლიტიკის, ასევე ახალგაზრდებისა და ახალგაზრდა დასაქმებულთა არაფორმალური განათლების სფეროში;

(b) ხელი შეუწყონ ახალგაზრდებისა და ახალგაზრდა დასაქმებულების მობილურობის გაზრდას, რაც წარმოადგენს კულტურათაშორისი დიალოგის, ფორმალური საგანმანათლებლო სისტემის გარეთ ცოდნის, გამოცდილებისა და კომპეტენციის მიღების ხელშეწყობის მექანიზმს, მათ შორის მოხალისეობის გზით;

(c) ხელი შეუწყონ ახალგაზრდულ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობას.

მუხლი 361

საქართველო მოახდენს ეროვნული კანონმდებლობის დაახლოებას წინამდებარე შეთანხმების XXXII დანართში მითითებულ ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან, ამავე დანართის დებულებების შესაბამისად.

თავი 17

კულტურის სფეროში თანამშრომლობა

მუხლი 362

მხარეები განავითარებენ თანამშრომლობას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (იუნესკო) 2005 წლის „კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ“ კონვენციით განმტკიცებული პრინციპების სათანადოდ გათვალისწინების გზით. საერთო ინტერესების სფეროებში, მხარეები წარმართავენ მუდმივ დიალოგს დარგობრივ პოლიტიკაში, მათ შორის, ევროკავშირსა და საქართველოში შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების კუთხით. მხარეთა შორის თანამშრომლობა ხელს შეუწყობს კულტურათაშორის დიალოგს, ევროკავშირისა და საქართველოს კულტურის სფეროსა და სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის გზით.

მუხლი 363

მხარეები ითანამშრომლებენ შემდეგ ძირითად სფეროებში:

(a) კულტურის სფეროში თანამშრომლობა და კულტურული გაცვლები;

(b) ხელოვნებისა და ხელოვანთა მობილურობა, და კულტურის სფეროს ინსტიტუციური გაძლიერება;

(c) კულტურათაშორისი დიალოგი;

(d) კულტურის პოლიტიკის შესახებ დიალოგი; და

(e) თანამშრომლობა საერთაშორისო ფორუმების ფარგლებში, როგორებიცაა იუნესკო და ევროპის საბჭო, რათა, *inter alia,* ხელი შეეწყოს კულტურულ მრავალფეროვნებას, შენარჩუნდეს და სათანადოდ განვითარდეს კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის ღირებულებანი.

თავი 18

თანამშრომლობა აუდიოვიზუალურ და მედიის სფეროებში

მუხლი 364

მხარეები ხელს შეუწყობენ თანამშრომლობას აუდიოვიზუალურ სფეროში. თანამშრომლობა გააძლიერებს აუდიოვიზუალურ ინდუსტრიას ევროკავშირსა და საქართველოში, კერძოდ, პროფესიონალთა ტრეინინგის, ინფორმაციის გაზიარების და კინოსა და ტელევიზიის სფეროებში თანაწარმოებების წახალისების გზით.

მუხლი 365

1. მხარეები აწარმოებენ რეგულარულ დიალოგს აუდიოვიზუალურ და მედიის პოლიტიკის სფეროში და ითანამშრომლებენ, რათა გაძლიერონ მედიის დამოუკიდებლობა და პროფესიონალიზმი, ასევე, ურთიერთობები ევროკავშირის მედიასთან, ევროპული სტანდარტების შესაბამისად, რომელიც ასევე მოიცავს ევროპის საბჭოს სტანდარტებსა და 2005 წლის გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (იუნესკო) „კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ“ კონვენციას.

2. თანამშრომლობა შეიძლება მოიცავდეს, *inter alia*, ჟურნალისტთა და მედიის სხვა პროფესიონალთა ტრეინინგის საკითხს.

მუხლი 366

მხარეები ითანამშრომლებენ მთელ რიგ სფეროებში, როგორებიცაა:

(a) დიალოგი აუდიოვიზუალურ და მედიის პოლიტიკაზე;

(b) დიალოგი საერთაშორისო დონეზე (როგორიცაა, იუნესკო და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO)); და

(c) თანამშრომლობა აუდიოვიზუალურ და მედიის სფეროში, კინოს სფეროში თანამშრომლობის ჩათვლით.

მუხლი 367

საქართველო მოახდენს ეროვნული კანონმდებლობის დაახლოვებას წინამდებარე შეთანხმების XXXIII დანართში მითითებულ ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან, ამავე დანართის დებულებების შესაბამისად.

თავი 19

თანამშრომლობა სპორტისა და ფიზიკური აქტივობის სფეროში

მუხლი 368

მხარეები ითანამშრომლებენ სპორტისა და ფიზიკური აქტივობის სფეროში ინფორმაციისა და საუკეთესო პრაქტიკის გაცვლის გზით, რათა ხელი შეუწყონ ჯანსაღი ცხოვრების წესს და სპორტის სოციალური და საგანმანათლებლო ფასეულობების განვითარებას, სპორტის მობილურობას, სპორტის წინაშე მდგარი ისეთი გლობალური საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, როგორებიცაა დოპინგის გამოყენება, რასიზმი და ძალადობა.

თავი 20

თანამშრომლობა სამოქალაქო საზოგადოების სფეროში

მუხლი 369

მხარეები განამტკიცებენ დიალოგს სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის შესახებ შემდეგი მიზნებისთვის:

(a) ევროკავშირსა და საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ყველა სექტორს შორის კონტაქტების გაფართოება და ინფორმაციისა და გამოცდილების გაცვლა;

(b) საქართველოს შესახებ, მათ შორის მისი ისტორიისა და კულტურის შესახებ, ევროკავშირის და, განსაკუთრებით, წევრ სახელმწიფოებში მოქმედი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მეტად ინფორმირება და გაცნობიერება, რაც შესაძლებელს გახდის, ამაღლდეს ცოდნა სამომავლო ურთიერთობებისათვის არსებული შესაძლებლობებისა და გამოწვევების შესახებ ;

(c) შესაბამისად, საქართველოში და განსაკუთრებით საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებში ევროკავშირის შესახებ ცნობიერებისა და ინფორმირებულობის ამაღლების უზრუნველყოფა, სადაც გამონაკლისების გარეშე ყურადღება გამახვილდება იმ ფასეულობებზე, რომლებზეც ევროკავშირია დაფუძნებული, მის პოლიტიკასა და ფუნქციონირებაზე.

მუხლი 370

მხარეები ხელს შეუწყობენ დიალოგისა და თანამშრომლობის განვითარებას ორივე მხარის სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შორის, როგორც ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობების განუყოფელ ნაწილს. აღნიშნული დიალოგის მიზნებს წარმოადგენს:

(a) ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობებში, განსაკუთრებით კი, წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული დებულებების იმპლემენტაციის პროცესში, სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა;

(b) საჯარო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფა, განსაკუთრებით, საჯარო ინსტიტუტებს, წარმომადგენლობით ასოციაციებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ღია, გამჭვირვალე და რეგულარული დიალოგის შენარჩუნების გზით;

(c) ინსტიტუტების მშენებლობისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების განვითარების მიზნით, სხვადასხვა მიმართულებით ხელშემწყობი გარემოს შექმნის უზრუნველყოფა რაც, სხვა საკითხებთან ერთად, ითვალისწინებს ადვოკატირების მხარდაჭერას, არაფორმალურ და ფორმალურ კავშირებს, ერთობლივ ვიზიტებსა და სამუშაო სემინარებს, რაც უზრუნველყოფს სამოქალაქო საზოგადოებისათვის სამართლებრივი ჩარჩოს შექმნას; და

(d) თითოეული მხარის მიერ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთათვის შესაძლებლობების შექმნა, რათა ისინი გაეცნონ სამოქალაქო საზოგადოებასა, მათ შორის, სოციალურ პარტნიორებსა და საჯარო სამსახურებს შორის კონსულტაციებისა და დიალოგის პროცესს, განსაკუთრებით საჯარო პოლიტიკის შემუშავების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაძლიერების მნიშვნელობის გათვალისწინებით.

მუხლი 371

მხარეებს შორის რეგულარული დიალოგი გაიმართება წინამდებარე თავში განხილულ საკითხებზე.

თავი 21

რეგიონული განვითარება,

თანამშრომლობა საზღვრისპირა და რეგიონულ დონეზე

მუხლი 372

1. მხარეები ხელს შეუწყობენ ურთიერთგაგებისა და ორმხრივი თანამშრომლობის ჩამოყალიბებას რეგიონული განვითარების პოლიტიკის სფეროში, რეგიონული პოლიტიკის მეთოდების ფორმულირებისა და იმპლემენტაციის, მრავალდონიანი მმართველობისა და პარტნიორობის ჩათვლით, სადაც განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება ღარიბი რაიონების განვითარებასა და ტერიტორიულ თანამშრომლობაზე, რაც მიზნად ისახავს კომუნიკაციის არხების ჩამოყალიბებასა და ინფორმაციისა და გამოცდილების გაცვლის

სისტემის განმტკიცებას ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას, სოციალურ და ეკონომიკურ აქტორებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის.

2. მხარეები განსაკუთრებით ითანამშრომლებენ, რათა საქართველოს პრაქტიკა თავსებადობაში მოიყვანონ შემდეგ პრინციპებთან:

(a) მრავალდონიანი მმართველობის გაძლიერება, იმდენად რამდენადაც იგი გავლენას ახდენს როგორც ცენტრალურ, ასევე მუნიციპალური დონის მმართველობაზე, განსაკუთრებული აქცენტით ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ინტენსიფიკაციის გზებზე;

(b) რეგიონული განვითარების პროცესში ჩართულ ყველა მხარეს შორის პარტნიორობის კონსოლიდაცია; და

(c) თანადაფინანსება, რეგიონული განვითარების პროგრამებისა და პროექტების განხორციელების პროცესში ჩართული სუბიექტების მიერ ფინანსური წვლილის შეტანის გზით.

მუხლი 373

1. მხარეები დაეხმარებიან და განამტკიცებენ ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობას რეგიონული პოლიტიკის თანამშრომლობაში, რაც მოიცავს საზღვრისპირა თანამშრომლობას და შესაბამის მართვის სტრუქტურებს, გააღრმავებენ თანამშრომლობას ურთიერთხელსაყრელი საკანონმდებლო ჩარჩოს ჩამოყალიბების გზით, განამტკიცებენ და განავითარებენ ინსტიტუციური შესაძლებლობების ამაღლების საშუალებებს და ხელს შეუწყობენ საზღვრისპირა და რეგიონული ეკონომიკური და ბიზნეს კავშირების გაძლიერებას.

2. მხარეები ითანამშრომლებენ რეგიონული განვითარებისა და მიწის გამოყენების დაგეგმარების სფეროებში საქართველოს ინსტიტუტების ინსტიტუციური და საოპერაციო შესაძლებლობების კონსოლიდაციის მიმართულებით, მათ შორის:

(a) რეგიონული პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში, ინსტიტუტებს შორის კოორდინაციის, კერძოდ კი ცენტრალურ და ადგილობრივ საჯარო სამსახურებს შორის ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ურთიერთქმედებათა მექანიზმების გაუმჯობესება;

(b) სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების შესაძლებლობების განვითარება, რათა ხელი შეეწყოს ორმხრივად მომგებიან საზღვრისპირა თანამშრომლობას ევროკავშირის პრინციპებისა და პრაქტიკის შესაბამისად;

(c) რეგიონული განვითარების პოლიტიკის შესახებ ცოდნის, ინფორმაციისა და საუკეთესო პრაქტიკის ურთიერთგაზიარება, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი თემების ეკონომიკურ კეთილდღეობასა და რეგიონების თანაბარზომიერ განვითარებას.

მუხლი 374

1. მხარეები გააძლიერებენ და ხელს შეუწყობენ საზღვრისპირა თანამშრომლობის განვითარებას წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებულ სხვა სფეროებშიც, როგორებიცაა, *inter alia,* ტრანსპორტი, ენერგეტიკა, საკომუნიკაციო ქსელები, კულტურა, განათლება, ტურიზმი და ჯანდაცვა.

2. მხარეები უფრო ინტენსიურს გახდიან თავიანთ რეგიონებს შორის თანამშრომლობას ტრანსნაციონალური და რეგიონებს შორის არსებული პროგრამების საშუალებით, რითაც ხელს შეუწყობენ საქართველოს რეგიონების ჩართულობას ევროპის რეგიონულ სტრუქტურებსა და ორგანიზაციებში და საერთო ინტერესების საფუძველზე შემუშავებული პროექტების განხორციელების გზით, განამტკიცებენ მათ ეკონომიკურ და ინსტიტუციურ განვითარებას.

3. აღნიშნული ნაბიჯების გადადგმა მოხდება შემდეგ კონტექსტში:

(a) ტერიტორიული თანამშრომლობის გაგრძელება ევროპის რეგიონებთან (მათ შორის, ტრანსნაციონალური და საზღვრისპირა თანამშრომლობის პროგრამების გზით);

(b) აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში თანამშრომლობა ევროკავშირის ორგანოებთან, მათ შორის, რეგიონების კომიტეტთან და ევროპის სხვადასხვა რეგიონულ პროექტებსა და ინიციატივებში მონაწილეობა;

(c) თანამშრომლობა, *inter alia*, ევროპის ეკონომიკურ და სოციალურ კომიტეტთან და ევროპის სივრცითი დაგეგმვის დამკვირვებელთა ქსელთან.

მუხლი 375

გაიმართება რეგულარული დიალოგი წინამდებარე თავში განხილულ საკითხებზე.

თავი 22

სამოქალაქო დაცვა

მუხლი 376

მხარეები განავითარებენ და გააღრმავებენ თანამშრომლობას ბუნებრივი და ხელოვნური კატასტროფების მართვის სფეროში. თანამშრომლობა წარიმართება მხარეთა ინტერესების გათვალისწინებით თანასწორობასა და ურთიერთსარგებლიანობაზე დაყრდნობით, ასევე, მხედველობაში მიიღება მხარეებს შორის ურთიერთდამოკიდებულება და ამ სფეროში მრავალმხრივი საქმიანობა.

მუხლი 377

თანამშრომლობა მიზნად ისახავს ბუნებრივი და ხელოვნური კატასტროფების პრევენციას, მათთვის მზადებას და მათზე რეაგირებას.

მუხლი 378

მხარეები, *inter alia*, გაცვლიან ინფორმაციასა და ექსპერტულ მოსაზრებებს და განახორციელებენ ერთობლივ ღონისძიებებს ორმხრივ საფუძველზე ან/და მრავალმხრივი პროგრამების ფარგლებში. თანამშრომლობა განხორციელდება, *inter alia*, მხარეებს შორის ამ სფეროში არსებული კონკრეტული შეთანხმებების ან/და ადმინისტრაციული შეთანხმებების იმპლემენტაციის გზით.

მუხლი 379

თანამშრომლობამ შესაძლოა მოიცვას შემდეგი მიზნები:

(a) საკონტაქტო დეტალების გაცვლა და რეგულარული განახლება, რათა უზრუნველყოფილ იქნას დიალოგის განგრძობადობა და შესაძლებელი იყოს 24-საათიან რეჟიმში ერთმანეთთან დაკავშირება;

(b) ურთიერთდახმარების ხელშეწყობა გადაუდებელი აუცილებლობის დროს, მიზანშეწონილობის მიხედვით და საკმარისი რესურსების არსებობის გათვალისწინებით;

(c) წინასწარი გაფრთხილებებისა და განახლებული ინფორმაციის 24-საათიან რეჟიმში გაცვლა ფართომასშტაბიანი საგანგებო სიტუაციების დროს, რომლებიც გავლენას ახდენენ ევროკავშირსა და საქართველოზე; აღნიშნული ასევე ითვალისწინებს დახმარების თხოვნასა და შეთავაზებას;

(d) ინფორმაციის გაცვლა მხარეების მიერ საგანგებო სიტუაციების დროს მესამე ქვეყნისათვის გაწეული დახმარებების შესახებ, რომლებშიც მოქმედებს ევროკავშირის სამოქალაქო დაცვის მექანიზმები;

(e) დახმარების მოთხოვნის/გაწევის პროცესში მასპინძელი ქვეყნის დახმარების ფარგლებში თანამშრომლობა;

(f) კატასტროფების პრევენციის, ტრეინინგისა და მათზე რეაგირების სფეროში საუკეთესო პრაქტიკისა და სახელმძღვანელო დოკუმენტების გაცვლა;

(g) კატასტროფების რისკების შემცირების ფორმატში თანამშრომლობა ისეთი საშუალებების მიმართვით, როგორებიცაა, *inter alia*, ინსტიტუციური კავშირები და ადვოკატირება; ინფორმაცია, განათლება და კომუნიკაციები; საუკეთესო პრაქტიკა, რომელიც მიმართულია ბუნებრივი კატასტროფების პრევენციის ან მათი ზემოქმედების შემცირებისაკენ;

(h) თანამშრომლობა კატასტროფების მართვის მიზნით კატასტროფების, საფრთხეებისა და რისკების შეფასების შესახებ საინფორმაციო ბაზის დასახვეწად;

(i) თანამშრომლობა გარემოსა და საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე კატასტროფების ზემოქმედების შეფასების მიმართულებით;

(j) ექსპერტების მიწვევა სამოქალაქო დაცვის საკითხებზე გამართულ კონკრეტულ ტექნიკურ სემინარებსა და სიმპოზიუმებზე;

(k) დამკვირვებლების ინდივიდუალური მიწვევა ევროკავშირისა და/ან საქართველოს მიერ ორგანიზებულ კონკრეტულ წვრთნებსა და ტრენინგებზე; და

(l) თანამშრომლობის გაღრმავება სამოქალაქო დაცვის არსებული შესაძლებლობების ყველაზე ეფექტიანად გამოყენების მიზნით.

თავი 23

მონაწილეობა ევროკავშირის სააგენტოებსა და პროგრამებში

მუხლი 380

საქართველოს უნდა მიეცეს უფლება, მონაწილეობა მიიღოს ევროკავშირის ყველა სააგენტოში, რომლებიც ღიაა საქართველოს მონაწილეობისთვის იმ დებულებათა შესაბამისად, რომლითაც ეს სააგენტოები იქნა დაარსებული. საქართველო ევროკავშირთან გააფორმებს ცალკე შეთანხმებებს, რომლებიც მას საშუალებას მისცემს მონაწილეობა მიიღოს ცალკეული სააგენტოს მუშაობაში, ფინანსური კონტრიბუციის ოდენობის მითითებით.

მუხლი 381

საქართველოს უნდა მიეცეს უფლება, მონაწილეობა მიიღოს ევროკავშირის ყველა მიმდინარე და სამომავლო პროგრამაში, რომლებიც ღიაა საქართველოს მონაწილეობისთვის იმ დებულებათა შესაბამისად, რომლითაც ეს პროგრამები იქნება მიღებული. საქართველოს მონაწილეობა ევროკავშირის პროგრამებში განხორციელდება წინამდებარე შეთანხმების III ოქმის (ევროკავშირსა და საქართველოს შორის ჩარჩო ხელშეკრულების თაობაზე ევროკავშირის პროგრამებში საქართველოს მონაწილეობის ძირითადი პრინციპების შესახებ) დებულებების შესაბამისად.

მუხლი 382

მხარეთა შორის გაიმართება რეგულარული დიალოგი ევროკავშირის პროგრამებსა და სააგენტოებში საქართველოს მონაწილეობის თაობაზე. კერძოდ, ევროკავშირი შეატყობინებს საქართველოს ევროკავშირის ახალი სააგენტოებისა და პროგრამების თაობაზე, ასევე, ევროკავშირის პროგრამებსა და სააგენტოებში მონაწილეობის პირობების ცვლილების თაობაზე, რომლებიც ნახსენებია წინამდებარე

შეთანხმების 380-ე და 381-ე მუხლებში.

კარი VII

ფინანსური დახმარება, და თაღლითობის წინააღმდეგ

ბრძოლისა და კონტროლის შესახებ დებულებები

თავი 1

ფინანსური დახმარება

მუხლი 383

საქართველო ისარგებლებს ფინანსური დახმარებით, რომელიც განხორციელდება ევროკავშირის დაფინანსების შესაბამისი მექანიზმებისა და ფინანსური ინსტრუმენტების მეშვეობით. საქართველო ასევე ისარგებლებს თანამშრომლობით ევროპის საინვესტიციო ბანკთან (EIB), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD)და სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან. ფინანსური დახმარება წვლილს შეიტანს წინამდებარე შეთანხმების მიზნების მიღწევაში და უზრუნველყოფილი იქნება ამ თავის შესაბამისად.

მუხლი 384

ფინანსური დახმარების ძირითადი პრინციპები ჩამოყალიბებული იქნება ევროკავშირის ფინანსური ინსტრუმენტების შესაბამის რეგულაციებში.

მუხლი 385

მხარეებს შორის შეთანხმებული ევროკავშირის ფინანსური დახმარების პრიორიტეტული სფეროები გაიწერება ყოველწლიურ სამოქმედო პროგრამებში, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, დაფუძნებული იქნება მრავალწლიან ფორმატზე, რაც ეხმიანება შეთანხმებული პოლიტიკის პრიორიტეტებს. აღნიშნული პროგრამებით დადგენილი დახმარების თანხის ოდენობა განისაზღვრება საქართველოს საჭიროებების, დარგის შესაძლებლობებისა და რეფორმების პროგრესის შესაბამისად, კერძოდ კი, წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებულ სფეროებში.

მუხლი 386

იმისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნას არსებული რესურსების ოპტიმალური გამოყენება, მხარეები შეეცდებიან უზრუნველყონ, რომ ევროკავშირის დახმარება განხორციელდეს სხვა დონორ ქვეყნებთან, დონორ ორგანიზაციებთან და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან მჭიდრო თანამშრომლობითა და კოორდინაციით, დახმარების ეფექტიანობის შესახებ საერთაშორისო პრინციპების შესაბამისად.

მუხლი 387

ფინანსური დახმარების ძირითადი სამართლებრივი, ადმინისტრაციული და ტექნიკური საფუძვლები ყალიბდება მხარეებს შორის გაფორმებული შესაბამისი შეთანხმებების ფარგლებში.

მუხლი 388

ასოცირების საბჭო ინფორმირებული იქნება ფინანსური დახმარების პროგრესისა და იმპლემენტაციის თაობაზე, და ასევე, ამ დახმარების როლზე წინამდებარე შეთანხმების მიზნების მიღწევაში. ამ მიზნით, მხარეთა შესაბამისი ორგანოები უზრუნველყოფენ სათანადო მონიტორინგისა და შეფასების განხორციელებას ორმხრივ და უწყვეტ საფუძველზე.

მუხლი 389

მხარეები განახორციელებენ დახმარების იმპლემენტაციას სანდო ფინანსური მართვის პრინციპების შესაბამისად და ითანამშრომლებენ, რათა დაცული იქნეს ევროკავშირისა და საქართველოს ფინანსური ინტერესები ამ კარის მე-2 თავის (თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლისა და კონტროლის შესახებ დებულებები) შესაბამისად.

თავი 2

თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლისა და

კონტროლის შესახებ დებულებები

მუხლი 390

განმარტებები

წინამდებარე თავის მიზნებისათვის გამოიყენება წინამდებარე შეთანხმების IV ოქმით გათვალისწინებული განმარტებები.

მუხლი 391

მოქმედების სფერო

ეს თავი გავრცელდება მხარეებს შორის გაფორმებულ ნებისმიერ სხვა შემდგომ შეთანხმებასა თუ ფინანსურ დოკუმენტზე და ევროკავშირის ნებისმიერ სხვა ფინანსურ ინსტრუმენტზე, რომელთანაც საქართველო შესაძლოა იყოს დაკავშირებული, რაც ზიანს არ მიაყენებს ნებისმიერ სხვა დამატებით მუხლს, რომელიც მოიცავს აუდიტს, ადგილზე შემოწმებას, ინსპექციას, კონტროლსა და თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ზომებს, ევროპის აუდიტორთა სასამართლოსა და ევროპის თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის (OLAF) მიერ ჩატარებული ქმედებების ჩათვლით.

მუხლი 392

ზომები თაღლითობის, კორუფციისა და ნებისმიერი სხვა უკანონო ქმედებების პრევენციისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით

მხარეები მიიღებენ ეფექტურ ზომებს თაღლითობის, კორუფციისა და ნებისმიერი სხვა უკანონო ქმედების პრევენციისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით, რაც დაკავშირებულია ევროკავშირის დაფინანსებების გამოყენებასთან, *inter alia,* ადმინისტრაციული ურთიერთდახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთდახმარების მეშვეობით, წინამდებარე ასოცირების შესახებ შეთანხმებით

გათვალისწინებულ სფეროებში.

მუხლი 393

ინფორმაციის გაცვლა და შემდგომი თანამშრომლობა ოპერატიულ დონეზე

1. წინამდებარე თავის სათანადოდ განხორციელებისათვის, საქართველოსა და ევროკავშირის კომპეტენტური უწყებები რეგულარულად გაცვლიან ინფორმაციას და, ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე, გამართავენ კონსულტაციებს.

2. თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპის ოფისს (OLAF) შეუძლია, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეთანხმდეს საქართველოს შესაბამის ორგანოებთან შემდგომი თანამშრომლობის გზებზე თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში, საქართველოს ხელისუფლების ორგანოებთან ოპერატიული მექანიზმების ჩათვლით.

3. პერსონალური მონაცემების გადაცემისა და დამუშავების მიზნით, გამოიყენება ამ შეთანხმების III კარის (თავისუფლება, უსაფრთხოება და მართლმსაჯულება)“ მე-14 მუხლი.

მუხლი 394

თაღლითობის, კორუფციისა და დარღვევების პრევენცია

1. ევროკავშირისა და საქართველოს ორგანოები რეგულარულად შეამოწმებენ, თუ რამდენად სათანადოდ განხორციელდა ევროკავშირის სახსრებით დაფინანსებული ოპერაციები. ისინი მიიღებენ ნებისმიერ შესაბამის ზომას დარღვევებისა და თაღლითობის პრევენციისა და გამოსწორების მიზნით.

2. ევროკავშირისა და საქართველოს ორგანოები მიიღებენ ნებისმიერ სათანადო ზომას ნებისმიერი აქტიური თუ პასიური კორუფციის პრაქტიკის აღმოფხვრისა და ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის მიზნით ევროკავშირის დაფინანსების გამოყენებასთან დაკავშირებული პროცედურების ნებისმიერ ეტაპზე.

3. საქართველოს ხელისუფლების ორგანოები ევროკომისიას შეატყობინებენ ნებისმიერი პრევენციული ზომების შესახებ.

4. ევროკომისიას უფლება აქვს მიიღოს მტკიცებულება 2002 წლის 25 ივნისის საბჭოს No1605/2002 რეგულაციის 56-ე მუხლის შესაბამისად (EC, Euratom) ევროგაერთიანების საერთო ბიუჯეტის მიმართ გამოყენებული ფინანსური რეგულაციის შესახებ.

5. კერძოდ, ევროკომისია ასევე უფლებამოსილია მიიღოს მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ შესყიდვებისა და გრანტების შესახებ პროცედურები აკმაყოფილებს გამჭვირვალობის, თანაბარი მოპყრობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპებს, ხელს უშლის ნებისმიერი სახის ინტერესთა კონფლიქტს, სთავაზობს საერთაშორისოდ მიღებული სტანდარტების ექვივალენტურ გარანტიებს, და უზრუნველყოფს სანდო ფინანსური მართვის დებულებებთან შესაბამისობას.

6. თავიანთი საკუთარი პროცედურების შესაბამისად, მხარეები უზრუნველყოფენ ევროკავშირის დაფინანსების იმპლემენტაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის ერთმანეთისთვის მიწოდებას და ერთმანეთს დაუყოვნებლივ ატყობინებენ თავიანთ პროცედურებში ან სისტემებში განხორციელებული ნებისმიერი ძირეული ცვლილების შესახებ.

მუხლი 395

სამართალწარმოება, გამოძიება და სასამართლო დევნა

საქართველოს ხელისუფლების ორგანოები, ეროვნული ან ევროკავშირის მიერ განხორციელებული კონტროლის შემდგომ, წამოიწყებენ სამართალწარმოებას, საჭიროების შემთხვევაში, გამოძიებისა და სასამართლო დევნის ჩათვლით, თაღლითობის, კორუფციის ან ნებისმიერი სხვა დარღვევის, მათ შორის, ინტერესთა კონფლიქტის, საეჭვო და რეალური შემთხვევების მიმართ. საჭიროების შემთხვევაში, ევროპის თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისს შეუძლია, საქართველოს კომპეტენტურ უწყებას გაუწიოს დახმარება ამ საქმიანობის განხორციელებისას.

მუხლი 396

თაღლითობის, კორუფციისა და დარღვევების შესახებ შეტყობინება

1. საქართველოს ხელისუფლების ორგანოები ევროკომისიას დაუყოვნებლივ გადასცემენ ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც მათ შეიტყვეს თაღლითობის ან კორუფციის რეალურ საქმეებთან დაკავშირებით, ასევე, საქართველოს ხელისუფლების ორგანოები ევროკომისიას, დაუყოვნებლივ შეატყობინებენ ნებისმიერი დარღვევის შესახებ, რაც მოიცავს ინტერესთა კონფლიქტს ევროკავშირის დაფინანსების იმპლემენტაციასთან დაკავშირებით. თაღლითობისა და კორუფციის საეჭვო საქმეებთან დაკავშირებით, ევროპის თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისი და ევროკომისია ასევე იქნებიან ინფორმირებულნი.

2. საქართველოს ხელისუფლების ორგანოები ასევე წარადგენენ ანგარიშს ყველა იმ ზომასთან დაკავშირებით, რომლებიც გატარებულია წინამდებარე მუხლის შესაბამისად შეტყობინებულ ფაქტებთან მიმართებით. თაღლითობის, კორუფციის ან ნებისმიერი სხვა დარღვევის არარსებობის შემთხვევაში, საქართველოს ხელისუფლების ორგანოები ევროკომისიას შეატყობინებენ ყოველი კალენდარული წლის ბოლოს.

მუხლი 397

აუდიტი

1. ევროკომისია და ევროპის აუდიტორთა სასამართლო უფლებამოსილნი არიან განიხილონ არის თუ არა ევროკავშირის დაფინანსების იმპლემენტაციასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი გაწეული კანონიერი და ჩვეული ფორმით და რამდენად სანდო იყო ფინანსური მართვა.

2. აუდიტი განხორციელდება აღებული ვალდებულებებისა და გადახდის საფუძველზე. აუდიტი, შეიძლება, ჩატარდეს ჩანაწერებზე დაყრდნობით და, აუცილებლობის შემთხვევაში, განხორციელდეს ადგილზე ევროკავშირის დაფინანსების იმპლემენტაციის პროცესის მართვის განმახორციელებელი ან ამ პროცესში მონაწილე რომელიმე დაწესებულების შენობაში. აუდიტი, შესაძლოა, განხორციელდეს ხსენებული ფინანსური წლის ანგარიშების დახურვამდე და ბალანსის გადახდის თარიღიდან ხუთი წლის განმავლობაში.

3. ევროკომისიის ინსპექტორებს ან სხვა პირებს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ მანდატი ევროკომისიის ან ევროპის აუდიტორთა სასამართლოს მიერ, შეუძლიათ ჩაატარონ დოკუმენტური ან ადგილზე შემოწმებები და აუდიტი ევროკავშირის დაფინანსების იმპლემენტაციის პროცესის მართვის განმახორციელებელი ან ამ პროცესში მონაწილე რომელიმე დაწესებულების ან საქართველოში მათი ქვე-კონტრაქტორების შენობაში.

4. ევროკომისიის ინსპექტორებისა ან სხვა პირებისთვის, რომლებსაც მინიჭებული აქვთ მანდატი ევროკომისიის ან ევროპის აუდიტორთა სასამართლოს მიერ, სათანადო დონეზე ხელმისაწვდომი იქნება შემოწმების ადგილები, სამუშაოები და დოკუმენტები და აუდიტის ჩასატარებლად, მათი ელექტორნული ვერსიები. დაშვების ამ უფლების თაობაზე ინფორმირებული იქნება საქართველოს ყველა საჯარო ინსტიტუტი, რაც ნათლად უნდა გაიწეროს წინამდებარე ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული მექანიზმების შესრულების მიზნით გაფორმებულ კონტრაქტებში.

5. ზემოხსენებული შემოწმება და აუდიტი გავრცელდება ევროკავშირის დაფინანსების მიმღებ ყველა კონტრაქტორსა და ქვე-კონტარქტორზე. მათი დავალებების შესრულების პროცესში, ევროპის აუდიტორთა სასამართლო და საქართველოს აუდიტორული ორგანოები ითანამშრომლებენ ნდობის სულისკვეთებით, დამოუკიდებლობის შენარჩუნების ფონზე.

მუხლი 398

ადგილზე შემოწმებები

1. ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში, ევროპის თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისი უფლებამოსილია ჩაატაროს ადგილზე შემოწმებები და ინსპექციები ევროკავშირის ფინანსური ინტერესების დაცვის მიზნით, საბჭოს (EC, Euratom) 1996 წლის 11 ნოემბრის ევროგაერთიანებების ფინანსური ინტერესების თაღლითობისა და სხვა დარღვევებისგან დაცვის მიზნით, ევროკომისიის მიერ ადგილზე შემოწმებებისა და ინსპექციების ჩატარების შესახებ N 2185/96 რეგულაციის დებულებების შესაბამისად.

2. ადგილზე შემოწმებები და ინსპექციები მომზადდება და ჩატარდება ევროპის თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის მიერ საქართველოს კომპეტენტურ ორგანოებთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით, საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობის გათვალისწინებით.

3. საქართველოს ხელისუფლების ორგანოები, დროულად იქნებიან ინფორმირებულნი შემოწმებებისა და ინსპექციების ამოცანის, მიზნისა და სამართლებრივი საფუძვლის თაობაზე, რათა მათ შეძლონ ყველა საჭირო დახმარების აღმოჩენა. ამ მიზნით, საქართველოს კომპეტენტური ორგანოების თანამდებობის პირებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ადგილზე შემოწმებებსა და ინსპექციებში.

4. თუ საქართველოს ხელისუფლების ხსენებული ორგანოები გამოხატავენ ინტერესს, ადგილზე შემოწმებები და ინსპექციები ჩატარდება ერთობლივად ევროპის თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისისა და მათ მიერ.

5. ეკონომიკური ოპერატორის მიერ ადგილზე შემოწმებებისა ან ინსპექციების მიმართ წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში, საქართველოს ხელისუფლების ორგანოები, იმოქმედებენ რა ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, ევროპის თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისს აღმოუჩენენ იმგვარ დახმარებას, რაც საჭიროა მის მიერ ადგილზე შემოწმებებისა და ინსპექციების ჩასატარებლად.

მუხლი 399

ადმინისტრაციული ზომები და ჯარიმები

საქართველოს კანონმდებლობისთვის ზიანის მიყენების გარეშე, ადმინისტრაციული ზომები და ჯარიმები შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ევროკომისიის მიერ, (EC, Euratom) N 1605/2002 რეგულაციის და ევროპის თანამეგობრობების ერთიანი ბიუჯეტის მიმართ გამოყენებული ფინანსური რეგულაციების თაობაზე საბჭოს (EC, Euratom) No 1605/2002 რეგულაციის იმპლემენტაციის შესახებ დეტალური წესების განმსაზღვრელი 2002 წლის 23 დეკემბრის (EC, Euratom) N 2342/2002 რეგულაციის ასევე, 1995 წლის 18 დეკემბრის (EC, Euratom) N 2988/95 საბჭოს რეგულაციის შესაბამისად, რომელიც ეხება ევროპის გაერთიანებების ფინანსური ინტერესების დაცვას.

მუხლი 400

ანაზღაურება

1. საქართველოს ხელისუფლების ორგანოები მიიღებენ ყველა სათანადო ზომას, რათა შეასრულონ ქვემოთ მოცემული დებულებები, რომლებიც ეხება სამთავრობო ფინანსური უწყებისათვის უკანონოდ გადახდილი ევროკავშირის ფულადი სახსრების ანაზღაურებას.

2. იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოს ხელისუფლების ორგანოებს ევალებათ ევროკავშირის დაფინანსების იმპლემენტაცია, ევროკომისია უფლებამოსილია დაიბრუნოს უკანონოდ გადახდილი ევროკავშირის ფულადი სახსრები, კერძოდ, ფინანსური შესწორებების გზით. ევროკომისია მხედველობაში მიიღებს საქართველოს ხელისუფლების ორგანოების მიერ ევროკავშირის სახსრების დაკარგვის პრევენციის მიზნით მიღებულ ზომებს.

3. თანხის დაბრუნების შესახებ ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებამდე, ევროკომისია კონსულტაციებს გამართავს საქართველოსთან აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. თანხის დაბრუნებასთან დაკავშირებული დავები წარიმართება ასოცირების საბჭოს ფარგლებში.

4. იმ შემთხვევაში, როდესაც ევროკომისია განახორციელებს ევროკავშირის დაფინანსების იმპლემენტაციას პირდაპირ ან არაპირდაპირ, მესამე მხარისათვის ბიუჯეტის შესრულების ვალდებულების გადაცემის მეშვეობით, ევროკომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, ფინანსური დახმარებისა და თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლსა და კონტროლის შესახებ დებულებების თაობაზე წინამდებარე შეთანხმების VII კარის ფარგლებში, რომლითაც ფულადი ვალდებულებები ეკისრება პირებს და არა სახელმწიფოებს, საქართველოში აღსრულდება შემდეგი პრინციპების შესაბამისად:

(a) აღსრულების პროცესი დარეგულირდება საქართველოში მოქმედი სამოქალაქო პროცედურის თანახმად. მისი აღსრულების წესი თან დაერთვება გადაწყვეტილებას, ყველანაირი ფორმალობის გარეშე, გარდა გადაწყვეტილების აუთენტურობის დამოწმებისა იმ ეროვნული ორგანოს მიერ, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ დაინიშნება აღნიშნული მიზნისთვის და ამის თაობაზე შეტყობინება გაეგზავნება ევროკომისიასა და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს.

(b) შესაბამისი მხარის მიერ განცხადებასთან დაკავშირებული ფორმალობების დასრულების შემდგომ, მხარეს შეუძლია აღსრულების პროცესი გააგრძელოს საქართველოს სამართლის შესაბამისად, საკითხის პირდაპირ კომპეტენტური ორგანოსათვის გადაცემის გზით.

(c) აღსრულება შეიძლება შეჩერდეს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებით. თუმცა, საქართველოს შესაბამის სასამართლოებს უნდა გააჩნდეთ იურისდიქცია იმ სარჩელებთან დაკავშირებით, რომლის თანახმად აღსრულება მიმდინარეობდა არარეგულარული წესით.

5. აღსრულების ორდერი გაიცემა საქართველოს მთავრობის დანიშნული ორგანოს მიერ, მხოლოდ აქტის აუთენტურობის დადგენით, სხვა ყოველგვარი კონტროლის გარეშე, აღსრულება განხორციელდება საქართველოს წესებისა და პროცედურების შესაბამისად. აღსრულების შესახებ ევროკავშირის შესაბამისი ორგანოს გადაწყვეტილების კანონიერება დაექვემდებარება ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს კონტროლს.

6. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები აღსრულდება ანალოგიური პირობებით, წინამდებარე თავით გათვალისწინებული კონტრაქტის არბიტრაჟის შესახებ მუხლის თანახმად.

მუხლი 401

კონფიდენციალურობა

წინამდებარე თავის შესაბამისად შეტყობინებული თუ მიღებული ინფორმაცია მოექცევა პროფესიული საიდუმლოების ფარგლებში და დაცული იქნება იგივე გზით, როგორც ანალოგიური ინფორმაცია დაცულია საქართველოს სამართლის მიხედვით და ევროკავშირის ინსტიტუტებისთვის მოქმედი შესაბამისი დებულებებით. ამგვარი ინფორმაცია, შესაძლოა, გადაეცეს მხოლოდ ევროკავშირის ინსტიტუტებში, წევრ სახელმწიფოებსა თუ საქართველოში არსებულ იმ პირებს, რომელთა ფუნქციები ითვალისწინებს მათ მიერ ამ ინფორმაციის ცოდნას. ასევე, აღნიშნული ინფორმაციის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა ფინანსური ინტერესების დაცვის ეფექტიანი უზრუნველყოფის მიზნით.

მუხლი 402

კანონმდებლობის დაახლოება

საქართველო მოახდენს ეროვნული კანონმდებლობის დაახლოებას წინამდებარე შეთანხმების XXXIV დანართში მითითებულ ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან, ამავე დანართის დებულებების შესაბამისად.

კარი VIII

ინსტიტუციური, ზოგადი და დასკვნითი დებულებები

თავი 1

ინსტიტუციური ჩარჩო

მუხლი 403

მხარეებს შორის პოლიტიკური დიალოგი, დარგობრივ თანამშრომლობასთან დაკავშირებული საკითხების ჩათვლით, შესაძლოა, გაიმართოს ნებისმიერ დონეზე. მაღალი დონის პერიოდული პოლიტიკური დიალოგი გაიმართება ასოცირების საბჭოს ფარგლებში, 404-ე მუხლის შესაბამისად, ასევე, ორივე მხარის წარმომადგენლებს შორის რეგულარული შეხვედრების ფარგლებში მინისტრების დონეზე, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე.

ასოცირების საბჭო

მუხლი 404

1. ამრიგად, იქმნება ასოცირების საბჭო. იგი ზედამხედველობასა და მონიტორინგს გაუწევს წინამდებარე შეთანხმების გამოყენებასა და შესრულებას და პერიოდულად გადახედავს ამ შეთანხმების ფუნქციონირების საკითხს მისი მიზნებიდან გამომდინარე.

2. ასოცირების საბჭო შეიკრიბება მინისტრების დონეზე რეგულარულად, მინიმუმ წელიწადში ერთხელ, და როდესაც ამას საჭიროება მოითხოვს. ასოცირების საბჭო, შესაძლებელია, შეიკრიბოს ნებისმიერი კონფიგურაციით, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე.

3. წინამდებარე შეთანხმების გამოყენებისა და შესრულების ზედამხედველობისა და მონიტორინგის გარდა, ასოცირების საბჭო განიხილავს შეთანხმების ფარგლებში წარმოშობილ ნებისმიერ მნიშვნელოვან საკითხს და საერთო ინტერესთა სფეროში შემავალ

ნებისმიერ სხვა ორმხრივ თუ მრავალმხრივ საკითხს.

მუხლი 405

1. ასოცირების საბჭო შედგება, ერთის მხრივ, ევროკავშირის საბჭოს წევრებისა და ევროკომისიის წევრების და, მეორეს მხრივ, საქართველოს მთავრობის წევრებისგან.

2. ასოცირების საბჭო შეიმუშავებს საკუთარ საპროცედურო წესებს.

3. ასოცირების საბჭოს მონაცვლეობით უხელმძღვანელებს ევროკავშირის წარმომადგენელი და საქართველოს წარმომადგენელი.

4. საჭიროებისამებრ, და ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, მხარეთა სხვა ორგანოების წარმომადგენლები ასოცირების საბჭოს მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ დამკვირვებლის სტატუსით.

მუხლი 406

1. წინამდებარე შეთანხმების მიზნების მისაღწევად, ასოცირების საბჭო უფლებამოსილია ამ შეთანხმების ფარგლებში მიიღოს გადაწყვეტილებები. გადაწყვეტილებები სავალდებულოა მხარეებისთვის, რომლებიც, გადაწყვეტილებების იმპლემენტაციის მიზნით, მიიღებენ შესაბამის ზომებს, რაც, საჭიროების შემთხვევაში, ასევე მოიცავს წინამდებარე შეთანხმების დებულებების თანახმად, ამ შეთანხმების საფუძველზე შექმნილი კონკრეტული ორგანოების მიერ განხორციელებულ ქმედებას. ასოცირების საბჭოს, ასევე, შეუძლია შეიმუშაოს რეკომენდაციები. იგი თავის გადაწყვეტილებებსა და რეკომენდაციებს მიიღებს მხარეთა შორის შეთანხმების საფუძველზე, თითოეული მხარის მიერ შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დასრულების შემდგომ, საჭიროებისამებრ.

2. წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული, საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ეტაპობრივი დაახლოების მიზნის შესაბამისად, ასოცირების საბჭო წარმოადგენს ფორუმს ინფორმაციის გაცვლისთვის ევროკავშირისა და საქართველოს, როგორც მომზადების პროცესში მყოფ, ასევე ძალაში შესული შესაბამისი საკანონმდებლო აქტებისა და იმპლემენტაციის, აღსრულებისა და შესაბამისობის ზომების თაობაზე.

3. წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ასოცირების საბჭო უფლებამოსილია განაახლოს ან შეასწოროს ამ შეთანხმების დანართები, წინამდებარე შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) ნებისმიერი კონკრეტული დებულებისათვის ზიანის მიუყენებლად.

ასოცირების კომიტეტი

მუხლი 407

1. ამრიგად, იქმნება ასოცირების კომიტეტი. იგი ასოცირების საბჭოს დაეხმარება მისი მოვალეობებისა და ფუნქციების შესრულებაში.

2. ასოცირების კომიტეტი შედგება მხარეთა წარმომადგენლებისგან, ძირითადად, მაღალი თანამდებობის საჯარო მოხელეების დონეზე.

3. ასოცირების კომიტეტს მონაცვლეობით უხელმძღვანელებს ევროკავშირისა და საქართველოს წარმომადგენელი.

მუხლი 408

1. ასოცირების საბჭო თავის საპროცედურო წესებში განსაზღვრავს ასოცირების კომიტეტის მოვალეობებსა და ფუნქციებს. ასოცირების კომიტეტის მოვალეობები მოიცავს ასოცირების საბჭოს შეხვედრების მომზადებას. ასოცირების კომიტეტი შეიკრიბება მინიმუმ, წელიწადში ერთხელ და ასევე, როდესაც მხარეები შეთანხმდებიან, რომ სიტუაცია ამას მოითხოვს.

2. ასოცირების საბჭოს შეუძლია ასოცირების კომიტეტს გადასცეს ნებისმიერი მისი უფლებამოსილება, მათ შორის, უფლებამოსილება, მიიღოს სავალდებულო გადაწყვეტილებები.

3. ასოცირების კომიტეტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებულ შემთხვევებში და ასოცირების საბჭოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილების სფეროებში, როგორც ეს მითითებულია ასოცირების საბჭოს შესახებ 406-ე მუხლის პირველ პუნქტში. ეს გადაწყვეტილებები სავალდებულოა მხარეთათვის, რომლებიც მიიღებენ შესაბამის ზომებს მათი იმპლემენტაციის მიზნით. ასოცირების კომიტეტი მიიღებს გადაწყვეტილებებს მხარეთა შორის შეთანხმების საფუძველზე, შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების გათვალისწინებით.

4. ასოცირების კომიტეტი შეიკრიბება სპეციალური კონფიგურაციით რათა განიხილოს ყველა საკითხი, რაც უკავშირდება წინამდებარე შეთანხმების IV კარს (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხები). ასოცირების კომიტეტი აღნიშნული კონფიგურაციით შეიკრიბება მინიმუმ წელიწადში ერთხელ.

მუხლი 409

სპეციალური კომიტეტები, ქვე-კომიტეტები და ორგანოები

1. ასოცირების კომიტეტს დაეხმარება წინამდებარე შეთანხმების საფუძველზე შექმნილი ქვე-კომიტეტები.

2. ასოცირების საბჭოს კონკრეტულ სფეროებთან მიმართებით შეუძლია შექმნას სპეციალური კომიტეტი ან ორგანო, რომელიც აუცილებელია წინამდებარე შეთანხმების იმპლემენტაციისათვის და განსაზღვროს ხსენებული სპეციალური კომიტეტების ან ორგანოების შემადგენლობა, მათი მოვალეობები და ფუნქციები. ამას გარდა, ამგვარ სპეციალურ კომიტეტებს ან ორგანოებს შეუძლიათ გამართონ განხილვები ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, რომელსაც ისინი ჩათვლიან რელევანტურად შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) ნებისმიერი კონკრეტული დებულებისათვის ზიანის მიუყენებლად.

3. ასოცირების კომიტეტს ასევე შეუძლია ჩამოაყალიბოს ქვე-კომიტეტები წინამდებარე შეთანხმების V კარსა (ეკონომიკური თანამშრომლობა) და VI კარში (თანამშრომლობის სხვა სფეროები) გათვალისწინებულ რეგულარულ დიალოგებში მიღწეული პროგრესის შეჯამების მიზნით;

4. ქვე-კომიტეტები უფლებამოსილნი არიან მიიღონ გადაწყვეტილებები წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ისინი, მოთხოვნის შესაბამისად, თავიანთი საქმიანობის შესახებ რეგულარულ ანგარიშს წარუდგენენ ასოცირების კომიტეტს.

5. წინამდებარე შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) საფუძველზე შექმნილი ქვე-კომიტეტები სავაჭრო კონფიგურაციით ასოცირების კომიტეტს, წინამდებარე შეთანხმების 408-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, შეატყობინებენ თავიანთი შეხვედრების თარიღისა და დღის წესრიგის შესახებ შეხვედრებამდე საკმარისი პერიოდით ადრე. ქვე-კომიტეტები თავიანთი საქმიანობის შესახებ ანგარიშს წარადგენენ სავაჭრო კონფიგურაციით ასოცირების კომიტეტის ყოველი რეგულარული შეხვედრის დროს.

6. ნებისმიერი ქვე-კომიტეტის არსებობა ხელს არ შეუშლის რომელიმე მხარეს, რომ საკითხი პირდაპირ დასვას ასოცირების კომიტეტის წინაშე, სავაჭრო კონფიგურაციის ჩათვლით.

საპარლამენტო ასოცირების კომიტეტი

მუხლი 410

1. ამრიგად, იქმნება საპარლამენტო ასოცირების კომიტეტი. კომიტეტი წარმოადგენს ფორუმს ევროპარლამენტისა და საქართველოს პარლამენტის წევრთა შეხვედრისა და აზრთა გაცვლისთვის. კომიტეტი შეიკრიბება მის მიერ განსაზღვრული ინტერვალების შესაბამისად.

2. საპარლამენტო ასოცირების კომიტეტი შედგება, ერთის მხრივ, ევროპარლამენტის წევრებისა და, მეორეს მხრივ, საქართველოს პარლამენტის წევრებისგან.

3. საპარლამენტო ასოცირების კომიტეტი შეიმუშავებს საკუთარ საპროცედურო წესებს.

4. საპარლამენტო ასოცირების კომიტეტს, საპროცედურო წესებით დადგენილი დებულებების შესაბამისად, მონაცვლეობით უხელმძღვანელებენ ევროპარლამენტის წარმომადგენელი და საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელი.

მუხლი 411

1. საპარლამენტო ასოცირების კომიტეტს ასოცირების საბჭოსგან შეუძლია მოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია წინამდებარე შეთანხმების იმპლემენტაციასთან დაკავშირებით. ასოცირების საბჭო საპარლამენტო ასოცირების კომიტეტს მიაწვდის მოთხოვნილ ინფორმაციას.

2. საპარლამენტო ასოცირების კომიტეტი ინფორმირებული იქნება ასოცირების საბჭოს გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების შესახებ.

3. საპარლამენტო ასოცირების კომიტეტს შეუძლია ასოცირების საბჭოსთვის რეკომენდაციების მიცემა.

4. საპარლამენტო ასოცირების კომიტეტს შეუძლია შექმნას საპარლამენტო ასოცირების ქვე-კომიტეტები.

სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმა

მუხლი 412

1. მხარეები ასევე ხელს შეუწყობენ თავიანთი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა რეგულარულ შეხვედრებს, წინამდებარე შეთანხმების იმპლემენტაციის თაობაზე მათი ინფორმირებისა და მათი ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით.

2. შესაბამისად, იქმნება ევროკავშირი-საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმა. ეს უკანასკნელი წარმოადგენს ფორუმს შეხვედრისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლისთვის და შედგება ევროკავშირის მხრიდან სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისგან, ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის წევრების ჩათვლით, და საქართველოს მხრიდან სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისგან, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ეროვნული პლატფორმის წარმომადგენელთა ჩათვლით. კომიტეტი შეიკრიბება მის მიერ განსაზღვრული ინტერვალების

შესაბამისად.

3. სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმა შეიმუშავებს საკუთარ საპროცედურო წესებს.

4. სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმას მონაცვლეობით უხელმძღვანელებენ ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის წარმომადგენელი და საქართველოს მხრიდან - სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, საპროცედურო წესებით დადგენილი დებულებების შესაბამისად.

მუხლი 413

1. სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმა ინფორმირებული იქნება ასოცირების საბჭოს გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების შესახებ.

2. სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმას შეუძლია ასოცირების საბჭოსათვის რეკომენდაციების მიცემა.

3. ასოცირების კომიტეტი და საპარლამენტო ასოცირების კომიტეტი უზრუნველყოფენ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან რეგულარული კონტაქტების დამყარებას, რათა შეიტყონ მათი მოსაზრებები წინამდებარე შეთანხმების მიზნების მიღწევასთან დაკავშირებით.

თავი 2

ზოგადი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 414

სასამართლოებისა და ადმინისტრაციული ორგანოების ხელმისაწვდომობა

წინამდებარე შეთანხმების ფარგლებში, თითოეული მხარე ვალდებულებას იღებს, უზრუნველყოს, რომ მეორე მხარის ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის, თავიანთ საკუთარ მოქალაქეებთან მიმართებით დისკრიმინაციის გარეშე, ხელმისაწვდომი იქნება მხარეთა კომპეტენტური სასამართლოები და ადმინისტრაციული ორგანოები პირადი უფლებების დასაცავად, საკუთრების უფლების ჩათვლით.

მუხლი 415

გამონაკლისები უსაფრთხოების თვალსაზრისით

წინამდებარე შეთანხმებაში არაფერი შეუშლის ხელს მხარეს მიიღოს ნებისმიერი ზომა:

(a) რომელსაც იგი საჭიროდ მიიჩნევს, რათა თავიდან იქნეს აცილებული ინფორმაციის გამჟღავნება მხარის ძირითადი უსაფრთხოების ინტერესების საწინააღმდეგოდ;

(b) რომელიც დაკავშირებულია იარაღის, სამხედრო აღჭურვილობის ან საბრძოლო მასალების წარმოებასთან ან ვაჭრობასთან, ან თავდაცვის მიზნებისათვის აუცილებელ კვლევასთან, განვითარებასა თუ წარმოებასთან, იმ პირობით, რომ ასეთი ზომები ზიანს არ

მიაყენებს კონკურენციის პირობებს იმ პროდუქტებთან მიმართებით, რომლებიც არ არის გამიზნული კონკრეტულად სამხედრო დანიშნულებისთვის;

(c) რომელსაც იგი მნიშვნელოვნად მიიჩნევს საკუთარი უსაფრთხოებისათვის, იმ შემთხვევაში, თუ სერიოზული შიდა არეულობები გავლენას ახდენს კანონისა და წესრიგის შენარჩუნებაზე, ომის ან სერიოზული საერთაშორისო დაძაბულობის დროს, რომელიც შეიცავს ომის საფრთხეს, ან მშვიდობისა და საერთაშორისო უსაფრთხოების შენარჩუნების მიზნით მის მიერ აღებული ვალდებულებების შესასრულებლად.

მუხლი 416

დისკრიმინაციის აკრძალვა

1. წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებულ სფეროებში და მასში მოცემული კონკრეტული დებულებებისათვის ზიანის მიუყენებლად:

(a) საქართველოს მიერ ევროკავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოების მიმართ გამოყენებულმა ღონისძიებებმა არ უნდა წარმოშვას რაიმე სახის დისკრიმინაცია წევრ სახელმწიფოებს, მათ მოქალაქეებს, კომპანიებსა თუ ფირმებს შორის;

(b) ევროკავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოების მიერ საქართველოს მიმართ გამოყენებულმა ღონისძიებებმა არ უნდა წარმოშვას რაიმე სახის დისკრიმინაცია საქართველოს მოქალაქეებს, კომპანიებსა თუ ფირმებს შორის.

2. პირველი პუნქტის დებულებები ზიანს არ მიაყენებს მხარეთა უფლებებს, გამოიყენონ თავიანთი ფისკალური კანონმდებლობის შესაბამისი დებულებები გადასახადების იმ გადამხდელთა მიმართ, რომლებიც არ არიან იდენტურ სიტუაციაში თავიანთი საცხოვრებელი ადგილის თვალსაზრისით.

მუხლი 417

ეტაპობრივი დაახლოება

საქართველო განახორციელებს თავისი კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის სამართალთან, როგორც ეს გათვალისწინებულია წინამდებარე შეთანხმების დანართებში წინამდებარე შეთანხმებით განსაზღვრული ვალდებულებების საფუძველზე და ამ დანართების დებულებათა შესაბამისად. ეს დებულება ზიანს არ მიაყენებს ამ შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) დაახლოებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ კონკრეტულ პრინციპსა და ვალდებულებას.

მუხლი 418

დინამიური დაახლოება

საქართველოს მიერ ევროკავშირის სამართალთან ეტაპობრივი დაახლოების მიზნების შესაბამისად, ასოცირების საბჭო პერიოდულად გადახედავს და განაახლებს წინამდებარე შეთანხმების დანართებს, მათ შორის ევროკავშირის სამართლისა და მხარეთა მიერ მართებულად მიჩნეულ საერთაშორისო დოკუმენტებში განმტკიცებული შესაბამისი სტანდარტების განვითარების ასახვის მიზნით, თითოეული მხარის მიერ შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დასრულების შემდგომ, საჭიროების შემთხვევაში. ეს დებულება ზიანს არ მიაყენებს წინამდებარე შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) ნებისმიერ კონკრეტულ დებულებას.

მუხლი 419

1. მონიტორინგი ნიშნავს წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული იმპლემენტაციისა და აღსრულების ზომების პროგრესის მუდმივ შეფასებას.

2. მონიტორინგი მოიცავს ევროკავშირის მიერ საქართველოს სამართლის ევროკავშირის სამართალთან წინამდებარე შეთანხმებით განსაზღვრული დაახლოების, იმპლემენტაციისა და აღსრულების ასპექტების ჩათვლით, შეფასებებს. ეს შეფასებები შესაძლოა, ჩატარდეს ევროკავშირის მიერ ინდივიდუალურად, საკუთარი ინიციატივის საფუძველზე, როგორც ეს განსაზღვრულია წინამდებარე შეთანხმების IV კარში (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები), ევროკავშირის მიერ საქართველოსთან შეთანხმებით, ან ერთობლივად მხარეების მიერ. შეფასების პროცესის ხელშეწყობის მიზნით, საქართველო ევროკავშირს წარუდგენს ანგარიშს დაახლოების პროგრესის შესახებ, შესაძლებლობისამებრ, შეთანხმებით გათვალისწინებული გარდამავალი პერიოდების დასრულებამდე, ევროკავშირის სამართლებრივ აქტებთან მიმართებით. ანგარიშებისა და შეფასების სისტემა, შეფასებების მოდალობებისა და სიხშირის ჩათვლით, გაითვალისწინებს წინამდებარე შეთანხმებით განსაზღვრულ მოდალობებს ან ამ შეთანხმებით ჩამოყალიბებული ინსტიტუციური ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყეტილებებს.

3. მონიტორინგი შესაძლოა მოიცავდეს ადგილზე მონიტორინგის მისიებს, ევროკავშირის ინსტიტუტების, ორგანოებისა და სააგენტოების, არასამთავრობო ორგანოების, ზედამხედველობის ორგანოების, დამოუკიდებელი ექსპერტებისა და, საჭიროებისამებრ, სხვების მონაწილეობით.

4. მონიტორინგის საქმიანობის შედეგები, ამ მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული დაახლოების შეფასებების ჩათვლით, განიხილება წინამდებარე შეთანხმებით შექმნილ ყველა შესაბამის ორგანოში. ამგვარ ორგანოებს შეუძლიათ შეიმუშაონ ერთობლივი რეკომენდაციები, რომლებიც გადაეცემა ასოცირების საბჭოს.

5. თუ მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე შეთანხმების IV კარში (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) ჩამოთვლილი აუცილებელი ზომები შესრულდა და მიმდინარეობს მათი აღსრულება, ასოცირების საბჭო, წინამდებარე შეთანხმების 406-ე და 408-ე მუხლებში განმტკიცებული უფლებამოსილების საფუძველზე, მიიღებს გადაწყვეტილებას ბაზრის შემდგომ გახსნასთან დაკავშირებით, როგორც ეს გათვალისწინებულია წინამდებარე შეთანხმების IV კარში (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები).

6. ასოცირების საბჭოსათვის ერთობლივი რეკომენდაციის წარდგენა, როგორც ეს გათვალისწინებულია ამ მუხლის მე-4 პუნქტით, ან თუ ამგვარი რეკომენდაცია ვერ იქნა მიღებული, არ გახდება დავების მოგვარების საგანი, როგორც ეს განსაზღვრულია წინამდებარე შეთანხმების IV კარში (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები). შესაბამისი ინსტიტუციური ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, ან თუ ამგვარი გადაწყვეტილება ვერ იქნა მიღებული, არ გახდება დავების მოგვარების საგანი, როგორც ეს განსაზღვრულია წინამდებარე შეთანხმების IV კარით (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები).

მუხლი 420

ვალდებულებების შესრულება

1. მხარეები მიიღებენ ნებისმიერ ზოგად ან კონკრეტულ ზომას, რაც აუცილებელია წინამდებარე შეთანხმებით განსაზღვრული ვალდებულებების შესასრულებლად. ისინი უზრუნველყოფენ ამ შეთანხმებით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას.

2. მხარეები თანხმდებიან, რომ, რომელიმე მხარის მოთხოვნის საფუძველზე, შესაბამისი არხების მეშვეობით, დაუყოვნებლივ გამართავენ კონსულტაციებს წინამდებარე შეთანხმების განმარტებასთან, შესრულებასთან, ან კეთილსინდისიერად გამოყენებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხისა და მხარეებს შორის ურთიერთოებების შესაბამისი ასპექტების განხილვის მიზნით.

3. თითოეული მხარე ასოცირების საბჭოს განსახილველად წარუდგენს ნებისმიერ დავას, რომელიც დაკავშირებულია წინამდებარე შეთანხმების განმარტებასთან, შესრულებასთან, ან მის კეთილსინდისიერად გამოყენებასთან, დავების მოგვარების შესახებ 421-ე მუხლის შესაბამისად. ასოცირების საბჭოს შეუძლია დავების მოგვარება სავალდებულო გადაწყვეტილების მიღების გზით.

მუხლი 421

დავების მოგვარება

1. მხარეებს შორის წინამდებარე შეთანხმების განმარტების, შესრულების, ან კეთილსინდისიერად გამოყენების თაობაზე დავის წარმოშობის შემთხვევაში, ნებისმიერი მხარე მეორე მხარესა და ასოცირების საბჭოს წარუდგენს ოფიციალურ მოთხოვნას საკითხის მოგვარების თაობაზე. გამონაკლისის სახით, წინამდებარე შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) განმარტებასთან, შესრულებასთან, ან კეთილსინდისიერად გამოყენებასთან დაკავშირებული დავები ცალკე დარეგულირდება წინამდებარე შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) მე-14 თავის (დავების მოგვარება) მეშვეობით.

2. მხარეები ეცდებიან დავა მოაგვარონ ასოცირების საბჭოსა და წინამდებარე შეთანხმების 407-ე და 409-ე მუხლების საფუძველზე შექმნილი სხვა შესაბამისი ორგანოების ფარგლებში კეთილსინდისიერი კონსულტაციების წარმართვის მეშვეობით, შეძლებისდაგვარად მოკლე დროში ორმხრივად მისაღები გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

3. მხარეები ასოცირების საბჭოსა და სხვა შესაბამის ორგანოებს მიაწვდიან ყველანაირ ინფორმაციას, რომელიც საჭიროა სიტუაციის სრულად შესწავლისთვის.

4. მანამ, სანამ დავა არ არის მოგვარებული, იგი განიხილება ასოცირების საბჭოს ყოველ შეხვედრაზე. დავა მოგვარებულად ჩაითვლება, თუ ასოცირების საბჭო მიიღებს საკითხის მოგვარების თაობაზე სავალდებულო გადაწყვეტილებას, როგორც ეს გათვალისწინებულია წინამდებარე შეთანხმების 420-ე მუხლის მე-3 პუნქტით ან როდესაც საბჭო დაადგენს, რომ დავის პროცესი დასრულებულია. დავასთან დაკავშირებული კონსულტაციები შესაძლოა, აგრეთვე გაიმართოს ასოცირების კომიტეტის ან წინამდებარე შეთანხმების 407-ე და 409-ე მუხლების საფუძველზე შექმნილი ნებისმიერი სხვა შესაბამისი ორგანოს რომელიმე შეხვედრაზე, როგორც ეს შეთანხმებული იქნება მხარეებს შორის ან რომელიმე მხარის მოთხოვნის საფუძველზე. კონსულტაციები, შესაძლოა, ასევე წარიმართოს წერილობითი ფორმით.

5. კონსულტაციების განმავლობაში გამჟღავნებული ყველა ინფორმაცია კონფიდენციალურია.

მუხლი 422

შესაბამისი ზომები ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში

1. მხარე მიიღებს შესაბამის ზომებს, თუ დავა არ მოგვარდა დავის მოგვარების შესახებ ოფიციალური მოთხოვნის შესახებ შეტყობინების თარიღიდან სამი თვის განმავლობაში წინამდებარე შეთანხმების 421-ე მუხლის შესაბამისად და თუ მომჩივანი მხარე კვლავ მიიჩნევს, რომ მეორე მხარემ ვერ შეასრულა წინამდებარე შეთანხმებით დაკისრებული ვალდებულება. სამთვიანი კონსულტაციების პერიოდის მოთხოვნა მოიხსნება მხარეთა შორის ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე და არ გამოიყენება გამონაკლისი შემთხვევების დროს, როგორც ეს გათვალისწინებულია ამ მუხლის მე-3 პუნქტით.

2. შესაბამისი ზომების შერჩევისას, პრიორიტეტი მიენიჭება იმ ზომებს, რომლებიც ყველაზე ნაკლებად აბრკოლებს წინამდებარე შეთანხმების ფუნქციონირებას. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევების გარდა, ამგვარი ზომები არ შეიძლება მოიცავდეს წინამდებარე შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) დებულებებით გათვალისწინებული უფლებების ან ვალდებულებების შეჩერებას. ასოცირების საბჭოს დაუყოვნებლივ ეცნობება ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად მიღებული ზომების შესახებ და ეს ზომები გახდება კონსულტაციების საგანი წინამდებარე შეთანხმების 420-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად და დავების მოგვარების საგანი წინამდებარე შეთანხმების 420-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 421-ე მუხლის შესაბამისად.

3. ამ მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებში წარმოდგენილი გამონაკლისები ეხება:

(a) წინამდებარე შეთანხმების დენონსაციას, რასაც არ ითვალისწინებს საერთაშორისო სამართლის ზოგადი წესები, ან

(b) მეორე მხარის მიერ წინამდებარე შეთანხმების ნებისმიერი არსებითი ელემენტის დარღვევას, რაც

მუხლი 423

სხვა შეთანხმებებთან ურთიერთქმედება

1. შესაბამისად, გაუქმებულია 1996 წლის 22 აპრილს, ქ. ლუქსემბურში ხელმოწერილი ერთის მხრივ, ევროპულ თანამეგობრობასა და მის წევრ სახელმწიფოებს და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის „პატრნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ" შეთანხმება, რომელიც ძალაში შევიდა 1999 წლის 1 ივლისს.

2. წინამდებარე შეთანხმება ცვლის პირველ პუნქტში მოხსენიებულ შეთანხმებას. მხარეებს შორის გაფორმებულ ყველა სხვა შეთანხმებაში ზემოაღნიშნულ შეთანხმებაზე მითითება აღიქმება წინამდებარე შეთანხმებაზე მითითებად.

3. წინამდებარე შეთანხმება ასევე, ჩაანაცვლებს შეთანხმებას „ევროკავშირსა და საქართველოს შორის სოფლის მეურნეობისა და სხვა საკვები პროდუქტების გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის შესახებ", რომელსაც ხელი მოეწერა 2011 წლის 14 ივლისს ბრიუსელში და ძალაში შევიდა 2012 წლის 1 აპრილს.

მუხლი 424

1. სანამ, წინამდებარე შეთანხმების საფუძველზე, ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის არ იქნება მიღწეული ექვივალენტური უფლებები, ეს შეთანხმება გავლენას არ მოახდენს, ერთის მხრივ, ერთ ან რამდენიმე წევრ სახელმწიფოსა და, მეორეს მხრივ, საქართველოს შორის არსებული სამართლებრივად სავალდებულო შეთანხმებებით მათთვის მინიჭებულ უფლებებზე.

2. არსებული შეთანხმებები, რომლებიც დაკავშირებულია წინამდებარე შეთანხმების ფარგლებში თანამშრომლობის კონკრეტულ სფეროებთან, განიხილება ამ შეთანხმებით დარეგულირებული საერთო ორმხრივი ურთიერთობების ნაწილად და წარმოადგენს საერთო ინსტიტუციური ჩარჩოს ნაწილს.

მუხლი 425

1. მხარეებს შეუძლიათ შეავსონ ეს შეთანხმება მის ფარგლებში მოქცეულ ნებისმიერ სფეროში კონკრეტული შეთანხმებების დადების გზით. მსგავსი კონკრეტული შეთანხმებები განიხილება წინამდებარე შეთანხმებით დარეგულირებული საერთო ორმხრივი ურთიერთობების ნაწილად და წარმოადგენს საერთო ინსტიტუციური ჩარჩოს ნაწილს.

2. „ევროკავშირის შესახებ" ხელშეკრულებისა და „ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ" ხელშეკრულების შესაბამისი დებულებებისათვის ზიანის მიუყენებლად, არც წინამდებარე შეთანხმება და არც მის საფუძველზე განხორციელებული ქმედება გავლენას არ მოახდენს წევრი სახელმწიფოების უფლებამოსილებაზე, აწარმოონ ორმხრივი თანამშრომლობა საქართველოსთან ან, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოსთან გააფორმონ თანამშრომლობის შესახებ ახალი შეთანხმებები.

მუხლი 426

დანართები და ოქმები

წინამდებარე შეთანხმების დანართები და ოქმები წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 427

მოქმედების ვადა

1. წინამდებარე შეთანხმება იდება განუსაზღვრელი ვადით.

2. ნებისმიერ მხარეს შეუძლია ამ შეთანხმების დენონსაცია მეორე მხარისათვის შეტყობინების გაგზავნის გზით. წინამდებარე შეთანხმება მოქმედებას წყვეტს ამგვარი შეტყობინების მიღების თარიღიდან ექვსი თვის შემდეგ.

მუხლი 428

მხარეების განსაზღვრება

წინამდებარე შეთანხმების მიზნებისთვის, ტერმინი „მხარეები“ ნიშნავს ერთის მხრივ, ევროკავშირს, ან მის წევრ სახელმწიფოებს, ან ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს, თავიანთი შესაბამისი უფლებამოსილების თანახმად, რომელიც გამომდინარეობს „ევროკავშირის შესახებ” ხელშეკრულებიდან და „ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ” ხელშეკრულებიდან, და შესაბამის შემთხვევებში, ევრატომს, „ევროპული ატომური ენერგიის გაერთიანების“ დამფუძნებელი ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებამოსილების თანახმად, და, მეორეს მხრივ, ნიშნავს საქართველოს.

მუხლი 429

ტერიტორიული გამოყენება

1. წინამდებარე შეთანხმება გამოიყენება, ერთის მხრივ, იმ ტერიტორიებზე, რომლებზეც ვრცელდება „ევროკავშირის შესახებ” ხელშეკრულება, „ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ” ხელშეკრულება და „ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანების“ დამფუძნებელი ხელშეკრულება, ამ ხელშეკრულებებით დადგენილი პირობების შესაბამისად, და მეორეს მხრივ, საქართველოს ტერიტორიაზე.

2. წინამდებარე შეთანხმების, ან მისი IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) გამოყენება საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთი რეგიონებთან მიმართებით, რომლებზეც საქართველოს მთავრობა ვერ ახორციელებს ეფექტურ კონტროლს, დაიწყება, როდესაც საქართველოს მიერ, მის მთელ ტერიტორიაზე, უზრუნველყოფილ იქნება წინამდებარე შეთანხმების ან IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) სრული იმპლემენტაცია და შესრულება.

3. ასოცირების საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას იმასთან დაკავშირებით, თუ როდის იქნება უზრუნველყოფილი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე წინამდებარე შეთანხმების ან IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) სრული იმპლემენტაცია და შესრულება.

4. თუ მხარე ჩათვლის, რომ წინამდებარე შეთანხმების ან IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) სრული იმპლემენტაცია და შესრულება, აღარ არის უზრუნველყოფილი ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულ საქართველოს რეგიონებში, ამ მხარეს შეუძლია, ასოცირების საბჭოს მოსთხოვოს ხსენებულ რეგიონებთან მიმართებით შეთანხმების ან IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) განგრძობადი გამოყენების გადახედვა. ასოცირების საბჭო განიხილავს სიტუაციას და მიიღებს გადაწყვეტილებას შეთანხმების ან IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) განგრძობადი გამოყენების თაობაზე, მოთხოვნიდან სამი თვის განმავლობაში. თუ ასოცირების საბჭო გადაწყვეტილებას არ მიიღებს მოთხოვნიდან სამი თვის განმავლობაში, შეთანხმების ან IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) გამოყენება შეჩერდება ხსენებული რეგიონების მიმართ ასოცირების საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე.

5. შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) გამოყენების შესახებ წინამდებარე მუხლის საფუძველზე ასოცირების საბჭოს გადაწყვეტილებები მოიცავს ამ კარს მთლიანად და არ შეიძლება ვრცელდებოდეს ამ კარის ცალკეულ ნაწილებზე.

მუხლი 430

წინამდებარე შეთანხმების დეპოზიტარი

ევროკავშირის საბჭოს გენერალური სამდივნო წარმოადგენს წინამდებარე შეთანხმების დეპოზიტარს.

მუხლი 431

ძალაში შესვლა და დროებით გამოყენება

1. მხარეები განახორციელებენ წინამდებარე შეთანხმების რატიფიკაციას ან დამტკიცებას თავიანთი პროცედურების შესაბამისად. რატიფიკაციის ან დამტკიცების სიგელების დეპონირება მოხდება ევროკავშირის საბჭოს გენერალურ სამდივნოში.

2. ეს შეთანხმება ძალაში შევა ბოლო რატიფიკაციის ან დამტკიცების სიგელის დეპონირების თარიღიდან მეორე თვის პირველ დღეს.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის მიუხედავად, ევროკავშირი და საქართველო თანხმდებიან, რომ დროებით გამოიყენებენ წინამდებარე შეთანხმებას ნაწილობრივ, როგორც ეს ამ მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით განსაზღვრულია ევროკავშირის მიერ, და თავიანთი შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურებისა და კანონმდებლობის თანახმად, საჭიროების შესაბამისად.

4. დროებით გამოყენება ძალაში შედის წინამდებარე შეთანხმების დეპოზიტარის მიერ ქვემოთ დასახელებული დოკუმენტების მიღების თარიღიდან მეორე თვის პირველ დღეს:

   (a) ევროკავშირის შეტყობინება აღნიშნული მიზნისთვის აუცილებელი პროცედურების დასრულების შესახებ, სადაც მითითებული იქნება შეთანხმების ის ნაწილები, რომლებიც გამოიყენება დროებით; და

   (b) საქართველოს მიერ რატიფიკაციის სიგელის დეპონირება მისი პროცედურებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. წინამდებარე შეთანხმების შესაბამისი დებულებების მიზნებისთვის, შესაბამისი დანართებისა და ოქმების ჩათვლით, „წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღზე" ნებისმიერი მითითება გაგებულ უნდა იქნეს, როგორც „თარიღი, რა დროიდანაც ეს შეთანხმება გამოიყენება დროებით", წინამდებარე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

6. დროებით გამოყენების პერიოდის განმავლობაში, მოქმედებას განაგრძობს 1996 წლის 22 აპრილს, ქ. ლუქსემბურში ხელმოწერილი ერთის მხრივ, ევროპულ თანამეგობრობასა და მის წევრ სახელმწიფოებს და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის „პატრნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ" შეთანხმების, რომელიც ძალაში შევიდა 1999 წლის 1 ივლისს, ის დებულებები, რომლებიც არ ექცევა ამ შეთანხმების დროებით გამოყენების ფარგლებში.

7. ნებისმიერ მხარეს შეუძლია, წინამდებარე შეთანხმების დეპოზიტარს გაუგზავნოს წერილობითი შეტყობინება მისი განზრახვის

შესახებ შეწყვიტოს წინამდებარე შეთანხმების დროებით გამოყენება. დროებით გამოყენების შეწყვეტა ძალაში შედის წინამდებარე შეთანხმების დეპოზიტარის მიერ შეტყობინების მიღებიდან 6 თვის შემდეგ.

მუხლი 432

აუთენტური ტექსტები

წინამდებარე შეთანხმება შესრულდება ქართულ, ბულგარულ, ხორვატიულ, ჩეხურ, დანიურ, ჰოლანდიურ, ინგლისურ, ესტონურ, ფინურ, ფრანგულ, გერმანულ, ბერძნულ, უნგრულ, იტალიურ, ლატვიურ, ლიტვურ, მალტურ, პოლონურ, პორტუგალიურ, რუმინულ, სლოვაკურ, სლოვენიურ, ესპანურ და შვედურ ენებზე. ყველა ტექსტი თანაბრად აუთენტურია.

რის დასტურადაც, შესაბამისად უფლებამოსილი, ქვემორე ხელისმომწერნი, ხელს აწერენ ამ შეთანხმებას.

---

[1] ამ შეთანხმების მიზნებისთვის, „საქონელი“ ნიშნავს პროდუქტებს, GATT 1994-ის განმარტებით, თუკი წინამდებარე ხელშეკრულება არ გულისხმობს სხვა რამეს. საქონელი, რომელიც ხვდება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სოფლის მეურნეობის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში, ამ თავში მოხსენებულია, როგორც „სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები“ ან „პროდუქტები“.

[2] 1987 წლის 20 მაისის კონვენცია საერთო სატრანზიტო პროცედურაზე.

[3] ვიზის მოთხოვნა ზოგიერთი ქვეყნის ფიზიკური პირებისათვის და არა სხვა ქვეყნების ფიზიკური პირებისათვის არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც სპეციფიკური ვალდებულებებიდან გამომდინარე სარგებლის გაბათილება ან შემცირება.

[4] მეტი სიცხადისთვის, ტერიტორია მოიცავს ექსკლუზიურ ეკონომიკურ ზონას და კონტინენტურ შელფს, როგორც არის განსაზღვრული გაეროს კონვენციით საზღვაო სამართლის შესახებ (UNCLOS).

[5] იურიდიული პირი კონტროლდება სხვა იურიდიული პირის მიერ, თუ ამ უკანასკნელს აქვს უფლებამოსილება, დანიშნოს მისი დირექტორების უმრავლესობა ან სხვაგვარად სამართლებრივად მართოს მისი საქმიანობა.

[6] მეტი სიცხადისთვის, ბირთვული მასალების წარმოება მოიცავს ყველა სახის საქმიანობას, რომელიც შედის UN ISIC Rev.3.1 2330 კოდის ქვეშ.

[7] იმ საქმიანობის არეალისათვის ზიანის მიყენების გარეშე, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს კაბოტაჟად შესაბამისი ადგილობრივი კანონმდებლობის მიხედვით, ამ თავით განსაზღვრული ეროვნული საზღვაო კაბოტაჟი მოიცავს მგზავრების ან საქონლის ტრანსპორტირებას საქართველოს ან ევროკავშირის წევრი ქვეყნის ერთ პორტს ან პუნქტს და საქართველოს ან ევროკავშირის წევრი ქვეყნის მეორე პორტს ან პუნქტს შორის, მათ შორის კონტინენტურ შელფზე, როგორც არის განსაზღვრული UNCLOS-ით და მოძრაობას, დაწყებულს და დასრულებულს საქართველოს ან ევროკავშირის წევრი ქვეყნის ერთსა და იმავე პორტში ან პუნქტში.

[8] საჰაერო ტრანსპორტში ბაზრის ურთიერთხელმისაწვდომობის პირობები განისაზღვრება საქართველოსა და ევროკავშირს და მის წევრ ქვეყნებს შორის ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ შეთანხმებით.

[9] ეს ვალდებულება არ ვრცელდება ინვესტიციების დაცვის ღონისძიებებზე, რაც არ შედის ამ თავში, მათ შორის იმ ღონისძიებებზე, რომლებიც უკავშირდება ინვესტორისა და სახელმწიფოს შორის დავის მოგვარების პროცედურებს, რომელიც განსაზღვრულია სხვა ხელშეკრულებით

[10] ეს ვალდებულება არ ვრცელდება ინვესტიციების დაცვის ღონისძიებებზე, რაც არ შედის ამ თავში, მათ შორის იმ ღონისძიებებზე, რომლებიც უკავშირდება ინვესტორისა და სახელმწიფოს შორის დავის მოგვარების პროცედურებს, რომელიც განსაზღვრულია სხვა ხელშეკრულებით

[11] შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის თანახმად კაბოტაჟად მიჩნეული საქმიანობის გარდა, ამ თავით განსაზღვრული ეროვნული საზღვაო კაბოტაჟი მოიცავს მგზავრების ან საქონლის ტრანსპორტირებას საქართველოს ან ევროკავშირის წევრი ქვეყნის ერთ პორტს ან პუნქტს და საქართველოს ან ევროკავშირის წევრი ქვეყნის მეორე პორტს ან პუნქტს შორის, მათ შორის კონტინენტურ შელფზე, როგორც არის განსაზღვრული UNCLOS-ს მიერ და მოძრაობას, დაწყებულს და დასრულებულს საქართველოს ან ევროკავშირის წევრი ქვეყნის ერთსა და იმავე პორტში ან პუნქტში.

[12] საჰაერო ტრანსპორტისათვის ბაზრის ორმხრივი ხელმისაწვდომობის პირობები განისაზღვრება საქართველოსა და ევროკავშირს და მის წევრ სახელმწიფოებს შორის ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ შეთანხმებით.

[13] მითითება „არამომგებიანი ორგანიზაცია“ გამოიყენება მხოლოდ ავსტრიის, ბელგიის, კვიპროსის, ჩეხეთის, გერმანიის, დანიის, ესტონეთის, საბერძნეთის, ესპანეთის, ფინეთის, საფრანგეთის, ირლანდიის, იტალიის, ლიტვის, ლუქსემბურგის, ლატვიის, მალტის, ნიდერლანდების, პორტუგალიის, სლოვენიის და გაერთიანებული სამეფოს შემთხვევაში.

[14] მიმღებ მეწარმე სუბიექტს შეიძლება მოეთხოვოს წინასწარი თანხმობისათვის ტრეინინგის პროგრამის წარდგენა, რომელიც ასახავს პირის ყოფნის ხანგრძლივობას და მიუთითებს, რომ ყოფნის მიზანი არის ტრეინინგის გავლა. ავსტრიის, ჩეხეთის, გერმანიის, საფრანგეთის და უნგრეთის შემთხვევაში, ტრეინინგი უნდა უკავშირდებოდეს უნივერსიტეტის მიღებულ დიპლომს.

[15] გაერთიანებული სამეფო: ბიზნესის გამყიდველების კატეგორია ეხება მხოლოდ მომსახურების გამყიდველებს.

[16] მიღებული სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ, როგორც არის განსაზღვრული შესაბამისი ადგილობრივი კანონმდებლობით.

[17] იმ შემთხვევაში, თუ დიპლომი ან კვალიფიკაცია არ იქნა მიღებული იმ მხარეში, სადაც ხდება მომსახურების მიწოდება, ამ მხარეს შეუძლია შეაფასოს, არის თუ არა ის ეკვივალენტური მის ტერიტორიაზე მოთხოვნილი საუნივერსიტეტო დიპლომისა.

[18] იმ შემთხვევაში, თუ ხარისხი ან კვალიფიკაცია არ იქნა მიღებული იმ მხარეში, სადაც ხდება მომსახურების მიწოდება, ამ მხარეს შეუძლია შეაფასოს, არის თუ არა ის მის ტერიტორიაზე მოთხოვნილი უნივერსიტეტის დიპლომის ეკვივალენტური.

[19] სალიცენზიო მოსაკრებლები არ მოიცავს გადასახადებს აუქციონის, ტენდერის ან კონცესიების მინიჭების სხვა არადისკრიმინაციული საშუალებებისათვის ან სავალდებულო შენატანებს უნივერსალური მომსახურების განხორციელებისათვის.

[20] CPC ნიშნავს პროდუქტების ცენტრალურ კლასიფიკაციას, რომელიც განსაზღვრულია გაეროს სტატისტიკის ოფისის მიერ (Statistical Papers, Series M, N° 77, CPC prov, 1991.)

[21] სალიცენზიო მოსაკრებლები არ მოიცავს გადასახადებს აუქციონის, ტენდერის ან კონცესიების მინიჭების სხვა არადისკრიმინაციული საშუალებებისათვის ან სავალდებულო შენატანებს უნივერსალური მომსახურების განხორციელებისათვის.

[22] საქართველომ უნდა შეასრულოს ამ ქვენაწილის დებულებები წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში.

[23] ამ ქვენაწილის მიზნებისთვის, ტერმინი „ფაქტობრივი ცოდნა“ უნდა იქნას განმარტებული თითოეული მხარის ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად.

[24] ზომები, რომლებიც მიმართულია პირდაპირი გადასახადების სამართლიანი ან ეფექტიანი დაწესების ან ამოღების უზრუნველყოფაზე, მოიცავს მხარის მიერ მისი საგადასახადო სისტემის შესაბამისად მიღებულ ისეთ ზომებს, რომლებიც:

(a) ეხება არარეზიდენტ მეწარმეებს და მომსახურების მიმწოდებლებს იმ ფაქტის აღიარებით, რომ ამ არარეზიდენტების საგადასახადო ვალდებულება განსაზღვრულია მხარის ტერიტორიაზე წარმოშობილი ან განლაგებული დასაბეგრი ობიექტების მიმართ;

(b) გამოიყენება არარეზიდენტების მიმართ მხარის ტერიტორიაზე გადასახადების დაწესების ან ამოღების უზრუნველყოფის მიზნით;

(c) გამოიყენება არარეზიდენტების ან რეზიდენტების მიმართ გადასახადების გადაუხდელობისგან ან თავის არიდებისაგან დაცვის მიზნით, შესაბამისობის ზომების ჩათვლით;

(d) გამოიყენება მეორე მხარის ტერიტორიაზე ან მისი ტერიტორიიდან მიწოდებული მომსახურების მომხმარებლების მიმართ ამ მომხმარებლებზე გადასახადების დაწესების ან ამოღების უზრუნველყოფის მიზნით იმ წყაროებზე, რომლებიც მდებარეობს მხარის ტერიტორიაზე;

(e) განასხვავებს იმ მეწარმეებს ან მომსახურების მიმწოდებლებს, რომლებიც წარმოადგენენ გადასახადით დაბეგვრის ობიექტს მსოფლიოში გავრცელებულ მათ დასაბეგრ საქონელზე, სხვა მეწარმეებისა და მომსახურების მიმწოდებლებისაგან, მათი დასაბეგრი ბაზის განსხვავების აღიარებით; ან

(f) მხარის დასაბეგრი ბაზის დაცვის მიზნით, განსაზღვრავს, გამოყოფს ან ანაწილებს შემოსავალს, მოგებას, სარგებელს, დანაკარგს, დაქვითვას ან ჩათვლას რეზიდენტი პირების ან ფილიალების, ან ერთი და იგივე პირის ურთიერთდაკავშირებულ პირებს ან ფილიალებს შორის.

ამ დებულების ”f“ პუნქტში და ამ შენიშვნაში არსებული საგადასახადო ტერმინები და კონცეფციები განსაზღვრულია

საგადასახადო განმარტებებისა და კონცეფციების, ექვივალენტური ან მსგავსი განმარტებებისა და კონცეფციების შესაბამისად, იმ მხარის ადგილობრივი კანონმდებლობის მიხედვით, რომელიც იყენებს აღნიშნულ ზომას.

[25] „სპეციალური ან ექსკლუზიური უფლებების საფუძველზე მოქმედი კერძო კომპანიები“ მხარეების მიერ განიმარტება ევროკომისიის 2004 წლის 18 ივნისის NCC/2004/33 განმარტებითი ბარათის მიხედვით”.

[26] სადაც ევროკავშირის კანონმდებლობა, რომელიც არის ამ თავით გათვალისწინებული საკანონმდებლო დაახლოების პროცესის საგანი, აკეთებს მითითებას ევროკავშირის ოფიციალურ გაზეთზე, ითვლება, რომ საქართველოში ასეთი გამოქვეყნება გულისხმობს საქართველოში შესაბამისი ოფიციალური საშუალებით გამოქვეყნებას.

[27] ამ თავის მიზნებისთვის „ჩაწერა“ (ფიქსაცია) გულისხმობს ხმის ან/და გამოსახულების ფიქსირებას რაიმე ობიექტური ფორმით, რაც ტექნიკური მოწყობილობების გამოყენებით მათი აღქმის, რეპროდუცირების ან გადაცემის საშუალებას იძლევა.

[28] მიბაძვად ჩაითვლება კერძოდ იმ პროდუქტების რაიმე ფორმით გამოყენება, რომლებიც წარმოდგენილია HS-ის (ჰარმონიზებული სისტემა) 20.09 სათაურის ქვეშ თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ პროდუქტი წარმოადგენს ამ სისტემის 22.04 სათაურით გათვალისწინებულ ღვინოებს, 22.05 სათაურით გათვალისწინებულ არომატიზებულ ღვინოებს და 22.08 სათაურით გათვალისწინებულ სპორტინ სასმელებს.

[29] წინამდებარე მუხლის მიზნებისთვის მხარემ შეიძლება გაითვალისწინოს, რომ ინდივიდუალური ხასიათის მქონე დიზაინი ორიგინალურია.

[30] წინამდებარე მუხლი გამოიყენება საქართველოს მთავრობის 2009 წლის 22 ოქტომბრის N188 დადგენილების შეულახავად, რომელიც ადგენს იმ ქვეყნებისა და შესაბამისი ორგანოების ნუსხას, რომლებზეც ვრცელდება საქართველოში ფარმაცევტული პროდუქტების გამარტივებული რეგისტრაციის რეჟიმი. ხსენებული დადგენილებით დამტკიცებული ნუსხა მოიცავს შემდეგ ქვეყნებს/ორგანიზაციებს: ევროპის წამლების სააგენტო, ავსტრალია, ავსტრია, ბელგია, ბულგარეთი, კანადა, კვიპროსი, ჩეხეთის რესპუბლიკა, გერმანია, დანია, ესტონეთი, ისლანდია, ირლანდია, იტალია, ფინეთი, საფრანგეთი, საბერძნეთი, უნგრეთი, იაპონია, კორეა, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდები, ახალი ზელანდია, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ესპანეთი, შვედეთი, შვეიცარია, გაერთიანებული სამეფო და ამერიკის შეერთებული შტატები.

[31] წინამდებარე ნაწილის მიზნებისთვის „ინტელექტუალური საკუთრების უფლებების” ცნება მოიცავს მინიმუმ შემდეგ უფლებებს: საავტორო უფლებას, საავტორო უფლებასთან დაკავშირებულ უფლებებს, მონაცემთა ბაზების შემქმნელის *sui generis* უფლებებს, ნახევრად გამტარი პროდუქტის ტოპოლოგიის შემქმნელის უფლებებს, სასაქონლო ნიშნებიდან გამომდინარე უფლებებს, დიზაინთან დაკავშირებულ უფლებებს, საპატენტო უფლებებს, დამატებითი დაცვის მოწმობიდან გამომდინარე უფლებების ჩათვლით, გეოგრაფიულ აღნიშვნებს, სასარგებლო მოდელთან დაკავშირებულ უფლებებს, მცენარეთა ჯიშებიდან გამომდინარე უფლებებს, საფირმო სახელწოდებებს იმ პირობით, თუ აღნიშნული განსაკუთრებული უფლებითაა დაცული ადგილობრივი კანონმდებლობით.

[32] საქართველოს მიერ ამ თავის განხორციელების მიზნებისათვის, ეს მუხლი ძალაში შევა მხოლოდ მაშინ, თუ და როცა საქართველო შეუერთდება ენერგეტიკული თანამეგობრობის ხელშეკრულებას და იმ მასშტაბით, რითაც ენერგეტიკული თანამეგობრობის ხელშეკრულების სპეციფიკური დებულებები ან ენერგეტიკული თანამეგობრობის ხელშეკრულების ძალით ევროკავშირის კანონმდებლობაში შესული დებულებები გამოიყენება საქართველოს მიმართ.

[33] როგორც ასახულია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2007 წლის 20 ივნისის რეკომენდაციაში წევრი ქვეყნებისათვის კარგი ადმინისტრირების თაობაზე (CM/Rec(2007)7).

[34] როცა შრომა არის მითითებული წინამდებარე თავში, ის მოიცავს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტრატეგიულ მიზნებთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლის მეშვეობითაც ღირსეული შრომის დღის წესრიგია ჩამოყალიბებული, როგორც ეს შეთანხმებულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სოციალური თანასწორობა სამართლიანი გლობალიზაციის შესახებ 2008 წლის დეკლარაციის შესაბამისად.

ასოცირების შესახებ შეთანხმება

ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის

ატომური ენერგიის გაერთიანებას

და მათ წევრ სახელმწიფოებს

შორის

СПОРАЗУМЕНИЕ ЗА АСОЦИИРАНЕ
МЕЖДУ ЕВРОПЕЙСКИЯ СЪЮЗ
И ЕВРОПЕЙСКАТА ОБЩНОСТ ЗА АТОМНА ЕНЕРГИЯ
И ТЕХНИТЕ ДЪРЖАВИ ЧЛЕНКИ, ОТ ЕДНА СТРАНА,
И ГРУЗИЯ, ОТ ДРУГА СТРАНА

ACUERDO DE ASOCIACIÓN
ENTRE LA UNIÓN EUROPEA
Y LA COMUNIDAD EUROPEA DE LA ENERGIA ATÓMICA
Y SUS ESTADOS MIEMBROS, POR UNA PARTE,
Y GEORGIA, POR OTRA

DOHODA O PŘIDRUŽENÍ
MEZI EVROPSKOU UNIÍ
A EVROPSKÝM SPOLEČENSTVÍM PRO ATOMOVOU ENERGII
A JEJICH ČLENSKÝMI STÁTY NA JEDNÉ STRANĚ
A GRUZIÍ NA STRANĚ DRUHÉ

ASSOCIERINGSAFTALE
MELLEM DEN EUROPÆISKE UNION
OG DET EUROPÆISKE ATOMENERGIFÆLLESSKAB
OG DERES MEDLEMSSTATER PÅ DEN ENE SIDE
OG GEORGIEN PÅ DEN ANDEN SIDE

ASSOZIIERUNGSABKOMMEN
ZWISCHEN DER EUROPÄISCHEN UNION
UND DER EUROPÄISCHEN ATOMGEMEINSCHAFT
UND IHREN MITGLIEDSTAATEN EINERSEITS
UND GEORGIEN ANDERERSEITS

ÜHELT POOLT EUROOPA LIIDU,
EUROOPA AATOMIENERGIAÜHENDUSE
JA NENDE LIIKMESRIIKIDE
NING TEISELT POOLT GRUUSIA VAHELINE
ASSOTSIEERIMISLEPING

ΣΥΜΦΩΝΙΑ ΣΥΝΔΕΣΗΣ
ΜΕΤΑΞΥ ΤΗΣ ΕΥΡΩΠΑΪΚΗΣ ΕΝΩΣΗΣ
ΚΑΙ ΤΗΣ ΕΥΡΩΠΑΪΚΗΣ ΚΟΙΝΟΤΗΤΑΣ ΑΤΟΜΙΚΗΣ ΕΝΕΡΓΕΙΑΣ
ΚΑΙ ΤΩΝ ΚΡΑΤΩΝ ΜΕΛΩΝ ΤΟΥΣ, ΑΦΕΝΟΣ,
ΚΑΙ ΤΗΣ ΓΕΩΡΓΙΑΣ, ΑΦΕΤΕΡΟΥ

ASSOCIATION AGREEMENT
BETWEEN THE EUROPEAN UNION
AND THE EUROPEAN ATOMIC ENERGY COMMUNITY
AND THEIR MEMBER STATES, OF THE ONE PART,
AND GEORGIA, OF THE OTHER PART

ACCORD D'ASSOCIATION
ENTRE L'UNION EUROPÉENNE ET LA

COMMUNAUTÉ EUROPÉENNE DE L'ÉNERGIE ATOMIQUE

ET LEURS ÉTATS MEMBRES, D'UNE PART,
ET LA GÉORGIE, D'AUTRE PART

SPORAZUM O PRIDRUŽIVANJU
IZMEĐU EUROPSKE UNIJE
I EUROPSKE ZAJEDNICE ZA ATOMSKU ENERGIJU
I NJIHOVIH DRŽAVA ČLANICA, S JEDNE STRANE,
I GRUZIJE, S DRUGE STRANE

ACCORDO DI ASSOCIAZIONE
TRA L'UNIONE EUROPEA
E LA COMUNITÀ EUROPEA DELL'ENERGIA ATOMICA
E I LORO STATI MEMBRI, DA UNA PARTE,
E LA GEORGIA, DALL'ALTRA

ASOCIĀCIJAS NOLĪGUMS
STARP EIROPAS SAVIENĪBU
UN EIROPAS ATOMENERĢIJAS KOPIENU
UN TO DALĪBVALSTĪM, NO VIENAS PUSES,
UN GRUZIJU, NO OTRAS PUSES

EUROPOS SĄJUNGOS IR
EUROPOS ATOMINĖS ENERGIJOS BENDRIJOS
BEI JŲ VALSTYBIŲ NARIŲ
IR GRUZIJOS
ASOCIACIJOS SUSITARIMAS

TÁRSULÁSI MEGÁLLAPODÁS
EGYRÉSZRŐL AZ EURÓPAI UNIÓ,
AZ EURÓPAI ATOMENERGIA-KÖZÖSSÉG
ÉS TAGÁLLAMAIK,
MÁSRÉSZRŐL GRÚZIA KÖZÖTT

FTEHIM TA' ASSOĊJAZZJONI
BEJN L-UNJONI EWROPEA
U L-KOMUNITÀ EWROPEA TAL-ENERĠIJA ATOMIKA
U L-ISTATI MEMBRI TAGĦHOM, MINN NAĦA L-WAĦDA,
U L-ĠEORĠJA, MIN-NAĦA L-OĦRA

ASSOCIATIEOVEREENKOMST
TUSSEN DE EUROPESE UNIE
EN DE EUROPESE GEMEENSCHAP VOOR ATOOMENERGIE
EN HUN LIDSTATEN, ENERZIJDS,
EN GEORGIË, ANDERZIJDS

UKŁAD O STOWARZYSZENIU
MIĘDZY UNIĄ EUROPEJSKĄ
I EUROPEJSKĄ WSPÓLNOTĄ ENERGII ATOMOWEJ
ORAZ ICH PAŃSTWAMI CZŁONKOWSKIMI, Z JEDNEJ STRONY,
A GRUZJĄ, Z DRUGIEJ STRONY

ACORDO DE ASSOCIAÇÃO
ENTRE A UNIÃO EUROPEIA
E A COMUNIDADE EUROPEIA DA ENERGIA ATÓMICA
E OS SEUS ESTADOSMEMBROS, POR UM LADO,
E A GEÓRGIA, POR OUTRO

ACORD DE ASOCIERE
ÎNTRE UNIUNEA EUROPEANĂ
ȘI COMUNITATEA EUROPEANĂ A ENERGIEI ATOMICE
ȘI STATELE MEMBRE ALE ACESTORA, PE DE O PARTE,
ȘI GEORGIA, PE DE ALTĂ PARTE

DOHODA O PRIDRUŽENÍ
MEDZI EURÓPSKOU ÚNIOU
A EURÓPSKYM SPOLOČENSTVOM PRE ATÓMOVÚ ENERGIU
A ICH ČLENSKÝMI ŠTÁTMI NA JEDNEJ STRANE
A GRUZÍNSKOM NA STRANE DRUHEJ

PRIDRUŽITVENI SPORAZUM
MED EVROPSKO UNIJO
IN EVROPSKO SKUPNOSTJO ZA ATOMSKO ENERGIJO
IN NJUNIMI DRŽAVAMI ČLANICAMI NA ENI STRANI
TER GRUZIJO NA DRUGI STRANI

EUROOPAN UNIONIN,
EUROOPAN ATOMIENERGIAYHTEISÖN
JA NIIDEN JÄSENVALTIOIDEN
SEKÄ GEORGIAN VÄLINEN

ASSOSIAATIOSOPIMUS

ASSOCIERINGSAVTAL
MELLAN EUROPEISKA UNIONEN
OCH EUROPEISKA ATOMENERGIGEMENSKAPEN
OCH DERAS MEDLEMSSTATER, Å ENA SIDAN,
OCH GEORGIEN, Å ANDRA SIDAN

ასრულებულია ქ. ბრიუსელში, ორიათას თოთხმეტი წლის ოცდაშვიდ ივნისს

ьставено в Брюксел на двадесет и седми юни две хиляди и четиринадесета година.

echo en Bruselas, el veintisiete de junio de dos mil catorce.

Bruselu dne dvacátého sedmého června dva tisíce čtrnáct.

dfærdiget i Bruxelles den syvogtyvende juni to tusind og fjorten.

eschehen zu Brüssel am siebenundzwanzigsten Juni zweitausendvierzehn.

ahe tuhande neljateistkümnenda aasta juunikuu kahekümne seitsmendal päeval Brüsselis.

γινε στις Βρυξέλλες, στις είκοσι εφτά Ιουνίου δύο χιλιάδες δεκατέσσερα.

one at Brussels on the twentyseventh day of June in the year two thousand and fourteen.

it à Bruxelles, le vingtsept juin deux mille quatorze.

stavljeno u Bruxellesu dvadeset sedmog lipnja dvije tisuće četrnaeste.

tto a Bruxelles, addì ventisette giugno duemilaquattordici.

iselē, divi tūkstoši četrpadsmitā gada divdesmit septītajā jūnijā.

iimta du tūkstančiai keturioliktų metų birželio dvidešimt septintą dieną Briuselyje.

elt Brüsszelben, a kétezer-tizennegyedik év június havának huszonhetedik napján.

agħmul fi Brussell, fis-sebgħa u għoxrin jum ta' Ġunju tas-sena elfejn u erbatax.

edaan te Brussel, de zevenentwintigste juni tweeduizend veertien.

orządzono w Brukseli dnia dwudziestego siódmego czerwca roku dwa tysiące czternastego.

ito em Bruxelas, em vinte e sete de junho de dois mil e catorze.

tocmit la Bruxelles la douăzeci și șapte iunie două mii paisprezece.

Bruseli dvadsiateho siedmeho júna dvetisícštrnásť.

Bruslju, dne sedemindvajsetega junija leta dva tisoč štirinajst.

ehty Brysselissä kahdentenakymmenentenäseitsemäntenä päivänä kesäkuuta vuonna kaksituhattaneljätoista.

om skedde i Bryssel den tjugosjunde juni tjugohundrafjorton.

საქართველოს სახელით

За Европейския съюз

Por la Unión Europea

Za Evropskou unii

For Den Europæiske Union

Für die Europäische Union

Euroopa Liidu nimel

Για την Ευρωπαϊκή Ένωση

For the European Union

Pour l'Union européenne

Za Europsku uniju

Per l'Unione europea

Eiropas Savienības vārdā -

Europos Sąjungos vardu

Az Európai Unió részéről

Ghall-Unjoni Ewropea

Voor de Europese Unie

W imieniu Unii Europejskiej

Pela União Europeia

Pentru Uniunea Europeană

Za Európsku úniu

Za Evropsko unijo

Euroopan unionin puolesta

För Europeiska unionen

За Европейската общност за атомна енергия

Por la Comunidad Europea de la Energía Atómica

Za Evropské společenství pro atomovou energii

For Det Europæiske Atomenergifællesskab

Für die Europäische Atomgemeinschaft

Euroopa Aatomienergiaühenduse nimel

Για την Ευρωπαϊκή Κοινότητα Ατομικής Ενέργειας

For the European Atomic Energy Community

Pour la Communauté européenne de l'énergie atomique

Za Europsku zajednicu za atomsku energiju

Per la Comunità europea dell'energia atomica

Eiropas Atomenerģijas Kopienas vārdā -

Europos atominės energijos bendrijos vardu

Az Európai Atomenergia-közösség részéről

F'isem il-Komunità Ewropea tal-Enerġija Atomika

Voor de Europese Gemeenschap voor Atoomenergie

W imieniu Europejskiej Wspólnoty Energii Atomowej

Pela Comunidade Europeia da Energia Atómica

Pentru Comunitatea Europeană a Energiei Atomice

Za Európske spoločenstvo pre atómovú energiu

Za Evropsko skupnost za atomsko energijo

Euroopan atomienergiajärjestön puolesta

För Europeiska atomenergigemenskapen

Voor het Koninkrijk België

Pour le Royaume de Belgique

Für das Königreich Belgien

Deze handtekening verbindt eveneens de Vlaamse Gemeenschap, de Franse Gemeenschap, de Duitstalige Gemeenschap, het Vlaamse Gewest, het Waalse Gewest en het Brussels Hoofdstedelijk Gewest.

Cette signature engage également la Communauté française, la Communauté flamande, la Communauté germanophone, la Région wallonne, la Région flamande et la Région de Bruxelles-Capitale.

Diese Unterschrift bindet zugleich die Deutschsprachige Gemeinschaft, die Flämische Gemeinschaft, die Französische Gemeinschaft, die Wallonische Region, die Flämische Region und die Region Brüssel-Hauptstadt.

За Република България

18. 2009 წლის 18 ივნისის ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2009/48/EC დირექტივა სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ

ვადა: წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის განმავლობაში

19. 2011 წლის 9 მარტის ევროპის პარლამენტის და საბჭოს 305/2011 რეგულაცია, რომელიც ადგენს სამშენებლო პროდუქციის მარკეტინგის ჰარმონიზებულ პირობებს

ვადა: წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან რვა წლის განმავლობაში

20. 2009 წლის 23 აპრილის ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2009/23/EC დირექტივა არაავტომატური ასაწონი საშუალებების შესახებ

ვადა: წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან რვა წლის განმავლობაში

21. 2004 წლის 31 მარტის ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2004/22/EC დირექტივა გაზომვის საშუალებების შესახებ

ვადა: წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან რვა წლის განმავლობაში

დანართი III-B

ჰორიზონტალური კანონმდებლობის საორიენტაციო ნუსხა

ქვემოთ მოცემულ ნუსხაში ასახულია ჰორიზონტალური "ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობაში გაწერილი პრინციპები და პრაქტიკა", რომლებზეც მითითება გაკეთებულია ამ შეთანხმების 47-ე მუხლის პირველ პუნქტში. მისი მიზანია საქართველოსათვის შეასრულოს არასრული მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს ფუნქცია, ევროკავშირის ჰორიზონტალურ ღონისძიებებთან დაახლოებისათვის.

1. 2008 წლის 9 ივლისის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 768/2008/EC გადაწყვეტილება პროდუქციის რეალიზაციისათვის საერთო ჩარჩო პირობების შესახებ.

2. 2008 წლის 9 ივლისის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EC) N765/2008რეგულაცია, რომელიც ადგენს მოთხოვნებს აკრედიტაციისა და ბაზრის ზედამხედველობისადმი, პროდუქციის რეალიზაციასთან მიმართებით.

3. 2001 წლის 3 დეკემბრის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2001/95/EC დირექტივა პროდუქციის ზოგადი უსაფრთხოების შესახებ.

4. 1979 წლის 20 დეკემბრის საბჭოს 80/181/EEC დირექტივა გაზომვის ერთეულების შესახებ წევრი ქვეყნების კანონების დაახლოებაზე, რომელშიც შეტანილია ცვლილება ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2009/3/EC დირექტივით.

5. 2012 წლის 25 ოქტომბრის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EU) N1025/2012 რეგულაცია ევროპული სტანდარტიზაციის შესახებ.

6. 1985 წლის 25 ივლისის საბჭოს 85/374/EEC დირექტივა წუნდებულ პროდუქციაზე პასუხისმგებლობის შესახებ წევრი ქვეყნების კანონების, რეგულაციების და ადმინისტრაციული ღონისძიებების დაახლოების თაობაზე.

დანართი IV

დაფარვის სფერო

დანართი IV-A

სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები

ნაწილი 1

ზომები, რომლებიც ვრცელდება ძირითად ცოცხალ ცხოველთა კატეგორიაზე

I. კენტ – ჩლიქიანები (მათ შორის ზებრა) ან ვირისებრთა ოჯახი ან მათი შეჯვარების შედეგად მიღებული შთამომავლობა

II. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (მათ შორის კამეჩი და ბიზონი)

III. ცხვარი და თხა

IV. ღორი

V. შინაური ფრინველები (მათ შორის მწყერი, ინდაური, ციცარი, იხვი, ბატი)

VI. ცოცხალი თევზი

VII. კიბოსნაირნი

VIII. მოლუსკები

IX. ცოცხალი თევზის ქვირითი და გამეტები

X. საინკუბაციო კვერცხი

XI. სპერმა-კვერცხუჯრედი – ემბრიონი

XII. სხვა ძუძუმწოვრები

XIII. სხვა ფრინველები

XIV. რეპტილიები

XV. ამფიბიები

XVI. სხვა ხერხემლიანები

XVII. ფუტკარი

ნაწილი 2

ზომები, რომლებიც ვრცელდება ცხოველურ პროდუქტებზე

I. ადამიანის მოხმარებისთვის განკუთვნილ ცხოველურ პროდუქტთა ძირითადი კატეგორიები

1. ახალი ხორცი შინაური ჩლიქოსნების, შინაური ფრინველის და კურდღლისნაირების, ფერმისა და ნანადირევი ხორცი, მათ შორის შიგნეული

2. ფარში, შეკაზმული ან სპეციალურად დამუშავებული ხორცპროდუქტები, მექანიკურად განცალკევებული ხორცი, ხორცპროდუქტები

3. ცოცხალი ორსადგულიანი მოლუსკები

4. თევზპროდუქტები

5. ნედლი რძე, ხსენი, რძის პროდუქტები და ხსენის პროდუქტები

6. კვერცხი და კვერცხის პროდუქტები

7. ბაყაყის ფეხები და ლოკოკინები

8. ცხოველის გადამდნარი ქონი და გადადნობის შემდეგ დარჩენილი ქონის პროდუქტები

9. დამუშავებული მუცელი, შარდის ბუშტი და შიგნეულობა

10. ადამიანთა მოხმარებისათვის განკუთვნილი ჟელატინი, ჟელატინის საწარმოებელი ნედლი მასალა

11. კოლაგენი

12. თაფლი და ფუტკრის პროდუქტები

II. ცხოველთა სუბ– პროდუქტების ძირითადი პროდუქტის კატეგორიები:

	ცხოველური სუბ–პროდუქტები, რომელიც

სასაკლაოზე	საკვებია ბეწვეულის მომცემი ცხოველებისთვის
	ცხოველური სუბ–პროდუქტები, რომელიც გამოიყენება შინაური, სახლის ცხოველების საკვების დასამზადებლად
	კენტ–ჩლიქიანების სისხლი და სისხლის პროდუქტები, რომლებიც გამოყენებული უნდა იქნეს ცხოველის საკვები ჯაჭვის გარეთ
	ჩლიქოსნების ახალი ან გაცივებული ტყავი და კანი
	მეორადი პროდუქტების დასამზადებლად გამოყენებადი ცხოველური სუბ–პროდუქტები, რომლებიც გამოიყენება ცხოველის საკვები ჯაჭვის გარეთ
რძის საწარმოებში	რძე და რძის პროდუქტები და რძის მეორადი პროდუქტები
	ხსენი და ხსენის პროდუქტები
სხვა ცხოველური სუბ-პროდუქტების შემგროვებელ და დამამუშავებელ საწარმოებში (როგორიცაა გადაუმუშავებელი/დაუმუშავებელი მასალები)	კენტ – ჩლიქიანების სისხლი და სისხლის პროდუქტები, რომლებიც გამოიყენება ცხოველის კვების ჯაჭვის გარეთ
	დაუმუშავებელი სისხლის პროდუქტები მეორადი პროდუქტებისთვის, გარდა კენტ–ჩლიქიანებისა, რომლებიც განკუთვნილია ცხოველთა საკვები ჯაჭვის გარეთ ფერმის ცხოველებისთვის
	დამუშავებული სისხლის პროდუქტები, გარდა კენტ–ჩლიქიანების, მეორადი პროდუქტების დამუშავებისთვის, რომლებიც განკუთვნილია ფერმის ცხოველების საკვებ ჯაჭვს გარეთ გამოყენებისთვის
	ჩლიქოსნების ახალი და გაცივებული ტყავი და კანი
	ღორის ჯაგარი მესამე ქვეყნებიდან ან რეგიონებიდან, რომლებიც ღორის აფრიკული ცხელებიდან თავისუფალი არიან
	ძვლები და ძვლის პროდუქტები (გარდა ძვლის ფქვილისა), რქები და რქის პროდუქტები (გარდა რქის ფქვილისა) და ჩლიქები და ჩლიქების პროდუქტები (გარდა ჩლიქის ფქვილისა), რომლებიც არ გამოიყენება ცხოველთა საკვებად, ორგანული სასუქები ან მიწის გამაუმჯობესებლები
	რქები და რქის პროდუქტები, გარდა რქის ფქვილისა, ჩლიქები და ჩლიქების პროდუქტები, გარდა ჩლიქის ფქვილისა, რომლებიც გამოიყენება ორგანული სასუქების ან მიწის გამაუმჯობესებლების წარმოებისთვის
	ჟელატინი, რომელიც არ არის განკუთვნილი ადამიანის მოხმარებისთვის, და რომელიც

	გამოიყენება ფოტოგრაფიულ ინდუსტრიაში
	მატყლი და თმა
	დამუშავებული ბუმბული, ბუმბულის ნაწილები და ნაკრტენი
გადამამუშავებელ საწარმოებში	ცხოველის გადამუშავებული პროტეინი, მათ შორის ნარევები და პროდუქტები, გარდა სახლის ცხოველის საკვებისა, რომლებიც შეიცავენ ასეთ პროტეინებს
	სისხლის პროდუქტები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ცხოველთა საკვებ მასალად
	ჩლიქოსნების დამუშავებული ტყავი და კანი
	მცოხნავი ცხოველებისა და კენტ–ჩლიქიანების (21 დღის) დამუშავებული ბეწვი და ტყავი
	ღორის ჯაგარი მესამე ქვეყნებიდან ან ისეთი რეგიონიდან, რომლებიც არ არიან თავისუფალი ღორის აფრიკული ცხელებისგან
	თევზის ზეთი, რომელიც გამოიყენება ცხოველთა საკვებად ან ცხოველთა საკვები ჯაჭვის გარეთ
	გადადნობილი ქონი, რომელიც გამოიყენება ცხოველის საკვებ მასალად
	გადამდნარი ქონი კონკრეტული მიზნებისთვის, რომელიც გამოიყენება ფერმის ცხოველთათვის საკვები ჯაჭვის გარეთ
	ჟელატინი ან კოლაგენი, რომელიც გამოიყენება ცხოველთა საკვებად ან ცხოველთა საკვები ჯაჭვის გარეთ
	ჰიდროლიზებული პროტეინი, კალციუმის ჰიდროფოსფატი ან კალციუმის მარილი, რომელიც გამოიყენება ცხოველთა საკვებად ან ცხოველთა საკვები ჯაჭვის გარეთ
	მეფუტკრეობის სუბ – პროდუქტები, რომლებიც განკუთვნილია ექსკლუზიურად მეფუტკრეობისათვის
	ქონიდან წარმოებული მეორადი პროდუქტები, რომელიც გამოიყენება ცხოველთა საკვები ჯაჭვის გარეთ
	ქონიდან წარმოებული მეორადი პროდუქტები, რომელიც გამოიყენება როგორც ცხოველთა საკვებად ან ცხოველთა საკვები ჯაჭვის გარეთ
	კვერცხის პროდუქტები, რომლებიც გამოიყენება, როგორც ცხოველთა საკვები მასალა
სახლის ცხოველთა საკვების საწარმოებში (მათ შორის ძაღლის საღეჭისა და	სახლის ცხოველის საკვების კონსერვები

ცხოველური არომატიზატორის მწარმოებელი საწარმოები)	გადამუშავებული ცხოველთა საკვები გარდა დაკონსერვებული სახლის ცხოველის საკვებისა
	ძაღლის საღეჭი
	პირდაპირი გაყიდვისათვის განკუთვნილი სახლის ცხოველის დაუმუშავებელი საკვები
	ცხოველური არომატიზატორები, რომლებიც გამოიყენება სახლის ცხოველის საკვების დამზადებისათვის.
ნანადირევის გადამამუშავებელ საწარმოებში	დამუშავებული ნადავლი და ფრინველისა და ჩლიქოსანი ცხოველის სხვა დამზადებული პროდუქტები, მხოლოდ გამოცალკევებული ძვლები, რქები, ჩლიქები, კლანჭები, ირმის რქები, კბილები, ტყავი ან კანი
	ნადირობის ნადავლი ან ფრინველის და ჩლიქოსანი ცხოველის სხვა დამზადებული პროდუქტები, რომლებიც შეიცავენ მთლიან დაუმუშავებელ ნაწილებს
შუალედური პროდუქტის გადამამუშავებელ საწარმოებში	შუალედური პროდუქტები
სასუქის და ნიადაგის გამაუმჯობესებლები	ცხოველის გადამუშავებული პროტეინები, მათ შორის ნარევები და პროდუქტები, გარდა სახლის ცხოველის საკვებისა, რომელიც შეიცავს ასეთ პროტეინს
	გადამუშავებული ნაკელი, მეორადი პროდუქტები გადამუშავებული ნაკელისგან და ღამურების გუანოსგან
მეორადი პროდუქტების საწყობებში	ყველა მეორადი პროდუქტი

III. პათოგენური აგენტები

ნაწილი 3

მცენარე, მცენარეული პროდუქტები და სხვა ობიექტები

მცენარე, მცენარეული პროდუქტი და სხვა ობიექტები[3], რომლებიც არიან მავნე ორგანიზმების პოტენციური მატარებლები, მათი ბუნებიდან ან გადამუშავებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ქმნიდნენ მავნე ორგანიზმების შემოტანისა და გავრცელების რისკს.

ნაწილი 4

ზომები, რომლებიც ვრცელდება სურსათისა და ცხოველთა საკვების დანამატებზე

სურსათი:

1. საკვებდანამატები (ყველა საკვებდანამატი და საღებავი).
2. გადამამუშავებელი დანამატები.
3. სურსათის არომატიზატორები.
4. სურსათის ფერმენტები.

ცხოველის საკვები[4]:

5. ცხოველთა საკვებდანამატები.
6. ცხოველთა საკვები ნედლეული.
7. ცხოველთა კომბინირებული საკვები და შინაური ცხოველების საკვები გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ნაწილი 2 (II)– ით.
8. ცხოველთა საკვებში არასასურველი ნივთიერებები.

დანართი IV–B

ცხოველთა კეთილდღეობის სტანდარტები

ცხოველთა კეთილდღეობის სტანდარტები:

1. ცხოველთა გაბრუებასთან და დაკვლასთან მიმართებაში.
2. ცხოველთა ტრანსპორტირებასა და სხვა მსგავს ქმედებებთან მიმართებაში.
3. ცხოველთა ფერმებთან მიმართებაში.

IV კარის მე-4 თავით მოცული სხვა ღონისძიებები

1. ქიმიური შენაერთები, რომლებიც წარმოიშობიან შესაფუთი მასალიდან ნივთიერებების გადაცემით.
2. კომბინირებული პროდუქტები.
3. გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმები (GMO).
4. ზრდის დამაჩქარებელი ჰორმონები, თერეოსტატიკები, ცალკეული ჰორმონები და ბეტა აგონისტები.

საქართველომ უნდა დააახლოოს თავისი კანონმდებლობა გენმოდიფიცირებულ ორგანიზმებზე ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების პროგრამის შესაბამისად, როგორც მოცემულია წინამდებარე შეთანხმების 55-ე მუხლის მე-4 პუნქტში.

დანართი IV-D

ზომები, რომლებიც უნდა იყოს გათვალისწინებული ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების შემდეგ

1. სურსათის გაუვნებლობისთვის საჭირო ქიმიკატები
2. კლონები
3. დასხივება (იონიზაცია)

დანართი V

შეტყობინებას დაქვემდებარებული ცხოველთა და აკვაკულტურული დაავადებების და რეგულირებადი მავნებლების სია, რომლებზედაც შეიძლება იყოს აღიარებული რეგიონალური თავისუფლება

ცხოველთა და თევზის დაავადებები, რომლებიც ექვემდებარებიან შეტყობინებას, რომლისთვისაც მხარის სტატუსი არის აღიარებული და რომლებზეც რეგიონალიზაციის გადაწყვეტილები შეიძლება იყოს მიღებული

1. თურქული.
2. ღორის ვეზიკულარული დაავადება.
3. ვეზიკულარული სტომატიტი.
4. ცხენის აფრიკული ავადმყოფობა (AHS).
5. ღორის აფრიკული ცხელება.
6. ცხვრის ინფექციური კატარული ცხელება (ბლუტანგი)
7. ფრინველის პათოგენური გრიპი.
8. ნიუკასლის დაავადება (NCD).
9. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჭირი.
10. ღორის კლასიკური ცხელება.
11. საქონლის კონტაგიოზური პლევრო – პნევმონია.
12. წვრილფეხა პირუტყვის ჭირი.
13. ცხვრისა და თხის ყვავილი.
14. რიფტისველის ცხელება.
15. ლამპისინის დაავადება.
16. ცხენის ვენესუელური ენცეფალომიელიტი.
17. ქოთაო.
18. ცხენების დაგრილების დაავადება
19. ენცეფალომიელიტის ენტეროვირუსი.
20. ინფექციური ჰემატოპოეტიკური ნეკროზი (IHN).
21. ვირუსული ჰემორაგიული სეპტიცემია (VHS).
22. ორაგულის ინფექციური ანემია.
23. ბონამიოზი.
24. მარტეილა რეფრინგენს.

მავნებლის სტატუსის, მავნებლებისგან თავისუფალი ან დაცული ზონის აღიარება

A. მავნებლის სტატუსის აღიარება

თითოეული მხარე შეიმუშავებს და აცნობებს რეგულირებადი მავნებლების სიას შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით:

1. მავნებლები, რომლებიც არ არიან დაფიქსირებული მხარეების კუთვნილი ტერიტორიის არცერთ ნაწილში.

2. მავნებლები, რომლებიც არიან დაფიქსირებული მხარეების კუთვნილი ტერიტორიის ნებისმიერ ნაწილში და არიან ოფიციალური კონტროლის ქვეშ.

3. მავნებლები, რომლებიც არიან დაფიქსირებული მხარეების კუთვნილი ტერიტორიის ნებისმიერ ნაწილში, არიან ოფიციალური კონტროლის ქვეშ და შექმნილია ამ მავნებლებისგან თავისუფალი სივრცე ან დაცული ზონა.

მავნებელთა სტატუსის სიაში ნებისმიერ ცვლილებაზე უნდა მოხდეს მეორე მხარის დაუყოვნებლივი შეტყობინება გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოხდა შესაბამისი საერთაშორისო ოგანიზაციის ინფორმირება.

B. მავნებლისგან თავისუფალი და დაცული ზონების აღიარება

მხარეები აღიარებენ მავნებლებისგან დაცული და თავისუფალი ზონების კონცეფციას და მათ გამოყენებას შესაბამის საერთაშორისო სანიტარულ და ფიტოსანიტარულ ზომებთან მიმართებაში.

დანართი VI

რეგიონალიზაცია/ზონებად დაყოფა, მავნებლებისაგან თავისუფალი და დაცული ზონები

A. ცხოველთა და აკვაკულტურის დაავადებები

1. ცხოველთა დაავადებები

მხარის ტერიტორიის ან რეგიონის ცხოველის დაავადების სტატუსის აღიარების საფუძველი უნდა იყოს ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (OIE) ხმელეთის ცხოველთა ჯანმრთელობის კოდექსი.

ცხოველთა დაავადებებთან მიმართებაში რეგიონალიზაციის შესახებ გადაწყვეტილებებისათვის საფუძველი უნდა იყოს ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (OIE) ხმელეთის ცხოველთა ჯანმრთელობის კოდექსი.

2. აკვაკულტურის დაავადებები

აკვაკულტურის დაავადებებთან მიმართებაში რეგიონალიზაციის შესახებ გადაწყვეტილებების საფუძველს უნდა წარმოადგენდეს ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (OIE) წყლის ცხოველთა ჯანმრთელობის კოდექსი.

B. მავნებლები

მავნებლებისაგან თავისუფალი ან ზოგიერთი მავნებლისათვის დაცული ზონების ჩამოყალიბების კრიტერიუმები უნდა შეესაბამებოდეს ქვემოთ მოცემულიდან ერთ-ერთის დებულებებს:

- გაერთიანებული ერების სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) ფიტოსანიტარული ღონისძიებების N4 საერთაშორისო სტანდარტს მავნებლებისაგან თავისუფალი ზონების დადგენის მოთხოვნების შესახებ და შესაბამისი ISPM-ის (ფიტოსანიტარული ღონისძიებების საერთაშორისო სტანდარტი) განმარტებებს, ან

- 2000 წლის 8 მაისის საბჭოს 2000/29/EC დირექტივის 2(1)(h) მუხლს, მცენარეებისთვის ან მცენარეული პროდუქტებისთვის მავნე ორგანიზმების ევროგაერთიანებაში შეღწევისა და გავრცელების საწინააღმდეგო დამცავი ზომების შესახებ.

C. მხარის ტერიტორიაზე ან რეგიონში ცხოველთა დაავადებების სპეციალური სტატუსის აღიარების კრიტერიუმები

1. იმ შემთხვევაში, როდესაც იმპორტიორი მხარე მიიჩნევს, რომ მისი ტერიტორია ან ტერიტორიის ნაწილი თავისუფალია ცხოველთა დაავადებისაგან, გარდა ამ შეთანხმების V–A დანართში ჩამოთვლილი დაავადებებისა, მან ექსპორტიორ ქვეყანას უნდა წარუდგინოს შესაბამისი დამხმარე დოკუმენტაცია, რომელშიც ასახული იქნება შემდეგი კრიტერიუმები:

- დაავადების ბუნება და საკუთარ ტერიტორიაზე მისი გამოვლენის ისტორია;

- სეროლოგიურ, მიკრობიოლოგიურ, პათოლოგიურ ან ეპიდემოლოგიურ კვლევაზე და ან იმ ფაქტზე დაფუძნებული ზედამხედველობის გამოცდის შედეგები, რომლის მიხედვითაც დაავადების შესახებ კანონით უნდა ეცნობოს კომპეტენტურ ორგანოებს;

- ზედამხედველობის განხორციელების პერიოდი;

- საჭიროების შემთხვევაში პერიოდი, რომლის განმავლობაშიც დაავადების წინააღმდეგ ვაქცინაცია აკრძალულია და აკრძალვის ზონის შესაბამისი გეოგრაფიული არეალი;

- დაავადების არარსებობის შემოწმების ღონისძიებები.

2. ზოგადი ან კონკრეტული დამატებითი გარანტიები, რომელიც შესაძლოა მოთხოვნილი იქნას იმპორტიორი მხარის მიერ, არ უნდა აჭარბებდეს იმ გარანტიებს, რომელსაც იმპორტიორი მხარე ახორციელებს ადგილობრივად.

3. მხარეებმა ერთმანეთს უნდა შეატყობინონ ამ დანართის C პუნქტის პირველ ქვეპუნქტში მითითებული კრიტერიუმების დაავადებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილების თაობაზე. ამ დანართის C პუნქტის მე-2 ქვეპუნქტის მიხედვით განსაზღვრული დამატებითი გარანტიები, ასეთი შეტყობინების თანახმად, შესაძლოა შესწორდეს ან გაუქმდეს სანიტარული და ფიტოსანიტარული ქვე-კომიტეტის მიერ.

_____

დანართი VII

საწარმოთა პირობითი აღიარება

საწარმოთა პირობითი აღიარების პირობები და დებულებები

1. საწარმოთა პირობითი აღიარება ნიშნავს იმპორტიორი მხარის მიერ იმპორტის მიზნით ექსპორტიორი მხარის საწარმოთა პირობით აღიარებას, ცალკეული საწარმოების წინასწარი ინსპექტირების გარეშე, ამ უკანასკნელის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი გარანტიების საფუძველზე წინამდებარე დანართის მე-4 პუნქტის დებულებათა მიხედვით. წინამდებარე დანართის მე-4 პუნქტით განსაზღვრული პროცედურითა და პირობებით მხარეები შეცვლიან ან შეავსებენ ამ დანართის მე-2 პუნქტით მოცემულ სიებს ახალი განაცხადებისა და გარანტიების აღსარიცხად. მხოლოდ საწარმოთა თავდაპირველ სიასთან მიმართებით შეიძლება დამოწმება იყოს პროცედურის ნაწილი მე-4 პუნქტის (d) ქვეპუნქტის თანახმად.

2. პირობითი აღიარება თავდაპირველად შეეხება შემდეგი ტიპის საწარმოებს:

2.1. ცხოველური წარმოშობის ადამიანის მოხმარებისათვის განკუთვნილი პროდუქტის საწარმოები:

-შინაური საქონლის, ფრინველის, კურდღლისებრების სასაკლაოები და გარეული ცხოველების ფერმები (დანართი IV - A, ნაწილი 1);

-გარეულ ცხოველთა სადგომები;

-საჭრელი საწარმოები;

-გატარებული ხორცის, ხორცის დამამზადებელი, ხორცის მექანიკურად განმაცალკევებელი და ხორცპროდუქტების საწარმოები;

-ცოცხალი ორსადგულიანი მოლუსკების გამწმენდი და გამანაწილებელი ცენტრები;

-საწარმოები:

-კვერცხის პროდუქტების,

-რძის პროდუქტების,

-თევზის პროდუქტების,

-დამუშავებული ფაშვების, შარდის ბუშტების, შიგნეულობების,

-ჟელატინისა და კოლაგენის,

-თევზის ცხიმის,

-გადამამუშავებელი გემი-ქარხანა

-გემ–მაცივრების.

2.2. აღიარებული ან რეგისტრირებული საწარმოები, რომლებიც აწარმოებენ ადამიანის მოხმარებისათვის განკუთვნილ ცხოველურ სუბპროდუქტებს და იმ ცხოველური სუბპროდუქტების ძირითად კატეგორიებს, რომელიც არ არის განკუთვნილი ადამიანის მოხმარებისათვის

აღიარებული ან რეგისტრირებული საწარმოს ტიპი	**პროდუქტი**
სასაკლაოები	ცხოველური სუბ – პროდუქტები, რომელიც საკვებია ბეწვეულის ცხოველებისთვის
	ცხოველური სუბ–პროდუქტები, რომელიც გამოიყენება შინაური, სახლის ცხოველების საკვების დასამზადებლად
	კენტ – ჩლიქიანების სისხლი და სისხლის პროდუქტები, რომლებიც გამოყენებული უნდა იქნეს ცხოველის საკვები ჯაჭვის გარეთ
	ჩლიქოსნების ახალი ან გაცივებული ტყავი და კანი
	მეორადი პროდუქტების დასამზადებლად გამოყენებადი ცხოველური სუბ–პროდუქტები, რომლებიც გამოიყენება ცხოველის საკვები ჯაჭვის გარეთ
რძის საწარმოები	რძე და რძის პროდუქტები და რძის მეორადი პროდუქტები
	ხსენი და ხსენის პროდუქტები
სხვა საწარმოები, განკუთვნილი ცხოველის სუბ-პროდუქტების (როგორიცაა გადაუმუშავებელი/დაუმუშავებელი მასალები) შეგროვებისა და გადამუშავებისათვის	კენტ – ჩლიქიანების სისხლი და სისხლის პროდუქტები, რომლებიც გამოიყენება ცხოველის კვების ჯაჭვის გარეთ
	დაუმუშავებელი სისხლის პროდუქტები მეორადი

	პროდუქტებისთვის, გარდა კენტ–ჩლიქიანებისა, რომლებიც განკუთვნილია ცხოველთა საკვები ჯაჭვის გარეთ ფერმის ცხოველებისთვის
	დამუშავებული სისხლის პროდუქტები, გარდა კენტ–ჩლიქიანების, მეორადი პროდუქტების დამუშავებისთვის, რომლებიც განკუთვნილია ფერმის ცხოველების საკვებ ჯაჭვს გარეთ გამოყენებისთვის
	ჩლიქოსნების ახალი და გაცივებული ტყავი და კანი
	ღორის ჯაგარი მესამე ქვეყნებიდან ან რეგიონებიდან, რომლებიც ღორის აფრიკული ცხელებიდან თავისუფალი არიან
	ძვლები და ძვლის პროდუქტები (გარდა ძვლის ფქვილისა), რქები და რქის პროდუქტები (გარდა რქის ფქვილისა) და ჩლიქები და ჩლიქების პროდუქტები (გარდა ჩლიქის ფქვილისა), რომლებიც არ გამოიყენება ცხოველთა საკვებად, ორგანული სასუქები ან მიწის გამაუმჯობესებლები
	რქები და რქის პროდუქტები, გარდა რქის ფქვილისა, და ჩლიქები და ჩლიქების პროდუქტები, გარდა ჩლიქის ფქვილისა, რომლებიც გამოიყენება ორგნული სასუქების ან მიწის გამაუმჯობესებლების წარმოებისთვის
	ჟელატინი, რომელიც არ არის განკუთვნილი ადამიანის მოხმარებისთვის, და რომელიც გამოიყენება ფოტოგრაფიულ ინდუსტრიაში
	მატყლი და თმა
	დამუშავებული ბუმბული, ბუმბულის ნაწილები და ნაკრტენი
	ცხოველის გადამუშავებული პროტეინი, მათ შორის ნარევები და პროდუქტები, გარდა სახლის ცხოველის საკვებისა, რომლებიც შეიცავენ ასეთ პროტეინებს
	სისხლის პროდუქტები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას , როგოც ცხოველთა საკვების მასალა
	ჩლიქოსნების დამუშავებული ტყავი და კანი
	მცოხნავი ცხოველებისა და კენტ–ჩლიქიანების (21 დღის) დამუშავებული ბეწვი და ტყავი
	ღორის ჯაგარი მესამე ქვეყნებიდან ან ისეთი რეგიონიდან, რომლებიც არ არიან თავისუფალი ღორის აფრიკული ცხელებისგან
	თევზის ქონი, რომელიც გამოიყენება ცხოველთა საკვებად ან ცხოველთა საკვები ჯაჭვის გარეთ
	გადამდნარი ქონი, რომელიც გამოიყენება ცხოველის საკვებ მასალად
	გადამდნარი ქონი კონკრეტული მიზნებისთვის, რომელიც გამოიყენება ფერმის ცხოველთათვის საკვები ჯაჭვის გარეთ
	ჟელატინი ან კოლაგენი, რომელიც გამოიყენება ცხოველთა საკვებად ან ცხოველთა საკვები ჯაჭვის გარეთ

	ჰიდროლიზებული პროტეინი, კალციუმის ჰიდროფოსფატი ან კალციუმის მარილი, რომელიც გამოიყენება ცხოველთა საკვებად ან ცხოველთა საკვები ჯაჭვის გარეთ
	მეფუტკრეობის სუბ – პროდუქტები, რომლებიც განკუთვნილია ექსკლუზიურად მეფუტკრეობისათვის
	ქონიდან წარმოებული მეორადი პროდუქტები, რომელიც გამოიყენება ცხოველთა საკვები ჯაჭვის გარეთ
	ქონიდან წარმოებული მეორადი პროდუქტები, რომელიც გამოიყენება ცხოველთა საკვებად ან ცხოველთა საკვები ჯაჭვის გარეთ
	კვერცხის პროდუქტები, რომლებიც გამოიყენება, ცხოველთა საკვებ მასალად
სახლის ცხოველთა საკვების საწარმოები (მათ შორის ძაღლის საღეჭისა და ცხოველური არომატიზატორების მწარმოებელი საწარმოები)	სახლის ცხოველის საკვების კონსერვები
	ცხოველთა გადამუშავებული საკვები გარდა დაკონსერვებული სახლის ცხოველის საკვებისა
	ძაღლის საღეჭი
	პირდაპირი გაყიდვისათვის განკუთვნილი სახლის ცხოველის დაუმუშავებელი საკვები
	ცხოველური არომატიზატორები, რომლებიც გამოიყენება სახლის ცხოველის საკვების დასამზადებლად
ნანადირევის გადამამუშავებელი საწარმოები	დამუშავებული ნანადირევის და ფრინველისა და ჩლიქოსანი ცხოველის, მხოლოდ გამოცალკევებული ძვლების, რქების, ჩლიქების, კლანჭების, ირმის რქების, კბილების, ტყავი ან კანის დამზადება/დამუშავება
	ნანადირევი ან პროდუქტები ფრინველისა და ჩლიქოსანი ცხოველების მთლიანი დაუმუშავებელი ნაწილების დამზადება/დამუშავება
შუალედური პროდუქტის გადამამუშავებელი ქარხნები ან საწარმოები	შუალედური პროდუქტები
სასუქი და ნიადაგის გამაუმჯობესებლები	ცხოველის გადამუშავებული პროტეინები, მათ შორის ნარევები და პროდუქტები, გარდა სახლის ცხოველის საკვებისა, რომელიც შეიცავს ასეთ პროტეინს
	გადამუშავებული ნაკელი, მეორადი პროდუქტები გადამუშავებული ნაკელისგან და ღამურების გუანოსგან
მეორადი პროდუქტების საწყობები	ყველა მეორადი პროდუქტი

3. იმპორტიორმა მხარემ უნდა შეადგინოს პირობით აღიარებული საწარმოების სია, როგორც ეს მოცემულია 2.1.1 და 2.1.2 პუნქტებში და აღნიშნული სია უნდა გახადოს საჯარო.

4. პირობითი აღიარების გარემოებები და პროცედურები:

a) თუ ექსპორტიორი მხარიდან შესაბამისი ცხოველური პროდუქტის იმპორტი ავტორიზებულია იმპორტიორი მხარის მიერ და დადგენილია შესაბამისი საიმპორტო პირობები და სერტიფიცირების მოთხოვნები;

b) თუ ექსპორტიორი მხარის კომპეტენტური ორგანო წარუდგენს დამაკმაყოფილებელ გარანტიებს იმპორტიორ მხარეს იმის თაობაზე, რომ მის მიერ წარმოდგენილ სიაში ან სიებში მოცემული საწარმოები აკმაყოფილებენ იმპორტიორი მხარის შესაბამის ჯანმრთელობის მოთხოვნებს გადამუშავებულ პროდუქტებზე და თუ წარმოდგენილ სიაში მოცემული საწარმოები მის მიერ ოფიციალურად აღიარებულია იმპორტიორ მხარეში ექსპორტის განხორციელებისათვის;

c) ზემოაღნიშნული გარანტიების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, ექსპორტიორი მხარის კომპეტენტურ ორგანოს უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება შეაჩეროს იმპორტიორ მხარეში ექსპორტის განხორციელებასთან დაკავშირებული ქმედებები იმ საწარმოს მიერ, რომლისთვისაც მან გასცა გარანტიები;

d) ამ შეთანხმების 62-ე მუხლში მოცემული დებულებების შესაბამისად, იმპორტიორი მხარის მიერ განხორციელებული დამოწმება შესაძლებელია იყოს პირობითი აღიარების პროცედურის ნაწილი. აღნიშნული დამოწმება ეხება კომპეტენტური ორგანოს სტრუქტურასა და ორგანიზაციას, რომელიც პასუხისმგებელია საწარმოების აღიარებაზე და ასევე ამ კომპეტენტური ორგანოს უფლებამოსილებას და გარანტიებს, რომლებსაც ის იძლევა იმპორტიორი მხარის წესების განხორციელებასთან დაკავშირებით. ეს დამოწმება შესაძლებელია მოიცავდეს ექსპორტიორი მხარის მიერ წარმოდგენილ სიაში ან სიებში ჩამოთვლილი გარკვეული საკმარისი რაოდენობის საწარმოების ადგილზე ინსპექტირებას.

ევროკავშირში უფლებამოსილების განაწილებისა და სტრუქტურის სპეციფიურობიდან გამომდინარე, ასეთი დამოწმება ევროკავშირში შესაძლებელია ეხებოდეს ცალკეულ წევრ ქვეყნებს.

e) „d“ პუნქტში მოცემული დამოწმების შედეგების საფუძველზე, იმპორტიორმა მხარემ შესაძლებელია შეცვალოს არსებული საწარმოების სია.

დანართი VIII

ეკვივალენტობის აღიარების პროცესი

1. პრინციპები:

(a) ეკვივალენტობის დადგენა შესაძლებელია ინდივიდუალური ღონისძიებისათვის, ღონისძიებათა ჯგუფისათვის ან სისტემისათვის, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტულ საქონელთან, საქონლის კატეგორიებთან ან ყველასთან ერთად.

(b) იმპორტიორი მხარის მიერ ეკვივალენტობის აღიარების მოთხოვნის განხილვა ექსპორტიორი მხარის კონკრეტულ საქონელთან მიმართებაში არ უნდა გახდეს ვაჭრობის შეფერხების ან ექსპორტიორი მხარიდან ამ საქონლის მიმდინარე იმპორტის შეჩერების მიზეზი.

(c) ეკვივალენტობის აღიარების პროცესი არის ინტერაქტიული პროცესი ექსპორტიორ და იმპორტიორ მხარეებს შორის. პროცესი მოიცავს ექსპორტიორი მხარის მიერ ინდივიდუალური ღონისძიების ეკვივალენტობის ობიექტურ დემონსტრირებასა და ამ დემონსტრირების ობიექტურ შეფასებას იმპორტიორი მხარის მიერ ეკვივალენტობის შესაძლო აღიარების მიზნით.

(d) ექსპორტიორი მხარის შესაბამისი ღონისძიებების ეკვივალენტობის საბოლოო აღიარების პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ იმპორტიორ მხარეს.

2. წინაპირობები:

(a) პროცესი დამოკიდებულია ექსპორტიორი მხარის საქონელთან დაკავშირებული ჯანმრთელობის ან მავნებლების სტატუსზე, კანონმდებლობაზე, ინსპექტირებისა და კონტროლის სისტემის ეფექტიანობაზე. ამ მიზნით გათვალისწინებული უნდა იქნას შესაბამისი სექტორის კანონმდებლობა, ასევე ექსპორტიორი მხარის კომპეტენტური ორგანოს სტრუქტურა, იერარქია, კომპეტენტური ორგანოების უფლებამოსილება, საოპერაციო პროცედურები, რესურსები და საქმიანობა ინსპექტირებისა და კონტროლის სისტემებთან მიმართებაში, საქონელთან დაკავშირებული აღსრულების დონისა და იმპორტიორი მხარისათვის ინფორმაციის მიწოდების სისტემატიურობისა და სისწრაფის ჩათვლით იდენტიფიცირებული საფრთხეების შემთხვევაში. ეს აღიარება შესაძლოა დასაბუთებული იქნას დოკუმენტალურად, შემოწმებითა და წარსულ გამოცდილებასთან დაკავშირებული ანგარიშებითა და ინფორმაციით, ადრინდელი დოკუმენტირებული შეფასებებითა და დამოწმებებით.

(b) მხარეებმა უნდა მოახდინონ ეკვივალენტობის აღიარების პროცესის ინიცირება წინამდებარე შეთანხმების 57-ე მუხლის თანახმად, მას შემდეგ, რაც წარმატებით დასრულდება იმ ღონისძიების, ღონისძიებათა ჯგუფის ან სისტემის დაახლოება, რომელიც მოცემულია წინამდებარე შეთანხმების 55-ე მუხლის მე-4 პუნქტში განსაზღვრულ დაახლოების ნუსხაში.

(c) ექსპორტიორმა მხარემ უნდა მოახდინოს პროცესის ინიცირება მხოლოდ მაშინ, როდესაც იმპორტიორი მხარის მიერ ექსპორტიორ მხარესთან მიმართებაში არ არის დადგენილი დამცავი ზომები საქონელთან დაკავშირებით.

3. პროცესი:

(a) ექსპორტიორი მხარე ახდენს პროცესის ინიცირებას იმპორტიორი მხარისათვის სექტორში ან ქვე-სექტორში ან ყველაში ერთად საქონლის ან საქონლის კატეგორიებისათვის, ინდივიდუალური ღონისძიების, ან ღონისძიებათა ან სისტემათა ჯგუფის ეკვივალენტობის აღიარების მოთხოვნის წარდგენით.

(b) საჭიროების შემთხვევაში, ეს მოთხოვნა აგრეთვე მოიცავს მოთხოვნასა და საჭირო დოკუმენტაციას, იმპორტიორი მხარის მოთხოვნის შესაბამისად, იმპორტიორი მხარის მიერ ეკვივალენტობის საფუძველზე ექსპორტიორი მხარის ნებისმიერი პროგრამის ან გეგმის დამტკიცებისათვის, ან/და დაახლოების სტატუსს, როგორც ეს დადგენილია ამ შეთანხმების XI დანართის „ა“ პუნქტში აღწერილ ღონისძიებებთან ან სისტემებთან მიმართებაში, როგორც ამ საქონლის ან საქონლის კატეგორიების იმპორტის ნების დართვის პირობა.

(c) ამ მოთხოვნით, ექსპორტიორი მხარე:

(i) განმარტავს ამ საქონლით ან საქონლის კატეგორიებით ვაჭრობის მნიშვნელობას;

(ii) ახდენს იმ ინდივიდუალური ღონისძიებ(ებ)ის იდენტიფიცირებას, რომელთაც შესაძლოა შეესაბამებოდეს ამ საქონელთან ან საქონლის კატეგორიებთან მიმართებაში იმპორტიორი მხარის იმპორტის პირობებისთვის განსაზღვრული სრული ღონისძიებებიდან.

(iii) ამ საქონელთან ან საქონლის კატეგორიებთან მიმართებაში ახდენს ინდივიდუალური ღონისძიებ(ებ)ის იდენტიფიცირებას და მათგან პოულობს იმ ღონისძიებებს, რომლებიც ეკვივალენტურია იმპორტიორი მხარის მიერ განსაზღვრული საიმპორტო პირობების სრული ღონისძიებებისა.

(d) ამ მოთხოვნის პასუხად იმპორტიორი მხარე განმარტავს მისი ღონისძიებ(ებ)ის საბოლოო და ცაკლეულ მიზანსა და ლოგიკურ საფუძველს, რისკის იდენტიფიცირების ჩათვლით;

(e) ამ განმარტებით იმპორტიორი მხარე ექსპორტიორ მხარეს აცნობებს ამ საქონელთან ან საქონლის კატეგორიებთან დაკავშირებულ შიდა ღონისძიებებსა და იმპორტის პირობებს შორის ურთიერთკავშირის შესახებ;

(f) ექსპორტიორი მხარე იმპორტიორი მხარისათვის ახდენს ობიექტურ დემონსტრირებას იმისას, რომ ღონისძიებები, რომელთა იდენტიფიცირებაც მან მოახდინა, ამ საქონლის ან საქონლის კატეგორიების იმპორტის პირობების ეკვივალენტურია;

(g) იმპორტიორი მხარე ობიექტურად აფასებს ექსპორტიორი მხარის მიერ ეკვივალენტობის დემონსტრირებას;

(h) იმპორტიორი მხარე აკეთებს დასკვნას მიღწეულია თუ არა ეკვივალენტობა;

(i) იმპორტიორი მხარე ექსპორტიორ მხარეს წარუდგენს სრულ განმარტებასა და დამადასტურებელ მონაცემებს მის დადგენილებასთან და გადაწყვეტილებასთან მიმართებაში, თუ ეს მოითხოვება ექსპორტიორი მხარის მიერ.

4. ექსპორტიორი მხარის მიერ ღონისძიებათა ეკვივალენტურობის დემონსტრირება და იმპორტიორი მხარის მიერ ამ დემონსტრირების შეფასება:

(a) ექსპორტიორმა მხარემ ობიექტურად უნდა მოახდინოს თითოეული იდენტიფიცირებული ღონისძიების ეკვივალენტობის დემონსტრირება იმპორტიორი მხარის მიერ განსაზღვრულ იმპორტის პირობებთან. სადაც საჭიროა, ეკვივალენტობა ობიექტურად უნდა იყოს დემონსტრირებული ნებისმიერი გეგმის ან პროგრამისათვის, რომელიც მოთხოვნილია იმპორტიორი მხარის მიერ, როგორც იმპორტის ნების დართვის პირობა (მაგალითად ნარჩენების გეგმა და ა.შ.).

(b) ამ კონტექსტში ობიექტური დემონსტრირება და შეფასება შეძლებისდაგვარად უნდა ეფუძნებოდეს:

(i) საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს; ან/და

(ii) სათანადო მეცნიერულ მტკიცებულებებზე დაფუძნებულ სტანდარტებს; ან/და

(iii) რისკის შეფასებას; ან/და

(iv) წარსულ გამოცდილებასთან, შეფასებასა და/ან დამოწმებასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს, ანგარიშებსა და ინფორმაციას;

(v) დამოწმებას; და

(vi) ღონისძიებათა სამართლებრივ სტატუსს ან ადმინისტრაციული სტატუსის დონეს; და

(vii) განხორციელებისა და აღსრულების დონეს კონკრეტულად შემდეგის საფუძველზე:

- ზედამხვედველობისა და მონიტორინგის პროგრამების შესაბამისი შედეგები;
- ექსპორტიორი მხარის ინსპექტირების შედეგები;
- აღიარებული ანალიზის მეთოდების საფუძველზე განხორციელებული ანალიზის შედეგები;
- იმპორტიორი მხარის მიერ იმპორტის შემოწმებისა და დამოწმების შედეგები;
- ექპსორტიორი მხარის კომპეტენტური ორგანოების საქმიანობა; და
- ადრინდელი გამოცდილება.

5. იმპორტიორი მხარის დასკვნა

პროცესი შეიძლება მოიცავდეს ინსპექტირებას ან დამოწმებას;

იმ შემთხვევაში, თუ იმპორტიორი მხარე გააკეთებს უარყოფით დასკვნას, მან ექსპორტიორ მხარეს უნდა წარუდგინოს დეტალური და დასაბუთებული განმარტება.

6. მცენარეებისა და მცენარეული პროდუქტებისათვის ფიტოსანიტარულ ღონისძიებებთან დაკავშირებული ეკვივალენტობა დაფუძნებული უნდა იყოს ამ შეთანხმების 57-ე მუხლის მე-6 პუნქტში აღნიშნულ პირობებზე.

იმპორტის შემოწმება და ინსპექტირების მოსაკრებელი

A. იმპორტის შემოწმების პრინციპები

იმპორტის შემოწმება მოიცავს დოკუმენტურ, იდენტურობისა და ფიზიკურ შემოწმებებს.

ცხოველებსა და ცხოველურ პროდუქტებთან მიმართებაში ფიზიკური შემოწმება და მისი სიხშირე უნდა ეფუძნებოდეს ამგვარ იმპორტთან დაკავშირებულ რისკის დონეს.

მცენარეთა სიჯანსაღის მიზნებისათვის შემოწმების განხორციელებისას იმპორტიორმა მხარემ უნდა უზრუნველყოს მცენარეების, მცენარეული პროდუქტებისა და სხვა ობიექტების საფუძვლიანი ოფიციალური ინსპექტირება მთლიანი პროდუქტის ან მისი საკმარისი ნიმუშის მიმართ, რათა გარანტირებულ იქნას, რომ პროდუქტი არ არის მავნებლებით დაბინძურებული.

იმ შემთხვევაში, თუ შემოწმებები გამოავლენენ შესაბამის სტანდარტებთან ან/და მოთხოვნებთან შეუსაბამობას, იმპორტიორმა მხარემ უნდა მიიღოს არსებული რისკის ადეკვატური ზომები. სადაც შესაძლებელია, იმპორტიორს ან მის წარმომადგენელს უნდა მიეცეს დაშვება ტვირთთან და მიეცეს შესაძლებლობა ნებისმიერი შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებით დაეხმაროს იმპორტიორ მხარეს ტვირთთან მიმართებაში საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაში. ამგვარი გადაწყვეტილება უნდა იყოს ამგვარ იმპორტთან დაკავშირებული რისკის პროპორციული.

B. ფიზიკური შემოწმების სიხშირე

B.1. საქართველოდან ევროკავშირში და ევროკავშირიდან საქართველოში ცხოველებისა და ცხოველური პროდუქტების იმპორტი

სასაზღვრო შემოწმების ტიპი	შემოწმების სიხშირე
1. დოკუმენტური შემოწმება	100%
2. იდენტურობის შემოწმება	100 %
3. ფიზიკური შემოწმება	
ცოცხალი ცხოველები 100 %	100%
I კატეგორიის პროდუქტები ახალი ხორცი, სუბპროდუქტებისა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ცხვრის, თხის, ღორისა და ცხენის სახეობების პროდუქტების ჩათვლით, რომელიც განსაზღვრულია საბჭოს 64/433/EEC დირექტივით ახალი ხორცის წარმოებისა და	

ეტიკეტირების ჯანმრთელობის პირობების შესახებ, ცვლილებების გათვალისწინებით. ჰერმეტულად დახურულ კონტეინერებში მოთავსებული თევზის პროდუქტები, რომელიც გამიზნულია სტაბილური გარემოს ტემპერატურისათვის, ახალი და გაყინული თევზი და გამომშრალი ან/და დამარილებული თევზის პროდუქტები კვერცხი ღორის ქონი და მდნარი ცხიმები ცხოველის ნაწლავები საინკუბაციო კვერცხი ღორის ქონი და გადადნობილი ქონი	20%
II კატეგორიის პროდუქტები ფრინველის ხორცი და ფრინველის ხორცპროდუქტები კურდღლის ხორცი, ნანადირევი (გარეული/შინაური) და მისი პროდუქტები რძე და რძის პროდუქტები ადამიანის მოხმარებისათვის კვერცხის პროდუქტები გადამუშავებული ცხოველური პროტეინი ადამიანის მოხმარებისთვის (100% პირველი ექვსი დიდი ტვირთისთვის, საბჭოს 1992 წლის 17 დეკემბრის 92/118/EEC დირექტივა, რომელიც ასახავს ცხოველისა და საზოგადოების ჯანმრთელობის მოთხოვნებს, რომელიც არეგულირებს ვაჭრობასა და იმპორტს ევროკავშირში იმ პროდუქტებისათვის, რომლებსაც არ ეხებათ ზემოთ აღნიშნული მოთხოვნები, რომლებიც გაწერილია საბჭოს 89/662/EEC დირექტივის დანართ A (1)-ში არსებულ ევროკავშირის სპეციალურ წესებში, და პათოგენების შემთხვევაში, საბჭოს 90/425/EEC დირექტივაში, არსებულ წესებში, ცვლილებების გათვალისწინებით.) თევზის სხვა პროდუქტები, რომლებიც არ არის ნახსენები კომისიის 2006 წლის 6 ნოემბრის 2006/766/EEC გადაწყვეტილებაში, რომელიც ადგენს მესამე ქვეყნებისა და ტერიტორიების სიას, საიდანაც ნებადართულია ორსაგდულიანი მოლუსკების, ექინოდერმების, ტუნიკატების, ზღვის გასტროფოდების და თევზის პროდუქტების იმპორტირება, ცვლილებების გათვალისწინებით. ორსაგდულიანი მოლუსკები თაფლი	50%
III კატეგორიის პროდუქტები სპერმა ემბრიონები	

ნაკელი რძე და რძის ნაწარმი (რომელიც არ არის განკუთვნილი ადამიანის მოხმარებისთვის) ჟელატინი ბაყაყის ფეხები და ლოკოკინები ძვლები და ძვლის პროდუქტები ტყავები და კანები ჯაგარი, მატყლი, ბეწვი და ბუმბული რქები, რქის პროდუქტები, ჩლიქები და ჩლიქების პროდუქტები მეფუტკრეობის პროდუქტები ნანადირევი შინაური ცხოველის გადამუშავებული საკვები ნედლეული შინაური ცხოველის საკვების წარმოებისათვის ნედლეული, სისხლი, სისხლის პროდუქტები, ჯირკვლები და ორგანოები ფარმაცევტული ან ტექნიკური გამოყენებისათვის თივა და ჩალა პათოგენები ცხოველის გადამუშავებული პროტეინი (დაფასოებული)	მინიმუმ 1% მაქსიმუმ 10%
ცხოველის გადამუშავებული პროტეინი, რომელიც არ არის განკუთვნილი ადამიანის მიერ მოხმარებისათვის (ნაყარი)	პირველი ექვსი ტვირთის 100% (ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002 წლის 30 ოქტომბრის EC 1774/2002 რეგულაციის , დანართი VII, თავი II, პუნქტი 10 და 11, რომლებიც აღწერს წესებს, რომელიც შეეხება ცხოველის სუბ-პროდუქტებს, რომელიც არ არის განკუთვნილი ადამიანის მიერ მოხმარებისათვის, ცვლილებების გათვალისწინებით.

B.2. არაცხოველური წარმოშობის სურსათის იმპორტი საქართველოდან ევროკავშირში და ევროკავშირიდან საქართველოში

- წიწაკა (*Capsicum annuum*), დაფშვნილი ან დაფქვილი - ex 09042090 - წიწაკის პროდუქტები (ცხარე სანელებელი) - 09109105 - *ყვითელი კოჭა* (კურკუმა) - 0910 30 00 (სურსათი - გამხმარი სუნელები) - წითელი პალმის ზეთი - ex1511 10 90	10% სუდანის საღებავებისათვის

B.3. მცენარეების, მცენარეული პროდუქტებისა და სხვა ობიექტების იმპორტი ევროკავშირში ან საქართველოში

მცენარეებისთვის, მცენარეული პროდუქტებისა და სხვა ობიექტებისათვის, რომლებიც მოცემულია 2000/29/EC დირექტივის V დანართის B ნაწილში:

იმპორტიორი მხარე ახორციელებს შემოწმებებს ტვირთის (ტვირთების) ფიტოსანიტარიული სტატუსის დასამოწმებლად.

მხარეები შეაფასებენ იმპორტისას მცენარეთა ჯანმრთელობის შემოწმების აუცილებლობას ორმხრივ ვაჭრობაში იმ საქონლისათვის, რომელიც მოცემულია ზემოხსენებულ დანართში როგორც ევროკავშირის არაწევრ ქვეყანაში წარმოშობილი.

შესაძლებელია დადგინდეს მცენარეთა ჯანმრთელობის შემოწმების შემცირებული სიხშირე რეგულირებადი საქონლისათვის გარდა იმ მცენარეებისა, მცენარეული პროდუქტისა და სხვა ობიექტების, რომლებიც განსაზღვრულია 2004 წლის 11 ოქტომბრის (EC)1756/2004 რეგულაციაში, რომელიც განსაზღვრავს იმ მცენარეების, მცენარეული პროდუქტების ან სხვა ობიექტების ჯანმრთელობის შემოწმების ტიპებისა და დონეების შემცირების კრიტერიუმების დეტალურ პირობებს, რომლებიც მოცემულია საბჭოს 2000/29/EC დირექტივის V დანართის B ნაწილში.

დანართი X

სერტიფიცირება

A. სერტიფიცირების პრინციპები

მცენარეები და მცენარეული პროდუქტები და სხვა ობიექტები:

მცენარეების, მცენარეული პროდუქტების და სხვა ობიექტების სერტიფიცირებასთან დაკავშირებით კომპეტენტურმა უწყებებმა უნდა გამოიყენონ ის პრინციპები, რომლებიც მოცემულია შესაბამის ISPM-ებში.

ცხოველები და ცხოველური პროდუქტები:

1. მხარეების კომპეტენტურმა უწყებებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სერტიფიცირების განმახორციელებელი მოხელეები ფლობდნენ ცხოველებისა და ცხოველური წარმოშობის პროდუქტების სერტიფიცირებასთან დაკავშირებული ვეტერინარული

კანონმდებლობის სათანადო ცოდნას, და ზოგადად, ინფორმირებულნი იყვენენ იმ წესების შესახებ, რაც საჭიროა სერტიფიკატების შედგენისა და გაცემისათვის და, აუცილებელობის შემთხვევაში, საკითხის ბუნებიდან გამომდინარე, სერტიფიცირებამდე ჩასატარებელი კითხვარის, გამოკვლევებისა და ტესტების შესახებ.

2. სერტიფიცირების განმახორციელებელმა მოხელეებმა არ უნდა განახორციელონ იმ მონაცემების სერტიფიცირება, რომლებიც არ იციან სათანადოდ ან რომელთა დადგენაც არ შეუძლიათ.

3. სერტიფიცირების განმახორციელებელმა მოხელეებმა ხელი არ უნდა მოაწერონ ცარიელ ან დაუსრულებელ სერტიფიკატებს, ან იმ სერტიფიკატებს, რომელიც უკავშირდება იმ ცხოველებს ან ცხოველურ პროდუქტებს, რომლებზეც მათ არ განუხორციელებიათ ინსპექტირება ან რომელსაც არ გაუვლია მათი კონტროლი. როდესაც სერტიფიკატს ხელი ეწერება სხვა სერტიფიკატის ან დამოწმების საფუძველზე, სერტიფიცირების განმახორციელებელი მოხელე უნდა ფლობდეს ამ დოკუმენტს ხელმოწერამდე.

4. სერტიფიცირების განმახორციელებელმა მოხელემ შეიძლება სერტიფიცირება გაუკეთოს იმ მონაცემებს, რომლებიც:

(a) არის დადგენილი ამ დანართის 1-3 პუნქტების საფუძველზე სხვა პიროვნების მიერ, რომელიც კომპეტენტური უწყების მიერ არის ავტორიზებული და რომელიც მოქმედებს ამ უწყების კონტროლის ქვეშ, იმის გათვალისწინებით, რომ სერტიფიცირების განმახორციელებელ მოხელეს შეუძლია გადაამოწმოს მონაცემების სიზუსტე; ან

(b) მიღებულია, მონიტორინგის პროგრამების ფარგლებში, ოფიციალურად აღიარებული ხარისხის უზრუნველყოფის სქემებით ან ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის სისტემის საშუალებით, როცა ეს ავტორიზებულია ვეტერინარული კანონმდებლობის ფარგლებში.

5. მხარეების კომპეტენტურმა უწყებებმა უნდა განახორციელონ ყველა აუცილებელი ნაბიჯი, რათა უზრუნველყონ სერტიფიცირების ერთიანობა. კერძოდ, მათ უნდა უზრუნველყონ, რომ მათ მიერ დანიშნულ სერტიფიცირების განმახორციელებელ მოხელეებს:

(a) აქვთ სტატუსი, რომელიც უზრუნველყოფს მათ მიუკერძოებლობას და არ აქვთ პირდაპირი კომერციული ინტერესი ცხოველების ან პროდუქტების მიმართ, რომლის სერტიფიცირებასაც ახდენენ ან იმ სადგომების ან საწარმოს მიმართ, საიდანაც არის მათი წარმომავლობა; და

(b) ზედმიწევნით იციან იმ სერტიფიკატის შინაარსის მნიშვნელობა, რომელსაც ხელს აწერენ.

6. სერტიფიკატები უნდა შედგეს რათა უზრუნველყოფილ იქნას ის, რომ კონკრეტული სერტიფიკატი ეხება კონკრეტულ ტვირთს იმ ენაზე, რომელიც ესმის სერტიფიცირების განმახორციელებელ მოხელეს და მინიმუმ იმპორტის განმახორციელებელი მხარის ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე, როგორც ეს მოცემულია ამ დანართის C ნაწილში.

7. თითოეულ კომპეტენტურ უწყებას უნდა შეეძლოს სერტიფიკატის დაკავშირება შესაბამის სერტიფიცირების განმახორციელებელ მოხელესთან და ასევე უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა გაცემული სერტიფიკატის ასლი ხელმისაწვდომია იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც მის მიერ არის განსაზღვრული.

8. თითოეულმა მხარემ უნდა შემოიღოს შემოწმებები და კონტროლი, რაც აუცილებელია ყალბი ან შეცდომაში შემყვანი სერტიფიკატის გაცემისა და სერტიფიკატების თაღლითური გამოყენების თავიდან აცილებისათვის, რომლებიც გაცემულია ვეტერინარული კანონმდებლობით დადგენილი მიზნების დასადასტურებლად.

9. ნებისმიერი სამართლწარმოების ან სადამსჯელო ღონისძიებებისათვის ზიანის მიუყენებლად, კომპეტენტურმა უწყებებმა უნდა განახორციელონ გამოძიებები ან შემოწმებები და მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა დაისაჯოს ყალბი ან შეცდომაში შემყვანი სერტიფიცირების ნებისმიერი გამოვლინება, რომელიც მიიპყრობს მათ ყურადღებას. ამგვარი ზომები შეიძლება მოიცავდეს სერტიფიცირების განმახორციელებელი მოხელეებისათვის მათი უფლებამოსილების დროებით შეჩერებას, სანამ არ დამთავრდება გამოძიება. კერძოდ:

(a) თუ შემოწმების დროს აღმოჩნდება, რომ სერტიფიცირების განმახორციელებელმა მოხელემ მიზანმიმართულად გასცა ყალბი სერტიფიკატი, კომპეტენტურმა უწყებამ უნდა მიიღოს ყველა ზომა, რამდენადაც ეს შესაძლებელია, რათა აღნიშნულმა პიროვნებამ ვეღარ შეძლოს დანაშაულის განმეორება;

(b) თუკი შემოწმების დროს აღმოჩნდება, რომ პიროვნებამ ან საწარმომ თაღლითურად გამოიყენა ან გააყალბა ოფიციალური სერტიფიკატი, კომპეტენტურმა უწყებამ უნდა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, რამდენადაც ეს შესაძლებელია, რათა ამ პიროვნებამ ან საწარმომ ვეღარ შეძლოს დანაშაულის განმეორება. ამგვარი ზომები შეიძლება მოიცავდეს ოფიციალური სერტიფიკატის გაცემაზე უარის თქმას აღნიშნული პიროვნებისათვის ან საწარმოსათვის.

B. წინამდებარე შეთანხმების 60 (2a) მუხლში განხილული სერტიფიკატები

სერტიფიკატში ჯანმრთელობის დამოწმება ასახავს შესაბამისი საქონლის ეკვივალენტობის სტატუსს. ჯანმრთელობის დამოწმება გულისხმობს ექსპორტიორი მხარის წარმოების სტანდარტებთან შესაბამისობას, რაც ეკვივალენტურად არის აღიარებული იმპორტიორი მხარის მიერ.

C. სერტიფიცირების ოფიციალური ენები

1. იმპორტი ევროკავშირში

მცენარეების, მცენარეული პროდუქტებისა და სხვა ობიექტებისათვის:

სერტიფიკატები უნდა შედგეს იმ ენაზე, რომელიც ესმის სერტიფიცირების განმახორციელებელ მოხელეს და მინიმუმ იმპორტიორი მხარის ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე.

ცხოველებისა და ცხოველური პროდუქტებისათვის:

ჯანმრთელობის სერტიფიკატი უნდა შედგეს ევროკავშირის წევრი დანიშნულების ქვეყნის მინიმუმ ერთ ოფიციალურ ენაზე და ევროკავშირის იმ წევრი ქვეყნის ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე, სადაც განხორციელდა ამ შეთანხმების 63-ე მუხლით განსაზღვრული იმპორტის შემოწმება. თუმცა, ევროკავშირის წევრი ქვეყანა შეიძლება დათანხმდეს ევროკავშირის ოფიციალური ენის გამოყენებას, რომელიც განსხვავდება მისი საკუთარი ენისაგან.

2. იმპორტი საქართველოში

ჯანმრთელობის სერტიფიკატი უნდა შედგეს ქართულ ენაზე, და სერტიფიცირების განმახორციელებელი ევროკავშირის წევრი ქვეყნის მინიმუმ ერთ ოფიციალურ ენაზე.

დანართი XI

დაახლოება

დანართი XI-A

ეკვივალენტობის აღიარების მიზნით დაახლოების პროცესში პროგრესის შეფასების პრინციპები

ნაწილი I - ეტაპობრივი დაახლოება

1. ზოგადი წესები

საქართველოს სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ცხოველთა კეთილდღეობის კანონმდებლობა ეტაპობრივად უნდა დაუახლოვდეს ევროკავშირის მხარისას, რომელიც დაეფუძნება ევროკავშირის სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ცხოველთა კეთილდღეობის კანონმდებლობის დაახლოების ჩამონათვალს. ჩამონათვალი უნდა დაიყოს პრიორიტეტულ სფეროებად, რომელიც უკავშირდება ღონისძიებებს, როგორც ეს განსაზღვრულია წინამდებარე შეთანხმების IVდანართში. ამ მიზნით საქართველომ უნდა განსაზღვროს ვაჭრობის საკუთარი პრიორიტეტული სფეროები.

ქართულმა მხარემ უნდა დაუახლოოს ეროვნული წესები ევროკავშირის კანონმდებლობას:

(a) დამატებითი ეროვნული წესების ან პროცედურების მიღების საშუალებით, რომელთა მიზანია ევროკავშირის შესაბამისი საბაზისო კანონმდებლობის წესების განხორციელება და აღსრულება, ან

(b) შესაბამისი ეროვნული წესების ან პროცედურების შეცვლით, რათა მოიცვას ის წესები, რომელიც არის ევროკავშირის შესაბამის საბაზისო კანონმდებლობაში.

ნებისმიერ შემთხვევაში, ქართულმა მხარემ უნდა:

(a) გააუქმოს ნებისმიერი კანონი, რეგულაცია ან სხვა ნებისმიერი ზომა, რომელიც არ არის შესაბამისობაში დაახლოებულ ეროვნულ კანონმდებლობასთან;

(b) უზრუნველყოს დაახლოებული ეროვნული კანონმდებლობის ეფექტიანი იმპლემენტაცია.

საქართველომ უნდა დოკუმენტურად ასახოს ამგვარი დაახლოება შესაბამისობის ცხრილში მიწოდებული მოდელის მიხედვით, სადაც აღნიშნული იქნება ეროვნული წესების ძალაში შესვლის თარიღი და ოფიციალური გაზეთი, სადაც ის გამოქვეყნდა. შესაბამისობის ცხრილის მომზადებისა და შეფასების მოდელი მოცემულია ამ დანართის II ნაწილში. თუკი დაახლოება არ არის სრული, შემფასებლებმა[5] უნდა აღწერონ ნაკლოვანებები იმ სვეტში, რომელიც არის განკუთვნილი კომენტარებისათვის.

განურჩევლად იმისა, თუ რომელი სფერო განისაზღვრება როგორც პრიორიტეტული, ქართულმა მხარემ უნდა მოამზადოს შესაბამისობის ცალკეული ცხრილები, რომელიც ასახავს სხვა ზოგადი და სპეციფიკური კანონმდებლობის დაახლოებას, კერძოდ იმ ზოგადი წესების ჩათვლით, რომლებიც უკავშირდება:

(a) კონტროლის სისტემებს:

- ეროვნული ბაზარი,

- იმპორტი;

(b) ცხოველის ჯანმრთელობას და კეთილდღეობას:

- ცხოველების იდენტიფიკაცია და რეგისტრაცია და მათი გადაადგილების რეგისტრაცია,

- ცხოველის დაავადებების კონტროლის ღონისძიებები,

- ეროვნული ვაჭრობა ცოცხალი ცხოველებით, სპერმით, კვერცხუჯრედებით და ემბირონებით,

- ცხოველების კეთილდღეობა ფერმებში, ტრანსპორტირებისას და დაკვლისას;

(c) სურსათის უვნებლობას:

- სურსათისა და ცხოველის საკვების ბაზარზე განთავსება,

- სურსათის ეტიკეტირება, პრეზენტაცია და რეკლამირება, კვებითი ღირებულებისა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხების ჩათვლით,

- ნარჩენების კონტროლი,

- სპეციფიკური წესები ცხოველის საკვებისათვის;

(d) ცხოველის სუბ-პროდუქტებს

(e) მცენარეთა ჯანმრთელობას

- მავნე ორგანიზმები;
- მცენარეთა დაცვის საშუალებები;

(f) გენ-მოდიფიცირებული ორგანიზმები:

- გაშვებული გარემოში;
- გენეტიკურად მოდიფიცირებული სურსათი და ცხოველის საკვები.

ნაწილი II - შეფასება

1. პროცედურა და მეთოდი

ქართული მხარის სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ცხოველთა კეთილდღეობის კანონმდებლობა, რომელიც მოცემულია IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) მე -4 თავში (სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომები) ეტაპობრივად უნდა დაუახლოვდეს ევროკავშირის კანონმდებლობას და ეფექტიანად აღსრულდეს[6].

შესაბამისობის ცხრილები უნდა მომზადდეს იმ მოდელის მიხედვით, რომელიც არის მოცემული მე-2 პუნქტში თითოეული დაახლოებული აქტისათვის და მიწოდებულ იქნას შემფასებლებისათვის ინგლისურ ენაზე შეფასების განსახორციელებლად.

თუ შეფასების შედეგი დადებითია ინდივიდუალური ღონისძიებისათვის, ღონისძიებათა ჯგუფისათვის, სექტორის, ქვე-სექტორის, საქონლის ან საქონლის ჯგუფის სისტემისათვის, წინამდებარე შეთანხმების 57(4) მუხლის პირობები უნდა იქნეს გამოყენებული.

2. შესაბამისობის ცხრილები

2.1. როდესაც მზადდება შესაბამისობის ცხრილები, გათვალისწინებულ უნდა იქნას შემდეგი:

ევროკავშირის აქტები გამოყენებულ უნდა იქნას შესაბამისობის ცხრილების მოსამზადებლად. ამ მიზნით გამოყენებულ უნდა იქნას დაახლოების დროისათვის ძალაში არსებული ვერსია. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ზუსტ თარგმანს ეროვნულ ენაზე, რამდენადაც ლინგვისტურმა უზუსტობამ შეიძლება გამოიწვიოს არასწორი ინტერპრეტაცია, განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი ეხება კანონმდებლობის დაფარვის სფეროს[7].

2.2. შესაბამისობის ცხრილის მოდელი:

შესაბამისობის ცხრილი

ევროკავშირის აქტსა (სახელწოდება), უახლესი ცვლილებები შესულია:

და

ეროვნულ აქტს (სახელწოდება)

(გამოქვეყნებულია -ში)

შორის

გამოქვეყნების თარიღი:

იმპლემენტაციის თარიღი:

ევროკავშირის აქტი	ეროვნული კანონმდებლობა	შენიშვნები (საქართველოდან)	შემფასებლის კომენტარები

წარწერა:

ევროკავშირის აქტი: მისი მუხლები, პუნქტები, ქვე-პუნქტები და სხვა უნდა იქნას აღნიშნული მთლიანი სათაურით და შესაბამისობის ცხრილის მარცხენა სვეტში უნდა იქნას მითითებული წყარო თუ საიდან იქნა აღებული[8].

ეროვნული კანონმდებლობა: მარცხენა სვეტში მითითებული ევროკავშირის დებულებების შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის დებულებები, აღნიშნული უნდა იყოს მათი სრული დასახელებით და იმის მითითებით, თუ საიდან იქნა აღებული. მათი შინაარსი აღწერილი უნდა იყოს დეტალურად მეორე სვეტში.

შენიშვნები საქართველოდან: ამ სვეტში საქართველომ უნდა მიუთითოს წყაროები ან სხვა დებულება, რომელიც დაკავშირებულია ამ მუხლთან, პუნქტთან, ქვეპუნქტთან და ა.შ. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დებულების ტექსტი არ არის დაახლოებული. უნდა განიმარტოს შესაბამისი მიზეზი, თუ რატომ არ მოხდა დაახლოება.

შემფასებლის კომენტარები: თუკი შემფასებლები ჩათვლიან, რომ დაახლოება არ არის მიღწეული, მათ უნდა დაასაბუთონ ეს შეფასება და აღწერონ შესაბამისი ნაკლოვანებები ამ სვეტში.

დანართი XI-B

საქართველოს მიერ დასაახლოებელი ევროკავშირის კანონმდებლობის ჩამონათვალი

დასაახლოებელი კანონმდებლობის ჩამონათვალი, რომელიც მოცემულია წინამდებარე შეთანხმების 55-მუხლის მე-4 პუნქტში უნდა იქნეს წარდგენილი საქართველოს მიერ ამ შეთანხმების ძალაში შესვლიდან 6 თვის ვადაში.

დანართი XII

ეკვივალენტობის სტატუსი

დანართი XIII

საბაჟო კანონმდებლობის დაახლოება

საბაჟო კოდექსი

ევროკავშირის საბაჟო კოდექსის შექმნის შესახებ საბჭოს 1992 წლის 12 ოქტომბრის (EEC) N 2913/92 რეგულაცია

განრიგი: 1-3, 8(1) პირველი აბზაცის, 18, 19, 94(1), 97, 113, 117(c), 129, 163-165, 174, 179, 209-211, 215(4), 247-253 მუხლების გარდა ზემოხსენებულ რეგულაციის დებულებებთან მიახლოება განხორციელდება ამ შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის მანძილზე.
საბაჟო კონტროლის ქვეშ გადამუშავებასთან მიმართებით 84, 130-136 მუხლებთან მიახლოების საკითხს მხარეები დაუბრუნდებიან ზემოთ განსაზღვრული მიახლოების განრიგით გათვალისწინებული ვადის

ამოწურვამდე.

173, 221(3) და 236(2) მუხლებთან მიახლოებისთვის გამოიყენება მაქსიმალური ძალისხმევა

საერთო ტრანზიტი და „ერთიანი ადმინისტრირების დოკუმენტი“

საქონლით ვაჭრობაში ფორმალობების გამარტივების შესახებ 1987 წლის 20 მაისის კონვენცია

ტრანზიტის საერთო პროცედურების შესახებ 1987 წლის 20 მაისის კონვენცია

განრიგი: ზემოხსენებული კონვენციების დებულებებთან მიახლოება, ზემოაღნიშნულ კონვენციებზე საქართველოს შესაძლო მიერთების ჩათვლით, განხორციელდება ამ შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის მანძილზე

საბაჟო გადასახადისაგან გათავისუფლება

2009 წლის 16 ნოემბრის საბჭოს (EC) N1186/2009 რეგულაცია საბაჟო გადასახადისაგან გათავისუფლების თაობაზე ევროკავშირის სისტემის შექმნის შესახებ

განრიგი: ზემოხსენებული რეგულაციის პირველი და მეორე თავის დებულებებთან მიახლოება განხორციელდება ამ შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის მანძილზე

ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვა

2013 წლის 12 ივნისის ევროპარლამენტის და საბჭოს (EU) N 608/2013 რეგულაცია ინტელექტუალური საკუთრების უფლებების საბაჟოს მიერ აღსრულებისა

განრიგი: ზემოხსენებული რეგულაციის დებულებებთან მიახლოება, 26 მუხლის გარდა, განხორციელდება ამ შეთანხმების ძალაში შესვლიდან სამი წლის მანძილზე. N608/2013 რეგულაციასთან მიახლოების ვალდებულება არ უქმნის საქართველოს რაიმე ვალდებულებას, რომ გაატაროს ზომები იმ შეთხვევაში, როდესაც ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული მატერიალური კანონმდებლობა და დებულებები არ იცავს ინტელექტუალური საკუთრების ამა თუ იმ უფლებას.

[1] იხილეთ 2012 წლის 9 ოქტომბრის კომისიის განმახორციელებელი (EU) 927/2012 რეგულაციის დანართი 1, რომელსაც ცვლილება შეაქვს საბჭოს (EEC) No 2658/87 რეგულაციის I დანართში და ეხება ტარიფებს და სტატისტიკურ ნომენკლატურას და ერთიან საბაჟო ტარიფს.

[2] 132 მილიონი ცალიX 50 გრ = 6 600 ტონა

[3] შეფუთვა, ტრანსპორტი, კონტეინერები, ნიადაგი, მზარდი შემცველები და ნებისმიერი სხვა ორგანიზმები, ობიექტები ან მასალები, რომლებსაც შეუძლიათ მავნებლების გავრცელება

[4] ფერმერული ცხოველების საკვების ჯაჭვში დაიშვება მხოლოდ ცხოველთა სუბპროდუქტები, რომლებიც იწარმოება ცხოველებისგან ან ცხოველთა ნაწილებისგან, რომლებიც აღიარებულნი არიან როგორც ადამიანთა მოხმარებისთვის ვარგისი.

[5] შემფასებლები უნდა იყვნენ ევროკომისიის მიერ დანიშნული ექსპერტები

[6] ამ მიზნით, ის შეიძლება მხარდაჭერილ იქნას ევროკავშირის წევრი ქვეყნის ექსპერტების მიერ ცალკე ან CIB პროგრამების (ორმხრივი პარტნიორობის პროექტები, TAIEX და სხვა) ფარგლებში.

[7] დაახლოების პროცესის ხელშესაწყობად, ევროკავშირის კანონმდებლობის ცალკეული ნაწილების კონსოლიდირებული ვერსიები ხელმისაწვდომია EUR-lex ვებ-გვერდზე შემდეგ მისამართზე http://eur-lex.europa.eu/RECH_menu.do?ihmlang=en

[8] მაგალითად, როგორც მითითებულია EUR-lex ვებ-გვერდზე: http://eur-lex.europa.eu/RECH_menu.do?ihmlang=en

დანართი XIV

დათქმების ჩამონათვალი დაფუძნებაზე; ვალდებულებების ჩამონათვალი მომსახურების საზღვრებს გარეთ მიწოდებაზე; დათქმების ჩამონათვალი ძირითად პერსონალზე, სტაჟიორებზე და ბიზნესის გამყიდველებზე; დათქმების ჩამონათვალი საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლებზე და დამოუკიდებელ პროფესიონალებზე

ევროკავშირი

1. დათქმების ჩამონათვალი დაფუძნებაზე: დანართი XIV-A
2. ვალდებულებების ჩამონათვალი მომსახურების საზღვრებს გარეთ მიწოდებაზე: დანართი XIV-B
3. დათქმების ჩამონათვალი ძირითად პერსონალზე, სტაჟიორებზე და ბიზნესის გამყიდველებზე: დანართი XIV-C
4. დათქმების ჩამონათვალი საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლებზე და დამოუკიდებელ პროფესიონალებზე: დანართი XIV-D

საქართველო

5. ევროკავშირი დათქმების ჩამონათვალი დაფუძნებაზე: დანართი XIV-E
6. ვალდებულებების ჩამონათვალი მომსახურების საზღვრებს გარეთ მიწოდებაზე: დანართი XIV-F

7. დათქმების ჩამონათვალი ძირითად პერსონალზე, სტაჟიორებზე და ბიზნესის გამყიდველებზე: დანართი XIV-G

8. დათქმების ჩამონათვალი საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლებზე და დამოუკიდებელ პროფესიონალებზე: დანართი XIV-H

XIV-A, XIV-B, XIV-C და XIV-D დანართების მიზნებისთვის გამოიყენება შემდეგი შემოკლებები:

AT	ავსტრია
BE	ბელგია
BG	ბულგარეთი
CY	კვიპროსი
CZ	ჩეხეთის რესპუბლიკა
DE	გერმანია
DK	დანია
EU	ევროპის კავშირი, მისი წევრი ყველა სახელმწიფოს ჩათვლით
ES	ესპანეთი
EE	ესტონეთი
FI	ფინეთი
FR	საფრანგეთი
EL	საბერძნეთი
HR	ხორვატია
HU	უნგრეთი
IE	ირლანდია
IT	იტალია
LV	ლატვია
LT	ლიტვა
LU	ლუქსემბურგი
MT	მალტა
NL	ნიდერლანდები
PL	პოლონეთი
PT	პორტუგალია
RO	რუმინეთი
SK	სლოვაკეთის რესპუბლიკა

SI	სლოვენია
SE	შვედეთი
UK	გაერთიანებული სამეფო

XIV-E, XIV-F, XIV-G და XIV-H დანართების მიზნებისათვის გამოიყენება შემდეგი შემოკლება:

GE	საქართველო

_____

დანართი XIV-A

დათქმების ჩამონათვალი დაფუძნებაზე

(ევროკავშირი)

1. ქვემოთ მოცემული დათქმების ჩამონათვალი მოიცავს ეკონომიკურ საქმიანობას, სადაც ევროკავშირის მიერ ამ შეთანხმების 79-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ეროვნულ რეჟიმსა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმზე დაწესებული დათქმები გამოიყენება საქართველოს მეწარმე სუბიექტების დაფუძნებისა და მეწარმეების მიმართ.

ჩამონათვალი მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

(a) ჰორიზონტალური დათქმების ჩამონათვალი, რომელიც ყველა სექტორზე ან ქვესექტორზე ვრცელდება.

(b) სექტორის ან ქვესექტორის სპეციფიკური დათქმების ჩამონათვალი, რომელიც მიუთითებს სექტორზე ან ქვესექტორზე და მის შესაბამის დათქმაზე (დათქმებზე).

დათქმა იმ საქმიანობაზე, რომელიც არ არის ლიბერალიზებული (ვალდებულება არ არის აღებული) გამოხატულია შემდეგნაირად: „ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული“.

როდესაც დათქმა (a) ან (b) ქვეპუნქტის შესაბამისად მოიცავს მხოლოდ ცალკეული წევრი ქვეყნის სპეციფიკურ დათქმას, ის წევრი ქვეყნები, რომლებიც არ არიან მოხსენიებულნი, იღებენ ვალდებულებას შესაბამის სექტორში დათქმის გარეშე ამ შეთანხმების 79-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად (ცალკეული წევრი ქვეყნის სპეციფიკური დათქმის არარსებობა ზიანს არ აყენებს ჰორიზონტალურ დათქმებს ან ევროკავშირის მასშტაბის სექტორულ დათქმებს).

2. შეთანხმების 76-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ქვემოთ მოცემული ჩამონათვალი არ მოიცავს მხარეების მიერ გაცემულ სუბსიდიებთან დაკავშირებულ ზომებს.

3. ქვემოთ მოცემული დანართიდან გამომდინარე უფლებებსა და ვალდებულებებს არ უნდა ჰქონდეს თვითგანხორციელების ეფექტი და შესაბამისად, პირდაპირ არ უნდა ანიჭებდეს უფლებებს ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს.

4. შეთანხმების 79-ე მუხლის შესაბამისად, არადისკრიმინაციული მოთხოვნები, როგორიცაა მოთხოვნები სამართლებრივ ფორმასთან დაკავშირებით ან ტერიტორიაზე მოქმედი ყველა მიმწოდებლისათვის ლიცენზიების ან ნებართვების მიღების ვალდებულება განურჩევლად მათი ეროვნებისა, რეზიდენტობისა ან ეკვივალენტური კრიტერიუმებისა, არ არის მოცემული ამ დანართში, ვინაიდან მათ ზიანი არ ადგებათ მოცემული შეთანხმებით.

5. იმ შემთხვევაში, თუ ევროკავშირი იყენებს ისეთ დათქმას, რომელიც მის ტერიტორიაზე მომსახურების მიწოდების პირობის სახით მოითხოვს, რომ მომსახურების მიმწოდებელი იყოს ქვეყნის მოქალაქე, მუდმივი რეზიდენტი ან რეზიდენტი, დათქმა, რომელიც მოცემულია ამ შეთანხმების XIV-C დანართში, შესაძლებლობის ფარგლებში გამოიყენება ამ დანართის შესაბამისად დაფუძნების მიმართ დათქმის სახით.

ჰორიზონტალური დათქმები

კომუნალური მომსახურება

EU: ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც მიიჩნევა კომუნალურ მომსახურებად ეროვნულ ან ადგილობრივ დონეზე, შეიძლება იყოს სახელმწიფო მონოპოლია ან კერძო ოპერატორებისათვის მინიჭებული ექსკლუზიური უფლება[1].

დაფუძნების ტიპები

EU: რეჟიმი, რომელიც ენიჭება ქართული კომპანიების შვილობილებს, რომლებიც შექმნილია წევრი ქვეყნების კანონმდებლობის შესაბამისად და გააჩნია იურიდიული მისამართი, ცენტრალური მართვის ან ფაქტობრივი საქმიანობის ადგილი ევროკავშირში, არ ვრცელდება ქართული კომპანიების მიერ წევრ ქვეყნებში შექმნილ ფილიალებსა და საგენტოებზე[2].

AT: იურიდიული პირების ფილიალების მმართველი დირექტორები უნდა იყვნენ ავსტრიის რეზიდენტები; იმ ფიზიკურ პირებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან იურიდიული პირის მიერ ავსტრიის ვაჭრობის აქტის პირობების დაცვაზე, უნდა გააჩნდეთ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ავსტრიაში.

EE: მმართველი საბჭოს წევრების ნახევარზე მეტი უნდა იყოს ევროკავშირის რეზიდენტი.

FI: უცხოელი, რომელიც ეწევა ვაჭრობას, როგორც ინდივიდუალური მეწარმე და პარტნიორობის ერთი პარტნიორი მაინც ან შეზღუდული პარტნიორობის პარტნიორთა შორის ერთი პარტნიორი მაინც უნდა იყოს ევროპის ეკონომიკური სივრცის (EEA) მუდმივი რეზიდენტი. ყველა სექტორისათვის, EEA-ს რეზიდენტობა სავალდებულოა დირექტორთა საბჭოს ერთი ჩვეულებრივი ან თუნდაც მოადგილე წევრისთვის და მმართველი დირექტორისთვის; თუმცა, ცალკეულ კომპანიას შეიძლება მიენიჭოს გამონაკლისი. ვაჭრობის ნებართვის მიღება სავალდებულოა, თუ ქართული ორგანიზაცია აპირებს საქმიანობის ან ვაჭრობის განხორციელებას ფინეთში ფილიალის დაფუძნების გზით.

HU: ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების შეძენაზე.

IT: ინდუსტრიული, კომერციული და კუსტარული საქმიანობისათვის შესაძლოა საჭირო გახდეს რეზიდენტობის ნებართვა

PL: ქართველ მეწარმეებს შეუძლიათ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება მხოლოდ შეზღუდული პარტნიორობის, შეზღუდული სააქციო პარტიორობის, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების და სააქციო საზოგადოების ფორმით (იურიდიული მომსახურების გაწევის შემთხვევაში, მხოლოდ რეგისტრირებული პარტნიორობის და შეზღუდული პარტნიორობის ფორმით).

RO: კომერციული კომპანიების მმართველი ან მმართველთა საბჭოს ხელმძღვანელი, ასევე მმართველების ნახევარი უნდა იყოს რუმინეთის მოქალაქე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სხვაგვარად არის განსაზღვრული კომპანიის კონტრაქტით ან დებულებით. კომერციული კომპანიების აუდიტორების და მათი მოადგილეების უმრავლესობა უნდა იყოს რუმინეთის მოქალაქე.

SE: უცხოურმა კომპანიამ, რომელიც არ არის დაფუძნებული შვედეთში იურიდიული პირის სახით ან ეწევა საქმიანობას კომერციული აგენტის მეშვეობით, უნდა განახორციელოს კომერციული საქმიანობა შვედეთში რეგისტრირებული ფილიალის მეშვეობით, რომელსაც აქვს დამოუკიდებელი მმართველობა და ანგარიშები. ფილიალიას მმართველი დირექტორი და მისი მოადგილე, ასეთის დანიშვნის შემთხვევაში, უნდა იყოს EEA-ს რეზიდენტი. EEA-ს არარეზიდენტმა ფიზიკურმა პირმა, რომელიც შვედეთში ეწევა კომერციულ საქმიანობას, უნდა დანიშნოს და დაარეგისტრიროს რეზიდენტი წარმომადგენელი, რომელიც შვედეთში საქმიანობის განხორციელებაზე იქნება პასუხისმგებელი. შვედეთში საქმიანობის განხორციელებისათვის სავალდებულოა დამოუკიდებელი ანგარიშების გამოყენება. კომპეტენტურმა ორგანომ, ინდივიდუალურ შემთხვევებში, შეიძლება დაუშვას ფილიალის დაფუძნებისა და რეზიდენტობის მოთხოვნებიდან გამონაკლისი. ერთ წელიწადზე ნაკლები ხანგრძლივობის სამშენებლო პროექტები, რომლებიც ხორციელდება EEA-ს ფარგლებს გარეთ მდებარე კომპანიის ან არარეზიდენტი ფიზიკური პირის მიერ, წარმოადგენს ფილიალის დაფუძნების ან რეზიდენტი წარმომადგენლის დანიშვნის მოთხოვნიდან გამონაკლისს. შვედეთის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შეიძლება დაფუძნდეს EEA-ს რეზიდენტი ფიზიკური პირის, შვედეთის იურიდიული პირის ან იმ იურიდიული პირის მიერ, რომელიც შექმნილია EEA-ს წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად და გააჩნია იურიდიული მისამართი, სათაო ოფისი ან ფაქტობრივი საქმიანობის ადგილი EEA-ში. პარტნიორობა შეიძლება იყოს დამფუძნებელი, თუ მისი ყველა მფლობელი, რომელსაც გააჩნია შეუზღუდავი პერსონალური პასუხისმგებლობა, წარმოადგენს EEA-ს რეზიდენტს. EEA-ს ფარგლებს გარეთ მყოფმა დამფუძნებლებმა შეიძლება მიიღონ ნებართვა კომპეტენეტური ორგანოსაგან. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების და კოოპერატივის შემთხვევაში, დირექტორთა საბჭოს წევრების არანაკლებ 50%, საბჭოს წევრების მოადგილეების არანაკლებ 50%, მმართველი დირექტორი, მმართველი დირექტორის მოადგილე, და არანაკლებ ერთი პიროვნებისა, რომელსაც აქვს კომპანიის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს EEA-ს რეზიდენტი. კომპეტენტურმა ორგანომ შეიძლება მიანიჭოს გამონაკლისები ამ მოთხოვნიდან. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიის/საზოგადოების არცერთი წარმომადგენელი არ არის შვედეთის

რეზიდენტი, საბჭომ უნდა დანიშნოს და დაარეგისტრიროს შვედეთის რეზიდენტი პირი, რომელიც ავტორიზებული იქნება მიიღოს მომსახურება კომპანიის/საზოგადოების სახელით. შესაბამისი პირობები გამოიყენება სხვა კატეგორიის იურიდიული პირების დაფუძნებისას.SK: საქართველოს ფიზიკური პირი, რომელიც დარეგისტრირებული უნდა იყოს კომერციულ რეესტრში როგორც უფლებამოსილი პირი, რომ იმოქმედოს მეწარმის სახელით, ვალდებულია წარმოადგინოს სლოვაკეთის რეზიდენტობის ნებართვა.

ინვესტიციები

ES: უცხო ქვეყნის მთავრობების ან საჯარო უწყებების მიერ ესპანეთში ინვესტიციების განხორციელება (რომელთაც შეიძლება გავლენა მოახდინონ სახელმწიფოს ეკონომიკური ინტერესების გარდა ასევე არაეკონომიკურ ინტერესებზე) პირდაპირ ან კომპანიების ან სხვა უწყებების მიერ, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად იმართებიან უცხო ქვეყნის მთავრობების მიერ, მოითხოვს მთავრობის მხრიდან წინასწარ უფლებამოსილების მინიჭებას

BG: უცხოელ ინვესტორებს არ აქვთ პრივატიზებაში მონაწილეობის მიღების უფლება. უცხოელ ინვესტორებს და ბულგარეთის იურიდიულ პირებს ქართული მაკონტროლებელი მონაწილეობით ესაჭიროებათ ნებართვა:

(a) ტერიტორიული ზღვებიდან, კონტინენტური შელფიდან ან ექსკლუზიური ეკონომიკური ზონიდან ბუნებრივი რესურსების მოძიებისა და მოპოვებისათვის და

(b) იმ კომპანიების საკონტროლო წილების შეძენისათვის, რომლებიც „a“ პუნქტში მითითებულ ერთ-ერთ საქმიანობაში არიან ჩართულები.

FR: საფრანგეთის საწარმოებში საქართველოს მიერ კაპიტალის წილებისა და ხმის უფლების 33.33%-ზე მეტის ან იმ ფრანგულ კომპანიებში, რომელთა ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზება ხდება, 20%-ის შეძენა არის შემდეგი რეგულაციების საგანი:

- ნებადართულია ინვესტიციების განხორციელება არაუმეტეს 7.6 მილიონი ევროს ოდენობით საფრანგეთის იმ კომპანიებში, რომელთა ბრუნვა არ აღემატება 76 მილიონ ევროს, წინასწარი შეტყობინების წარდგენიდან და მითითებული ოდენობების გადამოწმებიდან 15 დღის შემდეგ;

- წინასწარი შეტყობინების წარდგენიდან 1 თვის შემდეგ, ავტორიზაციის მინიჭება ხდება სხვა ინვესტიციებისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეკონომიკის მინისტრი, განსაკუთრებულ შეთხვევებში, იყენებს ასეთი ინვესტიციების განხორციელების გადავადების უფლებას.

უცხო ქვეყნის მონაწილეობა ახლად პრივატიზებულ კომპანიებში შეიძლება შეიზღუდოს საზოგადოებისთვის შეთავაზებული კაპიტალის გარკვეულ ცვალებად ოდენობამდე, რომელიც განისაზღვრება საფრანგეთის მთავრობის მიერ ყოველი კონკრეტული შემთხვევის საფუძველზე. ცალკეულ კომერციულ, ინდუსტრიულ ან კუსტარულ საქმიანობაში დაფუძნებისთვის საჭიროა სპეციფიკური ავტორიზაციის მიღება, თუ მმართველი დირექტორი არ ფლობს მუდმივი რეზიდენტობის ნებართვას.

HU: ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული ახლად პრივატიზებულ კომპანიებში საქართველოს მონაწილეობაზე.

IT: მთავრობამ შეიძლება გამოიყენოს სპეციფიკური უფლება იმ საწარმოებში, რომლებიც თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების სფეროში საქმიანობენ (ყველა იმ იურიდიული პირის მიმართ, რომლებიც ახორციელებენ სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე საქმიანობას თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების სფეროში), და აგრეთვე, ახორციელებენ სტრატეგიული მნიშვნელობის საქმიანობას ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სფეროში.

PL: უცხოელების მიერ (ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ) უძრავი ქონების პირდაპირი ან არაპირდაპირი შეძენა მოითხოვს ნებართვის მიღებას. ვალდებულება არ არის აღებული სახელმწიფო ქონების შეძენაზე, ანუ იმ რეგულაციებზე, რომელიც ეხება პრივატიზების პროცესს.

უძრავი ქონება

შემდეგი შეზღუდვები[3] ვრცელდება მიწისა და უძრავი ქონების შეძენაზე:

AT: უცხო ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ უძრავი ქონების შესყიდვა, შეძენა, გაქირავება ან ლიზინგი საჭიროებს ავტორიზაციას კომპეტენტური რეგიონული უწყებებისგან (Länder) იმის მიხედვით ახდენს ის მნიშვნელოვან ეკონომიკურ, სოციალურ ან კულტურულ ინტერესებზე გავლენას თუ არა

BG: უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს (მათ შორის ფილიალის მეშვეობით) არ აქვთ მიწის შეძენის უფლება. ბულგარეთის იურიდიულ პირებს უცხო ქვეყნის თანამონაწილეობით, არ შეუძლიათ სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენა. უცხო ქვეყნის იურიდიულ პირებს და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს საზღვარგარეთ მუდმივი რეზიდენტობით, შეუძლიათ შენობების შეძენა და გააჩნიათ უძრავ ქონებაზე საკუთრების შეზღუდული უფლებები (გამოყენების, მშენებლობის, დაშენებისა და სერვიტუტის უფლებები)

CZ: სასოფლო-სამეურნეო მიწებისა და ტყის ნაკვეთების შეძენა შეუძლიათ მხოლოდ ჩეხეთის რესპუბლიკის მუდმივი რეზიდენტობის მქონე უცხო ქვეყნის ფიზიკურ პირებს და იურიდიულ პირებად დარეგისტრირებულ საწარმოებს, რომლებსაც აქვთ მუდმივი რეზიდენტის სტატუსი ჩეხეთის რესპუბლიკაში. სპეციფიკური წესები ვრცელდება სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო მიწებსა და ტყეზე. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენა შეუძლიათ მხოლოდ ჩეხეთის მოქალაქეებს, მუნიციპალიტეტებს და სახელმწიფო უნივერსიტეტებს (ტრეინინგისა და კვლევებისთვის). იურიდიულ პირებს (სამართლებრივი ფორმის და რეზიდენტობის ადგილის მიუხედავად) შეუძლიათ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შენობა, რომელსაც ისინი უკვე ფლობენ აშენებულია ამ მიწაზე ან თუ აღნიშნული მიწა ასეთი შენობის გამოყენებისთვის შეუცვლელია. მხოლოდ მუნიციპალიტეტებს და სახელმწიფო უნივერსიტეტებს შეუძლიათ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ტყეების შეძენა.

CY: ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული.

DK: დაწესებულია შეზღუდვები არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ უძრავი ქონების შეძენაზე. დაწესებულია შეზღუდვები უცხო ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ სასოფლო-სამეურნეო ქონების შეძენაზე.

HU: უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, სახნავ-სათესი მიწების შესახებ არსებული კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა, არ აქვთ სახნავ-სათესი მიწის შეძენის უფლება. უცხოელების მიერ უძრავი ქონების შეძენისთვის სავალდებულოა ნებართვის მიღება ქვეყნის საჯარო ადმინისტრაციის სააგენტოსგან, რომლის კომპეტენცია უძრავი ქონების მდებარეობით განისაზღვრება.

EL: No. 1892/90 კანონის შესაბამისად, სახელმწიფო საზღვრებთან ახლოს მდებარე მიწის შეძენა საჭიროებს თავდაცვის სამინისტროს ნებართვას. ადმინისტრაციული პრაქტიკის შესაბამისად, ნებართვა მარტივად გაიცემა პირდაპირი ინვესტიციების შემთხვევაში.

HR: ვალდებულება არ არის აღებული უძრავი ქონების შეძენაზე იმ მომსახურების მიმწოდებლების მიერ, რომლებიც არ არიან დაფუძნებულები და რეგისტრირებულები ხორვატიაში. დაშვებულია უძრავი ქონების შეძენა მომსახურების მიწოდებისთვის იმ კომპანიების მიერ, რომლებიც დაფუძნებულები და რეგისტრირებულები არიან ხორვატიაში, როგორც იურიდიული პირები. ფილიალების მიერ მომსახურების მიწოდებისთვის საჭირო უძრავი ქონების შეძენა მოითხოვს იუსტიციის სამინისტროს მიერ დადასტურებას. აკრძალულია სასოფლო-სამეურნეო მიწების შეძენა უცხო ქვეყნის ფიზიკური ან იურიდიული პირების მიერ.

IE: ირლანდიური მიწის ნებისმიერი ფორმით შეძენა ადგილობრივი ან უცხო ქვეყნის კომპანიების ან მოქალაქეების მიერ საჭიროებს მიწის კომისიის წინასწარ წერილობით თანხმობას. აღნიშნული წესი ძალას კარგავს მრეწველობის, ვაჭრობისა და დასაქმების მინისტრის დასტურის საფუძველზე, როცა ეს მიწა გამოიყენება ინდუსტრიული მიზნებისთვის (სასოფლო-სამეურნეო წარმოების გარდა). ეს კანონი არ ვრცელდება ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დასახლებათა საზღვრებში არსებულ მიწაზე.

IT: უცხო ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ უძრავი ქონების შეძენა ხდება ნაცვალგების პირობით.

LT: მიწის, შიდა წყლების და ტყეების შეძენა დაიშვება უცხო ქვეყნის მხოლოდ იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, რომლებიც აკმაყოფილებენ ევროპული და ტრანსატლანტიკური ინტეგრაციის კრიტერიუმებს. მიწის ნაკვეთის შეძენის პროცედურა, პირობები და ვადები, აგრეთვე შეზღუდვები დადგენილია კონსტიტუციური კანონით.

LV: დაწესებულია შეზღუდვები სოფლად მიწის შეძენაზე და ქალაქებსა და ურბანულ ზონებში მიწის შეძენაზე; დაშვებულია მიწის იჯარა არაუმეტეს 99 წლის ვადით.

PL: უძრავი ქონების პირდაპირი ან არაპირდაპირი შეძენა მოითხოვს ნებართვას. ნებართვა გაიცემა ადმინისტრაციული გადაწყვეტილების მეშვეობით ქვეყნის საშინაო საკითხებზე პასუხისმგებელიშესაბამისი მინისტრის მიერ, ეროვნული თავდაცვის მინისტრის თანხმობის საფუძველზე და სასოფლო-სამეურნეო უძრავი ქონების შემთხვევაში, აგრეთვე სოფლის მეურნეობის და განვითარების მინისტრის თანხმობის საფუძველზე.

RO: *inter vivos* აქტების შესაბამისად, რუმინეთის მოქალაქეობის და რეზიდენტობის არქმონე ფიზიკურ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს, რომლებიც არ არიან რუმინეთში დაფუძნებულები და არ აქვთ სათაო ოფისი რუმინეთში, არ შეუძლიათ არცერთი ტიპის მიწის ნაკვეთის მფლობელობის მოპოვება.

SI: სლოვენიის რესპუბლიკაში უცხო ქვეყნის პირების მიერ დაფუძნებულ ფილიალებს შეუძლიათ მხოლოდ უძრავი ქონების შეძენა (გარდა მიწისა), რომელიც საჭიროა იმ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისთვის, რომლისთვისაც ისინი არიან დაფუძნებულნი.

SK: უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს ეკრძალებათ სასოფლო-სამეურნეო მიწებისა და ტყის ნაკვეთების შეძენა. სპეციფიკური წესები ვრცელდება ზოგიერთ სხვა კატეგორიის უძრავ ქონებაზე. უცხო ქვეყნის პირებს შეუძლიათ უძრავი ქონების შეძენა სლოვაკეთის იურიდიული პირის დაფუძნების ან ერთობლივ საწარმოში მონაწილეობის გზით. უცხო ქვეყნის პირების მიერ მიწის შეძენა საჭიროებს ავტორიზაციას (მე-3 და მე-4 რეჟიმებისთვის).

სექტორული დათქმები

A. სოფლის მეურნეობა, ნადირობა, მეტყევეობა და ტყის ჭრა

FR: ავტორიზაცია საჭიროა ევროკავშირის არაწევრი ქვეყნების კომპანიების მიერ სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დაფუძნებისთვის და ევროკავშირის არაწევრი ქვეყნების მეწარმეების მიერ ვენახების შეძენისთვის.

AT, HU, MT, RO: ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაზე.

CY: ინვესტორების მონაწილეობა დაშვებულია მხოლოდ 49%-ის ფარგლებში.

IE: საქართველოს რეზიდენტის დაფუძნება ფქვილის წარმოების სფეროში მოითხოვს ავტორიზაციას.

BG: ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული ტყის ჭრასთან დაკავშირებულ საქმიანობაზე.

B: მეთევზეობა და აკვაკულტურა

EU: წევრი ქვეყნების სუვერენიტეტის ქვეშ მყოფ ან იურისდიქციაში მოქცეულ საზღვაო წყლებში მდებარე ბიოლოგიურ და თევზის რესურსებზე ხელმისაწვდომობა შეიძლება დაშვებულ იქნას მხოლოდ ევროკავშირის დროშის ქვეშ მცურავი გემებისთვის, თუ სხვაგვარად არ არის დარეგულირებული.

SE: გემი მიიჩნევა შვედეთის გემად და შეუძლია შვედეთის დროშის ქვეშ ცურვა, თუ მისი ნახევარზე მეტი შვედეთის მოქალაქეების ან იურიდიული პირების საკუთრებაშია. მთავრობამ შეიძლება დართოს ნება უცხოურ გემებს, იცურონ შვედეთის დროშის ქვეშ, თუ მათი საქმიანობა შვედეთის კონტროლის ქვეშაა ან მფლობელი შვედეთის მუდმივი რეზიდენტია. გემები, რომელთა 50% ეკუთვნის EEA-ს მოქალაქეებს ან იმ კომპანიებს, რომელთაც გააჩნიათ იურიდიული მისამართი, ცენტრალური ადმინისტრაცია ან ფაქტობრივი საქმიანობის ადგილი EEA-ში და რომელთა საქმიანობა იმართება შვედეთიდან, ასევე შეიძლება დარეგისტრირდეს შვედეთის რეესტრში. თევზჭერის პროფესიული ლიცენზია, რომელიც აუცილებელია პროფესიული თევზჭერისთვის, გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თევზჭერას აქვს კავშირი შვედეთის თევზჭერის ინდუსტრიასთან. კავშირი შეიძლება არსებობდეს იმ შემთხვევაში, თუ მაგალითად, კალენდარული წლის განმავლობაში დაჭერილი თევზის მთლიანი მოცულობის ნახევარი (ღირებულებით მაჩვენებლებში) ჩამოიტვირთება შვედეთში, თევზჭერის მიზნით გემების გასვლების ნახევარი ხორციელდება შვედეთის პორტებიდან ან ფლოტის მეთევზეთა ნახევარს გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი შვედეთში. ხუთ მეტრზე დიდი გემებისთვის, პროფესიული თევზჭერის ლიცენზიასთან ერთად აუცილებელია გემის ნებართვის არსებობა. ნებართვა გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ სხვა პირობებთან ერთად, გემი დარეგისტრირებულია ეროვნულ რეესტრში და მას გააჩნია რეალური ეკონომიკური კავშირი შვედეთთან.

UK: ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული გაერთიანებული სამეფოს დროშის ქვეშ მცურავი გემების შეძენაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ინვესტიციის 75% მაინც ეკუთვნის ბრიტანეთის მოქალაქეებს და/ან იმ კომპანიებს, რომელთა არანაკლებ 75%-ს ფლობენ ბრიტანეთის მოქალაქეები, რომლებიც ყველა შემთხვევაში არიან გაერთიანებული სამეფოს რეზიდენტები და აქვთ მუდმივი საცხოვრებელი გაერთიანებულ სამეფოში. გემები უნდა იმართებოდეს და კონტროლდებოდეს გაერთიანებული სამეფოდან.

C: სამთომოპოვებითი მრეწველობა

EU: ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული იურიდიულ პირებზე, რომლებიც კონტროლდებიან[4] ევროკავშირის არაწევრი იმ ქვეყნის ფიზიკური ან იურიდიული პირების მიერ, რომელზეც მოდის ევროკავშირის ნავთობისა და ბუნებრივი აირის იმპორტის 5%-ზე მეტი. ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული ფილიალების პირდაპირ დაფუძნებაზე (სავალდებულოა მეწარმე სუბიექტის რეგისტრაცია).

D: გადამამუშავებელი მრეწველობა

EU: ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული იურიდიულ პირებზე, რომლებიც კონტროლდებიან[5] ევროკავშირის იმ არაწევრი ქვეყნის ფიზიკური ან იურიდიული პირების მიერ, რომელზეც მოდის ევროკავშირის ნავთობისა და ბუნებრივი აირის იმპორტის 5%-ზე მეტი. ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული ფილიალების პირდაპირ დაფუძნებაზე (სავალდებულოა მეწარმე სუბიექტის რეგისტრაცია).

HR: რეზიდენტობის მოთხოვნა გამომცემლობის, ბეჭდვისა და ჩანაწერების ტირაჟირებისთვის.

IT: გამომცემლობისა და ბეჭდვის კომპანიის მფლობელები და აგრეთვე გამომცემლები უნდა იყვნენ წევრი ქვეყნის მოქალაქეები. კომპანიებს უნდა გააჩნდეთ სათაო ოფისები წევრ ქვეყანაში.

SE: პერიოდული გამოცემების (რომლებიც იბეჭდება და გამოიცემა შვედეთში) მფლობელები, რომლებიც წარმოადგენენ ფიზიკურ პირებს, უნდა იყვნენ შვედეთის რეზიდენტები ან EEA-ს მოქალაქეები. ამ პერიოდული გამოცემების მფლობელები, რომლებიც წარმოადგენენ

იურიდიულ პირებს, უნდა იყვნენ დაფუძნებულნი EEA-ში. პერიოდულ გამოცემებს, რომელიც იბეჭდება და გამოიცემა შვედეთში და აგრეთვე ტექნიკურ ჩანაწერებს, უნდა ჰყავდეს პასუხისმგებელი რედაქტორი, რომელსაც უნდა გააჩნდეს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი შვედეთში.

საკუთარი ანგარიშით ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის, ორთქლისა და ცხელი წყლის წარმოება, გადაცემა და დისტრიბუცია[6] (ბირთვული ენერგიის გამოყენებით გენერირებული ელექტროენერგიის გამოკლებით)

EU: ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული საკუთარი ანგარიშით ელექტროენერგიის წარმოებაზე, გადაცემასა და დისტრიბუციაზე, აგრეთვე ბუნებრივი აირის წარმოებასა და აირისებრი საწვავის დისტრიბუციაზე.

ორთქლისა და ცხელი წყლის წარმოების, გადაცემისა და დისტრიბუციისათვის

EU: ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული იურიდიულ პირებზე, რომლებიც კონტროლდებიან[7] ევროკავშირის იმ არაწევრი ქვეყნის ფიზიკური ან იურიდიული პირების მიერ, რომელზეც მოდის ევროკავშირის ნავთობისა და ბუნებრივი აირის იმპორტის 5%-ზე მეტი. ვალდებულება არ არის აღებული ფილიალების პირდაპირ დაფუძნებაზე (სავალდებულოა მეწარმე სუბიექტის რეგისტრაცია).

FI: ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული ორთქლის და ცხელი წყლის წარმოებაზე, გადაცემასა და დისტრიბუციაზე.

1. ბიზნეს მომსახურება

პროფესიული მომსახურება

EU: ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული იურიდიული საკონსულტაციო და იურიდიულ დოკუმენტაციასა და სერტიფიცირებასთან დაკავშირებულ მომსახურებაზე, რომელიც ხორციელდება საჯარო ფუნქციების მქონე იურისტების მიერ, როგორიცაა ნოტარიუსები, მანდატურები (“*huissiers de justice*”) ან საჯარო უწყებებისა და სასამართლოს თანამშრომლები (*officiers publics et ministériels*). ვალდებულებები არ არის აღებული, აგრეთვე, სასამართლო აღმასრულებლებზე (მანდატურებზე), რომლებიც დანიშნულია მთავრობის ოფიციალური აქტის შესაბამისად.

EU: პროფესიული ასოციაციის სრული წევრობა სავალდებულოა ადგილობრივ (ევროკავშირის და მისი წევრი ქვეყნების) კანონმდებლობაზე მუშაობისთვის. წევრობა წარმოადგენს მოქალაქეობის და/ან რეზიდენტობის მოთხოვნის საგანს.

AT: იურიდიულ მომსახურებასთან დაკავშირებით, უცხო ქვეყნის იურისტების (რომლებიც სრულად უნდა იყვნენ კვალიფიცირებულები საკუთარ ქვეყანაში) წილობრივი მონაწილეობა და წილები იურიდიული ფირმის საოპერაციო შედეგებში არ უნდა აღემატებოდეს 25%-ს. მათ არ შეუძლიათ გადამწყვეტი გავლენის მოხდენა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. უცხო ქვეყნის უმნიშვნელო ხმის უფლების მქონე ინვესტორებისთვის და მათი პერსონალისთვის, იურიდიული მომსახურების გაწევა დასაშვებია მხოლოდ საჯარო საერთაშორისო სამართალთან და იმ იურისდიქციის სამართალთან მიმართებაში, სადაც მათ იურისტებად მუშაობის უფლება აქვთ. ადგილობრივ (ევროკავშირის და მისი წევრი ქვეყნის) სამართალთან დაკავშირებული იურიდიული მომსახურების გაწევა, მათ შორის სასამართლოში წარმომადგენლობა მოითხოვს პროფესიული ასოციაციის სრულ წევრობას, რომელიც თავის მხრივ მოქალაქეობის მოთხოვნის საგანს წარმოადგენს.

ბუღალტრულ აღრიცხვასთან, აუდიტორულ საქმიანობასთან და საგადასახადო საკონსულტაციო მომსახურებასთან დაკავშირებით, უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედი პირების წილობრივი მონაწილეობა და ხმის უფლება არ უნდა აღემატებოდეს 25%-ს.

ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული სამედიცინო (გარდა სტომატოლოგიური და ფსიქოლოგების და ფსიქოთერაპევტების მომსახურების) და ვეტერინარულ მომსახურებაზე.

BG: იურიდიულ მომსახურებასთან დაკავშირებით, სამართლებრივი ფორმის ზოგიერთი ტიპი (“*advokatsko sadrujue*” და “*advokatsko drujestvo*”) შეიძლება გამოიყენებოდეს მხოლოდ ბულგარეთის რესპუბლიკის პროფესიული ორგანიზაციის სრული წევრი იურისტების მიერ. საშუამავლო მომსახურებისთვის სავალდებულოა მუდმივი რეზიდენტობა. საგადასახადო მომსახურებასთან მიმართებაში სავალდებულოა ევროკავშირის მოქალაქეობის ფლობა. არქიტექტურულ მომსახურებასთან, ურბანული დაგეგმარებისა და სივრცით არქიტექტურულ მომსახურებასთან, საინჟინრო და ინტეგრირებულ საინჟინრო მომსახურებასთან მიმართებაში, იმ უცხოელ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებიც არიან აღიარებული ლიცენზირებული დიზაინერები მათი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, შეუძლიათ დამოუკიდებლად გამოიკვლიონ და დააპროექტონ სამუშაოები ბულგარეთში, მხოლოდ კონკურსის მოგებისა და საჯარო შესყიდვების აქტის მიხედვით განსაზღვრული პირობების და პროცედურების შესაბამისად კონტრაქტორებად არჩევის შემდეგ. ეროვნული და რეგიონული მნიშვნელობის პროექტების შემთხვევაში, ქართველმა მეწარმეებმა საქმიანობა უნდა აწარმოონ ადგილობრივ მეწარმეებთან პარტნიორობის შექმნის გზით ან როგორც ადგილობრივი მეწარმეების ქვეკონტრაქტორებმა. მოქალაქეობის ფლობა სავალდებულოა ურბანული დაგეგმარების და სივრცითი არქიტექტურული მომსახურების შემთხვევაში. ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული მეანების მომსახურებაზე და ექთნების, ფიზიოთერაპევტების და უმცროსი სამედიცინო პერსონალის მომსახურებაზე.

DK: უცხო ქვეყნის აუდიტორებს უფლება აქვთ ჩამოაყალიბონ პარტნიორობა დანიის სახელმწიფოს ავტორიზებულ ბუღალტრებთან დანიის ბიზნეს ორგანოს ნებართვის მიღების შემდეგ.

FI: ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული სახელმწიფოს და კერძო სექტორის მიერ დაფინანსებულ ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ მომსახურებაზე (ანუ სამედიცინო, მათ შორის ფსიქოლოგების და სტომატოლოგიური მომსახურება; მეანების, ფიზიოთერაპევტების და უმცროსი სამედიცინო პერსონალის მომსახურება).

FI: აუდიტორული მომსახურების შემთხვევაში, რეზიდენტობის მოთხოვნა მოქმედებს ფინური შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიის არანაკლებ ერთი აუდიტორის მიმართ.

FR: იურიდიულ მომსახურებასთან დაკავშირებით, სამართლებრივი ფორმის ზოგიერთი ტიპი ("*association d'avocats*" და "*société en participation d'avocat*") დაშვებულია მხოლოდ საფრანგეთის პროფესიული ასოციაციის სრული წევრობის მქონე იურისტებისთვის. არქიტექტურულ მომსახურებასთან, სამედიცინო (მათ შორის ფსიქოლოგების) მომსახურებასთან და სტომატოლოგიურ მომსახურებასთან, აგრეთვე მეანების და ექთნების, ფიზიოთერაპევტების და უმცროსი სამედიცინო პერსონალის მომსახურებასთან მიმართებით, უცხო ქვეყნის მეწარმეების დაფუძნებას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ შემდეგი სამართლებრივი ფორმა - "*société d'exercice liberal*" (*sociétés anonymes, sociétés à responsabilité limitée ou sociétés en commandite par actions*) და "*société civile professionnelle*". ვეტერინარულ მომსახურებასთან მიმართებით მოქმედებს მოქალაქეობის მოთხოვნა და ნაცვალგების პრინციპი.

EL: ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული კბილის ტექნიკოსების მომსახურებაზე. სავალდებულო აუდიტორული მომსახურების და ვეტერინარული მომსახურების გაწევისათვის აუცილებელია ევროკავშირის მოქალაქეობა.

ES: ევროკავშირის მოქალაქეობა აუცილებელია სავალდებულო აუდიტორული საქმიანობის განხორციელებისათვის და ინდუსტრიული ქონების ადვოკატებისთვის.

HR: ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ადგილობრივ, უცხო ქვეყნის და საერთაშორისო კანონმდებლობაზე კონსულტაციების გაწევისა. სასამართლოს წინაშე მხარეების წარმომადგენლობა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ხორვატიის ადვოკატთა საბჭოს წევრობის შემთხვევაში (ხორვატიული წოდება "*odvjetnici*"). ადვოკატთა საბჭოს წევრობისათვის აუცილებელია მოქალაქეობა. საერთაშორისო საქმისწარმოებაში, მხარეები შეიძლება არბიტრაჟებში წარმოდგენილ იყვნენ იმ იურისტების მიერ, რომლებიც სხვა ქვეყნების ადვოკატთა ასოციაციის წევრები არიან.

აუდიტორული მომსახურების გაწევისთვის აუცილებელია ლიცენზიის ფლობა. ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეუძლიათ არქიტექტურული და საინჟინრო მომსახურების გაწევა ხორვატიის არქიტექტორთა პალატის და ხორვატიის ინჟინერთა პალატის თანხმობის მიღების შემდეგ.

HU: დაფუძნებამ უნდა მიიღოს პარტნიორობის ფორმა უნგრეთის ადვოკატთან (*ügyvéd*) ან ადვოკატის ოფისთან (*ügyvédi iroda*) ან წარმომადგენლობასთან. EEA-ს არაწევრი ქვეყნის მოქალაქე ვალდებულია ფლობდეს რეზიდენტობას ვეტერინარული მომსახურების გაწევისთვის.

LV: სასამართლოს მიერ დანიშნული აუდიტორების კომერციულ კომპანიაში, აქციების 50%-ზე მეტი უნდა ეკუთვნოდეს ევროკავშირის ან EEA-ს სასამართლოს მიერ დანიშნულ აუდიტორებს ან ამ აუდიტორების კომერციულ კომპანიას.

LT: აუდიტორულ მომსახურებასთან დაკავშირებით, აუდიტორული კომპანიის აქციების არანაკლებ ¾ უნდა ეკუთვნოდეს ევროკავშირის ან EEA-ს აუდიტორებს ან აუდიტორულ კომპანიებს.

PL: მაშინ, როცა სხვა ტიპის სამართლებრივი ფორმების სახით დაფუძნება დასაშვებია ევროკავშირის იურისტებისთვის, უცხოელ იურისტებს შეუძლიათ დაფუძნება მხოლოდ რეგისტრირებული ან შეზღუდული პარტნიორობის ფორმით. ვეტერინარული მომსახურების გაწევისთვის სავალდებულოა ევროკავშირის მოქალაქეობა.

SK: არქიტექტურული, საინჟინრო და ვეტერინარული მომსახურების გაწევისთვის სავალდებულოა რეზიდენტობის ფლობა.

SE: იურიდიული მომსახურების შემთხვევაში, ადვოკატთა ასოციაციის წევრობა, რომელიც სავალდებულოა მხოლოდ შვედეთის „*advokat*"-ის წოდებით სარგებლობისათვის საჭიროებს რეზიდენტობას. რეზიდენტობა აუცილებელია ლიკვიდატორებისთვის. კომპეტენტურმა ორგანომ შეიძლება დაუშვას გამონაკლისი ამ მოთხოვნიდან. არსებობს EEA-ს მოთხოვნები, რომელიც დაკავშირებულია ეკონომიკური გეგმის მასერტიფიცირებელი პირის დანიშვნასთან. EEA-ს რეზიდენტობა აუცილებელია აუდიტორული მომსახურების გაწევისთვის.

კვლევისა და განვითარების მომსახურება

EU: საჯაროდ დაფინანსებული კვლევისა და განვითარების მომსახურებისთვის, ექსკლუზიური უფლება და/ან ავტორიზაცია შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ ევროკავშირის მოქალაქეს და ევროკავშირის იურიდიულ პირს, რომელსაც გააჩნია სათაო ოფისი ევროკავშირში.

გაქირავება/ლიზინგი ოპერატორის გარეშე

A. გემებთან დაკავშირებით:

LT: გემები უნდა ეკუთვნოდეს ლიტვის ფიზიკურ პირს ან ლიტვაში დაფუძნებულ კომპანიას.

SE: გემებთან მიმართებით, ქართული საკუთრების ინტერესების არსებობის შემთხვევაში, შვედეთის დროშის ქვეშ ცურვის მიზნით აუცილებელია საქმიანობაზე შვედეთის დომინირებული გავლენის დადასტურება.

B: თვითმფრინავთან დაკავშირებით:

EU: თვითმფრინავების გაქირავებასა და ლიზინგთან მიმართებით, თვითმფრინავი უნდა ეკუთვნოდეს ან იმ ფიზიკურ პირს, რომელიც აკმაყოფილებს მოქალაქეობის სპეციფიკურ მოთხოვნებს ან იურიდიულ პირს, რომელიც აკმაყოფილებს სპეციფიკურ მოთხოვნებს კაპიტალის საკუთრებასა და კონტროლთან მიმართებაში (მათ შორის დირექტორთა მოქალაქეობას), თუმცა მოკლევადიანი ლიზინგის კონტრაქტის შემთხვევაში, შესაძლებელია გამონაკლისის დაშვება.

სხვა ბიზნეს მომსახურება

EU, გარდა HU და SE: ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული შიდა დამხმარე პერსონალის, სხვა კომერციული და ინდუსტრიული მუშაკების, ძიძების და სხვა პერსონალის მომსახურების მიწოდებაზე. სავალდებულოა რეზიდენტობა და კომერციული წარმომადგენლობა და შესაძლებელია მოქალაქეობის მოთხოვნის დაწესება.

EU გარდა BE, DK, EL, ES, FR, HU, IE, IT, LU, NL, SE და UK: პერსონალის დასაქმება და მომსახურების მიწოდება წარმოადგენს მოქალაქეობისა და რეზიდენტობის მოთხოვნის საგანს.

EU გარდა AT და SE: ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული საგამოძიებო მომსახურებაზე. სავალდებულოა რეზიდენტობა და კომერციული წარმომადგენლობა და შესაძლებელია მოქალაქეობის მოთხოვნის დაწესება.

AT: პერსონალის დასაქმებასთან და შრომითი ლიზინგის სააგენტოებთან მიმართებაში, ავტორიზაცია შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ იმ იურიდიულ პირებს, რომელთაც გააჩნიათ სათაო ოფისი EEA-ში და რომელთა მმართველი საბჭოს წევრები ან მმართველი პარტნიორები/აქციონერები (რომლებიც უფლებამოსილნი არიან წარმოადგინონ იურიდიული პირი) არიან EEA-ს მოქალაქეები და გააჩნიათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი EEA-ში.

BE: კომპანიამ, რომელსაც აქვს სათაო ოფისი EEA-ს ფარგლებს გარეთ, უნდა დაადასტუროს, რომ ის ეწევა პერსონალის დასაქმების მომსახურებას წარმოშობის ქვეყანაში. უსაფრთხოების მომსახურების შემთხვევაში მმართველები უნდა ფლობდნენ ევროკავშირის მოქალაქეობას და რეზიდენტობას.

BG: მოქალაქეობა სავალდებულოა აეროფოტოგრაფიის, გეოდეზიის, საკადასტრო კვლევისა და კარტოგრაფიის სფეროში მოღვაწეობისათვის. ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული პერსონალის დასაქმებასა და მომსახურების მიწოდებაზე, დასაქმების მომსახურებაზე, დამხმარე საოფისე პერსონალის მომსახურების მიწოდებაზე, საგამოძიებო მომსახურებაზე, უსაფრთხოების მომსახურებაზე, ტექნიკური ტესტირების და ანალიზის მომსახურებაზე, ნავთობისა და გაზის სფეროში კონტრაქტის საფუძველზე მოწყობილობების შეკეთების და დემონტაჟის მომსახურებაზე. ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული ოფიციალურ წერილობით თარგმნასა და ზეპირ თარგმნაზე - თარჯიმნობაზე.

DE: მოქალაქეობის მოთხოვნა სასამართლოს ლიცენზირებული თარჯიმნებისთვის.

DK: უსაფრთხოების მომსახურებასთან მიმართებით, საბჭოს წევრების უმრავლესობის და მმართველებისთვის სავალდებულოა რეზიდენტობის და მოქალაქეობის ფლობა. ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული აეროპორტის დაცვის მომსახურებაზე.

EE: ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული უსაფრთხოების მომსახურებაზე. სავალდებულოა ევროკავშირის მოქალაქეობა სასამართლოს ლიცენზირებული თარჯიმნებისთვის.

FI: სავალდებულოა EEA-ს რეზიდენტობა ლიცენზირებული თარჯიმნებისათვის.

FR: ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული პერსონალის დასაქმების მომსახურების სფეროში უფლებების მინიჭებაზე.

FR: სავალდებულოა სპეციფიკური ავტორიზაცია უცხოელი მეწარმეებისათვის სამეცნიერო და ტექნიკური კონსულტაციების მომსახურების სფეროში კვლევა-ძიებისა და დაზვერვის მომსახურებისთვის.

HR: ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული პერსონალის დასაქმების, საგამოძიებო და უსაფრთხოების მომსახურებაზე.

IT: იტალიის ან ევროკავშირის მოქალაქეობა და რეზიდენტობა სავალდებულოა დაცვის სამსახურის მომსახურების მიწოდებისთვის საჭირო ავტორიზაციის მისაღებად. საგამომცემლო და ბეჭდური კომპანიების მფლობელები და გამომცემლები უნდა იყვნენ წევრი ქვეყნის მოქალაქეები. კომპანიებს უნდა გააჩნდეთ სათაო ოფისი წევრ ქვეყანაში. ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული გადახდების შემგროვებელი სააგენტოსა და საკრედიტო ანგარიშების მომსახურებაზე.

LV: საგამოძოებო მომსახურებასთან დაკავშირებითლიცენზიის მიღება შეუძლიათ მხოლოდ იმ დეტექტიურ კომპანიებს, რომელთა

ხელმძღვანელობა და ნებისმიერი პირი, რომელსაც გააჩნია ადმინისტრაციული პოზიცია, არის ევროკავშირის ან EEA-ს მოქალაქე. უსაფრთხოების მომსახურებასთან დაკავშირებით ლიცენზიის მისაღებად აუცილებელია, რომ კაპიტალის ნახევარი მაინც ეკუთვნოდეს ევროკავშირის ან EEA-ს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

LT: უსაფრთხოების მომსახურების გაწევა შეუძლიათ მხოლოდ EEA-ს ან ნატოს წევრი ქვეყნის მოქალაქეებს.

PL: საგამოძიებო მომსახურებასთან დაკავშირებით პროფესიული ლიცენზიის მიღება შეუძლია მხოლოდ პოლონეთის ან სხვა წევრი ქვეყნის, EEA-ს ან შვეიცარიის მოქალაქეს. უსაფრთხოების მომსახურებასთან დაკავშირებით პროფესიული ლიცენზიის მიღება შეუძლია მხოლოდ პოლონეთის ან სხვა წევრი ქვეყნის, EEA-ს ან შვეიცარიის მოქალაქეს. სასამართლოს ლიცენზირებული თარჯიმნებისთვის სავალდებულოა ევროკავშირის მოქალაქეობის ფლობა. პოლონეთის მოქალაქეობის ფლობა სავალდებულო პირობაა აეროფოტოგრაფიის მომსახურების გაწევისთვის და გაზეთებისა და ჟურნალების მთავარი რედაქტორებისთვის.

PT: ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ ვრცელდება საგამოძიებო მომსახურებაზე. ევროკავშირის მოქალაქეობის მოთხოვნა მეწარმეებისათვის გადახდების შემგროვებელი სააგენტოს და საკრედიტო ანგარიშების მომსახურების მიწოდებისთვის. მოქალაქეობის მოთხოვნა უსაფრთხოების მომსახურების სპეციალიზირებული პერსონალისთვის.

SE: რეზიდენტობა სავალდებულოა გამომცემლისათვის და საგამომცემლო და ბეჭდური კომპანიის მფლობელისთვის. მხოლოდ სამის ჯგუფის ხალხს (Sami people) აქვთ უფლება დაკავდნენ ჩრდილოეთის ირმების მოშენებით.

SK: საგამოძიებო და უსაფრთხოების მომსახურებასთან დაკავშირებით ლიცენზიის მინიჭება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს რისკი და თუ ყველა მმართველი არის ევროკავშირის, EEA-ს ან შვეიცარიის მოქალაქე.

4. სადისტრიბუციო მომსახურება

EU: ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული სამხედრო, საომარი და ასაფეთქებელი მასალების დისტრიბუციაზე.

EU: აფთიაქისა და თამბაქოს მაღაზიის საქმიანობისთვის ზოგიერთ ქვეყანაში აუცილებელია მოქალაქეობა და რეზიდენტობა.

FR: ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული თამბაქოს საცალო გაყიდვის სფეროში ექსკლუზიური უფლებების მინიჭებაზე.

FI: ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული ალკოჰოლისა და მედიკამენტების დისტრიბუციაზე.

AT: ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული მედიკამენტების დისტრიბუციაზე.

BG: ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული ალკოჰოლური სასმელების, ქიმიური ნაწარმის, თამბაქოსა და თამბაქოს ნაწარმის, მედიკამენტების, სამედიცინო და ორთოპედიული ნაწარმის, იარაღის, საბრძოლო მასალისა და სამხედრო აღჭურვილობის, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, გაზის, ძვირფასი ლითონების და ძვირფასი ქვების დისტრიბუციაზე.

DE: საზოგადოებისათვის მედიკამენტების და სპეციფიკური სამედიცინო პროდუქციის საცალო გაყიდვა ნებადართულია მხოლოდ ფიზიკური პირებისთვის. საზოგადოებისთვის მედიკამენტების და სპეციფიკური სამედიცინო პროდუქციის საცალო გაყიდვის მიზნით აფთიაქის გახსნისთვის ან ფარმაცევტად მუშაობისათვის ლიცენზიის მისაღებად საჭიროა რეზიდენტობის ფლობა. სხვა ქვეყნის მოქალაქეებს ან პირებს, ვისაც არ ჩაუბარებია გერმანიის ფარმაცევტების გამოცდა, შეუძლია ლიცენზიის მიღება, მხოლოდ წინა 3 წლის განმავლობაში მოქმედი აფთიაქის საკუთრებაში მიღებისთვის.

HR: ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული თამბაქოს ნაწარმის დისტრიბუციაზე.

6. გარემოს დაცვითი მომსახურება

EU: ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული შინამეურნეობებისთვის, ინდუსტრიული, კომერციული და სხვა მომხმარებლებისთვის წყლის შეგროვების, გაწმენდისა და დისტრიბუციის მომსახურებაზე, მათ შორის სასმელი წყლის მიწოდებაზე და წყლის მენეჯმენტზე.

7. ფინანსური მომსახურება[8]

EU: მხოლოდ იმ კომპანიებს, რომელთა იურიდიული მისამართი ევროკავშირშია, შეუძლიათ შეასრულონ საინვესტიციო ფონდების აქტივების დეპოზიტარის ფუნქცია. სატრასტო და საინვესტიციო კომპანიების მართვისთვის სავალდებულოა სპეციალიზებული მმართველობითი კომპანიის დაფუძნება, რომლის სათაო ოფისი და იურიდიული მისამართი ევროკავშირის ერთსა და იმავე წევრ ქვეყანაშია.

AT: უცხო ქვეყნის დამზღვევის ფილიალს შეიძლება უარი ეთქვას ლიცენზიის მიღებაზე, თუ უცხო ქვეყნის დამზღვევს არ გააჩნია დაფუძნების იურიდიული ფორმა, რომელიც ეკვივალენტია ან შეესაბამება სააქციო საზოგადოებას ან ერთობლივ სადაზღვევო ასოციაციას. ფილიალის მმართველობაში უნდა შედიოდეს ავსტრიის რეზიდენტი ორი ფიზიკური პირი.

BG: საპენსიო დაზღვევის განხორციელება შესაძლებელია რეგისტრირებულ საპენსიო სადაზღვევო კომპანიებთან თანამშრომლობით.ბულგარეთის მუდმივი რეზიდენტობა სავალდებულოა მმართველი საბჭოს თავმჯდომარისა და დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარისთვის. გარკვეული სახეობის დაზღვევის განხორციელებისთვის ფილიალის ან სააგენტოს დაფუძნებამდე, უცხო ქვეყნის დამზღვევს უნდა გააჩნდეს ავტორიზაცია მის ქვეყანაში იგივე სახეობის დაზღვევის განხორციელებისთვის.

CY: მხოლოდ კვიპროსის საფონდო ბირჟის წევრებს (ბროკერებს) შეუძლიათ აწარმოონ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული საშუამავლო საქმიანობა კვიპროსში. საბროკერო კომპანიას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია დარეგისტრირდეს კვიპროსის საფონდო ბირჟის წევრად, თუ ის დაფუძნებული და რეგისტრირებულია „კომპანიების შესახებ“ კვიპროსის კანონის შესაბამისად (ფილიალები გათვალისწინებული არ არის).

EL: დაფუძნების უფლება არ ვრცელდება წარმომადგენლობით ოფისებზე ან სადაზღვევო კომპანიების სხვა მუდმივ წარმომადგენლობაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ოფისები შექმნილია სააგენტოების, ფილიალების ან სათაო ოფისების სახით.

ES: გარკვეული სახეობის დაზღვევის განხორციელებისათვის ფილიალის ან სააგენტოს შექმნამდე, უცხო ქვეყნის დამზღვევს უნდა გააჩნდეს ავტორიზაცია საკუთარ ქვეყანაში იგივე სახეობის დაზღვევის განხორციელებისათვის.

HU: უცხო ქვეყნის ინსტიტუტების ფილიალებს არ აქვთ უფლება განახორციელონ კერძო საპენსიო ფონდებისთვის აქტივების მართვის მომსახურების მიწოდება ან ვენჩურული კაპიტალის საინვესტიციო ფონდების მართვა. საფინანსო ინსტიტუტის საბჭოში უნდა შედიოდეს მინიმუმ ორი წევრი მაინც, რომლებიც არიან უნგრეთის მოქალაქეები, მისი რეზიდენტები გაცვლითი კურსის შესაბამისი რეგულაციების განმარტების შესაბამისად და ცხოვრობდნენ უნგრეთში მუდმივად სულ მცირე ერთი წლის განმავლობაში.

IE: იმ შემთხვევაში, თუ კოლექტიური საინვესტიციო სქემა მოქმედებს საპაიო ტრასტისა და ცვალებადი კაპიტალის მქონე კომპანიის სახით (გარდა მიმოქცევად ფასიან ქაღალდებში კოლექტიური საინვესტიციო სქემებისა, UCITS), მინდობილი მესაკუთრე/დეპოზიტარი და მმართველი კომპანია ვალდებულია რეგისტრირებული იყოს ირლანდიაში ან სხვა წევრ ქვეყანაში (ფილიალები გათვალისწინებული არ არის). საინვესტიციო კომანდიტური საზოგადოების შემთხვევაში, სულ მცირე ერთი სრული პარტნიორი უნდა იყოს დარეგისტრირებული ირლანდიაში. იმისათვის, რომ იურიდიული პირი გახდეს ირლანდიის საფონდო ბირჟის წევრი:

(a) მისი საქმიანობა ნებადართული უნდა იყოს ირლანდიის ტერიტორიაზე, რაც საჭიროებს ირლანდიაში რეგისტრაციას ან კომანდიტური საზოგადოების შემთხვევაში სათაო ოფისის/იურიდიული მისამართის ირლანდიაში არსებობას ან

(b) მისი საქმიანობა ნებადართული უნდა იყოს სხვა წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე.

PT: საპენსიო ფონდების მართვის განხორციელება ნებადართულია მხოლოდ პორტუგალიაში ამ მიზნით რეგისტრირებული სპეციალიზებული კომპანიებისთვის და პორტუგალიაში დაფუძნებული და სიცოცხლის დაზღვევის განხორციელებისთვის ავტორიზებული სადაზღვევო კომპანიებისთვის ან სხვა წევრ ქვეყნებში საპენსიო ფონდების მართვისათვის ავტორიზებული სხვა კომპანიებისთვის.

პორტუგალიაში ფილიალის დაფუძნებისთვის უცხო ქვეყნის სადაზღვევო კომპანიებს უნდა ჰქონდეთ არანაკლებ ხუთი წლის შესაბამისი გამოცდილება. ფილიალების პირდაპირი დაფუძნება არ არის დაშვებული სადაზღვევო შუამავლობისთვის, რომელიც ნებადართულია წევრი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი კომპანიებისთვის.

FI: სავალდებულო საპენსიო დაზღვევის განმახორციელებელი სადაზღვევო კომპანიებისთვის: პრომოუტერების, დირექტორთა საბჭოს წევრების და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არანაკლებ ნახევარი უნდა იყოს ევროკავშირის რეზიდენტი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კომპეტენტური ორგანოების მიერ მინიჭებულია გამონაკლისი.

სხვა სადაზღვევო კომპანიებისთვის (სავალდებულო საპენსიო დაზღვევის განმახორციელებელი სადაზღვევო კომპანიების გარდა): რეზიდენტობის მოთხოვნა დირექტორთა საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს არანაკლებ ერთი წევრისთვის და მმართველი დირექტორისთვის.

ქართული სადაზღვევო კომპანიის გენერალური აგენტი უნდა იყოს ფინეთის რეზიდენტი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კომპანიას გააჩნია სათაო ოფისი ევროკავშირში.

უცხო ქვეყნის სადაზღვევო კომპანიათა ფილიალებს ფინეთში არ შეუძლიათ ლიცენზიის მიღება სავალდებულო საპენსიო დაზღვევის განხორციელებისთვის.

საბანკო მომსახურებისთვის: რეზიდენტობის მოთხოვნა არანაკლებ ერთი დამფუძნებლისთვის, დირექტორთა საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს ერთი წევრისთვის, მმართველი დირექტორისთვის და საკრედიტო ინსტიტუტების წარმომადგენლობაზე პასუხისმგებელი პირისთვის.

IT: იმისათვის, რათა პირმა მოიპოვოს იტალიაში არსებულ დაწესებულებასთან ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემის მართვის უფლება, ეს პირი ვალდებულია დარეგისტრირდეს იტალიაში (პირს არ აქვს უფლება განახორციელოს ეს საქმიანობა ფილიალის მეშვეობით). იმისათვის, რომ კომპანიამ მოიპოვოს იტალიაში რეგისტრირებული იმ საწარმოს მართვის უფლება, რომელიც ცენტრალური დეპოზიტარის საქმიანობას ეწევა, ეს კომპანია ვალდებულია დარეგისტრირდეს იტალიაში (კომპანიასარ აქვს უფლება განახორციელოს ეს საქმიანობა ფილიალის მეშვეობით). კოლექტიური საინვესტიციო სქემის შემთხვევაში (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საწარმო ახორციელებს კოლექტიურ ინვესტიციებს მიმოქცევად ფასიან ქაღალდებში ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად), მინდობილი მესაკუთრე/დეპოზიტარი ვალდებულია დარეგისტრირდეს იტალიაში ან სხვა წევრ ქვეყანაში და იმოქმედოს იტალიაში რეგისტრირებული ფილიალის მეშვეობით. მმართველი კომპანიებიც, რომლებლიც ახორციელებენ კოლექტიურ ინვესტიციებს მიმოქცევად ფასიან ქაღალდებში (UCITS) და რომლებზეც არ ვრცელდება ევროკავშირის კანონმდებლობა, ასევე უნდა დარეგისტრირდნენ იტალიაში (აღნიშნული საქმიანობის განხორციელება შეუძლებელია ფილიალების მეშვეობით). საპენსიო ფონდების აქტივების მართვის უფლებამოსილება აქვთ მხოლოდ ბანკებს, სადაზღვევო კომპანიებს, საინვესტიციო კომპანიებს, მმართველ კომპანიებს, რომლებიც

მართავენ მიმოქცევად ფასიან ქაღალდებში ინვესტიციებს ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად, რომლებსაც აქვთ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში სათაო ოფისი და ასევე, იტალიაში რეგისტრირებულ მიმოქცევად ფასიან ქაღალდებში ინვესტიციების განმახორციელებელ კომპანიებს. კარდაკარ გაყიდვის მომსახურების განხორციელებისათვის შუამავალი ვალდებულია გამოიყენოს სათანადო უფლებამოსილების მქონე და იტალიის შესაბამის რეესტრში აღრიცხული ფინანსური მომსახურების აგენტი. საინვესტიციო მომსახურება არ შეიძლება განხორციელებულ იქნას უცხოური შუამავლების წარმომადგენლობების მიერ.

LT: აქტივების მართვისათვის სავალდებულოა სპეციალიზებული მართვის კომპანიის რეგისტრაცია (ასეთებად არ განიხილებიან ფილიალები).

მხოლოდ იმ ფირმებს შეუძლიათ საპენსიო ფონდების აქტივების მმართველის დეპოზიტარის ფუნქციის შესრულება, რომლებსაც აქვთ იურიდიული მისამართი ან ფილიალი ლიტვაში.

მხოლოდ იმ ბანკებს, რომელთაც გააჩნიათ იურიდიული მისამართი ან ფილიალი ლიტვაში და უფლება აქვთ უზრუნველყონ საინვესტიციო მომსახურება ევროკავშირის წევრ ქვეყანაში ან EEA-ს ქვეყანაში, შეუძლიათ საპენსიო ფონდების აქტივების დეპოზიტარის ფუნქციის შესრულება.

PL: სადაზღვევო შუამავლობისთვის სავალდებულოა რეგისტრაცია (ფილიალები დაშვებული არ არის).

SK: უცხო ქვეყნის მოქალაქეებს შეუძლიათ სადაზღვევო კომპანიის დაფუძნება სააქციო საზოგადოების ფორმით ან შეუძლიათ სადაზღვევო საქმიანობის განხორციელება შვილობილი კომპანიების მეშვეობით, რომელთა იურიდიული მისამართი არის სლოვაკეთში (ფილიალები დაშვებული არ არის).

საინვესტიციო საქმიანობა სლოვაკეთში შეიძლება განხორციელდეს ბანკების, საინვესტიციო კომპანიების, საინვესტიციო ფონდების და ფასიანი ქაღალდების დილერების მიერ, რომელთაც აქვთ სააქციო საზოგადოების იურიდიული ფორმა კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებული სააქციო კაპიტალით (ფილიალები დაშვებული არ არის).

SE: სადაზღვევო საბროკერო კომპანიები, რომლებიც რეგისტრირებულნი არ არიან შვედეთში, შეიძლება დაფუძდნენ მხოლოდ ფილიალის მეშვეობით. შემნახველი ბანკის დამფუძნებელი უნდა იყოს ევროკავშირის რეზიდენტი ფიზიკური პირი.

8. ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური და საგანმანათლებლო მომსახურება

EU: ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ და საგანმანათლებლო მომსახურებაზე.

EU: ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული კერძო სექტორის მიერ დაფინანსებულ ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის სხვა მომსახურებაზე.

EU: კერძო სექტორის მიერ დაფინანსებულ საგანმანათლებლო მომსახურებასთან დაკავშირებით საბჭოს წევრების უმრავლესობის მიმართ შეიძლება გამოიყენებოდეს მოქალაქეობის მოთხოვნა.

EU (გარდა NL, SE და SK): ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული კერძო სექტორის მიერ დაფინანსებულ სხვა საგანმანათლებლო მომსახურებაზე, რაც მოიცავს დაწყებითი, საშუალო, უმაღლესი და მოზრდილთა საგანმანათლებლო მომსახურებისაგან განსხვავებულ საგანმანათლებლო მომსახურებას.

BE, CY, CZ, DK, FR, DE, EL, HU, IT, ES, PT და UK: ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული კერძო სექტორის მიერ დაფინანსებულ სოციალურ მომსახურებაზე, გარდა სარეაბილიტაციო და დასასვენებელ სახლებთან და მოხუცებულთა სახლებთან დაკავშირებული მომსახურებისა.

FI: ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული კერძო სექტორის მიერ დაფინანსებულ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ მომსახურებაზე.

BG: უცხო ქვეყნის სკოლებს არა აქვთ უფლება გახსნან ქვედანაყოფები ბულგარეთის ტერიტორიაზე. უცხო ქვეყნის სკოლებს შეუძლიათ ფაკულტეტების, დეპარტამენტების, ინსტიტუტების და კოლეჯების გახსნა ბულგარეთში, მხოლოდ ბულგარეთის სკოლების სტრუქტურაში და მათთან კოოპერირების შემთხვევაში.

EL: უმაღლესი განათლების მომსახურებასთან მიმართებით, ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული სახელმწიფო დიპლომების გამცემი საგანმანათლებლო ინსტიტუტების დაფუძნებაზე. კერძო სექტორის მიერ დაფინანსებული დაწყებითი და საშუალო სკოლების მფლობელებს, საბჭოს წევრებსა და მასწავლებლებს მოეთხოვებათ ევროკავშირის მოქალაქეობის ფლობა.

HR: ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული დაწყებით განათლებაზე.

SE: იტოვებს უფლებას შემოიღოს და გამოიყენოს ნებისმიერ ზომა საგანმანათლებლო მომსახურების იმ მიმწოდებლებთან მიმართებაში, რომლებიც დამტკიცებულნი არიან განათლების მიწოდებაზე საჯარო ორგანოების მიერ. ეს დათქმა ვრცელდება სახელმწიფოს და კერძო სექტორის მიერ დაფინანსებულ ისეთ საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლებზე, რომელიც მოიცავს სახელმწიფო მხარდაჭერის რაიმე ფორმას, კერძოდ სახელმწიფოს მიერ აღიარებული საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლები, სახელმწიფოს ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლები ან ისეთი განათლების მიმწოდებლები, რომელიც უზრუნველყოფს სწავლის მხარდაჭერას

UK: ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული კერძო სექტორის მიერ დაფინანსებული სასწრაფო დახმარებისა და რეზიდენტული ჯანდაცვის მომსახურებაზე (ჰოსპიტალური მომსახურებისგან განსხვავებული).

9. ტურიზმთან და მოგზაურობასთან დაკავშირებული მომსახურება

BG, CY, EL, ES და FR: მოქალაქეობის მოთხოვნა ტურისტული გიდებისთვის.

BG: სასტუმროების, რესტორნებისა და კატერინგული (საჰაერო სატრანსპორტო მომსახურებაში კატერინგის გარდა) მომსახურებისთვის, სავალდებულოა რეგისტრაცია (ფილიალი გათვალისწინებული არ არის).

IT: ევროკავშირის არაწევრი ქვეყნების ტურისტულ გიდებს ესაჭიროებათ სპეციფიკური ლიცენზიის მიღება.

10. გამაჯანსაღებელი, კულტურული და სპორტული მომსახურება

ახალი ამბების და პრესის სააგენტოების მომსახურება

FR: უცხო ქვეყნის მონაწილეობა არსებულ საგამომცემლო კომპანიებში, რომლებიც აწარმოებენ გამოცემას ფრანგულ ენაზე, არ უნდა აღემატებოდეს კომპანიის კაპიტალის ან ხმის უფლების 20%-ს. პრესის სააგენტოებთან მიმართებით, ეროვნული რეჟიმის მინიჭება იურიდიული პირების დაფუძნებისთვის ხდება ნაცვალგების პრინციპით.

სპორტული და სხვა გამაჯანსაღებელი მომსახურება

EU: ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული აზარტულ თამაშებზე. სამართლებრივი სიცხადისთვის განსაზღვრულია, რომ შეზღუდულია ბაზარზე დაშვება.

AT: სათხილამურო სკოლების და სამთო გიდების მომსახურებასთან მიმართებით, იურიდიული პირების მმართველი დირექტორები უნდა იყვნენ EEA-ს მოქალაქეები.

ბიბლიოთეკები, არქივები, მუზეუმები და სხვა კულტურული მომსახურება

BE, FR, HR და IT: ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული ბიბლიოთეკების, არქივების, მუზეუმებისა და სხვა კულტურულ მომსახურებაზე.

11. ტრანსპორტი

საზღვაო ტრანსპორტი

EU: ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული დაფუძნების ქვეყნის ეროვნული დროშის ქვეშ გემის ოპერირების მიზნით რეგისტრირებული კომპანიის დაფუძნებაზე.

FI: საზღვაო ტრანსპორტის დამხმარე მომსახურებასთან მიმართებით, მომსახურების გაწევა შესაძლებელია მხოლოდ ფინეთის დროშის ქვეშ მცურავი გემების მიერ.

HR: საზღვაო ტრანსპორტის დამხმარე მომსახურებასთან მიმართებით, უცხო ქვეყნის იურიდიულმა პირებმა უნდა დააფუძნონ კომპანია ხორვატიაში, რომელმაც უნდა მიიღოს კონცესია პორტის მმართველი ორგანოსაგან, საჯარო ტენდერის პროცედურის გავლის შემდეგ. მომსახურების მიმწოდებლების რაოდენობა შეიძლება შეიზღუდოს პორტის შეზღუდული სიმძლავრეების შესაბამისად.

შიდა წყლების ტრანსპორტი[9]

EU: ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული ეროვნული კაბოტაჟის ტრანსპორტზე. ზომები, რომელიც ეფუძნება არსებულ ან მომავალ შეთანხმებებს შიდა წყლებზე დაშვებასთან დაკავშირებით (მათ შორის ხელშეკრულებები რაინი-მაინი-დუნაის არხზე), ხელმისაწვდომს ხდის ზოგიერთი მოძრაობის უფლებას მხოლოდ დაკავშირებულ ქვეყნებში დაფუძნებული ოპერატორებისათვის, რომლებიც საკუთრებასთან დაკავშირებით აკმაყოფილებენ მოქალაქეობის კრიტერიუმებს. წარმოადგენს რაინზე ნაოსნობის შესახებ მანჰეიმის კონვენციის რეგულაციების საგანს.

AT და HU: ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული დაფუძნების ქვეყნის ეროვნული დროშის ქვეშ გემის ოპერირების მიზნით რეგისტრირებული კომპანიის დაფუძნებაზე.

AT: შიდა წყლების ტრანსპორტთან მიმართებით, კონცესია გაიცემა მხოლოდ EEA-ს იურიდიულ პირებზე და კაპიტალის 50%-ზე მეტი, ხმის უფლება და მმართველი საბჭოს უმრავლესობა ეკუთვნით მხოლოდ EEA-ს მოქალაქეებს.

HR: ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული შიდა წყლების ტრანსპორტზე.

საჰაერო ტრანსპორტის მომსახურება

EU: საჰარეო ტრანსპორტში ბაზრის ურთიერთხელმისაწვდომობის პირობები განისაზღვრება ერთის მხრივ ევროკავშირს და მის წევრ სახელმწიფოებს და მეორეს მხრივ საქართველოს შორის ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ შეთანხმებით.

EU: საჰაერო ხომალდი, რომელიც გამოიყენება ევროკავშირის საჰაერო გადამზიდავის მიერ უნდა იყოს რეგისტრირებული წევრ ქვეყანაში, რომელიც ახორციელებს გადამზიდავის ლიცენზირებას ან სადმე სხვაგან ევროკავშირის ტერიტორიაზე. საჰაერო ხომალდის ეკიპაჟით დაქირავებასთან მიმართებით, საჰაერო ხომალდის მფლობელი უნდა იყოს ან ფიზიკური პირი, რომელიც აკმაყოფილებს მოქალაქეობის სპეციფიკურ კრიტერიუმებს ან იურიდიული პირი, რომელიც აკმაყოფილებს კაპიტალის საკუთრების და კონტროლის სპეციფიკურ კრიტერიუმებს. საჰაერო ხომალდის ოპერირება უნდა მოახდინონ საჰაერო გადამზიდავებმა, რომლებიც ეკუთვნიან ან ფიზიკურ პირს, რომელიც აკმაყოფილებს მოქალაქეობის სპეციფიკურ კრიტერიუმებს ან იურიდიულ პირს, რომელიც აკმაყოფილებს კაპიტალის საკუთრების და კონტროლის სპეციფიკურ კრიტერიუმებს.

EU: კომპიუტერული დაჯავშნის სისტემების (CRS) მომსახურებასთან მიმართებით, იმ შემთხვევაში, როდესაც ევროკავშირის საჰაერო გადამზიდავები არ ღებულობენ იმის ეკვივალენტურ რეჟიმს[10], რაც მინიჭებულია ევროკავშირში მის ფარგლებს გარეთ არსებული კომპიუტერული დაჯავშნის სისტემის მომსახურების მიმწოდებლების მიერ, ან როდესაც, ევროკავშირის კომპიუტერული დაჯავშნის სისტემების მომსახურების მიმწოდებლები არ ღებულობენ იმის ეკვივალენტურ რეჟიმს, რაც მინიჭებულია ევროკავშირში მის ფარგლებს გარეთ არსებული საჰაერო გადამზიდავების მიერ, გარკვეული ზომები შეიძლება იქნას მიღებული ეკვივალენტური რეჟიმის მისაღწევად, შესაბამისად, ევროკავშირის ფარგლებს გარეთ არსებული საჰაერო გადამზიდავების მიმართ ევროკავშირში კომპიუტერული დაჯავშნის სისტემების მომსახურების მიმწოდებლების მიერ, ან ევროკავშირის გარეთ არსებული კომპიუტერული დაჯავშნის სისტემების მომსახურების მიმწოდებლების მიმართ ევროკავშირში საჰაერო გადამზიდავების მიერ.

სარკინიგზო ტრანსპორტი

HR: ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული მგზავრების გადაყვანასა და ტვირთის გადაზიდვაზე და ჩაბმისა და ბუქსირების მომსახურებაზე.

საგზაო ტრანსპორტი

EU: კაბოტაჟისთვის სავალდებულოა რეგისტრაცია (ფილიალები გათვალისწინებული არ არის). სატრანსპორტო მმართველისთვის სავალდებულოა რეზიდენტობა.

AT: მგზავრების გადაყვანის და ტვირთის გადაზიდვის შემთხვევაში, ექსკლუზიური უფლებები და/ან ავტორიზაცია შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეებს და ევროკავშირის იურიდიულ პირებს, რომელთაც გააჩნიათ სათაო ოფისი ევროკავშირში.

BG: მგზავრების გადაყვანის და ტვირთის გადაზიდვის შემთხვევაში, ექსკლუზიური უფლებები და/ან ავტორიზაცია შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეებს და ევროკავშირის იურიდიულ პირებს, რომელთაც გააჩნიათ სათაო ოფისი ევროკავშირში. სავალდებულოა რეგისტრაცია. ევროკავშირის მოქალაქეობის პირობა ფიზიკური პირებისათვის.

EL: საგზაო ტრანსპორტის გადამზიდავი ოპერატორის საქმიანობის განხორციელებისთვის სავალდებულოა საბერძნეთის ლიცენზიის მიღება. ლიცენზიები გაიცემა არადისკრიმინაციულ საფუძველზე. საგზაო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვის საქმიანობა, რომელიც დაფუძნებულია საბერძნეთში, შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ საბერძნეთში რეგისტრირებული ავტომანქანებით.

FI: საგზაო სატრანსორტო მომსახურების განხორციელება მოითხოვს ავტორიზაციას, რომელიც არ ვრცელდება უცხოეთში რეგისტრირებულ სატრანსპორტო საშუალებებზე.

FR: უცხოელ მეწარმეებს ეკრძალებათ საქალაქთაშორისო ავტობუსების მომსახურების გაწევა.

LV: მგზავრების გადაყვანის და ტვირთის გადაზიდვის შემთხვევაში, სავალდებულოა ავტორიზაცია, რომელიც არ ვრცელდება უცხოეთში რეგისტრირებულ სატრანსპორტო საშუალებებზე. დაფუძნებულ საწარმოებს მოეთხოვებათ ადგილობრივად რეგისტრირებული სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება.

RO: ლიცენზიის მიღების მიზნით, საგზაო გადაზიდვების და საგზაო სამგზავრო გადაყვანის ოპერატორებს უფლება აქვთ გამოიყენონ მხოლოდ რუმინეთში რეგისტრირებული სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც საკუთრებაში და ექსპლუატაციაშია მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

SE: საგზაო ტრანსპროტის გადამზიდავი ოპერატორის საქმიანობის განხორციელებისთვის სავალდებულოა შვედეთის ლიცენზიის მიღება. ტაქსის ლიცენზიის მიღების კრიტერიუმები მოიცავს პირობას, რომ კომპანიამ დანიშნოს ფიზიკური პირი, რომელიც იქნება ტრანსპორტის მენეჯერი (დე-ფაქტო რეზიდენტობის მოთხოვნა - იხილეთ შვედეთის დათქმა დაფუძნების ტიპებზე). სხვა საგზაო სატრანსპორტო ოპერატორების ლიცენზიის მიღების კრიტერიუმები მოიცავს პირობას, რომ კომპანია დაფუძნებული იყოს ევროკავშირში, გააჩნდეს შვედეთში მდებარე მეწარმე სუბიექტი და დანიშნული ჰყავდეს ფიზიკური პირი, რომელიც არის ტრანსპორტის მენეჯერი და რომელიც წარმოადგენს ევროკავშირის რეზიდენტს. ლიცენზიები გაიცემა არადისკრიმინაციულ საფუძველზე, გარდა იმ პირობისა, რომ საგზაო გადაზიდვების და საგზაო სამგზავრო გადაყვანის ოპერატორებს, ზოგადი წესის თანახმად, შეუძლიათ მხოლოდ იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამოყენება, რომლებიც რეგისტრირებულია ეროვნულ საგზაო მოძრაობის რეესტრში. თუ ავტოსატრანსპორტო საშუალება რეგისტრირებულია საზღვარგარეთ, არის უცხო ქვეყნის რეზიდენტი ფიზიკური ან იურიდიული პირის საკუთრებაში და ჩამოყვანილია შვედეთში დროებითი გამოყენებისთვის, ის შეიძლება დროებით იქნას გამოყენებული შვედეთში. დროებითი გამოყენება განისაზღვრება შვედეთის ტრანსპორტის სააგენტოს მიერ, როგორც პერიოდი, რომელიც არ აღემატება 1 წელიწადს.

14. ენერგეტიკასთან დაკავშირებული მომსახურება

EU: ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული საქართველოს იურიდიული პირებზე, რომლებიც კონტროლდებიან[11] იმ ქვეყნის ფიზიკური ან იურიდიული პირების მიერ, რომელზეც მოდის ევროკავშირის ნავთობისა და ბუნებრივი აირის იმპორტის 5%-ზე მეტი[12], გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ევროკავშირი უზრუნველყოფს ყოვლისმომცველ დაშვებას ამ სექტორზე მოცემული ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის, ამ ქვეყანასთან გაფორებული ეკონომიკური ინტეგრაციის შეთანხმების საფუძველზე.

EU: ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული ბირთვული ენერგიის გენერირებაზე და ბირთვული საწვავის გადამუშავებაზე.

EU: გადაცემის სისტემის ოპერატორს, რომელიც კონტროლდება მესამე ქვეყნის/ქვეყნების ფიზიკური ან იურიდიული პირის/პირების მიერ, შეიძლება უარი ეთქვას სერტიფიცირებაზე, თუ ამ ოპერატორმა არ მოახდინა იმ ფაქტის დემონსტრირება, რომ სერტიფიცირების მიღება რისკის ქვეშ არ დააყენებს წევრი ქვეყნის და/ან ევროკავშირის ენერგოუზრუნველყოფის უსაფრთხოებას, ევროპის პარლამენტის და საბჭოს „ელექტროენერგიის შიდა ბაზრის ზოგადი წესების შესახებ“ 2009 წლის 13 ივლისის 2009/72/EC დირექტივის მე-11 მუხლის და ევროპის პარლამენტის და საბჭოს „ბუნებრივი აირის შიდა ბაზრის ზოგადი წესების შესახებ“ 2009 წლის 13 ივლისის 2009/73/EC დირექტივის მე-11 მუხლის შესაბამისად.

AT, BE, BG, CY, CZ, DE, DK, ES, EE, FI, FR, EL, IE, IT, LV, LU, MT, NL, PL, PT, RO, SK, SI, SE და UK: ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული საწვავის მილსადენი ტრანსპორტით გადატანის მომსახურებაზე, გარდა საკონსულტაციო მომსახურებისა.

BE და LV: ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული ბუნებრივი აირის მილსადენი ტრანსპორტით გადატანის მომსახურებაზე, გარდა საკონსულტაციო მომსახურებისა.

AT, BE, BG, CY, CZ, DE, DK, ES, EE, FI, FR, EL, IE, HU, IT, LU, LT, MT, NL, PL, PT, RO, SK, SE და UK: ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული ენერგო დისტრიბუციასთან დაკავშირებულ მომსახურებაზე, გარდა საკონსულტაციო მომსახურებისა.

SI: ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული ენერგო დისტრიბუციასთან დაკავშირებულ მომსახურებაზე, გარდა გაზის დისტრიბუციასთან დაკავშირებული მომსახურებისა.

CY: იტოვებს უფლებას მოითხოვოს ნაცვალგება ნახშირწყალბადების დაზვერვის, მოპოვების და გამოყენების საქმიანობის ლიცენზირებასთან მიმართებაში.

15. სხვა მომსახურება, რომელიც არ შედის სხვა კატეგორიებში

PT: ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული მოწყობილობების გაყიდვასთან დაკავშირებულ მომსახურებაზე და პატენტების მინიჭებაზე.

SE: ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული დაკრძალვის და კრემაციის მომსახურებაზე.

ვალდებულებების ჩამონათვალი საზღვრებს გარეთ მომსახურებაზე (ევროკავშირი)

1. ქვემოთ მოცემული ვალდებულებების ჩამონათვალი მოიცავს ეკონომიკურ საქმიანობას, რომელიც ლიბერალიზებულია ევროკავშირის მიერ ამ შეთანხმების 86-ე მუხლის და დათქმების შესაბამისად, რომლებიც განსაზღვრავს ბაზარზე დაშვებისა და ეროვნული რეჟიმის შეზღუდვებს, რომლებიც ვრცელდება ამ ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართულ საქართველოს მომსახურებასა და მომსახურების მიმწოდებლებზე. ჩამონათვალი მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

(a) პირველი სვეტი მიუთითებს სექტორზე ან ქვესექტორზე, რომელშიც მხარის მიერ აღებულია ვალდებულება და ლიბერალიზაციის მასშტაბზე, რომელზეც ვრცელდება დათქმები.

(b) მეორე სვეტი აღწერს შესაბამის დათქმებს.

როცა პარაგრაფ „b“-ში მოცემული სვეტი მოიცავს მხოლოდ წევრი ქვეყნის დათქმას, ის წევრი ქვეყნები, რომლებიც არ არიან მოხსენიებულნი, იღებენ ვალდებულებას შესაბამის სექტორში დათქმების გარეშე (ცალკეული წევრი ქვეყნის სპეციფიკური დათქმის არარსებობა ზიანს არ აყენებს ჰორიზონტალურ დათქმებს ან ევროკავშირის მასშტაბის სექტორულ დათქმებს).

იმ სექტორებსა და ქვესექტორებზე, რომლებიც არ არის ნახსენები ქვემოთ მოცემულ ჩამონათვალში, ვალდებულება აღებული არ არის.

2. ინდივიდუალური სექტორებისა და ქვესექტორების იდენტიფიცირებისას:

(a) „CPC“ ნიშნავს პროდუქტების ცენტრალურ კლასიფიკაციას, როგორც მოცემულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკის სამსახურის სტატისტიკურ დოკუმენტებში (Series M, N° 77, *CPC prov*, 1991).

(b) „CPC ver. 1.0“ ნიშნავს პროდუქტების ცენტრალურ კლასიფიკაციას, როგორც მოცემულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკის სამსახურის სტატისტიკურ დოკუმენტებში (Series M, N° 77, *CPC ver 1.0*, 1998).

3. ქვემოთ მოცემული ჩამონათვალი არ მოიცავს ზომებს, რომელიც დაკავშირებულია საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან და პროცედურებთან, ტექნიკურ სტანდარტებთან და ლიცენზირების მოთხოვნებთან და პროცედურებთან, როცა ისინი არ წარმოადგენენ ბაზარზე დაშვების ან ეროვნული რეჟიმის შეზღუდვას ამ შეთანხმების 84-ე და 85-ე მუხლების შესაბამისად. ეს ზომები (მაგალითად, ლიცენზიის მიღება, უნივერსალური მომსახურების ვალდებულება, რეგულირებად სექტორებში კვალიფიკაციის აღიარების მიღება, სპეციალური გამოცდის, მათ შორის ენის გამოცდის ჩაბარება, არადისკრიმინაციული მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ ზოგიერთი საქმიანობის განხორციელება დაუშვებელია დაცულ ზონებში ან განსაკუთრებული ისტორიული და კულტურული მნიშვნელობის ზონებში), იმის და მიუხედავად, არის თუ არა ის მითითებული, ნებისმიერ შემთხვევაში გამოიყენება მეორე მხარის მეწარმეების მიმართ.

4. ქვემოთ მოცემული ჩამონათვალი ზიანს არ აყენებს I რეჟიმის განხორციელების შესაძლებლობას მომსახურების კონკრეტულ სექტორებსა და ქვე-სექტორებში და აგრეთვე, ზიანს არ აყენებს სახელმწიფო მონოპოლიების და ექსკლუზიური უფლებების არსებობას, როგორც არის აღწერილი დაფუძნებასთან დაკავშირებული ვალდებულებების ჩამონათვალში.

5. შეთანხმების 76-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ქვემოთ მოცემული ჩამონათვალი არ მოიცავს მხარეების მიერ გაცემულ სუბსიდიებთან დაკავშირებული ზომებს.

6. ქვემოთ მოცემული ვალდებულებების ჩამონათვალიდან გამომდინარე უფლებებსა და ვალდებულებებს არ უნდა ჰქონდეს თვითგანხორციელების ეფექტი და შესაბამისად, პირდაპირ არ უნდა ანიჭებდეს უფლებებს ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს.

7. 1 და 2 რეჟიმები გულისხმობს მომსახურების მიწოდების საშუალებებს, რომლებიც აღწერილია ამ შეთანხმების 77-ე მუხლის (m) პუნქტის (i) და (ii) ქვეპუნქტებში.

სექტორი ან ქვესექტორი	**დათქმების აღწერა**
1. ბიზნეს მომსახურება	

A. პროფესიული მომსახურება	
a) იურიდიული მომსახურება	
(CPC 861)[13] (გარდა იურიდიული საკონსულტაციო და იურიდიული დოკუმენტაციის და სერტიფიცირების მომსახურებისა, რომელიც ხორციელდება საჯარო ფუნქციების მქონე იურისტების მიერ, როგორიცაა ნოტარიუსები, მანდატურები ან სხვა საჯარო უწყებების და სასამართლოს თანამშრომლები)	რეჟიმი 1 და 2 AT, CY, ES, EL, LT და MT: ადვოკატთა ასოციაციის წევრობა, რომელიც აუცილებელია ადგილობრივი (ევროკავშირის და მისი წევრი ქვეყნის) კანონით იურიდიული მომსახურების გაწევისთვის, წარმოადგენს მოქალაქეობის მოთხოვნის საგანს.
	BE: ადვოკატთა ასოციაციის სრული წევრობა, რომელიც საჭიროა იურიდიული წარმომადგენლობითი მომსახურებისთვის, არის მოქალაქეობისა და რეზიდენტობის მოთხოვნის საგანი. არაკრიმინალურ საქმეებში, საკასაციო სასამართლოს წინაშე წარმომადგენლობისთვის გამოიყენება კვოტები.
	BG: უცხო ქვეყნის იურისტებს უფლება აქვთ განახორციელონ მხოლოდ იურიდიული წარმომადგენლობა მათი ქვეყნის მოქალაქეებისთვის, რომელიც თავის მხრივ უნდა განხორციელდეს ნაცვალგების პრინციპით და ბულგარეთის იურისტთან თანამშრომლობით. საშუამავლო მომსახურებისთვის სავალდებულოა მუდმივი რეზიდენტობა.
	FR: იურისტთა დაშვება ისეთ პროფესიებზე, როგორიცაა უზენაესი სასამართლოს ადვოკატი და სახელმწიფო საბჭოს ადვოკატი, წარმოადგენს კვოტების და მოქალაქეობის მოთხოვნის საგანს.
	HU: უცხოელი იურისტების იურიდიული საქმიანობის სპექტრი შემოიფარგლება მხოლოდ იურიდიული კონსულტაციის გაწევით.
	LV: მოქალაქეობის მოთხოვნა სასამართლოს მიერ დანიშნული ადვოკატებისთვის, რომლებისთვისაც ხელმისაწვდომია კრიმინალურ სამართალწარმოებაში იურიდიული წარმომადგენლობა.
	DK: იურიდიული საკონსულტაციო საქმიანობა ხელმისაწვდომია მხოლოდ დანიის ლიცენზიის მქონე იურისტებისთვის და დანიაში რეგისტრირებული იურიდიული ფირმებისთვის. დანიის ლიცენზიის მისაღებად სავალდებულოა დანიის სამართლის გამოცდის ჩაბარება.
	SE: რეზიდენტობის მოთხოვნა ადვოკატთა ასოციაციის წევრობისთვის, რომელიც აუცილებელია მხოლოდ შვედეთის "*advokat*-ის " წოდების გამოყენებისათვის. რეჟიმი 1 HR: შეზღუდვა არ არის უცხო ქვეყნის და საერთაშორისო საკონსულტაციო მომსახურების გაწევაზე. ვალდებულება არ არის აღებული ხორვატიულ კანონმდებლობაზე იურიდიული მომსახურების გაწევაზე.
b) 1. ბუღალტრული აღრიცხვის მომსახურება	რეჟიმი 1
(CPC 86212 „აუდიტორული მომსახურებისაგან"	FR, HU, IT, MT, RO და SI: ვალდებულება არ არის აღებული

განსხვავებული, CPC 86213, CPC 86219 და CPC 86220)	
	AT: მოქალაქეობის მოთხოვნა ვრცელდება კომპეტენტურ ორგანოებში წარმომადგენლობაზე.
	რეჟიმი 2
	ყველა წევრი ქვეყანა: შეზღუდვა არ არის
b) 2. აუდიტორული მომსახურება	რეჟიმი 1
(CPC 86211 და 86212, ბუღალტრული მომსახურებისგან განსხვავებული)	BE, BG, CY, DE, ES, FI, FR, EL, HU, IE, IT, LU, MT, NL, PT, RO, SI და UK: ვალდებულება არ არის აღებული
	AT: მოქალაქეობის მოთხოვნა კომპეტენტურ ორგანოებში წარმომადგენლობისთვის და სპეციფიკური ავსტრიული კანონებით (მაგალითად, სააქციო საზოგადოების კანონი, საფონდო ბირჟის კანონი, ბანკების კანონი და სხვა) გათვალისწინებული აუდიტის განხორციელებისთვის. HR: უცხოურ აუდიტორულ კომპანიებს შეუძლიათ ხორვატიის ტერიტორიაზე აუდიტორული მომსახურების გაწევა ფილიალის დაფუძნების გზით, სამეწარმეო კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.
	SE: მხოლოდ შვედეთში დამტკიცებულ აუდიტორებს შეუძლიათ განახორციელონ სავალდებულო აუდიტორული მომსახურება ცალკეულ უწყებებში, მათ შორის ყველა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში და ფიზიკურ პირებთან მიმართებაში. მხოლოდ ასეთი პირები და რეგისტრირებული საჯარო საბუღალტრო ფირმები შეიძლება იყვნენ აქციების მფლობელები ან პარტნიორობის შემქმნელები იმ კომპანიებში, რომლებიც ეწევიან აუდიტორულ საქმიანობას (ოფიციალური მიზნებისთვის). დამტკიცებისთვის აუცილებელია EEA-ს ან შვეიცარიის რეზიდენტობა. წოდებები, როგორიცაა „დამტკიცებული აუდიტორი“ და „ავტორიზებული აუდიტორი“ შეიძლება გამოიყენებოდეს მხოლოდ შვედეთში დამტკიცებული ან ავტორიზებული აუდიტორების მიერ. კოოპერატივის და სხვა ტიპის საწარმოს აუდიტორები, რომლებიც არ არიან სერტიფიცირებული ან დამტკიცებული ბუღალტრები, უნდა იყვნენ EEA-ს რეზიდენტები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ცალკეულ შემთხვევაში მთავრობა ან მის მიერ განსაზღვრული სახელმწიფო უწყება გადაწყვეტს სხვაგვარად.
	რეჟიმი 2
	შეზღუდვა არ არის
c) საგადასახადო საკონსულტაციო მომსახურება	რეჟიმი 1
(CPC 863)[14]	AT: მოქალაქეობის მოთხოვნა კომპეტენტურ ორგანოებში წარმომადგენლობაზე.
	CY: საგადასახადო აგენტები ავტორიზებულნი უნდა იყვნენ ფინანსთა მინისტრის მიერ. ავტორიზაცია ექვემდებარება ეკონომიკური საჭიროებების ტესტს. გამოყენებული კრიტერიუმები, უცხოურ ინვესტიციებზე ნებართვის გაცემის (რომელიც აღწერილია ჰორიზონტალურ ნაწილში) ანალოგიურია და ისინი ყოველთვის იღებენ მხედველობაში ქვესექტორში დასაქმების კუთხით არსებულ მდგომარეობას.

	BG, MT, RO და SI: ვალდებულება არ არის აღებული
	რეჟიმი 2
	შეზღუდვა არ არის
d) არქიტექტურული მომსახურება	
და	
e) ურბანული დაგეგმარებისა და ლანდშაფტის არქიტექტურული მომსახურება (CPC 8671 და CPC 8674)	რეჟიმი 1 AT: ვალდებულება არ არის აღებული, დაგეგმარების მომსახურების გარდა. BE, CY, EL, IT, MT, PL, PT და SI: ვალდებულება არ არის აღებული.
	DE: ეროვნული წესები გამოიყენება გადასახადებსა და შემოსავლებზე ყველა იმ მომსახურების მიმართ, რომელიც ხორციელდება უცხოეთიდან. HR: არქიტექტურული მომსახურება: ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეუძლიათ მომსახურების მიწოდება ხორვატიის არქიტექტორთა პალატის თანხმობის მიღების შემდეგ. საზღვარგარეთ შემუშავებული დიზაინი ან პროექტი უნდა იყოს აღიარებული (დამტკიცებული) ხორვატიაში ავტორიზებული ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ, ხორვატიის კანონმდებლობასთან მისი შესაბამისობის დადგენის მიზნით. აღიარების (დამტკიცების) ავტორიზაციას გასცემს მშენებლობისა და ურბანული დაგეგმარების სამინისტრო. ურბანული დაგეგმარება: ფიზიკურ და იურიდიული პირებს შეუძლიათ აღნიშნული მომსახურების გაწევა მშენებლობისა და ურბანული დაგეგმარების სამინისტროს თანხმობის მიღების შემდეგ.
	HU და RO: ვალდებულება არ არის აღებული ლანდშაფტის არქიტექტურული მომსახურებისთვის.
	რეჟიმი 2
	შეზღუდვა არ არის
f) საინჟინრო მომსახურება; და	რეჟიმი 1
g) ინტეგრირებული საინჟინრო მომსახურება	AT, SI: ვალდებულება არ არის აღებული, გარდა წმინდა დაგეგმარებითი მომსახურებისა.
(CPC 8672 და CPC 8673)	CY, EL, IT, MT და PT: ვალდებულება არ არის აღებული. HR: ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეუძლიათ მომსახურების მიწოდება ხორვატიის ინჟინერთა პალატის თანხმობის მიღების შემდეგ. საზღვარგარეთ შემუშავებული დიზაინი ან პროექტი უნდა იყოს აღიარებული (დამტკიცებული) ხორვატიაში ავტორიზებული ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ, ხორვატიის კანონმდებლობასთან მისი შესაბამისობის დადგენის მიზნით. აღიარების (დამტკიცების) ავტორიზაციას გასცემს

	მშენებლობისა და ურბანული დაგეგმარების სამინისტრო.
	რეჟიმი 2
	შეზღუდვა არ არის
h) სამედიცინო (მათ შორის ფსიქოლოგიური) და სტომატოლოგიური მომსახურება (CPC 9312 და CPC 85201-ის ნაწილი)	რეჟიმი 1
	AT, BE, BG, CY, DE, DK, EE, ES, FI, FR, EL, IE, IT, LU, MT, NL, PT, RO, SK და UK: ვალდებულება არ არის აღებული. HR: ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ტელემედიცინისა, რომელზეც შეზღუდვა არ არის.
	SI: ვალდებულება არ არის აღებული სოციალურ მედიცინაზე, სანიტარულ, ეპიდემიოლოგიურ, სამედიცინო/ეკოლოგიურ მომსახურებაზე, სისხლის, სისხლის პროდუქტების მიწოდებაზე, ტრანსპლანტებსა და აუტოფსიაზე.
	რეჟიმი 2
	შეზღუდვა არ არის
i) ვეტერინარული მომსახურება	რეჟიმი 1
(CPC 932)	AT, BE, BG, CY, CZ, DE, DK, EE, ES, FR, EL, HU, IE, IT, LV, MT, NL, PT, RO, SI და SK: ვალდებულება არ არის აღებული.
	UK: ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ვეტერინარული ლაბორატორიული და ტექნიკური მომსახურებისა, რომლის მიწოდება ხდება ვეტერინარი ქირურგებისთვის, აგრეთვე კონსულტაციის და ინფორმაციის მიწოდებისა, მაგალითად, კვების, ქცევისა და ცხოველთა მოვლის საკითხებზე.
	რეჟიმი 2
	შეზღუდვა არ არის
j) 1. მეანების მომსახურება	რეჟიმი 1
(CPC 93191-ის ნაწილიის მომსახურებაურებაახურებარქიტექტურული მომსახურება ია ს სამსახურის მიერ, სტატისტიკურ დოკუმენტებში, არ არის.ათქმების გარ)	AT, BE, BG, CY, CZ, DE, DK, EE, ES, FR, EL, HU, IE, IT, LV, LT, LU, MT, NL, PT, RO, SI, SK და UK: ვალდებულება არ არის აღებული.
j) 2. ექთნების, ფიზიოთერაპევტებისა და უმცროსი სამედიცინო პერსონალის მომსახურება	FI და PL: ვალდებულება არ არის აღებული, ექთნების მომსახურების გარდა. HR: ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ტელემედიცინისა, რომელზეც შეზღუდვა არ არის.
	რეჟიმი 2
(CPC 93191-ის ნაწილი)	შეზღუდვა არ არის
	რეჟიმი 1

k) მედიკამენტების, სამედიცინო და ორთოპედიული პროდუქციის საცალო გაყიდვები	AT, BE, BG, CZ, DE, CY, DK, ES, FI, FR, EL, IE, IT, LU, MT, NL, PL, PT, RO, SK, SE, SI და UK: ვალდებულება არ არის აღებული.
(CPC 63211)	LV და LT: ვალდებულება არ არის აღებული, ფოსტით შეკვეთის გარდა
და ფარმაცევტების მიერ გაწეული სხვა მომსახურება [15]	HU: ვალდებულება არ არის აღებული, CPC 63211 გარდა.
	რეჟიმი 2
	შეზღუდვა არ არის
B. კომპიუტერული და მასთან დაკავშირებული მომსახურება	
(CPC 84)	რეჟიმი 1 და 2
	შეზღუდვა არ არის
C. კვლევისა და განვითარების მომსახურება	
a) კვლევისა და განვითარების მომსახურება სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში	რეჟიმი 1 და 2
(CPC 852, ფსიქოლოგების მომსახურების გარდა)[16]	EU: სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული კვლევისა და განვითარების მომსახურებისათვის, ექსკლუზიური უფლება და/ან ავტორიზაცია შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ წევრი ქვეყნის მოქალაქეს და ევროკავშირის იურიდიულ პირს, რომელსაც გააჩნია სათაო ოფისი ევროკავშირში.
b) კვლევისა და განვითარების მომსახურება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში (CPC 851) და	
c) ინტერდისციპლინური კვლევისა და განვითარების მომსახურება (CPC 853)	
D. მომსახურება უძრავი ქონების სფეროში[17]	
a) საკუთრებაში არსებულ ან ლიზინგით აღებულ ქონებაზე	რეჟიმი 1
(CPC 821)	BG, CY, CZ, EE, HU, IE, LV, LT, MT, PL, RO, SK და SI: ვალდებულება არ არის აღებული. HR: სავალდებულოა კომერციული წარმომადგენლობა.
	რეჟიმი 2
	შეზღუდვა არ არის
b) ანაზღაურების ან კონტრაქტის საფუძველზე	რეჟიმი 1
(CPC 822)	BG, CY, CZ, EE, HU, IE, LV, LT, MT, PL, RO, SK და SI: ვალდებულება არ არის აღებული. HR: სავალდებულოა კომერციული წარმომადგენლობა.
	რეჟიმი 2

	შეზღუდვა არ არის
E. გაქირავების/ლიზინგის მომსახურება ოპერატორის გარეშე	
a) გემებთან დაკავშირებით	რეჟიმი 1
(CPC 83103)	BG, CY, DE, HU, MT და RO: ვალდებულება არ არის აღებული.
	რეჟიმი 2
	შეზღუდვა არ არის
b) თვითმფრინავებთან დაკავშირებით	რეჟიმი 1
(CPC 83104)	BG, CY, CZ, HU, LV, MT, PL, RO და SK: ვალდებულება არ არის აღებული.
	რეჟიმი 2
	BG, CY, CZ, LV, MT, PL, RO და SK: ვალდებულება არ არის აღებული.
	AT, BE, DE, DK, ES, EE, FI, FR, EL, HU, IE, IT, LT, LU, NL, PT, SI, SE და UK: საჰაერო ხომალდი, რომელიც გამოიყენება ევროკავშირის საჰაერო გადამზიდავის მიერ უნდა იყოს რეგისტრირებული წევრ ქვეყანაში, რომელიც ახორციელებს გადამზიდავის ლიცენზირებას ან სადმე სხვაგან ევროკავშირის ტერიტორიაზე. თუმცა, მოკლევადიანი ლიზინგის კონტრაქტის ან სხვა ცალკეულ შემთხვევაში, შესაძლებელია გამონაკლისის დაშვება.
c) სხვა სატრანსპორტო აღჭურვილობასთან დაკავშირებით	რეჟიმი 1
	BG, CY, HU, LV, MT, PL, RO და SI: ვალდებულება არ არის აღებული.
(CPC 83101, CPC 83102 and CPC 83105)	რეჟიმი 2 შეზღუდვა არ არის
d) სხვა დანადგარებთან და აღჭურვილობასთან დაკავშირებით	რეჟიმი 1 BG, CY, CZ, HU, MT, PL, RO და SK: ვალდებულება არ არის აღებული.
(CPC 83106, CPC 83107, CPC 83108 და CPC 83109)	რეჟიმი 2
	შეზღუდვა არ არის
e) პირად და საყოფაცხოვრებო საქონელთან დაკავშირებით	რეჟიმი 1 და 2
(CPC 832)	AT, BE, BG, CY, CZ, DE, DK, ES, FI, FR, EL, HU, IE, IT, LU, MT, NL, PL, PT, RO, SI, SE, SK და UK: ვალდებულება არ არის აღებული.
f) სატელეკომუნიკაციო აღჭურვილობის გაქირავება	რეჟიმი 1 და 2
(CPC 7541)	შეზღუდვა არ არის.

F. სხვა ბიზნეს მომსახურება	
a) სარეკლამო მომსახურება	რეჟიმი 1 და 2
(CPC 871)	შეზღუდვა არ არის.
b) ბაზრის კვლევა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა	რეჟიმი 1 და 2
(CPC 864)	შეზღუდვა არ არის.
c) მენეჯმენტის საკონსულტაციო მომსახურება	რეჟიმი 1 და 2
(CPC 865)	შეზღუდვა არ არის.
d)მენეჯმენტის კონსულტაციასთან დაკავშირებული მომსახურება	რეჟიმი 1 და 2
(CPC 866)	HU: ვალდებულება არ არის აღებული საარბიტრაჟო და დავების მოგვარების მომსახურებაზე (CPC 86602).
e) ტექნიკური ტესტირებისა და ანალიზის მომსახურება	რეჟიმი 1
	IT: ვალდებულება არ არის აღებული ბიოლოგების და ქიმიური ანალიტიკოსებისთვის
(CPC 8676)	BG, CY, CZ, MT, PL, RO, SK და SE: ვალდებულება არ არის აღებული.
	რეჟიმი 2
	CY, CZ, MT, PL, RO, SK და SE: ვალდებულება არ არის აღებული.
f) სოფლის მეურნეობასთან, მონადირეობასა და მეტყევეობასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურება (CPC 881-ის ნაწილი)	რეჟიმი 1
	IT: ვალდებულება არ არის აღებული აგრონომებისთვის და "*periti agrari*"-ისთვის განსაზღვრული საქმიანობისთვის.
	EE, MT, RO და SI: ვალდებულება არ არის აღებული.
	რეჟიმი 2
	შეზღუდვა არ არის
g) მეთევზეობასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურება	რეჟიმი 1
	LV, MT, RO და SI: ვალდებულება არ არის აღებული.
(CPC 882-ის ნაწილი)	რეჟიმი 2
	შეზღუდვა არ არის
h) გადამამუშავებელ წარმოებასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურება	რეჟიმი 1 და 2
(CPC 884-ის ნაწილი და CPC 885-ის ნაწილი)	შეზღუდვა არ არის

i) პერსონალის დასაქმების და მიწოდების მომსახურება	
i) 1. ხელმძღვანელების მოძიება	რეჟიმი 1
(CPC 87201)	AT, BG, CY, CZ, DE, EE, ES, FI, HR, IE, LV, LT, MT, PL, PT, RO, SK, SI და SE: ვალდებულება არ არის აღებული.
	რეჟიმი 2
	AT, BG, CY, CZ, EE, FI, HR, LV, LT, MT, PL, RO, SK და SI: ვალდებულება არ არის აღებული.
i) 2. თანამშრომელთა აყვანის მომსახურება	რეჟიმი 1
(CPC 87202)	AT, BE, BG, CY, CZ, DE, DK, EE, ES, EL, FI, FR, HR, IE, IT, LU, LV, LT, MT, NL, PL, PT, RO, SI, SE, SK და UK: ვალდებულება არ არის აღებული.
	რეჟიმი 2
	AT, BG, CY, CZ, EE, FI, HR, LV, LT, MT, PL, RO, SI და SK: ვალდებულება არ არის აღებული.
i) 3. ოფისის დამხმარე პერსონალის მიწოდების მომსახურება	რეჟიმი 1
	AT, BG, CY, CZ, DE, EE, FI, FR, HR, IT, IE, LV, LT, MT, NL, PL, PT, RO, SE, SK და SI: ვალდებულება არ არის აღებული.
(CPC 87203)	რეჟიმი 2
	AT, BG, CY, CZ, EE, FI, HR, LV, LT, MT, PL, RO, SK და SI: ვალდებულება არ არის აღებული.
i) 4. ადგილობრივი დამხმარე პერსონალის, სხვა კომერციული და საწარმოო მუშა ხელის, ძიძების და სხვა პერსონალის მიწოდების მომსახურება	რეჟიმი 1 და 2
	ყველა წევრი ქვეყანა, გარდა HU-ს: ვალდებულება არ არის აღებული.
(CPC 87204, CPC 87205, CPC 87206 და CPC 87209)	HU: შეზღუდვა არ არის.
j) 1. საგამოძიებო მომსახურება	რეჟიმი 1 და 2
(CPC 87301)	BE, BG, CY, CZ, DE, DK, ES, EE, FI, FR, EL, HR, HU, IE, IT, LV, LT, LU, MT, NL, PL, PT, RO, SK, SI და UK: ვალდებულება არ არის აღებული.
j) 2. უსაფრთხოების მომსახურება	რეჟიმი 1
(CPC 87302, CPC 87303, CPC 87304 და CPC 87305)	HU: ვალდებულება არ არის აღებული CPC 87304 და CPC 87305-თვის.
	BE, BG, CY, CZ, ES, EE, FI, FR, HR, IT, LV, LT, MT, PT, PL, RO, SI და SK: ვალდებულება არ არის აღებული.
	რეჟიმი 2
	HU: ვალდებულება არ არის აღებული CPC 87304 და CPC 87305-თვის.

	BG, CY, CZ, EE, HR, LV, LT, MT, PL, RO, SI და SK: ვალდებულება არ არის აღებული.
k) სამეცნიერო და ტექნიკური საკონსულტაციო მომსახურება (CPC 8675)	რეჟიმი 1
	BE, BG, CY, DE, DK, ES, FR, EL, IE, IT, LU, MT, NL, PL, PT, RO, SI და UK: ვალდებულება არ არის აღებული საძიებო მომსახურებაზე. HR: შეზღუდვა არ არის, გარდა იმ პირობისა, რომ ხორვატიის ტერიტორიაზე საბაზისო გეოლოგიური, გეოდეზიური და მოპოვებითი კვლევა, აგრეთვე მასთან დაკავშირებული გარემოს დაცვითი კვლევის მომსახურება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ადგილობრივ იურიდიულ პირებთან ერთობლივად ან მათი მეშვეობით.
	რეჟიმი 2
	შეზღუდვა არ არის
l) 1. გემების მოვლა და რემონტი	რეჟიმი 1
	საზღვაო ხომალდებისთვის: BE, BG, DE, DK, EL, ES, FI, FR, HR, IE, IT, LU, NL, PT, SI და UK: ვალდებულება არ არის აღებული.
(CPC 8868-ის ნაწილი)	შიდა წყლების ტრანსპორტისთვის: EU გარდა EE, HU, LV და PL: ვალდებულება არ არის აღებული.
	რეჟიმი 2
	შეზღუდვა არ არის
l) 2. სარკინიგზო ტრანსპორტის მოწყობილობების მოვლა და რემონტი	რეჟიმი 1
	AT, BE, BG, DE, CY, CZ, DK, ES, FI, FR, EL, HR, IE, IT, LT, LV, LU, MT, NL, PL, PT, RO, SE, SI, SK და UK: ვალდებულება არ არის აღებული.
(CPC 8868-ის ნაწილი)	რეჟიმი 2
	შეზღუდვა არ არის
l) 3. ავტოსატრანსპორტო საშუალებების, მოტოციკლეტების, თოვლმავლების და საგზაო ტრანსპორტის მოწყობილობების მოვლა და რემონტი	რეჟიმი 1 და 2
(CPC 6112, CPC 6122, CPC 8867-ის ნაწილი და CPC 8868-ის ნაწილი)	შეზღუდვა არ არის
l) 4. საჰაერო ხომალდების და მათი ნაწილების მოვლა და რემონტი	რეჟიმი 1
	BE, BG, CY, CZ, DE, DK, ES, FI, FR, EL, HR, IE, IT, LT, LU, MT, NL, PT, RO, SK, SI, SE და UK: ვალდებულება არ არის აღებული.
(CPC 8868-ის ნაწილი)	რეჟიმი 2
	შეზღუდვა არ არის

l) 5. ლითონის ნაკეთობების, (არასაოფისე) მოწყობილობების, (არასატრანსპორტო და არასაოფისე) დანადგარების და პირადი და საყოფაცხოვრებო საქონლის მოვლა და რემონტი[18]	რეჟიმი 1 და 2
(CPC 633, CPC 7545, CPC 8861, CPC 8862, CPC 8864, CPC 8865 და CPC 8866)	შეზღუდვა არ არის
m) შენობების გაწმენდის მომსახურება	რეჟიმი 1
(CPC 874)	AT, BE, BG, CY, CZ, DE, DK, ES, EE, FI, FR, EL, HR, IE, IT, LU, LV, MT, NL, PL, PT, RO, SI, SE, SK და UK: ვალდებულება არ არის აღებული.
	რეჟიმი 2
	შეზღუდვა არ არის
n) ფოტოგრაფიული მომსახურება	რეჟიმი 1
(CPC 875)	BG, EE, MT და PL: ვალდებულება არ არის აღებული აეროფოტოგრაფიის მომსახურების მიწოდებაზე
	HR, LV: ვალდებულება არ არის აღებული სპეციალურ ფოტოგრაფიულ მომსახურებაზე (CPC 87504)
	რეჟიმი 2
	შეზღუდვა არ არის
o) შეფუთვასთან დაკავშირებული მომსახურება	რეჟიმი 1 და 2
(CPC 876)	შეზღუდვა არ არის
p) ბეჭდვასა და გამოცემასთან დაკავშირებული მომსახურება	რეჟიმი 1 და 2
(CPC 88442)	შეზღუდვა არ არის
q) საკონფერენციო მომსახურება	რეჟიმი 1 და 2
(CPC 87909-ის ნაწილი)	შეზღუდვა არ არის
r) სხვა	
r)1.წერილობით თარგმნასა და თარჯიმნობასთან დაკავშირებული მომსახურება	რეჟიმი 1
	PL: ვალდებულება არ არის აღებული სასამართლოს მიერ დანიშნულ თარჯიმნებზე.
	HU, SK: ვალდებულება არ არის აღებული ოფიციალურ წერილობით თარგმანსა და თარჯიმნობაზე. HR: ვალდებულება არ არის აღებული ოფიციალურ დოკუმენტაციაზე.
(CPC 87905)	რეჟიმი 2
	შეზღუდვა არ არის

	შეზღუდვა არ არის
r)2. ინტერიერის დიზაინის და სხვა სპეციალიზებული დიზაინერული მომსახურება	რეჟიმი 1 DE: ეროვნული წესები გამოიყენება გადასახადებსა და შემოსავლებზე ყველა იმ მომსახურების მიმართ, რომელიც ხორციელდება უცხოეთიდან. HR: ვალდებულება არ არის აღებული.
(CPC 87907)	რეჟიმი 2
	შეზღუდვა არ არის
r)3. გადახდების შემგროვებელი სააგენტოს მომსახურება	რეჟიმი 1 და 2
(CPC 87902)	BE, BG, CY, CZ, DE, DK, ES, EE, FI, FR, EL, HR, HU, IE, IT, LT, LU, MT, NL, PL, PT, RO, SK, SI, SE და UK: ვალდებულება არ არის აღებული.
r) 4. საკრედიტო ანგარიშების მომსახურება	რეჟიმი 1 და 2
(CPC 87901)	BE, BG, CY, CZ, DE, DK, ES, EE, FI, FR, EL, HR, HU, IE, IT, LT, LU, MT, NL, PL, PT, RO, SK, SI, SE და UK: ვალდებულება არ არის აღებული.
r) 5. ასლების დამზადების მომსახურება	რეჟიმი 1
(CPC 87904)[19]	AT, BE, BG, CY, CZ, DE, DK, ES, EE, FI, FR, EL, HR, HU, IE, IT, LT, LU, MT, NL, PL, PT, RO, SI, SE, SK და UK: ვალდებულება არ არის აღებული.
	რეჟიმი 2
	შეზღუდვა არ არის
r) 6. სატელეკომუნიკაციო საკონსულტაციო მომსახურება	რეჟიმი 1 და 2
(CPC 7544)	შეზღუდვა არ არის
r) 7. ტელეფონზე პასუხის მომსახურება	რეჟიმი 1 და 2
(CPC 87903)	შეზღუდვა არ არის
2. საკომუნიკაციო მომსახურება	
A. საფოსტო და საკურიერო მომსახურება	
(საფოსტო გზავნილების[20] დამუშავებასთან[21] დაკავშირებული მომსახურება ქვემოთ მოცემული ქვესექტორების ჩამონათვალის მიხედვით, შიდა თუ საერთაშორისო მიმართულებით:	
(i) ნებისმიერი საშუალებით[22] გადაცემული წერილობითი კორესპონდენციის დამუშავება, მათ შორის ჰიბრიდული საფოსტო მომსახურება და სარეკლამო ტიპის გზავნილი,	რეჟიმი 1 და 2
(ii) ამანათებისა და გზავნილების[23] დამუშავება,	
(iii) პრესის პროდუქციის[24] დამუშავება,	შეზღუდვა არ არის[25]

(iv) (i)-დან (iii)-ის ჩათვლით მოცემული გზავნილების დამუშავება, როგორც რეგისტირებული ან დაზღვეული ფოსტის,	
(v) ექსპრეს-მიტანის მომსახურება[26] (i)-დან (iii)-ის ჩათვლით მოცემული გზავნილებისთვის,	
(vi) ადრესატის არმქონე გზავნილების დამუშავება,	
(vii) დოკუმენტების გაცვლა[27]	
ქვესექტორები (i), (iv) და (v) შეიძლება იყოს გამორიცხული, თუ ისინი ხვდება მომსახურების არეალში, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს გამონაკლისს, მაგალითად: კორესპონდენციისათვის, რომლის ღირებულება ზოგად საბაზისო ტარიფზე 5-ჯერ ნაკლებია, იმის გათვალისწინებით, რომ მისი წონა 350 გრამზე ნაკლებია[28] და აგრეთვე, რეგისტრირებული საფოსტო მომსახურება, რომელიც გამოიყენება სასამართლო და ადმინისტრაციული პროცედურებისთვის. (CPC 751-ის ნაწილი, CPC 71235-ის ნაწილი[29] და CPC 73210-ის ნაწილი[30])	
B. სატელეკომუნიკაციო მომსახურება	
(ეს მომსახურება არ მოიცავს ეკონომიკურ საქმიანობას, რომელიც შედგება კონტენტის უზრუნველყოფისგან, რომელიც თავის მხრივ მოითხოვს სატელეკომუნიკაციო მომსახურებას მისი ტრანსპორტირებისთვის)	
a) ყველა მომსახურება, რომელიც შედგება სიგნალების გადაცემისა და მიღებისაგან ნებისმიერი ელექტრომაგნიტური საშუალებებით[31], მაუწყებლობის გამოკლებით[32]	რეჟიმი 1 და 2
	შეზღუდვა არ არის
b) სატელიტური მაუწყებლობის გადაცემის მომსახურება[33]	რეჟიმი 1 და 2
	EU: შეზღუდვა არ არის, გარდა იმ პირობისა, რომ მომსახურების მიმწოდებლებს ამ სექტორში შეიძლება დაეკისროთ საერთო ინტერესის მიზნების დაცვის ვალდებულებები, რომელიც დაკავშირებულია კონტენტის გადაცემასთან მათი ქსელების მეშვეობით ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად.
	BE: ვალდებულება არ არის აღებული.
3. მშენებლობა და მასთან დაკავშირებული მომსახურება	
მშენებლობა და მასთან დაკავშირებული საინჟინრო მომსახურება	რეჟიმი 1 და 2
(CPC 511, CPC 512, CPC 513, CPC 514, CPC 515, CPC 516, CPC 517 და CPC 518)	შეზღუდვა არ არის
4.სადისტრიბუციო მომსახურება	
(სამხედრო აღჭურვილობის, ასაფეთქებლების და სხვა საომარი მასალების დისტრიბუციის გარდა)	
A. კომისიის აგენტების მომსახურება	რეჟიმი 1 და 2

a) კომისიის აგენტების მომსახურება ავტომობილებზე, მოტოციკლეტებზე და თოვლმავლებზე და მათ ნაწილებსა და აქსესუარებზე	EU, გარდა AT, SI, SE და FI: ვალდებულება არ არის აღებული ქიმიური პროდუქტების და ძვირფასი ლითონების (და ქვების) დისტრიბუციაზე.
(CPC 61111-ის ნაწილი, CPC 6113-ის ნაწილი და CPC 6121-ის ნაწილი)	AT: ვალდებულება არ არის აღებული პიროტექნიკური და აალებადი პროდუქციის და ასაფეთქებელი მოწყობილობების და ტოქსიკური ნივთიერებების დისტრიბუციაზე.
b) კომისიის აგენტების სხვა მომსახურება	
(CPC 621)	
B. საბითუმო ვაჭრობის მომსახურება	AT, BG: ვალდებულება არ არის აღებული სამედიცინო გამოყენების პროდუქტების, როგორიცაა სამედიცინო და ქირურგიული მოწყობილობების, სამედიცინო ნივთიერებების და სამედიცინო გამოყენების სხვა საგნების, დისტრიბუციაზე. HR: ვალდებულება არ არის აღებული თამბაქოს ნაწარმის დისტრიბუციაზე.
a) საბითუმო ვაჭრობის მომსახურება ავტომობილებზე, მოტოციკლეტებზე და თოვლმავლებზე და მათ ნაწილებსა და აქსესუარებზე	რეჟიმი 1
(CPC 61111-ის ნაწილი, CPC 6113-ის ნაწილი და CPC 6121-ის ნაწილი)	AT, BG, FR, PL და RO: ვალდებულება არ არის აღებული თამბაქოსა და თამბაქოს პროდუქციის დისტრიბუციაზე.
b) საბითუმო ვაჭრობის მომსახურება სატელეკომუნიკაციო ტერმინალების დანადგარებზე	BG, FI, PL და RO: ვალდებულება არ არის აღებული ალკოჰოლური სასმელების დისტრიბუციაზე. SE: ვალდებულება არ არის აღებული ალკოჰოლური სასმელების საცალო დისტრიბუციაზე.
(CPC 7542-ის ნაწილი)	AT, BG, CZ, FI, RO, SK და SI: ვალდებულება არ არის აღებული მედიკამენტების დისტრიბუციაზე.
c) სხვა საბითუმო სავაჭრო მომსახურება	
(CPC 622, ენერგეტიკის პროდუქტებით[34] საბითუმო ვაჭრობის მომსახურების გარდა)	
C. საცალო ვაჭრობის მომსახურება[35]	
საცალო ვაჭრობის მომსახურება ავტომობილებზე, მოტოციკლეტებზე და თოვლმავლებზე და მათ ნაწილებსა და აქსესუარებზე	
	BG, HU და PL: ვალდებულება არ არის აღებული სასაქონლო ბროკერების მომსახურებაზე.

(CPC 61112, CPC 6113-ის ნაწილი და CPC 6121-ის ნაწილი)	FR: კომისიის აგენტების მომსახურებისთვის, ვალდებულება არ არის აღებული ტრეიდერებისა და ბროკერებისთვის, რომლებიც საქმიანობენ ეროვნული ინტერესის მქონე ახალი საკვები პროდუქტების 17 ბაზარზე. ვალდებულება არ არის აღებული მედიკამენტებით საბითუმო ვაჭრობაზე.
საცალო ვაჭრობის მომსახურება სატელეკომუნიკაციო ტერმინალების დანადგარებზე	MT: ვალდებულება არ არის აღებული კომისიის აგენტების მომსახურებაზე.
(CPC 7542-ის ნაწილი)	BE, BG, CY, DE, DK, ES, FR, EL, IE, IT, LU, MT, NL, PL, PT, SK და UK: საცალო ვაჭრობის მომსახურებისთვის, ვალდებულება არ არის აღებული, ფოსტით შეკვეთის გარდა.
საკვები პროდუქტების საცალო ვაჭრობის მომსახურება	
(CPC 631)	
სხვა საქონლის (არა ენერგო პროდუქტების) საცალო ვაჭრობის მომსახურება, მედიკამენტების, სამედიცინო და ორთოპედიული პროდუქციის[36] გარდა	
(CPC 632, CPC 63211-ის და CPC 63297-ის გარდა)	
D. ფრენჩაიზინგი	
(CPC 8929)	
5. მომსახურება განათლების სფეროში (მხოლოდ კერძო სექტორის დაფინანსებით მიღებული მომსახურება)	
A. დაწყებითი განათლების მომსახურება	რეჟიმი 1
(CPC 921)	BG, CY, FI, HR, MT, RO, SE და SI: ვალდებულება არ არის აღებული. FR: მოქალაქეობის მოთხოვნა. თუმცა, უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა შეიძლება მიიღონ ავტორიზაცია კომპეტენტური ორგანოებისაგან, საგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნების და მართვისთვის და სწავლებისთვის. IT: მოქალაქეობის მოთხოვნა მომსახურების მიმწოდებლებისთვის, სახელმწიფოს მიერ აღიარებული დიპლომების გაცემისთვის ავტორიზაციის მისაღებად.
	რეჟიმი 2
	CY, FI, HR, MT, RO, SE და SI: ვალდებულება არ არის აღებული.
B. საშუალო განათლების მომსახურება	რეჟიმი 1
	BG, CY, FI, HR, MT, RO და SE: ვალდებულება არ არის აღებული. FR: მოქალაქეობის მოთხოვნა. თუმცა, უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა შეიძლება მიიღონ ავტორიზაცია კომპეტენტური ორგანოებისაგან,

(CPC 922)	საგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნების და მართვისთვის და სწავლებისთვის. IT: მოქალაქეობის მოთხოვნა მომსახურების მიმწოდებლებისთვის, სახელმწიფოს მიერ აღიარებული დიპლომების გაცემისთვის ავტორიზაციის მისაღებად.
	რეჟიმი 2
	CY, FI, MT, RO და SE: ვალდებულება არ არის აღებული.
	რეჟიმი 1 და 2
	LV: ვალდებულება არ არის აღებული საგანმანათლებლო მომსახურებაზე, რომელიც დაკავშირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისთვის ტექნიკური და პროფესიული საშუალო განათლების ტიპის საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდებასთან (CPC 9224)
C. უმაღლესი განათლების მომსახურება	რეჟიმი 1
(CPC 923)	AT, BG, CY, FI, MT, RO და SE: ვალდებულება არ არის აღებული.
	FR: მოქალაქეობის მოთხოვნა. თუმცა, უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა შეიძლება მიიღონ ავტორიზაცია კომპეტენტური ორგანოებისაგან, საგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნების და მართვისთვის და სწავლებისთვის.
	IT: მოქალაქეობის მოთხოვნა მომსახურების მიმწოდებლებისთვის, სახელმწიფოს მიერ აღიარებული დიპლომების გაცემისთვის ავტორიზაციის მისაღებად.
	რეჟიმი 2
	AT, BG, CY, FI, MT, RO და SE: ვალდებულება არ არის აღებული.
	რეჟიმი 1 და 2
	CZ და SK: ვალდებულება არ არის აღებული უმაღლეს საგანმანათლებლო მომსახურებაზე, გარდა საშუალო სკოლის შემდგომი ტექნიკური და პროფესიული საგანმანათლებლო მომსახურებისა (CPC 92310)
D. ზრდასრულთა განათლების მომსახურება	რეჟიმი 1 და 2
(CPC 924)	CY, FI, MT, RO და SE: ვალდებულება არ არის აღებული.
	AT: ვალდებულება არ არის აღებული მოზრდილთა საგანმანათლებლო მომსახურებაზე რადიო და სატელევიზიო მაუწყებლობის მეშვეობით.
E. სხვა საგანმანათლებლო მომსახურება	რეჟიმი 1 და 2
	AT, BE, BG, CY, DE, DK, ES, EE, FI, FR, EL, HU, IE, IT, LV, LT, LU, MT, NL, PL, PT, RO, SI, SE და UK:

(CPC 929)	ვალდებულება არ არის აღებული. რეჟიმი 1 HR: შეზღუდვა არ არის დისტანციური სწავლებისათვის როგორც კორესპონდენციის მეშვეობით, ასევე ტელეკომუნიკაციების გამოყენებით.
6. გარემოს დაცვითი მომსახურება	
A. ნარჩენი წყლების მომსახურება	რეჟიმი 1
(CPC 9401)[37]	EU, გარდა EE, LT და LV: ვალდებულება არ არის აღებული, საკონსულტაციო მომსახურების გარდა. EE, LT და LV: შეზღუდვა არ არის რეჟიმი 2 შეზღუდვა არ არის
B. მყარი/სახიფათო ნარჩენების მართვა, გარდა სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო ტრანსპორტირებისა	რეჟიმი 1 EU, გარდა EE და HU: ვალდებულება არ არის აღებული, საკონსულტაციო მომსახურების გარდა. EE და HU: შეზღუდვა არ არის რეჟიმი 2
a) ნარჩენებისაგან გასუფთავების მომსახურება	შეზღუდვა არ არის
(CPC 9402)	
b) სანიტარული და მსგავსი მომსახურება	რეჟიმი 1 EU, გარდა EE, HU და LT: ვალდებულება არ არის აღებული, საკონსულტაციო მომსახურების გარდა. EE, HU და LT: შეზღუდვა არ არის რეჟიმი 2 შეზღუდვა არ არის
(CPC 9403)	
C. ატმოსფერული ჰაერის და კლიმატის დაცვა	რეჟიმი 1 EU, გარდა EE, FI, LT, PL და RO: ვალდებულება არ არის აღებული, საკონსულტაციო მომსახურების გარდა. EE, FI, LT, PL, RO: შეზღუდვა არ არის

	რეჟიმი 2 შეზღუდვა არ არის
(CPC 9404)[38]	
D. ნიადაგის და წყლების აღდგენა და გაწმენდა	რეჟიმი 1 EU, გარდა EE, FI და RO: ვალდებულება არ არის აღებული, საკონსულტაციო მომსახურების გარდა. EE, FI, RO: შეზღუდვა არ არის რეჟიმი 2 შეზღუდვა არ არის
a) დაბინძურებული ნიადაგის და წყლის მოვლა, აღდგენა	
(CPC 94060-ის ნაწილი)[39]	
E. ხმაურის და ვიბრაციის შემცირება	რეჟიმი 1 EU, გარდა EE, FI, LT, PL და RO: ვალდებულება არ არის აღებული, საკონსულტაციო მომსახურების გარდა. EE, FI, LT, PL და RO: შეზღუდვა არ არის რეჟიმი 2 შეზღუდვა არ არის
(CPC 9405)	
F. ბიომრავალფეროვნების და ლანდშაფტის დაცვა	რეჟიმი 1 EU, გარდა EE, FI და RO: ვალდებულება არ არის აღებული, საკონსულტაციო მომსახურების გარდა. EE, FI და RO: შეზღუდვა არ არის რეჟიმი 2 შეზღუდვა არ არის
a) გარემოს და ლანდშაფტის დაცვის მომსახურება	
(CPC 9406-ის ნაწილი)	

G. სხვა გარემოსდაცვითი და დამხმარე მომსახურება	რეჟიმი 1 EU, გარდა EE, FI და RO: ვალდებულება არ არის აღებული, საკონსულტაციო მომსახურების გარდა. EE, FI და RO: შეზღუდვა არ არის რეჟიმი 2 შეზღუდვა არ არის
(CPC 94090)	
7. ფინანსური მომსახურება	
A. დაზღვევა და დაზღვევასთან დაკავშირებული მომსახურება	რეჟიმი 1 და 2
	AT, BE, CZ, DE, DK, ES, FI, FR, EL, HU, IE, IT, LU, NL, PL, PT, RO, SK, SE, SI და UK: ვალდებულება არ არის აღებული პირდაპირი დაზღვევის მომსახურებაზე, გარდა რისკების დაზღვევისა, რომელიც უკავშირდება:
	i) საზღვაო გადაზიდვას და კომერციულ ავიაციას და კოსმოსურ გაშვებებს და ტვირთის გადაზიდვას (თანამგზავრების ჩათვლით), როცა ეს დაზღვევა ფარავს აქ ჩამოთვლილთაგან ნებისმიერს ან ყველას: ტრანსპორტირებულ საქონელს, საქონლის სატრანსპორტო საშუალებას და ამისგან წარმოშობილ ნებისმიერ ვალდებულებას; და
	ii) საერთაშორისო ტრანზიტში მყოფ საქონელს
	AT: აკრძალულია სარეკლამო და საშუამავლო საქმიანობა შვილობილი კომპანიის სახელით, რომელიც არ არის დაფუძნებული ევროკავშირში ან ფილიალის სახელით, რომელიც არ არის დაფუძნებული ავსტრიაში (გარდა გადაზღვევის და რეტროცესიის). სავალდებულო საჰაერო დაზღვევა, გარდა საერთაშორისო კომერციული საჰაერო ტრანსპორტის დაზღვევისა, შეიძლება განახორციელოს მხოლოდ ევროკავშირში დაფუძნებულმა შვილობილმა კომპანიამ ან ავსტრიაში დაფუძნებულმა ფილიალმა.
	DK: სავალდებულო საჰაერო დაზღვევა შეიძლება განახორციელოს მხოლოდ ევროკავშირში დაფუძნებულმა კომპანიებმა. კერძო პირებს ან კომპანიებს (სადაზღვევო კომპანიების ჩათვლით), დანიის კანონის მიხედვით ან დანიის კომპეტენტური ორგანოს მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიების გარდა, არ აქვთ უფლება, საქმიანი მიზნებისთვის დანიაში ჩაერთონ დანიის რეზიდენტი პირების, დანიური გემების ან დანიაში მდებარე ქონების პირდაპირი დაზღვევის განხორციელებაში.
	DE: სავალდებულო საჰაერო დაზღვევა შეიძლება განახორციელოს მხოლოდ ევროკავშირში დაფუძნებულმა შვილობილმა კომპანიამ ან გერმანიაში დაფუძნებულმა ფილიალმა. თუ უცხოურმა სადაზღვევო კომპანიამ დააფუძნა ფილიალი გერმანიაში, მას შეუძლია საერთაშორისო ტრანსპორტთან დაკავშირებული სადაზღვევო კონტრაქტების გაფორმება გერმანიაში, მხოლოდ

	გერმანიაში დაფუძნებული ფილიალის მეშვეობით.
	FR: სახმელეთო ტრანსპორტთან დაკავშირებული რისკების დაზღვევის განხორციელების უფლება აქვთ მხოლოდ ევროკავშირში დაფუძნებულ სადაზღვევო ფირმებს.
	PL: ვალდებულება არ არის აღებული გადაზღვევასა და რეტროცესიაზე, გარდა საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართულ საქონელთან დაკავშირებული რისკებისა.
	PT: საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტის დაზღვევა, რომელიც ფარავს საქონელს, საჰაერო ხომალდს, გემის კორპუსს და სამანქანო განყოფილებას და პასუხისმგებლობას, შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ევროკავშირში დაფუძნებული ფირმების მიერ; მხოლოდ ევროკავშირში დაფუძნებულ პირებს და კომპანიებს შეუძლიათ პორტუგალიაში ამ სადაზღვევო ბიზნესთან დაკავშირებული საშუამავლო მომსახურების განხორციელება.
	რეჟიმი 1
	AT, BE, CZ, DE, DK, ES, FI, FR, EL, HU, IE, IT, LU, NL, PT, RO, SK, SE, SI და UK: ვალდებულება არ არის აღებული პირდაპირი დაზღვევის საშუამავლო მომსახურებაზე, გარდა რისკების დაზღვევისა, რომელიც უკავშირდება:
	i) საზღვაო გადაზიდვას და კომერციული ავიაციას და კოსმოსურ გაშვებებს და ტვირთის გადაზიდვას (თანამგზავრების ჩათვლით), როცა ეს დაზღვევა ფარავს აქ ჩამოთვლილთაგან ნებისმიერს ან ყველას: ტრანსპორტირებულ საქონელს, საქონლის სატრანსპორტო საშუალებას და ამისგან წარმოშობილ ნებისმიერ ვალდებულებას; და
	ii) საერთაშორისო ტრანზიტში მყოფ საქონელს.
	BG: ვალდებულება არ არის აღებული პირდაპირ დაზღვევაზე, გარდა ბულგარეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის მიმწოდებლების მიერ უცხო ქვეყნის პირებისთვის მიწოდებული მომსახურებისა. სატრანსპორტო დაზღვევა, რომელიც ფარავს საქონელს, სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევას და ბულგარეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე რისკებთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის დაზღვევას, პირდაპირ არ შეიძლება განხორციელდეს უცხო ქვეყნის სადაზღვევო კომპანიების მიერ. უცხოურ სადაზღვევო კომპანიას შეუძლია სადაზღვევო კონტრაქტების დადება მხოლოდ ფილიალის მეშვეობით. ვალდებულება არ არის აღებული დეპოზიტების დაზღვევაზე და მსგავს საკომპენსაციო სქემებზე, აგრეთვე სავალდებულო სადაზღვევო სქემებზე.
B. საბანკო და სხვა ფინანსური მომსახურება (დაზღვევის გარდა)	CY, LV და MT: ვალდებულება არ არის აღებული პირდაპირი დაზღვევის მომსახურებაზე, გარდა რისკების დაზღვევისა, რომელიც უკავშირდება:
	i) საზღვაო გადაზიდვას და კომერციული ავიაციას და კოსმოსურ გაშვებებს და ტვირთის გადაზიდვას (თანამგზავრების ჩათვლით), როცა ეს დაზღვევა ფარავს აქ ჩამოთვლილთაგან ნებისმიერს ან ყველას: ტრანსპორტირებულ საქონელს, საქონლის სატრანსპორტო საშუალებას და ამისგან წარმოშობილ ნებისმიერ ვალდებულებას; და
	ii) საერთაშორისო ტრანზიტში მყოფ საქონელს.

	LT: ვალდებულება არ არის აღებული პირდაპირი დაზღვევის მომსახურებაზე, გარდა რისკების დაზღვევისა, რომელიც უკავშირდება:
	i) საზღვაო გადაზიდვას და კომერციული ავიაციას და კოსმოსურ გაშვებებს და ტვირთის გადაზიდვას (თანამგზავრების ჩათვლით), როცა ეს დაზღვევა ფარავს აქ ჩამოთვლილთაგან ნებისმიერს ან ყველას: ტრანსპორტირებულ საქონელს, საქონლის სატრანსპორტო საშუალებას და ამისგან წარმოშობილ ნებისმიერ ვალდებულებას; და
	ii) საერთაშორისო ტრანზიტში მყოფ საქონელს, გარდა იმისა, რომელიც დაკავშირებულია სახმელეთო ტრანსპორტთან და რისკები უკავშირდება ლიტვას.
	BG, LV, LT და PL: ვალდებულება არ არის აღებული სადაზღვევო შუამავლობაზე. ES: აქტუარული მომსახურებისთვის, დაწესებულია რეზიდენტობის მოთხოვნა და სამწლიანი შესაბამისი გამოცდილება.
	FI: მხოლოდ ევროკავშირში სათავო ოფისის ან ფინეთში ფილიალის მქონე მზღვეველებს აქვთ უფლება განახორციელონ პირდაპირი დაზღვევის მომსახურება (თანადაზღვევის ჩათვლით). სადაზღვევო ბროკერის მომსახურების მიწოდება უნდა მოხდეს ევროკავშირში საქმიანობის მუდმივი ადგილის არსებობის საფუძველზე. HR: ვალდებულება არ არის აღებული პირდაპირი დაზღვევის და პირდაპირი დაზღვევის საშუამავლო მომსახურებაზე, გარდა შემდეგისა: a) სიცოცხლის დაზღვევა: ხორვატიაში მცხოვრები უცხოელებისთვის სიცოცხლის დაზღვევის მიწოდება; b) არასიცოცხლის დაზღვევა: ხორვატიაში მცხოვრები უცხოელებისთვის არასიცოცხლის დაზღვევის მიწოდება, გარდა ავტომობილების დაზღვევისა c) საზღვაო, საავიაციო, ტრანსპორტი.
	HU: უნგრეთის ტერიტორიაზე პირდაპირი დაზღვევის მიწოდება იმ სადაზღვევო კომპანიების მიერ, რომლებიც დაფუძნებულები არ არიან ევროკავშირში, დაშვებულია მხოლოდ უნგრეთში რეგისტრირებული ფილიალის მეშვეობით.
	IT: ვალდებულება არ არის აღებული აქტუარულ საქმიანობაზე. სატრანსპორტო დაზღვევა, რომელიც ფარავს საქონელს, სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევას და იტალიაში რისკებთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის დაზღვევას, შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ევროკავშირში დაფუძნებული სადაზღვევო კომპანიების მიერ. ეს დათქმა არ ვრცელდება საერთაშორისო ტრანსპორტზე, რომელიც მოიცავს იტალიაში იმპორტს.
	SE: პირდაპირი დაზღვევის განხორციელება დაშვებულია მხოლოდ შვედეთში ავტორიზებული სადაზღვევო მომსახურების მიმწოდებლის მიერ, იმ პირობით, რომ უცხო ქვეყნის მომსახურების მიმწოდებელი და შვედეთის სადაზღვევო კომპანია მიეკუთვნება ერთსა და იმავე კომპანიების ჯგუფს ან აქვთ თანამშრომლობის შეთანხმება.

	რეჟიმი 2
	AT, BE, BG, CZ, CY, DE, DK, ES, FI, FR, EL, HU, IE, IT, LU, MT, NL, PL, PT, RO, SK, SE, SI და UK: ვალდებულება არ არის აღებული შუამავლობაზე.
	BG: პირდაპირი დაზღვევისთვის, ბულგარეთის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, აგრეთვე უცხო ქვეყნის პირებს, რომლებიც ბულგარეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ეწევიან ბიზნეს საქმიანობას, შეუძლიათ ბულგარეთში მათ საქმიანობასთან დაკავშირებით გააფორმონ სადაზღვევო კონტრაქტები მხოლოდ ბულგარეთში სადაზღვევო საქმიანობის განხორციელებისთვის ლიცენზირებულ მიმწოდებლებთან. ამ კონტრაქტებიდან გამომდინარე სადაზღვევო კომპენსაციის ანაზღაურება უნდა მოხდეს ბულგარეთში. ვალდებულება არ არის აღებული დეპოზიტების დაზღვევაზე და მსგავს საკომპენსაციო სქემებზე, აგრეთვე სავალდებულო სადაზღვევო სქემებზე. HR: ვალდებულება არ არის აღებული პირდაპირი დაზღვევის და პირდაპირი დაზღვევის საშუამავლო მომსახურებაზე, გარდა შემდეგისა: a) სიცოცხლის დაზღვევა: ხორვატიაში მცხოვრები უცხოელების მიერ სიცოცხლის დაზღვევის მიღების შესაძლებლობა; b) არასიცოცხლის დაზღვევა: (i) ხორვატიაში მცხოვრები უცხოელებისთვის არასიცოცხლის დაზღვევის მიღების შესაძლებლობა, გარდა ავტომობილების დაზღვევისა; (ii) პერსონალური ან ქონების რისკების დაზღვევა, რომელიც არ არის ხელმისაწვდომი ხორვატიის რესპუბლიკაში; უცხოეთში დაზღვევის შემსყიდველი კომპანიები, რომელიც დაკავშირებულია უცხოეთში საინვესტიციო საქმიანობასთან, მათ შორის მოწყობილობებთან ამ საქმიანობისთვის; უცხოური კრედიტების დაბრუნების უზრუნველყოფა (გირაოს დაზღვევა); საკუთრებაში არსებული იმ საწარმოების და ერთობლივი საწარმოების პერსონალური და ქონების დაზღვევა, რომლებიც ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას უცხო ქვეყანაში, თუ ამგვარი მოთხოვნა არსებობს იმ ქვეყნის რეგულაციების ან მისი რეგისტრაციის შესაბამისად; მშენებლობის ან კაპიტალური რემონტის პროცესში მყოფი გემები, თუ ამგვარად არის განსაზღვრული უცხოელ კლიენტთან (მყიდველთან) დადებული კონტრაქტით; c) საზღვაო, საავიაციო, ტრანსპორტი.
	IT: სატრანსპორტო დაზღვევა, რომელიც ფარავს საქონელს, სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევას და იტალიაში რისკებთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის დაზღვევას, შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ევროკავშირში დაფუძნებული სადაზღვევო კომპანიების მიერ. ეს დათქმა არ ვრცელდება საერთაშორისო ტრანსპორტზე, რომელიც მოიცავს იტალიაში იმპორტს.
	რეჟიმი 1
	AT, BE, BG, CZ, DE, DK, ES, FI, FR, EL, HU, IE, IT, LU, NL, PL, PT, SK, SE და UK: ვალდებულება არ არის

	აღებული, გარდა ფინანსური ინფორმაციის მიწოდებისა და ფინანსური მონაცემების დამუშავებისა და საკონსულტაციო და სხვა დაკავშირებული მომსახურებებისა, შუამავლობის გარდა. CY: ვალდებულება არ არის აღებული, გარდა მიმოქცევადი ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობისა, ფინანსური ინფორმაციის მიწოდებისა და ფინანსური მონაცემების დამუშავებისა და საკონსულტაციო და სხვა დაკავშირებული მომსახურებებისა, შუამავლობის გარდა.
	BE: სავალდებულოა ბელგიაში დაფუძნება საინვესტიციო სფეროში საკონსულტაციო მომსახურების მიწოდებისათვის.
	BG: შეზღუდვები და პირობები შეიძლება დაწესდეს სატელეკომუნიკაციო ქსელების გამოყენებაზე.
	EE: დეპოზიტების მისაღებად აუცილებელია ნებართვის მოპოვება ესტონეთის ფინანსური ზედამხედველობის სააგენტოსგან და სააქციო საზოგადოებად, შვილობილ კომპანიად ან ფილიალად დარეგისტრირება.
	საინვესტიციო ფონდების სამართავად სავალდებულოა სპეციალიზებული მმართველობითი კომპანიის დაფუძნება; საინვესიტიციო ფონდების აქტივების დეპოზიტარის ფუნქციის შესრულება შეუძლიათ მხოლოდ იმ საწარმოებს, რომლებსაც ევროკავშირში აქვთ იურიდიული მისამართი.
	HR: ვალდებულება არ არის აღებული, გარდა დაკრედიტების, ფინანსური ლიზინგის, საგადახდო და ფულადი გზავნილების მომსახურების, გარანტიებისა და სხვა პირობითი ვალდებულებების გაცემის, ფულადი ინსტრუმენტების ბაზარზე საშუამავლო მომსახურების, ფინანსური ინფორმაციის მიწოდებისა და გადაცემის, ისევე, როგორც სხვა დაკავშირებული ფინანსური მომსახურებისა (შუამავლობის გარდა). LT: საინვესტიციო ფონდების მართვისთვის სავალდებულოა სპეციალიზებული მმართველობითი კომპანიის დაფუძნება. საინვესიტიციო ფონდების აქტივების დეპოზიტარის ფუნქციის შესრულება მხოლოდ იმ საწარმოებს შეუძლიათ, რომელთაც აქვთ იურიდიული მისამართი ან ფილიალი ლიტვაში.
	IE: საინვესტიციო მომსახურების ან საინვესტიციო სფეროში საკონსულტაციო მომსახურების უზრუნველყოფა საჭიროებს შემდეგს: (I) პირის საქმიანობა ნებადართული იყოს ირლანდიის ტერიტორიაზე, რაც ჩვეულებრივ გულისხმობს, რომ ის იყოს რეგისტრირებული კორპორაციის, კომანდიტური საზოგადოების ან ინდივიდუალური მეწარმის სახით ყველა ზემოთჩამოთვლილ შემთხვევაში სათაო/რეგისტრირებული ოფისის იურიდიული მისამართით ირლანდიაში (საქმიანობის უფლება შესაძლოა არ იყოს სავალდებულო რიგ შემთხვევებში, მაგალითად, როდესაც მესამე ქვეყნის მომსახურების მიმწოდებელს არ აქვს კომერციული წარმომადგენლობა ირლანდიაში და მომსახურება არ არის განკუთვნილი ფიზიკური პირებისათვის), ან (II) პირის საქმიანობა ნებადართული იყოს ევროკავშირის სხვა წევრ ქვეყანაში ევროკავშირის საინვესტიციო მომსახურების დირექტივის შესაბამისად.

	IT: ვალდებულება არ არის აღებული "*promotori di servizi finanziari*"-ზე (გაყიდვების აგენტი ფინანსური მომსახურების დარგში).
	LV: ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ფინანსური ინფორმაციის მიწოდების და გადაცემისა ისევე, როგორც სხვა დაკავშირებული ფინანსური მომსახურებისა, შუამავლობის გარდა.
	LT: საპენსიო ფონდების მართვისთვის სავალდებულოა კომერციული წარმომადგენლობა.
	MT: ვალდებულება არ არის აღებული, გარდა დეპოზიტების მიღების, ყველა ტიპის დაკრედიტების, ფინანსური ინფორმაციის მიწოდების და დამუშავების, საკონსულტაციო და სხვა დაკავშირებული ფინანსური მომსახურებისა (შუამავლობის გარდა).
	PL: ფინანსური ინფორმაციის მიწოდებისა და გადაცემისთვის, ფინანსური მონაცემების დამუშავებისა და დაკავშირებული პროგრამული უზრუნველყოფისთვის: მოთხოვნა, რომ გამოყენებულ იქნას საჯარო ტელეკომუნიკაციების ქსელი, ან სხვა ავტორიზებული ოპერატორის ქსელი.
	RO: ვალდებულება არ არის აღებული ფინანსურ ლიზინგზე, ფულის ბაზრის ინსტრუმენტებით, უცხოური ვალუტით, წარმოებული ფინანსური პროდუქტებით, ვალუტის კურსისა და საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტებით, მიმოქცევადი ფასიანი ქაღალდებით და სხვა მიმოქცევადი ინსტრუმენტებითა და ფინანსური აქტივებით ვაჭრობაზე, ნებისმიერი ტიპის ფასიანი ქაღალდების ემისიაში მონაწილეობაზე, აქტივების მართვასთან და ფინანსურ აქტივებთან მიმართებაში ანგარიშსწორებასა და კლირინგზე. გადახდები და ფულადი გზავნილები ნებადართულია მხოლოდ რეზიდენტი ბანკის მეშვეობით.
	SI:
	(i) სახაზინო ობლიგაციების გამოშვებაში, საპენსიო ფონდის მართვაში მონაწილეობა: ვალდებულება არ არის აღებული.
	(ii) ყველა სხვა ქვესექტორში, გარდა ფინანსური ინფორმაციის მიწოდებისა და გადაცემის, კრედიტების მიღების (ყველა ტიპის სესხების მიღება) და ადგილობრივი იურიდიული პირების და ინდივიდუალური მეწარმეების სასარგებლოდ უცხოური საკრედიტო დაწესებულებების მიერ გაცემული გარანტიებისა და სხვა პირობითი ვალდებულებების მიღებისა, და საკონსულტაციო და სხვა დაკავშირებული ფინანსური მომსახურებისა: ვალდებულება არ არის აღებული. სლოვენიის საფონდო ბირჟის წევრები უნდა იყვნენ დარეგისტრირებული იურიდიულ პირებად სლოვენიის რესპუბლიკაში ან უნდა წარმოადგენდნენ უცხოური საინვესტიციო ფირმების ან ბანკების ფილიალებს.
	რეჟიმი 2
	BG: ტელეკომუნიკაციის ქსელების გამოყენებაზე შესაძლოა არსებობდეს შეზღუდვები და პირობები.
	PL: ფინანსური ინფორმაციის მიწოდებისა და გადაცემისთვის, ასევე, ფინანსური მონაცემების დამუშავებისთვის და მათთან დაკავშირებული

	პროგრამული უზრუნველყოფისთვის: სავალდებულოა, რომ გამოყენებულ იქნას საზოგადოებრივი სატელეკომუნიკაციო ქსელი ან სხვა ავტორიზებული ოპერატორის ქსელი.
8. ჯანმრთელობის დაცვის მომსახურება და სოციალური მომსახურება	
(მხოლოდ კერძო სექტორის დაფინანსებით მიღებული მომსახურება)	
A. საავადმყოფოების მომსახურება	რეჟიმი 1
(CPC 9311)	AT, BE, BG, DE, CY, CZ, DK, ES, EE, FI, FR, EL, IE, IT, LV, LT, MT, LU, NL, PL, PT, RO, SI, SE, SK და UK: ვალდებულება არ არის აღებული. HR: ვალდებულება არ არის აღებული, ტელემედიცინის გარდა.
C. რეზიდენტური ჯანდაცვის დაწესებულებები, საავადმყოფოებისგან განსხვავებული	რეჟიმი 2
(CPC 93193)	შეზღუდვა არ არის
D. სოციალური მომსახურება	რეჟიმი 1
(CPC 933)	AT, BE, BG, CY, CZ, DE, DK, EE, ES, EL, FI, FR, HU, IE, IT, LU, MT, NL, PL, PT, RO, SE, SI, SK და UK**:** ვალდებულება არ არის აღებული.
	რეჟიმი 2
	BE: ვალდებულება არ არის აღებული სოციალურ მომსახურებაზე, გარდა სარეაბილიტაციო და დასასვენებელ სახლებთან და მოხუცებულთა სახლებთან დაკავშირებული მომსახურებისა.
9. ტურიზმი და მოგზაურობასთან დაკავშირებული მომსახურება	
A. სასტუმროები, რესტორნები და კვების ობიექტები	რეჟიმი 1
(CPC 641, CPC 642 და CPC 643)	AT, BE, BG, CY, CZ, DE, DK, ES, FR, EL, IE, IT, LV, LT, LU, MT, NL, PL, PT, RO, SK, SI, SE და UK: ვალდებულება არ არის აღებული, კატერინგის გარდა. HR: ვალდებულება არ არის აღებული.
საჰაერო სატრანსპორტო მომსახურებაში კვების გარდა [40]	რეჟიმი 2
	შეზღუდვა არ არის
B. სამოგზაურო სააგენტოების და ტურ-ოპერატორების მომსახურება	რეჟიმი 1
	BG, HU: ვალდებულება არ არის აღებული.
(ტურების მენეჯერების ჩათვლით)	რეჟიმი 2
(CPC 7471)	შეზღუდვა არ არის
C. ტურისტული გიდების მომსახურება	რეჟიმი 1
(CPC 7472)	BG, CY, CZ, HU, IT, LT, MT, PL, SK და SI: ვალდებულება არ არის აღებული.

	რეჟიმი 2
	შეზღუდვა არ არის
10. გამაჯანსაღებელი, კულტურული და სპორტული მომსახურება (აუდიო-ვიზუალური მომსახურებისგან განსხვავებული)	
A. გასართობი ხასიათის მომსახურება	რეჟიმი 1
(თეატრის, ცოცხალი შემსრულებლების, ცირკის და დისკოთეკის მომსახურების ჩათვლით)	BE, BG, CY, CZ, DE, DK, ES, EE, FI, FR, EL, HR, HU, IE, IT, LV, LT, LU, MT, NL, PL, PT, RO, SK, SI და UK: ვალდებულება არ არის აღებული.
(CPC 9619)	რეჟიმი 2
	CY, CZ, FI, HR, MT, PL, RO, SK და SI: ვალდებულება არ არის აღებული.
	BG: ვალდებულება არ არის აღებული, გარდა შემდეგისა: თეატრალური პროდიუსერის, მომღერლების, მუსიკალური ჯგუფის და ორკესტრის გასართობი მომსახურება (CPC 96191); აგრეთვე, ავტორების, კომპოზიტორების, მოქანდაკეების, კონფერანსიეს და სხვა ინდივიდუალურ ხელოვანთა მომსახურება (CPC 96192); დამხმარე თეატრალური მომსახურება (CPC 96193).
	EE: ვალდებულება არ არის აღებული სხვა გასართობ მომსახურებაზე (CPC 96199), კინოსა და თეატრის მომსახურების გარდა.
	LT და LV: ვალდებულება არ არის აღებული, კინოსა და თეატრის მომსახურების გარდა (CPC 96199-ის ნაწილი)
B. ახალი ამბების/საინფორმაციო და პრესის სააგენტოების მომსახურება	რეჟიმი 1 და 2
(CPC 962)	შეზღუდვა არ არის
C. ბიბლიოთეკების, არქივების, მუზეუმების და სხვა კულტურული მომსახურება	რეჟიმი 1
(CPC 963)	BE, BG, CY, CZ, DE, DK, ES, EE, FI, FR, EL, HR, HU, IE, IT, LT, LV, LU, MT, NL, PL, PT, RO, SK, SI, SE და UK: ვალდებულება არ არის აღებული.
	რეჟიმი 2
	BE, BG, CY, CZ, DE, DK, ES, FI, FR, EL, HR, HU, IE, IT, LT, LV, LU, MT, NL, PL, PT, RO, SK, SI, SE და UK: ვალდებულება არ არის აღებული.
D. სპორტული მომსახურება	რეჟიმი 1 და 2
(CPC 9641)	AT: ვალდებულება არ არის აღებული სათხილამურო სკოლის მომსახურებასა და სამთო გიდების მომსახურებაზე.
	BG, CZ, LV, MT, PL, RO და SK: ვალდებულება არ არის აღებული.
	რეჟიმი 1

	CY, EE და HR: ვალდებულება არ არის აღებული.
E. სარეკრეაციო პარკებისა და სანაპირო ზოლის მომსახურება	რეჟიმი 1 და 2
(CPC 96491)	შეზღუდვა არ არის
11. სატრანსპორტო მომსახურება	
A. საზღვაო ტრანსპორტი	რეჟიმი 1 და 2
a) მგზავრთა საერთაშორისო გადაყვანა	BG, CY, DE, EE, ES, FR, FI, EL, IT, LT, MT, PT, RO, SI და SE: ავტორიზაცია ფიდერულ მომსახურებაზე.
(CPC 7211 ეროვნული კაბოტაჟის ტრანსპორტის გამოკლებით[41]).	
b) b) ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვა	
(CPC 7212 ეროვნული კაბოტაჟის ტრანსპორტის გამოკლებით)[42]	
B. შიდა წყლების ტრანსპორტი	რეჟიმი 1 და 2
a) მგზავრთა გადაყვანა	EU: ზომები, რომელიც ეფუძნება არსებულ ან მომავალ შეთანხმებებს შიდა წყლებზე დაშვებასთან დაკავშირებით (მათ შორის ხელშეკრულებები რაინი-მაინი-დუნაის არხზე), მოძრაობის ზოგიერთ უფლებას ხელმისაწვდომს ხდის დაკავშირებულ ქვეყნებში დაფუძნებული ოპერატორებისთვის, რომლებიც საკუთრებასთან დაკავშირებით აკმაყოფილებენ მოქალაქეობის კრიტერიუმებს. ექვემდებარება რეგულაციებს, რომლის მიხედვითაც ხორცილედება რაინზე ნაოსნობის შესახებ მანჰეიმის კონვენცია და ბელგრადის კონვენცია დუნაიზე ნავიგაციის შესახებ
(CPC 7221 ეროვნული კაბოტაჟის ტრანსპორტის გამოკლებით)	
b) ტვირთის გადაზიდვა	AT: აუცილებელია ავსტრიაში რეგისტრირებული კომპანიის ან მუდმივი დაფუძნების არსებობა.
(CPC 7222 ეროვნული კაბოტაჟის ტრანსპორტის გამოკლებით)	BG, CY, EE, FI, HR, HU, LT, MT, RO, SE და SI: ვალდებულება არ არის აღებული. CZ და SK: ვალდებულება არ არის აღებული მხოლოდ I რეჟიმისთვის.
C. სარკინიგზო ტრანსპორტი	რეჟიმი 1
a) მგზავრთა გადაყვანა	EU: ვალდებულება არ არის აღებული.
(CPC 7111)	რეჟიმი 2
b) ტვირთის გადაზიდვა	შეზღუდვა არ არის
(CPC 7112)	
D. საგზაო ტრანსპორტი	რეჟიმი 1
a) მგზავრთა გადაყვანა	EU: ვალდებულება არ არის აღებული.
(CPC 7121 და CPC 7122)	რეჟიმი 2
b) ტვირთის გადაზიდვა	შეზღუდვა არ არის

(CPC 7123, საკუთარი ანგარიშით ფოსტის გადატანის გარდა[43]).	
E. საქონლის ტრანსპორტირება მილსადენი ტრანსპორტით, საწვავის[44] გარდა	რეჟიმი 1 EU: ვალდებულება არ არის აღებული.
(CPC 7139)	რეჟიმი 2
	AT, BE, BG, CY, CZ, DE, DK, ES, EE, FI, FR, EL, IE, IT, LV, LU, MT, NL, PL, PT, RO, SK, SI, SE და UK: ვალდებულება არ არის აღებული.
12. ტრანსპორტის დამხმარე მომსახურება[45]	
A. საზღვაო ტრანსპორტის დამხმარე მომსახურება	
a) საზღვაო სატვირთო მომსახურება	
b) სასაწყობო და შემნახველი მომსახურება (CPC 742-ის ნაწილი)	
c) განბაჟების მომსახურება d) საკონტეინერო სადგური და სასაწყობო მომსახურება	
e) საზღვაო სააგენტოს მომსახურება f) საზღვაო ტვირთის გადაზიდვის მომსახურება	რეჟიმი 1 EU: ვალდებულება არ არის აღებული საზღვაო სატვირთო მომსახურებაზე, ჩაბმისა და ბუქსირების მომსახურებაზე, განბაჟების და საკონტეინერო სადგურისა და სასაწყობო მეურნეობის მომსახურებაზე.
g) ხომალდების ეკიპაჟით დაქირავება (CPC 7213)	AT, BG, CY, CZ, DE, EE, HU, LT, MT, PL, RO, SK, SI და SE: ვალდებულება არ არის აღებული ხომალდების ეკიპაჟით დაქირავებაზე.
h) ჩაბმისა და ბუქსირების მომსახურება (CPC 7214)	
i) საზღვაო ტრანსპორტის დამხმარე მომსახურება	რეჟიმი 2
(CPC 745-ის ნაწილი)	შეზღუდვა არ არის
j) სხვა დამხმარე მომსახურება	
(CPC 749-ის ნაწილი)	
B. შიდა წყლების ტრანსპორტის დამხმარე მომსახურება	
a) სატვირთო მომსახურება	რეჟიმი 1 და 2
(CPC 741-ის ნაწილი)	EU: ზომები, რომელიც ეფუძნება არსებულ ან

b) სასაწყობო და შემნახველი მომსახურება (CPC 742-ის ნაწილი) c) ტვირთის გადაზიდვის სააგენტოს მომსახურება	მომავალ შეთანხმებებს შიდა წყლებზე დაშვებასთან დაკავშირებით (მათ შორის ხელშეკრულებები რაინი-მაინი-დუნაის არხზე), მოძრაობის ზოგიერთ უფლებას ხელმისაწვდომს ხდის დაკავშირებულ ქვეყნებში დაფუძნებული ოპერატორებისთვის, რომლებიც საკუთრებასთან დაკავშირებით აკმაყოფილებენ მოქალაქეობის კრიტერიუმებს. ექვემდებარება რეგულაციებს, რომლის მიხედვითაც ხორცილედება რაინზე ნაოსნობის შესახებ მანჰეიმის კონვენცია და ბელგრადის კონვენცია დუნაიზე ნავიგაციის შესახებ
(CPC 748-ის ნაწილი)	EU: ვალდებულება არ არის აღებული ჩაბმისა და ბუქსირების მომსახურებაზე, გარდა რეჟიმი 2-სა CZ, LV და SK-თვის, სადაც შეზღუდვა არ არის. HR: ვალდებულება არ არის აღებული, ტვირთის გადაზიდვის სააგენტოს მომსახურების გარდა.
d) ხომალდების ეკიპაჟით დაქირავება	
(CPC 7223) e) ჩაბმისა და ბუქსირების მომსახურება	
(CPC 7224)	
f) შიდა წყლების ტრანსპორტის დამხმარე მომსახურება	
(CPC 745-ის ნაწილი)	რეჟიმი 1
g) სხვა დამხმარე მომსახურება	AT, BG, CY, CZ, DE, EE, FI, HU, LV, LT, MT, RO, SK, SI და SE: ვალდებულება არ არის აღებული ხომალდის ეკიპაჟით დაქირავებაზე.
(CPC 749-ის ნაწილი)	
C. სარკინიგზო ტრანსპორტის დამხმარე მომსახურება	
a) სატვირთო მომსახურება	
(CPC 741-ის ნაწილი)	
b) სასაწყობო და შემნახველი მომსახურება	
(CPC 742-ის ნაწილი)	
c) ტვირთის გადაზიდვის სააგენტოს მომსახურება	
(CPC 748-ის ნაწილი)	
d) ჩაბმისა და ბუქსირების მომსახურება	
(CPC 7113)	
e) სარკინიგზო ტრანსპორტის მომსახურების დამხმარე მომსახურება	რეჟიმი 1 EU: ვალდებულება არ არის აღებული ჩაბმისა და ბუქსირების მომსახურებაზე. HR: ვალდებულება არ არის აღებული, ტვირთის გადაზიდვის სააგენტოს მომსახურების გარდა.

(CPC 743)	რეჟიმი 2
f) სხვა დამხმარე მომსახურება	შეზღუდვა არ არის
(CPC 749-ის ნაწილი)	
D. საგზაო ტრანსპორტის დამხმარე მომსახურება	
a) სატვირთო მომსახურება	რეჟიმი 1
(CPC 741-ის ნაწილი)	AT, BG, CY, CZ, EE, HU, LV, LT, MT, PL, RO, SK, SI და SE: ვალდებულება არ არის აღებული კომერციული საავტომობილო საშუალებების ოპერატორებით დაქირავებაზე. HR: ვალდებულება არ არის აღებული, ტვირთის გადაზიდვის სააგენტოს მომსახურების და საგზაო ტრანსპორტის დამხმარე მომსახურების გარდა, რომელიც ნებართვას საჭიროებს.
b) სასაწყობო და შემნახველი მომსახურება	
(CPC 742-ის ნაწილი)	რეჟიმი 2
c) ტვირთის გადაზიდვის სააგენტოს მომსახურება	შეზღუდვა არ არის
(CPC 748-ის ნაწილი)	
d) კომერციული საგზაო ტრანსპორტის ოპერატორებით დაქირავება	
(CPC 7124)	
e) საგზაო ტრანსპორტის დამხმარე მომსახურება	
(CPC 744)	
f) სხვა დამხმარე მომსახურება	
(CPC 749-ის ნაწილი)	
D. საჰაერო ტრანსპორტის მომსახურების დამხმარე მომსახურება	
a) სახმელეთო მომსახურება (კვების ჩათვლით)	რეჟიმი 1
	EU: ვალდებულება არ არის აღებული, კვების გარდა.
	რეჟიმი 2
	BG, CY, CZ, HR, HU, MT, PL, RO, SK და SI: ვალდებულება არ არის აღებული.
b) სასაწყობო და შემნახველი მომსახურება	რეჟიმი 1 და 2
(CPC 742-ის ნაწილი)	შეზღუდვა არ არის.
c) ტვირთის გადაზიდვის სააგენტოს მომსახურება	რეჟიმი 1 და 2
(CPC 748-ის ნაწილი)	შეზღუდვა არ არის.
d) საჰაერო ხომალდის ეკიპაჟით დაქირავება	რეჟიმი 1 და 2

(CPC 734)	EU: საჰაერო ხომალდი, რომელიც გამოიყენება ევროკავშირის საჰაერო გადამზიდავის მიერ უნდა იყოს რეგისტრირებული ევროკავშირის წევრ ქვეყანაში, რომელიც ახორციელებს გადამზიდავის ლიცენზირებას ან სადმე სხვაგან ევროკავშირის ტერიტორიაზე.
	რეგისტრაციის მიღების მიზნით, საჰაერო ხომალდის მფლობელი უნდა იყოს ან ფიზიკური პირი, რომელიც აკმაყოფილებს მოქალაქეობის სპეციფიკურ კრიტერიუმებს ან იურიდიული პირი, რომელიც აკმაყოფილებს კაპიტალის საკუთრებისა და კონტროლის სპეციფიკურ კრიტერიუმებს.
	გამონაკლისის სახით, განსაკუთრებულ შემთხვევებში, ევროკავშირის გარეთ რეგისტრირებული საჰაერო ხომალდი შეიძლება ლიზინგით გაიცეს უცხო ქვეყნის საჰაერო გადამზიდავის მიერ ევროკავშირის საჰაერო გადამზიდავზე, ამ უკანასკველის განსაკუთრებული მოთხოვნების, სეზონური გადაყვანის შესაძლებლობების ან საოპერაციო სირთულეების დაძლევის მოთხოვნების გათვალისწინებით, რომელთა დაკმაყოფილება შეუძლებელია ევროკავშირში რეგისტრირებული საჰაერო ხომალდის ლიზინგით აღებით. აღნიშნული საჭიროებს შეზღუდული ვადის თანხმობის მიღებას ევროკავშირის შესაბამისი წევრი ქვეყნისგან, რომელიც ევროკავშირის საჰაერო გადამზიდავზე გასცემს ლიცენზიას.
e) გაყიდვები და მარკეტინგი	რეჟიმი 1 და 2
f) კომპიუტერული დაჯავშნის სისტემები	EU: იმ შემთხვევაში, როდესაც ევროკავშირის საჰაერო გადამზიდავები არ ღებულობენ იმის ეკვივალენტურ რეჟიმს[46], რაც მინიჭებულია ევროკავშირში მის ფარგლებს გარეთ არსებული კომპიუტერული დაჯავშნის სისტემის მომსახურების მიმწოდებლების მიერ, ან როდესაც, ევროკავშირის კომპიუტერული დაჯავშნის სისტემების მომსახურების მიმწოდებლები არ ღებულობენ იმის ეკვივალენტურ რეჟიმს, რაც მინიჭებულია ევროკავშირში მის ფარგლებს გარეთ არსებული საჰაერო გადამზიდავების მიერ, გარკვეული ზომები შეიძლება იქნას მიღებული ეკვივალენტური რეჟიმის მისაღწევად, შესაბამისად, ევროკავშირის ფარგლებს გარეთ არსებული საჰაერო გადამზიდავების მიმართ ევროკავშირში კომპიუტერული დაჯავშნის სისტემების მომსახურების მიმწოდებლების მიერ, ან ევროკავშირის გარეთ არსებული კომპიუტერული დაჯავშნის სისტემების მომსახურების მიმწოდებლების მიმართ ევროკავშირში საჰაერო გადამზიდავების მიერ.
g) აეროპორტის მართვა	რეჟიმი 1
	EU: ვალდებულება არ არის აღებული.
	რეჟიმი 2
	შეზღუდვა არ არის
E. საქონლის მილსადენი ტრანსპორტით გადატანის დამხმარე მომსახურება, საწვავის გარდა[47]	რეჟიმი 1
a) მილსადენი ტრანსპორტით გადატანილი საქონლის	AT, BE, BG, CY, CZ, DE, DK, ES, FI, FR, EL, HR, IE, IT,

(საწვავის გარდა) დასაწყობების და შენახვის მომსახურება	LT, LU, MT, NL, PL, PT, RO, SK, SI, SE და UK: ვალდებულება არ არის აღებული.
(CPC 742-ის ნაწილი)	რეჟიმი 2
	შეზღუდვა არ არის
13. სხვა სატრანსპორტო მომსახურება	
კომბინირებული სატრანსპორტო მომსახურების გაწევა	BE, DE, DK, EL, ES, FI, FR, IE, IT, LU, NL, PT და UK: შეზღუდვა არ არის, ვალდებულებების ამ ჩამონათვალში არსებულ იმ შეზღუდვებისთვის ზიანის მიყენების გარეშე, რომლებიც გავლენას ახდენენ ტრანსპორტის ნებისმიერ სახეობაზე.
	AT, BG, CY, CZ, EE, HR, HU, LT, LV, MT, PL, RO, SE, SI და SK: ვალდებულება არ არის აღებული.
14. ენერგეტიკასთან დაკავშირებული მომსახურება	
A. სამთომოპოვებით მრეწველობასთან დაკავშირებული მომსახურება	რეჟიმი 1 და 2
(CPC 883)[48]	შეზღუდვა არ არის
B. საწვავის მილსადენი ტრანსპორტით გადატანა	რეჟიმი 1
(CPC 7131)	EU: ვალდებულება არ არის აღებული.
	რეჟიმი 2
	AT, BE, BG, CY, CZ, DE, DK, ES, EE, FI, FR, EL, IE, IT, LV, LU, MT, NL, PL, PT, RO, SK, SI, SE და UK: ვალდებულება არ არის აღებული.
C. მილსადენი ტრანსპორტით გადატანილი საწვავის დასაწყობებისა და შენახვის მომსახურება	რეჟიმი 1
	AT, BE, BG, CY, CZ, DE, DK, ES, FI, FR, EL, HR, IE, IT, LT, LU, MT, NL, PL, PT, RO, SK, SI, SE და UK: ვალდებულება არ არის აღებული.
(CPC 742-ის ნაწილი)	რეჟიმი 2
	შეზღუდვა არ არის
D. საბითუმო ვაჭრობის მომსახურება მყარ, თხევად და აირისებრ საწვავზე და მასთან დაკავშირებულ პროდუქტებზე	რეჟიმი 1:
	EU: ვალდებულება არ არის აღებული ელექტროენერგიით, ორთქლითა და ცხელი წყლით საბითუმო ვაჭრობაზე.
(CPC 62271)	რეჟიმი 2
და საბითუმო ვაჭრობის მომსახურება ელექტროენერგიაზე, ორთქლსა და ცხელ წყალზე	შეზღუდვა არ არის
E. საცალო ვაჭრობის მომსახურება სამანქანო საწვავზე	რეჟიმი 1
(CPC 613)	EU: ვალდებულება არ არის აღებული.
	რეჟიმი 2

	შეზღუდვა არ არის
F. საცალო ვაჭრობის მომსახურება მაზუთზე, ბალონებში დატუმბულ აირზე, ქვანახშირზე და ხე-ტყეზე	რეჟიმი 1
	EU: ვალდებულება არ არის აღებული ელექტროენერგიით, აირით (არა ბალონებში დატუმბული), ორთქლითა და ცხელი წყლით საცალო ვაჭრობაზე.
(CPC 63297)	BE, BG, CY, CZ, DE, DK, ES, FR, EL, IE, IT, LU, MT, NL, PL, PT, SK და UK: ვალდებულება არ არის აღებული მაზუთით, ბალონებში დატუმბული აირით, ქვანახშირით და ხე-ტყით საცალო ვაჭრობაზე, გარდა ფოსტით შეკვეთისა, რომელზეც შეზღუდვა არ არის.
და საცალო ვაჭრობის მომსახურება ელექტროენერგიაზე, აირზე (არა ბალონებში დატუმბული), ორთქლზე და ცხელ წყალზე	რეჟიმი 2
	შეზღუდვა არ არის
G. ენერგიის დისტრიბუციასთან დაკავშირებული მომსახურება	რეჟიმი 1
	EU: ვალდებულება არ არის აღებული, გარდა საკონსულტაციო მომსახურებისა, რომელზეც შეზღუდვა არ არის
(CPC 887)	რეჟიმი 2
	შეზღუდვა არ არის
15. სხვა მომსახურება, რომელიც არ შედის სხვა კატეგორიებში	
a) რეცხვის, წმენდის და ღებვის მომსახურება	რეჟიმი 1
	EU: ვალდებულება არ არის აღებული.
(CPC 9701)	რეჟიმი 2
	შეზღუდვა არ არის
b) დალაქის მომსახურება	რეჟიმი 1
(CPC 97021)	EU: ვალდებულება არ არის აღებული.
	რეჟიმი 2
	შეზღუდვა არ არის
c)კოსმეტიკური პროცედურების, მანიკურისა და პედიკურის მომსახურება	რეჟიმი 1
	EU: ვალდებულება არ არის აღებული.
(CPC 97022)	რეჟიმი 2
	შეზღუდვა არ არის
d) თავის მოვლის სხვა პროცედურები, რომლებიც არ არის სხვაგან კლასიფიცირებული	რეჟიმი 1
	EU: ვალდებულება არ არის აღებული.

(CPC 97029)	რეჟიმი 2
	შეზღუდვა არ არის
e) სპა მომსახურება და არა-თერაპიული მასაჟი, იმის გათვალისწინებით, რომ ეს მომსახურება ხორციელდება როგორც ფიზიკური სარელაქსაციო მომსახურება და არა სამედიცინო ან სარეაბილიტაციო მიზნებისათვის[49].	რეჟიმი 1
	EU: ვალდებულება არ არის აღებული.
	რეჟიმი 2
(CPC ver. 1.0 97230)	შეზღუდვა არ არის
g) სატელეკომუნიკაციო დაკავშირების მომსახურება (CPC 7543)	რეჟიმი 1 და 2
	შეზღუდვა არ არის

დანართი XIV-C

დათქმების ჩამონათვალი ძირითად პერსონალზე, სტაჟიორებზე და ბიზნესის გამყიდველებზე (ევროკავშირი)

1. ქვემოთ მოცემული დათქმების ჩამონათვალი მოიცავს ეკონომიკურ საქმიანობას, რომელიც ლიბერალიზებულია ამ შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) მე-6 თავის (დაფუძნება, მომსახურებით ვაჭრობა და ელექტრონული კომერცია) მე-2 და მე-3 ნაწილების შესაბამისად და აქ მოცემული შეზღუდვები ვრცელდება ძირითად პერსონალსა და სტაჟიორებზე ამ შეთანხმების 89-ე მუხლის შესაბამისად და ბიზნესის გამყიდველებზე 90-ე მუხლის შესაბამისად და აკონკრეტებს ამ შეზღუდვებს. ჩამონათვალი მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

(a) პირველი სვეტი მიუთითებს სექტორზე ან ქვესექტორზე, რომელზეც ვრცელდება შეზღუდვები; და

(b) მეორე სვეტი აღწერს შესაბამის შეზღუდვებს.

როცა პუნქტ „b“-ში მოცემული სვეტი მოიცავს მხოლოდ წევრი ქვეყნის დათქმას, ის წევრი ქვეყნები, რომლებიც არ არიან მოხსენიებულნი, იღებენ ვალდებულებას შესაბამის სექტორში დათქმების გარეშე (ცალკეული წევრი ქვეყნის სპეციფიკური დათქმის არარსებობა ზიანს არ აყენებს ჰორიზონტალურ დათქმებს ან ევროკავშირის მასშტაბის სექტორულ დათქმებს).

ევროკავშირის მხარე არ იღებს ვალდებულებას ძირითად პერსონალზე, სტაჟიორებზე და ბიზნესის გამყიდველებზე იმ ეკონომიკურ საქმიანობაში, რომელიც არ არის ლიბერალიზებული (ვალდებულება აღებული არ არის) ამ შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) მე-6 თავის (დაფუძნება, მომსახურებით ვაჭრობა და ელექტრონული კომერცია) მე-2 და მე-3 ნაწილების შესაბამისად.

2. ინდივიდუალური სექტორების და ქვესექტორების იდენტიფიცირებისას:

(a) „CPC“ ნიშნავს პროდუქტების ცენტრალურ კლასიფიკაციას, როგორც მოცემულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკის სამსახურის სტატისტიკურ დოკუმენტებში (Series M, N° 77, *CPC prov*, 1991); და

(b) „CPC ver. 1.0“ ნიშნავს პროდუქტების ცენტრალურ კლასიფიკაციას, როგორც მოცემულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკის სამსახურის სტატისტიკურ დოკუმენტებში (Series M, N° 77, *CPC ver 1.0*, 1998).

3. ვალდებულებები ძირითად პერსონალზე, სტაჟიორებზე, მომსახურების გამყიდველებზე და საქონლის გამყიდველებზე არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც პირების დროებითი ყოფნის მიზანი ან ეფექტი არის შრომით/მმართველობით დავებში ან მოლაპარაკებებში ჩართვა ან მათ შედეგებზე სხვაგვარი ზემოქმედება.

4. ქვემოთ მოცემული ჩამონათვალი არ მოიცავს საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან და პროცედურებთან, ტექნიკურ სტანდარტებთან და სალიცენზიო მოთხოვნებთან და პროცედურებთან დაკავშირებულ ზომებს, როცა ეს ზომები არ წარმოადგენს შეზღუდვებს ამ შეთანხმების 89-ე და 90-ე მუხლების შესაბამისად. ეს ზომები (მაგალითად, ლიცენზიის მიღება, რეგულირებად სექტორებში კვალიფიკაციის აღიარების მიღება, სპეციალური გამოცდის, მათ შორის, ენის გამოცდის ჩაბარება, და მუდმივი საცხოვრებლის მოთხოვნა იმ ტერიტორიაზე, სადაც ხორციელდება ეკონომიკური საქმიანობა), იმისდა მიუხედავად, არის თუ არა ის მითითებული, ნებისმიერ შემთხვევაში გამოიყენება საქართველოს ძირითადი პერსონალის, სტაჟიორების და ბიზნესის გამყიდველების მიმართ.

5. ევროკავშირის და მისი წევრი ქვეყნების კანონების და რეგულაციების ყველა სხვა მოთხოვნები, რომლებიც ეხება ქვეყანაში შესვლას, დარჩენას, მუშაობას და სოციალური დაცვის ზომებს, გამოიყენება უცვლელად, მათ შორის ქვეყანაში დარჩენის ვადის, მინიმალური ხელფასისა და ხელფასების კოლექტიური ხელშეკრულებების რეგულაციები.

6. ამ შეთანხმების 76-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ქვემოთ მოცემული ჩამონათვალი არ მოიცავს მხარის მიერ გაცემულ სუბსიდიებთან დაკავშირებულ ზომებს.

7. ქვემოთ მოცემული ჩამონათვალი ზიანს არ აყენებს სახელმწიფო მონოპოლიების და ექსკლუზიური უფლებების არსებობას, როგორც არის აღწერილი დაფუძნებასთან დაკავშირებული ვალდებულებების ჩამონათვალში.

8. იმ სექტორებში, სადაც გამოიყენება ეკონომიკური საჭიროების ტესტები, მათი მთავარი კრიტერიუმი უნდა იყოს წევრი ქვეყნის შესაბამის ბაზარზე არსებული სიტუაციის ან იმ რეგიონის შეფასება, სადაც უნდა განხორციელდეს მომსახურების მიწოდება. შეფასება უნდა მოიცავდეს მომსახურების არსებული მიმწოდებლების რიცხვს და მათზე შესაბამის ზეგავლენას.

9. ქვემოთ მოცემული ვალდებულებების ჩამონათვალიდან გამომდინარე უფლებებსა და ვალდებულებებს არ უნდა ჰქონდეს თვითგანხორციელების ეფექტი და შესაბამისად, პირდაპირ არ უნდა ანიჭებდეს უფლებებს ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს.

სექტორი ან ქვესექტორი	**დათქმების აღწერა**
ყველა სექტორი	კორპორაციის შიგნით გადაადგილებული პირები BG: კორპორაციის შიგნით გადაადგილებული პირების რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს ბულგარეთის შესაბამისი იურიდიული პირის მიერ დასაქმებული ევროკავშირის მოქალაქეების საშუალო წლიური მაჩვენებლის 10%-ს. იმ შემთხვევაში, როდესაც დასაქმებულთა რიცხვი 100-ზე ნაკლებია, კორპორაციის შიგნით გადაადგილებული პირების რიცხვი, ავტორიზაციის შესაბამისად, შეიძლება აღემატებოდეს მთლიან დასაქმებულთა 10%-ს. HU: ვალდებულება არ არის აღებული საქართველოს იურიდიულ პირში პარტნიორად მყოფ ფიზიკურ პირზე.
ყველა სექტორი	სტაჟიორები AT, CZ, DE, ES, FR და HU-თვის, ტრეინინგი უნდა იყოს დაკავშირებული უნივერსიტეტის მიღებულ დიპლომთან. BG და HU: სტაჟიორებისთვის მოთხოვნილია ეკონომიკური საჭიროებების ტესტები[50].
	მმართველი დირექტორები და აუდიტორები AT: იურიდიული პირების ფილიალების მმართველი დირექტორები უნდა იყვნენ ავსტრიის რეზიდენტები. იურიდიულ პირში ან მის ფილიალში დასაქმებულ ფიზიკურ პირებს, რომლებიც ავსტრიის ვაჭრობის აქტის შესრულებას აკონტროლებენ, უნდა გააჩნდეთ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ავსტრიაში. FI: უცხოელი, რომელიც ეწევა ვაჭრობას როგორც კერძო მეწარმე, საჭიროებს

ყველა სექტორი	ვაჭრობის ნებართვის მიღებას და უნდა იყოს EEA-ს მუდმივი რეზიდენტი. ყველა სექტორისთვის, EEA-ს რეზიდენტობის მოთხოვნა ვრცელდება მმართველ დირექტორებზე; თუმცა, ცალკეულ კომპანიებს შეიძლება მიენიჭოთ გამონაკლისები. FR: სამრეწველო, კომერციული და სახელოსნო საქმიანობის დირექტორი, თუ მას არ აქვს რეზიდენტობის ნებართვა, საჭიროებს სპეციალურ ავტორიზაციას. RO: კომერციული კომპანიების აუდიტორების და მათი მოადგილეების უმრავლესობა უნდა იყოს რუმინეთის მოქალაქე. SE: იურიდიული პირის ან მისი ფილიალის მმართველი დირექტორი უნდა იყოს შვედეთის რეზიდენტი.
ყველა სექტორი	აღიარება EU: ევროკავშირის დირექტივები დიპლომების ორმხრივ აღიარებაზე ვრცელდება მხოლოდ ევროკავშირის მოქალაქეებზე. ევროკავშირის ერთ-ერთ წევრ ქვეყანაში რეგულირებადი პროფესიული მომსახურების განხორციელება არ ანიჭებს სხვა წევრ ქვეყანაში საქმიანობის უფლებას[51].
6. ბიზნეს მომსახურება	
A. პროფესიული მომსახურება	
a) იურიდიული მომსახურება (CPC 861)[52] (გარდა იურიდიული საკონსულტაციო და იურიდიული დოკუმენტაციის და სერტიფიცირების მომსახურებისა, რომელიც ხორციელდება საჯარო ფუნქციების მქონე იურისტების მიერ, როგორიცაა ნოტარიუსები, მანდატურები ან სხვა საჯარო უწყებების და სასამართლოს თანამშრომლები)	AT, CY, ES, EL, LT, MT, RO და SK: ადვოკატთა ასოციაციის სრული წევრობა, რომელიც საჭიროა ადგილობრივ (ევროკავშირის და წევრი ქვეყნის) კანონმდებლობაზე მუშაობისთვის, წარმოადგენს მოქალაქეობის მოთხოვნის საგანს. ესპანეთის (ES) შემთხვევაში, გამონაკლისები დაიშვება კომპეტენტური ორგანოების მიერ. BE, FI: ადვოკატთა ასოციაციის სრული წევრობა, რომელიც საჭიროა იურიდიული წარმომადგენლობითი მომსახურებისთვის, არის მოქალაქეობის და რეზიდენტობის მოთხოვნის საგანი. ბელგიაში (BE) სისხლის სამართლის საქმეების გარდა, საკასაციო სასამართლოს წინაშე წარმომადგენლობისთვის გამოიყენება კვოტები. BG: ქართველ იურისტებს უფლება აქვთ განახორციელონ მხოლოდ იურიდიული წარმომადგენლობა მათი ქვეყნის მოქალაქეებისთვის, რომელიც თავის მხრივ უნდა განხორციელდეს ნაცვალგების პრინციპით და ბულგარეთის იურისტთან თანამშრომლობით. საშუამავლო მომსახურებისთვის სავალდებულოა მუდმივი რეზიდენტობა. FR: იურისტთა დაშვება ისეთ პროფესიებზე, როგორიცაა უზენაესი სასამართლოს ადვოკატი (*avocet aupres de la Cour de Cassation*) და სახელმწიფო საბჭოს ადვოკატი (*avocet aupres du Conseil d'Etat*), წარმოადგენს კვოტების და მოქალაქეობის მოთხოვნის საგანს.
	HR: ადვოკატთა ასოციაციის სრული წევრობა, რომელიც სავალდებულოა იურიდიული წარმომადგენლობითი საქმიანობისთვის, არის მოქალაქეობის მოთხოვნის საგანი (ხორვატიის მოქალაქეობა ან ევროკავშირის სხვა წევრი ქვეყნის მოქალაქეობა). HU: ადვოკატთა ასოციაციის სრული წევრობა წარმოადგენს მოქალაქეობის და რეზიდენტობის მოთხოვნის საგანს. უცხოელი იურისტების იურიდიული საქმიანობის არეალი შემოიფარგლება იურიდიული კონსულტაციების გაწევით, რომელიც უნდა განხორციელდეს უნგრელ იურისტთან ან იურიდიულ ფირმასთან თანამშრომლობის კონტრაქტის საფუძველზე. LV: მოქალაქეობის მოთხოვნა სასამართლოს მიერ დანიშნული იურისტებისთვის, რომელთათვისაც ხელმისაწვდომია იურიდიული წარმომადგენლობა სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას. DK: იურიდიული საკონსულტაციო საქმიანობის მარკეტინგი ხელმისაწვდომია მხოლოდ დანიის ლიცენზიის მქონე იურისტებისთვის. დანიის ლიცენზიის მისაღებად სავალდებულოა დანიის სამართლის გამოცდის ჩაბარება.

	LU: ლუქსემბურგისა და ევროკავშირის კანონმდებლობაზე იურიდიული მომსახურების გაწევისთვის სავალდებულოა მოქალაქეობა. SE: რეზიდენტობის მოთხოვნა ადვოკატთა ასოციაციის სრული წევრობისთვის, რომელიც აუცილებელია მხოლოდ შვედეთის "*advokat*"-ის წოდების გამოყენებისთვის.
b) 1. ბუღალტრული აღრიცხვის მომსახურება (CPC 86212, „აუდიტორული მომსახურების" გარდა, CPC 86213, CPC 86219 და CPC 86220)	FR: ბუღალტრული აღრიცხვის მომსახურების გაწევა დამოკიდებულია ეკონომიკის, ფინანსთა და მრეწველობის მინისტრის გადაწყვეტილებაზე, საგარეო საქმეთა მინისტრთან შეთანხმებით. რეზიდენტობის მოთხოვნა არ უნდა აღემატებოდეს ხუთ წელს. IT: რეზიდენტობის მოთხოვნა.
b) 2.აუდიტორული მომსახურება (CPC 86211 და 86212, ბუღალტრული მომსახურების გარდა)	AT: მოქალაქეობის მოთხოვნა კომპეტენტური ორგანოების წინაშე წარმომადგენლობისთვის და სპეციფიკურ ავსტრიულ კანონებში (მაგალითად, სააქციო საზოგადოების კანონი, საფონდო ბირჟის კანონი, ბანკების კანონი და ა.შ.) განსაზღვრული აუდიტორული მომსახურების გაწევისთვის. DK: რეზიდენტობის მოთხოვნა. ES: მოქალაქეობის მოთხოვნა სავალდებულო აუდიტის განმხორციელებელი პირებისთვის და კომპანიების ადმინისტრატორების, დირექტორების და პარტნიორებისთვის, გარდა იმ კომპანიებისა, რომლებსაც ეხებათმე-8 EEC დირექტივა სამეწარმეო კანონმდებლობის შესახებ. FI: რეზიდენტობის მოთხოვნა არანაკლებ ერთი აუდიტორისთვის ფინეთის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში. EL: მოქალაქეობის მოთხოვნა სავალდებულო აუდიტის განმხორციელებელი პირებისთვის. HR: აუდიტორული მომსახურების გაწევა შეუძლიათ მხოლოდ სერტიფიცირებულ აუდიტორებს, რომლებსაც აქვთ ხორვატიის აუდიტორთა პალატის მიერ ფორმალურად აღიარებული ლიცენზია. IT: რეზიდენტობის მოთხოვნა ინდივიდუალური აუდიტორებისთვის. SE: მხოლოდ შვედეთში დამტკიცებულ აუდოტორებს შეუძლიათ განახორციელონ სავალდებულო აუდიტორული მომსახურება ცალკეულ უწყებებში, მათ შორის, ყველა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში. დამტკიცებისთვის მოქმედებს რეზიდენტობის მოთხოვნა.
c) საგადასახადო საკონსულტაციო მომსახურება (CPC 863)[53]	AT: მოქალაქეობის მოთხოვნა კომპეტენტური ორგანოების წინაშე წარმომადგენლობისთვის. BG და SI: მოქალაქეობის მოთხოვნა სპეციალისტებისთვის. HU: რეზიდენტობის მოთხოვნა.
d)არქიტექტურული მომსახურება და e) ურბანული დაგეგმარების და ლანდშაფტის არქიტექტურული მომსახურება (CPC 8671 და CPC 8674)	EE: არანაკლებ ერთი პასუხისმგებელი პირი (პროექტის მენეჯერი ან კონსულტანტი) უნდა იყოს ესტონეთის რეზიდენტი. BG: უცხოელ სპეციალისტებს უნდა გააჩნდეთ არანაკლებ ორწლიანი გამოცდილება მშენებლობის სფეროში. მოქალაქეობის მოთხოვნა ურბანული დაგეგმარების და ლანდშაფტის არქიტექტურული მომსახურებისთვის. EL, HU და IT: რეზიდენტობის მოთხოვნა. SK: შესაბამისი პალატის წევრობა სავალდებულოა; შესაძლებელია შესაბამისი უცხოური ორგანიზაციების წევრობის აღიარება. დაწესებულია რეზიდენტობის მოთხოვნა, თუმცა დაიშვება გამონაკლისები.
f) საინჟინრო მომსახურება და	EE: არანაკლებ ერთი პასუხისმგებელი პირი (პროექტის მენეჯერი ან კონსულტანტი) უნდა იყოს ესტონეთის რეზიდენტი. BG: უცხოელ სპეციალისტებს უნდა გააჩნდეთ არანაკლებ 2 ორწლიანი გამოცდილება მშენებლობის სფეროში.

g) ინტეგრირებული საინჟინრო მომსახურება (CPC 8672 და CPC 8673)	HR, IT და SK: რეზიდენტობის მოთხოვნა. EL და HU: რეზიდენტობის მოთხოვნა (CPC 8673-თვის რეზიდენტობის მოთხოვნა მოქმედებს მხოლოდ სტაჟიორებისთვის).
h) სამედიცინო (ფსიქოლოგების ჩათვლით) და სტომალტოლოგიური მომსახურება (CPC 9312 და CPC 85201-ის ნაწილი)	CZ, IT და SK: რეზიდენტობის მოთხოვნა. CZ, RO და SK: ავტორიზაცია კომპეტენტური ორგანოების მიერ სავალდებულოა უცხოელი ფიზიკური პირებისთვის. BE და LU: სტაჟიორების შემთხვევაში, ავტორიზაცია კომპეტენტური ორგანოების მიერ სავალდებულოა უცხოელი ფიზიკური პირებისთვის. BG, MT: მოქალაქეობის მოთხოვნა. DK: შეზღუდული ავტორიზაცია სპეციფიკური ფუნქციის შესასრულებლად შეიძლება გაიცეს არაუმეტეს 18 თვით და მოითხოვს რეზიდენტობას. FR: მოქალაქეობის მოთხოვნა. თუმცა, დაშვება შესაძლებელია წლიურად დამტკიცებული კვოტების ფარგლებში. HR: ყველა პირს, რომელიც პირდაპირ აწვდის მომსახურებას პაციენტენს/მკურნალობს პაციენტებს, ესაჭიროება ლიცენზია პროფესიული ორგანიზაციიდან. LV: უცხოელების მიერ სამედიცინო პროფესიით მუშაობა მოითხოვს ნებართვას ჯანდაცვის ადგილობრივი ორგანოებიდან, რომელიც ეფუძნება მოცემულ რეგიონში ექიმებისა და სტომატოლოგების ეკონომიკურ საჭიროებას. PL: უცხოელების მიერ სამედიცინო პროფესიით მუშაობა მოითხოვს ნებართვას. უცხოელ ექიმებს გააჩნიათ პროფესიულ ორგანიზაციებში არჩევნების შეზღუდული უფლებები. PT: რეზიდენტობის მოთხოვნა ფსიქოლოგებისთვის.
i) ვეტერინარული მომსახურება (CPC 932)	BG, DE, EL, FR, HR და HU: მოქალაქეობის მოთხოვნა. CZ და SK: მოქალაქეობის და რეზიდენტობის მოთხოვნა. IT: რეზიდენტობის მოთხოვნა. PL: მოქალაქეობის მოთხოვნა. უცხოელებს შეუძლიათ მიიღონ ნებართვა საქმიანობის გაწევისთვის.
j) 1. მეანების მომსახურება (CPC 93191-ის ნაწილი)	AT: ავსტრიაში პროფესიული საქმიანობის დაწყებისთვის, შესაბამის პირს უნდა გააჩნდეს არანაკლებ სამწლიანი პროფესიული გამოცდილება, რომელიც წინ უნდა უსწრებდეს მისი პროფესიული საქმიანობის დაწყებას ავსტრიაში. BE და LU: სტაჟიორების შემთხვევაში, უცხოელი ფიზიკური პირებისთვის სავალდებულოა ავტორიზაცია კომპეტენტური ორგანოების მიერ. CY, EE, RO და SK: უცხოელი ფიზიკური პირებისთვის სავალდებულოა ავტორიზაცია კომპეტენტური ორგანოების მიერ. FR: მოქალაქეობის მოთხოვნა. თუმცა, დაშვება შესაძლებელია წლიურად დამტკიცებული კვოტების ფარგლებში. HR: ყველა პირს, რომელიც პირდაპირ აწვდის მომსახურებას პაციენტებს/მკურნალობს პაციენტებს, ესაჭიროება ლიცენზია პროფესიული ორგანიზაციიდან. HU: ვალდებულება არ არის აღებული. IT: რეზიდენტობის მოთხოვნა. LV: დგინდება ეკონომიკური საჭიროებების შესაბამისად, რომელიც განისაზღვრება მოცემულ რეგიონში ადგილობრივი ჯანდაცვის ორგანოების მიერ ავტორიზებული მეანების საერთო მაჩვენებლით.

	PL: მოქალაქეობის მოთხოვნა. უცხოელებს შეუძლიათ მიიღონ ნებართვა საქმიანობის გაწევისთვის.
j) 2. ექთნების, ფიზიოთერაპევტების და უმცროსი სამედიცინო პერსონალის მომსახურება (CPC 93191-ის ნაწილი)	AT: მომსახურების უცხოელი მიმწოდებლები დაიშვებიან მხოლოდ შემდეგ საქმიანობაში: ექთნები, ფიზიოთერაპევტები, შრომითი თერაპევტები, ლოგოთერაპევტები, დიეტოლოგები და კვების სპეციალისტები. ავსტრიაში პროფესიული საქმიანობის დაწყებისთვის, შესაბამის პირს უნდა გააჩნდეს არანაკლებ სამწლიანი პროფესიული გამოცდილება, რომელიც წინ უნდა უსწრებდეს მისი პროფესიული საქმიანობის დაწყებას ავსტრიაში. BE, FR და LU: სტაჟიორების შემთხვევაში, უცხოელი ფიზიკური პირებისთვის სავალდებულოა ავტორიზაცია კომპეტენტური ორგანოების მიერ. CY, CZ, EE, RO და SK: უცხოელი ფიზიკური პირებისთვის სავალდებულოა ავტორიზაცია კომპეტენტური ორგანოების მიერ. HR: ყველა პირს, რომელიც პირდაპირ აწვდის მომსახურებას პაციენტებს/მკურნალობს პაციენტებს, ესაჭიროება ლიცენზია პროფესიული ორგანიზაციიდან. HU: მოქალაქეობის მოთხოვნა. DK: შეზღუდული ავტორიზაცია სპეციფიკური ფუნქციის შესასრულებლად შეიძლება გაიცეს არაუმეტეს 18 თვით და მოითხოვს რეზიდენტობას. CY, CZ, EL და IT: ეფუძნება ეკონომიკური საჭიროებების ტესტს: გადაწყვეტილება ეფუძნება რეგიონში არსებულ ვაკანსიებსა და დეფიციტს. LV: ეფუძნება ეკონომიკურ საჭიროებებს, რომელიც განისაზღვრება მოცემულ რეგიონში ადგილობრივი ჯანდაცვის ორგანოების მიერ ავტორიზებული ექთნების საერთო მაჩვენებლით.
k) მედიკამენტების, სამედიცინო და ორთოპედიული პროდუქციის საცალო გაყიდვა (CPC 63211) და ფარმაცევტების მიერ მიწოდებული სხვა მომსახურება[54]	FR: მოქალაქეობის მოთხოვნა. თუმცა, დაწესებული კვოტების ფარგლებში, ქართველების დაშვება შესაძლებელია, იმ პირობით, რომ მომსახურების მიმწოდებელი ფლობს საფრანგეთის ფარმაცევტის დიპლომს. DE, EL და SK: მოქალაქეობის მოთხოვნა. HU: მოქალაქეობის მოთხოვნა, გარდა მედიკამენტების და სამედიცინო და ორთოპედიული პროდუქციის საცალო გაყიდვებისა (CPC 63211). IT და PT: რეზიდენტობის მოთხოვნა.
D. მომსახურება უძრავი ქონების სფეროში[55]	
a) საკუთრებაში არსებულ ან ლიზინგით აღებულ ქონებაზე (CPC 821)	FR, HU, IT და PT: რეზიდენტობის მოთხოვნა. LV, MT და SI: მოქალაქეობის მოთხოვნა.
b) ანაზღაურების ან კონტრაქტის საფუძველზე (CPC 822)	DK: რეზიდენტობის მოთხოვნა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გამონაკლისი დაშვებულია დანიის ბიზნეს ორგანოს მიერ. FR, HU, IT და PT: რეზიდენტობის მოთხოვნა. LV, MT და SI: მოქალაქეობის მოთხოვნა.
E. გაქირავების / ლიზინგის მომსახურება ოპერატორის გარეშე	
e) პირად და საყოფაცხოვრებო	

საქონელთან დაკავშირებით (CPC 832)	EU: მოქალაქეობის მოთხოვნა სპეციალისტების და სტაჟიორებისთვის.
f)სატელეკომუნიკაციო აღჭურვილობის გაქირავება (CPC 7541)	EU: მოქალაქეობის მოთხოვნა სპეციალისტების და სტაჟიორებისთვის.
F. სხვა ბიზნეს მომსახურება	
e) ტექნიკური ტესტირების და ანალიზის (CPC 8676)	 IT და PT: მოქალაქეობის მოთხოვნა ბიოლოგებისა და ქიმიური ანალიზის სპეციალისტებისთვის.
f) სოფლის მეურნეობასთან, მონადირეობასა და მეტყევეობასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურება (CPC 881-ის ნაწილი)	IT: რეზიდენტობის მოთხოვნა აგრონომებისთვის და მიწის სოფლის მეურნეობის ექსპერტებისათვის (*periti agrari*).
j) 2. უსაფრთხოების მომსახურება (CPC 87302, CPC 87303, CPC 87304 და CPC 87305)	BE: მოქალაქეობის და რეზიდენტონის მოთხოვნა მმართველი პერსონალისთვის. BG, CY, CZ, EE, LV, LT, MT, PL, RO, SI და SK: მოქალაქეობის და რეზიდენტონის მოთხოვნა DK: მოქალაქეობის და რეზიდენტონის მოთხოვნა მმართველებისთვის და აეროპორტის დაცვის მომსახურებისთვის. ES და PT: მოქალაქეობის მოთხოვნა სპეციალიზებული პერსონალისთვის. FR: მოქალაქეობის მოთხოვნა მმართველი დირექტორებისა და დირექტორებისთვის. IT: იტალიის ან ევროკავშირის მოქალაქეობის და რეზიდენტობის მოთხოვნა, რომელიც აუცილებელია ავტორიზაციისათვის დაცვის მომსახურების და ძვირფასი საქონლის ტრანსპორტირების მომსახურების გაწევისთვის.
k) სამეცნიერო და ტექნიკური საკონსულტაციო მომსახურება (CPC 8675)	BG: მოქალაქეობის მოთხოვნა სპეციალისტებისთვის. DE: მოქალაქეობის მოთხოვნა სახელმწიფოს მიერ დანიშნული მკვლევარებისთვის. FR: მოქალაქეობის მოთხოვნა კვლევითი საქმიანობისთვის, რომელიც უკავშირდება საკუთრების უფლებებს და მიწის კანონმდებლობას. IT და PT: რეზიდენტობის მოთხოვნა.
l) 1. გემების მოვლა და რემონტი (CPC 8868-ის ნაწილი)	MT: მოქალაქეობის მოთხოვნა.
l) 2. სარკინიგზო ტრანსპორტის მოწყობილობების მოვლა და რემონტი (CPC 8868-ის ნაწილი)	LV: მოქალაქეობის მოთხოვნა.
l) 3. ავტოსატრანსპორტო საშუალებების, მოტოციკლეტების, თოვლმავლების და საგზაო	EU: მოქალაქეობის მოთხოვნა სპეციალისტებისა და სტაჟიორებისთვის,

ტრანსპორტის მოწყობილობების მოვლა და რემონტი (CPC 6112, CPC 6122, CPC 8867-ის ნაწილი და CPC 8868-ის ნაწილი)	ავტოსატრანსპორტო საშუალებების, მოტოციკლეტების, თოვლმავლების და საგზაო ტრანსპორტის მოწყობილობების მოვლის და რემონტის მომსახურების გაწევისთვის.
l) 5. ლითონის ნაკეთობების, (არასაოფისე) მოწყობილობების, (არასატრანსპორტო და არასაოფისე) დანადგარების და პირადი და საყოფაცხოვრებო საქონლის მოვლა და რემონტი[56] (CPC 633, CPC 7545, CPC 8861, CPC 8862, CPC 8864, CPC 8865 და CPC 8866)	EU: მოქალაქეობის მოთხოვნა სპეციალისტებისა და სტაჟიორებისთვის, გარდა: BE, DE, DK, ES, FR, EL, HU, IE, IT, LU, MT, NL, PL, PT, RO, SE და UK-ის შემთხვევაში CPC 633, 8861, 8866-თვის; BG შემთხვევაში პირადი და საყოფაცხოვრებო საქონლის შეკეთების მომსახურებისთვის (გარდა ძვირფასეულობისა): CPC 63301, CPC 63302, CPC 63303-ის ნაწილი, CPC 63304, CPC 63309; AT შემთხვევაში CPC 633, CPC 8861- CPC 8866-თვის; EE, FI, LV და LT შემთხვევაში CPC 633, CPC 8861- CPC 8866-თვის; CZ და SK შემთხვევაში CPC 633, CPC 8861- CPC 8865-თვის; და SI შემთხვევაში CPC 633, CPC 8861 და CPC 8866-თვის.
m) შენობების გაწმენდის მომსახურება (CPC 874)	CY, EE, HR, MT, PL, RO და SI: მოქალაქეობის მოთხოვნა სპეციალისტებისთვის
n) ფოტოგრაფიული მომსახურება (CPC 875)	HR და LV: მოქალაქეობის მოთხოვნა სპეციალიზებული ფოტოგრაფიული მომსახურებისთვის. PL: მოქალაქეობის მოთხოვნა აეროფოტოგრაფიის მომსახურების მიწოდებისთვის.
p) ბეჭდვა და გამოცემა (CPC 88442)	HR: რეზიდენტობის მოთხოვნა გამომცემლებისთვის. SE: რეზიდენტობის მოთხოვნა გამომცემლებისთვის და საგამომცემლო და ბეჭდვითი კომპანიების მფლობელებისთვის. IT: საგამომცემლო და ბეჭდვითი კომპანიების მფლობელები და გამომცემლები უნდა იყვნენ ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქეები.
q) საკონფერენციო მომსახურება (CPC 87909-ის ნაწილი)	SI: მოქალაქეობის მოთხოვნა.
r) 1. თარგმნისა და თარჯიმნის მომსახურება (CPC 87905)	FI: რეზიდენტობის მოთხოვნა სერტიფიცირებული თარჯიმნებისთვის. DK: რეზიდენტობის მოთხოვნა ლიცენზირებული საჯარო თარჯიმნებისთვის, თუ გამონაკლისი არ არის მინიჭებული დანიის ბიზნეს ორგანოს მიერ.
r) 3. გადახდების შემგროვებელი სააგენტოს მომსახურება (CPC 87902)	BE და EL: მოქალაქეობის მოთხოვნა. IT: ვალდებულება არ არის აღებული.
r) 4. საკრედიტო ანგარიშების მომსახურება (CPC 87901)	BE და EL: მოქალაქეობის მოთხოვნა. IT: ვალდებულება არ არის აღებული.
r) 5. ასლების დამზადების მომსახურება (CPC 87904)[57]	EU: მოქალაქეობის მოთხოვნა სპეციალისტებისა და სტაჟიორებისთვის.
8. მშენებლობა და მასთან	

დაკავშირებული საინჟინრო მომსახურება (CPC 511, CPC 512, CPC 513, CPC 514, CPC 515, CPC 516, CPC 517 და CPC 518)	BG: უცხოელ სპეციალისტებს უნდა გააჩნდეთ არანაკლებ ორწლიანი გამოცდილება მშენებლობის სფეროში.
9.სადისტრიბუციო მომსახურება (სამხედრო აღჭურვილობის და საომარი მასალის დისტრიბუციის გარდა)	
C. საცალო ვაჭრობის მომსახურება[58]	
c) საკვები პროდუქტების საცალო ვაჭრობის მომსახურება (CPC 631)	FR: მოქალაქეობის მოთხოვნა თამბაქოს პროდუქციის გამყიდველებისთვის.
10. მომსახურება განათლების სფეროში (მხოლოდ კერძო სექტორის დაფინანსებით მიღებული მომსახურება)	
A. დაწყებითი განათლების მომსახურება (CPC 921)	FR: მოქალაქეობის მოთხოვნა. თუმცა, საქართველოს მოქალაქეებმა შეიძლება მიიღონ ავტორიზაცია კომპეტენტური ორგანოებისგან, საგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნების და მართვისთვის და სწავლებისთვის. IT: მოქალაქეობის მოთხოვნა მომსახურების მიმწოდებლებისთვის, რომლებიც ავტორიზებულნი არიან სახელმწიფოს მიერ აღიარებული დიპლომების გაცემაზე. EL: მოქალაქეობის მოთხოვნა მასწავლებლებისთვის.
B. საშუალო განათლების მომსახურება (CPC 922)	FR: მოქალაქეობის მოთხოვნა. თუმცა, საქართველოს მოქალაქეებმა შეიძლება მიიღონ ავტორიზაცია კომპეტენტური ორგანოებისგან, საგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნების და მართვისთვის და სწავლებისთვის. IT: მოქალაქეობის მოთხოვნა მომსახურების მიმწოდებლებისთვის, რომლებიც ავტორიზებულნი არიან სახელმწიფოს მიერ აღიარებული დიპლომების გაცემაზე. EL: მოქალაქეობის მოთხოვნა მასწავლებლებისთვის. LV: მოქალაქეობის მოთხოვნა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისთვის ტექნიკური და პროფესიული საშუალო განათლების ტიპის საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდებისთვის (CPC 9224).
C. უმაღლესი განათლების მომსახურება (CPC 923)	FR: მოქალაქეობის მოთხოვნა. თუმცა, საქართველოს მოქალაქეებმა შეიძლება მიიღონ ავტორიზაცია კომპეტენტური ორგანოებისგან, საგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნების და მართვისთვის და სწავლებისთვის. CZ და SK: მოქალაქეობის მოთხოვნა უმაღლესი განათლების მომსახურებისთვის, საშუალო სკოლის შემდგომი ტექნიკური და პროფესიული საგანმანათლებლო მომსახურების გარდა (CPC 92310). IT: მოქალაქეობის მოთხოვნა მომსახურების მიმწოდებლებისთვის, რომლებიც ავტორიზებულნი არიან სახელმწიფოს მიერ აღიარებული დიპლომების გაცემაზე. DK: მოქალაქეობის მოთხოვნა პროფესორებისთვის.
12. ფინანსური მომსახურება	

A. დაზღვევა და დაზღვევასთან დაკავშირებული მომსახურება	AT: ფილიალის მენეჯმენტში უნდა შედიოდეს ავსტრიის რეზიდენტი ორი ფიზიკური პირი. EE: პირდაპირი დაზღვევის შემთხვევაში, ქართული კაპიტალის მონაწილეობით შექმნილი სადაზღვევო სააქციო საზოგადოების მმართველ ორგანოში შეიძლება შედიოდნენ საქართველოს მოქალაქეები მხოლოდ ქართული კაპიტალის მონაწილეობის პროპორციულად და არავითარ შემთხვევაში მათი რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს მმართველი ორგანოს წევრთა ნახევარზე მეტს. შვილობილი კომპანიის ან დამოუკიდებელი კომპანიის მმართველი უნდა იყოს ესტონეთის მუდმივი რეზიდენტი. ES: რეზიდენტობის მოთხოვნა აქტუარული საქმიანობისთვის (ან ალტერნატივის სახით ორწლიანი პროფესიული გამოცდილება). FI: სადაზღვევო კომპანიის მმართველი დირექტორები და არანაკლებ ერთი აუდიტორი უნდა იყვნენ ევროკავშირის რეზიდენტები, გარდა იმ შემთხვევისა, თუ გამონაკლისი დაშვებულია კომპეტენტური ორგანოების მიერ. ქართული სადაზღვევო კომპანიის აგენტი უნდა იყოს ფინეთის რეზიდენტი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კომპანიას გააჩნია სათაო ოფისი ევროკავშირში. HR: რეზიდენტობის მოთხოვნა. IT: რეზიდენტობის მოთხოვნა აქტუარული საქმიანობისთვის.
B. საბანკო და სხვა ფინანსური მომსახურება (დაზღვევის გარდა)	BG: ბულგარეთის მუდმივი რეზიდენტობის მოთხოვნა აღმასრულებელი დირექტორებისა და მმართველი აგენტისთვის. FI: საკრედიტო ინსტიტუტის მმართველი დირექტორი და არანაკლებ ერთი აუდიტორი უნდა იყვნენ ევროკავშირის რეზიდენტები, გარდა იმ შემთხვევისა, თუ გამონაკლისი დაშვებულია ფინანსური ზედამხედველობის სააგენტოს მიერ. HR: რეზიდენტობის მოთხოვნა. მმართველმა საბჭომ უნდა მართოს საკრედიტო ინსტიტუტის საქმიანობა ხორვატიის რესპუბლიკის ტერიტორიიდან. მმართველი საბჭოს წევრთაგან ერთი მაინც სრულყოფილად უნდა ფლობდეს ხორვატიულ ენას. IT: ევროკავშირის წევრი ქვეყნის რეზიდენტობის მოთხოვნა "*promotori di servizi finanziari*"-სთვის (გაყიდვების აგენტი ფინანსური მომსახურების დარგში). LT: ბანკის სულ მცირე ერთი ადმინისტრატორი უნდა იყოს ლიტვის რესპუბლიკის მუდმივი რეზიდენტი. PL: მოქალაქეობის მოთხოვნა ბანკის სულ მცირე ერთი აღმასრულებელი დირექტორისთვის.
13. ჯანმრთელობის დაცვის მომსახურება და სოციალური მომსახურება (მხოლოდ კერძო სექტორის დაფინანსებით მიღებული მომსახურება)	
A. ჰოსპიტალების მომსახურება (CPC 9311) B. სასწრაფო დახმარების მომსახურება (CPC 93192) C. რეზიდენტური ჯანდაცვის დაწესებულებები, ჰოსპიტალისგან განსხვავებული (CPC 93193)	FR: ავტორიზაცია სავალდებულოა მმართველობის ფუნქციებზე დაშვებისთვის. ავტორიზაციისას მხედველობაში მიიღება ადგილობრივი მმართველების ხელმისაწვდომობა. HR: ყველა პირს, რომელიც პირდაპირ აწვდის მომსახურებას პაციენტებს/მკურნალობს პაციენტებს, ესაჭიროება ლიცენზია პროფესიული ორგანიზაციიდან. LV: ეკონომიკური საჭიროებების ტესტი ექიმებისთვის, სტომატოლოგებისთვის, მეანებისთვის, ექთნებისთვის, ფიზიოთერაპევტებისთვის და უმცროსი სამედიცინო პერსონალისთვის. PL: უცხოელების მიერ სამედიცინო პროფესიით მუშაობა საჭიროებს ნებართვას. უცხოელ ექიმებს გააჩნიათ პროფესიულ ორგანიზაციებში არჩევნების შეზღუდული უფლებები.

E. სოციალური მომსახურება (CPC 933)	
14. ტურიზმი და მოგზაურობასთან დაკავშირებული მომსახურება	
A. სასტუმროები, რესტორნები და კატერინგი (CPC 641, CPC 642 და CPC 643) საჰაერო სატრანსპორტო მომსახურებაში კატერინგის გამოკლებით[59]	BG: უცხოელი მმართველების რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს ბულგარეთის მოქალაქე მმართველების რიცხვს, იმ შემთხვევაში, როდესაც ბულგარეთის კომპანიის კაპიტალში საჯარო (სახელმწიფო და/ან მუნიციპალური) წილი აღემატება 50 პროცენტს. HR: მოქალაქეობის მოთხოვნა სტუმრების მიღების და კატერინგის მომსახურებისთვის საოჯახო მეურნეობებში და სოფლის სახლებში.
B. სამოგზაურო საგენტოების და ტურ-ოპერატორების მომსახურება (ტურების მენეჯერების ჩათვლით) (CPC 7471)	BG: უცხოელი მმართველების რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს ბულგარეთის მოქალაქე მმართველების რიცხვს, იმ შემთხვევაში, როდესაც ბულგარეთის კომპანიის კაპიტალში საჯარო (სახელმწიფო და/ან მუნიციპალური) წილი აღემატება 50 პროცენტს. HR: ოფისის მენეჯერის პოზიციისთვის საჭიროა ტურიზმის სამინისტროს თანხმობა.
C. ტურისტული გიდების მომსახურება (CPC 7472)	BG, CY, ES, FR, EL, HR, HU, LT, MT, PL, PT და SK: მოქალაქეობის მოთხოვნა. IT: ევროკავშირის არაწევრი ქვეყნების ტურისტულ გიდებს ესაჭიროებათ სპეციფიკური ლიცენზიის მიღება.
15. გამაჯანსაღებელი, კულტურული და სპორტული მომსახურება (აუდიო-ვიზუალური მომსახურებისგან განსხვავებული)	
A. გასართობი ხასიათის მომსახურება (თეატრის, ცოცხალი შემსრულებლების, ცირკის და დისკოთეკის მომსახურების ჩათვლით) (CPC 9619)	FR: ავტორიზაცია სავალდებულოა მმართველობის ფუნქციებზე დაშვებისთვის. იმ შემთხვევაში, როდესაც ავტორიზაცია საჭიროა 2 წელიწადზე მეტი ვადით, ის წარმოადგენს მოქალაქეობის მოთხოვნის საგანს.
16. სატრანსპორტო მომსახურება	
A. საზღვაო ტრანსპორტი	
a) მგზავრთა საერთაშორისო გადაყვანა (CPC 7211, ეროვნული კაბოტაჟის ტრანსპორტის გამოკლებით). b) ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვა (CPC 7212, ეროვნული კაბოტაჟის ტრანსპორტის გამოკლებით)	EU: მოქალაქეობის მოთხოვნა გემის ეკიპაჟისთვის. AT: მოქალაქეობის მოთხოვნა მმართველი დირექტორების უმრავლესობისთვის.
D. საგზაო ტრანსპორტი	

a) მგზავრთა გადაყვანა (CPC 7121 და CPC 7122)	AT: მოქალაქეობის მოთხოვნა იურიდიული პირის ან პარტნიორობის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირებისთვის და აქციონერებისთვის. DK, HR: მოქალაქეობის და რეზიდენტობის მოთხოვნა მენეჯერებისთვის. BG, MT: მოქალაქეობის მოთხოვნა.
b) ტვირთის გადაზიდვა (CPC 7123, საფოსტო და საკურიერო გზავნილების საკუთარი ანგარიშით ტრანსპორტირების გარდა[60]).	AT: მოქალაქეობის მოთხოვნა იურიდიული პირის ან პარტნიორობის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირებისთვის და აქციონერებისთვის. BG და MT: მოქალაქეობის მოთხოვნა. HR: მოქალაქეობის და რეზიდენტობის მოთხოვნა მენეჯერებისთვის.
E. საქონლის ტრანსპორტირება მილსადენი ტრანსპორტით, საწვავის[61] გარდა (CPC 7139)	AT: მოქალაქეობის მოთხოვნა მმართველი დირექტორებისთვის.
17. ტრანსპორტის დამხმარე მომსახურება[62]	
A. საზღვაო ტრანსპორტის დამხმარე მომსახურება a) საზღვაო სატვირთო მომსახურება b) სასაწყობო და შემნახველი მომსახურება (CPC 742-ის ნაწილი) c) განბაჟების მომსახურება d) საკონტეინერო სადგური და სასაწყობო მომსახურება e) საზღვაო სააგენტოს მომსახურება f) საზღვაო ტვირთის გადაზიდვის მომსახურება g) ხომალდების ეკიპაჟით დაქირავება (CPC 7213) h) ჩაბმისა და ბუქსირების მომსახურება (CPC 7214)	AT: მოქალაქეობის მოთხოვნა მმართველი დირექტორების უმრავლესობისთვის. BG და MT: მოქალაქეობის მოთხოვნა. DK: რეზიდენტობის მოთხოვნა განბაჟების მომსახურების გაწევისთვის. EL: მოქალაქეობის მოთხოვნა განბაჟების მომსახურების გაწევისთვის.
i) საზღვაო ტრანსპორტის დამხამარე მომსახურება (CPC 745-ის ნაწილი) j) სხვა დამხმარე მომსახურება (კატერინგის გამოკლებით) (CPC 749-ის ნაწილი)	

D. საგზაო ტრანსპორტის დამხმარე მომსახურება d) კომერციული საგზაო ტრანსპორტის ოპერატორებით დაქირავება (CPC 7124)	AT: მოქალაქეობის მოთხოვნა იურიდიული პირის ან პარტნიორობის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირებისთვის და აქციონერებისთვის. BG და MT: მოქალაქეობის მოთხოვნა.
F. საქონლის (საწვავის გარდა [63]) მილსადენი ტრანსპორტით გადატანის დამხმარე მომსახურება a) მილსადენი ტრანსპორტით გადატანილი საქონლის (საწვავის გარდა) დასაწყობების და შენახვის მომსახურება (CPC 742-ის ნაწილი)	AT: მოქალაქეობის მოთხოვნა მმართველი დირექტორებისთვის.
19. ენერგეტიკასთან დაკავშირებული მომსახურება	
A. სამთომოპოვებით მრეწველობასთან დაკავშირებული მომსახურება (CPC 883)[64]	SK: რეზიდენტობის მოთხოვნა.
20. სხვა მომსახურება, რომელიც არ შედის სხვა კატეგორიებში	
a) რეცხვის, წმენდის და ღებვის მომსახურება (CPC 9701)	EU: მოქალაქეობის მოთხოვნა სპეციალისტებისა და სტაჟიორებისთვის.
b) დალაქის მომსახურება (CPC 97021) (CPC 97021)	EU: მოქალაქეობის მოთხოვნა სპეციალისტებისა და სტაჟიორებისთვის.
c) კოსმეტიკური პროცედურების, მანიკურის და პედიკურის მომსახურება (CPC 97022)	EU: მოქალაქეობის მოთხოვნა სპეციალისტებისა და სტაჟიორებისთვის.
d) თავის მოვლის სხვა პროცედურები, რომლებიც არ არის სხვაგან კლასიფიცირებული (CPC 97029)	EU: მოქალაქეობის მოთხოვნა სპეციალისტებისა და სტაჟიორებისთვის.
e) სპა მომსახურება და არათერაპიული მასაჟი, იმის გათვალისწინებით, რომ ეს მომსახურება ხორციელდება როგორც ფიზიკური სარელაქსაციო მომსახურება და არა სამედიცინო ან სარეაბილიტაციო მიზნებისთვის[65]	EU: მოქალაქეობის მოთხოვნა სპეციალისტებისა და სტაჟიორებისთვის.

(CPC ver. 1.0 97230)	

_____

დანართი XIV-D

დათქმების ჩამონათვალი საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლებზე და დამოუკიდებელ პროფესიონალებზე (ევროკავშირი)

1. მხარეებმა უნდა დაუშვან მათ ტერიტორიაზე მეორე მხარის საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლების და დამოუკიდებელი პროფესიონალების მიერ მომსახურების მიწოდება, ფიზიკური პირების დროებითი წარმომადგენლობის მეშვეობით, ამ შეთანხმების 91-ე და 92-ე მუხლების შესაბამისად, იმ ეკონომიკურ საქმიანობაში, რომელიც მოცემულია ქვემოთ და წარმოადგენს ქვემოთ მითითებული დათქმების საგანს.

2. ჩამონათვალი მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

(a) პირველი სვეტი მიუთითებს სექტორზე ან ქვესექტორზე, რომელზეც ვრცელდება შეზღუდვები; და

(b) მეორე სვეტი აღწერს შესაბამის შეზღუდვებს.

ევროკავშირი არ იღებს ვალდებულებას საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლებზე და დამოუკიდებელ პროფესიონალებზე ეკონომიკური საქმიანობის ნებისმიერ სხვა სექტორში, გარდა იმ სექტორებისა, რომლებიც ჩამოთვლილია ქვემოთ.

3. ინდივიდუალური სექტორებისა და ქვესექტორების იდენტიფიცირებისას:

(a) „CPC“ ნიშნავს პროდუქტების ცენტრალურ კლასიფიკაციას, როგორც მოცემულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკის სამსახურის სტატისტიკურ დოკუმენტებში (Series M, N° 77, *CPC prov*, 1991).

(b) „CPC ver. 1.0“ ნიშნავს პროდუქტების ცენტრალური კლასიფიკაციას, როგორც მოცემულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკის სამსახურის სტატისტიკურ დოკუმენტებში (Series M, N° 77, *CPC ver 1.0*, 1998).

4. ვალდებულებები საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლებზე და დამოუკიდებელ პროფესიონალებზე არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც პირების დროებითი წარმომადგენლობის მიზანი ან ეფექტი არის შრომით/მმართველობით დავებში ან მოლაპარაკებებში ჩართვა ან მათ შედეგებზე სხვაგვარი ზემოქმედება.

5. ქვემოთ მოცემული ჩამონათვალი არ მოიცავს საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან და პროცედურებთან, ტექნიკურ სტანდარტებთან და სალიცენზიო მოთხოვნებთან და პროცედურებთან დაკავშირებულ ზომებს, როცა ეს ზომები არ წარმოადგენს ამ შეთანხმების 91-ე და 92-ე მუხლების შესაბამისად დაწესებულ შეზღუდვებს. ეს ზომები (მაგალითად, ლიცენზიის მიღება, რეგულირებად სექტორებში კვალიფიკაციის აღიარების მიღება, სპეციალური გამოცდის, მათ შორის, ენის გამოცდის ჩაბარება, და მუდმივი საცხოვრებლის მოთხოვნა იმ ტერიტორიაზე, სადაც ხორციელდება ეკონომიკური საქმიანობა), იმისდა მიუხედავად, არის თუ არა ის მითითებული, ნებისმიერ შემთხვევაში გამოიყენება საქართველოს საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლების და დამოუკიდებელი პროფესიონალების მიმართ.

6. ევროკავშირის და მისი წევრი ქვეყნების კანონების და რეგულაციების ყველა სხვა მოთხოვნები, რომლებიც ეხება ქვეყანაში შესვლას, დარჩენას, მუშაობას და სოციალური დაცვის ზომებს, გამოიყენება უცვლელად, მათ შორის ქვეყანაში დარჩენის ვადის, მინიმალური ხელფასის და ხელფასების კოლექტიური ხელშეკრულებების რეგულაციები.

7. ქვემოთ მოცემული ჩამონათვალი არ მოიცავს მხარის მიერ გაცემულ სუბსიდიებთან დაკავშირებულ ზომებს.

8. ქვემოთ მოცემული ჩამონათვალი ზიანს არ აყენებს სახელმწიფო მონოპოლიების და ექსკლუზიური უფლებების არსებობას, როგორც არის აღწერილი ევროკავშირის მიერ ამ შეთანხმების XIV-A დანართში.

9. იმ სექტორებში, სადაც გამოიყენება ეკონომიკური საჭიროების ტესტები, მათი მთავარი კრიტერიუმი უნდა იყოს წევრი ქვეყნის შესაბამის ბაზარზე არსებული სიტუაციის ან იმ რეგიონის შეფასება, სადაც უნდა განხორციელდეს მომსახურების მიწოდება. შეფასება უნდა მოიცავდეს მომსახურების არსებული მიმწოდებლების რიცხვს და მათზე შესაბამის ზეგავლენას.

10. ქვემოთ მოცემული ვალდებულებების ჩამონათვალიდან გამომდინარე უფლებებსა და ვალდებულებებს არ უნდა ჰქონდეს თვითგანხორციელების ეფექტი და შესაბამისად, პირდაპირ არ უნდა ანიჭებდეს უფლებებს ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს.

მხარეებმა უნდა დაუშვან მათ ტერიტორიაზე მეორე მხარის საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლის მიერ მომსახურების მიწოდება, ფიზიკური პირის დროებითი წარმომადგენლობის მეშვეობით, ამ შეთანხმების 91-ე მუხლით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, შემდეგ ქვესექტორებში:

a) იურიდიული საკონსულტაციო მომსახურება საერთაშორისო საჯარო და უცხო ქვეყნის (ანუ არაევროკავშირის) კანონმდებლობაზე

b) საბუღალტრო მომსახურება

c) საგადასახადო საკონსულტაციო მომსახურება

d) არქიტექტურული მომსახურება, ურბანული დაგეგმარების და ლანდშაფტის არქიტექტურული მომსახურება

e) საინჟინრო მომსახურება, ინტეგრირებული საინჟინრო მომსახურება

f) კომპიუტერული და მასთან დაკავშირებული მომსახურება

g) კვლევის და განვითარების მომსახურება

h) რეკლამა

i) მენეჯმენტის საკონსულტაციო მომსახურება

j) მენეჯმენტის კონსულტაციასთან დაკავშირებული მომსახურება

k) ტექნიკური ტესტირების და ანალიზის მომსახურება

l) სამეცნიერო და ტექნიკური საკონსულტაციო მომსახურება

m) მოწყობილობის მოვლა და შეკეთება გაყიდვების შემდგომი და ლიზინგის შემდგომი მომსახურების კონტრაქტის ფარგლებში

n) თარგმნის მომსახურება

o) სამშენებლო მოედნის გამოკვლევა

p) გარემოს დაცვითი მომსახურება

r) სამოგზაურო სააგენტოების და ტურისტული ოპერატორების მომსახურება

s) გასართობი ხასიათის მომსახურება

მხარეებმა უნდა დაუშვან მათ ტერიტორიაზე მეორე მხარის დამოუკიდებელი პროფესიონალების მიერ მომსახურების მიწოდება, ფიზიკური პირის დროებითი წარმომადგენლობის მეშვეობით, ამ შეთანხმების 92-ე მუხლით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, შემდეგ ქვესექტორებში:

a) იურიდიული საკონსულტაციო მომსახურება საერთაშორისო საჯარო და უცხო ქვეყნის (ანუ არაევროკავშირის) სამართალზე

b) არქიტექტურული მომსახურება, ურბანული დაგეგმარებისა და ლანდშაფტის არქიტექტურული მომსახურება

c) საინჟინრო და ინტეგრირებული საინჟინრო მომსახურება

d) კომპიუტერული და მასთან დაკავშირებული მომსახურება

e) მენეჯმენტის საკონსულტაციო მომსახურება და მენეჯმენტის კონსულტაციასთან დაკავშირებული მომსახურება

f) თარგმნის მომსახურება

სექტორი ან ქვესექტორი	დათქმების აღწერა
ყველა სექტორი	აღიარება EU: დიპლომების ორმხრივ აღიარებაზე ევროკავშირის დირექტირები ვრცელდება მხოლოდ ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეებზე. ერთ წევრ ქვეყანაში რეგულირებადი პროფესიული მომსახურების გაწევის უფლება არ ანიჭებს მეორე წევრ ქვეყანაში ამ მომსახურების გაწევის უფლებას[66].
იურიდიული საკონსულტაციო მომსახურება საერთაშორისო საჯარო და უცხო ქვეყნის (ანუ არაევროკავშირის) კანონმდებლობაზე (CPC 861-ის ნაწილი)[67]	AT, CY, DE, EE, IE, LU, NL, PL, PT, SE და UK: შეზღუდვა არ არის. BE, ES, HR, IT და EL: ეკონომიკური საჭიროებების ტესტი დამოუკიდებელი პროფესიონალებისთვის. LV: ეკონომიკური საჭიროებების ტესტი საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლებისთვის. BG, CZ, DK, FI, HU, LT, MT, RO, SI და SK: ეკონომიკური საჭიროებების ტესტი. DK: იურიდიული საკონსულტაციო საქმიანობის მარკეტინგი ხელმისაწვდომია მხოლოდ დანიის ლიცენზიის მქონე იურისტებისთვის. დანიის სამართლის გამოცდის მოთხოვნა დანიის ლიცენზიის მიღებისთვის. FR: სავალდებულოა ადვოკატთა ასოციაციის სრული (გამარტივებული) წევრობა, უნარების ტესტის მეშვეობით. იურისტების დაშვება ისეთ პროფესიებზე, როგორიცაა უზენაესი სასამართლოს ადვოკატი (*avocet aupres de la Cour de cassation*) და სახელმწიფო საბჭოს ადვოკატი (*avocet aupres du Conseil d'Etat*), წარმოადგენს კვოტების და მოქალაქეობის მოთხოვნის საგანს. HR: მოქალაქეობის მოთხოვნა პროფესიული ორგანიზაციის სრული წევრობისთვის, რომელიც სავალდებულოა იურიდიული წარმომადგენლობითი მომსახურების გაწევისთვის.
საბუღალტრო მომსახურება (CPC 86212, აუდიტორული მომსახურებისგან განსხვავებული, CPC 86213, CPC 86219 და CPC 86220)	BE, CY, DE, EE, ES, IE, IT, LU, NL, PL, PT, SI, SE და UK: შეზღუდვა არ არის. AT: დამსაქმებელი უნდა იყოს თავის ქვეყანაში შესაბამისი პროფესიული ორგანიზაციის წევრი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. FR: ავტორიზაციის მოთხოვნა. საბუღალტრო მომსახურების გაწევა დამოკიდებულია ეკონომიკის, ფინანსთა და ინდუსტრიის მინისტრის გადაწყვეტილებაზე, საგარეო საქმეთა მინისტრთან შეთანხმებით. BG, CZ, DK, EL, FI, HU, LT, LV, MT, RO და SK: ეკონომიკური საჭიროებების ტესტი. HR: რეზიდენტობის მოთხოვნა.
საგადასახადო საკონსულტაციო მომსახურება (CPC 863) [68]	BE, DE, EE, ES, FR, IE, IT, LU, NL, PL, SI, SE და UK: შეზღუდვა არ არის. AT: დამსაქმებელი უნდა იყოს თავის ქვეყანაში შესაბამისი პროფესიული ორგანიზაციის წევრი, ასეთის არსებობის შემთხვევაში; მოქალაქეობის მოთხოვნა კომპეტენტური ორგანოების წინაშე წარმომადგენლობისთვის. BG, CZ, DK, EL, FI, HU, LT, LV, MT, RO და SK: ეკონომიკური საჭიროებების ტესტი. CY: ვალდებულება არ არის აღებული საგადასახადო დეკლარაციების წარდგენაზე.

	PT: ვალდებულება არ არის აღებული. HR, HU: რეზიდენტობის მოთხოვნა.
არქიტექტურული მომსახურება და ურბანული დაგეგმარების და დანდშაფტის არქიტექტურული მომსახურება (CPC 8671 და CPC 8674)	EE, EL, FR, IE, LU, MT, NL, PL, PT, SI, SE და UK: შეზღუდვა არ არის. BE, ES, HR, IT: ეკონომიკური საჭიროებების ტესტი დამოუკიდებელი პროფესიონალებისთვის. LV: ეკონომიკური საჭიროებების ტესტი საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლებისთვის. FI: ფიზიკურმა პირმა უნდა მოახდინოს იმ ფაქტის დემონსტრირება, რომ მას გააჩნია მიწოდებული მომსახურების შესაბამისი სპეციალური ცოდნა. BG, CY, CZ, DE, FI, HU, LT, RO და SK: ეკონომიკური საჭიროებების ტესტი. AT: მხოლოდ დაგეგმარებითი მომსახურება, სადაც გამოიყენება ეკონომიკური საჭიროებების ტესტი. HR, HU და SK: რეზიდენტობის მოთხოვნა.
საინჟინრო მომსახურება და ინტეგრირებული საინჟინრო მომსახურება (CPC 8672 და CPC 8673)	EE, EL, FR, IE, LU, MT, NL, PL, PT, SI, SE და UK: შეზღუდვა არ არის. BE, ES, HR და IT: ეკონომიკური საჭიროებების ტესტი დამოუკიდებელი პროფესიონალებისთვის. LV: ეკონომიკური საჭიროებების ტესტი საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლებისთვის. FI: ფიზიკურმა პირმა უნდა მოახდინოს იმ ფაქტის დემონსტრირება, რომ მას გააჩნია მიწოდებული მომსახურების შესაბამისი სპეციალური ცოდნა. BG, CY, CZ, DE, FI, HU, LT, RO და SK: ეკონომიკური საჭიროებების ტესტი. AT: მხოლოდ დაგეგმარებითი მომსახურება, სადაც გამოიყენება ეკონომიკური საჭიროებების ტესტი. HR და HU: რეზიდენტობის მოთხოვნა.
კომპიუტერული და მასთან დაკავშირებული მომსახურება (CPC 84)	EE, EL, FR, IE, LU, MT, NL, PL, PT, SI და SE: შეზღუდვა არ არის. ES და IT: ეკონომიკური საჭიროებების ტესტი დამოუკიდებელი პროფესიონალებისთვის. LV: ეკონომიკური საჭიროებების ტესტი საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლებისთვის. BE: ეკონომიკური საჭიროებების ტესტი დამოუკიდებელი პროფესიონალებისთვის. AT, DE, BG, CY, CZ, FI, HU, LT, RO, SK და UK: ეკონომიკური საჭიროებების ტესტი. HR: რეზიდენტობის მოთხოვნა საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლებისთვის. ვალდებულება არ არის აღებული დამოუკიდებელ პროფესიონალებზე.
კვლევის და განვითარების მომსახურება (CPC 851, 852 ფსიქოლოგების მომსახურების[69] გარდა, 853)	EU, BE-ს გარდა: სავალდებულოა შეთანხმება დამტკიცებულ კვლევით ორგანიზაციასთან[70]. CZ, DK და SK: ეკონომიკური საჭიროებების ტესტი. BE და UK: ვალდებულება არ არის აღებული.

	HR: რეზიდენტობის მოთხოვნა.
რეკლამა (CPC 871)	BE, CY, DE, EE, ES, FR, HR, IE, IT, LU, NL, PL, PT, SI, SE და UK: შეზღუდვა არ არის. AT, BG, CZ, DK, FI, HU, LT, LV, MT, RO და SK: ეკონომიკური საჭიროებების ტესტი.
მენეჯმენტის საკონსულტაციო მომსახურება (CPC 865)	DE, EE, EL, FR, IE, LV, LU, MT, NL, PL, PT, SI, SE და UK: შეზღუდვა არ არის. ES და IT: ეკონომიკური საჭიროებების ტესტი დამოუკიდებელი პროფესიონალებისთვის. BE და HR: ეკონომიკური საჭიროებების ტესტი დამოუკიდებელი პროფესიონალებისთვის. AT, BG, CY, CZ, FI, HU, LT, RO და SK: ეკონომიკური საჭიროებების ტესტი.
მენეჯმენტის კონსულტაციასთან დაკავშირებული მომსახურება (CPC 866)	DE, EE, EL, FR, IE, LV, LU, MT, NL, PL, PT, SI, SE და UK: შეზღუდვა არ არის. BE, ES, HR და IT: ეკონომიკური საჭიროებების ტესტი დამოუკიდებელი პროფესიონალებისთვის. AT, BG, CY, CZ, DK, FI, LT, RO და SK: ეკონომიკური საჭიროებების ტესტი. HU: ეკონომიკური საჭიროებების ტესტი, გარდა საარბიტრაჟო და დავების მოგვარების მომსახურებისთვის (CPC 86602), რომელზეც ვალდებულება არ არის აღებული.
ტექნიკური ტესტირების და ანალიზის მომსახურება (CPC 8676)	BE, EE, EL, ES, HR, IE, IT, LU, NL, PL, SI, SE და UK: შეზღუდვა არ არის. AT, CY, CZ, DE, DK, FI, HU, LT, LV, MT, PT, RO და SK: ეკონომიკური საჭიროებების ტესტი.
სამეცნიერო და ტექნიკური საკონსულტაციო მომსახურება (CPC 8675)	BE, EE, EL, ES, HR, IE, IT, LU, NL, PL, SI, SE და UK: შეზღუდვა არ არის. AT, CY, CZ, DE, DK, FI, HU, LT, LV, MT, PT, RO და SK: ეკონომიკური საჭიროებების ტესტი. DE: ვალდებულება არ არის აღებული სახელმწიფოს მიერ დანიშნულ მკვლევარებზე. FR: ვალდებულება არ არის აღებული კვლევით საქმიანობაზე, რომელიც უკავშირდება საკუთრების უფლებებს და მიწის კანონმდებლობას. BG: ვალდებულება არ არის აღებული.
გემების მოვლა და შეკეთება (CPC 8868-ის ნაწილი)	BE, CY, EE, EL, ES, FR, HR, IT, LV, LU, NL, PL, PT, SI და SE: შეზღუდვა არ არის. AT, BG, CZ, DE, DK, FI, HU, IE, LT, MT, RO და SK: ეკონომიკური საჭიროებების ტესტი. UK: ვალდებულება არ არის აღებული.
სარკინიგზო სატრანსპორტო მოწყობილობების მოვლა და რემონტი (CPC 8868-ის ნაწილი)	BE, CY, EE, EL, ES, FR, HR, IT, LV, LU, MT, NL, PL, PT, SI და SE: შეზღუდვა არ არის. AT, BG, CZ, DE, DK, FI, HU, IE, LT, RO და SK: ეკონომიკური საჭიროებების ტესტი.

	UK: ვალდებულება არ არის აღებული.
ავტოსატრანსპორტო საშუალებების, მოტოციკლეტების, თოვლმავლების და საგზაო ტრანსპორტის მოწყობილობების მოვლა და შეკეთება (CPC 6112, CPC 6122, CPC 8867-ის ნაწილი და CPC 8868-ის ნაწილი)	BE, EE, EL, ES, FR, HR, IT, LV, LU, NL, PL, PT, SI და SE: შეზღუდვა არ არის. AT, BG, CY, CZ, DE, DK, FI, HU, IE, LT, MT, RO და SK: ეკონომიკური საჭიროებების ტესტი. UK: ვალდებულება არ არის აღებული.
საჰაერო ხომალდის და მისი ნაწილების მოვლა და შეკეთება (CPC 8868-ის ნაწილი)	BE, CY, EE, EL, ES, FR, HR, IT, LV, LU, MT, NL, PL, PT, SI და SE: შეზღუდვა არ არის. AT, BG, CZ, DE, DK, FI, HU, IE, LT, RO და SK: ეკონომიკური საჭიროებების ტესტი. UK: ვალდებულება არ არის აღებული.
ლითონის ნაკეთობების, (არასაოფისე) მოწყობილობების, (არასატრანსპორტო და არასაოფისე) დანადგარების და პირადი და საყოფაცხოვრებო საქონლის მოვლა და შეკეთება[71] (CPC 633, CPC 7545, CPC 8861, CPC 8862, CPC 8864, CPC 8865 და CPC 8866)	BE, EE, EL, ES, FR, HR, IT, LV, LU, MT, NL, PL, PT, SI, SE და UK: შეზღუდვა არ არის. AT, BG, CY, CZ, DE, DK, FI, HU, IE, LT, RO და SK: ეკონომიკური საჭიროებების ტესტი.
თარგმნა (CPC 87905, ოფიციალური და სერტიფიცირებული საქმიანობის გარდა)	DE, EE, FR, LU, MT, NL, PL, PT, SI, SE და UK: შეზღუდვა არ არის. BE, ES, IT და EL: ეკონომიკური საჭიროებების ტესტი დამოუკიდებელი პროფესიონალებისთვის. CY და LV: ეკონომიკური საჭიროებების ტესტი საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლებისთვის. AT, BG, CZ, DK, FI, HU, IE, LT, RO და SK: ეკონომიკური საჭიროებების ტესტი. HR: ვალდებულება არ არის აღებული დამოუკიდებელ პროფესიონალებზე.
სამშენებლო მოედნის გამოკვლევა (CPC 5111)	BE, DE, EE, EL, ES, FR, HR, IE, IT, LU, MT, NL, PL, PT, SI, SE და UK: შეზღუდვა არ არის. AT, BG, CY, CZ, FI, HU, LT, LV, RO და SK: ეკონომიკური საჭიროებების ტესტი.
გარემოს დაცვითი მომსახურება (CPC 9401[72], CPC 9402, CPC 9403, CPC 9404[73], CPC 94060-ის ნაწილი [74], CPC 9405, CPC 9406-ის ნაწილი და CPC 9409)	BE, EE, ES, FR, HR, IE, IT, LU, MT, NL, PL, PT, SI, SE და UK: შეზღუდვა არ არის. AT, BG, CY, CZ, DE, DK, EL, FI, HU, LT, LV, RO და SK: ეკონომიკური საჭიროებების ტესტი.
სამოგზაურო სააგენტოების და ტურისტული ოპერატორების მომსახურება (მათ შორის ტურის მენეჯერები[75]) (CPC 7471)	AT, CZ, DE, EE, ES, FR, IT, LU, NL, PL, SI და SE: შეზღუდვა არ არის. BG, DK, EL, FI, HU, LT, LV, MT, PT, RO და SK: ეკონომიკური საჭიროებების ტესტი. BE, CY, DK, FI და IE: ვალდებულება არ არის აღებული, ტურების მენეჯერების გარდა (პირები, რომელთა ფუნქციას წარმოადგენს არანაკლებ 10-კაციანი ტურისტული ჯგუფის თანხლება, სპეციფიკურ ადგილებში, გიდის ფუნქციის შესრულების გარეშე.) HR: რეზიდენტობის მოთხოვნა. UK: ვალდებულება არ არის აღებული.

გასართობი ხასიათის მომსახურება, აუდიოვიზუალური მომსახურებისაგან განსხვავებული (მათ შორის თეატრის, ცოცხალი შემსრულებლების, ცირკის და დისკოთეკის მომსახურება (CPC 9619)	BG, CZ, DE, DK, EE, EL, ES, FI, HU, IE, IT, LT, LU, LV, MT, NL, PL, PT, RO, SK და SE: შესაძლებელია მაღალი კვალიფიკაციის[76] მოთხოვნა. ეკონომიკური საჭიროებების ტესტი. AT: მაღალი კვალიფიკაცია და ეკონომიკური საჭიროებების ტესტი, იმ პირების გარდა, რომელთა მთავარი პროფესიული საქმიანობა ხორციელდება ხელოვნების სფეროში, საიდანაც ეს პირები ღებულობენ შემოსავლის ძირითად ნაწილს და იმ პირობით, რომ ეს პირები არ განახორციელებენ სხვა კომერციულ საქმიანობას ავსტრიაში. ასეთი პირებისთვის შეზღუდვა არ არის დაწესებული. CY: ეკონომიკური საჭიროებების ტესტი ცოცხალი შემსრულებლებისთვის და დისკოთეკის მომსახურებისთვის. FR: ვალდებულება არ არის აღებული საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლებზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა: - სამუშაოს ნებართვა მიღებულია არაუმეტეს 9 თვის ვადით, 3 თვის ვადით განახლების შესაძლებლობით. ეკონომიკური საჭიროების ტესტი - გასართობი ხასიათის საქმიანობის განმახორციელებელმა კომპანიამ უნდა გადაუხადოს გადასახადი საფრანგეთის იმიგრაციისა და ინტეგრაციის სამსახურს (*Office Français de l'Immigration et de l'Intégration*). SI: თითოეულ ღონისძიებისთვის დარჩენის ვადა შემოფარგლულია 7 დღით. ცირკის და გასართობი პარკის მომსახურებისთვის, დარჩენის ვადა შემოფარგლულია მაქსიმუმ 30 დღით 1 კალენდარული წლის განმავლობაში. BE და UK: ვალდებულება არ არის აღებული.

დანართი XIV-E

დათქმების ჩამონათვალი დაფუძნებაზე (საქართველო)[77]

1. ქვემოთ მოცემული ჩამონათვალი მოიცავს ეკონომიკურ საქმიანობას, სადაც ამ შეთანხმების 79-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მიერ გაკეთებულია დათქმები ეროვნულ რეჟიმსა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმზე ევროკავშირის დაფუძნებებისა და მეწარმეებისთვის.

ჩამონათვალი მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

(a) ჰორიზონტალური დათქმების ჩამონათვალი, რომელიც ყველა სექტორზე ან ქვე-სექტორზე ვრცელდება და

(b) სექტორის ან ქვე-სექტორის სპეციფიკური დათქმების ჩამონათვალი, რომელიც მიუთითებს სექტორზე ან ქვე-სექტორზე და მის შესაბამის დათქმაზე (დათქმებზე).

დათქმა იმ საქმიანობაზე, რომელიც არ არის ლიბერალიზებული (ვალდებულება არ არის აღებული) გამოხატულია როგორც: „ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული“.

იმ სექტორებში, სადაც საქართველოს მიერ არ არის გაკეთებული დათქმა, საქართველო იღებს ვალდებულებას ამ შეთანხმების 79-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად დათქმების გარეშე (მოცემულ სექტორში დათქმის არარსებობა ზიანს არ აყენებს ჰორიზონტალურ დათქმებს).

2. ამ შეთანხმების 76-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ქვემოთ მოცემული ჩამონათვალი არ მოიცავს მხარეების მიერ გაცემულ

სუბსიდიებთან დაკავშირებულ ზომებს.

3. უნდა ჰქონდეს თვითგანხორციელების ეფექტი და შესაბამისად, პირდაპირ არ უნდა ანიჭებდეს უფლებებს ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს.

4. ამ შეთანხმების 79-ე მუხლის შესაბამისად, არადისკრიმინაციული მოთხოვნები, როგორიცაა მოთხოვნები სამართლებრივ ფორმასთან დაკავშირებით ან ტერიტორიაზე მოქმედი ყველა მიმწოდებლისთვის ლიცენზიების ან ნებართვების მიღების ვალდებულება, განურჩევლად მათი ეროვნებისა, რეზიდენტობისა ან ეკვივალენტური კრიტერიუმებისა, არ არის მოცემული ამ დანართში, ვინაიდან მათ ზიანი არ ადგებათ მოცემული შეთანხმებით.

5. იმ შემთხვევაში, თუ საქართველო იყენებს ისეთ დათქმას, რომელიც მის ტერიტორიაზე მომსახურების მიწოდების პირობის სახით მოითხოვს, რომ მომსახურების მიმწოდებელი იყოს ქვეყნის მოქალაქე, მუდმივი რეზიდენტი ან რეზიდენტი, დათქმა, რომელიც მოცემულია ამ შეთანხმების XIV-G დანართში, შესაძლებლობის ფარგლებში, გამოიყენება ამ დანართის შესაბამისად დაფუძნების მიმართ დათქმის სახით.

ჰორიზონტალური დათქმები

სუბსიდიები

სუბსიდიების მიღების უფლება შეიძლება მიენიჭოთ მხოლოდ საქართველოს გარკვეულ რეგიონულ ერთეულებში დაფუძნებულ პირებს.

პრივატიზება

ორგანიზაციას, რომელშიც სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობა აღემატება 25%-ს, არ შეუძლია მყიდველის სახით მონაწილეობის მიღება პრივატიზების პროცესში (ბაზარზე შესვლის შეზღუდვა).

„შეზღუდული პასუხიმგებლობის საზოგადოების“ ერთ მმართველს მაინც უნდა გააჩნდეს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი საქართველოში. ფილიალის დაფუძნებისათვის სავალდებულოა, რომ წარმომადგენელს (ფიზიკურ პირს) გააჩნდეს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი საქართველოში და იყოს უფლებამოსილი კომპანიის მიერ, მის სრულუფლებიან წარმომადგენლობაზე.

უძრავი ქონების შეძენა

ვალდებულება არ არის აღებული, გარდა შემდეგისა:

(i) არასასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენა

(ii) მომსახურების გაწევისათვის საჭირო შენობების შეძენა

(iii) სასოფლო-სამეურნეო მიწის ლიზინგი არაუმეტეს 49 წლით და არასასოფლო-სამეურნეო მიწის ლიზინგი არაუმეტეს 99 წლით

(iv) სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენა ერთობლივი საწარმოს მეშვეობით.

სექტორული დათქმები

მეთევზეობა

ბაზარზე დაშვების, ეროვნულ რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული მეთევზეობაზე. თევზჭერის მიზნით საქართველოს ტერიტორიულ წყლებზე დაშვება გაიცემა ნაცვალგების საფუძველზე.

ბიზნეს მომსახურება

- ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული ტრანსპლანტაციაზე და აუტოფსიაზე (CPC 9312).

- ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული სხვა პროფესიულ მომსახურებაზე (1,A(k))*[78].

- ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული სოფლის მეურნეობასთან, მონადირეობასა და მეტყევეობასთან დაკავშირებულ მომსახურებაზე (CPC 881, 88110-ის გარდა).

- ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული ანაზღაურების ან კონტრაქტის საფუძველზე კოქსის, გადამუშავებული ნავთობის პროდუქტებისა და ბირთვული საწვავის წარმოებასთან დაკავშირებულ მომსახურებაზე (CPC 8845).

- ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული აეროფოტოგრაფიაზე (CPC 87504-ის ნაწილი).

საკომუნიკაციო მომსახურება

- ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული საფოსტო მომსახურებაზე (CPC 7511).

- ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული კომბინირებულ პროგრამებთან და მაუწყებლობასთან დაკავშირებულ მომსახურებაზე (CPC 96133).

- ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული პროგრამის გადაცემასთან დაკავშირებულ მომსახურებაზე (CPC 7524).

- ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული სხვა საკომუნიკაციო მომსახურებაზე (2,E)*.

მშენებლობა და მასთან დაკავშირებული საინჟინრო მომსახურება

საქართველოს მოქალაქეები უნდა შეადგენდნენ მომსახურე პერსონალის არანაკლებ 50%-ს.

სადისტრიბუციო მომსახურება

ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული სხვა სადისტრიბუციო მომსახურებაზე (4,E)*.

მომსახურება განათლების სფეროში

- ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ საშუალო განათლებაზე (CPC 922).

- ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ უმაღლეს განათლებაზე (CPC 923).

- ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული სხვა საგანმანათლებლო მომსახურებაზე (CPC 929).

ფინანსური მომსახურება

ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული სხვა ფინანსურ მომსახურებაზე, მომუშავეთა კომპენსაციის ჩათვლით (7,C)*.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სფეროს მომსახურება

- ქართული ენის (სახელმწიფო ენის) ცოდნა სავალდებულოა საქართველოში მომუშავე ექიმებისთვის.

- ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული ჯანმრთელობის დაცვასთან და სოციალურ სფეროსთან დაკავშირებულ სხვა მომსახურებაზე (8,D)*.

ტურიზმთან და მოგზაურობასთან დაკავშირებული მომსახურება

ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული ტურიზმთან და მოგზაურობასთან დაკავშირებულ სხვა მომსახურებაზე (9,D)*.

გამაჯანსაღებელი, კულტურული და სპორტული მომსახურება

ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული სხვა გამაჯანსაღებელ, კულტურულ და სპორტულ მომსახურებაზე (10,E)*.

სატრანსპორტო მომსახურებები

- ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული საზღვაო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანასა (CPC 7211) და საზღვაო ტრანსპორტის დამხმარე მომსახურებაზე (CPC 745-ის ნაწილი).

- ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული საჰაერო ტრანსპორტზე, მათ შორის, მგზავრთა გადაყვანაზე (CPC 731), ტვირთის გადაზიდვაზე (CPC 732), საჰაერო ხომალდის ეკიპაჟით დაქირავებაზე (CPC 734) და საჰაერო ტრანსპორტის დამხმარე მომსახურებაზე (CPC 746).

- სარკინიგზო ტრანსპორტის მომსახურება (CPC 7111, CPC 7112 და CPC 7113) - სარკინიგზო ინფრასტრუქტურა სახელმწიფო საკუთრებაა და მისი ექსპლუატაცია მონოპოლიას წარმოადგენს. შეზღუდვები არ არის დაწესებული სარკინიგზო ტრანსპორტთან მიმართებაში.

- ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული სარკინიგზო ტრანსპორტის დამხმარე მომსახურებაზე (CPC 743).

- ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული საგზაო ტრანსპორტის მომსახურებაზე, მათ შორის მგზავრთა გადაყვანაზე (CPC 7121 და CPC 7122), კომერციული ტრანსპორტის ეკიპაჟით დაქირავებაზე (CPC 7124) და საგზაო ტრანსპროტის დამხმარე მომსახურებაზე (CPC 744). საგზაო ტრანსპორტის ორმხრივი ხელშეკრულებები ნაცვალგების საფუძველზე, რომელიც შესაბამის ქვეყნებს აძლევს საშუალებას განახორციელონ მგზავრებისა და ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვები.

- ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული მილსადენ ტრანსპორტზე, მათ შორის საწვავის გადაზიდვაზე (CPC 7131) და სხვა საქონლის გადაზიდვაზე (CPC 7139).

- ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული სხვა სატრანსპორტო მომსახურებაზე (11,I)*.

- ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული სხვა მომსახურებაზე, რომელიც არ შედის სხვა კატეგორიებში (CPC 95, CPC 97, CPC 98 და CPC 99).

დანართი XIV-F

ვალდებულებების ჩამონათვალი საზღვრებს გარეთ მომსახურებაზე (საქართველო)[79]

1. ქვემოთ მოცემული ვალდებულებების ჩამონათვალი მიუთითებს საქართველოს მიერ ამ შეთანხმების 86-ე მუხლის შესაბამისად და დათქმების გათვალისწინებით ლიბერალიზებულ ეკონომიკურ საქმიანობაზე და შეზღუდვებზე ბაზარზე დაშვებასა და ეროვნულ რეჟიმზე, რომლებიც ვრცელდება ევროკავშირის მომსახურებაზე და მომსახურების მიმწოდებლებზე, რომლებიც ამ ეკონომიკურ საქმიანობას ეწევიან. ჩამონათვალი შედგება შემდეგი ელემენტებისაგან:

(a) პირველი სვეტი მიუთითებს სექტორზე ან ქვე-სექტორზე, სადაც მხარის მიერ აღებულია ვალდებულება და ლიბერალიზაციის მასშტაბზე, რომელზეც ვრცელდება დათქმები და

(b) მეორე სვეტი აღწერს შესაბამის დათქმას.

საქართველო არ იღებს ვალდებულებას იმ სექტორებში ან ქვე-სექტორებში, რომლებიც არ არის ნახსენები ქვემოთ მოცემულ ჩამონათვალში.

2. ინდივიდუალური სექტორების და ქვე-სექტორების იდენტიფიცირებისას, CPC ნიშნავს პროდუქტების ცენტრალურ კლასიფიკაციას, რომელიც მოცემულია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის 1991 წლის 10 ივლისის მომსახურებების სექტორული კლასიფიკაციის ჩამონათვალში (MTN.GNS/W/120).

3. ქვემოთ მოცემული ჩამონათვალი არ მოიცავს საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან და პროცედურებთან, ტექნიკურ სტანდარტებთან და სალიცენზიო მოთხოვნებთან და პროცედურებთან დაკავშირებულ ზომებს, როცა ეს ზომები არ წარმოადგენს ამ შეთანხმების 84-ე და 85-ე მუხლების შესაბამისად დაწესებულ შეზღუდვებს ბაზარზე დაშვებასა და ეროვნულ რეჟიმზე. ეს ზომები (მაგალითად, ლიცენზიის მიღება, უნივერსალური მომსახურების ვალდებულება, რეგულირებად სექტორებში კვალიფიკაციის აღიარების მიღება, სპეციალური გამოცდის, მათ შორის, ენის გამოცდის ჩაბარება, არადისკრიმინაციული მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ ზოგიერთი საქმიანობის განხორციელება დაუშვებელია დაცულ ზონებში ან განსაკუთრებული ისტორიული და კულტურული მნიშვნელობის ზონებში), იმის და მიუხედავად, არის თუ არა ის მითითებული, ნებისმიერ შემთხვევაში გამოიყენება მეორე მხარის მეწარმეების მიმართ.

4. ქვემოთ მოცემული ჩამონათვალი ზიანს არ აყენებს I რეჟიმის განხორციელების შესაძლებლობას მომსახურების კონკრეტულ სექტორებსა და ქვე-სექტორებში და აგრეთვე, ზიანს არ აყენებს სახელმწიფო მონოპოლიებისა და ექსკლუზიური უფლებების არსებობას, როგორც არის აღწერილი დაფუძნებასთან დაკავშირებული ვალდებულებების ჩამონათვალში.

5. ამ შეთანხმების 76-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ქვემოთ მოცემული ჩამონათვალი არ მოიცავს მხარეების მიერ გაცემულ სუბსიდიებთან დაკავშირებულ ზომებს.

6. ქვემოთ მოცემული ვალდებულებების ჩამონათვალიდან გამომდინარე უფლებებსა და ვალდებულებებს არ უნდა ჰქონდეს თვითგანხორციელების ეფექტი და შესაბამისად, პირდაპირ არ უნდა ანიჭებდეს უფლებებს ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს.

7. 1 და 2 რეჟიმები გულისხმობს მომსახურების მიწოდების საშუალებებს, რომლებიც აღწერილია ამ შეთანხმების 77-ე მუხლის (m) პუნქტის (i) და (ii) ქვეპუნქტებში.

ჰორიზონტალური დათქმები

ვალდებულება არ არის აღებული სუბსიდიებზე.

სექტორული დათქმები

სექტორი ან ქვე-სექტორი	დათქმების აღწერა
1. ბიზნეს მომსახურება	
A. პროფესიული მომსახურება	
იურიდიული მომსახურება (მათ შორის საკონსულტაციო მომსახურება შიდა და საერთაშორისო სამართალზე) (CPC 861)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
b) ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტორული მომსახურება (CPC 862)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
c) საგადასახადო მომსახურება (CPC 863)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
d) არქიტექტურული მომსახურება (CPC 8671)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
e) საინჟინრო მომსახურება (CPC 8672)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
f) ინტეგრირებული საინჟინრო მომსახურებება (CPC 8673)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
g) ურბანული დაგეგმარების და ლანდშაფტის არქიტექტურული მომსახურება (CPC 8674*)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
h) სამედიცინო და სტომატოლოგიური მომსახურება (ტრანსპლანტაციისა და აუტოფსიის გარდა) (CPC 9312)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
i) ვეტერინარული მომსახურება (CPC 932)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
B. კომპიუტერული და მასთან დაკავშირებული მომსახურება	
a) კომპიუტერების დამონტაჟებასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურება (CPC 841)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
b) პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურება (CPC 842)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის

c) მონაცემთა დამუშავების მომსახურება (CPC 843)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
d) მონაცემთა ბაზის შექმნის მომსახურება (CPC 844)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
e) საოფისე დანადგარების და აღჭურვილობის, მათ შორის კომპიუტერების მოვლისა და შეკეთების მომსახურება (CPC 845)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
e) მონაცემთა მომზადების მომსახურება (CPC 849)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
C. კვლევისა და განვითარების მომსახურება	
a) კვლევისა და განვითარების მომსახურება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში (CPC 851)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
b) კვლევისა და განვითარების მომსახურება სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში (CPC 852)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
c) ინტერდისციპლინური კვლევისა და განვითარების მომსახურება (CPC 853)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
D. მომსახურება უძრავი ქონების სფეროში	
a) საკუთარებაში არსებულ ან ლიზინგით აღებულ ქონებაზე (CPC 821)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
b) ანაზღაურების ან კონტრაქტის საფუძველზე (CPC 822)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
E. გაქირავების/ლიზინგის მომსახურება ოპერატორის გარეშე	
a) გემებთან დაკავშირებით (CPC 83103)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
b) თვითმფრინავებთან დაკავშირებით (CPC 83104)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
c) სხვა სატრანსპორტო აღჭურვილობასთან დაკავშირებით (CPC 83101, CPC 83102 და CPC 83105)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
d) სხვა დანადგარებთან და აღჭურვილობასთან დაკავშირებით (CPC 83106 – CPC 83109)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
e) ვიდეოკასეტების ან ოპტიკური დისკების ლიზინგი ან გაქირავება (CPC 83202)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
F) სხვა ბიზნეს მომსახურება	
	რეჟიმი 1 და 2

a) სარეკლამო მომსახურება (CPC 871)	შეზღუდვა არ არის
b) ბაზრის კვლევის მომსახურება (CPC 864)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
c) მენეჯმენტის საკონსულტაციო მომსახურება (CPC 865)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
d) მენეჯმენტის კონსულტაციასთან დაკავშირებული მომსახურება (CPC 866)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
e) ტექნიკური ტესტირებისა და ანალიზის მომსახურება (CPC 8676)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
f) სოფლის მეურნეობასთან, მონადირეობასა და მეტყევეობასთან დაკავშირებული მომსახურება (CPC 88110)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
g) მეთევზეობასთან დაკავშირებული მომსახურება (CPC 882**)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
h) სამთომოპოვებით მრეწველობასთან დაკავშირებული მომსახურება (CPC 883**)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
i) დამამუშავებელ მრეწველობასთან დაკავშირებული მომსახურება (CPC 885, CPC 886, CPC 8841- CPC 8844 და CPC 8846-CPC 8849)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
j) ენერგო-დისტრიბუციასთან დაკავშირებული მომსახურება (CPC 887**)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
k) პერსონალის დასაქმებასა და მიწოდებასთან დაკავშირებული მომსახურება (CPC 87205 და CPC 87206)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
m) სამეცნიერო და ტექნიკური საკონსულტაციო მომსახურება (CPC 8675)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
p) ფოტოგრაფიული მომსახურებები (CPC 875), აეროფოტოგრაფიის გარდა	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
q) შეფუთვასთან დაკავშირებული მომსახურება (CPC 876)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
r) ბეჭდვასა და გამოცემასთან დაკავშირებული მომსახურება (CPC 88442)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
s) საკონფერენციო მომსახურება (CPC 8790-ის ნაწილი)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
t) პერსონალური და საყოფაცხოვრებო საქონლის შეკეთების სხვა მომსახურება (CPC 633)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის

ლითონის ნაკეთობების, მანქანებისა და დანადგარების შეკეთების მომსახურება (CPC 886)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
სხვა ბიზნეს მომსახურება (CPC 879, 87909-ის გარდა)	<u>რეჟიმი 1</u> ვალდებულება არ არის აღებული <u>რეჟიმი 2</u> შეზღუდვა არ არის
2 საკომუნიკაციო მომსახურებები	
B. საკურიერო მომსახურება (CPC 7512)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
C. სატელეკომუნიკაციო მომსახურება	
a) სატელეფონო მომსახურება (CPC 7521)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
b) პაკეტური კომუტაციის მონაცემთა გადაცემის მომსახურება (CPC 7523*)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
c) საარხო კომუტაციის მონაცემთა გადაცემის მომსახურება (CPC 7523*)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
d) სატელექსო მომსახურება (CPC 7523*)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
e) სატელეგრაფო მომსახურება (CPC 7522)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
f) ფაქსიმილური მომსახურება (CPC 7521* და CPC 7529*)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
g) კერძო საიჯარო საარხო მომსახურება (CPC 7522* და CPC 7523*)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
h) ელექტრონული ფოსტა (CPC 7523*)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
i) ხმოვანი ფოსტა (CPC 7523*)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
j) ონლაინ ინფორმაცია და მონაცემთა ბაზაში ძიება (CPC 7523*)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
k) ელექტრონული ინფორმაციის გაცვლა (EDI) (CPC 7523*)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის

l) გაფართოებული/დამატებითი ფაქსიმილური მომსახურება, შენახვის და გადამისამართების, შენახვისა და მოძიების ჩათვლით (CPC 7523*)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
m) კოდისა და პროტოკოლის გარდაქმნა	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
n) ონლაინ ინფორმაცია და/ან მონაცემთა დამუშავება (ტრანზაქციის დამუშავების ჩათვლით) (CPC 843*)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
o) სხვა მობილური მომსახურება ანალოგიური/ციფრული ფიჭური მომსახურება (CPC 75213*) PCS (პერსონალური საკომუნიკაციო მომსახურება) (CPC 75213*) პეიჯერული მომსახურება (CPC 75291*) მობილურ მონაცემთა გადაცემის მომსახურება (CPC 7523*)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
D. აუდიოვიზუალური მომსახურება	
a) ფილმებისა და ვიდეო კასეტების წარმოებისა და დისტრიბუციის მომსახურება (CPC 9611)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
b) კინო-საპროექციო მომსახურება (CPC 9612)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
c) რადიოსა და ტელევიზიის მომსახურება, გარდა გადაცემის მომსახურებისა (CPC 9613, 96133-ის გარდა)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
e) ხმის ჩაწერა	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
3. მშენებლობა და მასთან დაკავშირებული საინჟინრო მომსახურება	
A. შენობებთან დაკავშირებული სამშენებლო სამუშაოები (CPC 512)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
B. სამოქალაქო ინჟინერიასთან დაკავშირებული სამშენებლო სამუშაოები (CPC 513)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
C. აწყობისა და დამონტაჟების სამუშაოები (CPC 514 და 516)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
D. შენობების მოპირკეთების/დასრულების სამუშაოები (CPC 517)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
E. სხვა (CPC 511, CPC 515 და CPC 518)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
4. სადისტრიბუციო მომსახურება	
	რეჟიმი 1 და 2

A. კომისიის აგენტების მომსახურება (CPC 621)	შეზღუდვა არ არის
B. საბითუმო ვაჭრობის მომსახურება (CPC 622)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
C. საცალო ვაჭრობის მომსახურება (CPC 631, CPC 632, CPC 611 და CPC 612)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
D. ფრენჩაიზინგი (CPC 8929)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
5. მომსახურება განათლების სფეროში	
A. დაწყებითი განათლების მომსახურება (CPC 921)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
B. საშუალო განათლების მომსახურება, კერძო დაფინანსებით (CPC 922*)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
C. უმაღლესი განათლების მომსახურება, კერძო დაფინანსებით (CPC 923*)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
D. ზრდასრულთა განათლება (CPC 924)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
6. გარემოს დაცვითი მომსახურება	
A. საკანალიზაციო მომსახურება (CPC 9401)	რეჟიმი 1 ვალდებულება არ არის აღებული, გარდა საკონსულტაციო მომსახურებისა რეჟიმი 2 შეზღუდვა არ არის
B. ნარჩენების გატანის მომსახურება (CPC 9402)	რეჟიმი 1 ვალდებულება არ არის აღებული, გარდა საკონსულტაციო მომსახურებისა რეჟიმი 2 შეზღუდვა არ არის
C. სანიტარული და მსგავსი მომსახურება (CPC 9403)	რეჟიმი 1 ვალდებულება არ არის აღებული, გარდა საკონსულტაციო მომსახურებისა რეჟიმი 2 შეზღუდვა არ არის

D. გამონაბოლქვი გაზების გაწმენდის მომსახურება (CPC 9404)	რეჟიმი 1 ვალდებულება არ არის აღებული, გარდა საკონსულტაციო მომსახურებისა რეჟიმი 2 შეზღუდვა არ არის
E. ხმაურის შემცირების მომსახურება (CPC 9405)	რეჟიმი 1 ვალდებულება არ არის აღებული, გარდა საკონსულტაციო მომსახურებისა რეჟიმი 2 შეზღუდვა არ არის
F. გარემოსა და ლანდშაფტის დაცვის სხვა მომსახურება (CPC 9406)	რეჟიმი 1 ვალდებულება არ არის აღებული, გარდა საკონსულტაციო მომსახურებისა რეჟიმი 2 შეზღუდვა არ არის
G. სხვა გარემოს დაცვითი მომსახურება (CPC 9409)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
7. ფინანსური მომსახურება	
A. დაზღვევა და დაზღვევასთან დაკავშირებული მომსახურება	
a) სიცოცხლის, უბედური შემთხვევისა და ჯანმრთელობის დაზღვევის მომსახურება (მომუშავეთა კომპენსაციის დაზღვევის გარდა) (CPC 81211, CPC 81291 და CPC 81212)	რეჟიმი 1 ვალდებულება არ არის აღებული რეჟიმი 2 შეზღუდვა არ არის
b) არასიცოცხლის დაზღვევის მომსახურება (CPC 8129, CPC 81291-ის და CPC 81293-ის გარდა)	რეჟიმი 1 ვალდებულება არ არის აღებული რეჟიმი 2 შეზღუდვა არ არის
- საზღვაო, საავიაციო და სხვა ტრანსპორტის სადაზღვევო მომსახურება (CPC 81293)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
c) გადაზღვევა და რეტროცესია (CPC 81299)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის

d) დაზღვევის დამხმარე მომსახურება, როგორიცაა საკონსულტაციო, აქტუარული, რისკის შეფასების და ზარალის დარეგულირების მომსახურება (CPC 8140)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
სადაზღვევო შუამავლობა, როგორიცაა საბროკერო და სააგენტო მომსახურება (CPC 8140)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
B. საბანკო და სხვა ფინანსური მომსახურება	
a) დეპოზიტებისა და სხვა დაბრუნებადი სახსრების მიღება საზოგადოებისგან (CPC 81115- CPC 81119)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
b) ყველა სახის სესხები, მათ შორის სამომხმარებლო სესხები, იპოთეკური სესხები, ფაქტორინგი და კომერციული საქმიანობის დაფინანსება (CPC 8113)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
c) ფინანსური ლიზინგი (CPC 8112)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
d) ყველა სახის საგადახდო და ფულადი გადარიცხვების მომსახურება (CPC 81339)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
e) გარანტიები და პირობითი ვალდებულებები (CPC 81199)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
f) საკუთარი ან კლიენტთა სახსრებით ბირჟაზე თუ ბირჟის გარეთ ვაჭრობა შემდეგი ინსტრუმენტებით:	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
- ფულადი ბაზრის ინსტრუმენტები (მათ შორის ჩეკები, ობლიგაციები, სადეპოზიტო სერტიფიკატები, ა.შ.) (CPC 81339); - უცხოური ვალუტა; (CPC 81333)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
- დერივატივები, რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება ფიუჩერსებით და ოპციონებით; (CPC 81339)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
- გაცვლითი კურსის და საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტები, მათ შორის სვოპ და ფორვარდულ განაკვეთზე კონტრაქტები, ა.შ.(CPC 81339)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
- მიმოქცევადი ფასიანი ქაღალდები; (CPC 81321)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
- სხვა სავაჭრო ინსტრუმენტები და ფინანსური აქტივები, მათ შორის, ზოდები (CPC 81339)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
g) მონაწილეობა ყველა სახის ფასიანი ქაღალდის გამოშვებაში, მათ შორის, ანდერრაითინგსა და განთავსებაში (საჯარო თუ კერძო შეთავაზების გზით) და ზემოაღნიშნულთან დაკავშირებული სხვა მომსახურების მიწოდებაში; (CPC 8132)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
h) ფულით ვაჭრობა; (CPC 81339)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის

i) აქტივების მართვა, როგორიცაა ნაღდი ფულის ან პორტფელის მართვა, ყველა სახის კოლექტიური ინვესტიციების მართვა, საპენსიო ფონდის მართვა, კასტოდიანური, დეპოზიტარული და სატრასტო მომსახურება (CPC 8119 და CPC 81323)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
j) ანგარიშსწორების და კლირინგის მომსახურება ფინანსური აქტივებისთვის, მათ შორის ფასიანი ქაღალდებისთვის, დერივატივებისა და სხვა სავაჭრო ინსტრუმენტებისთვის (CPC 81339 და CPC 81319)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
k) საკონსულტაციო, საშუამავლო და სხვა დამხმარე ფინანსური მომსახურება ყველა იმ საქმიანობასთან დაკავშირებით, რომელიც მოცემულია GATS-ის ფინანსური მომსახურების დანართის მე-5 (a)(v)-დან (xv)-მდე ქვეპუნქტებში, მათ შორის საკრედიტო მდგომარეობის შემოწმება და ანალიზი, ინვესტიციების და პორტფელის გამოკვლევა და კონსულტაცია, კონსულტაცია შესყიდვებზე და კორპორაციულ რესტრუქტურიზაციასა და სტრატეგიასთან დაკავშირებით (CPC 8131 და CPC 8133)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
l) ფინანსური ინფორმაციის მიწოდება და გადაცემა, ფინანსური მონაცემების დამუშავება და მასთან დაკავშირებული პროგრამული უზრუნველყოფა (CPC 8131, CPC 842 და CPC 844)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
8. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სფეროს მომსახურება	
A. ადამიანების ჯანმრთელობის მომსახურება (CPC 931, CPC 93191-სგან განსხვავებული)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
C. სოციალური მომსახურება (CPC 933)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
9. ტურიზმთან და მოგზაურობასთან დაკავშირებული მომსახურება	
A. სასტუმროები და რესტორნები (კატერინგის ჩათვლით) (CPC 641- CPC 643)	რეჟიმი 1 ვალდებულება არ არის აღებული რეჟიმი 2 შეზღუდვა არ არის
B. სამოგზაურო სააგენტოებისა და ტურ-ოპერატორების მომსახურება (CPC 7471)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
C. ტურისტული გიდების მომსახურება (CPC 7472)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
10. გამაჯანსაღებელი, კულტურული და სპორტული მომსახურება	
A. გასართობი ხასიათის მომსახურება (მათ შორის თეატრის, ცოცხალი შემსრულებლებისა და ცირკის მომსახურება) (CPC 9619)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
B. ახალი ამბების სააგენტოების მომსახურება (CPC 962)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
C. ბიბლიოთეკების, არქივების, მუზეუმების და კულტურის სფეროს სხვა მომსახურება (CPC 963)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის

D. სპორტული და სხვა გამაჯანსაღებელი მომსახურება (CPC 964)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
11. სატრანსპორტო მომსახურება	
A. საზღვაო ტრანსპორტის მომსახურება	
b) ტვირთის გადაზიდვა (CPC 7212)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
c) ხომალდების ეკიპაჟით დაქირავება (CPC 7213)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
d) გემების მოვლა და რემონტი (CPC 8868**)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
e) ჩაბმისა და ბუქსირების მომსახურება (CPC 7214)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
B. სამდინარო ტრანსპორტი	
a) მგზავრთა გადაყვანა (CPC 7221)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
b) ტვირთის გადაზიდვა (CPC 7222)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
c) ხომალდების ეკიპაჟით დაქირავება (CPC 7223)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
d) ხომალდების მოვლა და რემონტი (CPC 8868**)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
e) ჩაბმისა და ბუქსირების მომსახურება (CPC 7224)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
f) სამდინარო ტრანსპორტის დამხმარე მომსახურება (CPC 745**)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
C. საჰაერო ტრანსპორტის მომსახურება	
b) გაყიდვები და მარკეტინგი	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
კომპიუტერული დაჯავშნის სისტემები	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
d) საჰაერო ხომალდის მოვლა და რემონტი (CPC 8868**)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის

E. სარკინიგზო ტრანსპორტის მომსახურება (CPC 7111, CPC 7112 და CPC 7113)	რეჟიმი 1 ვალდებულება არ არის აღებული რეჟიმი 2 შეზღუდვა არ არის
d) სარკინიგზო ტრანსპორტის მოწყობილობების მოვლა და რემონტი (CPC 8868**)	რეჟიმი 1 ვალდებულება არ არის აღებული რეჟიმი 2 შეზღუდვა არ არის
F. საგზაო ტრანსპორტის მომსახურება	
d) საგზაო ტრანსპორტის მოწყობილობების მოვლა და რემონტი (CPC 6112 და CPC 8867)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
e) ტვირთის გადაზიდვის მომსახურება (CPC 7123)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
H. ტრანსპორტის ყველა სახეობის დამხმარე მომსახურება	
a) ტვირთის მომსახურება (CPC 741)	რეჟიმი 1 ვალდებულება არ არის აღებული რეჟიმი 2 შეზღუდვა არ არის
b) სასაწყობო და შემნახველი მომსახურება (CPC 742)	რეჟიმი 1 ვალდებულება არ არის აღებული რეჟიმი 2 შეზღუდვა არ არის
c) ტვირთის გადაზიდვის სააგენტოს მომსახურება (CPC 748)	რეჟიმი 1 ვალდებულება არ არის აღებული რეჟიმი 2 შეზღუდვა არ არის
d) ტრანსპორტის სხვა დამხმარე მომსახურება (CPC 749*) - ტვირთების საბროკერო მომსახურება; - ფაქტურის აუდიტისა და ტვირთის აღწერის საინფორმაციო მომსახურება	 რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
- ტვირთის საინსპექციო მომსახურება	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის

დანართი XIV-G

დათქმების ჩამონათვალი ძირითად პერსონალზე, სტაჟიორებზე და ბიზნესის გამყიდველებზე[80] (საქართველო)

1. ქვემოთ მოცემული დათქმები მიუთითებს ამ შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) მე-6 თავის (დაფუძნება, მომსახურებით ვაჭრობა და ელექტრონული) მე-2 და მე-3 ნაწილების შესაბამისად ლიბერალიზებულ ეკონომიკურ საქმიანობაზე, რომელშიც ვრცელდება შეზღუდვები ძირითად პერსონალსა და სტაჟიორებზე ამ შეთანხმების 89-ე მუხლის შესაბამისად და ბიზნესის გამყიდველებზე ამ შეთანხმების 90-ე მუხლის შესაბამისად. მოცემული დათქმები ასევე აკონკრეტებს დაწესებულ შეზღუდვებს. ჩამონათვალი შედგება შემდეგი ელემენტებისაგან:

(a) პირველი სვეტი მიუთითებს იმ სექტორებსა და ქვესექტორებზე, რომლებზეც ვრცელდება შეზღუდვები და

(b) მეორე სვეტი აკონკრეტებს შესაბამის შეზღუდვებს.

საქართველო არ იღებს ვალდებულებას ძირითად პერსონალზე, სტაჟიორებზე და ბიზნესის გამყიდველებზე ეკონომიკური საქმიანობის იმ სფეროებში, რომლებიც არ არის ლიბერალიზებული (ვალდებულება არ არის აღებული) ამ შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) მე-6 თავის (დაფუძნება, მომსახურებით ვაჭრობა და ელექტრონული კომერცია) მე-2 და მე-3 ნაწილების შესაბამისად.

2. ინდივიდუალური სექტორების და ქვე-სექტორების იდენტიფიცირებისას, „CPC“ ნიშნავს პროდუქტების ცენტრალურ კლასიფიკაციას, რომელიც მოცემულია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის 1991 წლის 10 ივლისის მომსახურების სექტორული კლასიფიკაციის ჩამონათვალში (MTN.GNS/W/120).

3. ძირითად პერსონალზე, სტაჟიორებზე, მომსახურების ან საქონლის გამყიდველებზე აღებული ვალდებულებები არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც დროებითი წარმომადგენლობის მიზანს ან ეფექტს წარმოადგენს ნებისმიერ შრომით/მმართველობით დავაში ან მოლაპარაკებებში ჩარევა ან მის შედეგებზე სხვაგვარი ზემოქმედება.

4. ქვემოთ მოცემული ჩამონათვალი არ მოიცავს საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან და პროცედურებთან, ტექნიკურ სტანდარტებთან და სალიცენზიო მოთხოვნებთან და პროცედურებთან დაკავშირებულ ზომებს, როცა ეს ზომები არ წარმოადგენენ ამ შეთანხმების 89-ე და 90-ე მუხლების შესაბამისად დაწესებულ შეზღუდვებს. ეს ზომები (მაგალითად, ლიცენზიის მიღება, რეგულირებად სექტორებში კვალიფიკაციის აღიარების მიღება, სპეციალური გამოცდის, მათ შორის, ენის გამოცდის ჩაბარება და მუდმივი საცხოვრებლის არსებობის მოთხოვნა იმ ტერიტორიაზე, სადაც ხორციელდება ეკონომიკური საქმიანობა), იმისდა მიუხედავად, არის თუ არა ის მითითებული, ნებისმიერ შემთხვევაში გამოიყენება ევროკავშირის ძირითადი პერსონალის, სტაჟიორებისა და ბიზნესის გამყიდველების მიმართ.

5. საქართველოს კანონებისა და რეგულაციების ყველა სხვა მოთხოვნები, რომლებიც ეხება ქვეყანაში შესვლას, დარჩენას, მუშაობას და სოციალური დაცვის ზომებს, გამოიყენება უცვლელად, მათ შორის, ქვეყანაში დარჩენის ვადის, მინიმალური ხელფასის და ხელფასების კოლექტიური ხელშეკრულებების რეგულაციები.

6. ამ შეთანხმების 76-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ქვემოთ მოცემული ჩამონათვალი არ მოიცავს მხარის მიერ გაცემულ სუბსიდიებთან დაკავშირებულ ზომებს.

7. ქვემოთ მოცემული ჩამონათვალი ზიანს არ აყენებს სახელმწიფო მონოპოლიებისა და ექსკლუზიური უფლებების არსებობას, როგორც არის აღწერილი დაფუძნებასთან დაკავშირებული ვალდებულებების ჩამონათვალში.

8. იმ სექტორებში, სადაც გამოიყენება ეკონომიკური საჭიროებების ტესტები, მათი მთავარი კრიტერიუმი უნდა იყოს საქართველოს შესაბამის ბაზარზე არსებული სიტუაციის ან იმ რეგიონის შეფასება, სადაც უნდა განხორციელდეს მომსახურების მიწოდება. შეფასება უნდა მოიცავდეს მომსახურების არსებული მიმწოდებლების რიცხვსა და მათზე შესაბამის ზეგავლენას.

9. ქვემოთ მოცემული ვალდებულებების ჩამონათვალიდან გამომდინარე უფლებებსა და ვალდებულებებს არ უნდა ჰქონდეს თვითგანხორციელების ეფექტი და შესაბამისად, პირდაპირ არ უნდა ანიჭებდეს უფლებებს ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს.

სექტორი ან ქვესექტორი	დათქმების აღწერა
1. ბიზნეს მომსახურება	
A. პროფესიული მომსახურება	
ტრანსპლანტაცია და აუტოფსია (CPC 9312-ის ნაწილი)	ვალდებულება არ არის აღებული
სხვა პროფესიული მომსახურება (1, A(k))*[81]	ვალდებულება არ არის აღებული
F) სხვა ბიზნეს მომსახურება	
სოფლის მეურნეობასთან, მონადირეობასა და მეტყევეობასთან დაკავშირებული მომსახურება (CPC 881, CPC 88110-ის გარდა)	ვალდებულება არ არის აღებული
ანაზღაურების ან კონტრაქტის საფუძველზე კოქსის, გადამუშავებული ნავთობის პროდუქტებისა და ბირთვული საწვავის წარმოებასთან დაკავშირებული მომსახურება (CPC 8845)	ვალდებულება არ არის აღებული
პერსონალის დასაქმებასა და მიწოდებასთან დაკავშირებული მომსახურება (CPC 872, CPC 87205-ის და CPC 87206-ის გარდა)	ვალდებულება არ არის აღებული
გამოძიება და უსაფრთხოება (CPC 873)	ვალდებულება არ არის აღებული
აეროფოტოგრაფია (CPC 87504)	ვალდებულება არ არის აღებული
2 საკომუნიკაციო მომსახურება	
1. საფოსტო მომსახურება (CPC 7511)	ვალდებულება არ არის აღებული
4. სადისტრიბუციო მომსახურება	
E. სხვა სადისტრიბუციო მომსახურება (4,E)*	ვალდებულება არ არის აღებული
5. მომსახურება განათლების სფეროში	
E. სხვა საგანმანათლებლო მომსახურება (CPC 929)	ვალდებულება არ არის აღებული

7. ფინანსური მომსახურება	
A. დაზღვევა და დაზღვევასთან დაკავშირებული მომსახურება	
მომუშავეთა კომპენსაციის დაზღვევა	ვალდებულება არ არის აღებული
C. სხვა ფინანსური მომსახურება (7,C)*	ვალდებულება არ არის აღებული
8. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სფეროს მომსახურება	
ჯანმრთელობის დაცვასთან და სოციალურ სფეროსთან დაკავშირებულ სხვა მომსახურება (8,D)*	ვალდებულება არ არის აღებული

9. ტურიზმთან და მოგზაურობასთან დაკავშირებული მომსახურება	
D. ტურიზმთან და მოგზაურობასთან დაკავშირებული სხვა მომსახურება (9,D)*	ვალდებულება არ არის აღებული
10. გამაჯანსაღებელი, კულტურული და სპორტული მომსახურება	
E. სხვა გამაჯანსაღებელი, კულტურული და სპორტული მომსახურება (10,E)*	ვალდებულება არ არის აღებული
11. სატრანსპორტო მომსახურება	
A. საზღვაო ტრანსპორტის მომსახურება	
a) მგზავრების გადაყვანა (CPC 7211)	ვალდებულება არ არის აღებული
f) საზღვაო ტრანსპორტის დამხმარე მომსახურება (CPC 745**)	ვალდებულება არ არის აღებული
B. სამდინარო ტრანსპორტი	
d) ხომალდების მოვლა და შეკეთება (CPC 8868**)	ვალდებულება არ არის აღებული
f) სამდინარო ტრანსპორტის დამხმარე მომსახურება (CPC 745**)	ვალდებულება არ არის აღებული
C. საჰაერო ტრანსპორტის მომსახურება	
a) მგზავრების გადაყვანა (CPC 731)	ვალდებულება არ არის აღებული
b) ტვირთის გადაზიდვა (CPC 732)	ვალდებულება არ არის აღებული
c) საჰაერო ხომალდის ეკიპაჟით დაქირავება (CPC 734)	ვალდებულება არ არის აღებული
e) საჰაერო ტრანსპორტის დამხმარე მომსახურება (CPC 746)	ვალდებულება არ არის აღებული
E. სარკინიგზო ტრანსპორტის მომსახურება	
e) სარკინიგზო ტრანსპორტის დამხმარე მომსახურება (CPC 743)	ვალდებულება არ არის აღებული
F. საგზაო ტრანსპორტის მომსახურება	
a) მგზავრების გადაყვანა (CPC 7121 და CPC 7122)	ვალდებულება არ არის აღებული
c) კომერციული ტრანსპორტის ეკიპაჟით დაქირავება (CPC 7124)	ვალდებულება არ არის აღებული
e) საავტომობილო ტრანსპორტის დამხმარე მომსახურება (CPC 744)	ვალდებულება არ არის აღებული
G. მილსადენი ტრანსპორტი	
a) საწვავის გადაზიდვა (CPC 7131)	ვალდებულება არ არის აღებული
b) სხვა საქონლის გადაზიდვა (CPC 7139)	ვალდებულება არ არის აღებული
სხვა სატრანსპორტო მომსახურება (11,I)*	ვალდებულება არ არის აღებული
12. სხვა მომსახურება, რომელიც არ შედის სხვა კატეგორიებში (CPC 95, CPC 97, CPC 98 და CPC 99)	ვალდებულება არ არის აღებული

დათქმების ჩამონათვალი საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლებზე და დამოუკიდებელ პროფესიონალებზე[82] (საქართველო)

1. ამ შეთანხმების 91-ე და 92-ე მუხლების შესაბამისად, მხარეებმა უნდა დართონ ნება მეორე მხარის საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლებს და დამოუკიდებელ პროფესიონალებს მათ ტერიტორიებზე მომსახურების მიწოდებაზე, ქვემოთ ჩამოთვლილი ეკონომიკური საქმიანობის სფეროებში და შესაბამისი შეზღუდვების გათვალისწინებით.

2. ჩამონათვალი შედგება შემდეგი ელემენტებისაგან:

(a) პირველი სვეტი მიუთითებს სექტორებსა და ქვესექტორებზე, სადაც გამოიყენება შეზღუდვები და

(b) მეორე სვეტი აღწერს შესაბამის შეზღუდვებს

საქართველო არ იღებს ვალდებულებას საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლებსა და დამოუკიდებელ პროფესიონალებზე ეკონომიკური საქმიანობის არცერთ სექტორში, გარდა იმისა, რომელიც პირდაპირ მითითებულია მოცემულ დანართში.

3. ინდივიდუალური სექტორების და ქვე-სექტორების იდენტიფიცირებისას, „CPC“ ნიშნავს პროდუქტების ცენტრალურ კლასიფიკაციას, როგორც მოცემულია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის 1991 წლის 10 ივლისის მომსახურების სექტორული კლასიფიკაციის ჩამონათვალში (MTN.GNS/W/120).

4. საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლებზე და დამოუკიდებელ პროფესიონალებზე აღებული ვალდებულებები არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც მათი დროებითი წარმომადგენლობის მიზანს ან ეფექტს წარმოადგენს ნებისმიერ შრომით/მმართველობით დავაში ან მოლაპარაკებებში ჩარევა ან მის შედეგებზე სხვაგვარი ზემოქმედება.

5. ქვემოთ მოცემული ჩამონათვალი არ მოიცავს საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან და პროცედურებთან, ტექნიკურ სტანდარტებთან და სალიცენზიო მოთხოვნებთან და პროცედურებთან დაკავშირებულ ზომებს, როცა ეს ზომები არ წარმოადგენს ამ შეთანხმების 91-ე და 92-ე მუხლების შესაბამისად დაწესებულ შეზღუდვებს. ეს ზომები (მაგალითად, ლიცენზიის მიღება, რეგულირებად სექტორებში კვალიფიკაციის აღიარების მიღება, სპეციალური გამოცდის, მათ შორის, ენის გამოცდის ჩაბარება და მუდმივი საცხოვრებლის არსებობის მოთხოვნა იმ ტერიტორიაზე, სადაც ხორციელდება ეკონომიკური საქმიანობა), იმისდა მიუხედავად, არის თუ არა ის მითითებული, ნებისმიერ შემთხვევაში გამოიყენება ევროკავშირის საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლებისა და დამოუკიდებელი პროფესიონალების მიმართ.

6. საქართველოს კანონებისა და რეგულაციების ყველა სხვა მოთხოვნები, რომლებიც ეხება ქვეყანაში შესვლას, დარჩენას, მუშაობას და სოციალური დაცვის ზომებს, გამოიყენება უცვლელად, მათ შორის ქვეყანაში დარჩენის ვადის, მინიმალური ხელფასის და ხელფასების კოლექტიური ხელშეკრულებების რეგულაციები.

7. ქვემოთ მოცემული ჩამონათვალი არ მოიცავს მხარის მიერ გაცემულ სუბსიდიებთან დაკავშირებულ ზომებს.

8. ქვემოთ მოცემული ჩამონათვალი ზიანს არ აყენებს შესაბამის სექტორებში სახელმწიფო მონოპოლიების და ექსკლუზიური უფლებების არსებობას, როგორც არის განსაზღვრული საქართველოს მიერ ამ შეთანხმების XIV-E დანართში.

9. იმ სექტორებში, სადაც გამოიყენება ეკონომიკური საჭიროების ტესტები, მათი მთავარი კრიტერიუმი უნდა იყოს საქართველოს შესაბამის ბაზარზე არსებული სიტუაციის ან იმ რეგიონის შეფასება, სადაც უნდა განხორციელდეს მომსახურების მიწოდება. შეფასება უნდა მოიცავდეს მომსახურების არსებული მიმწოდებლების რიცხვს და მათზე შესაბამის ზეგავლენას.

10. ქვემოთ მოცემული ვალდებულებების ჩამონათვალიდან გამომდინარე უფლებებსა და ვალდებულებებს არ უნდა ჰქონდეს თვითგანხორციელების ეფექტი და შესაბამისად, პირდაპირ არ უნდა ანიჭებდეს უფლებებს ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს.

11. მხარეებმა უნდა დაუშვან მათ ტერიტორიაზე მეორე მხარის დამოუკიდებელი პროფესიონალების მიერ მომსახურების მიწოდება, ფიზიკური პირების წარმომადგენლობის გზით და ამ შეთანხმების 92-ე მუხლში მითითებული პირობებით, შემდეგ სექტორებში:

a) იურიდიული მომსახურება (მათ შორის საკონსულტაციო მომსახურება ეროვნულ და საერთაშორისო კანონმდებლობაზე) (CPC 861)

b) არქიტექტურული მომსახურება (CPC 8671)

c) საინჟინრო მომსახურება (CPC 8672)

d) ინტეგრირებული საინჟინრო მომსახურება (CPC 8673)

e) ურბანული დაგეგმარება და ლანდშაფტის არქიტექტურული მომსახურება (CPC 8674*)

f) კომპიუტერული და მასთან დაკავშირებული მომსახურება

g) მენეჯმენტის საკონსულტაციო მომსახურება (CPC 865)

h) მენეჯმენტის კონსულტაციასთან დაკავშირებული მომსახურება (CPC 866)

i) სხვა ბიზნეს მომსახურება (CPC 879)

<u>სექტორული დათქმები</u>

სექტორი ან ქვე-სექტორი	დათქმების აღწერა
1. ბიზნეს მომსახურება	
A. პროფესიული მომსახურება	
a) იურიდიული მომსახურება (მათ შორის საკონსულტაციო მომსახურება შიდა და საერთაშორისო სამართალზე) (CPC 861)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის. დამოუკიდებელი პროფესიონალები – რეზიდენტობის მოთხოვნა. ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეიძლება წარმოადგენდეს მოქალაქეობის მოთხოვნის საგანს.
b) ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტორული მომსახურება (CPC 862)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
c) საგადასახადო მომსახურება (CPC 863)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
d) არქიტექტურული მომსახურება (CPC 8671)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის. დამოუკიდებელი პროფესიონალები – რეზიდენტობის მოთხოვნა. ეკონომიკური საჭიროებების ტესტი.
e) საინჟინრო მომსახურება (CPC 8672)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის. დამოუკიდებელი პროფესიონალები – რეზიდენტობის მოთხოვნა. ეკონომიკური საჭიროებების ტესტი.
f) ინტეგრირებული საინჟინრო მომსახურება (CPC 8673)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.

	დამოუკიდებელი პროფესიონალები – რეზიდენტობის მოთხოვნა. ეკონომიკური საჭიროებების ტესტი.
g) ურბანული დაგეგმვისა და ლანდშაფტის არქიტექტურული მომსახურება (CPC 8674*)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის. დამოუკიდებელი პროფესიონალები – რეზიდენტობის მოთხოვნა. ეკონომიკური საჭიროებების ტესტი.
h) სამედიცინო და სტომატოლოგიური მომსახურება (CPC 9312, ტრანსპლანტაციისა და აუტოფსიის გარდა)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
i) ვეტერინარული მომსახურება (CPC 932)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
B. კომპიუტერული და მასთან დაკავშირებული მომსახურება	
a) კომპიუტერის დამონტაჟებასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურება (CPC 841)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის. დამოუკიდებელი პროფესიონალები – ეკონომიკური საჭიროებების ტესტი
b) პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურება (CPC 842)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის. დამოუკიდებელი პროფესიონალები – ეკონომიკური საჭიროებების ტესტი
c) მონაცემთა დამუშავების მომსახურება (CPC 843)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის. დამოუკიდებელი პროფესიონალები – ეკონომიკური საჭიროებების ტესტი
d) მონაცემთა ბაზის შექმნის მომსახურება (CPC 844)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის. დამოუკიდებელი პროფესიონალები – ეკონომიკური საჭიროებების ტესტი
საოფისე დანადგარებისა და აღჭურვილობის, მათ შორის კომპიუტერების მოვლისა და შეკეთების მომსახურება (CPC 845)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის. დამოუკიდებელი პროფესიონალები – ეკონომიკური საჭიროებების ტესტი
e) მონაცემთა მომზადების მომსახურება (CPC 849, გარდა CPC 849, e II 8499)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის. დამოუკიდებელი პროფესიონალები – ეკონომიკური საჭიროებების ტესტი
C. კვლევისა და განვითარების მომსახურება	
a) კვლევისა და განვითარების მომსახურება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში (CPC 851)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
b) კვლევისა და განვითარების მომსახურება სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში (CPC 852)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
c) ინტერდისციპლინური კვლევისა და განვითარების მომსახურება (CPC 853)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
D. მომსახურება უძრავი ქონების სფეროში	

a) საკუთრებაში არსებულ ან ლიზინგით აღებულ ქონებაზე (CPC 821)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
b) ანაზღაურების ან კონტრაქტის საფუძველზე (CPC 822)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
E. გაქირავების/ლიზინგის მომსახურება ოპერატორის გარეშე	
a) გემებთან დაკავშირებით (CPC 83103)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
b) თვითმფრინავებთან დაკავშირებით (CPC 83104)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
c) სხვა სატრანსპორტო აღჭურვილობასთან დაკავშირებით (CPC 83101, CPC 83102 და CPC 83105)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
d) სხვა დანადგარებთან და აღჭურვილობასთან დაკავშირებით (CPC 83106 – CPC 83109)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
e) ვიდეოკასეტების ან ოპტიკური დისკების ლიზინგისა და გაქირავების მომსახურება (CPC 83202)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
F. სხვა ბიზნეს მომსახურება	
a) სარეკლამო მომსახურება (CPC 871)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
b) ბაზრის კვლევის მომსახურება (CPC 864)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
c) მენეჯმენტის საკონსულტაციო მომსახურება (CPC 865)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის. დამოუკიდებელი პროფესიონალები – ეკონომიკური საჭიროებების ტესტი
d) მენეჯმენტის კონსულტაციასთან დაკავშირებული მომსახურება (CPC 866)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის. დამოუკიდებელი პროფესიონალები – ეკონომიკური საჭიროებების ტესტი
e) ტექნიკური ტესტირებისა და ანალიზის მომსახურება (CPC 8676)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
f) სოფლის მეურნეობასთან, მონადირეობასა და მეტყევეობასთან დაკავშირებული მომსახურება (CPC 88110)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
g) მეთევზეობასთან დაკავშირებული მომსახურება (CPC 882**)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
h) სამთომოპოვებით მრეწველობასთან დაკავშირებული მომსახურება (CPC 883**)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
i) დამამუშავებელ მრეწველობასთან დაკავშირებული მომსახურება (CPC 885, CPC 886, CPC 8841- CPC 8844 და CPC 8846- CPC 8849)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
j) ენერგო-დისტრიბუციასთან დაკავშირებული მომსახურება (CPC 887**)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
k) პერსონალის დასაქმების და მიწოდების მომსახურება (CPC 87205 და CPC 87206)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
m) სამეცნიერო და ტექნიკური საკონსულტაციო მომსახურება (CPC 8675)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.

p) ფოტოგრაფიული მომსახურება (CPC 875, CPC 87504-ის გარდა)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
q) შეფუთვასთან დაკავშირებული მომსახურება (CPC 876)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
r) ბეჭდვასა და გამოცემასთან დაკავშირებული მომსახურება (CPC 88442)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
s) საკონფერენციო მომსახურება (CPC 8790-ის ნაწილი)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
t) პერსონალური და საყოფაცხოვრებო საქონლის შეკეთების სხვა მომსახურება (CPC 633)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
ლითონის ნაკეთობების, მანქანებისა და დანადგარების შეკეთების მომსახურება (CPC 886)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
სხვა ბიზნეს მომსახურება (CPC 879)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის. დამოუკიდებელი პროფესიონალები – ეკონომიკური საჭიროებების ტესტი
2 საკომუნიკაციო მომსახურება	
B. საკურიერო მომსახურება (CPC 7512)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
C. სატელეკომუნიკაციო მომსახურება	
a) სატელეფონო მომსახურება (CPC 7521)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
b) პაკეტური კომუტაციის მონაცემთა გადაცემის მომსახურება (CPC 7523*)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
c) საარხო კომუტაციის მონაცემთა გადაცემის მომსახურება (CPC 7523*)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
d) სატელექსო მომსახურება (CPC 7523*)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
e) სატელეგრაფო მომსახურება (CPC 7522)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
f) ფაქსიმილური მომსახურება (CPC 7521*+7529*)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
g) კერძო საიჯარო საარხო მომსახურება (CPC 7522* და CPC 7523*)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
h) ელექტრონული ფოსტა (CPC 7523*)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
i) ხმოვანი ფოსტა (CPC 7523*)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
j) ონლაინ ინფორმაცია და მონაცემთა ბაზაში ძიება (CPC 7523*)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
k) ელექტრონული ინფორმაციის გაცვლა (EDI) (CPC 7523*)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
l) გაფართოებული/დამატებითი ფაქსიმილური მომსახურება, შენახვის და გადამისამართების, შენახვისა და მოძიების ჩათვლით (CPC 7523*)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.

m) კოდისა და პროტოკოლის გარდაქმნა	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
n) ონლაინ ინფორმაცია და/ან მონაცემთა დამუშავება (ტრანზაქციის დამუშავების ჩათვლით) (CPC 843*)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
o) სხვა მობილური მომსახურება ანალოგური/ციფრულ ფიჭური მომსახურება (CPC 75213*) PCS (პერსონალური საკომუნიკაციო მომსახურება) (CPC 75213*) პეიჯერული მომსახურება (CPC 75291*) მობილურ მონაცემთა გადაცემის მომსახურება (CPC 7523*)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
3. მშენებლობა და მასთან დაკავშირებული მომსახურება	
A. შენობებთან დაკავშირებული სამშენებლო სამუშაოები (CPC 512)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
B. სამოქალაქო ინჟინერიასთან დაკავშირებული სამშენებლო სამუშაოები (CPC 513)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
C. აწყობისა და დამონტაჟების სამუშაოები (CPC 514+516)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
D. შენობების მოპირკეთების/დასრულების სამუშაოები (CPC 517)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
E. სხვა (CPC 511, CPC 515 და CPC 518)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
4. სადისტრიბუციო მომსახურება	
A. კომისიის აგენტების მომსახურება (CPC 621)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
B. საბითუმო ვაჭრობის მომსახურება (CPC 622)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
C. საცალო ვაჭრობის მომსახურება (CPC 631, CPC 632, CPC 611 და CPC 612)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
D. ფრენჩაიზინგი (CPC 8929)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
5. მომსახურება განათლების სფეროში	
A. დაწყებითი განათლების მომსახურება (CPC 921)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
B. საშუალო განათლების მომსახურება, კერძო დაფინანსებით (CPC 922*)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
C. უმაღლესი განათლების მომსახურება, კერძო დაფინანსებით (CPC 923*)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
D. ზრდასრულთა განათლება (CPC 924)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
6. გარემოს დაცვითი მომსახურება	
A. საკანალიზაციო მომსახურება (CPC 9401)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.

B. ნარჩენების გატანის მომსახურება (CPC 9402)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
C. სანიტარული და მსგავსი მომსახურება (CPC 9403)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
D. გამონაბოლქვი გაზების გაწმენდის მომსახურება (CPC 9404)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
E. ხმაურის შემცირების მომსახურება (CPC 9405)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
F. გარემოსა და ლანდშაფტის დაცვის სხვა მომსახურება (CPC 9406)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
G. სხვა გარემოს დაცვითი მომსახურება (CPC 9409)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
7. ფინანსური მომსახურება	
A. დაზღვევა და დაზღვევასთან დაკავშირებული მომსახურება	
a) სიცოცხლის, უბედური შემთხვევისა და ჯანმრთელობის დაზღვევის მომსახურება (მომუშავეთა კომპენსაციის დაზღვევის გარდა) (CPC 81211, CPC 81291 და CPC 81212)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
b) არასიცოცხლის დაზღვევის მომსახურება (CPC 8129)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
- საზღვაო, საავიაციო და სხვა ტრანსპორტის სადაზღვევო მომსახურება (CPC 81293)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
c) გადაზღვევა და რეტროცესია (CPC 81299)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
d) დაზღვევის დამხმარე მომსახურება, როგორიცაა საკონსულტაციო, აქტუარული, რისკის შეფასების და ზარალის დარეგულირების მომსახურება (CPC 8140)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
სადაზღვევო შუამავლობა, როგორიცაა საბროკერო და სააგენტო მომსახურება (CPC 8140)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
B. საბანკო და სხვა ფინანსური მომსახურება	
a) დეპოზიტებისა და სხვა დაბრუნებადი სახსრების მიღება საზოგადოებისაგან (CPC 81115- CPC 81119)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
b) ყველა სახის სესხები, მათ შორის სამომხმარებლო სესხები, იპოთეკური სესხები, ფაქტორინგი და კომერციული საქმიანობის დაფინანსება (CPC 8113)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
c) ფინანსური ლიზინგი (CPC 8112)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
d) ყველა სახის საგადახდო და ფულადი გადარიცხვების მომსახურება (CPC 81339)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
e) გარანტიები და პირობითი ვალდებულებები (CPC 81199)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
f) საკუთარი ან კლიენტთა სახსრებით ბირჟაზე თუ ბირჟის გარეთ ვაჭრობა შემდეგი ინსტრუმენტებით:	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
- ფულადი ბაზრის ინსტრუმენტები (მათ შორის ჩეკები, ობლიგაციები, სადეპოზიტო სერტიფიკატები, ა.შ.) (CPC 81339); - უცხოური ვალუტა; (CPC 81333)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.

- დერივატივები, რომლებიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება ფიუჩერსებით და ოპციონებით; (CPC 81339)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
- გაცვლით კურსის და საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტები, მათ შორის სვოპ და ფორვარდულ განაკვეთზე კონტრაქტები, ა.შ. (CPC 81339)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
- მიმოქცევადი ფასიანი ქაღალდები (CPC 81321)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
- სხვა სავაჭრო ინსტრუმენტები და ფინანსური აქტივები, მათ შორის, ზოდები (CPC 81339)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
g) მონაწილეობა ყველა სახის ფასიანი ქაღალდის გამოშვებაში, მათ შორის, ანდერრაითინგსა და განთავსებაში (საჯარო თუ კერძო შეთავაზების გზით) და ზემოაღნიშნულთან დაკავშირებული სხვა მომსახურების მიწოდებაში; (CPC 8132)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
h) ფულით ვაჭრობა; (CPC 81339)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
i) აქტივების მართვა, როგორიცაა ნაღდი ფულის ან პორტფელის მართვა, ყველა სახის კოლექტიური ინვესტიციების მართვა, საპენსიო ფონდის მართვა, კასტოდიანური, დეპოზიტარული და სატრასტო მომსახურება (CPC 8119 და CPC 81323)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
j) ანგარიშსწორების და კლირინგის მომსახურება ფინანსური აქტივებისთვის, მათ შორის ფასიანი ქაღალდებისთვის, დერივატივებისა და სხვა სავაჭრო ინსტრუმენტებისთვის (CPC 81339 და CPC 81319)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
k) საკონსულტაციო, საშუამავლო და სხვა დამხმარე ფინანსური მომსახურება ყველა იმ საქმიანობასთან დაკავშირებით, რომელიც მოცემულია GATS-ის ფინანსური მომსახურების დანართის მე-5 (a)(v)-დან (xv)-მდე ქვეპუნქტებში, მათ შორის საკრედიტო მდგომარეობის შემოწმება და ანალიზი, ინვესტიციების და პორტფელის გამოკვლევა და კოსულტაცია, კონსულტაცია შესყიდვებზე და კორპორაციულ რესტრუქტურიზაციასა და სტრატეგიასთან დაკავშირებით (CPC 8131 და CPC 8133)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
l) ფინანსური ინფორმაციის მიწოდება და გადაცემა, ფინანსური მონაცემების დამუშავება და მასთან დაკავშირებული პროგრამული უზრუნველყოფა (CPC 8131, CPC 842 და CPC 844)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
8. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სფეროს მომსახურება	
A. ადამიანის ჯანმრთელობის მომსახურება (CPC 931, CPC 93191-სგან განსხვავებული)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
C. სოციალური მომსახურება (CPC 933)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
9. ტურიზმთან და მოგზაურობასთან დაკავშირებული მომსახურება	
A. სასტუმროები და რესტორნები (კატერინგის ჩათვლით) (CPC 641, CPC 642 და CPC 643)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
B. სამოგზაურო სააგენტოებისა და ტურ-ოპერატორების მომსახურება (CPC 7471)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
C. ტურისტული გიდების მომსახურება (CPC 7472)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
10. გამაჯანსაღებელი, კულტურული და სპორტული მომსახურება	

A. გასართობი ხასიათის მომსახურება (მათ შორის თეატრის, ცოცხალი შემსრულებლებისა და ცირკის მომსახურება) (CPC 9619)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
B. ახალი ამბების სააგენტოს მომსახურება (CPC 962)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
C. ბიბლიოთეკების, არქივების, მუზეუმების და კულტურის სფეროს სხვა მომსახურება (CPC 963)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
D. სპორტული და სხვა გამაჯანსაღებელი მომსახურება (CPC 964)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
11. სატრანსპორტო მომსახურება	
A. საზღვაო ტრანსპორტის მომსახურება	
b) ტვირთის გადაზიდვა (CPC 7212**)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
c) ხომალდების ეკიპაჟით დაქირავება (CPC 7213)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
d) ხომალდების მოვლა და შეკეთება (CPC 8868**)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
e) ჩაბმისა და ბუქსირების მომსახურება (CPC 7214)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
C. საჰაერო ტრანსპორტის მომსახურება	
გაყიდვები და მარკეტინგი, კომპიუტერული დაჯავშნის სისტემების ჩათვლით	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
d) საჰაერო ხომალდის მოვლა და შეკეთება (CPC 8868**)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
E. სარკინიგზო ტრანსპორტის მომსახურება (CPC 7111, CPC 7112 და CPC 7113)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
d) სარკინიგზო ტრანსპორტის მოწყობილობების მოვლა და რემონტი (CPC 8868**)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
F. საგზაო ტრანსპორტის მომსახურება	
c) საგზაო ტრანსპორტის მოწყობილობების მოვლა და შეკეთება (CPC 6112 და CPC 8867)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
d) ტვირთის გადაზიდვა (CPC 7123)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
H. ტრანსპორტის ყველა სახეობის დამხმარე მომსახურება	
a) ტვირთის მომსახურება (CPC 741)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
b) სასაწყობო და შემნახველი მომსახურება (CPC 742)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
c) ტვირთის გადაზიდვის სააგენტოს მომსახურება (CPC 748)	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.
d) ტრანსპორტის სხვა დამხმარე მომსახურება (CPC 749*)	
- ტვირთების საბროკერო მომსახურება;	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.

- ფაქტურის აუდიტისა და ტვირთის აღწერის საინფორმაციო მომსახურება	
- ტვირთის საინსპექციო მომსახურება	საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები – შეზღუდვა არ არის.

---

[1] კომუნალური მომსახურება არსებობს ისეთ სექტორებში, როგორიცაა სამეცნიერო და ტექნიკური საკონსულტაციო მომსახურება, კვლევისა და განვითარების მომსახურება სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, ტექნიკური ტესტირებისა და ანალიზის მომსახურება, გარემოს დაცვითი მომსახურება, ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული მომსახურება, სატრანსპორტო მომსახურება და ტრანსპორტის ყველა სახეობის დამხმარე მომსახურება. ამ მომსახურების გაწევისათვის ექსკლუზიური უფლება ხშირად მინიჭებულია კერძო ოპერატორებისათვის, მაგალითად ოპერატორებისათვის, რომლებსაც აქვთ კონცესიები სახელმწიფო ხელისუფლებისაგან, მომსახურების სპეციფიკური ვალდებულებებით. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კომუნალური მომსახურება ხშირად არსებობს ასევე რეგიონულ დონეზე, დეტალური და ამომწურავი სპეციფიკური სექტორული ცხრილების გაკეთება არაპრაქტიკულია. ეს დათქმა არ ვრცელდება სატელეკომუნიკაციო და კომპიუტერულ და მასთან დაკავშირებულ მომსახურებაზე.

[2] ევროპის კავშირის შესახებ ხელშეკრულების 54-ე მუხლის შესაბამისად, ეს შვილობილი კომპანიები მიიჩნევიან ევროკავშირის იურიდიულ პირებად. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მათ გააჩნიათ ევროკავშირის ეკონომიკასთან გრძელვადიანი და ეფექტური კავშირი, ისინი წარმოადგენენ ევროკავშირის შიდა ბაზრის ბენეფიციარებს, რაც მოიცავს, მათ შორის, ევროკავშირის ყველა წევრ ქვეყანაში დაფუძნებისა და მომსახურების გაწევის თავისუფლებას.

[3] მომსახურების სექტორებთან მიმართებით, ეს შეზღუდვები არ აღემატება GATS-ის არსებული ვალდებულებებით გათვალისწინებულ შეზღუდვებს.

[4] იურიდიული პირი კონტროლდება სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირის (პირების) მიერ, თუ ამ უკანასკნელს აქვს უფლებამოსილება, დანიშნოს მისი დირექტორების უმრავლესობა ან სხვაგვარად სამართლებრივად მართოს მისი საქმიანობა. უფრო კონკრეტულად, იურიდიული პირის კაპიტალის 50%-ზე მეტის ფლობა განიხილება როგორც მისი კონტროლი.

[5] იურიდიული პირი კონტროლდება სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირის (პირების) მიერ, თუ ამ უკანასკნელს აქვს უფლებამოსილება, დანიშნოს მისი დირექტორების უმრავლესობა ან სამართლებრივად სხვაგვარად მართოს მისი საქმიანობა. უფრო კონკრეტულად, იურიდიული პირის კაპიტალის 50 პროცენტზე მეტის ფლობა განიხილება როგორც კონტროლი.

[6] გამოიყენება ჰორიზონტალური შეზღუდვა კომუნალურ მომსახურებაზე.

[7] იურიდიული პირი კონტროლდება სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირის (პირების) მიერ, თუ ამ უკანასკნელს აქვს უფლებამოსილება, დანიშნოს მისი დირექტორების უმრავლესობა ან სამართლებრივად სხვაგვარად მართოს მისი საქმიანობა. უფრო კონკრეტულად, იურიდიული პირის კაპიტალის 50 პროცენტზე მეტის ფლობა განიხილება როგორც მისი კონტროლი.

[8] მოქმედებს ჰორიზონტალური შეზღუდვა, რომელიც გამოიხატება ფილიალებისა და შვილობილი კომპანიებისთვის განსხვავებული რეჟიმის შეთავაზებაში. უცხო ქვეყნების ფილიალებმა შეიძლება მიიღონ ავტორიზაცია წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე ოპერირებისთვის მხოლოდ ამ წევრი ქვეყნების შესაბამისი კანონმდებლობით განსაზღვრული პირობებით და შესაბამისად უნდა დააკმაყოფილონ მთელი რიგი სპეციფიკური გონივრული მოთხოვნები.

[9] სამდინარო ტრანსპორტის დამხმარე მომსახურების ჩათვლით.

[10] „ეკვივალენტური რეჟიმი“ გულისხმობს ევროკავშირის საჰაერო გადამზიდავების და ევროკავშირის კომპიუტერული დაჯავშნის სისტემების მომსახურების მიმწოდებლების არადისკრიმინაციულ რეჟიმში ჩაყენებას.

[11] იურიდიული პირი კონტროლდება სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირის (პირების) მიერ, თუ ამ უკანასკნელს აქვს უფლებამოსილება, დანიშნოს მისი დირექტორების უმრავლესობა ან სხვაგვარად სამართლებრივად მართოს მისი საქმიანობა. უფრო კონკრეტულად, იურიდიული პირის კაპიტალის 50%-ზე მეტის ფლობა განიხილება როგორც კონტროლი.

[12] ენერგეტიკის სფეროში გენერალური დირექტორატის მიერ ევროკავშირის ენერგეტიკის უახლეს სტატისტიკურ ცნობარში გამოქვეყნებულ მონაცემებზე დაყრდნობით: ნედლი ნავთობის იმპორტი გამოსახული წონის ერთეულებში, ბუნებრივი აირის იმპორტი გამოსახული ენერგეტიკულ ღირებულებაში.

[13] მოიცავს იურიდიულ საკონსულტაციო მომსახურებას, იურიდიულ წარმომადგენლობას, საარბიტრაჟო მომსახურებას და საშუამავლო და იურიდიული დოკუმენტაციისა და სერტიფიცირების მომსახურებას. იურიდიული მომსახურების გაწევა დაშვებულია მხოლოდ საერთაშორისო საჯარო სამართლის, ევროკავშირის სამართლის და იმ იურისდიქციის კანონმდებლობით, რომელშიც მომსახურების მიმწოდებელი და მისი პერსონალი უფლებამოსილია აწარმოოს საქმიანობა, როგორც იურისტმა. აღნიშნული მომსახურების გაწევა, სხვა მომსახურების გაწევის მსგავსად, წარმოადგენს ევროკავშირის წევრი ქვეყნის სალიცენზიო მოთხოვნებისა და პროცედურების საგანს.

საერთაშორისო საჯარო კანონმდებლობით და უცხო ქვეყნის კანონმდებლობით მომუშავე იურისტებისთვის, ეს მოთხოვნები, სხვა მოთხოვნებთან ერთად, შეიძლება მოიცავდეს ადგილობრივი ეთიკის კოდექსებთან შესაბამისობას, საკუთარი ქვეყნის წოდების გამოყენებას (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოპოვებულია მიმღები ქვეყნის წოდების აღიარება), დაზღვევის მოთხოვნებს, გამარტივებულ რეგისტრაციას მიმღები ქვეყნის ადვოკატთა ასოციაციაში ან გამარტივებულ მიღებას მიმღები ქვეყნის ადვოკატთა ასოციაციაში უნარების ტესტის მეშვეობით და მუდმივი საცხოვრებლის მოთხოვნას მიმღებ ქვეყანაში. იურიდიული მომსახურება ევროკავშირის კანონმდებლობით უნდა განხორციელდეს მაღალი კვალიფიკაციის მქონე პერსონალურად მოქმედი იურისტის მიერ, რომელიც მიღებულია ევროკავშირის ადვოკატთა ასოციაციაში და იურიდიული მომსახურება ევროკავშირის წევრი ქვეყნის კანონმდებლობაზე უნდა განხორციელდეს მაღალი კვალიფიკაციის მქონე პერსონალურად მოქმედი იურისტის მიერ, რომელიც მიღებულია ევროკავშირის იმ წევრი ქვეყნის ადვოკატთა ასოციაციაში. შესაბამისად, ევროკავშირის წევრი ქვეყნის ადვოკატთა ასოციაციის სრული წევრობა შეიძლება საჭირო იყოს ევროკავშირის სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური ორგანოების წინაშე წარმომადგენლობისთვის, ვინაიდან ის გულისხმობს ევროკავშირის და ეროვნული საპროცედურო კანონმდებლობის აღსრულებას. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ წევრ ქვეყანაში, უცხო ქვეყნის იურისტებს, რომლებიც არ არიან ადვოკატთა ასოციაციის სრული წევრები, უფლება აქვთ წარმოადგინონ მხარე სამოქალაქო სამართალწარმოებაში, თუ ეს მხარე წარმოადგენს იმ ქვეყნის მოქალაქეს, რომელშიც ამ იურისტს აქვს საქმიანობის უფლება.

[14] არ მოიცავს საგადასახადო საკითხებში იურიდიულ საკონსულტაციო და იურიდიულ წარმომადგენლობით მომსახურებას, რომელიც შედის იურიდიულ მომსახურებაში (1.A.a).

[15] საზოგადოებისთვის მედიკამენტების მიწოდება, ისევე როგორც სხვა მომსახურების გაწევა, წარმოადგენს ლიცენზირებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების და პროცედურების საგანს წევრ ქვეყნებში. ზოგადი წესის სახით, ეს საქმიანობა ხელმისაწვდომია ფარმაცევტებისთვის. ზოგიერთ წევრ ქვეყანაში, მხოლოდ რეცეპტით მისაღები წამლების გაცემაა ხელმისაწვდომი ფარმაცევტებისთვის.

[16] CPC 85201-ის ნაწილი, რომელიც შედის სამედიცინო და სტომატოლოგიურ მომსახურებაში (1.A.h.),

[17] ეს მომსახურება დაკავშირებულია უძრავი ქონების აგენტის საქმიანობასთან და გავლენას არ ახდენს ფიზიკური ან იურიდიული პირების მიერ უძრავი ქონების შეძენის უფლებებზე და/ან შეზღუდვებზე.

[18] სატრანსპორტო მოწყობილობების მოვლა და რემონტი (CPC 6112, 6122, 8867 და CPC 8868) იფარება l.F. l) 1-დან 1.F.l) 4-ის ჩათვლით.

[19] არ მოიცავს ბეჭდვის მომსახურებას, რომელიც იფარება CPC 88442-ით და შედის 1.F. p-ში.

[20] „საფოსტო გზავნილი“ მოიცავს გზავნილებს, რომელიც მუშავდება ნებისმიერი სახეობის საჯარო თუ კერძო კომერციული ოპერატორის მიერ.

[21] ტერმინი „დამუშავება“ მოიცავს გაფორმებას, სორტირებას, ტრანსპორტირებას და მიტანას.

[22] მაგალითად, წერილი, ღია ბარათი.

[23] აქ შედის წიგნები, კატალოგები.

[24] ჟურნალები, გაზეთები, პერიოდული გამოცემები.

[25] i) - iv) ქვესექტორებისთვის, შესაძლებელია ინდივიდუალური ლიცენზიის მოთხოვნა, რომელიც აკისრებს უნივერსალური მომსახურების ვალდებულებებს და/ან ფინანსური შენატანების ვალდებულებას საკომპენსაციო ფონდში.

[26] ექსპრეს მიტანის მომსახურება, მაღალ სისწრაფესთან და სანდოობასთან ერთად, შეიძლება მოიცავდეს ისეთი დამატებული ღირებულების ელემენტებს, როგორიცაა წარმოშობის ადგილიდან წამოღება, ადრესატამდე პერსონალური მიტანა, წარმოშობისა და გადაადგილების მონიტორინგი, ტრანზიტის პროცესში მიმართულებისა და ადრესატის შეცვლის შესაძლებლობა, მიღების დადასტურება.

[27] საშუალებების უზრუნველყოფა, მათ შორის დროებითი შენობების მიწოდება და მესამე მხარის მიერ ტრანსპორტირება, რომელიც უზრუნველყოფს თვითმიტანას საფოსტო გზავნილების ორმხრივი გაცვლის გზით ამ მომსახურების მომხმარებლებს შორის. საფოსტო გზავნილი გულისხმობს გზავნილებს, რომელთა დამუშავება ხდება ნებისმიერი ტიპის საჯარო ან კერძო კომერციული ოპერატორის მიერ.

[28] „კორესპონდენცია“: წერილობითი ან ნებისმიერი სხვა ფიზიკური საშუალებით გადაცემული კომუნიკაცია, რომელიც უნდა იქნას გადაცემული და მიტანილი გამგზავნის მიერ ამ კორესპონდენციაზე ან მის შეფუთვაზე მითითებულ მისამართზე. წიგნები, კატალოგები, გაზეთები და პერიოდული გამოცემები არ მოიაზრებიან კორესპონდენციაში.

[29] პირადი ანგარიშით ფოსტის ტრანსპორტირება ნებისმიერი სახმელეთო საშუალებებით.

[30] პირადი ანგარიშით ფოსტის საჰაერო ტრანსპორტირება.

[31] ეს მომსახურება არ მოიცავს ონლაინ ინფორმაციას და/ან მონაცემთა დამუშავებას (ტრანზაქციის დამუშავების ჩათვლით) (CPC 843-ის ნაწილი), რომელიც შედის კომპიუტერულ მომსახურებაში (1.B)

[32] მაუწყებლობა განისაზღვრება როგორც გადაცემის უწყვეტი ჯაჭვი, რომელიც აუცილებელია სატელევიზიო და რადიო პროგრამების სიგნალების საზოგადოებისათვის მისაწოდებლად, მაგრამ არ მოიცავს ოპერატორებს შორის კავშირებს.

[33] ეს მომსახურება გულისხმობს სატელეკომუნიკაციო მომსახურებას, რომელიც მოიცავს რადიო და სატელევიზიო მაუწყებლობის გადაცემასა და მიღებას სატელიტების მიერ (სატელიტის მეშვეობით გადაცემის უწყვეტი ჯაჭვი, რომელიც საჭიროა სატელევიზიო და რადიო პროგრამების სიგნალების საზოგადოებისთვის გავრცელებისათვის). იგი მოიცავს სატელიტური მომსახურების გაყიდვას, მაგრამ

არ მოიცავს სატელევიზიო პროგრამების პაკეტების ოჯახებზე მიყიდვას.

[34] ეს მომსახურება, რომელიც მოიცავს CPC 62271, შედის ენერგეტიკასთან დაკავშირებულ მომსახურებაში (18.D)

[35] არ მოიცავს მოვლისა და შეკეთების მომსახურებას, რომელიც შედის ბიზნეს მომსახურებაში (1.B. და 1.F.l)

[36] მედიკამენტებით, სამედიცინო და ორთოპედიული პროდუქციით საცალო ვაჭრობა შედის პროფესიულ მომსახურებაში (1.A.k)

[37] შეესაბამება საკანალიზაციო მომსახურებას.

[38] შეესაბამება გამონაბოლქვი გაზების გაწმენდის მომსახურებას.

[39] შეესაბამება გარემოს და ლანდშაფტის დაცვის მომსახურების ნაწილს.

[40] კვება საჰაერო სატრანსპორტო მომსახურებაში შედის სატრანსპორტო მომსახურების დამხმარე მომსახურებაში (12.D.a), კერძოდ სახმელეთო მომსახურებაში

. იმ საქმიანობის არეალისათვის ზიანის მიყენების გარეშე, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს კაბოტაჟად შესაბამისი ეროვნული ონმდებლობის მიხედვით, ეს დანართი არ მოიცავს ეროვნული კაბოტაჟის ტრანსპორტს, რომელიც თავის მხრივ გულისხმობს მგზავრების ან ონლის ტრანსპორტირებას ევროკავშირის წევრი ქვეყნის ერთ პორტს ან პუნქტს და ევროკავშირის იმავე წევრი ქვეყნის მეორე პორტს ან ;ქტს შორის, მათ შორის კონტინენტურ შელფს, როგორც არის განსაზღვრული საზღვაო სამართლის შესახებ გაეროს კონვენციით და ირაობას, დაწყებულს და დასრულებულს ევროკავშირის წევრი ქვეყნის ერთსა და იმავე პორტში ან პუნქტში.

. მოიცავს ფიდერულ მომსახურებას და მოწყობილობების გადატანას საერთაშორისო საზღვაო ტრანსპორტის მომსახურების მიმწოდებლების რ ერთსა და იმავე ქვეყანაში მდებარე პორტებს შორის, როდესაც არანაირი შემოსავლის მიღება არ ხდება.

[43] CPC 71235-ის ნაწილი, რომელიც შედის საკომუნიკაციო მომსახურებაში (2.A), კერძოდ საფოსტო და საკურიერო მომსახურებაში.

[44] საწვავის მილსადენი ტრანსპორტით გადატანა შედის ენერგეტიკასთან დაკავშირებულ მომსახურებაში (13.B).

[45] არ მოიცავს სატრანსპორტო მოწყობილობების მოვლისა და შეკეთების მომსახურებას, რომელიც შედის ბიზნეს მომსახურებაში(1.F.l) 1-დან 1.F.l) 4-ის ჩათვლით)

[46] „ეკვივალენტური რეჟიმი“ გულისხმობს ევროკავშირის საჰაერო გადამზიდავების და ევროკავშირის კომპიუტერული დაჯავშნის სისტემების მომსახურების მიმწოდებლების არადისკრიმინაციულ რეჟიმში ჩაყენებას.

[47] საწვავის მილსადენი ტრანსპორტით გადატანის დამხმარე მომსახურება შედის ენერგეტიკასთან დაკავშირებულ მომსახურებაში (13.C).

[48] მოიცავს ანაზღაურების ან კონტრაქტის საფუძველზე შემდეგი მომსახურების გაწევას: სამთომოპოვებით მრეწველობასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურება, მიწისზედა სამშენებლო მოედნის მომზადება, მიწისზედა საბურღი მოწყობილობების დამონტაჟება, ბურღვა, საბურღი გვირგვინებით მომსახურება, გარსაცმებით და მილებით მომსახურება, საბურღი სითხის ინჟინერია და მიწოდება, მყარი ნივთიერებების კონტროლი, სარეწი და საჭაბურღილე სპეციალური სამუშაოები, ჭაბურღილის გეოლოგია და საბურღი სამუშაოების კონტროლი, ნიშნულების აღება, ჭაბურღილის გამოცდა, ხაზობრივი ინფრასტრუქტურა, სალიკვიდაციო ხსნარების მიწოდება და გამოყენება, სალიკვიდაციო მოწყობილობების მიწოდება და დამონტაჟება, დაცემენტება (წნევით ტუმბვა), მასტიმულირებელი მომსახურება (დაბზარვა, დაჟანგვა და წნევით ტუმბვა), ჭაბურღილების რემონტი და ჭაბურღილის შეკეთების მომსახურება, ჭაბურღილის დახურვა და მიტოვება.

[49] თერაპიული მასაჟი და თერმული მკურნალობის მომსახურება შედის სამედიცინო მომსახურებაში (1.A.h), ექთნების, ფიზიოთერაპევტების და უმცროსი სამედიცინო პერსონალის მომსახურებაში (1.A.j) და ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებაში (8.A და 8.C)

[50] მომსახურების სექტორებთან მიმართებით, ეს შეზღუდვები შეესაბამება GATS-ის ვალდებულებებით განსაზღვრულ შეზღუდვებს.

[51] ევროკავშირის არაწევრი ქვეყნის მოქალაქეებისთვის ევროკავშირის მასშტაბის კვალიფიკაციის აღიარების მიზნით, საჭიროა ორმხრივი აღიარების ხელშეკრულება, რომლის მოლაპარაკება ხდება ამ შეთანხმების 96-ე მუხლით განსაზღვრული პირობებით.

[52] მოიცავს იურიდიულ საკონსულტაციო მომსახურებას, იურიდიულ წარმომადგენლობას, საარბიტრაჟო მომსახურებას და საშუამავლო და იურიდიული დოკუმენტაციისა და სერტიფიცირების მომსახურებას. იურიდიული მომსახურების გაწევა დაშვებულია მხოლოდ საერთაშორისო საჯარო სამართალზე, ევროკავშირის კანონმდებლობასა და იმ იურისდიქციის კანონმდებლობაზე, რომელშიც მომსახურების მიმწოდებელი და მისი პერსონალი საქმიანობს, როგორც იურისტი. აღნიშნული მომსახურების გაწევა, სხვა მომსახურების გაწევის მსგავსად, წარმოადგენს ევროკავშირის წევრი ქვეყნის სალიცენზიო მოთხოვნებისა და პროცედურების საგანს. საერთაშორისო საჯარო სამართალზე და უცხო ქვეყნის კანონმდებლობაზე მომუშავე იურისტებისთვის, ეს მოთხოვნები, სხვა მოთხოვნებთან ერთად,

შეიძლება მოიცავდეს ადგილობრივი ეთიკის კოდექსებთან შესაბამისობას, საკუთარი ქვეყნის წოდების გამოყენებას (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოპოვებულია მიმღები ქვეყნის წოდების აღიარება), დაზღვევის მოთხოვნებს, გამარტივებულ რეგისტრაციას მიმღები ქვეყნის ადვოკატთა ასოციაციაში ან გამარტივებულ მიღებას მიმღები ქვეყნის ადვოკატთა ასოციაციაში უნარების ტესტის მეშვეობით და მუდმივი საცხოვრებლის მოთხოვნას მიმღებ ქვეყანაში. იურიდიული მომსახურება ევროკავშირის კანონმდებლობის მიხედვით უნდა განხორციელდეს მაღალი კვალიფიკაციის მქონე ინდივიდუალურად მოქმედი იურისტის მიერ, რომელიც მიღებულია ევროკავშირის ადვოკატთა ასოციაციაში და იურიდიული მომსახურება ევროკავშირის წევრი ქვეყნის კანონმდებლობაზე უნდა განხორციელდეს მაღალი კვალიფიკაციის მქონე ინდივიდუალურად მოქმედი იურისტის მიერ, რომელიც მიღებულია ევროკავშირის იმ წევრი ქვეყნის ადვოკატთა ასოციაციაში. შესაბამისად, ევროკავშირის წევრი ქვეყნის ადვოკატთა ასოციაციის სრული წევრობა შეიძლება საჭირო იყოს ევროკავშირის სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური ორგანოების წინაშე წარმომადგენლობისთვის, ვინაიდან ის გულისხმობს ევროკავშირის და ეროვნული საპროცედურო კანონმდებლობის აღსრულებას. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ წევრ ქვეყანაში, უცხო ქვეყნის იურისტებს, რომლებიც არ არიან ადვოკატთა ასოციაციის სრული წევრები, უფლება აქვთ წარმოადგინონ მხარე სამოქალაქო სამართალწარმოებაში, თუ ეს მხარე წარმოადგენს იმ ქვეყნის მოქალაქეს, რომელშიც ამ იურისტს აქვს საქმიანობის უფლება.

[53] არ მოიცავს საგადასახადო საკითხებში იურიდიულ საკონსულტაციო და იურიდიულ წარმომადგენლობით მომსახურებას, რომელიც შედის იურიდიულ მომსახურებაში (6.A.a).

[54] საზოგადოებისთვის მედიკამენტების მიწოდება, ისევე როგორც სხვა მომსახურების გაწევა, წარმოადგენს ლიცენზირებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების და პროცედურების საგანს წევრ ქვეყნებში. ზოგადი წესის სახით, ეს საქმიანობა ხელმისაწვდომია ფარმაცევტებისთვის. ზოგიერთ წევრ ქვეყანაში, მხოლოდ რეცეპტით მისაღები წამლების გაცემაა ხელმისაწვდომი ფარმაცევტებისთვის.

[55] ეს მომსახურება დაკავშირებულია უძრავი ქონების აგენტის საქმიანობასთან და გავლენას არ ახდენს ფიზიკური ან იურიდიული პირების მიერ უძრავი ქონების შეძენის უფლებებსა და/ან შეზღუდვებზე.

[56] სატრანსპორტო მოწყობილობების მოვლა და რემონტი (CPC 6112, CPC 6122, CPC 8867 და CPC 8868) იფარება l.F. l) 1-დან 1.F.l) 4-ის ჩათვლით.

[57] არ მოიცავს ბეჭდვის მომსახურებას, რომელიც შედის CPC 88442-ში და იფარება 6.F. p)-ით.

[58] არ მოიცავს მოვლისა და შეკეთების მომსახურებას, რომელიც შედის ბიზნეს მომსახურებაში (6.B. და 6.F.l).

[59] კატერინგი საჰაერო სატრანსპორტო მომსახურებაში შედის ტრანსპორტის დამხმარე მომსახურებაში, კერძოდ სახმელეთო მომსახურებაში (17.E.a).

[60] CPC 71235-ის ნაწილი, რომელიც შედის საკომუნიკაციო მომსახურებაში, კერძოდ საფოსტო და საკურიერო მომსახურებაში (7.A.).

[61] საწვავის ტრანსპორტირება მილსადენი ტრანსპორტით შედის ენერგეტიკასთან დაკავშირებულ მომსახურებაში (19.B.).

[62] არ მოიცავს სატრანსპორტო მოწყობილობების მოვლის და შეკეთების მომსახურებას, რომელიც შედის ბიზნეს მომსახურებაში (6.F.l) 1.-დან 6.F.l) 4-ის ჩათვლით).

[63] საწვავის ტრანსპორტირება მილსადენი ტრანსპორტით შედის ენერგეტიკასთან დაკავშირებულ მომსახურებაში (19.C.).

[64] მოიცავს ანაზღაურების ან კონტრაქტის საფუძველზე შემდეგი მომსახურების გაწევას: სამთომოპოვებით მრეწველობასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურება, მიწისზედა სამშენებლო მოედნის მომზადება, მიწისზედა საბურღი მოწყობილობების დამონტაჟება, ბურღვა, საბურღი გვირგვინებით მომსახურება, გარსაცმებით და მილებით მომსახურება, საბურღი სითხის ინჟინერია და მიწოდება, მყარი ნივთიერებების კონტროლი, სარეწი და საჭაბურღილე სპეციალური სამუშაოები, ჭაბურღილის გეოლოგია და საბურღი სამუშაოების კონტროლი, ნიშნულების აღება, ჭაბურღილის გამოცდა, ხაზობრივი ინფრასტრუქტურა, სალიკვიდაციო ხსნარების მიწოდება და გამოყენება, სალიკვიდაციო მოწყობილობების მიწოდება და დამონტაჟება, ცემენტაცია (წნევით ტუმბვა), სტიმულირების მომსახურება (დაბზარვა, დაჟანგვა და წნევით ტუმბვა), ჭაბურღილების რემონტი და ჭაბურღილის შეკეთების მომსახურება, ჭაბურღილის დახურვა და მიტოვება.

არ მოიცავს ბუნებრივ რესურსებზე პირდაპირ დაშვებას ან მათ მოპოვებას.

არ მოიცავს რესურსების მოპოვებისთვის (ნავთობის და გაზის გარდა) მოედნის მომზადებას (CPC 5115), რაც მოიაზრება სამშენებლო და მასთან დაკავშირებულ საინჟინრო მომსახურებაში (8.).

[65] თერაპიული მასაჟი და თერმული მკურნალობის მომსახურება შედის სამედიცინო და სტომატოლოგიურ მომსახურებაში (6.A.h), ექთნების, ფიზიოთერაპევტების და უმცროსი სამედიცინო პერსონალის მომსახურებაში (6.A.j) 2.)) და ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებაში (13.A და 13.C).

[66] იმისათვის, რომ მესამე ქვეყნის მოქალაქემ მიიღოს ევროკავშირის მასშტაბის კვალიფიკაციის აღიარება, აუცილებელია მოლაპარაკებების წარმოება ორმხრივი აღიარების ხელშეკრულებაზე, ამ შეთანხმების 96-ე მუხლით განსაზღვრული პირობებით.

[67] სხვა მომსახურების გაწევის მსგავსად, იურიდიული მომსახურება ექვემდებარება ევროკავშირის წევრ ქვეყნებში არსებულ სალიცენზიო მოთხოვნებს და პროცედურებს. საერთაშორისო საჯარო სამართალზე და უცხო ქვეყნის სამართალზე მომუშავე იურისტებისთვის, ეს მოთხოვნები, სხვა მოთხოვნებთან ერთად, შეიძლება მოიცავდეს ადგილობრივი ეთიკის კოდექსებთან შესაბამისობას, საკუთარი ქვეყნის წოდების გამოყენებას (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოპოვებულია მიმღები ქვეყნის წოდების აღიარება), დაზღვევის მოთხოვნებს, გამარტივებულ რეგისტრაციას მიმღები ქვეყნის ადვოკატთა ასოციაციაში ან გამარტივებულ მიღებას მიმღები ქვეყნის ადვოკატთა ასოციაციაში უნარების ტესტის მეშვეობით და მუდმივი საცხოვრებლის მოთხოვნას მიმღებ ქვეყანაში.

[68] არ მოიცავს საგადასახადო საკითხებზე იურიდიულ საკონსულტაციო და იურიდიულ წარმომადგენლობით მომსახურებას, რომელიც შედის იურიდიულ საკონსულტაციო მომსახურებაში საერთაშორისო საჯარო სამართალთან და უცხო ქვეყნის სამართალთან მიმართებაში.

[69] CPC 85201-ის ნაწილი, რომელიც შედის სამედიცინო და სტომატოლოგიურ მომსახურებაში.

[70] დანიის გარდა, ყველა წევრი ქვეყნისთვის, კვლევითი ორგანიზაციის დამტკიცება და შეთანხმება უნდა შეესაბამებოდეს 2005 წლის 12 ოქტომბრის 2005/71/EC დირექტივის მოთხოვნებს, სამეცნიერო კვლევის მიზნებისთვის მესამე ქვეყნის მოქალაქეების მიღების სპეციფიკური პროცედურის შესახებ.

[71] საოფისე მოწყობილობების და დანადგარების, მათ შორის კომპიუტერების (CPC 845), მოვლის და შეკეთების მომსახურება შედის კომპიუტერულ მომსახურებაში.

[72] განეკუთვნება საკანალიზაციო მომსახურებას.

[73] განეკუთვნება გამონაბოლქვი გაზების გაწმენდის მომსახურებას

[74] განეკუთვნება გარემოს და ლანდშაფტის დაცვის მომსახურების ნაწილებს.

[75] მომსახურების მიმწოდებლები, რომელთა ფუნქციას წარმოადგენს არანაკლებ 10-კაციანი ტურისტული ჯგუფის თანხლება, სპეციფიკურ ადგილებში, გიდის ფუნქციის შესრულების გარეშე.

[76] იმ შემთხვევაში, თუ კვალიფიკაცია არ იქნა მიღებული ევროკავშირში ან მის წევრ ქვეყნებში, ამ წევრ ქვეყანას შეუძლია შეაფასოს არის თუ არა ის მის ტერიტორიაზე მოთხოვნილი კვალიფიკაციის ეკვივალენტური.

[77] ეს დოკუმენტი მომზადებულია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) 1991 წლის 10 ივლისის მომსახურების სექტორული კლასიფიკაციის მიხედვით (MTN.GNS/W/120)

[78] * მომსახურების კლასიფიკაცია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) 1991 წლის 10 ივლისის მომსახურების სექტორული კლასიფიკაციის მიხედვით (MTN.GNS/W/120).

[79] ეს დოკუმენტი მომზადებულია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) 1991 წლის 10 ივლისის მომსახურების სექტორული კლასიფიკაციის მიხედვით (MTN.GNS/W/120)

[80] ეს დოკუმენტი მომზადებულია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) 1991 წლის 10 ივლისის მომსახურების სექტორული კლასიფიკაციის მიხედვით (MTN.GNS/W/120)

[81] * მომსახურების კლასიფიკაცია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) 1991 წლის 10 ივლისის მომსახურების სექტორული კლასიფიკაციის მიხედვით (MTN.GNS/W/120)

[82] ეს დოკუმენტი მომზადებულია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) 1991 წლის 10 ივლისის მომსახურების სექტორული კლასიფიკაციის მიხედვით (MTN.GNS/W/120)

დანართი XV

დაახლოება

დანართი XV-A

ფინანსურ მომსახურებასთან დაკავშირებული წესები

საქართველო იღებს ვალდებულებას განსაზღვრულ ვადებში ეტაპობრივად დაუახლოოს თავისი კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობასა და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებს შემდეგ სფეროებში:

A. საბანკო სფერო

2007 წლის 5 სექტემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2007/44/EC დირექტივა, რომლითაც შესწორდა საბჭოს 92/49/EEC დირექტივა და 2002/83/EC, 2004/39/EC, 2005/68/EC და 2006/48/EC დირექტივები, რომლებიც ეხება ფინანსურ სექტორში მფლობელობის ზრდისა და წილის შესყიდვის პრუდენციული შეფასებისათვის საპროცედურო წესებსა და შეფასების კრიტერიუმებს

ვადა: 2007/44/EC დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ექვსი წლის ვადაში.

2002 წლის 16 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002/87/EC დირექტივა, ფინანსურ კონგლომერატში საკრედიტო ინსტიტუტების, სადაზღვევო კომპანიებისა და საინვესტიციო კომპანიების დამატებითი ზედამხედველობის შესახებ

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის ვადაში.

2006 წლის 14 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006/48/EC დირექტივა საკრედიტო ინსტიტუტების ბიზნესის დაწყებისა და ფუნქციონირების შესახებ[1]

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

2006 წლის 14 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2006/49/EC საინვესტიციო კომპანიებისა და საკრედიტო ინსტიტუტების კაპიტალის ადეკვატურობის თაობაზე[2]

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

1994 წლის 30 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 94/19/EC დირექტივა დეპოზიტების საგარანტიო სქემების შესახებ

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ექვსი წლის ვადაში. თუმცა, საქართველო უფლებამოსილია განიხილოს განსხვავებული ზღვარი, ვიდრე ეს ამ დირექტივით არის გათვალისწინებული და წარუდგინოს წინადადება ასოცირების საბჭოს, საქართველოში ადგილობრივი შიდა ბაზრის განვითარებების გათვალისწინებით, წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს ხუთი წლისა.

1986 წლის 8 დეკემბრის საბჭოს 86/635/EEC დირექტივა ბანკებისა და სხვა ფინანსური ინსტიტუტების წლიური ანგარიშებისა და კონსოლიდირებული ანგარიშების შესახებ

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის ვადაში.

2001 წლის 27 სექტემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2001/65/EC, რომლითაც შესწორდა 78/660/EEC, 83/349/EEC და 86/635/EEC დირექტივები, რომლებიც ეხება ზოგიერთი ტიპის კომპანიების, ასევე ბანკებისა და სხვა ფინანსური ინსტიტუტების წლიური და კონსოლიდირებული ანგარიშების შეფასების წესებს

ვადა: 2001/65/EC დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის ვადაში.

2003 წლის 18 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003/51/EC დირექტივა, რომლითაც შესწორდა 78/660/EEC, 83/349/EEC, 86/635/EEC და 91/674/EEC დირექტივები ზოგიერთი ტიპის კომპანიების, ბანკებისა და სხვა ფინანსური ინსტიტუტების, ასევე სადაზღვევო კომპანიების წლიური და კონსოლიდირებული ანგარიშების შესახებ

ვადა: 2003/51/EC დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის ვადაში.

2006 წლის 14 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006/46/EC დირექტივა, რომლითაც შესწორდა საბჭოს 78/660/EEC დირექტივა ზოგიერთი ტიპის კომპანიების წლიური ანგარიშების შესახებ, 83/349/EEC კონსოლიდირებული ანგარიშების შესახებ, 86/635/EEC ბანკებისა და სხვა ფინანსური ინსტიტუტების წლიური და კონსოლიდირებული ანგარიშების შესახებ და N 91/674/EEC სადაზღვევო კომპანიების წლიური და კონსოლიდირებული ანგარიშების თაობაზე

ვადა: 2006/46/EC დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის ვადაში.

2001 წლის 4 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2001/24/EC დირექტივა საკრედიტო ინსტიტუტების რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის ვადაში.

B. დაზღვევა

2009 წლის 25 ნოემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს **2009/138/EC** დირექტივა სადაზღვევო ბიზნესის დაწყებისა და ფუნქციონირების შესახებ

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ექვსი წლის ვადაში.

1991 წლის 19 დეკემბრის საბჭოს 91/674/EEC დირექტივა სადაზღვევო კომპანიების წლიური და კონსოლიდირებული ანგარიშების შესახებ

ვადა: ამ დირექტივის დებულებები, 33-ე მუხლის გამოკლებით, უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ექვსი წლის ვადაში. წინადადება ამ დირექტივის 33-ე მუხლის იმპლემენტაციის შესახებ წარედგინება ასოცირების საბჭოს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს ხუთი წლისა.

1991 წლის 18 დეკემბრის ევროკომისიის რეკომენდაცია სადაზღვევო შუამავლების შესახებ (92/48/EEC)

ვადა: არ არის განსაზღვრული

2002 წლის 9 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002/92/EC დირექტივა სადაზღვევო მედიაციის შესახებ

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან რვა წლის ვადაში.

2009 წლის 16 სექტემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009/103/EC დირექტივა, რომელიც ეხება ავტოსატრანსპორტო საშუალების გამოყენებისას სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევას და მოცემულ პასუხისმგებლობასთან მიმართებაში ამ ვალდებულების შესრულებას.

ვადა: წინადადება ამ დირექტივის იმპლემენტაციასთან დაკავშირებით წარედგინება ასოცირების საბჭოს, საქართველოში ადგილობრივი შიდა ბაზრის განვითარების გათვალისწინებით, წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს ხუთი წლისა.

2003 წლის 3 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003/41/EC დირექტივა პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტების საქმიანობებისა და მათზე ზედამხედველობის შესახებ

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან შვიდი წლის ვადაში.

C. ფასიანი ქაღალდები

2004 წლის 21 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004/39/EC დირექტივა ფინანსური ინსტრუმენტების ბაზრების შესახებ

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

2006 წლის 10 აგვისტოს ევროკომისიის დირექტივა 2006/73/EC, რომელიც ხელს უწყობს ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2004/39/EC აღსრულებას და, რომელიც ეხება საინვესტიციო კომპანიებისათვის არსებულ ორგანიზაციულ მოთხოვნებსა და ფუნქციონირების პირობებს და ამ დირექტივის მიზნებისათვის დადგენილ პირობებს

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან შვიდი წლის ვადაში.

2006 წლის 10 აგვისტოს ევროკომისიის (EC) N 1287/2006 რეგულაცია, რომელიც ხელს უწყობს ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004/39/EC დირექტივის - აღსრულებას და, რომელიც ეხება საინვესტიციო კომპანიებისათვის ჩანაწერების წარმოების ვალდებულებებს, ტრანზაქციების შესახებ ანგარიშების წარდგენას, ბაზრის გამჭვირვალობას, ფინანსური ინსტრუმენტების ვაჭრობაში დაშვებას, და ამ დირექტივის მიზნებისათვის დადგენილ პირობებს

ვადა: ამ რეგულაციის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან შვიდი წლის ვადაში.

2003 წლის 4 ნოემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003/71/EC დირექტივა ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზების ან მათი სავაჭროდ დაშვების დროს ემისიის პროსპექტის გამოქვეყნების შესახებ, რომლითაც შესწორდა 2001/34/EC დირექტივა

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან შვიდი წლის ვადაში.

2004 წლის 29 აპრილის ევროკომისიის (EC) N 809/2004 რეგულაცია, რომელიც ხელს უწყობს ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003/71/EC დირექტივის აღსრულებას, რომელიც ეხება ემისიის პროსპექტებში შეტანილ ინფორმაციას, პროსპექტების ფორმატს და მათში დანართების სათაურების სახით შეტანილ ინფორმაციას;, ამგვარი პროსპექტების გამოქვეყნებას და ემისიის შესახებ რეკლამის გავრცელებას

ვადა: ამ რეგულაციის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან შვიდი წლის ვადაში.

2004 წლის 15 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004/109/EC დირექტივა, რეგულირებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული ფასიანი ქაღალდების ემიტენტებზე ინფორმაციის გამჭვირვალობის მოთხოვნათა ჰარმონიზაციის შესახებ, რომლითაც შესწორდა 2001/34/EC დირექტივა

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან შვიდი წლის ვადაში.

2007 წლის 8 მარტის ევროკომისიის 2007/14/EC დირექტივა, რომელიც ადგენს 2004/109/EC დირექტივის ზოგიერთი დებულების იმპლემენტაციის დეტალურ წესებს, რეგულირებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული ფასიანი ქაღალდების ემიტენტებზე ინფორმაციის გამჭვირვალობის მოთხოვნათა ჰარმონიზაციის შესახებ

ვადა: 2007/14/EC დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან შვიდი წლის ვადაში.

1997 წლის 3 მარტის ევროპარლამენტისა და საბჭოს 97/9/EC დირექტივა ინვესტორთა კომპენსაციის სქემების შესახებ

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ექვსი წლის ვადაში. თუმცა, საქართველო უფლებამოსილია განიხილოს ინვესტორთა კომპენსაციის სქემებისათვის დადგენილისგან განსხვავებული ზღვრები და წარუდგინოს წინადადება ასოცირების საბჭოს, საქართველოში ადგილობრივი შიდა ბაზრის განვითარების გათვალისწინებით, წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს ხუთი წლისა.

2003 წლის 28 იანვრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003/6/EC დირექტივა ინსაიდერული გარიგებებისა და ბაზარზე მანიპულაციების შესახებ (ინსაიდერული ინფორმაციის ბოროტად გამოყენება)

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

2004 წლის 29 აპრილის ევროკომისიის 2004/72/EC დირექტივა, რომელიც ხელს უწყობს ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003/6/EC დირექტივის აღსრულებას და, რომელიც ეხება ბაზარზე დამკვიდრებულ პრაქტიკას, ინსაიდერული ინფორმაციის განსაზღვრებას სასაქონლო დერივატივებთან მიმართებაში, საწარმოს ინსაიდერთა ნუსხის შედგენას, მმართველი ორგანოს წევრების მიერ განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ შეტყობინებასა და საეჭვო ტრანზაქციების შესახებ შეტყობინებას

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან შვიდი წლის ვადაში.

2003 წლის 22 დეკემბრის ევროკომისიის 2003/124/EC დირექტივა, რომელიც ხელს უწყობს ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003/6/EC დირექტივის აღსრულებას და, რომელიც ეხება ინსაიდერული ინფორმაციის ტერმინის განმარტებას, ინსაიდერული ინფორმაციის განსაჯაროებას და ბაზარზე მანიპულაციის განსაზღვრებას

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან შვიდი წლის ვადაში.

2003 წლის 22 დეკემბრის ევროკომისიის 2003/125/EC დირექტივა, რომელიც ხელს უწყობს ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003/6/EC დირექტივის აღსრულებას და, რომელიც ეხება საინვესტიციო რეკომენდაციების სამართლიან წარდგენას და ინტერესთა კონფლიქტის გამჟღავნებას

ვადა: 2003/125/EC დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან შვიდი წლის ვადაში.

2003 წლის 22 დეკემბრის ევროკომისიის (EC) N 2273/2003რეგულაცია, რომელიც ხელს უწყობს ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003/6/EC დირექტივის აღსრულებას და, რომელიც აყალიბებს განსაკუთრებულ პირობებს აქციების გამოსყიდვის პროგრამებისა და ფინანსური ინსტრუმენტების სტაბილიზაციის პროცესის მიმართ, რათა მათზე გავრცელდეს ევროპარლამენტისა და საბჭოს N 2003/6/EC დირექტივით გათვალისწინებული გამონაკლისები

ვადა: ამ რეგულაციის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან შვიდი წლის ვადაში.

2009 წლის 16 სექტემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) N 1060/2009 რეგულაცია სარეიტინგო სააგენტოების შესახებ

ვადა: ამ რეგულაციის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან შვიდი წლის ვადაში.

D. მიმოქცევად ფასიან ქაღალდებში კოლექტიური ინვესტიციების განსახორციელებლად შექმნილი საწარმო (UCITS)

2009 წლის 13 ივლისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009/65/EC დირექტივა მიმოქცევად ფასიან ქაღალდებში კოლექტიური ინვესტიციების განსახორციელებლად შექმნილ საწარმოსთან (UCITS) მიმართებაში, კანონების, რეგულაციებისა და ადმინისტრაციული დებულებების კოორდინაციის შესახებ

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ექვსი წლის ვადაში.

2007 წლის 19 მარტის ევროკომისიის 2007/16/EC დირექტივა, რომელიც ხელს უწყობს საბჭოს 85/611/EEC დირექტივის - მიმოქცევად ფასიან ქაღალდებში კოლექტიური ინვესტიციების განსახორციელებლად შექმნილ საწარმოსთან (UCITS) მიმართებაში, კანონების, რეგულაციებისა და ადმინისტრაციული დებულებების კოორდინაციის შესახებ (შესწორება) აღსრულებას და რომელიც ეხება ზოგიერთი ტერმინის განსაზღვრას

ვადა: 2007/16/EC დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ექვსი წლის ვადაში.

E. ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურა

2002 წლის 6 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002/47/EC დირექტივა ფინანსური გირაოს შესახებ

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

1998 წლის 19 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 98/26/EC დირექტივა საგადახდო და ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემებში ანგარიშსწორების საბოლოობის შესახებ

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

2009 წლის 6 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009/44/EC დირექტივა, რომლითაც შესწორდა 98/26/EC დირექტივა საგადახდო და ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემებში ანგარიშსწორების საბოლოობის შესახებ და 2002/47/EC დირექტივა ფინანსური გირაოს შესახებ, ერთმანეთთან დაკავშირებულ სისტემებსა და საკრედიტო მოთხოვნებთან დაკავშირებით

ვადა: 2009/44/EC დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

F. საგადახადო მომსახურება

2007 წლის 13 ნოემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2007/64/EC დირექტივა შიდა ბაზარზე საგადახდო მომსახურებების შესახებ

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ექვსი წლის ვადაში.

2009 წლის 16 სექტემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) N 924/2009/EC რეგულაცია გაერთიანების ფარგლებში ტრანს-სასაზღვრო გადახდების შესახებ

ვადა: ამ რეგულაციის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

G. ფულის გათეთრების საწინააღმდეგო ქმედებები

2005 წლის 26 ოქტომბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2005/60/EC დირექტივა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების მიზნებისთვის ფინანსური სისტემის გამოყენების აღკვეთის თაობაზე

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ორი წლის ვადაში.

2006 წლის 1 აგვისტოს ევროკომისიის 2006/70/EC დირექტივა, რომლითაც დადგინდა ევროპარლამენტისა და საბჭოს 2005/60/EC დირექტივის აღსრულებისათვის საჭირო ზომები, რაც ეხება პოლიტიკურად აქტიური პირის განმარტებას და კლიენტის იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის გამარტივებულ პროცედურებთან და კლიენტის იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის განხორციელებისაგან გათავისუფლებასთან დაკავშირებულ ტექნიკურ კრიტერიუმებს, როდესაც ფინანსური საქმიანობა ხორციელდება არასისტემურად ან ძალიან შეზღუდული ფორმით.

ვადა: 2006/70/EC დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ორი წლის ვადაში.

2006 წლის 15 ნოემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) N 1781/2006 რეგულაცია, ფულადი სახსრების გადარიცხვისას გადამხდელის შესახებ თანმხლები ინფორმაციის თაობაზე

ვადა: ამ რეგულაციის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან სამი წლის ვადაში.

სატელეკომუნიკაციო მომსახურეობისათვის განსაზღვრული წესები

საქართველო იღებს ვალდებულებას განსაზღვრულ ვადებში ეტაპობრივად დაუახლოოს თავისი კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობასა და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებს შემდეგ სფეროებში:

2002 წლის 7 მარტის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002/21/EC დირექტივა ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და მომსახურებების ზოგადი მარეგულირებელი ჩარჩოს შესახებ (ჩარჩო დირექტივა), რომელიც შესწორდა 2009/140/EC დირექტივით

გამოიყენება 2002/21/EC დირექტივის შემდეგი დებულებები:

- ელექტრონული კომუნიკაციების სფეროს ეროვნული მარეგულირებლი ორგანოს დამოუკიდებლობისა და ადმინისტრაციული რესურსის გაძლიერება;

- ახალი მარეგულირებელი ზომების უზრუნველყოფისათვის საჯარო საკონსულტაციო პროცედურების დანერგვა;

- ელექტრონული კომუნიკაციების სფეროს ეროვნული მარეგულირებლი ორგანოს გადაწყვეტილებების გასაჩივრების ეფექტური მექანიზმის შექმნა;

- ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში *ex ante* (წინასწარ) რეგულაციას დაქვემდებარებული შესაბამისი პროდუქტისა და მომსახურების ბაზრების განსაზღვრა და მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის გამოვლენის მიზნით ამ ბაზრების ანალიზი.

ვადა: 2002/21/EC დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან სამი წლის ვადაში.

2002 წლის 7 მარტის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002/20/EC დირექტივა ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და მომსახურებების ავტორიზაციის შესახებ (ავტორიზაციის შესახებ დირექტივა), რომელიც შესწორდა 2009/140/EC დირექტივით

გამოიყენება 2002/20/EC დირექტივის შემდეგი დებულებები:

- რეგულაციის დანერგვა, რომელიც ითვალისწინებს ზოგად ავტორიზაციას და აწესებს ინდივიდუალური ლიცენზირების საჭიროებას კონკრეტულ, სათანადოდ დასაბუთებულ შემთხვევებში.

ვადა: 2002/20/EC დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან სამი წლის ვადაში.

2002 წლის 7 მარტის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002/19/EC დირექტივა ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელებთან და მასთან დაკავშირებულ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის შესახებ (დაშვების მინიჭების შესახებ დირექტივა), რომელიც შესწორდა 2009/140/EC დირექტივით

2002/21/EC დირექტივის შესაბამისად ჩატარებული ბაზრის ანალიზის საფუძველზე, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროს ეროვნულმა მარეგულირებელმა ორგანომ იმ ოპერატორებს, რომლებსაც გააჩნიათ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება შესაბამის ბაზრებზე, უნდა დაუწესოს შემდეგი სახის ვალდებულებები:

- ქსელის სპეციფიურ ელემენტებთან დაშვება და მათი გამოყენება;
- დაშვებასა და ურთიერთჩართვის სატარიფო კონტროლი, ხარჯებზე ორიენტაციის ვალდებულებების ჩათვლით;
- გამჭვირვალობა, დისკრიმინაციის აკრძალვა და განცალკევებული აღრიცხვა

ვადა: 2002/19/EC დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან სამი წლის ვადაში.

2002 წლის 7 მარტის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002/22/EC დირექტივა უნივერსალური მომსახურებებისა და ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელებსა და მომსახურებებთან დაკავშირებით მომხმარებელთა უფლებების შესახებ (უნივერსალური მომსახურების შესახებ დირექტივა), რომელიც შესწორდა 2009/136/EC დირექტივით

გამოიყენება 2002/22/EC დირექტივის შემდეგი დებულებები:

- უნივერსალური მომსახურების ვალდებულებების შესახებ რეგულაციის დანერგვა, ხარჯთაღრიცხვის და დაფინანსების მექანიზმების განსაზღვრის ჩათვლით;
- მომხმარებელთა ინტერესებისა და უფლებების დაცვის უზრუნველყოფა, კერძოდ, ნომრის პორტაბელურობისა და ერთიანი ევროპული საგანგებო ნომრის - 112 დანერგვა.

ვადა: 2002/22/EC დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

2002 წლის 12 ივლისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002/58/EC დირექტივა ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და პირადი ცხოვრების კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ (პირადი ცხოვრების კონფიდენციალურობისა და ელეტრონული კომუნიკაციების შესახებ დირექტივა), რომელიც შესწორდა 2009/136/EC დირექტივით

გამოიყენება 2002/58/EC დირექტივის შემდეგი დებულებები:

- რეგულაციის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, კერძოდ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში პერსონალური მონაცემების დამუშავებისას, და ასევე ამგვარი მონაცემების და ელექტრონული კომუნიკაციების მოწყობილობებისა და მომსახურებების თავისუფალ გადაადგილებას.

ვადა: 2002/58/EC დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან სამი წლის ვადაში.

2002 წლის 7 მარტის ევროპარლამენტისა და საბჭოს 676/2002/EC გადაწყვეტილება ევროპული გაერთიანების ფარგლებში რადიოსიხშირული სპექტრის პოლიტიკის მარეგულირებელი ჩარჩოს შესახებ

– პოლიტიკისა და რეგულაციის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს რადიოსიხშირული სპექტრის ჰარმონიზებულ ხელმისაწვდომობასა და ეფექტიან გამოყენებას

ვადა: ამ გადაწყვეტილების ამოქმედების შედეგად გასატარებელი ღონისძიებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან სამი წლის ვადაში.

დანართი XV-C

საფოსტო და საკურიერო მომსახურებასთან დაკავშირებული წესები

საქართველოს იღებს ვალდებულებას, განსაზღვრულ ვადებში საკუთარი კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოებაზე ევროკავშირის შემდეგ კანონმდებლობასთან:

1997 წლის 15 დეკემბრის ევროპარლამენტის და საბჭოს 97/67/EC დირექტივა ევროკავშირის საფოსტო მომსახურების შიდა ბაზრის განვითარების და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების საერთო წესების შესახებ

ვადა: დირექტივის დებულებები შესრულდება წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის განმავლობაში.

2002 წლის 10 ივნისის ევროპარლამენტის და საბჭოს 2002/39/EC დირექტივა, რომლითაც ცვლილებები შევიდა 97/67/EC დირექტივაში, რომელიც ეხება ევროკავშირის საფოსტო მომსახურების შემდგომ გახსნას კონკურენციისთვის

ვადა: 2002/39/EC დირექტივის დებულებები შესრულდება წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის განმავლობაში.

2008 წლის 20 თებერვლის ევროპარლამენტის და საბჭოს 2008/6/EC დირექტივა, რომლითაც ცვლილებები შევიდა 97/67/EC დირექტივაში, რომელიც ეხება ევროკავშირის საფოსტო მომსახურების შიდა ბაზრის სრულ ხელმისაწვდომობას

ვადა: 2008/6/EC დირექტივის დებულებები შესრულდება წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის განმავლობაში.

დანართი XV-D

წესები საერთაშორისო საზღვაო ტრანსპორტის სფეროში

საქართველო იღებს ვალდებულებას განსაზღვრულ ვადებში ეტაპობრივად დაუახლოოს თავისი კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობასა და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებს შემდეგ სფეროებში:

საზღვაო ტრანსპორტის უსაფრთოხება – დროშის სახელმწიფო/კლასიფიკაციის საზოგადოებები

2009 წლის 23 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009/15/EC დირექტივა გემების შემოწმების და კვლევითი ორგანიზაციების, ასევე საზღვაო ადმინიტრაციების შესაბამისი საქმიანობებისათვის საერთო წესებისა და სტანდარტების შესახებ

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის ვადაში.

2009 წლის 23 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) N 391/2009 რეგულაცია გემების შემოწმების და კვლევითი ორგანიზაციებისათვის საერთო წესების და სტანდარტების შესახებ

ვადა: ამ რეგულაციის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის ვადაში.

დროშის სახელმწიფო

2009 წლის 23 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009/21/EC დირექტივა დროშის სახელმწიფოს მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

2009 წლის 23 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009/16/EC დირექტივა ნავსადგურის სახელმწიფო კონტროლის თაობაზე[3]

ამ დირექტივის დებულებები გამოიყენება შემდეგი დებულებების გამოკლებით:

- ამ დირექტივის პრეამბულის მე-15 პუნქტი;

- ამ დირექტივის მე-12 დანართის პირველი პუნქტის მე-4 ქვეპუნქტი (გემის დროშის სახელმწიფოების თეთრი, ნაცრისფერი და შავი სიების შემუშავებასთან დაკავშირებით);

- ამ დირექტივის მე-16 მუხლი, რომელიც დაკავშირებულია გარკვეულ გემებზე არდაშვების ზომებთან;

– ამ დირექტივის დებულებები, რომლებიც აკეთებენ კონკრეტულ მითითებას "ნავსადგურის სახელმწიფო კონტროლის შესახებ" პარიზის ურთიერთგაგების მემორანდუმზე კერძოდ კი შემდეგ პუნქტებზე: პრეამბულის მე-9, მე-13, მე-14, 30-ე და მე-40 პუნქტები, 1-ლი მუხლის (b) და (c) პუნქტები, მე-2 მუხლის მე-2, მე-4 და 22-ე პუნქტები, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი, მე-5 მუხლის 2 (b) და მე-3 პუნქტები, მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი, მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის (a) და (b) ქვე-პუნქტები და მე-3 პუქნტის (a) ქვეპუნქტი, მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი, მე-13 მუხლის 1 პუნქტის (b) ქვე-პუნქტი, მე-19 მუხლის მე-4 პუნქტი, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტი, 26-ე მუხლი, 32-ე მუხლის (a) ქვე-პუნქტი, 33-ე მუხლი, I დანართის I მუხლის 1 (c) (i) და (ii), 1 d (i) და (ii), 1 e (i) და (ii) პუნქტები, I დანართის II მუხლის 1, 2A და 2B პუნქტები, III დანართის (f) პუნქტი, VI დანართი, VIII დანართის მე-2 და მე-11 პუნქტები, X დანართის 3.2 პუნქტის მე13ქვე-პუნქტი, XII დანართის 1 პუნქტი.

ვადა: ამ დირექტივის დებულებები, ზემოთმოცემული დებულებების გამოკლებით, უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

გემების მოძრაობის მონიტორინგი

2002 წლის 27 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002/59/EC დირექტივა, რომლითაც შეიქმნა გაერთიანების ფარგლებში გემების მოძრაობის მონიტორინგისა და ინფორმაციული სისტემა

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის ვადაში.

უბედური შემთხვევების გამოძიება

2009 წლის 23 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2009/18/EC საზღვაო ტრანსპორტის სფეროში ინციდენტების გამოკვლევის ძირითადი პრინციპების დაფუძნების თაობაზე

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის ვადაში.

მგზავრების გადამყვანთა პასუხისმგებლობა

2009 წლის 23 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) N 392/2009 რეგულაცია, რომელიც ეხება უბედური შემთხვევების დროს ზღვით მგზავრების გადამყვანთა პასუხისმგებლობას

ვადა: ამ რეგულაციის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის ვადაში.

2006 წლის 15 თებერვლის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) N 336/2006 რეგულაცია, გაერთიანების ფარგლებში საერთაშორისო უსაფრთხოების მართვის კოდექსის იმპლემენტაციის შესახებ

ვადა: ამ რეგულაციის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან სამი წლის ვადაში.

ტექნიკური და სამოქმედო წესები

სამგზავრო გემები

2009 წლის 6 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009/45/EC დირექტივა სამგზავრო გემების უსაფრთხოების წესებისა და სტანდარტების შესახებ

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

1999 წლის 29 აპრილის საბჭოს დირექტივა 1999/35/EC რეგულარული სატრანსპორტო საშუალებების გადამზიდავი ბორნის უსაფრთხო ფუნქციონირებისთვის სავალდებულო შემოწმების სისტემისა და მაღალსიჩქარიანი სამგზავრო გემის მომსახურებების შესახებ

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

2003 წლის 14 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003/25/EC დირექტივა სამგზავრო გემების სტაბილურობის სპეციფიკური მოთხოვნების შესახებ

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის ვადაში.

ნავთობის ტანკერები

2002 წლის 18 თებერვლის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) N 417/2002 დირექტივა ერთ-კორპუსიანი ნავთობის ტანკერებისთვის ორ-კორპუსიანი ან მსგავსი დიზაინის მოთხოვნების მზარდი შემოღების შესახებ

ერთ-კორპუსიანი ტანკერების ფუნქციონირებიდან ამოღების დროის განრიგი განისაზღვრება "გემებისგან დაბინძურების პრევენციის შესახებ" საერთაშორისო (მარპოლის) MARPOL კონვენციის მიერ დადგენილი განრიგის მიხედვით.

სატვირთო გემები

2001 წლის 4 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2001/96/EC დირექტივა რომლითაც ჩამოყალიბდა სატვირთო გემებზე ტვირთის უსაფრთხო ჩატვირთვისა და გადმოტვირთვის ჰარმონიზებული მოთხოვნები და პროცედურები

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

ეკიპაჟი

2008 წლის 19 ნოემბერს ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008/106 დირექტივა მეზღვაურთა მინიმალურ დონეზე ტრეინინგის შესახებ

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან სამი წლის ვადაში.

გარემო

2000 წლის 27 ნოემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2000/59/EC დირექტივა ნავსადგურში გემების მიერ გენერირებული და ტვირთების ნარჩენების მიმღები მოწყობილობების შესახებ

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

2003 წლის 14 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) N 782/2003 რეგულაცია გემებზე ორგანოტინის ნაერთების აკრძალვის შესახებ

ვადა: ამ რეგულაციის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის ვადაში.

ტექნიკური პირობები

2010 წლის 20 ოქტომბრის 2010/65/EU დირექტივა გაერთიანების წევრი სახელმწიფოების ნავსადგურებში შემოსული ან/და ნავსადგურებიდან გასული გემების ფორმალობებთან დაკავშირებული ანგარიშების შესახებ

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

სოციალური პირობები

1992 წლის 31 მარტის საბჭოს 92/29/EEC დირექტივა გემების ბორტზე გაუმჯობესებული სამედიცინო მკურნალობის მიზნით უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების შესახებ

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის ვადაში.

1999 წლის 21 ივნისის საბჭოს 1999/63/EC დირექტივა, რომელიც ეხება "მეზღვაურთა სამუშაო დროის ორგანიზების შესახებ" შეთანხმებას, რომელიც გაფორმდა ევროპის გაერთიანების გემთმფლობელთა ასოციაციასა (ECSA) და ევროკავშირში ტრანსპორტის მუშაკთა გაერთიანებების ფედერაციას (FST) შორის – დანართი: "მეზღვაურთა სამუშაო დროის ორგანიზების შესახებ" ევროპული შეთანხმება

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

1999 წლის 13 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 1999/95/EC დირექტივა გაერთიანების ნავსადგურებში შემოსული გემების ბორტზე მეზღვაურთა სამუშაო საათებთან მიმართებით დებულებების ამოქმედების თაობაზე

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

საზღვაო უსაფრთხოება

2005 წლის 26 ოქტომბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2005/65/EC დირექტივა ნავსადგურების უსაფრთხოების გაძლიერების თაობაზე

ვადა: ამ დირექტივის დებულებები (კომისიის შემოწმებასთან დაკავშირებული დებულებების გარდა) უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის ვადაში.

2004 წლის 31 მარტის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) N 725/2004 რეგულაცია გემებისა და ნავსადგურების მოწყობილობების უსაფრთხოების გაძლიერების თაობაზე

ვადა: ამ რეგულაციის დებულებები (კომისიის შემოწმებასთან დაკავშირებული დებულებების გარდა) უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის ვადაში.

[1] თუმცა საქართველოს შეუძლია გადაავადოს შესაბამისი რისკებისათვის უფრო განვითარებული მიდგომებისა და სავაჭრო წიგნის წესების იმპლემენტაცია. საქართველო წაახალისებს შესაძლებლობების განვითარებას თავისი საბანკო სექტორისა და მარეგულირებელი ორგანოების ფარგლებში შემდგომი წლებისათვის უფრო დახვეწილი მიდგომების გამოყენების თვალსაზრისით, რათა აღნიშნულის იმპლემენტაცია განხორციელდეს რვა წლის განმავლობაში. საქართველო უზრუნველყოფს, რომ იმდენად, რამდენადაც სავაჭრო წიგნის წესები არ არის შესრულებული, საქართველოს ბანკებისა და საინვესტიციო ფირმების სავაჭრო წიგნები იქნება 2006/49/EC დირექტივის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ მინიმუმ ზღვარს ქვემოთ.

[2] თუმცა საქართველოს შეუძლია გადაავადოს შესაბამისი რისკებისათვის უფრო განვითარებული მიდგომებისა და სავაჭრო წიგნის წესების იმპლემენტაცია. საქართველო წაახალისებს შესაძლებლობების განვითარებას თავისი საბანკო სექტორისა და მარეგულირებელი ორგანოების ფარგლებში შემდგომი წლებისათვის უფრო დახვეწილი მიდგომების გამოყენების თვალსაზრისით, რათა აღნიშნულის იმპლემენტაცია განხორციელდეს რვა წლის განმავლობაში. საქართველო უზრუნველყოფს, რომ იმდენად, რამდენადაც სავაჭრო წიგნის წესები არ არის შესრულებული, საქართველოს ბანკებისა და საინვესტიციო ფირმების სავაჭრო წიგნები იქნება 2006/49/EC დირექტივის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ მინიმუმ ზღვარს ქვემოთ.

[3] აღნიშნული დირექტივით გაუქმდა 1995 წლის 19 ივნისის 95/21/EC დირექტივა თანამეგობრობის ნავსადგურების გამოყენებასთან და წევრი ქვეყნების იურისდიქციის ქვეშ მყოფ წყლებში ცურვასთან მიმართებით, გემების უსაფრთხოების, დაბინძურების თავიდან აცილებისა და გემზე ცხოვრებისა და მუშაობის პირობების საერთაშორისო სტანდარტების დაკმაყოფილების შესახებ (ნავსადგურის სახელმწიფო კონტროლი).

დანართი XVI

საჯარო შესყიდვები

დანართი XVI-A

მონეტარული ზღვრები

1. ამ შეთანხმების 142-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მონეტარული ზღვრები ორივე მხარისთვის არის:

(a) 130 000 ევრო ცენტრალური ხელისუფლების ორგანოების მიერ დადებული საქონლის მიწოდების და მომსახურების საჯარო ხელშეკრულებებისათვის, გარდა საჯარო სამუშაოების, საჯარო მიწოდების და საჯარო მომსახურების კონტრაქტების დასადებად გამარჯვებულის გამოვლენის პროცედურების კოორდინაციის შესახებ 2004 წლის 31 მარტის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004/18/EC დირექტივის მე-7 მუხლის „b“ პუნქტის მესამე აბზაცისა;

(b) 200 000 ევრო იმ საქონლის მიწოდებისა და მომსახურების საჯარო ხელშეკრულებებისათვის, რომლებსაც არ ფარავს „a“ პუნქტი;

(c) 5 000 000 ევრო საჯარო სამუშაოების ხელშეკრულებებისა და კონცესიების შემთხვევაში;

(d) 5 000 000 ევრო კომუნალური მომსახურების სექტორში სამუშაოების ხელშეკრულებების შემთხვევაში;

(e) 400 000 ევრო კომუნალური მომსახურების სექტორში საქონლის მიწოდებისა და მომსახურების ხელშეკრულებების შემთხვევაში.

2. პირველ პუნქტში გათვალისწინებული მონეტარული ზღვრები უნდა გადაისინჯოს, რათა ასახოს ზღვრები, რომლებიც გამოიყენება 2013 წლის 13 დეკემბრის კომისიის (EU) No 1336/2013 რეგულაციით, რომელსაც ცვლილება შეაქვს ევროპარლამენტისა და საბჭოს

2004/17/EC, 2004/18/EC და 2009/81/EC დირექტივებში და რომელიც ეხება კონტრაქტის დასადებად გამარჯვებულის გამოვლენის პროცედურებისთვის ზღვრების გამოყენებას ამ შეთანხმების ძალაში შესვლის მომენტისათვის.

_____

დანართი XVI-B

ინსტიტუციური რეფორმის, დაახლოების და ბაზარზე

დაშვების საორიენტაციო განრიგი

ეტაპი		**საორიენტაციო ვადები**	**საქართველოს მიერ ევროკავშირისთვის ბაზარზე დაშვების მინიჭება**	**ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის ბაზარზე დაშვების მინიჭება**	
1	ამ შეთანხმების 143-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 144-ე მუხლის იმპლემენტაცია ამ შეთანხმების 145-ე გათვალისწინებული რეფორმის სტრატეგიის შეთანხმება.	შეთანხმების ძალაში შესვლიდან 3 წელი	საქონლის შესყიდვა ცენტრალური ხელისუფლების ორგანოების მიერ	საქონლის შესყიდვა ცენტრალური ხელისუფლების ორგანოების მიერ	
2	ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004/18/EC დირექტივის და საბჭოს 89/665/EEC დირექტივის ძირითად ელემენტებთან დაახლოება და იმპლემენტაცია	შეთანხმების ძალაში შესვლიდან 5 წელი	საქონლის შესყიდვა სახელმწიფო, რეგიონალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისა და საჯარო სამართალს დაქვემდებარებული ორგანოებისათვის	საქონლის შესყიდვა სახელმწიფო, რეგიონალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისა და საჯარო სამართალს დაქვემდებარებული ორგანოებისათვის	წინამდებარე შეთანხმების დანართები XVI-C და XVI-D
3	ევროპარლამენტის და საბჭოს 2004/17/EC დირექტივის და საბჭოს 92 /13/EEC დირექტივის ძირითად ელემენტებთან დაახლოება და იმპლემენტაცია	შეთანხმების ძალაში შესვლიდან 6 წელი	Mსაქონლის შესყიდვა კომუნალური მომსახურების სექტორში მოქმედი ყველა შემსყიდველი ორგანიზაციისთვის	საქონლის შესყიდვა ყველა შემსყიდველი ორგანიზაციისთვის	შეთანხმების დანართები XVI-E და XVI-F
	2004/18/EC დირექტივის სხვა ელემენტებთან	შეთანხმების ძალაში	Mმომსახურების და სამუშაოს შესყიდვა და კონცესიის	მომსახურების და სამუშაოს შესყიდვა და კონცესიის	შეთანხმების დანართები XVI-G, XVI-H

4	დაახლოება და იმპლემენტაცია	შესვლიდან 7 წელი	განხორციელება ყველა შემსყიდველი ორგანიზაციისთვის	განხორციელება ყველა შემსყიდველი ორგანიზაციისთვის	და XVI-I
5	2004/17/EC დირექტივის სხვა ელემენტებთან დაახლოება და იმპლემენტაცია	შეთანხმების ძალაში შესვლიდან 8 წელი	მომსახურების და სამუშაოს შესყიდვა კომუნალური მომსახურების სფეროში მოქმედი ყველა შემსყიდველი ორგანიზაციისთვის	მომსახურების და სამუშაოს შესყიდვა კომუნალური მომსახურების სფეროში მოქმედი ყველა შემსყიდველი ორგანიზაციისთვის	შეთანხმების დანართები XVI-J და XVI-K

დანართი XVI-C

ევროპარლამეტისა და საბჭოს 2004/18/EC დირექტივის ძირითადი ელემენტები[1]

(ეტაპი 2)

კარი I

განმარტებები და ძირითადი პრინციპები

მუხლი1 განმარტებები (პუნქტები: 1, 2, 8, 9, 11(a), 11 (b) და 11 (d), 12, 13, 14 და 15)

მუხლი 2 ხელშეკრულების დასადებად გამარჯვებულის გამოვლენის პრინციპები

მუხლი 3 სპეციალური ან ექსკლუზიური უფლების მინიჭება: არადისკრიმინაციულობა

კარი II

წესები საჯარო ხელშეკრულებების შესახებ

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 4 ეკონომიკური ოპერატორები

მუხლი 6 კონფიდენციალურობა

თავი II

მოქმედების სფერო

ნაწილი 1 - ზღვრები

მუხლი 8 ხელშეკრულებები, რომლებიც 50%-ზე მეტით სუბსიდირებულია შემსყიდველი ორგანოების მიერ

მუხლი 9 საჯარო ხელშეკრულებების, ჩარჩო ხელშეკრულებებისა და დინამიური შესყიდვის სისტემის სავარაუდო ღირებულების გამოთვლის მეთოდები

ნაწილი 2 - განსაკუთრებული სიტუაციები

მუხლი 10 თავდაცვასთან დაკავშირებული შესყიდვები

ნაწილი 3 - გამონაკლისი ხელშეკრულებები

მუხლი 12 ხელშეკრულებები წყლის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის და საფოსტო მომსახურების სფეროში (მხოლოდ მას შემდეგ, რაც 2004/17/EC დირექტივის ძირითადი ელემენტები იქნება დაახლოებული)

მუხლი 13 განსაკუთრებული გამონაკლისები ტელეკომუნიკაციების სფეროში

მუხლი 14 საიდუმლო ხელშეკრულებები და ხელშეკრულებები, რომლებიც მოითხოვენ უსაფრთხოების სპეციალურ ზომებს

მუხლი 15 საერთაშორისო წესების შესაბამისად დადებული ხელშეკრულებები

მუხლი 16 განსაკუთრებული გამონაკლისები

მუხლი 18 ექსკლუზიური უფლების საფუძველზე დადებული მომსახურების ხელშეკრულებები

ნაწილი 4 - სპეციალური ზომები

მუხლი 19 - დათქმა ხელშეკრულებაზე

თავი III
მომსახურების საჯარო ხელშეკრულების მომზადება

მუხლი 20 II A დანართში ჩამოთვლილი მომსახურების ხელშეკრულებები

მუხლი 21 II B დანართში ჩამოთვლილი მომსახურების ხელშეკრულებები

მუხლი 22 II A დანართში ჩამოთვლილი მომსახურების და II B დანართში ჩამოთვლილი მომსახურების მომცველი

შერეული ხელშეკრულებები

თავი IV
სპეციალური წესები, რომლებიც არეგულირებენ დეტალებს და ხელშეკრულების დოკუმენტებს

მუხლი 23 ტექნიკური დეტალები

მუხლი 24 ვარიანტები

მუხლი 25 ქვეკონტრაქტი

მუხლი 26 ხელშეკრულების შესრულების პირობები

მუხლი 27 გადასახადებთან, გარემოს დაცვასთან, დასაქმებულთა დაცვის უზრუნველყოფასთან და სამუშაო პირობებთან დაკავშირებული ვალდებულებები

თავი V
პროცედურები

მუხლი 28 ღია, შეზღუდული და შეთანხმებული პრცედურების და კონკურენტული დიალოგის გამოყენება

მუხლი 30 შემთხვევები, რომლებიც ასაბუთებენ შეთანხმებული პროცედურის გამოყენებას ხელშეკრულების დადების თაობაზე წინასწარი შეტყობინებით

მუხლი 31 შემთხვევები, რომლებიც ასაბუთებენ შეთანხმებული პროცედურის გამოყენებას ხელშეკრულების დადების თაობაზე შეტყობინების გარეშე

თავი VI

წესები ინფორმაციის გავრცელებასა და გამჭირვალობის შესახებ

ნაწილი 1 - შეტყობინების გამოქვეყნება

მუხლი 35 შეტყობინებები: პირველი პუნქტი შესაბამისი შესწორებების გათვალისწინებით (mutatis mutandis); მე-2 პუნქტი; მე-4 პუნქტის პირველი, მე-3 და მე-4 ქვეპუნქტები

მუხლი 36 შეტყობინების გამოქვეყნების ფორმა და წესი: პირველი პუნქტი; მე-7 პუნქტი

ნაწილი 2 - ვადები

მუხლი 38 ტენდერში მონაწილეობაზე მოწვევის მიღებისა და ტენდერში მონაწილეობის ვადები

მუხლი 39 ღია პროცედურები: დეტალები, დამატებითი დოკუმენტაცია და ინფორმაცია

ნაწილი 3 - ინფორმაციის შინაარსი და გავრცელების საშუალებები

მუხლი 40 მოწვევა სატენდერო წინადადების წარსადგენად, დიალოგში მონაწილეობისთვის ან მოლაპარაკებისთვის

მუხლი 41 კანდიდატების და ტენდერში მონაწილეების ინფორმირება

ნაწილი 4 - კომუნიკაცია

მუხლი 42 კომუნიკაციისათვის გამოსაყენებელი წესები

თავი VII
პროცედურის ჩატარება

ნაწილი 1 - ზოგადი დებულებები

მუხლი 44 შესაბამისობის დადგენა, მონაწილეების არჩევა და ხელშეკრულების დასადებად გამარჯვებულის გამოვლენა

ნაწილი 2 - თვისობრივი არჩევის კრიტერიუმები

მუხლი 45 კანდიდატის ან ტენდერში მონაწილის პირადი მდგომარეობა

მუხლი 46 შესაბამისობა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისთვის

მუხლი 47 ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობა

მუხლი 48 ტექნიკური და/ან პროფესიული შესაძლებლობა

მუხლი 49 თვისობრიობის უზრუნველყოფის სტანდარტები

მუხლი 50 გარემოსდაცვითი მართვის სტანდარტები

მუხლი 51 დამატებითი დოკუმენტაცია და ინფორმაცია

ნაწილი 3 - ხელშეკრულების დადება

მუხლი 53 ხელშეკრულების დასადებად გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები

2004/18/EC დირექტივის დანართები:

დანართი I საქმიანობის ჩამონათვალი, რომელიც მითითებულია პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „b“ ქვეპუნქტში

დანართი II მომსახურება, რომელიც მითითებულია პირველი მუხლის მე-2 პუნქტის “d” ქვეპუნქტში

დანართი II A

დანართი II B

დანართი V შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ თავდაცვის სფეროში შესასყიდი საქონლის ჩამონათვალი, რომელიც მითითებულია მე-7 მუხლში

დანართი VI ცალკეული ტექნიკური დეტალების განმარტება

დანართი VII ინფორმაცია, რომელსაც უნდა მოიცავდეს შეტყობინება

დანართი VII A ინფორმაცია, რომელსაც უნდა მოიცავდეს საჯარო ხელშეკრულების შესახებ შეტყობინება

დანართი X მოთხოვნები ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობაზე, პროექტის კონკურსში მონაწილეობასთან დაკავშირებული მოთხოვნები და გეგმები და პროექტები

დანართი XVI-D

საბჭოს 89/665/EEC დირექტივის ძირითადი ელემენტები[2]

რომელიც ჩასწორებულ იქნა 2007 წლის 11 დეკემბრის ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2007/66/EC დირექტივით[3]

(ეტაპი 2)

მუხლი 1 დავების განხილვის პროცედურების მოქმედების სფერო და ხელმისაწვდომობა

მუხლი 2 დავების განხილვის პროცედურებთან დაკავშირებული მოთხოვნები

მუხლი 2a უმოქმედობის პერიოდი

მუხლი 2b გამონაკლისი უმოქმედობის პერიოდიდან 2(b) მუხლის პირველი პუნქტის „b“ ქვეპუნქტი

მუხლი 2c გასაჩივრების ვადები

მუხლი 2d ძალადაკარგულად ცნობა

პირველი პუნქტის „b“ ქვეპუნქტი
მე-2 და მე-3 პუნქტები

მუხლი 2e ამ დირექტივის დარღვევა და ალტერნატიული სანქციები

მუხლი 2f ვადები

დანართი XVI-E

ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004/17/EC დირექტივის ძირითადი ელემენტები[4]

(ეტაპი 3)

კარი I

ხელშეკრულებებისა და პროექტის კონკურსებთან დაკავშირებული ზოგადი დებულებები

თავი I
ძირითადი ცნებები

მუხლი 1 განმარტებები (მე-2, მე-7, მე-9, მე-11, მე-12 და მე-13 პუნქტები)

თავი II

იმ საქმიანობის და ორგანიზაციების განმარტება, რომელსაც მოიცავს ეს დირექტივა

ნაწილი 1 - ორგანიზაციები

მუხლი 2 შემსყიდველი ორგანიზაციები

ნაწილი 2 - საქმიანობა

მუხლი 3 გაზი, გათბობა და ელექტროენერგია

მუხლი 4 წყალი

მუხლი 5 სატრანსპორტო მომსახურება

მუხლი 6 საფოსტო მომსახურება

მუხლი 7 ნავთობის, გაზის, ქვანახშირის ან სხვა მყარი საწვავის მოძიება ან მოპოვება, ასევე პორტები და აეროპორტები

მუხლი 9 ხელშეკრულებები, რომლებიც ფარავს რამდენიმე საქმიანობას

თავი III
ზოგადი პრინციპები

მუხლი 10 ხელშეკრულების დასადებად გამარჯვებულის გამოვლენის პრინციპი

კარი II
ხელშეკრულებისთვის გამოსაყენებელი წესები

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 11 ეკონომიკური ოპერატორები

მუხლი 13 კონფიდენციალურობა

თავი II
ზღვრები და გამონაკლისი დებულებები

ნაწილი 1 - ზღვრები

მუხლი 16 ხელშეკრულების ზღვრები

მუხლი 17 ხელშეკრულების, ჩარჩო ხელშეკრულების და დინამიური სისტემის სავარაუდო ღირებულების გამოთვლის

მეთოდები

ნაწილი 2 - ხელშეკრულებები, კონცესიები და განსაკუთრებულ რეჟიმს დაქვემდებარებული ხელშეკრულებები

ქვენაწილი 2 – გამონაკლისები, რომლებიც ვრცელდება ყველა შემსყიდველ ორგანიზაციაზე და ყველა ტიპის ხელშეკრულებაზე

მუხლი 19 შემდგომი გაყიდვის ან მესამე პირზე იჯარით გაცემის მიზნით დადებული ხელშეკრულებები

მუხლი 20 ამ დირექტივით გათვალისწინებული საქმიანობის მიზნებისაგან განსხვავებული მიზნით დადებული ხელშეკრულება ან მესამე ქვეყანაში ამ საქმიანობის განხორციელების მიზნით დადებული ხელშეკრულება: პუნქტი 1

მუხლი 21 საიდუმლო ან განსაკუთრებული დაცვის ზომების საჭიროების ხელშეკრულებები

მუხლი 22 საერთაშორისო წესების გათვალისწინებით დადებული ხელშეკრულებები

მუხლი 23 აფილირებულ საწარმოსთან, ერთობლივ საწარმოსთან ან ერთობლივი საწარმოს მონაწილე შემსყიდველ ორგანიზაციასთან ხელშეკრულების დადება

ქვენაწილი 3 – გამონაკლისები ყველა შემსყიდველი ორგანიზაციისთვის, მხოლოდ მომსახურების ხელშეკრულებებზე

მუხლი 24 ამ დირექტივის მოქმედების სფეროდან ზოგიერთ გამონაკლის მომსახურებასთან დაკავშირებული ხელშეკრულებები

მუხლი 25 ექსკლუზიური უფლებების საფუძველზე დადებული მომსახურების ხელშეკრულებები

ქვენაწილი 4 – გამონაკლისები, რომელბიც ეხება მხოლოდ ზოგიერთ შემსყიდველ ორგანიზაციას

მუხლი 26 ზოგიერთი შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დადებული ხელშეკრულება, წყლის შესყიდვისთვის და ელექტროენერგიის წარმოებისთვის ელექტროენერგიისა და საწვავის შესყიდვისთვის

თავი III
მომსახურების ხელშეკრულებებისთვის გამოსაყენებელი წესები

მუხლი 31 XVII A დანართში ჩამოთვლილი მომსახურების ხელშეკრულებები

მუხლი 32 XVII B დანართში ჩამოთვლილი მომსახურების ხელშეკრულებები

მუხლი 33 XVII A დანართში და XVII B დანართში ჩამოთვლილი შერეული მომსახურების ხელშეკრულებები

თავი IV
სპეციალური წესები, რომლებიც არეგულირებენ დეტალებსა და ხელშეკრულების დოკუმენტებს

მუხლი 34 ტექნიკური დეტალები

მუხლი 35 ტექნიკური დეტალების კომუნიკაცია

მუხლი 36 ვარიანტები

მუხლი 37 ქვეკონტრაქტები

მუხლი 39 გადასახადებთან, გარემოს დაცვასთან, დასაქმებულთა დაცვის უზრუნველყოფასთან და სამუშაო პირობებთან დაკავშირებული ვალდებულებები

თავი V
პროცედურები

მუხლი 40 (მე-3 პუნქტის „i“ და „l“ ქვეპუნქტების გარდა) ღია, შეზღუდული და მოლაპარაკებების პროცედურების გამოყენება

თავი VI
გამოქვეყნების და გამჭირვალობის წესები

ნაწილი 1 –შეტყობინების გამოქვეყნება

მუხლი 41 პერიოდული საორიენტაციო შეტყობინებები და კვალიფიკაციის სისტემის არსებობის შესახებ შეტყობინებები

მუხლი 42 შეტყობინება, რომელიც გამოიყენება კონკურენციის შექმნის საშუალებად. პირველი და მე-3 პუნქტები

მუხლი 43 შეტყობინება ხელშეკრულების დადების თაობაზე (გარდა პირველი პუნქტის მე-2 და მე-3 ქვეპუნქტებისა)

მუხლი 44 შეტყობინების გამოქვეყნების ფორმა და წესი (მე-2 პუნქტის პირველი ქვეპუნქტის და მე-4, მე-5 და მე-7 პუნქტების გარდა)

ნაწილი 2 – ვადები

მუხლი 45 ტენდერში მონაწილეობაზე მოწვევის მიღების და ტენდერში მონაწილეობის ვადები

მუხლი 46 ღია პროცედურები: დეტალები, დამატებითი დოკუმენტაცია და ინფორმაცია

მუხლი 47 მოწვევა სატენდერო წინადადების წარსადგენად ან მოლაპარაკებაში მონაწილეობის მისაღებად

ნაწილი 3 - კომუნიკაცია და ინფორმაცია

მუხლი 48 კომუნიკაციისათვის გამოსაყენებელი წესები

მუხლი 49 ინფორმაცია განმცხადებლების კვალიფიკაციის, კანდიდატების და ტენდერში მონაწილეების შესახებ

თავი VII
პროცედურის ჩატარება

მუხლი 51 ზოგადი დებულებები

ნაწილი 1 - კვალიფიკაცია და თვისობრივი შერჩევა

მუხლი 52 ადმინისტრაციული, ტექნიკური ან ფინანსური მდგომარეობის და სერთიფიკატების, შემოწმების შედეგების და მტკიცებულებების ორმხრივი აღიარება

მუხლი 54 თვისობრივი შერჩევის კრიტერიუმები

ნაწილი 2 - ხელშეკრულების დასადებად გამარჯვებულის გამოვლენა

მუხლი 55 ხელშეკრულების დასადებად გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები

მუხლი 57 უჩვეულოდ დაბალი ფასი ტენდერში

2004/17/EC დირექტივის დანართები

დანართი XIII ინფორმაცია, რომელსაც უნდა მოიცავდეს შეტყობინება ხელშეკრულების თაობაზე:

A. ღია პროცედურები

B. შეზღუდული პროცედურები

C. შეთანხმებული პროცედურები

დანართი XIV ინფორმაცია, რომელსაც უნდა მოიცავდეს შეტყობინება კვალიფიკაციის სისტემის არსებობის შესახებ

დანართი XV A ინფორმაცია, რომელსაც უნდა მოიცავდეს პერიოდული საორიენტაციო შეტყობინება

დანართი XV B ინფორმაცია, რომელსაც უნდა მოიცავდეს შეტყობინება მყიდველის პროფილის შესახებ, რომელიც არ იქნა გამოყენებული კონკურენციის შექმნის საშუალებად პერიოდული საორიენტაციო შეტყობინების გამოქვეყნებისას.

დანართი XVI ინფორმაცია, რომელსაც უნდა მოიცავდეს ხელშეკრულების დადების შესახებ ხელშეკრულება

დანართი XVII A 31-ე მუხლით გათვალისწინებული მომსახურება

დანართი XVII B 32-ე მუხლით გათვალისწინებული მომსახურება

დანართი XX გამოქვეყნებასთან დაკავშირებული დეტალები

დანართი XXI ზოგიერთი ტექნიკური დეტალის განმარტება

დანართი XXIII შრომის საერთაშორისო კანონმდებლობის დებულებები 59-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად

დანართი XXIV მოთხოვნები ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობისათვის, პროექტის კონკურსში მონაწილეობისთვის, საკვალიფიკაციო განაცხადებისთვის და გეგმებისა და პროექტებისთვის

დანართი XVI-F

საბჭოს 92/13/EEC დირექტივის ძირითადი ელემენტები[5]

რომელიც ჩასწორებულ იქნა ევროპარლამენტისა და საბჭოს 2007/66/EC დირექტივით[6]

(ეტაპი 3)

მუხლი1 დავების განხილვის მოქმედების სფერო და ხელმისაწვდომობა

მუხლი 2 დავების განხილვის პროცედურასთან დაკავშირებული მოთხოვნები

მუხლი 2a უმოქმედობის პერიოდი

მუხლი 2b გამონაკლისი უმოქმედობის პერიოდიდან

2b მუხლის 1-ლი პუნქტის „b“ ქვეპუნქტი

მუხლი 2c გასაჩივრების ვადები

მუხლი 2d ძალადაკარგულად ცნობა

პირველი პუნქტის „b“ ქვეპუნქტი

მე-2 და მე-3 პუნქტები

მუხლი2e ამ დირექტივის დარღვევა და ალტერნატიული სანქციები

მუხლი 2f ვადები

დანართი XVI-G

ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004/18/EC დირექტივის სხვა არასავალდებულო ელემენტები[7]

(ეტაპი 4)

f

ამ დანართში მოცემული 2004/18/EC დირექტივის ელემენტები არ არის სავალდებულო, მაგრამ რეკომენდირებულია დაახლოებისთვის. საქართველოს შეუძლია განახორციელოს ამ ელემენტების დაახლოება XVI-B დანართში მოცემულ ვადებში

კარი I
განმარტებები და ზოგადი პრინციპები

მუხლი 1 განმარტებები (მე-5, მე-6, მე-7, მე-10 და 11(c) პუნქტები)

კარი II
საჯარო ხელშეკრულებების წესები

თავი II
მოქმედების სფერო

ნაწილი 2 - განსაკუთრებული სიტუაციები

მუხლი 11 ცენტრალური შემსყიდველი ორგანოების მიერ დადებული საჯარო ხელშეკრულებები და ჩარჩო ხელშეკრულებები

ნაწილი 4 - სპეციალური ზომები

მუხლი19 დათქმა ხელშეკრულებაზე

თავი V

პროცედურები

მუხლი 29 კონკურენტული დიალოგი

მუხლი 32 ჩარჩო ხელშეკრულება

მუხლი 33 დინამიური შესყიდვის სისტემა

მუხლი 34 საჯარო სამუშაოების ხელშეკრულება: განსაკუთრებული წესები სუბსიდირებული საცხოვრებლების მშენებლობის სქემებზე

თავი VI

ინფორმაციის გავრცელების და გამჭირვალობის წესები

ნაწილი 1 - შეტყობინების გამოქვეყნება

მუხლი 35 შეტყობინებები: მე-3 პუნქტი და მე-4 პუნქტის მე-2 და მე-3 ქვეპუნქტები

თავი VII
პროცედურის ჩატარება

ნაწილი 2 - თვისობრივი შერჩევის კრიტერიუმები

მუხლი 52 დამტკიცებული ეკონომიკური ოპერატორების ოფიციალური სია და საჯარო ან კერძო სამართლის ფარგლებში დაფუძნებული ორგანოების მიერ სერტიფიცირება

ნაწილი 3 - ხელშეკრულების დასადებად გამარჯვებულის გამოვლენა

მუხლი 54 ელექტრონული აუქციონის გამოყენება

ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004/18/EC დირექტივის სხვა სავალდებულო ელემენტები[8]

(ეტაპი 4)

კარი I
განმარტებები და ზოგადი დებულებები

მუხლი 1 განმარტებები (მე-3, მე-4 და მე-11(e) პუნქტები)

კარი II
საჯარო ხელშეკრულებების წესები

თავი II
მოქმედების სფერო

ნაწილი 3 - გამონაკლისი ხელშეკრულებები

მუხლი 17 მომსახურების კონცესიები

კარი III
მომსახურების საჯარო სამუშაოების კონცესიების წესები

თავი I

მომსახურების საჯარო კონცესიების წესები

მუხლი 56 მოქმედების სფერო

მუხლი 57 გამონაკლისები მოქმედების სფეროდან (ბოლო პუნქტის გარდა)

მუხლი 58 მომსახურების საჯარო კონცესიების შესახებ შეტყობინების გამოქვეყნება

მუხლი 59 ვადები

მუხლი 60 ქვეკონტრაქტი

მუხლი 61 კონცესიონერისათვის დამატებითი სამუშაოს გადაფორმება

თავი II
იმ კონცესიონერების მიერ დადებული ხელშეკრულების წესები, რომლებიც წარმოადგენენ შემსყიდველ ორგანიზაციებს

მუხლი 62 გამოსაყენებელი წესები

თავი III

იმ კონცესიონერების მიერ დადებული ხელშეკრულების წესები, რომლებიც არ წარმოადგენენ შემსყიდველ ორგანიზაციებს

მუხლი 63 გავრცელების წესები: ზღვარი და გამონაკლისები

მუხლი 64 შეტყობინების გამოქვეყნება

მუხლი 65 მონაწილეობის თაობაზე მოწვევის მიღება და ტენდერში მონაწილეობის ვადები

თავი IV
პროექტის შესყიდვის კონკურსის წესები

მუხლი 66 ზოგადი დებულებები

მუხლი 67 მოქმედების სფერო

მუხლი 68 გამონაკლისები მოქმედების სფეროდან

მუხლი 69 შეტყობინება

მუხლი 70 კონკურსის შეტყობინებების გამოქვეყნების ფორმა და წესი

მუხლი 71 კომუნიკაციის საშუალებები

მუხლი 72 კონკურსში მონაწილეების შერჩევა

მუხლი 73 ჟიურის შემადგენლობა

მუხლი 74 ჟიურის გადაწყვეტილება

დანართი VII B ინფორმაცია, რომელსაც უნდა შეიცავდეს შეტყობინება მომსახურების საჯარო სამუშაოს ჩატარების კონცესიის შესახებ

დანართი VII C ინფორმაცია, რომელსაც უნდა შეიცავდეს იმ კონცესიონერების სამუშაოს შესყიდვის ხელშეკრულების თაობაზე შეტყობინება, რომლებიც არ არიან შემსყიდველი ორგანიზაციები

დანართიVII D ინფორმაცია, რომელსაც უნდა შეიცავდეს პროექტის კონკურსის შეტყობინება

საბჭოს 89/665/EEC დირექტივის სხვა ელემენტები[9]

რომელშიც შეტანილია ცვლილებები ევროპარლამენტისა და საბჭოს 2007/66/EC დირექტივით[10]

(ეტაპი 4)

მუხლი 2b გამონაკლისი უმოქმედობის პერიოდიდან
2b მუხლის 1-ლი პუნქტის „c“ ქვეპუნქტი

მუხლი 2d ძალადაკარგულად ცნობა

2d მუხლის 1-ლი პუნქტის „c“ ქვეპუნქტი

პუნქტი 5

დანართი XVI-J

ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004/17/EC დირექტივის სხვა არასავალდებულო ელემენტები[11]

(ეტაპი 5)

ამ დანართში მოცემული 2004/17/EC დირექტივის ელემენტები არ არის სავალდებულო, მაგრამ რეკომენდირებულია დაახლოებისთვის. საქართველოს შეუძლია განახორციელოს ამ ელემენტების დაახლოება XVI-B დანართში მითითებულ ვადებში.

კარი I
ზოგადი დებულებები ხელშეკრულების და პროექტის კონკურსების შესახებ

თავი I
ძირითადი ტერმინები

მუხლი 1 განმარტებები (მე-4, მე-5, მე-6 და მე-8 პუნქტები)

კარი II
ხელშეკრულებისთვის გამოსაყენებელი წესები

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 14 ჩარჩო ხელშეკრულებები

მუხლი 15 დინამიური შესყიდვის სიტემა

ნაწილი 2 - ხელშეკრულებები და კონცესიები და სპეციალური რეგულირების ხელშეკრულებები

ქვენაწილი 5 - სპეციფიკური რეგულირების ხელშეკრულებები, დებულებები, რომლებიც ეხება ცენტრალურ შემსყიდველ ორგანოებს და ზოგადი პროცედურა კონკურენციის პირდაპირი გამოვლენისას

მუხლი 28 დათქმა ხელშეკრულებაზე

მუხლი 29 ცენტრალური შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ დადებული ხელშეკრულებები და ჩარჩო ხელშეკრულებები

თავი V

პროცედურები

მუხლი 40 მე-3 პუნქტის „i“და „l“ ქვეპუნქტები

თავი VI
გამოქვეყნების და გამჭირვალობის წესები

ნაწილი 1 - შეტყობინებების გამოქვეყნება

მუხლი 42 შეტყობინება, რომელიც გამოიყენება კონკურენციის შექმნისათვის: პუნქტი 2

მუხლი 43 შეტყობინება ხელშეკრულების დადებაზე (მხოლოდ პირველი პუნქტის მე-2 და მე-3 ქვეპუნქტებისთვის)

თავი VII
პროცედურის ჩატარება

ნაწილი 2 - ხელშეკრულების დასადებად გამარჯვებულის გამოვლენა

2004/17/EC დირექტივის დანართი

დანართი XIII ინფორმაცია, რომელსაც უნდა შეიცავდეს შეტყობინება ხელშეკრულების შესახებ:

D. ხელშეკრულების შესახებ გამარტივებული შეტყობინება, რომელიც გამოიყენება დინამიური შესყიდვის სისტემისთვის

დანართი XVI-K

საბჭოს 92/13/EEC დირექტივის სხვა ელემენტები[12]

რომელშიც შეტანილია ცვლილებები ევროპარლამენტისა და საბჭოს 2007/66/EC დირექტივით[13]

(ეტაპი 5)

მუხლი 2b გამონაკლისი უმოქმედობის პერიოდიდან
2b მუხლის პირველი პუნქტის „c“ ქვეპუნქტი

მუხლი 2d ძალადაკარგულად ცნობა

2d მუხლის პირველი პუნქტის „c“ ქვეპუნქტი

პუნქტი 5

დანართი XVI-L

ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004/18/EC დირექტივის ეტაპობრივი დაახლოების პროცესის მიღმა დებულებები[14]

ამ დანართში ჩამოთვლილი ელემენტები არ წარმოადგენენ ეტაპობრივი დაახლოების პროცესის საგანს

კარი II
საჯარო ხელშეკრულებების წესები

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 5 პირობები, რომელიც შეეხება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში დადებულ ხელშეკრულებებს

თავი VI
გავრცელების და გამჭირვალობის წესები

ნაწილი 1 - შეტყობინების გამოქვეყნება

მუხლი 36 შეტყობინების გამოქვეყნების ფორმა და წესი: მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 და მე-8 პუნქტები

მუხლი 37 არასავალდებულო გამოქვეყნება

ნაწილი 5 - ანგარიშები

მუხლი 43 ანგარიშების შინაარსი

კარი V
სტატისტიკური ვალდებულებები, აღმასრულებელი უფლებამოსილება და დასკვნითი დებულებები

მუხლი 75 სტატისტიკური ვალდებულებები

მუხლი 76 სტატისტიკური ანგარიშის შინაარსი

მუხლი 77 მრჩეველთა კომიტეტი

მუხლი 78 მონეტარული ზღვრების გადახედვა

მუხლი 79 ცვლილებები

მუხლი 80 იმპლემენტაცია

მუხლი 81 მონიტორინგის მექანიზმები

მუხლი 82 გაუქმება

მუხლი 83 ძალაში შესვლა

მუხლი 84 ადრესატები

დანართი III იმ ორგანოების და საჯარო სამართლის ფარგლებში მართული ორგანოების კატეგორიების ჩამონათვალი, რომლებიც მოცემულია პირველი მუხლის მე-9 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტში

დანართი IV ცენტრალური ხელისუფლების ორგანოები

დანართი VIII გამოქვეყნებასთან დაკავშირებული მახასიათებლები

დანართი IX რეესტრები

დანართი IX A სამუშაოს შესყიდვის საჯარო ხელშეკრულებები

დანართი IX B საქონლით მომარაგების საჯარო ხელშეკრულებები

დანართი IX C მომსახურების საჯარო ხელშეკრულებები

დანართი XI გადატანის და გამოყენების საბოლოო ვადები (მუხლი 80)

დანართი XII შესაბამისობის ცხრილი

დანართი XVI-M

ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004/17/EC დირექტივის[15]

ეტაპობრივი დაახლოების პროცესის მიღმა დებულებები

ამ დანართში ჩამოთვლილი ელემენტები არ წარმოადგენენ ეტაპობრივი დაახლოების პროცესის საგანს

კარი I
ზოგადი დებულებები, რომლებიც ეხება ხელშეკრულებებსა და პროექტის კონკურსს

თავი II
ამ დირექტივით გათვალისწინებული საქმიანობისა და ორგანიზაციების განმარტება

ნაწილი 2 - საქმიანობა

მუხლი 8 შემსყიდველი ორგანიზაციების ჩამონათვალი

კარი II
ხელშეკრულების წესები

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 12 პირობები, რომლებიც ეხება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში დადებულ ხელშეკრულებებს

ნაწილი 2 - ხელშეკრულებები და კონცესიები და სპეციალური რეგულირების ხელშეკრულებები

ქვენაწილი 1

მუხლი 18 სამუშაოს და მომსახურების კონცესიები

ქვენაწილი 2 - გამონაკლისები, რომლებიც ეხება ყველა შემსყიდველ ორგანიზაციას და ყველა ტიპის ხელშეკრულებას

მუხლი 20 ამ დირექტივით გათვალისწინებული საქმიანობის მიზნებისაგან განსხვავებული მიზნით დადებული ხელშეკრულება ან მესამე ქვეყანაში ასეთი საქმიანობის განხორციელების მიზნით დადებული ხელშეკრულება: პუნქტი 2

ქვენაწილი 5 - სპეციფიკურ რეჟიმს დაქვემდებარებული ხელშეკრულებები, ცენტრალური შემსყიდველი ორგანოების შესახებ დებულებები და ზოგადი პროცედურა კონკურენციის პირდაპირი გამოვლენისას

მუხლი 27 სპეციალურ რეჟიმს დაქვემდებარებული ხელშეკრულებები

მუხლი 30 პროცედურა, რომელიც ადგენს კონკრეტული საქმიანობა პირდაპირ მიმართულია თუ არა კონკურენციისკენ

თავი IV
სპეციფიკაციებისა და ხელშეკრულებების დოკუმენტაციის მარეგულირებელი სპეციალური წესები

მუხლი 38 ხელშეკრულებების შესრულების პირობები

თავი VI
გამოქვეყნების და გამჭვირვალობის წესები

ნაწილი 1 - შეტყობინების გამოქვეყნება

მუხლი 44 შეტყობინების გამოქვეყნების ფორმა და წესი (მხოლოდ მე-2 პუნქტის პირველი ქვეპუნქტისთვის და მე-4, მე-5 და მე-7 პუნქტებისთვის)

ნაწილი 3 –კომუნიკაცია და ინფორმაცია

მუხლი 50 ხელშეკრულების დასადებად გამარჯვებულის გამოვლენასთან დაკავშირებული შესანახი ინფორმაცია

თავი VII
პროცედურის ჩატარება

ნაწილი 3 - ტენდერები, რომლებიც მოიცავს მესამე ქვეყნებში წარმოებულ პროდუქციას და ამ ქვეყნებთან ურთიერთობა

მუხლი58 ტენდერები, რომლებიც მოიცავს მესამე ქვეყნებში წარმოებულ პროდუქციას

მუხლი 59 მომსახურების ხელშეკრულებებთან დაკავშირებული მესამე ქვეყნებთან ურთიერთობა

კარი IV

სტატისტიკური ვალდებულებები, აღმასრულებელი უფლებამოსილება და დასკვნითი დებულებები

მუხლი 67 სტატისტიკური ვალდებულებები

მუხლი 68 მრჩეველთა კომიტეტი

მუხლი 69 მონეტარული ზღვრების გადახედვა

მუხლი 70 ცვლილებები

მუხლი 71 დირექტივის იმპლემენტაცია

მუხლი 72 მონიტორინგის მექანიზმები

მუხლი 73 გაუქმება

მუხლი 74 ძალაში შესვლა

მუხლი75 ადრესატები

2004/17/EC დირექტივის დანართები

დანართი I ტრანსპორტის, გაზის ან გათბობის დისტრიბუციის სექტორში მოქმედი შემსყიდველი ორგანიზაციები

დანართი II ელექტროენერგიის წარმოების, ტრანსპორტირების და დისტრიბუციის სექტორში მოქმედი შემსყიდველი ორგანიზაციები

დანართი III სასმელი წყლის წარმოების, ტრანსპორტირების ან დისტრიბუციის სფეროში მოქმედი შემსყიდველი ორგანიზაციები

დანართი IV სარკინიგზო მომსახურების სფეროში მოქმედი შემსყიდველი ორგანიზაციები

დანართი V საქალაქო რკინიგზის, ტრამვაის, ტროლეიბუსის ან ავტობუსის მომსახურების სფეროში მოქმედი შემსყიდველი ორგანიზაციები

დანართი VI საფოსტო მომსახურების სფეროში მოქმედი შემსყიდველი ორგანიზაციები

დანართი VII ნავთობის ან გაზის კვლევა-ძიებისა და მოპოვების სფეროში მოქმედი შემყიდველი ორგანიზაციები

დანართი VIII ქვანახშირის და სხვა მყარი საწვავის კვლევა-ძიებისა და მოპოვების სფეროში მოქმედი შემსყიდველი ორგანიზაციები

დანართი IX საზღვაო ან შიდა პორტის ან სხვა ტერმინალებში მოქმედი შემსყიდველი ორგანიზაციები

დანართი X აეროპორტის მოწყობილობების მონტაჟის სფეროში მოქმედი შემსყიდველი ორგანიზაციები

დანართი XI 30-ე მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული კანონმდებლობის ჩამონათვალი

დანართი XII პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „b“ ქვეპუნქტში მოცემული პროფესიული საქმიანობის ჩამონათვალი

დანართი XXII 45-ე მუხლში მოცემული ვადების შემაჯამებელი ცხრილი

დანართი XXV გადატანის და იმპლემენტაციის ვადები

დანართი XXVI შესაბამისობის ცხრილი

დანართი XVI-N

საბჭოს 89/665/EEC დირექტივის[16] ეტაპობრივი დაახლოების პროცესის მიღმა დებულებები, რომელშიც შეტანილია ცვლილებები ევროპარლამენტისა და საბჭოს N2007/66/EC დირექტივით[17]

ამ დანართში ჩამოთვლილი ელემენტები არ წარმოადგენენ ეტაპობრივი დაახლოების პროცესის საგანს

მუხლი 2b გამონაკლისი უმოქმედობის პერიოდიდან
2b მუხლის პირველი პუნქტის „a“ ქვეპუნქტი

მუხლი 2d ძალადაკარგულად ცნობა

2d მუხლის პირველი პუნქტის „a“ ქვეპუნქტი

მე-4 პუნქტი

მუხლი 3 მაკორექტირებელი მექანიზმები

მუხლი 3a წინასწარი გამჭირვალობისთვის ნებაყოფლობითი შეტყობინების შინაარსი

მუხლი 3b კომიტეტის პროცედურა

მუხლი 4 იმპლემენტაცია

მუხლი 4a გადახედვა

საბჭოს 92/13/EEC დირექტივის[18] ეტაპობრივი დაახლოების პროცესის მიღმა დებულებები, რომელშიც შეტანილია ცვლილებები ევროპარლამენტისა და საბჭოს 2007/66/EC დირექტივით[19]

ამ დანართში ჩამოთვლილი ელემენტები არ წარმოადგენს ეტაპობრივი დაახლოების პროცესის საგანს

მუხლი 2b გამონაკლისი უმოქმედობის პერიოდიდან
2b მუხლის პირველი პუნქტის „a“ ქვეპუნქტი

მუხლი 2d ძალადაკარგულად ცნობა
2d მუხლის პირველი პუნქტის „a“ ქვეპუნქტი

მე-4 პუნქტი

მუხლი 3a	წინასწარი გამჭირვალობისთვის ნებაყოფლობითი შეტყობინების შინაარსი
მუხლი 3b	კომიტეტის პროცედურა
მუხლი 8	მაკორექტირებელი მექანიზმები
მუხლი 12	იმპლემენტაცია
მუხლი 12a	გადახედვა

საქართველო: თანამშრომლობის საკითხების საორიენტაციო ჩამონათვალი

1. სახელმწიფო ორგანოებში საჯარო შესყიდვებზე მომუშავე მოხელეების ტრეინინგი ევროკავშირის ქვეყნებსა და საქართველოში;

2. სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობით დაინტერესებული მომწოდებლების ტრეინინგი;

3. საჯარო შესყიდვების სფეროში საუკეთესო პრაქტიკისა და მარეგულირებელი წესების შესახებ ინფორმაციის და გამოცდილების გაცვლა;

BG	Троянска сливова ракия / Сливова ракия от Троян / Troyanska slivova rakya / Slivova rakya from Troyan	ტროიანსკა სლივოვა რაკია / სლივოვა რაკია ოტ ტროიან/ ტროიანსკა სლივოვა რაკია/ სლივოვა რაკია ტროიანიდან	Fruit spirit/ ხილის სპირტი

BG	Силистренска кайсиева ракия / Кайсиева ракия от Силистра / Silistrenska kaysieva rakya / Kaysieva rakya from Silistra	სილისტრენსკა კაისიევა რაკია/ კაისიევა რაკია ოტ სილისტრა/ სილისტრენსკა კაისიევა რაკია/ კაისიევა რაკია სილისტრადან	Fruit spirit/ ხილის სპირტი
BG	Тервелска кайсиева ракия / Кайсиева ракия от Тервел / Tervelska kaysieva rakya / Kaysieva rakya from Tervel	ტერველსკაკაისიევა რაკია / კაისიევა რაკია ოტ ტერველ/ ტერველსკა კაისიევა რაკია/ კაისიევა რაკია ტერველიდან	Fruit spirit/ ხილის სპირტი
BG	Ловешка сливова ракия / Сливова ракия от Ловеч / Loveshka slivova rakya / Slivova rakya from Lovech	ლოვეშკა სლივოვა რაკია/ სლივოვა რაკია ოტ ლოვეჩ / ლოვეშკა სლივოვა რაკია /სლივოვა რაკია ლოვეჩიდან	Fruit spirit/ ხილის სპირტი
RO	Pălincă	პელიკე	Fruit spirit/ ხილის სპირტი
RO	Țuică Zetea de Medieşu Aurit	ტუიკე ზეტეა დე მედიეშუ აურიტ	Fruit spirit/ ხილის სპირტი
RO	Țuică de Valea Milcovului	ტუიკე დე ვალეა მილკოვულუი	Fruit spirit/ ხილის სპირტი
RO	Țuică de Buzău	ტუიკე დე ბუზეუ	Fruit spirit/ ხილის სპირტი
RO	Țuică de Argeş	ტუიკე დე არგეშ	Fruit spirit/ ხილის სპირტი
RO	Țuică de Zalău	ტუიკე დე ზალეუ	Fruit spirit/ ხილის სპირტი
RO	Țuică Ardelenească de Bistrița	ტუიკე არდელენეასკე დე ბისტრიცა	Fruit spirit/ ხილის სპირტი
RO	Horincă de Maramureş	ჰორინკე დე მარამურეშ	Fruit spirit/ ხილის სპირტი
RO	Horincă de Cămârzana	ჰორინკე დე კემერზანა	Fruit spirit/ ხილის სპირტი
RO	Horincă de Seini	ჰორინკე დე სეინი	Fruit spirit/ ხილის სპირტი
RO	Horincă de Chioar	ჰორინკე დე კიოარ	Fruit spirit/ ხილის სპირტი
RO	Horincă de Lăpuş	ჰორინკე დე ლეპუშ	Fruit spirit/ ხილის სპირტი
RO	Turț de Oaş	ტურც დე ოაშ ტურჩ დე ოაშ	Fruit spirit/ ხილის სპირტი
RO	Turț de Maramureş	ტურც დე მარამურეშ	Fruit spirit/ ხილის სპირტი
FR	Calvados	კალვადოს	Cider spirit and perry spirit/ სიდრის სპირტი და მსხლის სიდრის სპირტი
FR	Calvados Pays d'Auge	კალვადოს პეი დ’ოჟ	Cider spirit and perry spirit/ სიდრის სპირტი და მსხლის

			სიდრის სპირტი
FR	Calvados Domfrontais	კალვადოს დომფრონტე	Cider spirit and perry spirit/ სიდრის სპირტი და მსხლის სიდრის სპირტი
FR	Eaudevie de cidre de Bretagne	ო-დე-ვი დესიდრ დე ბრეტან	Cider spirit and perry spirit/ სიდრის სპირტი და მსხლის სიდრის სპირტი
FR	Eaudevie de poiré de Bretagne	ო-დე-ვი დეპუარე დე ბრეტან	Cider spirit and perry spirit/ სიდრის სპირტი და მსხლის სიდრის სპირტი
FR	Eaudevie de cidre de Normandie	ო-დ-ვი დე სიდრ დე ნორმანდი	Cider spirit and perry spirit/ სიდრის სპირტი და მსხლის სიდრის სპირტი
FR	Eaudevie de poiré de Normandie	ო-დე-ვი დეპუარე დე ნორმანდი	Cider spirit and perry spirit/ სიდრის სპირტი და მსხლის სიდრის სპირტი
FR	Eaudevie de cidre du Maine	ო-დე-ვი დესიდრ დიუ მენ	Cider spirit and perry spirit/ სიდრის სპირტი და მსხლის სიდრის სპირტი
ES	Aguardiente de sidra de Asturias	აგვარდენტედე სიდრა დე ასტურიას	Cider spirit and perry spirit/ სიდრის სპირტი და მსხლის სიდრის სპირტი
FR	Eaudevie de poiré du Maine	ო-დე-ვი დეპუარე დიუ მენ	Cider spirit and perry spirit/ სიდრის სპირტი და მსხლის სიდრის სპირტი
SE	Svensk Vodka / Swedish Vodka	სვენშ ვოდკა / სვედიშ ვოდკა ან შვედური ვოდკა	Vodka /არაყი
FI	Suomalainen Vodka / Finsk Vodka / Vodka of Finland	სუომალეაინენ ვოდკა / ფინსკ ვოდკა / ვოდკა ოფ ფინლენდ ან ფინური ვოდკა	Vodka /არაყი
PL	Polska Wódka / Polish Vodka	პოლსკა ვოდკა / პოლონურივოდკა ან ფოლიშ ვოდკა	Vodka /არაყი
SK	Laugarício vodka	ლაუგარიციო ვოდკა	Vodka /არაყი
LT	Originali lietuviška degtinė / Original Lithuanian vodka	ორიჯინალი ლიეტუვიშკა დეგტინე/ორიჯინალ ლითუანიანვოდკა	Vodka /არაყი
	Herbal vodka from the North Podlasie Lowland aromatised with an extract of bison grass /	მცენარეული არაყი ჩრდილოეთპოდლეზიეს	

PL	Wódka ziołowa z Niziny Północnopodlaskiej aromatyzowana ekstraktem z trawy żubrowej	დბლობიდან, არომატი-ზებული ბიზონის ბალახის ექსტრაქტით / ზიოლოვა ზ ნიზინი პოლნოცნოპოლასკიეჟ	Vodka /არაყი
LV	Latvijas Dzidrais	ლატვიჟას სიდრეს	Vodka /არაყი
LV	Rīgas Degvīns	რიგას დეგვინს	Vodka /არაყი
EE	Estonian vodka	ესტონიან ვოდკა	Vodka /არაყი
DE	Schwarzwälder Himbeergeist	შვარცველდერ ჰიმბერგაისტ	Geist/ გაისტი
DE	Bayerischer Gebirgsenzian	ბაიერიშერ გებირგსენციან	Gentian/მწარე სასმელები
IT	Südtiroler Enzian / Genziana ell'Alto Adige	ზიუდტიროლე ოლერ ენციან/ჯენციანა დელ'ლტო ადიჯე	Gentian/მწარე სასმელები
IT	Genziana trentina / Genziana del Trentino	ჯენციანა ტრენტინა/ჯენციანა დელ ტრენტინო	Gentian/მწარე სასმელები
BE NL FR DE *Belgium, The Netherlands, France (Départements Nord (59) and Pas-de-Calais (62)), Germany (German Bundesländer Nordrhein Westfalen and Niedersachsen)*	Genièvre / Jenever / Genever	ჟენიევრ/ჟენევე/ჟენევე	Juniper-flavoured spirit drinks/ ღვიის არომატიანი სპირტიანი სასმელები
BE NL FR *Belgium, The Netherlands, France (Départements Nord (59) and Pas-de-Calais (62))*	Genièvre de grains, Graanjenever, Graangenever	ჟენიევრ დე გრენ, გრაანჟენევე/გრაანჟენევე	Juniper-flavoured spirit drinks/ ღვიის არომატიანი სპირტიანი სასმელები
BE NL *Belgium, The Netherlands*	Jonge jenever, jonge genever	ჟონჯე ჟენევე, ჟონჯე ჟენევე	Juniper-flavoured spirit drinks/ ღვიის არომატიანი სპირტიანი სასმელები
BE NL *Belgium, The Netherlands*	Oude jenever, oude genever	უდე ჟენევე,უდე ჯენევე	Juniper-flavoured spirit drinks/ ღვიის არომატიანი სპირტიანი სასმელები
BE *Belgium (Hasselt, Zonhoven,Diepenbeek)*	Hasseltse jenever / Hasselt	ჰასელტსე ჟენევე / ჰასელტ	Juniper-flavoured spirit drinks/ ღვიის არომატიანი სპირტიანი სასმელები
BE *Belgium (Balegem)*	Balegemse jenever	ბალეჯემსეჟენევე	Juniper-flavoured spirit drinks/ ღვიის არომატიანი სპირტიანი სასმელები

BE *Belgium (Oost-Vlaanderen)*	O´ de Flander-Oost-Vlaamse Graanjenever	ო'დე ფლანდერ-ოსტ- ვლამსე გრანჟენევე	Juniper-flavoured spirit drinks/ ღვიის არომატიანი სპირტიანი სასმელები
BE *Belgium (Région wallonne)*	Peket-Pékêt / Peket-Pékêt de Wallonie	პეკეტ- პეკეტ / პეკეტ- პეკეტ დე ვალონი	Juniper-flavoured spirit drinks/ ღვიის არომატიანი სპირტიანი სასმელები
FR *France (Départements Nord (59) and Pas-de-Calais (62))*	Genièvre Flandres Artois	ჟენიევრ ფლანდრ არტუა	Juniper-flavoured spirit drinks/ ღვიის არომატიანი სპირტიანი სასმელები
DE	Ostfriesischer Korngenever	ოსტფრიზიშერ კორნგენევერ	Juniper-flavoured spirit drinks/ ღვიის არომატიანი სპირტიანი სასმელები
DE	Steinhäger	შტაინჰეგერ	Juniper-flavoured spirit drinks/ ღვიის არომატიანი სპირტიანი სასმელები
UK	Plymouth Gin	ფლაიმაუთჯინ	Juniper-flavoured spirit drinks/ ღვიის არომატიანი სპირტიანი სასმელები
ES	Gin de Mahón	ხინ დე მაონ	Juniper-flavoured spirit drinks/ ღვიის არომატიანი სპირტიანი სასმელები
LT	Vilniaus džinas / Vilnius Gin	ვილნიაუს ჯინას / ვილნიუს ჯინ	Juniper-flavoured spirit drinks/ ღვიის არომატიანი სპირტიანი სასმელები
SK	Spišská borovička	სპიშსკა ბოროვიჩკა	Juniper-flavoured spirit drinks/ ღვიის არომატიანი სპირტიანი სასმელები
SK	Slovenská borovička Juniperus	სლოვენსკაბოროვიჩკა ჟუნიპერუს	Juniper-flavoured spirit drinks/ ღვიის არომატიანი სპირტიანი სასმელები
SK	Slovenská borovička	სლოვენსკაბოროვიჩკა	Juniper-flavoured spirit drinks/ ღვიის არომატიანი სპირტიანი სასმელები
SK	Inovecká borovička	ინოვეცკა ბოროვიჩკა	Juniper-flavoured spirit drinks/ ღვიის არომატიანი სპირტიანი სასმელები
SK	Liptovská borovička	ლიპტოვსკა ბოროვიჩკა	Juniper-flavoured spirit drinks/ ღვიის არომატიანი სპირტიანი სასმელები
	Dansk Akvavit / Dansk	დანსკ აკვავიტ / დანსკ	Akvavit-aquavit/ მაგარი სპირტიანი სასმელები

DK	Aquavit	აკვავიტ	
SE	Svensk Aquavit / Svensk Akvavit / Swedish Aquavit	სვენშ აკვავიტ/ სვენშ აკვავიტ/სვედიშ აკვავიტ	Akvavit-aquavit/ მაგარი სპირტიანი სასმელები
ES	Anís español	ანის ესპანიოლ	Aniseed-flavouredspiritdrinks/ ანისულის არომატიანი სპირტიანი სასმელები
ES	Anís Paloma Monforte del Cid	ანის პალომა მონფორტე დელ სიდ	Aniseed-flavouredspiritdrinks/ ანისულის არომატიანი სპირტიანი სასმელები
ES	Hierbas de Mallorca	ერბას დე მალიორკა	Aniseed-flavouredspiritdrinks/ ანისულის არომატიანი სპირტიანი სასმელები
ES	Hierbas Ibicencas	იერბას იბისენკას	Aniseed-flavouredspiritdrinks/ ანისულის არომატიანი სპირტიანი სასმელები
PT	Évora anisada	ევორა ანისადა	Aniseed-flavouredspiritdrinks/ ანისულის არომატიანი სპირტიანი სასმელები
ES	Cazalla	კასალია	Aniseed-flavouredspiritdrinks/ ანისულის არომატიანი სპირტიანი სასმელები
ES	Chinchón	ჩინჩონ	Aniseed-flavouredspiritdrinks/ ანისულის არომატიანი სპირტიანი სასმელები
ES	Ojén	ოხენ	Aniseed-flavouredspiritdrinks/ ანისულის არომატიანი სპირტიანი სასმელები
ES	Rute	ღუტე	Aniseed-flavouredspiritdrinks/ ანისულის არომატიანი სპირტიანი სასმელები
SI	Janeževec	ჟანეჟევეც	Aniseed-flavouredspiritdrinks/ ანისულის არომატიანი სპირტიანი სასმელები
EL CY	Ouzo / Ούζο	უსო / უსო	DistilledAnis/ანისულის არომატიანი სპირტიანი სასმელები
EL	Ούζο Μυτιλήνης / Ouzo of Mitilene	უსო მიტილინის / მიტილინის უსო	DistilledAnis/ანისულის არომატიანი სპირტიანი სასმელები
EL	Ούζο Πλωμαρίου / Ouzo	უსო პლომარიუ /	DistilledAnis/ანისულის არომატიანი სპირტიანი

	of Plomari	პლომარის უსო	სასმელები
EL	Ούζο Καλαμάτας / Ouzo of Kalamata	უსო კალამატას / კალამატასუსო	DistilledAnis/ანისულის არომატიანი სპირტიანი სასმელები
EL	Ούζο Θράκης / Ouzo of Thrace	უსო ტრაკის / ტრაკიას უსო	DistilledAnis/ანისულის არომატიანი სპირტიანი სასმელები
EL	Ούζο Μακεδονίας / Ouzo of Macedonia	უსო მაკედონიას / მაკედონიასუსო	DistilledAnis/ანისულის არომატიანი სპირტიანი სასმელები
SK	Demänovka bylinná horká	დემენოვკა ბილინა ჰორკა	Bitter-tastingspirit drinks- bitter/ მწარე გემოს მქონე სპირტიანი სასმელები-ბიტერ
DE	Rheinberger Kräuter	რაინბერგერ კროიტერ	Bitter-tastingspirit drinks- bitter/ მწარე გემოს მქონე სპირტიანი სასმელები-ბიტერ
LT	Trejos devynerios	ტრეჟოს დევინერიოს	Bitter-tastingspirit drinks- bitter/ მწარე გემოს მქონე სპირტიანი სასმელები-ბიტერ
SI	Slovenska travarica	სლოვენსკატრავარიცა	Bitter-tastingspirit drinks- bitter/ მწარე გემოს მქონე სპირტიანი სასმელები-ბიტერ
DE	Berliner Kümmel	ბერლინერ კიუმელ	Liqueur/ლიქიორი
DE	Hamburger Kümmel	ჰამბურგერკიუმელ	Liqueur/ლიქიორი
DE	Münchener Kümmel	მიუნხენერ კიუმელ	Liqueur/ლიქიორი
DE	Chiemseer Klosterlikör	ქიმზერ კლოსტერლიკერ	Liqueur/ლიქიორი
DE	Bayerischer Kräuterlikör	ბაიერიშერ კროიტერლიკერ	Liqueur/ლიქიორი
IE	Irish Cream	აირიშ კრიმ	Liqueur/ლიქიორი
ES	Palo de Mallorca	პალო დე მალიორკა	Liqueur/ლიქიორი
PT	Ginjinha portuguesa	ჟინჟინა პორტუგესა	Liqueur/ლიქიორი
PT	Licor de Singeverga	ლიკორ დესინჟენერგა	Liqueur/ლიქიორი
IT	Liquore di limone di Sorrento	ლიკვორე დი ლიმონედი სორენტო	Liqueur/ლიქიორი
IT	Liquore di limone della Costa d'Amalfi	ლიკვორე დი ლიმონე დელა კოსტა დ'ამალფი	Liqueur/ლიქიორი

IT	Genepì del Piemonte	ჯენეპიდელ პიემონტე	Liqueur/ლიქიორი
IT	Genepì della Valle d'Aosta	ჯენეპიდელა ვალე დ’აოსტა	Liqueur/ლიქიორი
DE	Benediktbeurer Klosterlikör	ბენდიქტბოირერ კლოსტერლიკერ	Liqueur/ლიქიორი
DE	Ettaler Klosterlikör	ეტალერ კლოსტერლიკერ	Liqueur/ლიქიორი
FR	Ratafia de Champagne	რატაფია დე შამპან	Liqueur/ლიქიორი
ES	Ratafía catalana	რატაფია კატალანა	Liqueur/ლიქიორი
PT	Anis português	ანის პორტუგეს	Liqueur/ლიქიორი
FI	Suomalainen Marjaliköori / Suomalainen Hedelmälikööri / Finsk Bärlikör / Finsk Fruktlikör / Finnish berry liqueur / Finnish fruit liqueur	სუომალენენ მარჟა- ლიკეერი / სუომალენენ ჰედელმელიკეერი / ფინსკ ბერლიკეერ/ ფინსკ ფრუკტლიკეერ /ფინიშ ბერი ლიკერ /ფინიშ ფრუთლიკუერ	Liqueur/ლიქიორი
AT	Grossglockner Alpenbitter	გროსგლოკნერ ალპენბიტერ	Liqueur/ლიქიორი
AT	Mariazeller Magenlikör	მარიაცელერ მაგერლიკერ	Liqueur/ლიქიორი
AT	Mariazeller Jagasaftl	მარიაცელერ იაგაზაფტლ	Liqueur/ლიქიორი
AT	Puchheimer Bitter	პუხჰაიმერ ბიტერ	Liqueur/ლიქიორი
AT	Steinfelder Magenbitter	შტაინფელდერ მაგენბიტერ	Liqueur/ლიქიორი
AT	Wachauer Marillenlikör	ვახაუერ მარილენლიკერ	Liqueur/ლიქიორი
AT	Jägertee / Jagertee / Jagatee	იეგერტეე/ იაგერტეე/იაგატეე	Liqueur/ლიქიორი
DE	Hüttentee	იუტენტეე	Liqueur/ლიქიორი
LV	Allažu Ķimelis	ალაჟუ კიმელის	Liqueur/ლიქიორი
LT	Čepkelių	ჩეპკელიუ	Liqueur/ლიქიორი
SK	Demänovka Bylinný Likér	დემენოვკა ბილინი ლიკერ	Liqueur/ლიქიორი
PL	Polish Cherry	ფოლიშ ჩერი	Liqueur/ლიქიორი
CZ	Karlovarská Hořká	კარლოვარსკა ჰორჟკა	Liqueur/ლიქიორი
SI	Pelinkovec	პელინკოვეც	Liqueur/ლიქიორი
DE	Blutwurz	ბლუტვურც	Liqueur/ლიქიორი

ES	Cantueso Alicantino	კანტუესო ალიკანტინიო	Liqueur/ლიქიორი
ES	Licor café de Galicia	ლიკორ კაფე დე გალისია	Liqueur/ლიქიორი
ES	Licor de hierbas de Galicia	ლოკორ დეიერბას დე გალისია	Liqueur/ლიქიორი
FR IT	Génépi des Alpes / Genepì degli Alpi	ჟენეპიდეზ ალპ/ ჯენეპი დელი ალპი	Liqueur/ლიქიორი
EL	Μαστίχα Χίου / Masticha of Chios	მაციხა ხიუ/ კიოს მაციკა	Liqueur/ლიქიორი
EL	Κίτρο Νάξου / Kitro of Naxos	კიტრო ნაქსუ /ნაქსოს კიტრო	Liqueur/ლიქიორი
EL	Κουμκουάτ Κέρκυρας / Koum Kouat of Corfu	კუმკუატ კერკირას / კორფუს კუმ კუატ	Liqueur/ლიქიორი
EL	Τεντούρα / Tentoura	ტენდურა /ტენტურა	Liqueur/ლიქიორი
PT	Poncha da Madeira	პონკა და მადეირა	Liqueur/ლიქიორი
FR	Cassis de Bourgogne	კასის დე ბურგონ	Crème de cassis/ მოცხარის კრემი
FR	Cassis de Dijon	კასის დე დიჟონ	Crème de cassis/ მოცხარის კრემი
FR	Cassis de Saintonge	კასის სენტონჟ	Crème de cassis/ მოცხარის კრემი
FR	Cassis du Dauphiné	კასის დიუ დოფინე	Crème de cassis/ მოცხარის კრემი
LU	Cassis de Beaufort	კასის დე ბოფორ	Crème de cassis/ მოცხარის კრემი
IT	Nocino di Modena	ნოჩინო დი მოდენა	Nocino/კაკლის ან თხილის სასმელები
SI	Orehovec	ორეჰოვეც	Nocino/კაკლის ან თხილის სასმელები
FR	Pommeau de Bretagne	პომო დე ბრეტან	Other Spirit Drinks/სხვა სპირტიანი სასმელები
FR	Pommeau du Maine	პომო დიუ მენ	Other Spirit Drinks/სხვა სპირტიანი სასმელები
FR	Pommeau de Normandie	პომო დენორმანდი)	Other Spirit Drinks/სხვა სპირტიანი სასმელები
		სვენშ პუნს/ სვედიშ	

SE	Svensk Punsch / Swedish Punch	ფანრ	Other Spirit Drinks/სხვა სპირტიანი სასმელები
ES	Pacharán Navarro	პაჩარან ნავარო	Other Spirit Drinks/სხვა სპირტიანი სასმელები
ES	Pacharán	პაჩარან	Other Spirit Drinks/სხვა სპირტიანი სასმელები
AT	Inländerrum	ინლენდერუმ	Other Spirit Drinks/სხვა სპირტიანი სასმელები
DE	Bärwurz	ბერვურც	Other Spirit Drinks/სხვა სპირტიანი სასმელები
ES	Aguardiente de hierbas de Galicia	აგვარდიენტე დე იერბას დე გალისია	Other Spirit Drinks/სხვა სპირტიანი სასმელები
ES	Aperitivo Café de Alcoy	აპერიტივო კაფე დე ალკოი	Other Spirit Drinks/სხვა სპირტიანი სასმელები
ES	Herbero de la Sierra de Mariola	ერბერო დე ლა სიერა დე მარიოლა	Other Spirit Drinks/სხვა სპირტიანი სასმელები
DE	Königsberger Bärenfang	კენიგსბერგერ ბერენფანგ	Other Spirit Drinks/სხვა სპირტიანი სასმელები
DE	Ostpreußischer Bärenfang	ოსტპროისიშერ ბერენფანგ	Other Spirit Drinks/სხვა სპირტიანი სასმელები
ES	Ronmiel	რონმიელ	Other Spirit Drinks/სხვა სპირტიანი სასმელები
ES	Ronmiel de Canarias	რონმიელ დეკანარიას	Other Spirit Drinks/სხვა სპირტიანი სასმელები
BE NL FR DE *Belgium, The Netherlands, France (Départements Nord (59) and Pas-de-Calais (62)), Germany (German Bundesländer Nordrhein Westfalen and Niedersachsen)*	Genièvre aux fruits / Vruchtenjenever / Jenever met vruchten / Fruchtgenever	ჟენიევრო ფრუი/ ფრუხტენჟენევერ/ჟენევერ მეტ ფრუხტენ/ ფრუხტჯენევერ	Other Spirit Drinks/სხვა სპირტიანი სასმელები
SI	Domači rum	დომაჩი რუმ	Other Spirit Drinks/სხვა სპირტიანი სასმელები
IE	Irish Poteen / Irish Póitín	აირიშ პოტინ / აირიშ პოიტინ	Other Spirit Drinks/სხვა სპირტიანი სასმელები
LT	Trauktinė	ტრაუკტინე	Other Spirit Drinks/სხვა სპირტიანი სასმელები
LT	Trauktinė Palanga	ტრაუკტინე პალანგა	Other Spirit Drinks/სხვა სპირტიანი სასმელები
LT	Trauktinė Dainava	ტრაუკტინე დაინავას	Other Spirit Drinks/სხვა სპირტიანი სასმელები

საქართველოს სპირტიანი სასმელები, რომელთა დაცვა უნდა განხორციელდეს ევროკავშირში

[…]

ნაწილი C

ევროკავშირის არომატიზებული ღვინოები, რომელთა დაცვა განხორციელდება საქართველოში

ევროკავშირის წევრი ქვეყანა	დაცვას დაქვემდებარებული დასახელება	ქართული ტრანსკრიფცია
DE	Nürnberger Glühwein	იურნბერგერ გლიუჰვაინ
DE	Thüringer Glühwein	თიურინგერ გლიუჰვაინ
FR	Vermouth de Chambéry	ვერმუტ დე შამბერი
IT	Vermouth di Torino	ვერმუტ დი ტორინო

საქართველოს არომატიზებული ღვინოები, რომელთა დაცვა განხორციელდება ევროკავშირში

[…]

დანართი XVIII

"წინასწარი შეტყობინების მექანიზმი"

1. ევროკავშირი და საქართველო ქმნიან "წინასწარი შეტყობინების მექანიზმს", რომლის მიზანია პრაქტიკული ზომების განსაზღვრა საგანგებო სიტუაციების ან საგანგებო სიტუაციების საფრთხის თავიდან აცილებისა და მასზე სწრაფი რეაგირების უზრუნველყოფის მიზნით. აღნიშნული ითვალისწინებს ბუნებრივი აირის, ნავთობის ან ელექტროენერგიის მოთხოვნა-მიწოდებასთან დაკავშირებული პოტენციური რისკებისა და პრობლემების წინასწარ შეფასებას, და საგანგებო სიტუაციებსა თუ საგანგებო სიტუაციების საფრთხის შემთხვევაში პრევენციული ზომების გატარებასა და სწრაფ რეაგირებას.

2. წინამდებარე დანართის მიზნებიდან გამომდინარე, საგანგებო სიტუაცია არის სიტუაცია, რაც გამოწვეულია საქართველოსა და ევროკავშირს შორის ენერგოპროდუქტების მიწოდების მნიშვნელოვანი შეფერხებით ან ფიზიკური შეწყვეტით.

3. წინამდებარე დანართის მიზნებიდან გამომდინარე, კოორდინატორებს წარმოადგენენ საქართველოს მთავრობის შესაბამისი მინისტრი და ენერგეტიკის საკითხებზე პასუხისმგებელი ევროკომისიის წევრი.

4. ენერგომასალებისა და პროდუქტების მოთხოვნა-მიწოდებასთან დაკავშირებული პოტენციური რისკებისა და პრობლემების რეგულარული შეფასება უნდა განხორციელდეს ორივე მხარის ერთობლივი ძალისხმევის შედეგად და ამის შესახებ უნდა ეცნობოს კოორდინატორებს.

5. თუკი რომელიმე მხარისათვის გახდება ცნობილი საგანგებო სიტუაციის ან ისეთი სიტუაციის შესახებ, რომელმაც მოცემული მხარის აზრით, შეიძლება გამოიწვიოს საგანაგებო სიტუაცია, ეს მხარე დაუყოვნებლივ აცნობებს მეორე მხარეს აღნიშნულის შესახებ.

6. მე-5 პუნქტში აღწერილი გარემოებების შესაბამისად, კოორდინატორებმა შეძლებისდაგვარად მოკლე დროში უნდა შეატყობინონ ერთმანეთს წინასწარი შეტყობინების მექანიზმის გამოყენების აუცილებლობის შესახებ. სხვა საკითხებთან ერთად, ეს შეტყობინება უნდა მოიცავდეს კოორდინატორების მიერ უფლებამოსილებამინიჭებული პირების სიას, რომელთა დახმარებითაც მათ მუდმივი კონტაქტი ექნებათ ერთმანეთთან.

7. მე-6 პუნქტის შესაბამისად შეტყობინების გაგზავნისთანავე, თითოეული მხარე ვალდებულია მიაწოდოს მეორე მხარეს საკუთარი შეფასება. ასეთი შეფასება უნდა მოიცავდეს სავარაუდო დროის მონაკვეთს, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია საგანგებო სიტუაციის საფრთხისა თუ საგანგებო სიტუაციის აღმოფხვრა. მხარეებმა დაუყოვნებლივ უნდა მოახდინონ რეაგირება მეორე მხარის მიერ მიწოდებულ შეფასებაზე და დაურთონ ამ შეტყობინებას მათ ხელთ არსებული დამატებითი ინფორმაცია.

8. თუკი ერთ-ერთი მხარე ვერ ახერხებს ადეკვატურად შეაფასოს ან მიიღოს მეორე მხარის მიერ მიწოდებული სიტუაციის შეფასება ან სავარაუდო დროის მონაკვეთი, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია საგანგებო სიტუაციის საფრთხისა თუ საგანგებო სიტუაციის აღმოფხვრა, შესაბამის კოორდინატორს შუძლია კონსულტაციების მოთხოვნა, რომელიც უნდა დაიწყოს მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების გაგზავნიდან არაუგვიანეს სამი დღისა. ასეთი კონსულტაციები უნდა ჩატარდეს ექსპერტთა ჯგუფის მიერ, რომელიც შედგება კოორდინატორების მიერ უფლებამოსილი წარმომადგენლებისაგან. კონსულტაციების მიზანია:

(a) სიტუაციის საერთო შეფასებისა და მოვლენების შესაძლო განვითარების შეფასების შემუშავება;

(b) რეკომენდაციების შემუშავება საგანგებო სიტუაციის საფრთხის თავიდან ასაცილებლად ან აღმოსაფხვრელად, ან არსებული საგანგებო სიტუაციის დასაძლევად.

(c) რეკომენდაციების შემუშავება ერთობლივ სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით წინამდებარე დანართის მე-8 პუნქტის „a“ და „b“ ქვეპუნქტების გათვალისწინებით, რათა მოხდეს საგანგებო სიტუაციის შედეგების მინიმალიზაცია და, თუ შესაძლებელია, საგანგებო სიტუაციის დაძლევა, სპეციალური მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესაძლებლობის ჩათვლით.

9. კონსულტაციები, საერთო შეფასებები და შეთავაზებული რეკომენდაციები უნდა ეფუძნებოდეს გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციულობისა და პროპორციულობის პრინციპებს.

10. კოორდინატორები, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, იმუშავებენ საგანგებო სიტუაციის საფრთხის აღმოფხვრასა თუ საგანგებო სიტუაციის დაძლევაზე, მხედველობაში მიიღებენ რა კონსულტაციების შედეგად შემუშავებულ რეკომენდაციებს.

11. მე-8 პუნქტში ხსენებულმა ექსპერტთა ჯგუფმა ჩატარებული სამუშაოს შესახებ ანგარიში უნდა ჩააბაროს კოორდინატორებს ნებისმიერი შეთანხმებული გეგმის განხორციელებისთანავე.

12. საგანგებო სიტუაციის წარმოშობის შემთხვევაში, კოორდინატორებმა შესაძლოა შექმნან სპეციალური მონიტორინგის ჯგუფი, რომლის მიზანიც იქნება არსებული მდგომარეობის და შემდგომი მოვლენების შეფასება და ობიექტური ჩანაწერების წარმოება. ასეთი ჯგუფის შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ:

(a) მხარეთა წარმომადგენლები;

(b) მხარეთა ენერგოკომპანიების წარმომადგენლები;

(c) მხარეთა მიერ შეთავაზებული და ორმხრივად დამტკიცებული საერთაშორისო ენერგეტიკული ორგანიზაციების წარმომადგენლები და

(d) მხარეთა მიერ შეთავაზებული და ორმხრივად დამტკიცებული დამოუკიდებელი ექსპერტები.

13. სპეციალური მონიტორინგის ჯგუფი დაუყოვნებლივ იწყებს მუშაობას და ოპერირებს საჭიროებისამებრ, საგანგებო სიტუაციის აღმოფხვრამდე. სპეციალური მონიტორინგის ჯგუფის მუშაობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ერთობლივად კოორდინატორების მიერ.

14. იმ დროიდან, როცა მხარე ატყობინებს მეორე მხარეს მე-5 პუნქტში აღწერილი გარემოებების შესახებ და წინამდებარე დანართით გათვალისწინებული პროცედურების დასრულებამდე, ასევე საგანგებო სიტუაციის საფრთხის თავიდან აცილებამდე ან აღმოფხვრამდე ან საგანგებო სიტუაციის დაძლევამდე, თითოეულმა მხარემ, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ყველაფერი უნდა გააკეთოს მეორე მხარისათვის უარყოფითი შედეგების მინიმალიზაციის მიზნით. მხარეებმა უნდა ითანამშრომლონ პრობლემის მყისიერად გადაჭრის მიზნით გამჭვირვალობის სულისკვეთებით. მხარეებმა თავი უნდა შეიკავონ ნებისმიერი ქმედებისაგან, რომელიც არ უკავშირდება მიმდინარე საგანგებო სიტუაციას და რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ან გაამძაფროს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ბუნებრივი აირის, ნავთობისა თუ ელექტროენერგიის მიწოდებასთან დაკავშირებული უარყოფითი შედეგები.

15. თითოეული მხარე დამოუკიდებლად იღებს ვალდებულებას წინამდებარე დანართით გათვალისწინებულ ქმედებებთან დაკავშირებულ ხარჯებზე.

16. მხარეები ვალდებულნი არიან, დაიცვან მათ შორის გაცვლილი ინფორმაციის კონფიდენციალურობა, თუ ეს ინფორმაცია კონფიდენციალური ხასიათისაა. მხარეები ვალდებულნი არიან, მიიღონ შესაბამისი ზომები კონფიდენციალური ინფორმაციის დასაცავად საქართველოს ან ევროკავშირის საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების საფუძველზე და შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმებებისა და კონვენციების თანახმად.

17. ორმხრივი თანხმობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ, მოიწვიონ მესამე მხარის წარმომადგენლები მე-8 და მე-12 მუხლებში აღწერილ კონსულტაციებსა და მონიტორინგში მონაწილეობის მისაღებად.

18. მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ წინამდებარე დანართის დებულებების მიღებაზე წინასწარი შეტყობინების მექანიზმის

შესაქმნელად მათი და სხვა მხარეთა მონაწილეობით.

19. ამ დანართის დებულებების დარღვევა არ შეიძლება გახდეს დავის მოგვარების პროცედურების საფუძველი, რომელიც გათვალისწინებულია ამ შეთანხმების IV კარით (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) ან ნებისმიერი სხვა შეთანხმებით, რომელიც გამოიყენება მხარეებს შორის დავის მოგვარებისთვის. ამასთან, მხარეებს ეკრძალებათ, დავის მოგვარების პროცედურის ფარგლებში სამხილის სახით დაეყრდნონ ან წარადგინონ:

(a) წინამდებარე დანართით გათვალისწინებული პროცედურის ფარგლებში მეორე მხარის მიერ დაკავებული პოზიცია ან გამოთქმული შეთავაზება; ან

(b) ფაქტი, რომ მეორე მხარემ გამოთქვა მზაობა, მიიღოს ამ მექანიზმს დაქვემდებარებული საგანგებო სიტუაციის გადაჭრის ესა თუ ის გზა.

დანართი XIX

მედიაციის მექანიზმი

მუხლი 1

მიზანი

ამ დანართის მიზანია გააადვილოს ურთიერთშეთანხმებული გადაწყვეტის პოვნა ყოვლისმომცველი და სწრაფი პროცედურით, მედიატორის დახმარებით.

ნაწილი 1

მედიაციის მექანიზმის პროცედურა

მუხლი 2

ინფორმაციის მოთხოვნა

1. მედიაციის პროცედურის დაწყებამდე მხარეს ნებისმიერ დროს შეუძლია წერილობით მოითხოვოს ინფორმაცია იმ ზომაზე, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს მის სავაჭრო ინტერესებზე. მხარე, რომელსაც გაეგზავნა მოთხოვნა, 20 დღის განმავლობაში გასცემს წერილობით პასუხს, რომელიც მოიცავს მის შენიშვნებს იმ ინფორმაციაზე, რომელსაც შეიცავს მოთხოვნა.

2. როდესაც პასუხის გამცემი მხარე თვლის, რომ პასუხის გაცემა 20 დღის განმავლობაში შეუძლებელია, ის შეატყობინებს ინფორმაციის მომთხოვნ მხარეს დაყოვნების მიზეზებს და ასევე აცნობებს უმოკლესი პერიოდის შესახებ, რომლის განმავლობაშიც ის შეძლებს პასუხის გაცემას.

მუხლი 3

პროცედურის დაწყება

1. მხარეს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს, რომ მხარეებმა დაიწყონ მედიაციის პროცესი. ასეთი მოთხოვნა მეორე მხარეს უნდა გაეგზავნოს წერილობით. მოთხოვნა უნდა იყოს საკმარისად დეტალური, რათა ნათლად ასახავდეს მომთხოვნი მხარის ინტერესებს და უნდა:

(a) ახდენდეს განსახილველი სპეციალური ზომის იდენტიფიცირებას;

(b) შეიცავდეს განცხადებას იმ ზომის სავარაუდო უარყოფით გავლენაზე, რომელიც მომთხოვნი მხარის აზრით უარყოფით გავლენას ახდენს ან მოახდენს მის სავაჭრო ინტერესებზე, და

(c) ხსნიდეს იმას, თუ რატომ მიიჩნევს მომთხოვნი მხარე, რომ ეს გავლენა დაკავშირებულია ზომასთან.

2. მედიაციის პროცედურა შეიძლება დაიწყოს მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით. მხარემ, რომელსაც გაეგზავნა მოთხოვნა ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოთხოვნა უნდა განიხილოს კეთილგანწყობილად, მიიღოს ან უარყოს იგი და ამის შესახებ წერილობით უპასუხოს მოთხოვნის მიღებიდან ათი დღის განმავლობაში.

მუხლი 4

მედიატორის არჩევა

1. მედიაციის პროცედურის დაწყებისას მხარეებმა უნდა გამოიჩინონ ძალისხმევა, რომ შეთანხმდნენ მედიატორზე ამ დანართის მე-3 მუხლში მითითებულ მოთხოვნაზე პასუხის მიღებიდან არაუგვიანეს 15 დღისა.

2. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ შეძლებენ მედიატორზე შეთანხმებას ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ დროში, თითოეულ მხარეს შეუძლია მოსთხოვოს ამ შეთანხმების 408-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტის თავმჯდომარეს ან თანათავმჯდომარეებს ან მათ დელეგატებს კენჭისყრით აირჩიონ მედიატორი ამ შეთანხმების 268-ე მუხლით დადგენილი სიიდან. ორივე მხარის წარმომადგენლებს საკმარისი დროით ადრე უნდა დაეგზავნოთ შეტყობინება და მოწვეულ უნდა იყვნენ კენჭისყრაზე დასასწრებად. ნებისმიერ შემთხვევაში, კენჭისყრა უნდა განხორციელდეს იმ მხარის/მხარეების მონაწილეობით, რომლებიც ესწრებიან.

3. ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტის თავმჯდომარემ ან თანათავმჯდომარემ ან მათმა დელეგატებმა მედიატორი უნდა აირჩიონ თითოეული მხარის მიერ ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნის გაკეთებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

4. თუ ამ შეთანხმების 268-ე მუხლში მოცემული სია არ არის შედგენილი იმ დროისთვის, როდესაც გაკეთდა მოთხოვნა ამ დანართის მე-3 მუხლის შესაბამისად, მედიატორად კენჭი ეყრება იმ პირთა კანდიდატურებს, რომლებიც ფორმალურად წამოყენებულია ერთი ან ორივე მხარის მიერ.

5. თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდნენ, მედიატორი არ უნდა იყოს რომელიმე მხარის მოქალაქე.

6. მედიატორი უნდა დაეხმაროს მხარეებს მიუკერძოებლად და გამჭვირვალედ, რათა ნათელი მოეფინოს ზომას და ვაჭრობაზე მის შესაძლო გავლენას, და მიღწეულ იქნას ურთიერთშეთანხმებული გადაწყვეტილება. ამ შეთანხმების XXI დანართში მოცემული არბიტრთა და მედიატორთა ქცევის კოდექსი ვრცელდება მედიატორებზე, შესაბამისი შესწორებების გათვალისწინებით. (ამ შეთანხმების XX დანართში მოცემული პროცედურული წესების მე-3 - მე-7 (შეტყობინებები) და 41-ე - 45-ე (თარგმნა და თარჯიმნობა) წესები, შესაბამისი შესწორებების გათვალისწინებით, , ასევე ეხება მედიატორებს.

მუხლი 5

მედიაციის პროცედურის წესები

1. მედიატორის დანიშვნიდან ათი დღის განმავლობაში მხარემ, რომელმაც წამოიწყო მედიაციის პროცედურა, მედიატორს და მეორე მხარეს წერილობით უნდა წარუდგინოს პრობლემის დეტალური აღწერა; კერძოდ, განსახილველი ზომის მოქმედება და გავლენა ვაჭრობაზე. ამ განცხადების ჩაბარებიდან 20 დღის განმავლობაში, მეორე მხარეს შეუძლია წერილობით წარმოადგინოს თავისი შენიშვნები პრობლემის აღწერაზე. თავის აღწერაში ან შენიშვნებში თითოეულ მხარეს შეუძლია ჩართოს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც რელევანტურად ჩათვლის.

2. მედიატორს შეუძლია გადაწყვიტოს თუ რა არის ყველაზე შესაფერისი გზა იმისათვის, რომ ნათელი მოეფინოს ზომას და ამ ზომის შესაძლო გავლენას ვაჭრობაზე. კერძოდ, მედიატორს შეუძლია ორგანიზება გაუწიოს მხარეთა შორის შეხვედრებს, კონსულტაცია გაუწიოს მხარეებს ერთობლივად ან ცალ-ცალკე, ეძიოს დახმარება შესაბამისი ექსპერტებისგან და დაინტერესებული პირებისგან, კონსულტაცია გაიაროს მათთან და უზრუნველყოს სხვა ნებისმიერი დამატებითი დახმარების გაწევა, რომელსაც მოითხოვენ მხარეები. თუმცა, სანამ დაიწყებს ექსპერტებისგან და დაინტერესებული პირებისგან დახმარების ძიებას ან სანამ გაივლის მათთან კონსულტაციას, მედიატორმა კონსულტაცია უნდა გაიაროს მხარეებთან.

3. მედიატორს შეუძლია მიაწოდოს მხარეებს რჩევა და შესთავაზოს საკითხის გადაწყვეტა მხარეთა მიერ შემდგომი განხილვისათვის. მხარეებს შეუძლიათ მიიღონ ან უკუაგდონ შეთავაზებული გადაწყვეტილება ან შეთანხმდნენ სხვა გადაწყვეტილებაზე. თუმცა, მედიატორმა არ უნდა მისცეს რჩევა ან გააკეთოს კომენტარი განსახილველი ზომის ამ შეთანხმებასთან შესაბამისობაზე.

4. პროცედურა უნდა განხორციელდეს იმ მხარის ტერიტორიაზე, რომელსაც გაეგზავნა მოთხოვნა. მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში პროცედურა შეიძლება განხორციელდეს სხვა ნებისმიერ ადგილზე და სხვა ნებისმიერი საშუალებით.

5. მხარეები უნდა ეცადონ მიაღწიონ ურთიერთშეთანხმებულ გადაწყვეტილებას მედიატორის დანიშვნიდან 60 დღის განმავლობაში. საბოლოო შეთანხმების მიღწევამდე, მხარეებს შეუძლიათ განიხილონ შესაძლო შუალედური გადაწყვეტილების მიღწევა, განსაკუთრებით მაშინ, თუ ზომა უკავშირდება მალფუჭებად საქონელს.

6. გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნას ამ შეთანხმების 408-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტის გადაწყვეტილების სახით. თითოეულ მხარეს შეუძლია ეს გადაწყვეტილება დაუქვემდებაროს აუცილებელი შიდა პროცედურების დასრულებას. ურთიერთშეთანხმებული გადაწყვეტილება უნდა იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი. საჯაროდ განთავსებული ვერსია არ შეიძლება შეიცავდეს ინფორმაციას, რომელიც მხარემ განსაზღვრა როგორც კონფიდენციალური.

7. მხარეთა მოთხოვნით, მედიატორი მხარეებს გააცნობს ფაქტებთან დაკავშირებული ანგარიშის წერილობით პროექტს, რომელიც შეიცავს მოკლე რეზიუმეს: (a) ამ პროცედურებით განსახილველი ზომის; (b) შემდგომი პროცედურების; და (c) ნებისმიერი ურთიერთშეთანხმებული გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც მიღწეულია, როგორც ამ პროცედურების საბოლოო შედეგი, მათ შორის შესაძლო შუალედური გადაწყვეტილებები. ანგარიშის პროექტზე შენიშვნების წარმოსადგენად მედიატორი მხარეებს აძლევს 15 დღეს. ამ პერიოდში წარმოდგენილი შენიშვნების განხილვიდან 15 დღის განმავლობაში მედიატორი მხარეებს წერილობით გადასცემს ფაქტებთან დაკავშირებულ საბოლოო ანგარიშს. ფაქტებთან დაკავშირებული ანგარიში არ უნდა შეიცავდეს ამ შეთანხმების რაიმე სახით განმარტებას.

8. პროცედურა შეწყდება:

(a) მხარეთა მიერ ურთიერთშეთანხმებული გადაწყვეტილების მიღებით, მისი მიღების დღეს;

(b) პროცედურის ნებისმიერ ეტაპზე მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, ასეთი შეთანხმების მიღების დღეს;

(c) მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ მედიატორის წერილობითი განცხადებით იმასთან დაკავშირებით, რომ მედიაციაში სხვა შემდგომი ძალისხმევა აღარ იქნება გამოყენებული, ასეთი განცხადების გაკეთების დღეს; ან

(d) მხარის წერილობითი განცხადებით, მას შემდეგ, რაც გამოიკვლევს მედიაციის პროცედურით მიღწეულ ურთიერთშეთანხმებულ გადაწყვეტილებას და განიხილავს მედიატორის რჩევასა და შეთავაზებულ გადაწყვეტილებას, ამ განცხადების გაკეთების დღეს.

ნაწილი 2

იმპლემენტაცია

მუხლი 6

ურთიერთშეთანხმებული გადაწყვეტილების იმპლემენტაცია

1. როდესაც მხარეები შეთანხმდებიან გადაწყვეტილებაზე, თითოეულმა მხარემ უნდა გაატაროს ის ზომები, რომლებიც აუცილებელია იმისათვის, რომ მოხდეს ურთიერთშეთანხმებული გადაწყვეტილების იმპლემენტაცია შეთანხმებულ დროის მონაკვეთში.

2. იმპლემენტაციის განმახორციელებელმა მხარემ მეორე მხარეს წერილობით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია ურთიერთშეთანხმებული გადაწყვეტილების იმპლემენტაციისთვის გადადგმული ნაბიჯებისა და გატარებული ზომების შესახებ.

ნაწილი 3

ზოგადი დებულებები

მუხლი 7

კონფიდენციალურობა და მიმართება დავების მოგვარებასთან

1. თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდნენ და ამ დანართის 5(6) მუხლის დებულებებისთვის ზიანის მიუყენებლად, პროცედურის ყველა ნაბიჯი, მათ შორის თითოეული რჩევა და შეთავაზებული გადაწყვეტილება არის კონფიდენციალური. თუმცა, თითოეულ მხარეს შეუძლია საჯარო გახადოს ის ფაქტი, რომ მედიაცია მიმდინარეობს.

2. მედიაციის პროცედურა ზიანს არ აყენებს მხარეთა უფლებებსა და ვალდებულებებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) მე-14 თავის (დავების მოგვარება) დავების მოგვარების დებულებებით ან სხვა ხელშეკრულების დებულებებით.

3. მედიაციის პროცედურის დაწყებამდე ამ შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) მე-14 თავით (დავების მოგვარება) გათვალისწინებული კონსულტაციები არ არის სავალდებულო. თუმცა, მედიაციის პროცედურის დაწყებამდე, მხარეს ჩვეულებრივ შეუძლია გამოიყენოს თანამშრომლობასა და კონსულტაციასთან დაკავშირებით ამ შეთანხმებით გათვალისწინებული სხვა დებულებები.

4. ამ ან სხვა შეთანხმებით გათვალისწინებული დავების მოგვარების პროცესში მხარე არ უნდა დაეყრდნოს ან წარმოადგინოს, როგორც მტკიცებულება და არც პანელმა უნდა გაითვალისწინოს:

(a) მეორე მხარის პოზიცია მედიაციის პროცედურის მიმდინარეობისას ან ინფორმაცია შეგროვებული ამ დანართის მე-5 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად.

(b) ის ფაქტი, რომ მეორე მხარემ მიანიშნა თავის მზაობაზე დათანხმდეს საკითხის იმ ზომასთან მიმართებით გადაწყვეტას, რომელიც არის მედიაციის საგანი;

(c) მედიატორის მიერ მიცემული რჩევა ან შეთავაზებები.

5. მედიატორი არ შეიძლება იყოს პანელის წევრი წინამდებარე შეთანხმებით ან ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შეთანხმებით გათვალისწინებულ დავების მოგვარების პროცესში, როდესაც საქმე ეხება იმავე საკითხს, რომელზეც ის იყო მედიატორი.

მუხლი 8

ვადები

ნებისმიერი ვადა, რომელიც მითითებულია ამ დანართში, შეიძლება შეიცვალოს ამ პროცედურების მონაწილე მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

მუხლი 9

ხარჯები

1. თითოეული მხარე ფარავს თავის საკუთარ დანახარჯებს, რომლებიც გამომდინარეობს მედიაციის პროცესში მისი მონაწილეობიდან.

2. მხარეები ინაწილებენ, ერთობლივად და თანაბრად, ხარჯებს, რომლებიც გამომდინარეობს ორგანიზაციული საკითხებიდან, მათ შორის მედიატორის ანაზღაურებას და ხარჯებს. მედიატორის ანაზღაურება უნდა იყოს საარბიტრაჟო პანელის თავმჯდომარისთვის პროცედურული წესების 8(e) წესით გათვალისწინებული ანაზღაურების შესაბამისი.

დანართი XX

დავების მოგვარების პროცედურული წესები

ზოგადი დებულებები

1. ამ შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) მე-14 თავში (დავების მოგვარება) და ამ წესების მიხედვით:

(a) „მრჩეველი“ - არის პირი, რომელიც დაქირავებულია დავის მხარის მიერ საარბიტრაჟო პროცესში რჩევების მისაცემად და დახმარების მიზნით;

(b) „არბიტრი“ – არის ამ შეთანხმების 249-ე მუხლის თანახმად შექმნილი საარბიტრაჟო პანელის წევრი;

(c) „თანაშემწე“ - არის პირი, რომელიც არბიტრის დანიშვნის წესების თანახმად ახორციელებს კვლევას და დახმარებას უწევს ამ არბიტრს;[2]

(d) „განმცხადებელი“ - არის ნებისმიერი მხარე, რომელიც ითხოვს საარბიტრაჟო პანელის შექმნას ამ შეთანხმების 248-ე მუხლის თანახმად;

(e) „მოპასუხე“ - არის მხარე, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ამ შეთანხმების 245-ე მუხლში მითითებული დებულებები;

(f) „საარბიტრაჟო პანელი“ - ამ შეთანხმების 249-ე მუხლის თანახმად შექმნილი პანელი;

(g) „მხარის წარმომადგენელი“ - არის სამინისტროს ან სამთავრობო დაწესებულების, ან მხარის ნებისმიერი საჯარო დაწესებულების მიერ დასაქმებული ან დანიშნული ნებისმიერი პირი, რომელიც წარმოადგენს ამ მხარეს ამ შეთანხმებით გათვალისწინებული დავის მიზნებისათვის;

(h) „დღე“ - არის კალენდარული დღე.

2. თუკი სხვაგვარი შეთანხმება არ არსებობს, მოპასუხე პასუხისმგებელია დავის გადაწყვეტის პროცედურების ლოჯისტიკურ ადმინისტრირებაზე, კერძოდ კი ზეპირი განხილვების ორგანიზებაზე. მხარეები თანაბარწილად გაიღებენ ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებულ ხარჯებს, არბიტრების ანაზღაურებისა და ხარჯების ჩათვლით.

შეტყობინებები

3. დავის თითოეულმა მხარემ და საარბიტრაჟო პანელმა უნდა გაუგზავნოს ნებისმიერი მოთხოვნა, შეტყობინება, წერილობითი განაცხადი ან სხვა დოკუმენტი ელექტრონული ფოსტით მეორე მხარეს, და რაც შეეხება წერილობით განაცხადებასა და მოთხოვნებს არბიტრაჟის კონტექსტში - უნდა გაუგზავნონ თითოეულ არბიტრს. საარბიტრაჟო პანელი გადასცემს დოკუმენტებს მხარეებს ასევე ელექტრონული ფოსტით. თუკი არ დამტკიცდა საწინააღმდეგო, ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი შეტყობინება ჩაითვლება მიღებულად მისი გაგზავნის დღეს. თუკი ნებისმიერი თანდართული დოკუმენტი არის ათ მეგაბაიტზე მეტი, მაშინ ეს დოკუმენტი მეორე მხარისა და თუ საჭიროა თითოეული არბიტრისათვის მიწოდებული უნდა იქნას სხვა ელექტრონული ფორმატით, ი-მეილის გაგზავნიდან 2 დღეში.

4. ზემოაღნიშნული მე-3 წესის შესაბამისად გაგზავნილი დოკუმენტების ასლები წარედგინება მეორე მხარეს და, თუ საჭიროა, თითოეულ არბიტრს, ი-მეილის გაგზავნის დღეს ფაქსიმილით, რეგისტრირებული ფოსტით, კურიერის მეშვეობით, „გაგზავნა ჩაბარებით“ ან ნებისმიერი სხვა სატელეკომუნიკაციო საშუალებით, რომელიც უზრუნველყოფს გაგზავნის დამადასტურებელ ჩანაწერს.

5. ყველა შეტყობინება მიმართული უნდა იყოს შესაბამისად საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ევროკომისიის ვაჭრობის გენერალური დირექტორატისათვის.

6. წვრილმანი ტექნიკური შეცდომები ნებისმიერ მოთხოვნაში, შეტყობინებაში, წერილობით განაცხადებში ანდა ნებისმიერ სხვა დოკუმენტში, რომელიც დაკავშირებულია საარბიტრაჟო პანელის პროცედურებთან, შეიძლება შესწორდეს ახალი დოკუმენტის მიწოდებით, რომელშიც ნათლად იქნება მითითებული ცვლილებები.

7. თუკი დოკუმენტის ჩაბარების ბოლო დღე ემთხვევა საქართველოს ან ევროკავშირის ოფიციალურ დღესასწაულს, დოკუმენტი ჩაბარებულად ჩაითვლება მომდევნო სამუშაო დღეს.

არბიტრაჟის დაწყება

8. (a) თუკი ამ შეთანხმების 249-ე მუხლის ან ამ წესების მე-19, მე-20 ან 46-ე წესის თანახმად, არბიტრის არჩევა ხდება კენჭისყრით, კენჭისყრა ხორციელდება განმცხადებლის მიერ შერჩეულ დროსა და ადგილას, რის შესახებაც დაუყონებლივ ეცნობება მოპასუხეს. მოპასუხეს საკუთარი სურვილის შესაბამისად შეუძლია დაესწროს კენჭისყრას. ნებისმიერ შემთხვევაში კენჭისყრა უნდა გაიმართოს იმ მხარესთან/მხარეებთან, რომლებიც არიან წარმოდგენილი.

(b) თუკი ამ შეთანხმების 249-ე მუხლის ან ამ წესების მე-19, მე-20 ან 46-ე წესის თანახმად არბიტრის არჩევა უნდა მოხდეს კენჭისყრით და არის ამ შეთანხმების 408-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტის ორი თავმჯდომარე, კენჭისყრა ჩატარდება ორივე თავმჯდომარის ან მათი დელეგატების მიერ. თუმცა, იმ შემთხვევაში, როდესაც ერთ-ერთი თავმჯდომარე ან მისი დელეგატი არ არის თანახმა მონაწილეობა მიიღოს კენჭისყრაში, კენჭისყრა განხორციელდება მხოლოდ მეორე თავმჯდომარის მიერ.

(c) მხარეებმა უნდა შეატყობინონ არჩეულ არბიტრებს მათი დანიშვნის შესახებ.

(d) არბიტრმა, რომელიც დანიშნულ იქნა ამ შეთანხმების 249-ე მუხლით დადგენილი პროცედურის თანახმად, არბიტრად დანიშვნის შესახებ შეტყობინების მიღებიდან ხუთი დღის განმავლობაში უნდა დაუდასტუროს ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტს, რომ შეუძლია იყოს საარბიტრაჟო პანელის წევრი.

(e) თუკი მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან, ისინი უნდა შეხვდნენ საარბიტრაჟო პანელს მისი შექმნიდან შვიდი დღის განმავლობაში, ისეთი საკითხების განსასაზღვრად, რასაც მხარეები ან საარბიტრაჟო პანელი მიიჩნევს საჭიროდ, არბიტრებისათვის გადასახდელი გასამრჯელოსა და ხარჯების ჩათვლით, რომელიც შესაბამისობაში უნდა იყოს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სტანდარტებთან. თითოეული არბიტრის თანაშემწის გასამრჯელო არ უნდა იყოს ამ არბიტრის გასამრჯელოს 50 პროცენტზე მეტი. არბიტრებმა და მხარეთა წარმომადგენლებმა ამ შეხვედრაში მონაწილეობა შესაძლოა მიიღონ სატელეფონო ან ვიდეო კონფერენციის მეშვეობით.

9. (a) თუკი არბიტრების არჩევიდან ხუთი დღის განმავლობაში, მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან, საარბიტრაჟო პანელს ექნება შემდეგი კომპეტენცია: „დავის მხარეების მიერ წამოყენებული შეთანხმების შესაბამისი დებულებების მიხედვით განიხილოს საარბიტრაჟო პანელის შექმნის მოთხოვნაში მითითებული საკითხი, მიიღოს გადაწყვეტილება სადაო ზომების ასოცირების შეთანხმების 245-ე მუხლში მითითებულ დებულებებთან შესაბამისობაზე და გამოიტანოს გადაწყვეტილება წინამდებარე შეთანხმების 251-ე მუხლის შესაბამისად.“

(b) შეთანხმებიდან სამი დღის განმავლობაში, მხარეებმა შეთანხმებული პანელის კომპეტენციისა და განსახორციელებელი საქმიანობის შესახებ უნდა აცნობონ საარბიტრაჟო პანელს.

პირველადი წერილობითი განაცხადები

10. განმცხადებელმა უნდა წარადგინოს თავისი პირველი წერილობითი განაცხადი საარბიტრაჟო პანელის შექმნიდან არა უგვიანეს 20 დღისა. მოპასუხე წარადგენს თავის წერილობით შეპასუხებას პირველადი წერილობითი განაცხადის მიღებიდან არაუგვიანეს 20 დღისა.

საარბიტრაჟო პანელის მუშაობა

11. საარბიტრაჟო პანელის თავმჯდომარე თავმჯდომარეობს ყველა შეხვედრას. საარბიტრაჟო პანელის მიერ თავმჯდომარეზე შესაძლოა დელეგირებულ იქნას ადმინისტრაციული და პროცედურული გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება.

12. თუკი ამ შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) მე-14 თავი (დავების მოგვარება) სხვა რამეს არ ითვალისწინებს, საარბიტრაჟო პანელს შეუძლია განახორციელოს მისი საქმიანობა ნებისმიერი საშუალებით, მათ შორის ტელეფონის, ფაქსიმილიის გადაცემით ან კომპიუტერული კავშირების მეშვეობით.

13. მხოლოდ არბიტრს შეუძლია მიიღოს მონაწილეობა საარბიტრაჟო პანელის თათბირში, მაგრამ საარბიტრაჟო პანელმა შესაძლოა ნება დართოს თავიანთ თანაშემწეებს - დაესწრონ თათბირებს.

14. ნებისმიერი გადაწყვეტილების პროექტის შედგენა არის საარბიტრაჟო პანელის ექსკლუზიური ვალდებულება და არ შეიძლება მისი დელეგირება სხვა პირზე.

15. როდესაც წამოიჭრება პროცედურული საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) მე-14 თავით (დავების მოგვარება) ან მისი დანართებით, საარბიტრაჟო პანელს მხარეებთან კონსულტაციების გავლის შედეგად შეუძლია დაადგინოს შესაბამისი პროცედურა, რომელიც შესაბამისობაში იქნება ამ დებულებებთან.

16. როდესაც საარბიტრაჟო პანელი მიიჩნევს, რომ საჭიროა პროცედურებისათვის დადგენილი ვადების შეცვლა, განსხვავებით იმისგან, რაც ამ შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) მე-14 თავში (დავების მოგვარება) იყო დადგენილი, ან საჭიროა ნებისმიერი სხვა პროცედურული და ადმინისტრაციული შესწორების განხორციელება, მან უნდა შეატყობინოს წერილობით დავის მხარეებს ცვლილების ან შესწორების მიზეზების შესახებ და დროის იმ პერიოდისა და შესწორების შესახებ, რომელიც საჭიროა.

ჩანაცვლება

17. თუ საარბიტრაჟო პროცედურაში არბიტრი ვერ იღებს მონაწილეობას, უარს ამბობს მონაწილეობაზე, ან ჩანაცვლებულ უნდა იქნას იმის გამო, რომ ვერ აკმაყოფილებს ქცევის კოდექსის მოთხოვნებს, ახალი არბიტრი არჩეულ უნდა იქნას ამ შეთანხმების 249-ე მუხლისა და ამ წესების მე-8 წესის შესაბამისად.

18. როდესაც დავის მხარეს მიაჩნია, რომ არბიტრი არ აკმაყოფილებს ქცევის კოდექსის მოთხოვნებს და ამ მიზეზის გამო უნდა შეიცვალოს, ამ მხარემ უნდა შეატყობინოს დავის მეორე მხარეს 15 დღის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც მან მიიღო მტკიცებულება იმ გარემოებების შესახებ, რომელიც ხაზს უსვამს არბიტრის მიერ ქცევის კოდექსის ნორმების ხელშესახებ დარღვევას.

19. როდესაც დავის მხარეს მიაჩნია, რომ არბიტრი, გარდა საარბიტრაჟო პანელის თავმჯდომარისა, არ აკმაყოფილებს ქცევის კოდექსის მოთხოვნებს, დავის მხარეებმა უნდა გაიარონ კონსულტაცია და თუ შეთანხმდებიან, აირჩევენ ახალ არბიტრს ამ შეთანხმების 249-ე მუხლისა და ამ წესების მე-8 წესის შესაბამისად.

თუ დავის მხარეები ვერ შეთანხმდებიან არბიტრის შეცვლის საჭიროებაზე, დავის ნებისმიერ მხარეს შეუძლია ასეთი საკითხით მიმართოს საარბიტრაჟო პანელის თავმჯდომარეს, რომლის გადაწყვეტილებაც იქნება საბოლოო.

თუ ასეთი მოთხოვნის თანახმად, თავმჯდომარე აღმოაჩენს, რომ არბიტრი არ აკმაყოფილებს ქცევის კოდექსის მოთხოვნებს, ახალი არბიტრი არჩეულ უნდა იქნას ამ შეთანხმების 249-ე მუხლისა და ამ წესების მე-8 წესის შესაბამისად.

20. როდესაც მხარეს მიაჩნია, რომ სააარბიტრაჟო პანელის თავმჯდომარე არ აკმაყოფილებს ქცევის კოდექსის მოთხოვნებს, მხარეებმა უნდა გაიარონ კონსულტაცია და თუ შეთანხმდებიან, აირჩევენ ახალი თავმჯდომარეს ამ შეთანხმების 249-ე მუხლისა და ამ წესების მე-8 წესის შესაბამისად.

თუ დავის მხარეები ვერ შეთანხმდებიან თავმჯდომარის შეცვლის საჭიროებაზე, დავის ნებისმიერ მხარეს შეუძლია ასეთი საკითხით მიმართოს ერთ-ერთ წევრს დარჩენილ პირთა წრიდან, თავმჯდომარეების იმ სიიდან, რომელიც მითითებულია ამ შეთანხმების 268-ე მუხლის 1 პუნქტში. მოთხოვნიდან 5 დღის განმავლობაში, მისი სახელი ცნობილი უნდა გახდეს კენჭისყრის მეშვეობით ამ წესების მე-8 წესის შესაბამისად. შერჩეული პირის გადაწყვეტილება თავმჯდომარის შეცვლის საჭიროებაზე იქნება საბოლოო.

თუკი შერჩეული პირი გადაწყვეტს, რომ თავდაპირველი თავმჯდომარე არ აკმაყოფილებს ქცევის კოდექსის მოთხოვნებს, ის აირჩევს ახალ თავმჯდომარეს კენჭისყრით დარჩენილი პირთა წრიდან, თავმჯდომარეების იმ სიიდან, რომელიც მითითებულია ამ შეთანხმების 268-ე მუხლის 1 პუნქტში. ახალი თავმჯდომარის არჩევა უნდა მოხდეს ხუთი დღის განმავლობაში.შერჩეული პირის მიერ გადაწყვეტილების მიღების დღიდან იმის თაობაზე, რომ არსებული თავმჯდომარე არ აკმაყოფილებს ქცევის კოდექსის მოთხოვნებს.

21. საარბიტრაჟო პანელის პროცედურები შეჩერდება იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც საჭიროა ამ წესების მე-18, მე-19 და მე-20 წესებით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელებისათვის.

მოსმენები

22. დავის მხარეებთან და დანარჩენ არბიტრებთან კონსულტაციების შედეგად, საარბიტრაჟო პანელის თავმჯდომარე დაადგენს თარიღსა და დროს მოსმენებისათვის და აღნიშნულს წერილობით დაუდასტურებს მხარეებს. აღნიშნული ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომი უნდა გახადოს იმ მხარემ, რომელიც პასუხისმგებელია პროცედურების ლოჯისტიკურ ადმინისტრირებაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოსმენა დახურულია საზოგადოებისათვის. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარე არაა თანახმა, საარბიტრაჟო პანელს შეუძლია გადაწყვიტოს რომ არ დანიშნოს მოსმენა.

მოსმენა არის ღია საზოგადოებისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ის უნდა იყოს ნაწილობრივ ან მთლიანად დახურული, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას კონფიდენციალური ინფორმაციის გაუმჟღავნებლობა. დამატებით, მხარეებს შეუძლიათ, ორმხრივი შეთანხმებით, გადაწყვიტონ, რომ მოსმენა იყოს ნაწილობრივ ან მთლიანად დახურული საზოგადოებისათვის სხვა ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით.

23. თუკი მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან, მოსმენა ჩატარდება ბრუსელში, თუკი განმცხადებელი არის საქართველო, ხოლო თუკი განმცხადებელი არის ევროკავშირი - თბილისში.

24. საარბიტრაჟო პანელს შეუძლია დანიშნოს დამატებითი მოსმენები, თუკი მხარეები თანახმა არიან.

25. ყველა არბიტრი უნდა ესწრებოდეს ნებისმიერ მოსმენას სრულად.

26. შემდეგი პირები შეიძლება დაესწრონ მოსმენას, იმის მიუხედავად პროცედურები ღიაა თუ დახურული საზოგადოებისათვის:

(a) დავის მხარეების წარმომადგენლები;

(b) დავის მხარეების მრჩევლები;

(c) ადმინისტრაციული პერსონალი, თარჯიმნები, მთარგმნელები და სასამართლო სხდომის მდივნები; და

(d) არბიტრების თანაშემწეები.

მხოლოდ მხარეთა წარმომადგენლებსა და მრჩევლებს შეუძლიათ მიმართონ საარბიტრაჟო პანელს.

27. მოსმენამდე არაუგვიანეს ხუთი დღისა, დავის თითოეულმა მხარემ უნდა მიაწოდოს საარბიტრაჟო პანელს იმ პირთა სია, რომლებიც სიტყვით გამოვლენ ამ მხარის, ან სხვა წარმომადგენლების ან მრჩევლების სახელით, რომლებიც დაესწრებიან მოსმენას.

28. საარბიტრაჟო პანელმა მოსმენა უნდა ჩაატაროს შემდეგნაირად, ისე, რომ განმცხადებელსა და მოპასუხეს თანაბარი დრო ჰქონდეთ გამოყოფილი:

პაექრობა

(a) განმცხადებლის პაექრობა

(b) მოპასუხის საპასუხო პაექრობა

გამაბათილებელი პაექრობა

(a) განმცხადებლის პაექრობა

(b) მოპასუხის საპასუხო პაექრობა

29. საარბირაჟო პანელს შეძლია დაუსვას პირდაპირი შეკითხვები დავის ნებისმიერ მხარეს მოსმენის მიმდინარეობისას ნებისმიერ დროს.

30. საარბიტრაჟო პანელმა რაც შეიძლება მალე უნდა უზრუნველყოს თითოეული მოსმენის ჩანაწერის მომზადება და დავის მხარეებისათვის მიწოდება. დავის მხარეებს შეუძლიათ ჩანაწერებზე კომენტარის გაკეთება და საარბიტრაჟო პანელს შეუძლია მხედველობაში მიიღოს ეს კომენტარები.

31. დავის თითოეულ მხარეს შეუძლია წარადგინოს დამატებითი წერილობითი განაცხადი, რომელიც ეხება მოსმენის დროს წამოჭრილ ნებისმიერ საკითხს, მოსმენის ჩატარებიდან ათი დღის განმავლობაში.

წერილობითი კითხვები

32. საარბიტრაჟო პანელს პროცესის განმავლობაში ნებისმიერ დროს შეუძლია წერილობით მიმართოს კითხვებით დავის ერთ ან ორივე მხარეს. დავის თითოეულმა მხარემ უნდა მიიღოს საარბირაჟო პანელის მიერ დასმული კითხვების ასლი.

33. დავის მხარემ ასევე უნდა წარუდგინოს დავის მეორე მხარეს საარბიტრაჟო პანელის მიერ დასმულ კითხვებზე მისი წერილობითი პასუხის ასლი. დავის თითოეულ მხარეს უნდა მიეცეს შესაძლებლობა წარმოადგინოს წერილობითი კომენტარები მეორე მხარის პასუხზე, ასეთი პასუხის მიღებიდან ხუთი დღის განმავლობაში.

კონფიდენციალურობა

34. დავის ერთ-ერთი მხარის მიერ საარბიტრაჟო პანელისათვის წარმოდგენილ ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც ამ მხარემ მიიჩნია კონფიდენციალურად, დავის თითოეული მხარე და მათი მრჩევლები უნდა მოეპყრან, როგორც კონფიდენციალურს. როდესაც დავის მხარე წარუდგენს საარბიტრაჟო პანელს თავისი წერილობითი განაცხადის კონფიდენციალურ ვერსიას, მან მეორე მხარის მოთხოვნის შესაბამისად, ასევე უნდა წარმოადგინოს ამ წერილობით განაცხადში წარმოდგენილი ინფორმაციის არაკონფიდენციალური მოკლე რეზიუმე, რომლის საჯაროდ გამჟღავნებაც შესაძლებელი იქნება. ამ მხარემ უნდა წარმოადგინოს არაკონფიდენციალური რეზიუმე არაუგვიანეს 15 დღისა მოთხოვნის მიღებიდან ან წერილობითი განაცხადის წარდგენიდან, რომელი თარიღიც უფრო გვიან არის; და ასევე ახსნა-განმარტება, თუ რატომ არის წარდგენილი ინფორმაცია კონფიდენციალური. ამ წესებში არაფერი არ უშლის ხელს დავის მხარეს, რათა საჯარო გახადოს განცხადებები საკუთარი პოზიციის შესახებ, თუკი ის მითითებას აკეთებს მეორე მხარის მიერ წარმოდგენილ იმ ინფორმაციზე, რომელიც არ შეიცავს ინფორმაციას, რომელიც მეორე მხარის მიერ მიჩნეულია კონფიდენციალურად. როდესაც მხარის მიერ წარდგენილი წერილობითი განცხადებები და მტკიცებულებები შეიცავენ კონფიდენციალურ ინფორმაციას, საარბიტრაჟო პანელი უნდა შეიკრიბოს დახურულ სესიაზე. დავის მხარეები და მათი მრჩევლები უზრუნველყოფენ საარბიტრაჟო პანელის სხდომის კონფიდენციალურობას, როდესაც სხდომა ტარდება დახურულ კარს მიღმა.

ცალმხრივი კონტაქტები

35. საარბიტრაჟო პანელი არ უნდა შეხვდეს და დაუკავშირდეს ერთ-ერთ მხარეს მეორე მხარის დაუსწრებლად.

36. არცერთმა არბიტრმა არ უნდა განიხილოს საქმის დავის საგანთან დაკავშირებული არცერთი საკითხი დავის ერთ ან ორივე მხარესთან სხვა არბიტრების დაუსწრებლად.

სასამართლოს მეგობრის (amicus curiae) წერილობითი განაცხადები

37. თუ საარბიტრაჟო პანელის შექმნიდან სამი დღის განმავლობაში მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან, საარბიტრაჟო პანელს შეუძლია მიიღოს იმ ფიზიკური და იურიდიული პირებისგან ნებაყოფლობითი წერილობითი განაცხადები, რომლებიც დაფუძნებული არიან დავის მხარის ტერიტორიაზე და დამოუკიდებელნი არიან დავის მხარეების მთავრობებისგან, სარბიტრაჟო პანელის შექმნიდან ათ დღის განმავლობაში. ეს წერილობითი განაცხადები უნდა იყოს ლაკონური და არაუმეტეს 15 გვერდისა, ორმაგი ინტერვალებით; პირდაპირ უნდა შეესაბამებოდეს იმ საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ ასპექტებს, რომელსაც საარბიტრაჟო კომიტეტი განიხილავს.

38. წერილობითი განაცხადი უნდა შეიცავდეს წარმდგენი იურიდიული თუ ფიზიკური პირის შესახებ ინფორმაციას, მისი მოქალაქეობის ან დაფუძნების ადგილის, საქმიანობის სახის, სამართლებრივი სტატუსის, ძირითადი მიზნებისა და დაფინანსების წყაროს ჩათვლით; ზუსტად განსაზღვრული უნდა იყოს ამ პირის ინტერესი საარბიტრაჟო პროცესში. ეს წერილობითი განაცხადი უნდა მომზადდეს იმ ენებზე, რომელიც მხარეებმა აირჩიეს ამ წესების 41-ე და 42-ე წესების შესაბამისად.

39. საარბიტრაჟო პანელმა თავის გადაწყვეტილებაში უნდა გააკეთოს მის მიერ მიღებული ყველა იმ წერილობითი განაცხადის ნუსხა, რომლებიც შეესაბამება ამ წესების 37-ე და 38-ე წესებს. საარბიტრაჟო პანელი არ არის ვალდებული გააკეთოს მითითება ასეთ წერილობით განაცხადზე თავის გადაწყვეტილებაში. ნებისმიერი ასეთი წერილობითი განაცხადი საარბიტრაჟო პანელმა უნდა გააცნოს მხარეებს კომენტარის გასაკეთებლად. დავის მხარეებმა კომენტარი უნდა წარადგინონ საარბიტრაჟო პანელის მიერ ამ განაცხადის გაცნობიდან ათი დღის განმავლობაში და ნებისმიერი ასეთი კომენტარი მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საარბიტრაჟო პანელის მიერ.

გადაუდებელი შემთხვევები

40. ამ შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) მე-14 თავში (დავების მოგვარება) მითითებულ გადაუდებელ შემთხვევებში, საარბიტრაჟო პანელმა მხარეებთან კონსულტაციის შედეგად, საჭიროებისამებრ უნდა შეცვალოს ამ წესებში მითითებული ვადები და უნდა შეატყობინოს მხარეებს აღნიშნული ცვლილებების შესახებ.

წერილობითი და ზეპირი თარგმანი

41. ამ შეთანხმების 246-ე მუხლში მითითებული კონსულტაციების დროს და არაუგვიანეს ამ წესების მე-8 წესის „e“ ქვეპუნქტში მითითებული შეხვედრისა, დავის მხარეებმა მთელი ძალისხმევა უნდა გამოიჩინონ, რათა შეთანხმდნენ საარბიტრაჟო პანელის წინაშე მიმდინარე პროცესის საერთო სამუშაო ენაზე.

42. თუ დავის მხარეები ვერ თანხმდებიან საერთო სამუშაო ენაზე, თითოეულმა მხარემ თავისი წერილობითი განაცხადი უნდა გააკეთოს მის მიერ არჩეულ ენაზე. ამ მხარემ ამავე დროს უნდა უზრუნველყოს მეორე მხარის მიერ არჩეულ ენაზე თარგმანი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წერილობითი განაცხადი გაკეთებულია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ერთ-ერთ სამუშაო ენაზე. მოპასუხემ უნდა უზრუნველყოს ზეპირი გამოსვლების თარგმანი დავის მხარეების მიერ არჩეულ ენებზე.

43. საარბიტრაჟო პანელის გადაწყვეტილება წარდგენილ უნდა იქნეს დავის მხარეების მიერ არჩეულ ენაზე/ენებზე.

44. დავის ნებისმიერ მხარეს შეუძლია წარადგინოს კომენტარი ამ წესების თანახმად შედგენილი დოკუმენტის თარგმნილი ვერსიის თარგმანის სიზუსტეზე.

45. თითოეულმა მხარემ უნდა გაიღოს თავისი წერილობთი განაცხადების თარგმნის ხარჯები. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების თარგმნასთან დაკავშირებული ხარჯები დავის მხარეებმა უნდა გაიღონ თანაბრად.

სხვა პროცედურები

46. ეს წესები ასევე გამოიყენება ამ შეთანხმების 246-ე, 255(2), 256(2), 257(2), 259(2) მუხლებით დადგენილი პროცედურების მიმართ. მიუხედავად ამისა, ამ წესებით დადგენილი ვადები უნდა დარეგულირდეს საარბიტრაჟო პანელის მიერ ზემოაღნიშნული სხვა პროცედურების დროს, საარბიტრაჟო პანელის გადაწყვეტილების მიღებისათვის დადგენილი სპეციალური ვადების შესაბამისად.

დანართი XXI

არბიტრთა და მედიატორთა ქცევის კოდექსი

ტერმინთა განმარტება

1. წინამდებარე კოდექსში:

(a) „არბიტრი“ ნიშნავს ამ შეთანხმების 249-ე მუხლის შესაბამისად შექმნილ საარბიტრაჟო პანელის წევრს.

(b) „კანდიდატი“ ნიშნავს პირს, რომელიც არის ამ შეთანხმების 268-ე მუხლში მითითებულ არბიტრთა სიაში და რომლის კანდიდატურაც განიხილება არბიტრად არჩევისთვის ამ შეთანხმების 249-ე მუხლის შესაბამისად.

(c) „ასისტენტი“ ნიშნავს პირს, რომელიც არბიტრის დანიშვნის შესახებ პირობების შესაბამისად, ახორციელებს კვლევებს ან დახმარებას უწევს არბიტრს.

(d) „წარმოება“ ნიშნავს საარბიტრაჟო პანელის წარმოებას ამ შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) მე-14 თავის (დავების მოგვარება) შესაბამისად, თუ სხვაგვარად არ არის დადგენილი.

(e) „მომსახურე პერსონალი“ არბიტრთან მიმართებით ნიშნავს პირებს, რომლებიც მოქმედებენ არბიტრის მითითებებით და მისი კონტროლის ქვეშ, გარდა ასისტენტებისა.

(f) „მედიატორი“ ნიშნავს პირს, რომელიც ახორციელებს მედიაციის პროცედურას ამ შეთანხმების XIX დანართის შესაბამისად.

არბიტრაჟის და მედიაციის პროცესში არბიტრთა და კანდიდატთა მოვალეობები

2. წარმოების განმავლობაში, თითოეულმა კანდიდატმა და არბიტრმა თავიდან უნდა აიცილოს შეუფერებელი მოქცევა და შეუფერებლობის გამოჩენა. ისინი უნდა იყვნენ დამოუკიდებელნი და მიუკერძოებელნი, თავიდან უნდა აიცილონ ინტერესთა პირდაპირი და ირიბი კონფლიქტები, უნდა დაიცვან ქცევის მაღალი სტანდარტები იმგვარად, რომ დავის მოგვარების მექანიზმის ერთიანობა და მიუკერძოებლობა შენარჩუნებულ იქნას. ყოფილმა არბიტრებმა უნდა დაიცვან ამ ქცევის კოდექსის მე-15, მე-16, მე-17 და მე-18 წესებით დადგენილი ვალდებულებები.

ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებული ვალდებულებები

3. ამ შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) მე-14 თავის (დავების მოგვარება) შესაბამისად, კანდიდატის არბიტრად არჩევის დადასტურებამდე, კანდიდატმა უნდა გაამჟღავნოს ნებისმიერი ინტერესი, ურთიერთობა ან საკითხი, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს მის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაზე, ან რომელმაც შეიძლება შექმნას შეუფერებელი ქცევის ან მიკერძოებულობის შთაბეჭდილება. ამ მიზნით კანდიდატმა უნდა გამოიჩინოს ყველა გონივრული ძალისხმევა, რათა შეიტყოს ნებისმიერი ასეთი ინტერესების, ურთიერთობების ან საკითხების შესახებ.

4. კანდიდატმა ან არბიტრმა ამ ქცევის კოდექსის არსებულ ან პოტენციურ დარღვევასთან დაკავშირებული საკითხები უნდა შეატყობინოს მხოლოდ ამ შეთანხმების 408-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ ვაჭრობის საკითებზე ასოცირების კომიტეტს, ამ საკითხების მხარეთა მიერ განხილვისთვის.

5. არჩევისთანავე, არბიტრმა უნდა განაგრძოს ყველა გონივრული ძალისხმევის გაწევა იმისათვის, რომ შეიტყოს იმ ინტერესების, ურთიერთობების ან საკითხების შესახებ, რომლებზეც მითითებულია ამ ქცევის კოდექსის მე-3 წესში და აღნიშნული ინფორმაცია უნდა გაამჟღავნოს. ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულება არის განგრძობადი მოვალეობა, რომელიც არბიტრს ავალდებულებს გაამჟღავნოს ყველა ისეთი ინტერესი, ურთიერთობა ან საკითხი, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას წარმოების რომელიმე ეტაპზე. არბიტრმა უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია მსგავსი ინტერესების, ურთიერთობების ან საკითხების შესახებ ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტის წერილობითი ინფორმირების გზით, ამ საკითხის მხარეთა მიერ განხილვისთვის.

არბიტრთა მოვალეობები

6. არბიტრად არჩევის დადასტურებისთანავე, არბიტრი უნდა იყოს ხელმისაწვდომი და უნდა შეუდგეს მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებას სრულყოფილად და სწრაფად წარმოების მთელი დროის განმავლობაში, ასევე, სამართლიანად და

ყურადღებით.

7. არბიტრმა უნდა განიხილოს მხოლოდ ის საკითხები, რომლებიც წამოიჭრება წარმოების დროს და რომლებიც აუცილებელია გადაწყვეტილების გამოსატანად. არბიტრმა არ უნდა მოახდინოს ამ მოვალეობის სხვა პირზე დელეგირება.

8. არბიტრმა უნდა გადადგას ყველა გონივრული ნაბიჯი იმის უზრუნველსაყოფად, რომ მისი ასისტენტი და მომსახურე პერსონალი ინფორმირებული იყოს და ასრულებდეს ამ ქცევის კოდექსის მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-16, მე-17, მე-18 წესების მოთხოვნებს.

9. წარმოებასთან დაკავშირებით არბიტრმა არ უნდა დაამყაროს ცალმხრივი (*ex parte)* კონტაქტი რომელიმე მხარესთან.

არბიტრთა დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა

10. არბიტრი უნდა იყოს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი და თავიდან უნდა აირიდოს შეუფერებელი ქცევის და მიკერძოებულობის გამოჩენა. მასზე გავლენას არ უნდა ახდენდეს საკუთარი ინტერესი, გარე ზეწოლა, პოლიტიკური მოსაზრებები, საზოგადოების მხრიდან პროტესტი, მხარისადმი ლოიალობა ან კრიტიკის შიში.

11. არბიტრმა არ უნდა იკისროს რაიმე ვალდებულება პირდაპირ ან ირიბად ან არ უნდა მიიღოს რაიმე სარგებელი, რომელმაც რაიმე გზით შეიძლება ხელი შეუშალოს, ან ჩანდეს ასეთად, მისი მოვალეობების ჯეროვან შესრულებას.

12. არბიტრმა არ უნდა გამოიყენოს საარბიტრაჟო პანელში ყოფნა იმისთვის, რომ წინ წამოწიოს რაიმე პირადი ან კერძო ინტერესები. არბიტრმა თავიდან უნდა აიცილოს ქმედებები, რომლებმაც შეიძლება შექმნან იმის შთაბეჭდილება, რომ სხვები არიან ისეთ განსაკუთრებულ მდგომარეობაში, რომ შეუძლიათ მასზე გავლენის მოხდენა.

13. არბიტრმა არ უნდა დართოს ნება ფინანსურ, ბიზნეს, პროფესიულ, პირად ან სოციალურ ურთიერთობებს ან პასუხისმგებლობებს გავლენა მოახდინონ მის ქმედებასა და განსჯაზე.

14. არბიტრმა თავიდან უნდა აიცილოს რაიმე ისეთი ურთიერთობის დამყარება ან ფინანსური ინტერესის გაჩენა, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მის მიუკერძოებლობაზე ან რომელიც გონივრულად შეიძლება გამოჩნდეს, როგორც შეუფერებელი ან მიკერძოებული ქცევა.

ყოფილი არბიტრების ვალდებულებები

15. ყველა ყოფილმა არბიტრმა თავიდან უნდა აიცილოს ქმედებები, რომლებმაც შეიძლება შექმნან გონივრული შეხედულება იმისა, რომ ისინი იყვნენ მიკერძოებულნი მათი მოვალეობების შესრულებისას, ან მიიღეს სარგებელი საარბიტრაჟო პანელის გადაწყვეტილებისგან ან განჩინებისგან.

კონფიდენციალურობა

16. არცერთმა არბიტრმა ან ყოფილმა არბიტრმა არასდროს არ უნდა გაამჟღავნოს ან გამოიყენოს არასაჯარო ინფორმაცია,

რომელიც შეეხება წარმოებას ან რომელიც მიღებულ იქნა წარმოების დროს, გარდა წარმოების მიზნებისთვის გამოყენებისა, და არც ერთ შემთხვევაში არ უნდა გაამჟღავნოს ან გამოიყენოს მსგავსი ინფორმაცია საკუთარი თავისთვის ან სხვისთვის უპირატესობის მოსაპოვებლად ან სხვა პირთა ინტერესებისათვის ზიანის მიყენების მიზნით.

17. ამ შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) მე-14 თავის (დავების მოგვარება) შესაბამისად გამოქვეყნებამდე, არბიტრმა არ უნდა გაამჟღავნოს საარბიტრაჟო პანელის გადაწყვეტილება ან მისი ნაწილი.

18. არბიტრმა ან ყოფილმა არბიტრმა არასდროს არ უნდა გაამჟღავნოს საარბიტრაჟო პანელის თათბირისას გამოთქმული მოსაზრებები ან რომელიმე არბიტრის შეხედულებები.

დანახარჯები

19. თითოეულმა არბიტრმა უნდა აწარმოოს ხარჯების აღრიცხვა და წარმოადგინოს საბოლოო ანგარიში, რომელშიც ასახული იქნება არბიტრის, მისი ასისტენტისა და მომსახურე პერსონალის მიერ პროცედურებისთვის დათმობილი დრო და გაწეული დანახარჯები.

მედიატორები

20. ამ ქცევის კოდექსში აღწერილი დისციპლინა, რომელიც ვრცელდება არბიტრებსა და ყოფილ არბიტრებზე, შესაბამისი შესწორებების გათვალისწინებით, (*mutatis mutandis*,) ეხება ასევე მედიატორებს.

---

[1] გეორაფიული აღნიშვნა აირიშ ვისკი/ვისკე ბითა აირინაჰ/აირიშ ვისკი გულისხმობს ირლანდიასა და ჩრდილოეთ ირლანდიაში წარმოებულ ვისკის.

[2] თითოეულ არბიტრს უნდა ჰყავდეს არაუმეტეს ერთი თანაშემწისა

დანართი XXII

დაბეგვრა

საქართველო იღებს ვალდებულებას განსაზღვრულ ვადებში ეტაპობრივად დაუახლოვოს თავისი კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობასა და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებს შემდეგ სფეროებში:

არაპირდაპირი დაბეგვრა

2006 წლის 28 ნოემბრის საბჭოს 2006/112/EC დირექტივა დამატებითი ღირებულების გადასახადის (დღგ) საერთო სისტემის შესახებ.

ამ დირექტივის დებულებები გამოიყენება შემდეგი დებულებების გამოკლებით:

- დღგ-ს რეგულირების სფერო: მუხლი - 2 (1)(b) და (2), მუხლები 3 და 4.
- ტერიტორიული მოქმედების სფერო: ყველა ნაწილი: მუხლები - 5- დან 8-ის ჩათვლით.
- გადასახადის გადამხდელები: მე-9 მუხლი, მე-2 პუნქტი;
- დასაბეგრი ოპერაციები: მუხლი – 17 და მუხლები 20- დან 23-ის ჩათვლით;
- დაბეგვრის ადგილი: მუხლები – 33, 34, 35 36(2), 37, 40, 41, 42, 43(2). 50, 51, 52 და 57;
- დაბეგვრის დრო და დღგ-ს დაბეგვრა: მუხლები – 67, 68 და 69;
- დასაბეგრი თანხა: გაერთიანების შიგნით საქონლის შეძენა: მუხლები – 83 და 84;
- განაკვეთები: მუხლები - 100, 101 და გამონაკლისები გარკვეული წევრი სახელმწიფოებისთვის: მუხლები 104-დან 129–ის ჩათვლით;
- გადასახადებისგან გათავისუფლება: ოპერაციები გაერთიანების შიგნით: მუხლები 138-დან 142-ის ჩათვლით; იმპორტი: მუხლები - 143(1)(d), 145; ექსპორტი: მუხლები - 146(1)(b)); საერთაშორისო ტრანსპორტი: 149, 150(1); საერთაშორისო ვაჭრობა: მუხლები - 162, 164, 165 და 166.
- ჩათვლები: მუხლი - 171(1) და მუხლი 172.
- ვალდებულებები: მუხლები - 195, 196, 197, 200, 209, 210, 213(2), 214(1), გარდა მუხლისა 214(1)(a) და მუხლისა 216.
- ანგარიშ-ფაქტურისწარმოება: მუხლი 237.
- აღრიცხვა: მუხლები- 243, 245 და 249.
- დეკლარირება: მუხლები - 253, 254, 257, 258 და 259.
- ანგარიში დღგ-სა და ბრუნვის თაობაზე: მუხლები 262-დან 270-ის-ის ჩათვლით.
- გარკვეულ იმპორტსა და ექსპორტთან დაკავშირებული ვალდებულებები: მუხლები 274-დან 280-ის ჩათვლით.
- სპეციალური სქემები: მუხლები 293, 294 და 344-დან 356-ის ჩათვლით; სპეციალური სქემა ელექტრონული ვაჭრობისთვის: 357-ე მუხლიდან 369 მუხლის ჩათვლით.
- გამონაკლისები გარკვეული წევრი სახელმწიფოებისთვის: 370-ე მუხლიდან 396-ე მუხლის ჩათვლით.
- სხვადასხვა: 397-ე მუხლიდან მე-400 მუხლის ჩათვლით.
- დასკვნითი დებულებები: 402-ე მუხლიდან 414-ე მუხლის ჩათვლით.

ვადა: ამ დირექტივის დებულებები, ზემოთმოცემული დებულებების გამოკლებით, უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

საქართველო იტოვებს უფლებას, დღგ-ის გადასახადისგან გაათავისუფლოს საქონლისა და მომსახურების მიწოდება, რომელიც შეთანხმების ძალაში შესვლის მომენტისთვის თავისუფლდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის საფუძველზე.

2011 წლის 21 ივნისის საბჭოს 2011/64/EU დირექტივა წარმოებული თამბაქოს აქციზის გადასახადის სტრუქტურისა და განაკვეთების შესახებ

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში, გარდა შემდეგი მუხლებისა: 7(2), 8, 9, 10, 11, 12, 14(1), 14(2), 14(4), 18 და 19, რომელთათვისაც ასოცირების საბჭოს მიერ გრაფიკის შესახებ შემოთავაზება წარმოდგენილი იქნება შეთანხმების ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში, კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლისა და საქართველოს საგადასახადო შემოსავლების დაცვის საჭიროებებიდან გამომდინარე.

2007 წლის 20 დეკემბრის საბჭოს 2007/74/EC დირექტივა მესამე ქვეყნებიდან მგზავრების მიერ შემოტანილი საქონლის დამატებული ღირებულების გადასახადისა და აქციზის გადასახადისგან გათავისუფლების შესახებ

გამოიყენება ამ დირექტივის შემდეგი ნაწილი:

- ნაწილი 3 რაოდენობრივი შეზღუდვების შესახებ

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან სამი წლის ვადაში.

1992 წლის 19 ოქტომბრის საბჭოს 92/83/EEC დირექტივა ალკოჰოლსა და ალკოჰოლურ სასმელებზე აქციზის გადასახადის სტრუქტურის ჰარმონიზაციის შესახებ

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან სამი წლის ვადაში.

საქართველო იტოვებს უფლებას, რომ აქციზის გადასახადისგან გაათავისუფლოს ალკოჰოლური სასმელები, რომლებიც წარმოებულია კერძო პირების მიერ მცირე რაოდენობით და გათვლილია სახლში მოხმარებისთვის და არა ბაზარზე გასატანად.

2003 წლის 27 ოქტომბრის საბჭოს 2003/96/EC დირექტივა ევრო გაერთიანების ფარგლებში ენერგო პროდუქტებისა და ელექტროენერგიის დაბეგვრის ჩარჩოს რესტრუქტურიზაციის შესახებ

ვადა: ამ დირექტივის დებულებები, ამ დირექტივის I დანართის გამოკლებით, უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

2008 წლის 16 დეკემბრის საბჭოს 2008/118/EC დირექტივა აქციზის გადასახადთან დაკავშირებული ზოგადი ღონისძიებების შესახებ

შესრულდება 2008/118/EC დირექტივის შემდეგი მუხლი:

- მუხლი 1

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ორი წლის ვადაში.

1986 წლის 17 ნოემბრის საბჭოს მეცამეტე დირექტივა 86/560/EEC წევრ სახელმწიფოთა იმ კანონების ჰარმონიზაციის შესახებ, რომლებიც ეხება ბრუნვის გადასახადებს – ღონისძიებები დამატებული ღირებულების გადასახადის დაბრუნების მიზნით იმ გადასახადის გადამხდელებისთვის, რომლებიც არ არიან დაფუძნებულნი გაერთიანების ტერიტორიაზე

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან სამი წლის ვადაში.

დანართი XXIII

სტატისტიკა

წინამდებარე შეთანხმების V კარის (ეკონომიკური თანამშრომლობა), მე-4 თავის (სტატისტიკა) 291-ე მუხლში ნახსენები ევროკავშირის კანონმდებლობა სტატისტიკის სფეროში, მოცემულია ყოველწლიურად განახლებად „სტატისტიკური მოთხოვნების შესახებ მოკლე მიმოხილვაში“ და მხარეთა მიერ განიხილება წინამდებარე შეთანხმების დანართად.

„სტატისტიკური მოთხოვნების შესახებ მოკლე მიმოხილვის“ ბოლო ვერსია წარმოდგენილია ევროკავშირის სტატისტიკის სამსახურის (ევროსტატი) ვებ-გვერდზე ელექტრონული ფორმით http://epp.eurostat.ec.europa.eu

დანართი XXIV

ტრანსპორტი

საგზაო ტრანსპორტი

ტექნიკური პირობები

1992 წლის 10 თებერვლის საბჭოს 92/6/EEC დირექტივა გაერთიანების ფარგლებში ზოგიერთი კატეგორიის ავტომობილებზე სიჩქარის შეზღუდვის მოწყობილობის დამონტაჟებისა და გამოყენების შესახებ

ვადა: საერთაშორისო გადაზიდვების ტრანსპორტის ყველა სახეობაზე ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ორი წლის ვადაში. წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლის მომენტისთვის უკვე დარეგისტრირებული ეროვნული ტრანსპორტის ქსელში ჩართული ყველა სატრანსპორტო საშუალებისათვის, ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს შეთანხმების ძალაში შესვლიდან ექვსი წლის ვადაში. პირველად დარეგისტრირებული სატრანსპორტო საშუალებებისათვის, ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს შეთანხმების ძალაში შესვლიდან ორი წლის ვადაში.

1996 წლის 25 ივლისის საბჭოს 96/53/EC დირექტივა, რომელიც ეხება გაერთიანების ფარგლებში მოძრავი გარკვეული სატრანსპორტო საშუალებებისათვის ეროვნულ და საერთაშორისო გადაზიდვებში დასაშვებ მაქსიმალურ განზომილებებს და საერთაშორისო გადაზიდვებში დასაშვებ მაქსიმალურ წონას

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ორი წლის ვადაში.

2009 წლის 6 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009/40/EC დირექტივა ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მისაბმელების საგზაო მოძრაობისთვის გამოსადეგი ტესტების შესახებ

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში ავტობუსებისა და სატვირთო მანქანებისთვის და შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის განმავლობაში სხვა კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებებისათვის.

უსაფრთხოების პირობები

2006 წლის 20 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006/126/EC დირექტივა მართვის მოწმობების თაობაზე

გამოიყენება ამ დირექტივის შემდეგი დებულებები:

- მართვის მოწმობების კატეგორიების შემოღება (მე-4 მუხლი)
- მართვის მოწმობის გაცემის პირობები (მე-5, მე-6 და მე-7 მუხლები)
- სატრანსპორტო საშუალების მართვის ტესტების მოთხოვნები (II და III დანართები)

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის ვადაში.

2008 წლის 24 სექტემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008/68/EC დირექტივა სახიფათო ტვირთების შიდა გადაზიდვის შესახებ

ვადა: საერთაშორისო გადაზიდვაში ჩართული ყველა სატრანსპორტო საშუალებისთვის ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან სამი წლის ვადაში. შიდა გადაზიდვაში ჩართული ყველა სატრანსპორტო საშუალებისთვის ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

სოციალური პირობები

2006 წლის 15 მარტის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) N 561/2006 რეგულაცია საგზაო ტრანსპორტთან დაკავშირებული გარკვეული სოციალური კანონმდებლობის ჰარმონიზაციის შესახებ

ვადა: საერთაშორისო გადაზიდვაში ჩართული ყველა სატრანსპორტო საშუალებისთვის ამ რეგულაციის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან. შიდა გადაზიდვაში ჩართული ყველა სატრანსპორტო საშუალებისთვის, რომლებიც უკვე დარეგისტრირებულნი იქნებიან წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლის მომენტისთვის, ამ რეგულაციის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

1985 წლის 20 დეკემბრის საბჭოს (EEC) N 3821/85 რეგულაცია საგზაო ტრანსპორტში ხმის ჩამწერი მოწყობილობების შესახებ

ვადა: საერთაშორისო გადაზიდვაში ჩართული ყველა სატრანსპორტო საშუალებისთვის ამ რეგულაციის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან. შიდა გადაზიდვაში ჩართული ყველა სატრანსპორტო საშუალებისთვის, რომლებიც უკვე დარეგისტრირებული იქნება წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლის მომენტისთვის, ამ რეგულაციის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

2006 წლის 15 მარტის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006/22/EC დირექტივა საგზაო ტრანსპორტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სოციალური კანონმდებლობის შესახებ საბჭოს (EEC) N 3820/85 და (EEC) N 3821/85 რეგულაციების იმპლემენტაციის მინიმალური პირობების შესახებ

ვადა: საერთაშორისო გადაზიდვაში ჩართული ყველა სატრანსპორტო საშუალებისთვის ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან. შიდა გადაზიდვაში ჩართული ყველა სატრანსპორტო საშუალებისთვის ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

2009 წლის 21 ოქტომბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) N 1071/2009 რეგულაცია, რომელიც ადგენს ავტოსატრანსპორტო ოპერატორის დასაქმების მიზნით შესასრულებელი პირობების შესახებ საერთო წესებს

გამოიყენება ამ რეგულაციის შემდეგი დებულებები:

- მუხლები – 3, 4, 5, 6, 7 (ფინანსური მდგომარეობის მონეტარული ღირებულების გარეშე), 8, 10, 11, 12, 13, 14 და 15 და ამ რეგულაციის I დანართი

ვადა: საერთაშორისო გადაზიდვაში ჩართული ყველა სატრანსპორტო საშუალებისთვის ამ რეგულაციის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ერთი წლის ვადაში. შიდა გადაზიდვაში ჩართული ყველა სატრანსპორტო საშუალებისთვის ამ რეგულაციის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის ვადაში.

2002 წლის 11 მარტის ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2002/15/EC, მოძრავ საგზაო ტრანსპორტთან დაკავშირებული საქმიანობის განმახორციელებელ პირთა სამუშაო დროის ორგანიზების შესახებ

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის ვადაში.

2003 წლის 15 ივლისის ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2003/59/EC ტვირთის გადაზიდვისა ან მგზავრთა გადაყვანის მიზნით გარკვეული სახის ავტოტრანსპორტის მძღოლების საწყისი კვალიფიკაციისა და პერიოდული ტრეინინგების შესახებ

ვადა: საერთაშორისო გადაზიდვაში ჩართული ყველა სატრანსპორტო საშუალებისთვის ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ორი წლის ვადაში. შიდა გადაზიდვაში ჩართული ყველა სატრანსპორტო საშუალებისთვის ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის ვადაში.

ფისკალური პირობები

1999 წლის 17 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 1999/62/EC დირექტივა გარკვეული ინფრასტრუქტურის გამოყენებისთვის მძიმე ტვირთიანი სატრანსპორტო საშუალებების დაბეგვრის შესახებ

ვადა: ამ დირექტივის დებულებები შესრულდება მას შემდეგ, რაც საქართველო გადაწყვეტს, რომ გარკვეული ინფრასტრუქტურის გამოყენებისთვის შემოიღოს გარკვეული ზომები ან მოსაკრებელი.

სარკინიგზო ტრანსპორტი

ბაზარზე და ინფრასტრუქტურაზე დაშვება

2012 წლის 21 ნოემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012/34/EC დირექტივა რომლის მეშვეობითაც ჩამოყალიბდა ერთიანი ევროპული სარკინიგზო ზონა

გამოიყენება ამ დირექტივის შემდეგი დებულებები:

- მუხლები 1-დან 9-ის ჩათვლით
- მუხლები 16-დან 25-ის ჩათვლით
- მუხლები 26-დან 57 ის ჩათვლით

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს 2022 წლის აგვისტოსთვის.

2010 წლის 22 სექტემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს N 913/2010 რეგულაცია (ევროკავშირი)კონკურენტული ტვირთისთვის ევროპული სარკინიგზო ქსელის თაობაზე

ვადა: ამ რეგულაციის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

ტექნიკური და უსაფრთოხების პირობები, ურთიერთთავსებადობა

2004 წლის 29 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004/49/EC დირექტივა გაერთიანების რკინიგზების უსაფრთხოების შესახებ

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან შვიდი წლის ვადაში.

2007 წლის 23 ოქტომბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2007/59/EC დირექტივა იმ მატარებლის მემანქანეთა სერთიფიცირების შესახებ,

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

2008 წლის 17 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008/57/EC დირექტივა გაერთიანების ფარგლებში სარკინიგზო სისტემის ურთიერთთავსებადობის შესახებ

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ექვსი წლის ვადაში.

2008 წლის 24 სექტემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008/68/EC დირექტივა სახიფათო ტვირთის შიდა ტრანსპორტირების შესახებ

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

სხვა ასპექტები

2007 წლის 23 ოქტომბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) N 1370/2007 რეგულაცია საზოგადოებრივი სამგზავრო სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურებების შესახებ

ვადა: საზოგადოებრივი სამგზავრო სარკინიგზო ტრანსპორტის მომსახურებების შესახებ ამ რეგულაციის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის ვადაში.

საზოგადოებრივი სამგზავრო საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურებების შესახებ ამ რეგულაციის დებულებების შესრულებასთან დაკავშირებით წინადადება წარედგინება ასოცირების საბჭოს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის განმავლობაში.

2007 წლის 23 ოქტომბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს N 1371/2007 რეგულაცია (EC) რკინიგზის მგზავრთა უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ

ვადა: ამ რეგულაციის დებულებები (მე-9, მე-11, მ-12, მე-19; მე-20(1), 26-ე მუხლების გარდა) უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან სამი წლის ვადაში. ამ რეგულაციის მე-9, მე-11, მე-12, მე-19; მე-20(1), 26-ე მუხლები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან შვიდი წლის ვადაში. საქართველო იტოვებს უფლებას, გამოიყენოს ამ რეგულაციის I დანართი, მხოლოდ გარდაბნის სადგურიდან კარწახის სადგურამდე მონაკვეთში, სახელმწიფო საზღვრამდე (224 კმ.), მას შემდეგ, რაც ეს ხაზი ამოქმედდება.

საჰაერო ტრანსპორტი

საჰაერო ტრანსპორტის სექტორში ეტაპობრივი დაახლოება ექცევა „ერთის მხრივ, ევროკავშირსა და მის წევრ ქვეყნებს შორის და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ" შეთანხმების მოქმედების ქვეშ, რომელსაც ხელი მოეწერა 2010 წლის 2 დეკემბერს ბრიუსელში და რომლის დანართში მოცემულია ავიაციის სფეროში ევროკავშირის შესაბამისი კანონმდებლობის სია და ვადები იმპლემენტაციისთვის.

დანართი XXV

ენერგეტიკა

ელექტროენერგია

2009 წლის 13 ივლისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009/72/EC დირექტივა ელექტროენერგიის შიდა ბაზრისათვის საერთო წესების შესახებ

ვადა: საქართველოს მიერ ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულების ფარგლებში შეთანხმებულ ვადებში. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მიერთება ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულებასთან არ მოხდება წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში, ასოცირების საბჭოს წარედგინება წინადადება ახალი ვადის შესახებ ამ შეთანხმების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს სამი წლის განმავლობაში.

2009 წლის 13 ივლისის ევროპარლამენტისა და საბჭოს N 714/2009 (EC) რეგულაცია ელექტროენერგიის ტრანს-სასაზღვრო ვაჭრობის სისტემებზე დაშვების პირობების შესახებ

ვადა: საქართველოს მიერ ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს საქართველოს მიერ ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულების ფარგლებში შეთანხმებულ ვადებში. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მიერთება ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულებასთან არ მოხდება წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში, ასოცირების საბჭოს წარედგინება წინადადება ახალი ვადის შესახებ ამ შეთანხმების ძალაში

შესვლიდან არაუგვიანეს სამი წლის განმავლობაში.

2006 წლის 18 იანვრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2005/89/EC დირექტივა ელექტროენერგიის მიწოდებისა და ინფრასტრუქტურაში ინვესტირების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზომების შესახებ

ვადა: საქართველოს მიერ ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს საქართველოს მიერ ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულების ფარგლებში შეთანხმებულ ვადებში. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მიერთება ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულებასთან არ მოხდება წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში, ასოცირების საბჭოს წარედგინება წინადადება ახალი ვადის შესახებ ამ შეთანხმების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს სამი წლის განმავლობაში.

2008 წლის 22 ოქტომბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008/92/EC დირექტივა გაერთიანების პროცედურების შესახებ სამრეწველო მომხმარებლისათვის დაწესებული გაზისა და ელექტროენერგიის ფასების გამჭვირვალობის გაუმჯობესების მიზნით

ვადა: საქართველოს მიერ ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს საქართველოს მიერ ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულების ფარგლებში შეთანხმებულ ვადებში. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მიერთება ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულებასთან არ მოხდება წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში, ასოცირების საბჭოს წარედგინება წინადადება ახალი ვადის შესახებ ამ შეთანხმების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს სამი წლის განმავლობაში.

ბუნებრივი აირი

2009 წლის 13 ივლისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009/73/EC დირექტივა ბუნებრივი აირის შიდა ბაზრისათვის საერთო წესების შესახებ

ვადა: საქართველოს მიერ ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს საქართველოს მიერ ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულების ფარგლებში შეთანხმებულ ვადებში. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მიერთება ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულებასთან არ მოხდება წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში, ასოცირების საბჭოს წარედგინება წინადადება ახალი ვადის შესახებ ამ შეთანხმების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს სამი წლის განმავლობაში.

2009 წლის 13 ივლისის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) N 715/2009 რეგულაცია, ბუნებრივი აირის ტრანსპორტირების ქსელებზე დაშვების პირობების შესახებ, 2010 წლის 10 ნოემბრის ევროკომისიის 2010/685/UE გადაწყვეტილების საფუძველზე მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით

ვადა: საქართველოს მიერ N 715/2009 რეგულაციის დებულებები უნდა შესრულდეს საქართველოს მიერ ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულების ფარგლებში შეთანხმებულ ვადებში. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მიერთება ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულებასთან არ მოხდება წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში, ასოცირების საბჭოს წარედგინება წინადადება ახალი ვადის შესახებ ამ შეთანხმების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს სამი წლის განმავლობაში.

2008 წლის 22 ოქტომბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008/92/EC დირექტივა გაერთიანების პროცედურების შესახებ სამრეწველო მომხმარებლისათვის დაწესებული გაზისა და ელექტროენერგიის ფასების გამჭვირვალობის გაუმჯობესების მიზნით

ვადა: საქართველოს მიერ ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს საქართველოს მიერ ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულების ფარგლებში შეთანხმებულ ვადებში. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მიერთება ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულებასთან არ მოხდება წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში, ასოცირების საბჭოს წარედგინება წინადადება ახალი ვადის შესახებ ამ შეთანხმების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს სამი წლის განმავლობაში.

2010 წლის 20 ოქტომბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს N 994/2010 რეგულაცია ბუნებრივი აირის მიწოდების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზომების შესახებ

ვადა: საქართველოს მიერ ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს საქართველოს მიერ ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულების ფარგლებში შეთანხმებულ ვადებში. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მიერთება ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულებასთან არ მოხდება წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში, ასოცირების საბჭოს წარედგინება წინადადება ახალი ვადის შესახებ ამ შეთანხმების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს სამი წლის განმავლობაში.

განახლებადი ენერგია

2009 წლის 23 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009/28/EC დირექტივა განახლებადი ენერგიის წყაროებიდან ენერგიის გამოყენების ხელშეწყობის შესახებ

ვადა: საქართველოს მიერ ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს საქართველოს მიერ ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულების ფარგლებში შეთანხმებულ ვადებში. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მიერთება ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულებასთან არ მოხდება წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში, ასოცირების საბჭოს წარედგინება წინადადება ახალი ვადის შესახებ ამ შეთანხმების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს სამი წლის განმავლობაში.

ნავთობი

2009 წლის 14 სექტემრის საბჭოს 2009/119/EC დირექტივა, რომელიც წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს, შეინახონ გადაუმუშავებელი ნავთობისა და/ან ნავთობპროდუქტების მინიმალური მარაგები

ვადა: საქართველოს მიერ ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს საქართველოს მიერ ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულების ფარგლებში შეთანხმებულ ვადებში. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მიერთება ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულებასთან არ მოხდება წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში, ასოცირების საბჭოს წარედგინება წინადადება ახალი ვადის შესახებ ამ შეთანხმების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს სამი წლის განმავლობაში.

2006 წლის 5 აპრილის 2006/32/EC დირექტივა ენერგიის საბოლოო მოხმარების ეფექტიანობისა და ენერგო მომსახურებების შესახებ

ვადა: საქართველოს მიერ ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს საქართველოს მიერ ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულების ფარგლებში შეთანხმებულ ვადებში. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მიერთება ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულებასთან არ მოხდება წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში, ასოცირების საბჭოს წარედგინება წინადადება ახალი ვადის შესახებ ამ შეთანხმების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს სამი წლის განმავლობაში.

2010 წლის 19 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2010/31/EU დირექტივა შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ

ვადა: საქართველოს მიერ ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს საქართველოს მიერ ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულების ფარგლებში შეთანხმებულ ვადებში. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მიერთება ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულებასთან ძალაში არ მოხდება წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში, ასოცირების საბჭოს წარედგინება წინადადება ახალი ვადის შესახებ ამ შეთანხმების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს სამი წლის განმავლობაში.

2010 წლის 19 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2010/30/EU დირექტივა

დირექტივა ენერგომოხმარების პროდუქტების მიერ მოხმარებული ენერგიისა და სხვა წყაროების ეტიკეტირების და პროდუქციის თაობაზე სტანდარტული ინფორმაციის მითითების შესახებ

ვადა: საქართველოს მიერ ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს საქართველოს მიერ ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულების ფარგლებში შეთანხმებულ ვადებში. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მიერთება ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულებასთან ძალაში არ მოხდება წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში, ასოცირების საბჭოს წარედგინება წინადადება ახალი ვადის შესახებ ამ შეთანხმების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს სამი წლის განმავლობაში.

საიმპლემენტაციო დირექტივები/რეგულაციები:

- ევროპარლამენტისა და საბჭოს 2010/30/EU დირექტივაზე დამატებით 2010 წლის 28 სექტემბრის ევროკომისიის მიერ დელეგირებული (EU) N 1059/2010 რეგულაცია საყოფაცხოვრებო ჭურჭლის სარეცხი მანქანების ენერგო ეტიკეტირების შესახებ

- ევროპარლამენტისა და საბჭოს 2010/30/EU დირექტივაზე დამატებით 2010 წლის 28 სექტემბრის ევროკომისიის მიერ დელეგირებული (EU) N 1060/2010 რეგულაცია საყოფაცხოვრებო მაცივრების ენერგო ეტიკეტირების შესახებ

- ევროპარლამენტისა და საბჭოს 2010/30/EU დირექტივაზე დამატებით 2010 წლის 28 სექტემბრის ევროკომისიის მიერ დელეგირებული (EU) N 1061/2010 რეგულაცია საყოფაცხოვრებო სარეცხი მანქანების ენერგო ეტიკეტირების შესახებ

- ევროპარლამენტისა და საბჭოს 2010/30/EU დირექტივაზე დამატებით 2010 წლის 28 სექტემბრის ევროკომისიის მიერ დელეგირებული (EU) N 1062/2010 რეგულაცია საყოფაცხოვრებო ტელევიზორების ენერგო ეტიკეტირების შესახებ

- 1992 წლის 22 სექტემბრის საბჭოს 92/75/EEC დირექტივა საყოფაცხოვრებო ელექტროტექნიკის მიერ მოხმარებული ენერგიისა და სხვა წყაროების ეტიკეტირების და პროდუქციის თაობაზე სტანდარტული ინფორმაციის მითითების შესახებ

- 2003 წლის 3 ივლისის ევროკომისიის დირექტივა 2003/66/EC, რომელსაც ცვლილება შეაქვს 94/2/EC დირექტივაში და ახორციელებს საბჭოს 92/75/EEC დირექტივას საყოფაცხოვრებო ელექტრო მაცივრების, საყინულეებისა და მათი კომპლექტების ენერგო ეტიკეტირების შესახებ

- 2002 წლის 8 მაისის ევროკომისიის დირექტივა 2002/40/EC, რომელიც ახორციელებს საბჭოს 92/75/EEC დირექტივას საყოფაცხოვრებო ელექტროღუმელების ენერგო ეტიკეტირების შესახებ

- 2002 წლის 22 მარტის ევროკომისიის 2002/31/EC დირექტივა, რომელიც ახორციელებს საბჭოს 92/75/EEC დირექტივას საყოფაცხოვრებო კონდიციონერების ენერგო ეტიკეტირების შესახებ

- 1999 წლის 26 თებერვლის ევროკომისიის 1999/9/EC დირექტივა, რომელსაც ცვლილება შეაქვს 97/17/EC დირექტივაში და ახორციელებს საბჭოს 92/75/EEC დირექტივას საყოფაცხოვრებო ჭურჭლის სარეცხი მანქანების ენერგო ეტიკეტირების შესახებ

- 1998 წლის 27 იანვრის ევროკომისიის 98/11/EC დირექტივა, რომელიც ახორციელებს საბჭოს 92/75/EEC დირექტივას, საყოფაცხოვრებო ნათურების ენერგო ეტიკეტირების შესახებ

- 1997 წლის 16 აპრილის ევროკომისიის 97/17/EC დირექტივა, რომელიც ახორციელებს საბჭოს 92/75/EEC დირექტივას, საყოფაცხოვრებო ჭურჭლის სარეცხი მანქანების ენერგო ეტიკეტირების შესახებ

- 1996 წლის 17 დეკემბრის ევროკომისიის 96/89/EC დირექტივა, რომელსაც ცვლილება შექვს 95/12/ EC დირექტივაში და ახორციელებს საბჭოს 92/75/EEC დირექტივას, საყოფაცხოვრებო სარეცხი მანქანების ენერგო ეტიკეტირების შესახებ

- 1996 წლის 19 სექტემბრის ევროკომისიის 96/60/EC დირექტივა, რომელიც ახორციელებს საბჭოს 92/75/EEC დირექტივას, საყოფაცხოვრებო კომბინირებული სარეცხ- საშრობი მანქანების ენერგო ეტიკეტირების შესახებ

- 1995 წლის 23 მაისის ევროკომისიის 95/13/EC დირექტივა, რომელიც ახორციელებს საბჭოს 92/75/EEC დირექტივას, საყოფაცხოვრებო ელექტრო სარეცხის საშრობი მანქანების ენერგო ეტიკეტირების შესახებ

- 1995 წლის 23 მაისის ევროკომისიის 95/12/EC დირექტივა, რომელიც ახორციელებს საბჭოს 92/75/EEC დირექტივას, საყოფაცხოვრებო სარეცხი მანქანების ენერგო ეტიკეტირების შესახებ

- 1994 წლის 21 იანვრის ევროკომისიის 94/2/EC დირექტივა, რომელიც ახორციელებს საბჭოს 92/75/EEC დირექტივას, საყოფაცხოვრებო ელექტრო მაცივრების, საყინულეებისა და მათი კომპლექტების ენერგო ეტიკეტირების შესახებ

ვადა: საქართველოს მიერ ზემოთმოცემული საიმპლემენტაციო ზომების დებულებები უნდა შესრულდეს საქართველოს მიერ ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულების ფარგლებში შეთანხმებულ ვადებში. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მიერთება ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულებასთან არ მოხდება წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში, ასოცირების საბჭოს წარედგინება წინადადება ახალი ვადის შესახებ ამ შეთანხმების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს სამი წლის განმავლობაში.

ნახშირწყალბადის რესურსების ძიება და მოპოვება

1994 წლის 30 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 94/22/EC დირექტივა ნახშირწყალბადის რესურსების ძიების, მოპოვებისა და წარმოების ნებართვების მიღებისა და გამოყენების პირობების შესახებ

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან სამი წლის ვადაში.

ენერგოეფექტურობა

2012 წლის 25 ოქტომბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012/27/EU დირექტივა ენერგოეფექტურობის შესახებ

ვადა: საქართველოს მიერ ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს საქართველოს მიერ ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულების ფარგლებში შეთანხმებულ ვადებში. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მიერთება ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულებასთან არ მოხდება წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში, ასოცირების საბჭოს წარედგინება წინადადება ახალი ვადის შესახებ ამ შეთანხმების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს სამი წლის განმავლობაში.

2009 წლის 23 აპრილის ევროპარლამენტისა და 2009/33/EC საბჭოს დირექტივა სუფთა და ენერგოეფექტური საგზაო სატრანსპორტო საშუალებების ხელშეწყობის შესახებ

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან რვა წლის ვადაში.

2009 წლის 18 სექტემბრის ევროკომისიის (EC) N 859/2009 რეგულაცია, რომელსაც ცვლილებები შეაქვს (EC) N 244/2009 რეგულაციაში ენერგიის დამზოგავი საყოფაცხოვრებო ნათურების ულტრაიისფერი გამოსხივების ეკოდიზაინის მოთხოვნების შესახებ

ვადა: N 859/2009 რეგულაციის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან რვა წლის ვადაში.

2009 წლის 4 თებერვლის ევროკომისიის (EC) N 107/2009რეგულაცია, რომელიც ახორციელებს ევროპარლამენტისა და საბჭოს 2005/32/EC დირექტივას მოდემების ეკო-დიზაინის მოთხოვნებთან მიმართებით

ვადა: ამ რეგულაციის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის ვადაში.

2008 წლის 17 დეკემბრის ევროკომისიის (EC) N 1275/2008რეგულაცია, რომელიც ახორციელებს ევროპარლამენტისა და საბჭოს 2005/32/EC დირექტივას, ელექტრო და ელექტრონული საყოფაცხოვრებო და საოფისე მოწყობილობების მიერ მოლოდინის და გამორთულ რეჟიმში ელექტროენერგიის მოხმარების ეკოდიზაინის მოთხოვნებთან მიმართებით

ვადა: ამ რეგულაციის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

2009 წლის 22 ივლისის ევროკომისიის (EC) N 641/2009 რეგულაცია, რომელიც ახორციელებს ევროპარლამენტისა და საბჭოს 2005/32/EC დირექტივას პროდუქტში ინტეგრირებული კონდიცირებისა და გათბობის სისტემების ცირკულარის ეკოდიზაინის მოთხოვნებთან მიმართებით

ვადა: ამ რეგულაციის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

2009 წლის 22 ივლისის ევროკომისიის (EC) N 640/2009 რეგულაცია, რომელიც ახორციელებს ევროპარლამენტისა და საბჭოს 2005/32/EC დირექტივას, ელექტრო ძრავების ეკოდიზაინის მოთხოვნებთან მიმართებით

ვადა: ამ რეგულაციის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ექვსი წლის ვადაში.

2009 წლის 22 ივლისის ევროკომისიის (EC) N 643/2009 რეგულაცია, რომელიც ახორციელებს ევროპარლამენტისა და საბჭოს 2005/32/EC დირექტივას საყოფაცხოვრებო სამაცივრე მოწყობილობების ეკოდიზაინის მოთხოვნებთან მიმართებით

ვადა: ამ რეგულაციის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ექვსი წლის ვადაში.

2009 წლის 22 ივლისის ევროკომისიის (EC) N 642/2009რეგულაცია, რომელიც ახორციელებს ევროპარლამენტისა და საბჭოს 2005/32/EC დირექტივას ტელევიზორების ეკოდიზაინის მოთხოვნებთან მიმართებით

ვადა: ამ რეგულაციის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ექვსი წლის ვადაში.

1992 წლის 21 მაისის საბჭოს 92/42/EEC დირექტივა თხევად ან აალებად საწვავზე მომუშავე ცხელი წყლის ბოილერების ეფექტიანობის მოთხოვნების შესახებ

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

2008 წლის 15 იანვრის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) N 106/2008 რეგულაცია საოფისე მოწყობილობისათვის გაერთიანების ენერგოეფექტური ეტიკეტირების პროგრამის შესახებ

ვადა: ამ რეგულაციის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ექვსი წლის ვადაში.

ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 25 ნოემბრის (EC) N 1222/2009 რეგულაცია საწვავის გამოყენების ეფექტიანობისა და სხვა მნიშვნელოვან პარამეტრებთან მიმართებაში საბურავების ეტიკეტირების შესახებ

ვადა: ამ რეგულაციის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

2010 წლის 10 ნოემბრის ევროკომისიის რეგულაცია (EU) N 1015/2010, რომელიც უზრუნველყოფს ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009/125/EC დირექტივის განხორციელებას, საყოფაცხოვრებო სარეცხი მანქანების ეკოდიზაინის მოთხოვნების შესახებ

ვადა: ამ რეგულაციის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

2010 წლის 10 ნოემბრის ევროკომისიის (EU) N 1016/2010 რეგულაცია, რომელიც უზრუნველყოფს ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009/125/EC დირექტივის განხორციელებას საყოფაცხოვრებო ჭურჭლის სარეცხი მანქანების ეკოდიზაინის მოთხოვნების შესახებ

ვადა: ამ რეგულაციის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის ვადაში.

დანართი XXVI

გარემოს დაცვა

გარემოსდაცვითი მმართველობა და გარემოს საკითხების პოლიტიკის სხვა სფეროებში ინტეგრირება

2011 წლის 13 დეკემბრის 2011/92/EU დირექტივა გარკვეული სახელმწიფო და კერძო პროექტების გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ

გამოიყენება ამ დირექტივის შემდეგი დებულებები:

- ეროვნული კანონმდებლობის მიღება და კომპეტენტური ორგანო(ები)ს განსაზღვრა (მუხლები 2 და 3)

- მოთხოვნების ჩამოყალიბება, რომლითაც I დანართის პროექტები დაექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას (გზშ) და პროცედურების შემუშავებას, რათა გადაწყდეს, II დანართის რომელი პროექტები საჭიროებს გზშ-ს (მუხლი 4). იმ სფეროებთან დაკავშირებული დებულებები, რომლებიც ცალკეა წარმოდგენილი წინამდებარე თავში, უნდა განხორციელდეს იმავე ვადებში, როგორც ეს მითითებულია შესაბამის დირექტივებში;

- იმ ინფორმაციის შემადგენლობის განსაზღვრა, რომლის წარმოდგენაც მოეთხოვება დეველოპერს (მუხლი 5);

- გარემოს დაცვის უწყებასთან და საზოგადოებასთან კონსულტაციების პროცედურების განსაზღვრა (მუხლი 6);

- ინფორმაციის გაცვლისა და კონსულტაციების მექანიზმის შემუშავება ევროკავშირის იმ წევრ ქვეყნებთან, რომელთა გარემოზეც პროექტმა შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს (მუხლი 7);

- ეროვნული კანონმდებლობის მიღება და კომპეტენტური ორგანო(ები)ს განსაზღვრა;

- განვითარების ნებართვის შესახებ გადაწყვეტილების შედეგების თაობაზე საზოგადოების ინფორმირებისათვის სათანადო ზომების მიღება (მუხლი 9);

- ადმინისტრაციულ და სამართლებრივ დონეზე ეფექტიანი, ხელმისაწვდომი და დროული განხილვის პროცედურების დანერგვა, რომელშიც ჩართული იქნება საზოგადოება და არასამთავრობო ორგანიზაციები (მუხლი 11).

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან სამი წლის ვადაში.

2001 წლის 27 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2001/42/EC დირექტივა გარკვეული გეგმებისა და პროგრამების გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ.

გამოიყენება ამ დირექტივის შემდეგი დებულებები:

- ეროვნული კანონმდებლობის მიღება და კომპეტენტური ორგანო(ები)ს განსაზღვრა

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან სამი წლის ვადაში.

- პროცედურის ჩამოყალიბება, რომლითაც განისაზღვრება, თუ რომელი გეგმა ან პროგრამა მოითხოვს სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებას და შესაბამისი მოთხოვნების შემუშავება, რომელთა მიხედვითაც აღნიშნული გეგმები და პროგრამები, სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებას დაექვემდებარება (მუხლი 3);

- გარემოსდაცვით უწყებასთან და საზოგადოებასთან კონსულტაციებისათვის პროცედურების განსაზღვრა (მუხლი 6);

- ინფორმაციის გაცვლისა და კონსულტაციების მექანიზმის შემუშავება ევროკავშირის იმ წევრ ქვეყნებთან, რომელთა გარემოზეც პროექტმა შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს (მუხლი 7);

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის ვადაში.

2003 წლის 28 იანვრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003/4/EC დირექტივა საზოგადოების გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შესახებ.

გამოიყენება ამ დირექტივის შემდეგი დებულებები:

- ეროვნული კანონმდებლობის მიღება და კომპეტენტური ორგანო(ები)ს განსაზღვრა

- პრაქტიკული ღონისძიებების გატარება, რითაც უზრუნველყოფილი იქნება საზოგადოებისთვის გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და შესაბამისი გამონაკლისების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, (მუხლი 3 და 4);

- სახელმწიფო ორგანოების მიერ გარემოს შესახებ ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფა, (მუხლი 3(1));

- პროცედურების შემუშავება იმ გადაწყვეტილებების განსახილველად, რომელთა საფუძველზეც არ მოხდა გარემოსდაცვითი ინფორმაციის გაცემა ან მოხდა გარემოსდაცვითი ინფორმაციის მხოლოდ ნაწილობრივი გაცემა (მუხლი 6);

- საზოგადოებაში გარემოსდაცვითი ინფორმაციის გავრცელების სისტემის დანერგვა (მუხლი 7).

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ორი წლის ვადაში.

2003 წლის 26 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003/35/EC დირექტივა, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების მონაწილეობას გარემოს დაცვასთან დაკავშირებული კონკრეტული გეგმებისა და პროგრამების შემუშავებაში

გამოიყენება ამ დირექტივის შემდეგი დებულებები:

უნდა იკითხებოდეს შემდეგ დირექტივებთან კავშირში: 2008/50/EC, 91/676/EEC, 2008/98/EC, 2010/75/EU, 2011/92/EU

- ეროვნული კანონმდებლობის მიღება და კომპეტენტური ორგანო(ები)ს განსაზღვრა

ვადა: 2003/35/EC დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან სამი წლის ვადაში.

- საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდების მექანიზმის შემუშავება, (მუხლი 2(2)(a) და 2(2)(d);

- საჯარო კონსულტაციების მექანიზმის შემუშავება (მუხლი 2 (2)(b) და 2(3));

- მექანიზმის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მხრიდან შენიშვნებისა და მოსაზრებების მიღებას, მათი შემდგომი გათვალისწინების მიზნით (მუხლი 2(2)(c));

- აღნიშნულ პროცედურებში საზოგადოებისათვის ადმინისტრაციულ და სამართლებრივ დონეზე ეფექტიანი, დროული, ასევე მატერიალურად ხელმისაწვდომი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა (მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის) (მუხლი 3(7) და მუხლი 4(4), გზშ და დაბინძურების პრევენციისა და კონტროლის ინტეგრირებული სისტემა);

ვადა: 2003/35/EC დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის ვადაში.

2004 წლის 21 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004/35/EC დირექტივა გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც შეეხება გარემოსთვის ზიანის მიყენების პრევენციასა და დაზიანებული გარემოს აღდგენას

გამოიყენება ამ დირექტივის შემდეგი დებულებები:

- ეროვნული კანონმდებლობის მიღება და კომპეტენტური ორგანო(ებ)ის განსაზღვრა (მუხლი 11)

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან სამი წლის ვადაში.

- წესებისა და პროცედურების დაწესება, რომლებიც მიზნად ისახავენ გარემოზე (წყალი, ხმელეთი, ცხოველებისა და მცენარეების დაცული სახეობები და ბუნებრივი საცხოვრებელი გარემო) ზიანის მიყენების პრევენციასა და დაზიანებული გარემოს აღდგენას "დამაბინძურებელი იხდის" პრინციპზე დაყრდნობით (მუხლი 5, 6, 7, დანართი II). „არსებული საუკეთესო ტექნოლოგიები“-ს (Best Available Techniques BAT) გამოყენებით, ზიანის გამოსწორების ალტერნატივების შეფასებასთან დაკავშირებული დებულებები უნდა განხორციელდეს იგივე ვადებში, როგორც ეს მითითებულია შესაბამის დირექტივებში;

- მკაცრი პასუხისმგებლობის დაწესება სახიფათო საქმიანობების განმახორციელებელ საწარმოებში (მუხლი 3(1)(a) და დანართი III). წაკითხულ იქნას ამ თავში გათვალისწინებულ შესაბამის დირექტივებთან მიმართებაში.

- ოპერატორებისათვის ვალდებულებების დაწესება, რათა განახორციელონ პრევენციული და აღდგენითი ღონისძიებები, მათ შორის ზარალის ანაზღაურება (მუხლი 5, 6, 7, 8, 9 და 10)

- მექანიზმების შემუშავება დაზარალებული პირებისათვის, მათ შორის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის, რათა მათ გარემოს დაბინძურების შემთხვევაში მოითხოვონ კომპეტენტური ორგანოებისაგან რეაგირება, მათ შორის დამოუკიდებელი დასკვნა (მუხლი 12 და 13);

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის ვადაში.

ჰაერის ხარისხი

2008 წლის 21 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008/50/EC დირექტივა ატმოსფერული ჰაერის ხარისხისა და ევროპაში უფრო სუფთა ჰაერის შესახებ

გამოიყენება ამ დირექტივის შემდეგი დებულებები:

- ეროვნული კანონმდებლობის მიღება და კომპეტენტური ორგანო(ებ)ის განსაზღვრა;

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის ვადაში.

- ზონებისა და აგლომერაციების დადგენა და კლასიფიცირება (მუხლი 4);

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ექვსი წლის ვადაში.

- ჰაერის დამაბინძურებლებთან მიმართებაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასების რეჟიმის დადგენა შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით (მუხლები 5, 6 და 9);

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ექვსი წლის ვადაში.

- ჰაერის ხარისხის გეგმების შემუშავება იმ ზონებისა და აგლომერაციებისათვის, სადაც დაბინძურების დონე ზღვრულ /მიზნობრივ მაჩვენებელს აღემატება (მუხლი 23);

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან შვიდი წლის ვადაში.

- მოკლევადიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება იმ ზონებისა და აგლომერაციებისათვის, სადაც არსებობს საგანგაშო ზღვრების გადაჭარბების რისკი (მუხლი 24);

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან შვიდი წლის ვადაში.

საზოგადოების ინფორმაციით უზრუნველყოფის სისტემის ჩამოყალიბება (მუხლი 26);

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ექვსი წლის განმავლობაში, გარდა მუხლი 26(1)(დ)-სა, რომელიც შესრულდება წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან შვიდი წლის ვადაში.

2004 წლის 15 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004/107/EC დირექტივა ატმოსფერულ ჰაერში დარიშხანის, კადმიუმის, ვერცხლისწყლის, ნიკელის და პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადების შემცველობის შესახებ.

გამოიყენება ამ დირექტივის შემდეგი დებულებები:

- ეროვნული კანონმდებლობის მიღება და კომპეტენტური ორგანო(ებ)ის განსაზღვრა;

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის ვადაში.

- ზონებისა და აგლომერაციების დადგენა და კლასიფიცირება (მუხლი 3(2));

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან რვა წლის ვადაში.

- ჰაერის დამაბინძურებლებთან მიმართებაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასების რეჟიმის დადგენა შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით (მუხლი 4).

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან რვა წლის ვადაში.

- შესაბამის დამაბინძურებლებთან მიმართებაში ჰაერის ხარისხის შენარჩუნების/გაუმჯობესების მიზნით სათანადო ზომების მიღება (მუხლი 3(1) და 3(3)).

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ცხრა წლის ვადაში.

1999 წლის 26 აპრილის 1999/32/EC დირექტივა ზოგიერთ თხევად საწვავში გოგირდის შემცველობის შემცირების შესახებ, რომელიც შესწორებულია N 1882/2003 (EC რეგულაციის და 2005/33/EC დირექტივის მიხედვით.

გამოიყენება 1999/32/EC დირექტივის შემდეგი დებულებები:

- ეროვნული კანონმდებლობის მიღება და კომპეტენტური ორგანო(ებ)ის განსაზღვრა;

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ორი წლის ვადაში.

- სინჯების აღების ეფექტური სისტემის შექმნა და ანალიზისათვის შესაბამისი ანალიტიკური მეთოდების დადგენა (მუხლი 6);

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან შვიდი წლის ვადაში.

- დადგენილ ზღვრებზე მეტი გოგირდის შემცველობის მქონე მძიმე საწვავისა და გაზოილის (ნავთობის გამოხდის თხევადი პროდუქტი) გამოყენების აკრძალვა, (მუხლები 3(1) და 4(1));

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან შვიდი წლის ვადაში.

- საზღვაო ტრანსპორტის საწვავის სახეობებში გოგირდის შემცველობის ზღვრული მნიშვნელობების დადგენა (მუხლები 4(a) და 4(b));

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან შვიდი წლის ვადაში.

1994 წლის 20 დეკემბრის 94/63/EC დირექტივა ბენზინის შენახვითა და მისი ტერმინალებიდან ავტოგასამართ სადგურებში დისტრიბუციით გამოწვეული აქროლადი ორგანული ნაერთის (VOC) გაფრქვევების კონტროლის შესახებ, N 1882/2003 (EC) რეგულაციით შეტანილი ცვლილების თანახმად.

გამოიყენება ამ დირექტივის შემდეგი დებულებები:

- ეროვნული კანონმდებლობის მიღება და კომპეტენტური ორგანო(ებ)ის განსაზღვრა

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის ვადაში.

- ყველა ტერმინალის იდენტიფიცირება, სადაც ბენზინის შენახვა და ჩატვირთვა ხდება (მუხლი 2).

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის ვადაში.

- ტერმინალებისა და ავტოგასამართი სადგურების საცავებიდან და ტერმინალებზე მოძრავი კონტეინერების ჩატვირთვა/გადმოტვირთვის დროს ბენზინის დაღვრის შესამცირებლად ტექნიკური ზომების დაწესება (მუხლი 3, 4 და 6, დანართი III).

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

- ყველა საგზაო ცისტერნის ჩამტვირთავ მოწყობილობასა და მოძრავი კონტეინერისთვის მოთხოვნების შესრულების ვალდებულების დაწესება (მუხლი 4 და 5).

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან შვიდი წლის ვადაში.

2004 წლის 21 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004/42/EC დირექტივა ზოგიერთ საღებავში, ლაქებსა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაღებვის პროდუქციაში ორგანული გამხსნელების გამოყენებით გამოწვეული აქროლადი ორგანული ნაერთების (VOC) გაფრქვევების შემცირების შესახებ

გამოიყენება ამ დირექტივის შემდეგი დებულებები:

- ეროვნული კანონმდებლობის მიღება და კომპეტენტური ორგანო(ებ)ის განსაზღვრა

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

- საღებავებსა და ლაქებში აქროლადი ორგანული ნაერთის (VOC) შემცველობის მაქსიმალური ზღვრული მნიშვნელობის დაწესება (მუხლი 3 და დანართი II).

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ცხრა წლის ვადაში.

- მოთხოვნების დაწესება, რათა უზრუნველყოფილ იქნას ბაზარზე არსებული პროდუქციის ეტიკეტირება და ბაზარზე პროდუქტების განთავსება, რომლებიც შესაბამის მოთხოვნებს აკმაყოფილებს (მუხლები 3 და 4).

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ცხრა წლის ვადაში.

2000 წლის 23 ოქტომბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2000/60/EC დირექტივა წყლის პოლიტიკის სფეროში საზოგადოებრივი მოქმედებისათვის ჩარჩოს შემუშავების შესახებ, 2455/2001/EC გადაწყვეტილებით შეტანილი შესწორებების შესაბამისად.

გამოიყენება ამ დირექტივის შემდეგი დებულებები:

- ეროვნული კანონმდებლობის მიღება და კომპეტენტური ორგანო(ებ)ის განსაზღვრა;

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის ვადაში.

- მდინარის აუზის უბნების განსაზღვრა და ადმინისტრაციული მექანიზმების დაწესება საერთაშორისო მდინარეების, ტბებისა და სანაპირო წყლებისათვის (მუხლი 3(1)-დან 3(7))-ის ჩათვლით);

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის ვადაში.

-მდინარის აუზის უბნების მახასიათებლების ანალიზი (მუხლი 5);

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

- წყლის ხარისხის მონიტორინგის პროგრამების ჩამოყალიბება (მუხლი 8);

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები (გრუნტის წყლებთან დაკავშირებული) უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან რვა წლის ვადაში. ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები (ზედაპირულ წყლებთან დაკავშირებული) უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ექვსი წლის ვადაში.

- მდინარის აუზის მართვის გეგმების მომზადება, საზოგადოებასთან კონსულტაციები და ამ გეგმების გამოქვეყნება (მუხლი 13 და 14).

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ათი წლის ვადაში.

2007 წლის 23 ოქტომბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2007/60/EC დირექტივა წყალდიდობის რისკების შეფასებისა და მართვის შესახებ.

გამოიყენება ამ დირექტივის შემდეგი დებულებები:

- ეროვნული კანონმდებლობის მიღება და კომპეტენტური ორგანო(ებ)ის განსაზღვრა;

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის ვადაში.

- წყალდიდობების შესახებ წინასწარი შეფასების გაკეთება (მუხლები 4 და 5)

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

- წყალდიდობის საფრთხეების რუკებისა და წყალდიდობის რისკების რუკების მომზადება (მუხლი 6).

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან შვიდი წლის ვადაში.

- წყალდიდობის რისკის მართვის გეგმების შემუშავება (მუხლი 7).

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ცხრა წლის ვადაში.

1991 წლის 21 მაისის საბჭოს 91/271/EEC დირექტივა ურბანული ჩამდინარე წყლის გაწმენდის შესახებ, 98/15/EC დირექტივითა და N 1882/2003 რეგულაციით შეტანილი ცვლილებების შესაბამისად.

გამოიყენება 91/271/EEC დირექტივის შემდეგი დებულებები:

- ეროვნული კანონმდებლობის მიღება და კომპეტენტური ორგანო(ებ)ის განსაზღვრა;

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის ვადაში.

- ურბანული ჩამდინარე წყლის შეგროვებისა და გაწმენდის მდგომარეობის შეფასება;

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ექვსი წლის ვადაში.

- სენსიტიური არეალებისა და აგლომერაციების იდენტიფიცირება (მუხლი 5 და დანართი II);

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან შვიდი წლის ვადაში.

- ტექნიკური და საინვესტიციო პროგრამების მომზადება ურბანული ჩამდინარე წყლის შეგროვებისა და გაწმენდისათვის.

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან რვა წლის ვადაში.

1998 წლის 3 ნოემბრის საბჭოს 98/83/EC დირექტივა ადამიანის მოხმარებისათვის განკუთვნილი წყლის ხარისხის შესახებ, (EC) N 1882/2003 რეგულაციით შეტანილი ცვლილებების შესაბამისად

გამოიყენება ამ დირექტივის შემდეგი დებულებები:

-ეროვნული კანონმდებლობის მიღება და კომპეტენტური ორგანო(ებ)ის განსაზღვრა;

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის ვადაში.

- სასმელი წყლის სტანდარტების დაწესება (მუხლი 4 და 5).

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი

წლის ვადაში.

- მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება (მუხლი 6 და 7);

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან შვიდი წლის ვადაში.

- მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდების მექანიზმების შემუშავება (მუხლი 13).

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან შვიდი წლის ვადაში.

1991 წლის 12 დეკემბრის საბჭოს 91/676/EEC დირექტივა სასოფლო სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ნიტრატებით დაბინძურებისაგან წყლების დაცვის შესახებ, (EC) N 1882/2003 რეგულაციით შეტანილი ცვლილებების შესაბამისად

გამოიყენება ამ დირექტივის შემდეგი დებულებები:

-ეროვნული კანონმდებლობის მიღება და კომპეტენტური ორგანო(ებ)ის განსაზღვრა.

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის ვადაში.

- მონიტორინგის პროგრამების შექმნა (მუხლი 6).

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები (გრუნტის წყლებთან დაკავშირებული) უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან რვა წლის ვადაში.

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები (ზედაპირულ წყლებთან დაკავშირებული) უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

- დაბინძურებული წყლების ან რისკის ქვეშ მყოფი წყლების იდენტიფიცირება და ნიტრატების მიმართ მოწყვლადი ზონების განსაზღვრა (მუხლი 3)

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები (გრუნტის წყლებთან დაკავშირებული) უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან რვა წლის ვადაში.

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები (ზედაპირულ წყლებთან დაკავშირებული) უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

- სამოქმედო გეგმების შემუშავება და ნიტრატების მიმართ მოწყვლადი ზონებისათვის კარგი სასოფლო სამეურნეო პრაქტიკის წესების განსაზღვრა (მუხლი 4 და 5)

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან შვიდი წლის ვადაში.

2008 წლის 17 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008/56/EC დირექტივა საზღვაო გარემოს დაცვის პოლიტიკის სფეროში საზოგადოებრივი ქმედებებისათვის ჩარჩოს შემუშავების შესახებ

გამოიყენება ამ დირექტივის შემდეგი დებულებები:

- ეროვნული კანონმდებლობის მიღება და კომპეტენტური ორგანო(ებ)ის განსაზღვრა;

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან სამი წლის ვადაში.

- საზღვაო სტრატეგიის შემუშავება ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან თანამშრომლობის ფარგლებში (მუხლები 5 და 6) (ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებთან თანამშრომლობის შემთხვევაში, საქართველოს მიერ 6(2) მუხლის საფუძველზე აღებული ვალდებულებები შესაბამისობაში იქნება იმ ვალდებულებებთან, რომლებიც განსაზღვრულია შავი ზღვის კონვენციით);

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან რვა წლის ვადაში.

- ზღვის წყლების წინასწარი შეფასება, კარგი გარემოს სტატუსის განსაზღვრა და გარემოს დაცვითი მიზნებისა და ინდიკატორების ჩამოყალიბება (მუხლი 5 და მუხლები 8-10)

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

-მონიტორინგის პროგრამის შექმნა მიმდინარე შეფასებებისა და მიზნების რეგულარული განახლებისათვის (მუხლები 5 და 11);

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან შვიდი წლის ვადაში.

- ღონისძიებების პროგრამის მომზადება გარემოს კარგი მდგომარეობის მიღწევის მიზნით (მუხლები 5 და 13).

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან რვა წლის ვადაში.

ნარჩენების მართვა

2008 წლის 19 ნოემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008/98/EC დირექტივა ნარჩენების შესახებ:

გამოიყენება ამ დირექტივის შემდეგი დებულებები:

- ეროვნული კანონმდებლობის მიღება და კომპეტენტური ორგანო(ებ)ის განსაზღვრა;

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან სამი წლის ვადაში.

- ნარჩენების მართვის გეგმების მომზადება ნარჩენების ხუთსაფეხურიანი იერარქიის შესაბამისად და ნარჩენების პრევენციის პროგრამების შემუშავება (თავი V, 29(4) მუხლის გარდა);

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ექვსი წლის ვადაში.

- ხარჯების ამოღების მექანიზმის შემუშავება "დამაბინძურებელი იხდის" პრინციპზე დაყრდნობით (მუხლი 14);

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან შვიდი წლის ვადაში.

- სანებართვო სისტემის შექმნა ისეთი ობიექტებისათვის, რომლებიც ეწევიან ნარჩენების განთავსებისა და აღდგენის ოპერაციებს და იღებენ სპეციალურ ვალდებულებებს სახიფათო ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით (თავი IV).

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

- ნარჩენების შემგროვებელი და გადამზიდავი დაწესებულების და საწარმოების რეგისტრაციის შემოღება (თავი IV).

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის ვადაში.

1999 წლის 26 აპრილის საბჭოს 1999/31/EC დირექტივა ნაგავსაყრელების შესახებ (EC) N 1882/2003 რეგულაციით შეტანილი ცვლილებების შესაბამისად

გამოიყენება ამ დირექტივის შემდეგი დებულებები:

- ეროვნული კანონმდებლობის მიღება და კომპეტენტური ორგანო(ებ)ის განსაზღვრა.

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან სამი წლის ვადაში.

- ნაგავსაყრელების კლასიფიკაცია (მუხლი 4);

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

ეროვნული სტრატეგიის შემუშავება, რომლითაც შემცირდება ნაგავსაყრელზე ბიოდეგრადირებადი მუნიციპალური ნარჩენების მოხვედრა (მუხლი 5).

ვადა: ამ დირექტივის 5(1) მუხლის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ექვსი წლის განმავლობაში. აღნიშნულ ვადაში ასოცირების საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას ნაგავსაყრელზე მოსახვედრი ბიოდეგრადირებადი მუნიციპალური ნარჩენების შემცირების თარიღისა და პროცენტული მაჩვენებლის შესახებ, ასევე განსაზღვრავს საანგარიშო წელს. ამ დირექტივის მუხლი 5(3) და 5(4) შესრულდება წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან რვა წლის ვადაში.

- ნაგავსაყრელებზე ნარჩენების მიღების პროცედურების, განაცხადის შეტანისა და სანებართვო სისტემის ჩამოყალიბება (მუხლი 5-7, 11, 12 და 14, გარდა მუხლის 7 (i) იმ ნაწილისა, რომელიც შეეხება 8 (a) (iv) მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს).

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

- დადგინდეს კონტროლის და მონიტორინგის პროცედურები ნაგავსაყრელების ოპერირების, დახურვის და დახურვის შემდგომ ფაზებში მოვლის პროცედურების შესახებ (მუხლი 12 და 13).

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ექვსი წლის ვადაში.

- არსებული ნაგავსაყრელებისათვის პირობათა გეგმების შემუშავება (მუხლი 14);

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ექვსი წლის ვადაში.

- ხარჯთაღრიცხვის მექანიზმების შემუშავება, რომელიც ითვალისწინებს ნაგავსაყრელის მოწყობასა და ოპერირებას, და რამდენადაც შესაძლებელია, დახურვასა და დახურვის შემდგომ მოვლა-პატრონობის პროცედურებს (მუხლი 10, გარდა მუხლის 8 (a) იმ ნაწილისა, რომელიც ეხება 8 (a) (iv) მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს)

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან რვა წლის ვადაში.

- ნაგავსაყრელზე განთავსებამდე გარკვეული ნარჩენების დამუშავების უზრუნველყოფა (მუხლი 6).

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან რვა წლის ვადაში.

2006 წლის 15 მარტის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006/21/EC დირექტივა მოპოვებითი მრეწველობიდან წარმოქმნილი ნარჩენების მართვის შესახებ

გამოიყენება ამ დირექტივის შემდეგი დებულებები:

- ეროვნული კანონმდებლობის მიღება და კომპეტენტური ორგანო(ებ)ის განსაზღვრა;

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან სამი წლის ვადაში.

- ოპერატორების მიერ ნარჩენების მართვის გეგმების შემუშავების უზრუნველყოფა; ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოების იდენტიფიკაცია და კლასიფიკაცია (მუხლები 4 და 9 და დანართი III, პირველი პუნქტი).

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

სანებართვო, ინსპექტირებისა და ფინანსური გარანტიების სისტემის ჩამოყალიბება (მუხლები 7 და 17).

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ექვსი წლის ვადაში.

- სამთო-მოპოვებითი სამუშაოების შედეგად დარჩენილი კარიერების მართვისა და მონიტორინგის პროცედურების შემუშავება (მუხლი 10)

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ექვსი წლის ვადაში.

- სამთო-მოპოვებითი ნარჩენების მოპოვების შედეგად არსებული ადგილების დახურვისა და დახურვის შემდგომი პროცედურების შემუშავება (მუხლი 12).

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ექვსი წლის ვადაში.

- დახურული სამთო-მოპოვებითი ნარჩენების მომპოვებელი ადგილების ინვენტარიზაცია (მუხლი 20).

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ექვსი წლის ვადაში.

ბუნების დაცვა

2009 წლის 30 ნოემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009/147/EC დირექტივა გარეული ფრინველების კონსერვაციის შესახებ

გამოიყენება ამ დირექტივის შემდეგი დებულებები:

-ეროვნული კანონმდებლობის მიღება და კომპეტენტური ორგანო(ებ)ის განსაზღვრა;

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ორი წლის ვადაში.

- ფრინველთა იმ სახეობების შეფასება, რომლებიც საჭიროებენ კონსერვაციის განსაკუთრებულ ზომებს, ასევე ფრინველთა რეგულარულად მიგრირებადი სახეობების შეფასება.

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან სამი წლის ვადაში.

- ფრინველთა სახეობებისათვის დაცვის სპეციალური არეალების განსაზღვრა და დაწესება (მუხლი 4(1));

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

- რეგულარულად მიგრირებადი სახეობების დაცვის მიზნით კონსერვაციის სპეციალური ზომების მიღება (მუხლი 4(2)).

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

- დაცვის ზოგადი სისტემის შექმნა გარეულ ფრინველთა ყველა სახეობისთვის, რომელთაგანაც სანადირო ფრინველები სპეციალურ ქვეჯგუფს მიეკუთვნება და დატყვევების/მოკვლის გარკვეული ხერხების აკრძალვა (მუხლები 5, 6, 7 და 8 და მუხლი 9(1) და 9(2)).

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის განმავლობაში. ნახევრად ავტომატური და ავტომატური იარაღის აკრძალვა, რომლის მჭიდიც ტყვიების ორ

ხვიაზე მეტს იტევს, უნდა განხორციელდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან რვა წლის ვადაში.

1992 წლის 21 მაისის საბჭოს 92/43/EC დირექტივა ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ველური ფაუნისა და ფლორის კონსერვაციის შესახებ, 97/62/EC, 2006/105/EC დირექტივების და (EC) N 1882/2003 რეგულაციის მიერ შეტანილი შესწორებების შესაბამისად.

გამოიყენება 92/43/EC დირექტივის შემდეგი დებულებები:

- ეროვნული კანონმდებლობის მიღება და კომპეტენტური ორგანო(ებ)ის განსაზღვრა

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ორი წლის ვადაში.

- ზურმუხტის ქსელის ტერიტორიების ინვენტარიზაცია აღნიშნული ტერიტორიების მითითება და მათი მართვისათვის პრიორიტეტების განსაზღვრა (მუხლი 4).

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის ვადაში.

- მსგავსი ტერიტორიების კონსერვაციისათვის საჭირო ზომების შემუშავება (მუხლი 6)

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

- საქართველოში გავრცელებული ჰაბიტატებისა და დაცული სახეობების კონსერვაციის სტატუსის მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება (მუხლი 11).

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ექვსი წლის ვადაში.

- სახეობების დაცვის მკაცრი რეჟიმის დაწესება იმ სახეობებისთვის, რომელთა ჩამონათვალიც ამ დირექტივის IV დანართშია მოცემული, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს მიერ და შეესაბამება ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის ევროპის საბჭოს კონვენციის ფარგლებში საქართველოს მიერ ზოგიერთ სახეობაზე დაწესებულ დათქმებს (მუხლი 12).

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ექვსი წლის ვადაში.

- განათლების ხელშეწყობისა და საზოგადოების ზოგადი ინფორმირების უზრუნველსაყოფად მექანიზმის ჩამოყალიბება (მუხლი 22(c)).

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან სამი წლის ვადაში.

სამრეწველო დაბინძურება და სამრეწველო საფრთხეები

2010 წლის 24 ნოემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2010/75/EU დირექტივა სამრეწველო ემისიების შესახებ

გამოიყენება ამ დირექტივის შემდეგი დებულებები:

- ეროვნული კანონმდებლობის მიღება და კომპეტენტური ორგანო(ებ)ის განსაზღვრა

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის ვადაში.

- სამრეწველო ობიექტების განსაზღვრა, რომლებიც ნებართვას საჭიროებენ

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ექვსი წლის განმავლობაში. ამ დირექტივის I დანართის - 6(3); 6(4); 6(6) პუნქტებით განსაზღვრული დანადგარებისათვის განსხვავებული ზღვარი დაწესდება ასოცირების საბჭოს შეთანხმების საფუძველზე. აღნიშნულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით წინადადებები გადაეგზავნება ასოცირების საბჭოს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის ვადაში.

- ინტეგრირებული სანებართვო სისტემის განხორციელება (მუხლები 4-6, 12, 17(2), 21 და 24 და დანართი IV)

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან 6 წლის განმავლობაში. ამ დირექტივის I დანართის - 6(3); 6(4); 6(6) პუნქტებით განსაზღვრული დანადგარებისათვის - ასოცირების საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მაქსიმუმ ექვსი წლის ვადაში.

-სანებართვო პირობებთან შესაბამისობის მონიტორინგის მექანიზმის შემუშავება (მუხლი 8, 14(1)(d) და 23(1))

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ექვსი წლის ვადაში.

- „არსებული საუკეთესო ტექნოლოგიები“-ს (Best Available Techniques BAT) დანერგვა, „არსებული საუკეთესო ტექნოლოგიები“-ს შესახებ დოკუმენტის, BREF-ის (Best Available Techniques Reference Document) დასკვნების გათვალისწინებით (მუხლი 14 (3-6) და 15 (2-4))

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან 12 წლის ვადაში.

- წვის ქარხნებისთვის გაფრქვევის ზღვრული ნორმების ლიმიტების დაწესება (მუხლი 30 და დანართი V);

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს ახალი დანადგარებისათვის წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის განმავლობაში, ხოლო არსებული დანადგარების შემთხვევაში, წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან 12 წლის ვადაში.

- გარდამავალი ეროვნული გეგმების შემუშავება არსებული ქარხნებიდან მთლიანი ყოველწლიური ემისიის შემცირების მიზნით (არსებული ქარხნებისათვის გამონაბოლქვის ლიმიტის დაწესება ნებაყოფლობითია) (მუხლი 32).

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან 12 წლის ვადაში.

1996 წლის 9 დეკემბრის 96/82/EC დირექტივა სახიფათო ნივთიერებების გამოყენებასთან დაკავშირებული დიდი ავარიების საფრთხეების შესახებ, 2003/105/EC დირექტივით და (EC) N 1882/2003 რეგულაციით შეტანილი შესწორებების შესაბამისად

გამოიყენება 96/82/EC დირექტივის შემდეგი დებულებები:

- ეროვნული კანონმდებლობის მიღება და კომპეტენტური ორგანო(ებ)ის განსაზღვრა;

- შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებს შორის ეფექტიანი საკოორდინაციო მექანიზმების ჩამოყალიბება;

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის ვადაში.

- ობიექტების შესახებ ინფორმაციის შენახვისა და დიდ ავარიებზე მოხსენების წარდგენის ანგარიშვალდებულების სისტემის ჩამოყალიბება (მუხლები 13 და 14);

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი

წლის ვადაში.

ქიმიური ნივთიერებების მართვა

2008 წლის 17 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) N 689/2008 რეგულაცია სახიფათო ქიმიური ნივთიერებების იმპორტისა და ექსპორტის შესახებ.

გამოიყენება ამ რეგულაციის შემდეგი დებულებები:

- ექსპორტის შესახებ შეტყობინების პროცედურის განხორციელება (მუხლი 7);
- პროცედურების დანერგვა სხვა ქვეყნებიდან მიღებულ ექსპორტთან დაკავშირებული შეტყობინებების მართვის მიზნით (მუხლი 8);
- პროცედურების დაწესება საბოლოო მარეგულირებელი ქმედების შესახებ შეტყობინებების შემუშავებისა და დაგზავნისათვის (მუხლი 10);
- იმპორტის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისა და გაგზავნის პროცედურების დაწესება (მუხლი 12);
- „წინასწარი ინფორმირებული თანხმობის, PIC (Prior Informed Consent) პროცედურების განხორციელება ზოგიერთი ქიმიური ნივთიერების, კერძოდ როტერდამის კონვენციის III დანართში ჩამოთვლილი ნივთიერებების ექსპორტის მიზნით (მუხლი 13);
- ექსპორტისათვის განკუთვნილი ქიმიური ნივთიერებების ეტიკეტირებისა და შეფუთვის მოთხოვნების შესრულება (მუხლი 16);
- ეროვნული ორგანოს განსაზღვრა, რომლებიც გააკონტროლებენ ქიმიური ნივთიერებების იმპორტს და ექსპორტს (მუხლი 17).

ვადა: ამ რეგულაციის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

2008 წლის 16 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს N 1272/2008 რეგულაცია ნივთიერებებისა და ნარევების კლასიფიკაციის, ეტიკეტირებისა და შეფუთვის შესახებ

გამოიყენება ამ რეგულაციის შემდეგი დებულებები:

- კომპეტენტური ორგანო(ებ)ის განსაზღვრა (მუხლი 43);
- ნივთიერებების კლასიფიკაციის, ეტიკეტირებისა და შეფუთვის იმპლემენტაცია (მუხლი 4);

ვადა: ამ რეგულაციის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ექვსი წლის ვადაში.

- ნარევების კლასიფიკაციის, ეტიკეტირებისა და შეფუთვის იმპლემენტაცია (მუხლი 4)

ვადა: ამ რეგულაციის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან შვიდი წლის ვადაში.

დანართი XXVII

კლიმატთან დაკავშირებული ქმედებები

2006 წლის 17 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) N 842/2006 რეგულაცია ზოგიერთი ფტორირებული სათბურის გაზების შესახებ.

გამოიყენება ამ რეგულაციის შემდეგი დებულებები:

- ეროვნული კანონმდებლობის მიღება და კომპეტენტური ორგანო(ებ)ის განსაზღვრა;

ვადა: ამ რეგულაციის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

- შესაბამისი პერსონალისა და კომპანიებისთვის ტრეინინგებისა და სერტიფიცირების ეროვნული მოთხოვნების შემუშავება/ადაპტაცია (მუხლი 5);

ვადა: ამ რეგულაციის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან შვიდი წლის ვადაში.

- შესაბამისი სექტორებიდან ემისიის მონაცემთა მოძიების მიზნით (შიდა) ანგარიშგების სისტემების შექმნა (მუხლი 6);

ვადა: ამ რეგულაციის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან რვა წლის ვადაში.

- აღსრულების სისტემის ჩამოყალიბება (მუხლი 13).

ვადა: ამ რეგულაციის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან შვიდი წლის ვადაში.

2009 წლის 16 სექტემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) N 1005/2009 რეგულაცია ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებების შესახებ.

გამოიყენება ამ რეგულაციის შემდეგი დებულებები:

- ეროვნული კანონმდებლობის მიღება და კომპეტენტური ორგანო(ებ)ის განსაზღვრა

ვადა: ამ რეგულაციის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

- კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების წარმოებაზე აკრძალვის დაწესება, გარდა სპეციფიკური მოხმარების შემთხვევებისა (მუხლი 4);

ვადა: ამ რეგულაციის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

- საქართველოს მიერ მონრეალის ოქმით აღებული ვალდებულებების შესაბამისად (მე-5 და მე-11 მუხლები), აკრძალვის დაწესება კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ბაზარზე გატანასა და მათ გამოყენებაზე, ასევე დაბრუნებულ ჰიდროქლორფტორნახშირბადებთან (HCFCs) მიმართებით, რომლებიც შესაძლოა გამოყენებულ იქნეს, როგორც მაცივარ-აგენტი. საქართველო შეაჩერებს HCFCs-ის მოხმარებას საბაზისო დონეზე 2013 წლისთვის, შეამცირებს მოხმარებას 10%-ით 2015 წელს, 35%-ის 2020 წელს, და 67,5%-ით 2025 წელს და შეწყვეტს მის მოხმარებას 2030 წლისთვის (გარდა 2,5%-სა, რომელიც გამიზნულია მომსახურების დროს გამოყენებისთვის 2040 წლამდე);

ვადა: ამ რეგულაციის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან 15 წლის ვადაში.

- კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების წარმოების, ბაზარზე გატანისა და მათი გამოყენების პირობების განსაზღვრა, ამგვარი ნივთიერებების, როგორც ნედლეულის, პროცესის აგენტების, მხოლოდ ლაბორატორული და ანალიტიკური დანიშნულებით და ფრეონის აუცილებელი საჭიროებისას გამორჩეული გამოყენებისთვის (III თავი). მეთილბრომიდის გამოყენება დაშვებული იქნება მხოლოდ საგანგებო შემთხვევებში და საქართველოში კარანტინისა და საქონლის გადაზიდვის წინა დამუშავებისათვის.

ვადა: ამ რეგულაციის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

- განსაკუთრებული გამოყენებისთვის განკუთვნილი კონტროლირებადი ნივთიერებების იმპორტისა და ექსპორტის ლიცენზირების სისტემის (IV თავი) და მეწარმეთა მიერ ანგარიშგების ვალდებულების ჩამოყალიბება (მუხლი 27)

ვადა: ამ რეგულაციის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

- გამოყენებული კონტროლირებადი ნივთიერებების ამოღების, გადამუშავების, აღდგენისა და განადგურების შესახებ ვალდებულებების დადგენა (მუხლი 22);

ვადა: ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებების შესახებ ამ რეგულაციის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

- კონტროლირებადი ნივთიერებების გაჟონვის მონიტორინგისა და შემოწმების პროცედურების დაწესება (მუხლი 23).

ვადა: ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებების შესახებ ამ რეგულაციის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან შვიდი წლის ვადაში.

დანართი XXVIII

კორპორაციული სამართალი,

ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი და კორპორაციული მმართველობა

წინამდებარე დანართის მიზნებისთვის, ტერმინი - შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია (შპსკ) ნიშნავს საქართველოში ნებისმიერ კომპანიას, სადაც აქციონერთა პასუხისმგებლობა შეზღუდულია მათი აქციებით, და ისინი თავიანთ აქციებს სთავაზობენ საზოგადოებას ან/და აღნიშნული აქციები ექვემდებარება საჯარო ვაჭრობას (სავაჭროდ არის დაშვებული) საფონდო ბირჟაზე. ქართული სამართლის მიხედვით, ამგვარი კომპანიების განსხვავებული დანიშნულება, რომელიც შეესაბამება 77/91/EEC დირექტივაში მოცემულ ეროვნული დანიშნულებების სიას, შეთანხმდება ასოცირების საბჭოს მიერ და შეცვლის შპსკ-ს ზემოხსენებულ განმარტებას. ამგვარი გადაწყვეტილების შესახებ ასოცირების საბჭოს წინადადება წარედგინება წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს ერთი წლისა. ხსენებული მიდგომა გავრცელდება ყველა იმ დირექტივასთან მიმართებით, რომლებიც ეხება შპსკ-ს წინამდებარე დანართის საფუძველზე.

კორპორაციული სამართალი

2009 წლის 16 სექტემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009/101/EC დირექტივა იმ გარანტიების კოორდინაციის თაობაზე, რომლებსაც, წევრებისა და მესამე მხარეების ინტერესების დასაცავად, ითხოვენ კომპანიებისგან წევრი სახელმწიფოები ხელშეკრულების 48-ე მუხლის მეორე პუნქტიდან გამომდინარე, რათა ამგვარი გარანტიები გახადონ თანაბარი

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში. კომპანიების სახეობების შესახებ წინადადება, რომელიც არ მოექცევა წინამდებარე დირექტივის 2(f) მუხლის მოქმედების ქვეშ, წარედგინება ასოცირების საბჭოს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს ერთი წლის ვადაში.

1976 წლის 13 დეკემბრის საბჭოს მეორე, 77/91/EEC დირექტივა, იმ გარანტიების კოორდინაციის თაობაზე, რომლებსაც, წევრებისა და სხვა მხარეთა ინტერესების დასაცავად, ითხოვენ კომპანიებისგან წევრი სახელმწიფოები ხელშეკრულების 58-ე მუხლის მეორე პუნქტიდან გამომდინარე, რომელიც დაკავშირებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანიების ჩამოყალიბებასთან და მათი კაპიტალის შენარჩუნებასა და შეცვლასთან, რათა ამგვარი გარანტიები გახადონ თანაბარი, და რომელიც შესწორდა 92/101/EEC, 2006/68/EC და 2009/109/EC დირექტივებით

ვადა: 77/91/EEC დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან სამი წლის განმავლობაში. მინიმალური კაპიტალის მოთხოვნა განიმარტება და საბოლოო გადაწყვეტილება წარედგინება ასოცირების საბჭოს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს სამი წლის ვადაში.

1978 წლის 9 ოქტომბრის საბჭოს მესამე, 78/855/EEC დირექტივა, რომელიც ეფუძნება ხელშეკრულების 54-ე მუხლის 3(g) ქვეპუნქტს შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანიების შერწყმის შესახებ, და რომელიც შესწორდა 2007/63/EC და 2009/109/EC დირექტივებით

ვადა: 78/855/EEC დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

1982 წლის 17 დეკემბრის საბჭოს მეექვსე, 82/891/EEC დირექტივა, რომელიც ეფუძნება ხელშეკრულების 54-ე მუხლის 3(g) ქვეპუნქტს შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანიების გაყოფის შესახებ, და რომელიც შესწორდა 2007/63/EC და 2009/109/EC დირექტივებით

ვადა: 82/891/EEC დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

1989 წლის 21 დეკემბრის საბჭოს მეთერთმეტე, 89/666/EEC დირექტივა, რომელიც ეხება მეორე სახელმწიფოს სამართლით დარეგულირებული გარკვეული კატეგორიების კომპანიების მიერ წევრ სახელმწიფოებში ფილიალების გახსნასთან დაკავშირებით კომპანიის შესახებ ინფორმაციის განსაჯაროების მოთხოვნებს

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

2009 წლის 16 სექტემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009/102/EC დირექტივა, კორპორაციული სამართლის სფეროში ერთ-წევრიანი შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანიების შესახებ

ვადა: 1 მილიონ ევროზე მეტი ბრუნვის მქონე ერთ-წევრიანი შეზღუდული პასუხისმგზელობის საჯარო კომპანიებისთვის, ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში. წინამდებარე დირექტივის გეგმიური გამოყენება სხვა ერთ-წევრიანი შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანიებთან მიმართებით განიმარტება და საბოლოო გადაწყვეტილება წარედგინება ასოცირების საბჭოს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს ერთი წლის ვადაში.

2004 წლის 21 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2004/25/EC, ერთი კომპანიის მიერ მეორე კომპანიის აქციების საკონტროლო პაკეტის ყიდვის შესახებ

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ექვსი წლის ვადაში.

2007 წლის 11 ივლისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2007/36/EC დირექტივა, საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ ნებადართული აქციების ემიტენტ (ჩამოთვლილ) კომპანიებში აქციონერთა გარკვეული უფლებების განხორციელების თაობაზე

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან სამი წლის ვადაში.

აღრიცხვა და აუდიტი

1978 წლის 25 ივლისის საბჭოს მეოთხე, 78/660/EEC დირექტივა, რომელიც ეფუძნება ხელშეკრულების 54-ე მუხლის 3(g) ქვეპუნქტს გარკვეული კატეგორიის კომპანიების წლიური ანგარიშების შესახებ

ამ დირექტივის დებულებები შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანიებისთვის უნდა შესრულდეს

წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან სამი წლის განმავლობაში. წინამდებარე დირექტივის გეგმიური გამოყენება სხვა კატეგორიის კომპანიებთან მიმართებით განიმარტება და საბოლოო გადაწყვეტილება წარედგინება ასოცირების საბჭოს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს ერთი წლის ვადაში.

1983 წლის 13 ივნისის საბჭოს მეშვიდე, 83/349/EEC დირექტივა, რომელიც ეფუძნება ხელშეკრულების 54-ე მუხლის 3(g) ქვეპუნქტს კონსოლიდირებული ანგარიშების შესახებ

ამ დირექტივის დებულებები შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანიებისთვის უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან სამი წლის განმავლობაში. წინამდებარე დირექტივის გეგმიური გამოყენება სხვა კატეგორიის კომპანიებთან მიმართებით განიმარტება და საბოლოო გადაწყვეტილება წარედგინება ასოცირების საბჭოს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს ერთი წლის ვადაში.

2002 წლის 19 ივლისის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) N 1606/2002 რეგულაცია საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების გამოყენების შესახებ

ამ რეგულაციის დებულებები შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანიებისთვის უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან სამი წლის განმავლობაში. ამ რეგულაციის გეგმიური გამოყენება სხვა კატეგორიის კომპანიებთან მიმართებით განიმარტება და საბოლოო გადაწყვეტილება წარედგინება ასოცირების საბჭოს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს ერთი წლის ვადაში.

2006 წლის 17 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006/43/EC დირექტივა წლიური ანგარიშებისა და კონსოლიდირებული ანგარიშების კანონით დადგენილი აუდიტის განხორციელების შესახებ

ამ დირექტივის დებულებები შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანიებისთვის უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან სამი წლის განმავლობაში. წინამდებარე დირექტივის გეგმიური გამოყენება სხვა კატეგორიის კომპანიებთან მიმართებით განიმარტება და საბოლოო გადაწყვეტილება წარედგინება ასოცირების საბჭოს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს ერთი წლის ვადაში.

2008 წლის 6 მაისის ევროკომისიის რეკომენდაცია კანონით დადგენილი აუდიტორებისა და საზოგადოებრივი ინტერესის დაწესებულებათა აუდიტის განმახორციელებელი აუდიტორული ფირმებისათვის გარეგნული ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ (2008/362/EC)

ვადა: არ არის განსაზღვრული

2008 წლის 5 ივნისის ევროკომისიის რეკომენდაცია კანონით დადგენილი აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების სამოქალაქო პასუხისმგებლობის შეზღუდვის შესახებ (2008/473/EC)

ვადა: არ არის განსაზღვრული

კორპორაციული მმართველობა

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) პრინციპები კორპორაციულ მმართველობასთან დაკავშირებით

ვადა: არ არის განსაზღვრული

2004 წლის 14 დეკემბრის ევროკომისიის რეკომენდაცია საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ ნებადართული აქციების ემიტენტი (listed) კომპანიების დირექტორთა ანაზღაურებისთვის სათანადო რეჟიმის ხელშეწყობის შესახებ (2004/913/EC)

ვადა: არ არის განსაზღვრული

2005 წლის 15 თებერვლის ევროკომისიის რეკომენდაცია საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ ნებადართული აქციების ემიტენტი (ჩამოთვლილი) კომპანიების არააღმასრულებელი ან ზედამხედველი დირექტორების როლისა და საბჭოს (სამეთვალყურეო) კომიტეტების შესახებ (2005/162/EC)

ვადა: არ არის განსაზღვრული

2009 წლის 30 აპრილის ევროკომისიის რეკომენდაცია ფინანსური მომსახურებების სექტორში ანაზღაურების შესახებ (2009/384/EC)

ვადა: არ არის განსაზღვრული

2009 წლის 30 აპრილის ევროკომისიის რეკომენდაცია, რომლითაც შეივსო 2004/913/EC და 2005/162/EC რეკომენდაციები საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ ნებადართული აქციების ემიტენტი (ჩამოთვლილი) კომპანიების დირექტორთა ანაზღაურების რეჟიმის თაობაზე (2009/385/EC)

ვადა: არ არის განსაზღვრული

მომხმარებელთა პოლიტიკა

პროდუქტის უსაფრთხოება

2001 წლის 3 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2001/95/EC დირექტივა პროდუქტის ზოგადი უსაფრთხოების შესახებ

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლის მომენტიდან.

1987 წლის 25 ივნისის საბჭოს 87/357/EEC დირექტივა წევრ სახელმწიფოთა კანონების დაახლოების შესახებ იმ პროდუქტებთან დაკავშირებით, რომლებიც, აღმოჩნდება, რომ სინამდვილეში სხვა პროდუტებია და საფრთხის ქვეშ აყენებენ მომხმარებელთა ჯანმრთელობას ან უსაფრთხოებას.

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ორი წლის ვადაში.

2009 წლის 17 მარტის ევროკომისიის 2009/251/EC გადაწყვეტილება, რომელიც წევრი სახელმწიფოებისგან მოითხოვს იმის უზრუნველყოფას, რომ ბიოციდის დიმეთილ ფუმარატის შემცველი პროდუქტები არ იქნება განთავსებული ან ხელმისაწვდომი ბაზარზე

ამ გადაწყვეტილებისთვის ვადის შესახებ წინადადება წარედგინება ასოცირების საბჭოს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს ერთი წლისა.

2006 წლის 11 მაისის ევროკომისიის 2006/502/EC გადაწყვეტილება რომელიც წევრი სახელმწიფოებისგან მოითხოვს მიიღონ ზომები და უზრუნველყონ, რომ ბაზარზე განთავსდეს მხოლოდ ბავშვისთვის უსაფრთხო, დამცავი მექანიზმის მქონე სანთებელები და აკრძალონ ბაზარზე ინოვაციური სანთებელების განთავსება.

ვადა: ამ გადაწყვეტილების დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ორი წლის ვადაში.

მარკეტინგი

1998 წლის 16 თებერვლის ევროპარლამენტისა და საბჭოს 98/6/EC დირექტივა მომხმარებელთა დაცვის შესახებ მომხმარებელთათვის შეთავაზებული პროდუქტების ფასების მითითებისას

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

2005 წლის 11 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2005/29/EC დირექტივა, შიდა ბაზარზე კომპანიასა და მომხმარებელს შორის არასამართლიანი სავაჭრო პრაქტიკის შესახებ („დირექტივა არასამართლიანი სავაჭრო პრაქტიკის შესახებ”)

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

2006 წლის 12 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2006/114/EC შეცდომაში შემყვანი და შედარებითი რეკლამის შესახებ

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

საკონტრაქტო სამართალი

1999 წლის 25 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 1999/44/EC დირექტივა სამომხმარებლო საქონლის გაყიდვისა და მასთან დაკავშირებული გარანტიების ზოგიერთი ასპექტის შესახებ

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

1993 წლის 5 აპრილის საბჭოს 93/13/EEC დირექტივა მომხმარებელთა კონტრაქტებში არასამართლიანი პირობების შესახებ

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

1997 წლის 20 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 97/7/EC მომხმარებელთა დაცვის შესახებ დისტანციურ კონტრაქტებთან მიმართებით

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

1985 წლის 20 დეკემბრის საბჭოს 85/577/EEC დირექტივა მომხმარებელთა დაცვის შესახებ ბიზნეს ოფისიდან დაშორებით მოლაპარაკებულ კონტრაქტებთან მიმართებით

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

1990 წლის 13 ივნისის საბჭოს 90/314/EEC დირექტივა მოგზაურობის, არდადეგებისა და ტურების პაკეტების შესახებ

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

2009 წლის 14 იანვრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008/122/EC დირექტივა მომხმარებელთა დაცვის შესახებ დროის წილობრივი განაწილების გრძელვადიანი არდადეგების, გადაყიდვისა და გაცვლის კონტრაქტების ზოგიერთ ასპექტთან დაკავშირებით.

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

ფინანსური მომსახურება

2002 წლის 23 სექტემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002/65/EC დირექტივა მომხმარებლის ფინანსური მომსახურების დისტანციური მარკეტინგის შესახებ

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

სამომხმარებლო კრედიტი

2008 წლის 23 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008/48/EC დირექტივა მომხმარებელთა საკრედიტო შეთანხმებების შესახებ

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

კომპენსაცია

1998 წლის 30 მარტის ევროკომისიის რეკომენდაცია სამომხმარებლო დავების სასამართლოს გარეთ გადაწყვეტაზე პასუხისმგებელი ორგანოების მიმართ გამოყენებული პრინციპების შესახებ (98/257/EC)

ვადა: არ არის განსაზღვრული

2001 წლის 4 აპრილის ევროკომისიის რეკომენდაცია სამომხმარებლო დავების კონსენსუსის შედეგად გადაწყვეტაში ჩართული არასასამართლო ორგანოების პრინციპების შესახებ (2001/310/EC)

ვადა: არ არის განსაზღვრული

აღსრულება

1998 წლის 19 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 98/27/EC დირექტივა მომხმარებელთა ინტერესების დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მითითებების შესახებ

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

მომხმარებლის დაცვის სფეროში თანამშრომლობა

2004 წლის 27 ოქტომბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) N 2006/2004 რეგულაცია მომხმარებლის დაცვის შესახებ კანონების აღსრულებაზე პასუხისმგებელ ეროვნულ ორგანოებს შორის თანამშრომლობის შესახებ (რეგულაცია მომხმარებლის დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ)

საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება მოხდება ამ რეგულაციის მხოლოდ შემდეგ მუხლებთან:

- მუხლი 3(c); 4(3)-დან (7)-მდე; 13(3); და 13(4).

ვადა: ამ რეგულაციის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

დანართი XXX

დასაქმება, სოციალური პოლიტიკა და თანაბარი შესაძლებლობები

შრომის სამართალი

1991 წლის 14 ოქტომბრის საბჭოს 91/533/EEC დირექტივა შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ან დასაქმებასთან დაკავშირებული ურთიერთობების შესახებ დამსაქმებლის მიერ დასაქმებულთა ინფორმირების ვალდებულების შესახებ

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის ვადაში.

1999 წლის 28 ივნისის საბჭოს 1999/70/EC დირექტივა ევროპის პროფკავშირების კონფედერაციის (ETUC), ევროპის მრეწველთა და დამსაქმებელთა კონფედერაციის კავშირისა (UNICE) და დამსაქმებელთა და საწარმოთა ევროპული ცენტრის (CEEP) მიერ გაფორმებული “ვადიანი სამუშაოს შესახებ” ჩარჩო შეთანხმების თაობაზე

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის ვადაში.

1997 წლის 15 დეკემბრის საბჭოს 97/81/EC დირექტივა ევროპის მრეწველთა და დამსაქმებელთა კონფედერაციის კავშირის (UNICE), დამსაქმებელთა და საწარმოთა ევროპული ცენტრისა (CEEP) და ევროპის პროფკავშირების კონფედერაციის (ETUC) მიერ გაფორმებული “ნახევარ განაკვეთზე სამუშაოს შესახებ” ჩარჩო შეთანხმების თაობაზე - დანართი: ნახევარ განაკვეთზე სამუშაოს შესახებ” ჩარჩო შეთანხმება

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის ვადაში.

1991 წლის 25 ივნისის საბჭოს 91/383/EEC დირექტივა, რომელიც ავსებს ფიქსირებული ვადით ან დროებით დასაქმებულ მუშაკთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების ხელის შემწყობ ზომებს

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ექვსი წლის ვადაში.

1998 წლის 20 ივლისის საბჭოს 98/59/EC დირექტივა სამსახურიდან კოლექტიური გათავისუფლების შესახებ წევრ სახელმწიფოთა კანონების დაახლოების თაობაზე

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

2001 წლის 12 მარტის საბჭოს 2001/23/EC დირექტივა საწარმოებისა და ბიზნესების სრული ან ნაწილობრივი გასხვისების შემთხვევაში დასაქმებულთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებით წევრ სახელმწიფოთა კანონების დაახლოების თაობაზე

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

2002 წლის 11 მარტის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002/14/EC დირექტივა, რომელიც აყალიბებს ზოგად სტრუქტურას ევროპის თანამეგობრობაში დასაქმებულთა ინფორმირებისა და მათთვის კონსულტაციების გაწევის მიზნით – ევროპარლამენტის, საბჭოსა და ევროკომისიის ერთობლივი დეკლარაცია დასაქმებულთა წარმომადგენლობის შესახებ

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის ვადაში.

2003 წლის 4 ნოემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003/88/EC დირექტივა სამუშაო დროის ორგანიზების გარკვეული ასპექტების შესახებ

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ექვსი წლის ვადაში.

დისკრიმინაციის აკრძალვა და გენდერული თანასწორობა

2000 წლის 29 ივნისის საბჭოს 2000/43/EC დირექტივა, რომელიც უზრუნველყოფს რასობრივი თუ ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად პირთა თანაბარი მოპყრობის პრინციპის განხორციელებას

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან სამი წლის ვადაში.

2000 წლის 27 ნოემბრის საბჭოს 2000/78/EC დირექტივა, რომელიც დასაქმებისა და შრომითი საქმიანობის საკითხებთან მიმართებით აყალიბებს თანაბარი მოპყრობის ზოგად სტრუქტურას

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან სამი წლის ვადაში.

2006 წლის 5 ივლისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006/54/EC დირექტივა, რომელიც უზრუნველყოფს დასაქმებისა და საქმიანობის საკითხებთან მიმართებით მამაკაცისა და ქალის თანაბარი შესაძლებლობებისა და თანაბარი მოპყრობის პრინციპის განხორციელებას

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის ვადაში.

2004 წლის 13 დეკემბრის საბჭოს 2004/113/EC დირექტივა, რომელიც უზრუნველყოფს საქონლისა და მომსახურებების ხელმისაწვდომობასა და მომარაგების საკითხებთან დაკავშირებით მამაკაცისა და ქალის თანაბარი მოპყრობის პრინციპის განხორციელებას

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან სამი წლის ვადაში.

1992 წლის 19 ოქტომბრის საბჭოს 92/85/EEC დირექტივა, რომელიც ეხება ორსულ, ახალნამშობიარევ და მეძუძურ მუშაკთათვის შრომის უსაფრთხო პირობებისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით ზომების შემოღებას (მე–10 ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე-16(1) მუხლის კონტექსტში)

ვადა: 92/85/EEC დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის ვადაში.

1978 წლის 19 დეკემბრის საბჭოს 79/7/EEC დირექტივა, რომელიც უზრუნველყოფს სოციალური უსაფრთხოების საკითხებზე მამაკაცისა და ქალის თანაბარი მოპყრობის პრინციპების განხორციელებას

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის ვადაში.

1989 წლის 12 ივნისის 89/391/EEC დირექტივა სამუშაო ადგილზე მუშაკთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით ზომების შემოღების შესახებ

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

1989 წლის 30 ნოემბრის საბჭოს 89/654/EEC დირექტივა სამუშაო ადგილზე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების თაობაზე (პირველი ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე-16(1) მუხლის კონტექსტში)

ვადა: ახალი სამუშაო ადგილებისთვის, 89/654/EEC დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის განმავლობაში, ამ დირექტივის II დანართში მოცემული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების ჩათვლით. წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლის მომენტისთვის არსებული სამუშაო ადგილებისთვის, ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან შვიდი წლის განმავლობაში ამ დირექტივის II დანართში მოცემული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების ჩათვლით.

2009 წლის 16 სექტემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009/104/EC დირექტივა სამუშაო ადგილზე მუშაკთა მიერ სამუშაო მოწყობილობების გამოყენებისათვის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების თაობაზე (მეორე ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე16(1) მუხლის კონტექსტში - 89/655/EEC დირექტივის კოდიფიკაცია, რომელიც შესწორდა 95/63/EC და 2001/45/EC დირექტივებით)

ვადა: ახალი სამუშაო ადგილებისთვის, 2009/104/EC დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის განმავლობაში, ამ დირექტივის II დანართში მოცემული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების ჩათვლით. წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლის მომენტისთვის არსებული სამუშაო ადგილებისთვის, დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან შვიდი წლის განმავლობაში, ამ დირექტივის I დანართში მოცემული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების ჩათვლით.

1989 წლის 30 ნოემბრის საბჭოს დირექტივა 89/656/EEC სამუშაო ადგილზე მუშაკთა მიერ პერსონალური დამცავი აღჭურვილობის გამოყენებისთვის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების შესახებ (მესამე ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე16(1) მუხლის კონტექსტში)

ვადა: 89/656/EEC დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ექვსი წლის ვადაში.

1992 წლის 24 ივნისის საბჭოს 92/57/EEC დირექტივა დროებით ან მოძრავ სამშენებლო უბნებზე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის

მინიმალური მოთხოვნების იმპლემენტაციის შესახებ (მერვე ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე16(1) მუხლის კონტექსტში)

ვადა: 92/57/EEC დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან შვიდი წლის ვადაში.

2009 წლის 30 ნოემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2009/148/EC სამუშაოზე აზბესტის ზემოქმედებასთან დაკავშირებული რისკებისგან მუშაკთა დაცვის თაობაზე

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან რვა წლის ვადაში.

2004 წლის 29 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004/37/EC დირექტივა სამუშაოზე კანცეროგენებისა და მუტაგენების ზემოქმედებასთან დაკავშირებული რისკებისგან მუშაკთა დაცვის თაობაზე (მეექვსე ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე-16(1) მუხლის კონტექსტში)

ვადა: 2004/37/EC დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ცხრა წლის ვადაში.

2000 წლის 18 სექტემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2000/54/EC დირექტივა სამუშაოზე ბიოლოგიური აგენტების ზემოქმედებასთან დაკავშირებული რისკებისგან მუშაკთა დაცვის თაობაზე (მეშვიდე ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე-16(1) მუხლის კონტექსტში

ვადა: 2000/54/EC დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ცხრა წლის ვადაში.

1990 წლის 29 მაისის საბჭოს დირექტივა 90/270/EEC მონიტორიან დანადგარებთან მუშაობისთვის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების შესახებ (მეხუთე ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე-16(1) მუხლის კონტექსტში)

ვადა: 90/270/EEC დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

1992 წლის 24 ივნისის საბჭოს 92/58/EEC დირექტივა სამუშაოზე უსაფრთხოებასა და/ან ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ნიშნების განთავსების მიზნით მინიმალური მოთხოვნების შესახებ (მეცხრე ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე16(1) მუხლის კონტექსტში)

ვადა: 92/58/EEC დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ექვსი წლის ვადაში.

1992 წლის 3 ნოემბრის საბჭოს დირექტივა 92/91/EEC ბურღვის მეშვეობით მინერალების მოპოვების ინდუსტრიებში მუშაკთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სრულყოფისთვის მინიმალური მოთხოვნების თაობაზე (მეთერთმეტე ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე16(1) მუხლის კონტექსტში)

ვადა: ახალი სამუშაო ადგილებისთვის, 92/91/EEC დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ექვსი წლის ვადაში.

წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლის მომენტისთვის არსებული სამუშაო ადგილებისთვის, დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან რვა წლის განმავლობაში, ამ დირექტივის დანართში მოცემული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების ჩათვლით.

1992 წლის 3 დეკემბრის საბჭოს დირექტივა 92/104/EEC ზედაპირზე და მიწის ქვეშ მინერალების მოპოვების ინდუსტრიებში მუშაკთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სრულყოფისთვის მინიმალური მოთხოვნების თაობაზე (მეთორმეტე ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე-16(1) მუხლის კონტექსტში)

ვადა: ახალი სამუშაო ადგილებისთვის, 92/104/EEC დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ექვსი წლის ვადაში.

წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლის მომენტისთვის არსებული სამუშაო ადგილებისთვის, დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ცხრა წლის განმავლობაში, ამ დირექტივის დანართში მოცემული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების ჩათვლით.

1998 წლის 7 აპრილის საბჭოს დირექტივა 98/24/EC სამუშაოზე ქიმიურ აგენტებთან დაკავშირებული რისკებისგან მუშაკთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ (მეთოთხმეტე ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე-16(1) მუხლის კონტექსტში)

ვადა: 98/24/EC დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ცხრა წლის ვადაში.

1999 წლის 16 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 1999/92/EC ფეთქებადი ატმოსფეროს გამო პოტენციური რისკის ქვეშ მყოფ მუშაკთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების მიზნით მინიმალური მოთხოვენების შესახებ (მეთხუთმეტე ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე-16(1) მუხლის კონტექსტში)

ვადა: 1999/92/EC დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან რვა წლის ვადაში.

2002 წლის 25 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002/44/EC დირექტივა მუშაკთა ფიზიკური აგენტებისგან (ვიბრაცია) გამოწვეული პოტენციური რისკის წინაშე დაყენებასთან დაკავშირებით უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების შესახებ

(მეთექვსმეტე ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე16(1) მუხლის კონტექსტში)

ვადა: 2002/44/EC დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან შვიდი წლის ვადაში.

2003 წლის 6 თებერვლის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003/10/EC დირექტივა მუშაკთა ფიზიკური აგენტებით (ხმაური) გამოწვეული პოტენციური რისკის წინაშე დაყენებასთან დაკავშირებით უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების შესახებ (მეჩვიდმეტე ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე16(1) მუხლის კონტექსტში)

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ცხრა წლის ვადაში.

2004 წლის 29 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004/40/EC დირექტივა მუშაკთა ფიზიკური აგენტებით (ელექტრომაგნიტური ველი) გამოწვეული პოტენციური რისკის წინაშე დაყენებასთან დაკავშირებით უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების შესახებ (მეთვრამეტე ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე16(1) მუხლის კონტექსტში)

ვადა: 2004/40/EC დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ცხრა წლის ვადაში.

2006 წლის 5 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2006/25/EC მუშაკთა ფიზიკური აგენტებით (ხელოვნური ოპტიკური რადიაცია) გამოწვეული პოტენციური რისკის წინაშე დაყენებასთან დაკავშირებით უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების შესახებ (მეცხრამეტე ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე16(1) მუხლის კონტექსტში)

ვადა: 2006/25/EC დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან რვა წლის ვადაში.

1993 წლის 23 ნოემბრის საბჭოს დირექტივა 93/103/EC თევზჭერისთვის განკუთვნილი გემებზე მუშაობისთვის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების შესახებ (მეცამეტე ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე-16(1) მუხლის კონტექსტში)

ვადა: 93/103/EC დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან რვა წლის ვადაში.

1992 წლის 31 მარტის საბჭოს დირექტივა 92/29/EEC გემებზე გაუმჯობესებული სამედიცინო მკურნალობის მიზნით უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების შესახებ

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის ვადაში.

1990 წლის 29 მაისის საბჭოს 90/269/EEC დირექტივა ტვირთის ხელით აწევის დროს, მუშაკთა მიერ განსაკუთრებით ზურგის დაზიანების საფრთხის არსებობის პირობებში, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნების შესახებ (მე-4 ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მუხლის 16(1) კონტექსტში)

ვადა: 90/269/EEC დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან რვა წლის ვადაში.

1991 წლის 29 მაისის ევროკომისიის 91/322/EEC დირექტივა სამუშაო ადგილზე ქიმიური, ფიზიკური და ბიოლოგიური აგენტების ზემოქმედებით გამოწვეული რისკებისგან მუშაკთა დაცვის შესახებ საბჭოს 80/1107/EEC დირექტივის იმპლემენტაციის მეშვეობით ზღვრული ინდიკატიური მაჩვენებლების განსაზღვრის თაობაზე.

ვადა: 91/322/EEC დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ცხრა წლის ვადაში.

2000 წლის 8 ივნისის ევროკომისიის 2000/39/EC დირექტივა, რომლითაც ფორმირდება დასაქმების სახეობის მიხედვით მავნე ზეგავლენის ზღვრული ინდიკატიური მაჩვენებლების პირველი სია, სამუშაოზე ქიმიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული რისკებისგან მუშაკთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის შესახებ საბჭოს 98/24/EC დირექტივის იმპლემენტაციის მიზნით

ვადა: 2000/39/EC დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ცხრა წლის ვადაში.

2006 წლის 7 თებერვლის ევროკომისიის დირექტივა 2006/15/EC, რომლითაც ფორმირდება დასაქმების სახეობის მიხედვით მავნე ზეგავლენის ზღვრული ინდიკატიური მაჩვენებლების მეორე სია, საბჭოს 98/24/EC დირექტივის იმპლემენტაციის მიზნით

ვადა: 2006/15/EC დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ცხრა წლის ვადაში.

2009 წლის 17 დეკემბრის ევროკომისიის დირექტივა 2009/161/EU, რომლითაც ფორმირდება დასაქმების სახეობის მიხედვით მავნე ზეგავლენის ზღვრული ინდიკატიური მაჩვენებლების მესამე სია, საბჭოს 98/24/EC დირექტივის იმპლემენტაციის მიზნით

ვადა: 2009/161/EU დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ცხრა წლის ვადაში.

2010 წლის 10 მაისის საბჭოს დირექტივა 2010/32/EU, რომელიც უზრუნველყოფს ევროპის ჰოსპიტალურ და ჯანდაცვის სფეროს დამსაქმებელთა ასოციაციისა (HOSPEEM) და საჯარო სამსახურის კავშირების ევროპული ფედერაციის (EPSU) მიერ გაფორმებულ ჰოსპიტალურ და ჯანდაცვის სექტორში ბასრი სამედიცინო ინსტრუმენტების გამოყენებისას დაზიანებების თავიდან აცილების შესახებ

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ცხრა წლის ვადაში.

_____

დანართი XXXI

საზოგადოებრივი ჯანმრთელობა

თამბაქო

2001 წლის 5 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2001/37/EC დირექტივა თამბაქოს პროდუქტების წარმოების, პრეზენტაციისა და რეალიზაციის თაობაზე წევრ სახელმწიფოთა კანონების, რეგულაციებისა და ადმინისტრაციული დებულებების დაახლოების შესახებ

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ექვსი წლის ვადაში.

2003 წლის 26 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003/33/EC დირექტივა თამბაქოს პროდუქტების რეკლამირებასა და სპონსორობასთან დაკავშირებით წევრ სახელმწიფოთა კანონების, რეგულაციებისა და ადმინისტრაციული დებულებების დაახლოების შესახებ

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის ვადაში.

2002 წლის 2 დეკემბრის საბჭოს რეკომენდაცია თამბაქოს მოწევის პრევენციისა და თამბაქოს კონტროლის სრულყოფასთან დაკავშირებული ინიციატივების შესახებ (N 2003/54/EC)

ვადა: არ არის განსაზღვრული

2009 წლის 30 ნოემბრის საბჭოს რეკომენდაცია თამბაქოსგან თავისუფალი გარემოს შესახებ (2009/C 296/02)

ვადა: არ არის განსაზღვრული

გადამდები დაავადებები

1998 წლის 24 სექტემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს N 2119/98/EC გადაწყვეტილება, ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობისა და გადამდებ დაავადებათა კონტროლის მიზნით ევროპულ თანამეგობრობაში ქსელის შექმნის თაობაზე

ვადა: ამ გადაწყვეტილების დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან სამი წლის ვადაში.

1999 წლის 22 დეკემბრის ევროკომისიის 2000/96/EC გადაწყვეტილება ევროპული თანამეგობრობის ქსელის მიერ გადამდებ დაავადებათა მზარდი დაფარვის შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს N 2119/98/EC გადაწყვეტილების შესაბამისად

ვადა: 2000/96/EC გადაწყვეტილების დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან სამი წლის ვადაში.

2002 წლის 19 მარტის ევროკომისიის 2002/253/EC გადაწყვეტილება, რომელიც ევროპარლამენტისა და საბჭოს N 2119/98/EC გადაწყვეტილების შესაბამისად, იძლევა შემთხვევათა განმარტებებს ევროპული თანამეგობრობის ქსელისთვის გადამდებ დაავადებათა თაობაზე შესახებ ანგარიშების წარდგენის შესახებ

ვადა: 2002/253/EC გადაწყვეტილების დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან სამი წლის ვადაში.

1999 წლის 22 დეკემბრის ევროკომისიის 2000/57/EC გადაწყვეტილება, ევროპარლამენტისა და საბჭოს N 2119/98/EC გადაწყვეტილების შესაბამისად, გადამდებ დაავადებათა პრევენციისა და კონტროლისათვის ადრეული გაფრთხილებისა და რეაგირების სისტემის შესახებ

ვადა: 2000/57/EC გადაწყვეტილების დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ერთი წლის ვადაში.

სისხლი

2003 წლის 27 იანვრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002/98/EC დირექტივა , რომელიც ადგენს ადამიანის სისხლისა და სისხლის

კომპონენტების შეგროვების, ტესტირების, დამუშავების, შენახვისა და განაწილების ხარისხისა და უსაფრთხოების სტანდარტებს

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

2004 წლის 22 მარტის ევროკომისიის 2004/33/EC დირექტივა, რომლითაც სრულდება ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002/98/EC დირექტივა, რომელიც ეხება სისხლისა და სისხლის კომპონენტების ზოგიერთ ტექნიკურ მოთხოვნას

ვადა: 2004/33/EC დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

2005 წლის 30 სექტემბრის ევროკომისიის 2005/62/EC დირექტივა, რომლითაც სრულდება ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002/98/EC დირექტივა, რომელიც ეხება სისხლის დაწესებულებებისათვის ხარისხის სისტემასთან დაკავშირებულ გაერთიანების სტანდარტებსა და სპეციფიკაციებს.

ვადა: 2005/62/EC დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

2005 წლის 30 სექტემბრის ევროკომისიის 2005/61/EC დირექტივა, რომლითაც სრულდება ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002/98/EC დირექტივა, რომელიც ეხება მიკვლევადობის მოთხოვნებსა და შეტყობინებებს სერიოზული არასასურველი რეაქციებისა და შემთხვევების შესახებ.

ვადა: 2005/61/EC დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

ორგანოები, ქსოვილები და უჯრედები

2004 წლის 31 მარტის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004/23/EC დირექტივა, რომელიც ადგენს ადამიანის ქსოვილებისა და უჯრედების დონაციის, დონორებისაგან მიღების, ტესტირების, დამუშავების, კონსერვაციის, შენახვისა და განაწილების ხარისხისა და უსაფრთხოების სტანდარტებს

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

2006 წლის 8 თებერვლის ევროკომისიის 2006/17/EC დირექტივა, რომლითაც სრულდება ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004/23/EC დირექტივა, რომელიც ეხება ადამიანის ქსოვილებისა და უჯრედების დონაციის, დონორებისაგან მიღების და ტესტირების გარკვეულ ტექნიკურ მოთხოვნებს

ვადა: 2006/17/EC დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

2006 წლის 24 ოქტომბრის ევროკომისიის 2006/86/EC დირექტივა, რომლითაც სრულდება ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004/23/EC დირექტივა, რომელიც ეხება მიკვლევადობის მოთხოვნებსა და შეტყობინებებს სერიოზული არასასურველი რეაქციებისა და შემთხვევების შესახებ და ადამიანის ქსოვილებისა და უჯრედების კოდირების, დამუშავების, კონსერვაციის, შენახვისა და განაწილების გარკვეულ ტექნიკურ მოთხოვნებს

ვადა: 2006/86/EC დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

2010 წლის 7 ივლისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2010/53/EC დირექტივა ტრანსპლანტაციისათვის გამიზნული ადამიანის ორგანოთა ხარისხისა და უსაფრთხოების სტანდარტების შესახებ

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

ფსიქიკური ჯანმრთელობა – ნარკოტიკზე დამოკიდებულება

2003 წლის 18 ივნისის საბჭოს რეკომენდაცია ნარკოტიკზე დამოკიდებულების გამო ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების პრევენციისა და შემცირების შესახებ (2003/488/EC)

ვადა: არ არის განსაზღვრული

ალკოჰოლი

2001 წლის 5 ივნისის საბჭოს რეკომენდაცია ახალგაზრდების, კერძოდ, კი ბავშვებისა და მოზარდების მიერ ალკოჰოლური სასმელების მოხმარების შესახებ (2001/458/EC)

ვადა: არ არის განსაზღვრული

კიბო

2003 წლის 2 დეკემბრის საბჭოს რეკომენდაცია კიბოს სკრინინგის შესახებ (2003/878/EC)

ვადა: არ არის განსაზღვრული

ტრავმის პრევენცია და უსაფრთხოების ხელშეწყობა

2007 წლის 31 მაისის საბჭოს რეკომენდაცია ტრავმის პრევენციისა და უსაფრთხოების ხელშეწყობის შესახებ (2007/C 164/01)

ვადა: არ არის განსაზღვრული

დანართი XXXII

განათლება, მომზადება და ახალგაზრდობა

2004 წლის 15 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს გადაწყვეტილება N 2241/2004/EC კვალიფიკაციებისა და კომპეტენციების გამჭვირვალობისთვის გაერთიანების ერთიანი ჩარჩოს შესახებ (Europass)

1998 წლის 24 სექტემბრის საბჭოს რეკომენდაცია უმაღლესი განათლების სფეროში ხარისხის უზრუნველყოფისთვის ევროპული თანამშრომლობის შესახებ (N 98/561/EC)

2006 წლის 15 თებერვლის ევროპარლამენტისა და საბჭოს რეკომენდაცია უმაღლესი განათლების სფეროში ხარისხის უზრუნველყოფისთვის შემდგომი ევროპული თანამშრომლობის შესახებ (2006/143/EC)

2006 წლის 18 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს რეკომენდაცია მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის ძირითად უნარებზე (2006/962/EEC)

2008 წლის 23 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს რეკომენდაცია მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლისთვის „კვალიფიკაციების ევროპული ჩარჩოს“ ჩამოყალიბების თაობაზე (2008/C111/01)

2009 წლის 18 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს რეკომენდაცია პროფესიული განათლებისა და ტრეინინგისთვის (ECVET) „კრედიტების ევროპული სისტემის“ ჩამოყალიბების შესახებ (2009/C 155/02)

2009 წლის 18 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს რეკომენდაცია პროფესიული განათლებისა და ტრეინინგისთვის ხარისხის უზრუნველყოფის დამოწმების ევროპული ჩარჩოს ჩამოყალიბების შესახებ (2009/C 155/01)

დანართი XXXIII

თანამშრომლობა აუდიოვიზუალურ და მედიის სფეროებში

2010 წლის 10 მარტის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2010/13/EU დირექტივა აუდიოვიზუალური მედიის მომსახურებების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით წევრი სახელმწიფოების კანონებით, რეგულაციებითა ან ადმინისტრაციული აქტებით გათვალისწინებული გარკვეული დებულებების კოორდინაციის შესახებ (აუდიოვიზუალური მედიის მომსახურებების დირექტივა)

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან სამი წლის ვადაში, გარდა დირექტივის 23-ე მუხლისა, რომელიც შესრულდება ხუთი წლის ვადაში.

დანართი XXXIV

დებულებები თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლისა და კონტროლის შესახებ

1995 წლის 26 ივლისის ევროკავშირის კონვენცია “ევროპის გაერთიანებების ფინანსური ინტერესების დაცვის შესახებ”;

გამოიყენება ამ კონვენციის შემდეგი დებულებები:

- მუხლი 1 – ზოგადი დებულებები, განმარტებები

- მუხლი 2 (1) აუცილებელი ზომების მიღება იმის უზრუნველსაყოფად, რომ პირველ მუხლში მითითებული ქმედება, ან პირველი მუხლით გათვალისწინებულ ქმედებაში მონაწილეობა, მისი წაქეზება ან ჩადენის მცდელობა, დაექვემდებარება ეფექტიან, თანაზომად და გადარწმუნებით სისხლისსამართლებრივ სასჯელს.

- მუხლი 3 – ბიზნესის ხელმძღვანელთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ვადა: ამ კონვენციის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის ვადაში.

“ევროპის გაერთიანებების ფინანსური ინტერესების დაცვის შესახებ” კონვენციის ოქმი;

გამოიყენება ამ ოქმის შემდეგი დებულებები:

- მუხლი 1 (1) (c) და 1 (2) - შესაბამისი განმარტებები

- მუხლი 2 - პასიური კორუფცია

- მუხლი 3 - აქტიური კორუფცია

- მუხლი 5 (1) - აუცილებელი ზომების მიღება იმის უზრუნველსაყოფად, რომ მე-2 და მე-3 მუხლებში მითითებული ქმედება, ან ამ ქმედებაში მონაწილეობა, მისი წაქეზება ან ჩადენის მცდელობა, დაექვემდებარება ეფექტიან, თანაზომად და გადამარწმუნებელ სისხლისსამართლებრივ სასჯელს.

- მუხლი 7 - იმდენად, რამდენადაც იგი ეხება კონვენციის მე-3 მუხლს.

ვადა: ამ ოქმის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის ვადაში.

“ევროპის გაერთიანებების ფინანსური ინტერესების დაცვის შესახებ” კონვენციის მეორე ოქმი;

გამოიყენება ამ ოქმის შემდეგი დებულებები:

- მუხლი 1 - განმარტებები

- მუხლი 2 – ფულის გათეთრება

- მუხლი 3 – იურიდიული პირების პასუხისმგებლობა
- მუხლი 4 – იურიდიულ პირთათვის დაწესებული სანქციები
- მუხლი 12 - იმდენად, რამდენადაც იგი ეხება კონვენციის მე-3 მუხლს.

ვადა: ამ ოქმის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის ვადაში.

I ოქმი

„საქონლის წარმოშობის" ცნების განსაზღვრის და ადმინისტრაციული

თანამშრომლობის მეთოდების შესახებ

სარჩევი

თავი I	ზოგადი დებულებები
მუხლი 1	განსაზღვრებები
	თავი II
	„საქონლის წარმოშობის" ცნების განსაზღვრება
მუხლი 2	ზოგადი მოთხოვნები
მუხლი 3	წარმოშობის კუმულაცია
მუხლი 4	ქვეყანაში მთლიანად წარმოშობილი პროდუქცია
მუხლი 5	საკმარისად დამუშავებული ან გადამუშავებული პროდუქცია
მუხლი 6	არასაკმარისი დამუშავება ან გადამუშავება
მუხლი 7	შეფასების ერთეული
მუხლი 8	აქსესუარები, სათადარიგო ნაწილები და ინსტრუმენტები
მუხლი 9	კომპლექტები
მუხლი 10	ნეიტრალური ელემენტები

თავი III	ტერიტორიული მოთხოვნები
მუხლი 11	ტერიტორიულობის პრინციპი
მუხლი 12	პირდაპირი ტრანსპორტირება
მუხლი 13	გამოფენები
თავი IV	საბაჟო მოსაკრებლის დაბრუნება ან საბაჟო მოსაკრებლისგან გათავისუფლება
მუხლი 14	საბაჟო გადასახდელების დაბრუნების ან მისგან გათავისუფლების აკრძალვა
თავი V	წარმოშობის სერტიფიკატი
მუხლი 15	ზოგადი მოთხოვნები
მუხლი 16	EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატის გაცემის პროცედურა
მუხლი 17	რეტროსპექტიულად გაცემული EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატი
მუხლი 18	EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატის დუბლიკატის გაცემა
მუხლი 19	EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატის გაცემა ადრე გაცემული ან შედგენილი წარმოშობის სერტიფიკატის საფუძველზე
მუხლი 20	აღრიცხვის სეგრეგაცია
მუხლი 21	წარმოშობის ს დეკლარაციის შედგენის პირობები
მუხლი 22	უფლებამოსილი ექსპორტიორი
მუხლი 23	წარმოშობის სერტიფიკატის მოქმედების ვადა
მუხლი 24	წარმოშობის სერტიფიკატის წარდგენა
მუხლი 25	იმპორტირება პარტიებად
მუხლი 26	გათავისუფლება წარმოშობის სერტიფიკატის წარდგენისგან
მუხლი 27	თანმხლები დოკუმენტები
მუხლი 28	წარმოშობის სერტიფიკატის და თანმხლები დოკუმენტების შენახვა
მუხლი 29	განსხვავებები და მექანიკური შეცდომები
მუხლი 30	ევროში გამოხატული თანხები
თავი VI	ადმინისტრაციული თანამშრომლობის ღონისძიებები
მუხლი 31	ადმინისტრაციული ურთიერთთანამშრომლობა
მუხლი 32	წარმოშობის სერტიფიკატის შემოწმება
მუხლი 33	დავების მოგვარება
მუხლი 34	ჯარიმები
მუხლი 35	თავისუფალი ზონები

თავი VII სეუტა და მელილია

მუხლი 36 ამ ოქმის გამოყენება

მუხლი 37 სპეციალური პირობები

თავი VIII დასკვნითი დებულებები

მუხლი 38 ოქმში შესწორებების შეტანა

მუხლი 39 ტრანზიტული და დასაწყობებული საქონლის მიმართ მოქმედი გარდამავალი პროცედურები

ამ ოქმის დანართების ნუსხა

დანართი I: შესავალი შენიშვნები I ოქმის II დანართში მოცემული ნუსხის მიმართ

დანართი II: დამუშავება-გადამუშავების ოპერაციების ჩამონათვალი, რომელთა ჩატარებაც მოითხოვება წარმოშობის სტატუსის არმქონე მასალებით წარმოებული პროდუქტებისთვის წარმოშობის სტატუსის მოპოვების მიზნით

დანართი III: EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატის ნიმუშები და განაცხადი EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატისთვის

დანართი IV: წარმოშობის დეკლარაციის ტექსტი

ერთობლივი დეკლარაციები

ერთობლივი დეკლარაცია ანდორას სამთავროს შესახებ

ერთობლივი დეკლარაცია სან მარინოს რესპუბლიკის შესახებ

ერთობლივი დეკლარაცია, "საქონლის წარმოშობის" ცნების განსაზღვრის და ადმინისტრაციული თანამშრომლობის მეთოდების შესახებ I ოქმში გაწერილ წარმოშობის წესებში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1

განსაზღვრებები

(a) “წარმოება” ნიშნავს ყველა სახის დამუშავება-გადამუშავების ოპერაციას, აწყობის ან სპეციფიური ოპერაციების ჩათვლით;

(b) “მასალა”ნიშნავს ნებისმიერ ინგრედიენტს, ნედლეულს, კომპონენტს, ნაწილს და ა.შ., რომელიც გამოიყენება პროდუქტის საწარმოებლად;

(c) "პროდუქტი" ნიშნავს წარმოებულ პროდუქტს იმ შემთხვევაშიც კი, თუ მისი გამოყენება მოგვიანებით განზრახულია სხვა საწარმოო ოპერაციაში;

(d) “საქონელი” ნიშნავს როგორც მასალებს, ასევე პროდუქტს;

(e) “საბაჟო ღირებულება” ნიშნავს ღირებულებას, როგორც ეს განსაზღვრულია 1994 წლის ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმების მე-7 მუხლის განხორციელების შესახებ შეთანხმებაში (GATT 1994);

(f) ""ფრანკო-ქარხნის ფასი" ნიშნავს ქარხნის ფასს, გადახდილს პროდუქციაში მწარმოებლისთვის, მხარის მიერ, ვისი პასუხისმგებლობითაც სრულდება პროდუქციის საბოლოო დამუშავება ან გადამუშავება, იმ პირობით, რომ ფასი მოიცავს ყველა გამოყენებული მასალის ფასს, გარდა შიდა გადასახადებისა, რომლებიც ანაზღაურებული იქნება ან შეიძლება ანაზღაურებულ იქნას მიღებული პროდუქციის ექსპორტის შემდეგ;

(g) “მასალების ღირებულება” ნიშნავს საბაჟო ღირებულებას, გამოყენებულს წარმოშობის სტატუსის არმქონე მასალების იმპორტის დროს, ხოლო თუ ეს არ არის ცნობილი და არ შეიძლება მისი დამტკიცება - პირველ დადასტურებულ ფასს, რომელიც გადაიხდება მასალებისთვის ექსპორტიორი მხარის ტერიტორიაზე;

(h) ”წარმოშობის მქონე მასალების ღირებულება” ნიშნავს იმ მასალების ღირებულებას, რომლებიც ჩამოთვლილია “g” ქვეპუნქტში შესაბამის ცვლილებებთან ერთად;

(i) “დამატებითი ღირებულება” ნიშნავს ქარხნის (მწარმოებლის) ფასს თითოეული იმ გამოყენებული მასალის საბაჟო ღირებულების გამოკლებით, რომელიც წარმოშობილია მეორე ქვეყანაში, სადაც დაშვებულია თანხის კუმულაცია, ან როცა სადაც საბაჟო ღირებულება არ არის ცნობილი ან არ შეიძლება მისი დამტკიცება - პირველ დადასტურებულ ფასს, რომელიც გადაიხდება მასალებისთვის ექსპორტიორი მხარის ტერიტორიაზე;

(j) “თავები” და “სათაურები”ნიშნავს თავებსა და სათაურებს (ოთხნიშნა კოდები), გამოყენებულს იმ ნომენკლატურაში, რომელიც შეადგენს 1983 წლის საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებულ სისტემას. აღნიშნულ პროტოკოლში მოიხსენიება როგორც “ჰარმონიზებული სისტემა” (Harmonozed System – HS);

(k) “კლასიფიცირება” გულისხმობს პროდუქციის ან მასალის კლასიფიცირებას კონკრეტული დასახელებით;

(l) “პარტია” ნიშნავს პროდუქციას, რომელიც ან ერთდროულად იგზავნება ერთი ექსპორტიორის მიერ პარტიის ერთ მიმღებთან ან მოქცეულია ერთ სატრანსპორტო დოკუმენტაციაში, რომელიც ეხება მათ ტრანსპორტირებას ექსპორტიორისგან პარტიის მიმღებამდე, ხოლო ამგვარი დოკუმენტის უქონლობის შემთხვევაში - ერთ ანგარიშფაქტურაში;

(m) “ტერიტორიები” მოიცავს ტერიტორიულ წყლებს;

(n) "მხარე" ნიშნავს ევროკავშირის ერთ, რამდენიმე ან ყველა წევრ სახელმწიფოს, ევროკავშირს ან საქართველოს, და

(o) “ხელშეკრულების მონაწილე მხარის საბაჟო უწყება” ევროკავშირის შემთხვევაში ნიშნავს ევროკავშირის წევრი ქვეყნის საბაჟო უწყებას.

თავი II

“საქონლის წარმოშობის” ცნების განსაზღვრა

მუხლი 2

ზოგადი მოთხოვნები

წინამდებარე ხელშეკრულების განხორციელების მიზნით, ხელშემკვრელ მხარეში წარმოებულად ჩაითვლება:

(a) პროდუქცია, რომელიც მთლიანად წარმოშობილია ხელშემკვრელ მხარის ტერიტორიაზე მე-4 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში; და

(b) კონტრაქტორი მხარის ტერიტორიაზე მიღებული პროდუქცია, რომელშიც შედის ისეთი მასალები, რომლებიც არ არის მთლიანად წარმოშობილი ამ ტერიტორიაზე, ოღონდ იმ პირობით, რომ ამგვარმა მასალებმა განიცადეს საკმარისი დამუშავება-გადამუშავება კონტრაქტორი მხარის ტერიტორიაზე მე-5 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში.

მუხლი 3

წარმოშობის კუმულაცია

1. ამ ოქმის მე-2 მუხლის დებულებების დაცვით, პროდუქცია ჩაითვლება კონტრაქტორი მხარის ტერიტორიაზე წარმოშობილად, თუ მათი მიღება მოხდა ამ ტერიტორიაზე, და გამოყენებულია მასალები, რომლებიც წარმოშობილია სხვა კონტრაქტორი მხარის ტერიტორიაზე ან თურქეთში წარმოშობილი მასალები, რომლებზეც ვრცელდება ევროკავშირ-თურქეთის ასოცირების საბჭოს 1995 წლის 22 დეკემბრის No 1/95[1] გადაწყვეტილება, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ექსპორტიორი კონტრაქტორი მხარის ტერიტორიაზე განხორციელებული დამუშავება-გადამუშავების ოპერაციები აღემატება ამ ოქმის მე-6 მუხლით გათვალისწინებულს. აუცილებელი არ არის, რომ ასეთი მასალა იყოს საკმარისად დამუშავებული-გადამუშავებული.

2. სადაც ექსპორტიორი კონტრაქტორი მხარის ტერიტორიაზე განხორციელებული დამუშავება-გადამუშავება არ აღემატება მე-6 მუხლით გაწერილ ოპერაციებს, მიღებული პროდუქტი ჩაითვლება ექსპორტიორი მხარის ადგილობრივი წარმოშობის პროდუქტად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შექმნილი დამატებითი ღირებულება აღემატება იმ გამოყენებული მასალების ღირებულებას, რომლებიც წარმოშობილია სხვა კონტრაქტორი მხარის ან თურქეთის ტერიტორიაზე. თუ ეს ასე არ არის, მიღებული პროდუქტი ჩაითვლება თურქეთში ან სხვა კონტრაქტორი მხარის ტერიტორიაზე წარმოშობილად, იმის მიხედვით, თუ რომელ მათგანზე მოდის, ექსპორტიორ კონტრაქტორი მხარის ტერიტორიაზე წარმოებისას გამოყენებული მასალების უმეტესი ღირებულება.

3. კონტრაქტორი მხარის ან თურქეთის ტერიტორიაზე წარმოშობილი პროდუქცია, რომელიც არ არის საკმარისად დამუშავებული-გადამუშავებული ექსპორტიორი კონტრაქტორი მხარის ტერიტორიაზე, ინარჩუნებს წარმოშობას, როდესაც ხდება მისი ექსპორტი სხვა კონტრაქტორი მხარის ტერიტორიაზე.

4. თურქეთში წარმოშობილ საქონელზე, შესაბამისი კუმულაცია გამოიყენება იმ პირობით რომ:

(a) კონტრაქტორი მხარეებსა და თურქეთს შორის გამოიყენება GATT 1994-ის XXIV მუხლის მოთხოვნების თანახმად გაფორმებული შეთანხმება პრეფერენციული ვაჭრობის შესახებ;

(b) მასალებმა და პროდუქციამ მიიღო წარმოშობის სტატუსი მოცემულ ოქმში გაწერილი წარმოშობის წესების იდენტური წესების საფუძველზე, და

(c) გამოცემულია შეტყობინება, კუმულაციის გამოყენებისათვის აუცილებელი მოთხოვნების დაკმაყოფილების თაობაზე, ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში (C სერია) და საქართველოში, შესაბამისი პროცედურების თანახმად.

5. ამ მუხლით განსაზღვრული კუმულაცია, გამოიყენება ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში (C სერია) ცნობის გამოქვეყნების თარიღიდან.

6. მხარეები ერთმანეთს მიაწოდებენ, 1 და 2 პუნქტებში მოხსენიებულ ქვეყნებთან გაფორმებული შეთანხმებების შესახებ მონაცემებს, მათ შორის მათი ძალაში შესვლის თარიღებსაც.

მუხლი 4

ქვეყანაში მთლიანად წარმოშობილი პროდუქცია

1. შემდეგი ჩაითვლება მთლიანად კონტრაქტორი მხარის ტერიტორიაზე სრულად წარმოშობილ პროდუქციად:

(a) ამ ქვეყნების ნიადაგიდან ან ზღვის ფსკერიდან ამოღებული მინერალური პროდუქტები;

(b) იქ მოყვანილი მცენარეული პროდუქტები;

(c) იქ დაბადებული და გაზრდილი ცოცხალი საქონელი;

(d) იქ გაზრდილი ცოცხალი საქონლისაგან წარმოებული პროდუქცია;

(e) იქ განხორციელებული ნადირობითა თუ თევზჭერით მიღებული პროდუქცია;

(f) საზღვაო თევზჭერით მიღებული ან სხვაგვარი პროდუქცია, ამოღებული ზღვიდან ექსპორტიორი მხარის მცურავი საშუალებების დახმარებით მათი ტერიტორიული წყლების საზღვრებს გარეთ;

(g) მათ მცურავ თევზსარეწში წარმოებული პროდუქცია, რომელიც ექსკლუზიურადაა მიღებული "f" ქვეპუნქტში მოხსენიებული პროდუქტებიდან;

(h) იქ მოპოვებული გამოყენებული საგნები, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ ნედლეულის აღსადგენად, გამოყენებული საბურავების ჩათვლით, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ პროტექტორის აღსადგენად ან გამოსაყენებლად ნარჩენის სახით;

(i) ნარჩენები და ჯართი, რომელიც წარმოიშობა იქ განხორციელებული საწარმოო ოპერაციების შედეგად;

(j) ტერიტორიული წყლების გარეთ ზღვის ნიადაგიდან ან ქვენიადაგიდან ამოღებული პროდუქცია იმ პირობით, რომ მათ აქვთ აღნიშნული ნიადაგის ან ქვენიადაგის დამუშავების ექსკლუზიური უფლება;

(k) იქ წარმოებული საქონელი, რომელიც შექმნილია "a"-j" ქვეპუნქტებში დადგენილი პროდუქციისგან.

2. ტერმინები "მისი მცურავი საშუალებები" და "მისი მცურავი თევზსარეწი", მოცემულია პირველი პუნქტის "f" და "g" ქვეპუნქტებში და ეხება მხოლოდ იმ მცურავ საშუალებებსა და მცურავ თევზსარეწებს, რომლებიც:

(a) რეგისტრირებულია ან აღრიცხულია ევროკავშირის წევრ ქვეყანაში ან საქართველოში;

(b) დაცურავენ ევროკავშირის წევრი ქვეყნის ან საქართველოს დროშის ქვეშ;

(c) რომელთა, სულ მცირე, 50%-ს ფლობენ ევროკავშირის წევრი ქვეყნის ან საქართველოს მოქალაქეები, ან კომპანია, რომლის სათავო ოფისი მდებარეობს ევროკავშირის წევრ ქვეყანაში ან საქართველოში და რომელთა მენეჯერი ან მენეჯერები, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ან ამგვარი საბჭოების წევრთა უმრავლესობა წარმოადგენს ევროკავშირის ან საქართველოს მოქალაქეებს და რომლებშიც, პარტნიორობის ან შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიების შემთხვევაში, კაპიტალის, სულ ცოტა, ნახევარი ეკუთვნის ევროკავშირის წევრ ქვეყანას ან საქართველოს, მათ სახელმწიფო ორგანოებს ან მოქალაქეებს;

(d) რომელთა კაპიტანი და ოფიცრები არიან ევროკავშირის წევრი ქვეყნის ან საქართველოს მოქალაქეები; და

(e) რომელთა ეკიპაჟის, სულ ცოტა, 75% შეადგენს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ან საქართველოს მოქალაქეებს.

http://www.matsne.gov.ge

საკმარისად დამუშავებული-გადამუშავებული პროდუქცია

1. მე-2 მუხლის მიზნებისთვის, პროდუქცია, რომელიც არ არის ქვეყანაში მთლიანად წარმოშობილი, ჩაითვლება საკმარისად დამუშავებულად-გადამუშავებულად, თუ დაკმაყოფილებულია წინამდებარე ოქმის II დანართში ჩამოთვლილი პირობები.

წინამდებარე შეთანხმებით ყველა პროდუქციისთვის განსაზღვრული, ეს პირობები, მიუთითებს დამუშავება-გადამუშავების იმ ტიპს, რომელიც უნდა შესრულდეს წარმოებაში გამოყენებულ წარმოშობის სტატუსის არმქონე მასალებზე და გამოიყენება მხოლოდ ამგვარ მასალებთან მიმართებაში. შესაბამისად, აქედან გამომდინარეობს, რომ თუ პროდუქცია, რომელმაც მიიღო წარმოშობის სტატუსი ჩამონათვალში მოხსენიებული პირობების შესრულების საფუძველზე, გამოიყენება სხვა პროდუქციის წარმოებისთვის. ამგვარ პროდუქციასთან დაკავშირებული პირობები არ ეხება მას და ყურადღება არ უნდა მიექცეს იმ წარმოშობის სტატუსის არმქონე მასალებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო მის წარმოებაში.

2. პირველი პუნქტის მიუხედავად, წარმოშობის სტატუსის არმქონე მასალები, რომლებიც, წინამდებარე ოქმის II დანართში მითითებული ჩამონათვალის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად, არ უნდა გამოიყენებოდეს პროდუქციის წარმოებაში, შეიძლება მაინც გამოიყენებოდეს, იმ პირობით, რომ:

(a) მათი მთლიანი ღირებულება არ აღემატება პროდუქციის ფრანკო-ქარხნის ფასს, და

(b) წარმოშობის სტატუსის არმქონე მასალების მაქსიმალური ღირებულების ჩამონათვალში მოცემული ნებისმიერი პროცენტულობა არ არის გადაჭარბებული ამ პუნქტის გამოყენებით.

ეს პუნქტი არ ეხება იმ პროდუქციას, რომელიც განეკუთვნება ჰარმონიზებული სისტემის 50-63 თავებს.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები გამოყენებული იქნება მე-6 მუხლის დებულებების გათვალისწინებით.

მუხლი 6

არასაკმარისი დამუშავება ან გადამუშავება

1. ამ მუხლის მე-2 პუნქტისთვის ზიანის მიუყენებლად, შემდეგი ოპერაციები ჩაითვლება არასაკმარის დამუშავებად წარმოშობის მქონე პროდუქციისთვის სტატუსის მინიჭების თვალსაზრისით, მიუხედავად იმისა, შესრულებულია თუ არა მე-5 მუხლის მოთხოვნები:

(a) კონსერვირების ოპერაციები პროდუქციის ვარგისიანობის შენარჩუნების უზრუნველყოფის მიზნით ტრანსპორტირებისა და შენახვის დროს;

(b) ფუთების დაშლა და აწყობა;

(c) რეცხვა, წმენდა; მტვრის, მჟავის, ზეთის, საღებავის ან სხვა სახის საფარების მოცილება;

(d) ქსოვილის დაუთავება ან დაპრესვა;

(e) ღებვისა და გაპრიალების მარტივი ოპერაციები;

(f) მარცვლეულისა და ბრინჯის გარჩევა, ნაწილობრივი ან სრული გაუფერულება, გაპრიალება და - მომინანქრება (შოკოლადით დაფარვა);

(g) შაქრის ღებვის ან შაქრის ნატეხების დამზადების ოპერაციები;

(h) ხილის, თხილის და ბოსტნეულის თლა, კურკის გამოცლა და ნაჭუჭის მოცილება;

(i) თლა, მარტივი ფქვა ან მარტივი ჭრა;

(j) ცრა, გაცხრილვა, გადარჩევა, კლასიფიცირება, დაჯგუფება, მისადაგება; (ნაკეთობათა კომპლექტების შედგენის ჩათვლით);

(k) მარტივი მოთავსება ბოთლებში, თუნუქის ქილებში, კოლბებში, ჩანთებში, ჩემოდნებში, ყუთებში, დამაგრება ბარათებზე ან დაფებზე და შეფუთვის სხვა მარტივი ოპერაციები;

(l) შტამპების, იარლიყების, ლოგოების და სხვა განმასხვავებელი ნიშნების მიმაგრება ან ბეჭდვა პროდუქციაზე ან მათ შეფუთვაზე;

(m) პროდუქციის მარტივი შერევა, მიუხედავად იმისა არის ეს სხვადასხვა ტიპის თუ არა;

(n) შაქრის შერევა ნებისმიერ მასალებთან;

(o) სრული ნაკეთობის შემადგენელი ნაწილებისგან აწყობა ან პროდუქციის დაშლა ნაწილებად;

(p) “a-o” ქვეპუნქტებში მოცემული ორი ან მეტი ოპერაციის კომბინირება;

(q) ცხოველების დაკვლა.

2. კონტრაქტორი მხარის ტერიტორიაზე მოცემულ პროდუქციასთან მიმართებაში ჩატარებული ყველა ოპერაცია განხილული იქნება ერთად, როცა დადგება დამუშავება-გადამუშავების საკმარისობის დადგენის საკითხი პირველი პუნქტის მიხედვით.

მუხლი 7

შეფასების ერთეული

1. წინამდებარე ოქმის დებულებების გამოყენების შეფასების ერთეული იქნება რომელიმე გარკვეული პროდუქცია, რომელიც ჩაითვლება ძირითად ერთეულად შეფასებისას ჰარმონიზებული სისტემის ნომენკლატურის გამოყენებით.

რაც ნიშნავს, რომ:

(a) როცა ნაკეთობათა ჯგუფისგან შემდგარი პროდუქცია ფასდება ჰარმონიზებული სისტემის პირობების მიხედვით ერთი დასახელების ქვეშ, მთლიანი პროდუქცია წარმოადგენს შეფასების ერთეულს;

(b) როცა პარტია შედგება ჰარმონიზებული სისტემის იგივე დასახელების ქვეშ შეფასებული მთელი რიგი იდენტური პროდუქციისგან, თითოეული პროდუქცია აღებული უნდა იქნას ინდივიდუალურად წინამდებარე ოქმის დებულებების გამოყენებისას.

2. როცა (ჰარმონიზებული სისტემის ზოგადი მე-5 წესის მიხედვით) შეფუთვა შედის პროდუქციაში შეფასების მიზნებისთვის, იგი

ასევე ჩართული უნდა იქნას წარმოშობის განსაზღვრის მიზნებისთვისაც.

მუხლი 8

აქსესუარები, სათადარიგო ნაწილები და ინსტრუმენტები

აქსესუარები, სათადარიგო ნაწილები და ინსტრუმენტები, რომლებიც გამოგზავნილია ერთ მოწყობილობასთან, დანადგართან, აპარატთან ან სატრანსპორტო საშუალებასთან ერთად, წარმოადგენენ ჩვეულებრივი მოწყობილობის ნაწილს და შეტანილია მის ფასში, ხოლო რომლებზეც არ არის შედგენილი ცალკე ანგარიშფაქტურა - განიხილება ამგვარ მოწყობილობასთან, დანადგართან, აპარატსა და სატრანსპორტო საშუალებასთან ერთად.

მუხლი 9

კომპლექტები

კომპლექტები, როგორც ეს განსაზღვრულია ჰარმონიზებული სისტემის ზოგად მე-3 წესში, განიხილება როგორც წარმოშობის მქონე, თუ წარმოშობის მქონეა მისი ყველა კომპონენტი. მიუხედავად იმისა, რომ კომპლექტი შედგება წრმოშობის მქონე და წარმოშობის სტატუსის არმქონე პროდუქტებისგან, მთლიანი კომპლექტი განხილული იქნება როგორც წარმოშობის მქონე იმ პირობით, თუ წარმოშობის სტატუსის არმქონე პროდუქტების ღირებულება არ აღემატება კომპლექტის ფრანკო-ქარხნის ფასის 15%-ს.

მუხლი 10

ნეიტრალური ელემენტები

პროდუქტის წარმოშობის განსაზღვრის მიზნებისთვის, არ არის აუცილებელი შემდეგის წარმოშობის დადგენა (რაც შეიძლება გამოყენებული იქნეს მისი წარმოებისას):

(a) ელექტროენერგია და საწვავი;

(b) ქარხანა და მოწყობილობები ;

(c) მანქანა-დანადგარები და იარაღები;

(d) საქონელი, რომელიც არ შედის და არც შევა პროდუქციის საბოლოო შემადგენლობაში.

თავი III

ტერიტორიული მოთხოვნები

ტერიტორიულობის პრინციპი

1. მე-3 მუხლისა და ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, II თავში მოცემული წარმოშობის სტატუსის მოპოვების პირობები უწყვეტად უნდა სრულდებოდეს ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე;

2. მე-3 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, როცა კონტრაქტორი მხარის ტერიტორიაზე ბრუნდება სხვა ქვეყანაში ექსპორტირებული წარმოშობის მქონე საქონელი, ის უნდა განიხილებოდეს, როგორც წარმოშობის სტატუსის არმქონე, თუ საბაჟოსთვის არ იქნება დამტკიცებული, რომ:

(a) დაბრუნებულია იგივე საქონელი, რომელიც იქნა ექსპორტირებული; და

(b) დაბრუნებულ საქონელზე არ განხორციელებულა სხვა რაიმე ოპერაცია, გარდა იმისა, რომელიც საჭირო იყო მისი ვარგისიანობის შენარჩუნებისთვის იმ ქვეყანაში ყოფნისას ან ექსპორტირების დროს.

3. II თავში მოცემული პირობების მიხედვით, წარმოშობის სტატუსის მოპოვებაზე არ იმოქმედებს კონტრაქტორი მხარეებიდან ექსპორტირებულ (და, შესაბამისად, რეიმპორტირებულ) მასალებზე კონტრაქტორი მხარის ტერიტორიის გარეთ განხორციელებული დამუშავება-გადამუშავება, თუ:

(a) ზემოხსენებული მასალები მთლიანად წარმოშობილია კონტრაქტორი მხარის ტერიტორიაზე ან ექსპორტირებამდე გაიარეს დამუშავება-გადამუშავება მე-6 მუხლში ჩამოთვლილი არასაკმარისი ოპერაციების გარდა;

და

(b) საბაჟოსთვის იქნება დამტკიცებული, რომ:

(i) რეიმპორტირებული საქონელი მიღებულია ექსპორტირებული მასალის დამუშავება-გადამუშავებით; და

(ii) წინამდებარე მუხლის დებულებების საფუძველზე, კონტრაქტორი მხარის ფარგლებს გარეთ მიღებული მთლიანი დამატებითი ღირებულება არ აღემატება იმ საბოლოო პროდუქციის ფრანკო-ქარხნის ფასის 10%-ს, რომლის წარმოშობის სტატუსიც სადავოა.

4. მე-3 პუნქტის მიზნებისთვის, II თავში მოცემული წარმოშობის სტატუსის მოპოვების პირობები არ შეეხება დამუშავება-გადამუშავებას კონტრაქტორი მხარის საზღვრებს გარეთ. მაგრამ სადაც წინამდებარე ოქმის II დანართის ჩამონათვალში გამოყენებული ყველა წარმოშობის სტატუსის არმქონე მასალის მაქსიმალური ღირებულების დადგენის წესი გამოიყენება საბოლოო პროდუქციის წარმოშობის დადგენაში, მოცემული მხარის ტერიტორიაზე გამოყენებული წარმოშობის სტატუსის არმქონე მასალების მთლიანი ღირებულება, აღებული წინამდებარე მუხლის დებულებების გამოყენების შედეგად კონტრაქტორი მხარის ფარგლებს გარეთ შექმნილ მთლიან დამატებულ ღირებულებასთან ერთად, არ უნდა აჭარბებდეს დადგენილ პროცენტულობას.

5. მე-3 და მე-4 პუნქტების დებულებების გამოყენების მიზნით, "მთლიანი დამატებული ღირებულება" ნიშნავს კონტრაქტორი მხარის ფარგლებს გარეთ გაწეულ ყველა ხარჯს, იქ გამოყენებული მასალების ღირებულების ჩათვლით.

6. მე-3 და მე-4 პუნქტების დებულებები არ ეხება პროდუქციას, რომელიც არ აკმაყოფილებს წინამდებარე ოქმის II დანართში ჩამოთვლილ პირობებს, და რომელიც შეიძლება ჩაითვალოს საკმარისად დამუშავებულად-გადამუშავებულად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამოყენებულია მე-5 მუხლის მე-2 პუნქტში დაფიქსირებული ზოგადი დაშვებები.

7. ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების დებულებები არ ეხება პროდუქციას, რომელიც შეესატყვისება ჰარმონიზებული სისტემის 50-63 თავებს.

8. წინამდებარე მუხლის დებულებებში მოცემული და კონტრაქტორი მხარის საზღვრებს გარეთ შესრულებული დამუშავება-გადამუშავების ნებისმიერი ტიპი მოექცევა ზედაპირული დამუშავების ან მსგავსი კლასიფიცირების ქვეშ.

მუხლი 12

პირდაპირი ტრანსპორტირება

1. შეთანხმებით დადგენილი პრეფერენციული რეჟიმი ეხება მხოლოდ იმ პროდუქციას, რომელიც აკმაყოფილებს წინამდებარე ოქმის მოთხოვნებს, და რომლის ტრანსპორტირება ხორციელდება უშუალოდ კონტრაქტორ მხარეებს შორის ან თურქეთის ტერიტორიის გავლით. მიუხედავად ამისა, პროდუქცია, რომელიც შეადგენს ერთ მთლიან პარტიას, შეიძლება გადაიზიდოს სხვა ტერიტორიების გავლით, თუ აუცილებელი გახდება გადაზიდვა ან დროებითი დასაწყობება ასეთ ტერიტორიებზე იმ პირობით, რომ ტვირთი დარჩება ტრანზიტის ან დასაწყობების ქვეყნის საბაჟო უწყების მეთვალყურეობის ქვეშ და არ მოუწევს სხვა ოპერაციების გავლა, გარდა გადმოტვირთვის, ხელახალი დატვირთვის ან სხვა რომელიმე ოპერაციისა, რომელიც გამიზნული იქნება ტვირთის ვარგისიანობის შენარჩუნებისთვის.

წარმოშობის მქონე პროდუქციამ, ექსპორტიორი და იმპორტიორი კონტრაქტორი მხარეების ტერიტორიების გარდა, შეიძლება იმოძრაოს მილსადენით სხვა ქვეყნების გავლითაც.

2. პირველ პუნქტში დადგენილი პირობების შესრულების მტკიცება უნდა წარედგინოს იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო უწყებას შემდეგი სახით:

(a) ერთი სატრანსპორტო დოკუმენტი, რომელშიც შედის გზა ექსპორტის ქვეყნიდან ტრანზიტის ქვეყნის გავლის ჩათვლით, ან

(b) ტრანზიტის ქვეყნის საბაჟო უწყების მიერ გაცემული ცნობა, რომელშიც:

(i) მოცემულია პროდუქციის ზუსტი აღწერილობა;

(ii) მოცემულია პროდუქციის გადმოტვირთვის და ხელახალი დატვირთვის თარიღები და, საჭიროების შემთხვევაში, გემების ან გამოყენებული სხვა სახის ტრანსპორტის სახელები; და

(iii) პროდუქციის ტრანზიტის ქვეყანაში შენახვის დადასტურებული პირობები; ან

(c) დასაბუთების შემცველი ნებისმიერი დოკუმენტი ზემოხსენებულების უქონლობის შემთხვევაში.

მუხლი 13

გამოფენები

1. კონტრაქტორი მხარის გარდა სხვა რომელიმე ქვეყანაში გამოფენაზე გაგზავნილი წარმოშობის მქონე პროდუქცია, და გამოფენის შემდეგ გაყიდული იმპორტის მიზნით კონტრაქტორი მხარის ტერიტორიაზე, იმპორტისას ისარგებლებს წინამდებარე ხელშეკრულების დებულებებით იმ შემთხვევაში, თუ საბაჟო უწყებისთვის ნაჩვენები და დამაჯერებელი იქნება, რომ:

(a) ექსპორტიორმა გაგზავნა მოცემული პროდუქცია კონტრაქტორი მხარიდან იმ ქვეყანაში, რომელშიც ჩატარდა გამოფენა, და მას აღნიშნული პროდუქცია გამოფენილი ჰქონდა ამ გამოფენაზე;

(b) პროდუქცია ექსპორტიორმა მიჰყიდა ან სხვაგვარად გადასცა კონტრაქტორი მხარის რომელიმე პირს ;

(c) პროდუქცია გადაცემულ იქნა გამოფენის დროს ან დაუყოვნებლივ მის შემდეგ ისეთივე მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც ის გაიგზავნა გამოფენაზე; და

(d) ვინაიდან პროდუქცია გამიზნული იყო გამოფენისთვის, არ ყოფილა გამოყენებული რაიმე სხვა მიზნით, გარდა მისი გამოფენაზე წარდგენისა.

2. წარმოშობის სერთიფიკატი გაცემული ან შედგენილი უნდა იყოს V თავის დებულებების შესაბამისად და იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო უწყებისთვის დადგენილი წესით წარდგენილი. იქვე მითითებული უნდა იყოს გამოფენის სახელწოდება და მისი ჩატარების მისამართი. აუცილებლობის შემთხვევაში, შეიძლება მოთხოვნილ იქნას პროდუქციის გამოფენის პირობების დამადასტურებელი დამატებითი დოკუმენტები.

3. პირველი პუნქტი ეხება ნებისმიერ სავაჭრო, სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო ან რეწვასთან დაკავშირებულ გამოფენას, ბაზრობას ან მსგავს საზოგადოებრივ ჩვენებას ან გამოფენას, რომელიც არ არის ორგანიზებული კერძო მიზნებისთვის მაღაზიებში ან ბიზნეს ფართზე უცხოური პროდუქციის გაყიდვის მიზნით, და რომელთა განმავლობაშიც პროდუქცია რჩება საბაჟოს კონტროლის ქვეშ.

თავი IV

დაბრუნება ან გადასახადისგან გათავისუფლება

მუხლი 14

საბაჟო მოსაკრებლის დაბრუნების ან მისგან გათავისუფლების აკრძალვა

1. წარმოშობის სტატუსის არმქონე მასალები, რომლებიც გამოიყენება წარმოშობის მქონე პროდუქციის საწარმოებლად კონტრაქტორი მხარის ტერიტორიაზე, და რომლისთვისაც წარმოშობის სერთიფიკატი გაცემულია ან შედგენილია V თავის დებულებების შესაბამისად, არ დაექვემდებარება კონტრაქტორი მხარის ტერიტორიაზე ნებისმიერი სახის საბაჟო მოსაკრებლის დაბრუნებას ან მისგან გათავისუფლებას.

2. პირველ პუნქტში მოცემული აკრძალვა ეხება იმ საბაჟო მოსაკრებლების ან გადასახადების ნაწილობრივ თუ მთლიანად დაბრუნების, რემისიის ან გადაუხდელობის ნებისმიერ ზომას, , რომლებიც კონტრაქტორი მხარის ტერიტორიაზე წარმოებაში მოხმარებული მასალების შესახებ იმ მოქმედი კანონების ეკვივალენტურია, რომელთაც ასეთი ამგვარი დაბრუნება, რემისია ან გადაუხდელობა ეხებათ, თვალნათლივ ან არსობრივად, და როცა ხდება ზემოხსენებული მასალებისგან მიღებული პროდუქციის ექსპორტი და არა მაშინ, როცა ისინი ქვეყანაში რჩება ადგილობრივი მოხმარების მიზნით.

3. წარმოშობის სერთიფიკატში მოხსენიებული პროდუქციის ექსპორტიორი მზად უნდა იყოს, ნებისმიერ დროს, საბაჟოს ან სხვა კომპეტენტური უწყების მოთხოვნით, წარადგინოს ყველა აუცილებელი დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს, რომ მოცემული პროდუქციის წარმოებაში გამოყენებული წარმოშობის სტატუსის არმქონე მასალების მიმართ არ არის მიღებული საბაჟო მოსაკრებლის რაიმე დათმობა და რომ ამგვარ მასალასთან დაკავშირებული ყველა საბაჟო მოსაკრებელი ან გადასახდელი ფაქტიურად გადახდილია.

4. ამ მუხლის 1-3 პუნქტების დებულებები ასევე გამოიყენება შეფუთვის (მე-7 (2) მუხლის შინაარსის მიხედვით), აქსესუარების, სათადარიგო ნაწილების, ინსტრუმენტების (მე-8 მუხლის შინაარსის მიხედვით) და კომპლექტში მოცემული პროდუქციის (მე-9 მუხლის შინაარსის მიხედვით) მიმართ, როცა ამგვარ ერთეულებს არ გააჩნია წარმოშობა.

5. 1-4 პუნქტების დებულებები გამოიყენება მხოლოდ იმ მასალების მიმართ, რომლებზეც ვრცელდება ოქმის მოქმედება.

თავი V

წარმოშობის სერტიფიკატი

მუხლი 15

ზოგადი მოთხოვნები

1. კონტრაქტორი მხარის პროდუქცია მეორე კონტრაქტორი მხარის ტერიტორიაზე იმპორტისას ისარგებლებს წინამდებარე შეთანხმების დებულებებით წარმოშობის დამადასტურებელი ერთ-ერთი სახის შემდეგი დოკუმენტის წარდგენისას:

(a) EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატი. მისი ნიმუში მოცემულია წინამდებარე ოქმის III დანართში;

(b) 21-ე მუხლის პირველ პუნქტში მოცემული შემთხვევებისას, დეკლარაცია, რომლის ტექსტი მოცემულია წინამდებარე ოქმის IV დანართში და რომელსაც ექსპორტიორი ურთავს ანგარიშფაქტურას, მოწოდების შეტყობინება ან ნებისმიერი სხვა კომერციული დოკუმენტი, რომელიც აღწერს მოცემულ პროდუქციას ისეთი დეტალებით, რომლებიც იძლევა მისი იდენტიფიკაციის საშუალებას (შემდგომში "წარმოშობის დეკლარაცია").

2. მიუხედავად ამ მუხლის პირველი პუნქტისა, წინამდებარე ოქმის მნიშვნელობით მოცემული წარმოშობის მქონე პროდუქცია (26-ე მუხლში დასახელებულ შემთხვევებში) სარგებლობს წინამდებარე შეთანხმებით და არ არის აუცილებელი ზემოთ დასახელებული რომელიმე დოკუმენტის წარმოდგენა.

მუხლი 16

EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატის გაცემის პროცედურა

1. EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატი გაიცემა ექსპორტიორი ქვეყნის საბაჟო უწყების მიერ, რომელის შევსება ხდება ხელით ექსპორტიორის მიერ ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ექსპორტიორის პასუხისმგებლობით.

2. აღნიშნული მიზეზით, ექსპორტიორმა ან მისმა უფლებამოსილმა წარმომადგენელმა უნდა შეავსოს EUR.1 გადაადგილების

სერტიფიკატი და განაცხადის ფორმა. მათი ნიმუშები მოცემულია წინამდებარე ოქმის III დანართში. აღნიშნული ფორმები შეივსება წინამდებარე შეთანხმების ერთ-ერთ ენაზე და ექსპორტიორი ქვეყნის შიდა კანონმდებლობის დებულებების შესაბამისად. მათი ხელით შევსების შემთხვევაში, სიტყვები შეტანილი უნდა იქნას მელნით და ბეჭდური ასოებით. პროდუქციის აღწერა შეტანილი უნდა იქნას სპეციალურად ამისთვის გამოყოფილ უჯრაში ცარიელი ხაზების გამოუტოვებლად. თუ რომელიმე უჯრა არ იქნება სრულად შევსებული, მაშინ ჰორიზონტალური ხაზი უნდა გაესვას აღწერის ბოლო ხაზის ქვეშ და გადაიხაზოს ცარიელი ადგილი.

3. ექსპორტიორი, რომელიც მოითხოვს EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატს, ნებისმიერ დროს, ექსპორტიორი ქვეყნის (სადაც გაიცემა EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატი) საბაჟოს უწყების მოთხოვნის თანახმად, მზად უნდა იყოს ყველა იმ აუცილებელი დოკუმენტის წარსადგენად, რომელიც დაადასტურებს მოცემული პროდუქციის წარმოშობის სტატუსს, და ასევე წინამდებარე ოქმის სხვა მოთხოვნების შესასრულებლად.

4. მე-5 პუნქტისთვის ზიანის მიუყენებლად, EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატი გაიცემა ევროკავშირის წევრი ქვეყნის ან საქართველოს საბაჟო უწყების მიერ, თუ მოცემული პროდუქცია შეიძლება ჩაითვალოს ევროკავშირის წევრი ქვეყნის ან საქართველოს ან თურქეთის ტერიტორიაზე წარმოშობილ პროდუქციად და შეესაბამება წინამდებარე ოქმის სხვა მოთხოვნებს.

5. EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატის გამცემი საბაჟო უწყება მიიღებს ყველა ზომას, რომელიც აუცილებელია პროდუქციის წარმოშობის დასადგენად და წინამდებარე ოქმის სხვა მოთხოვნების შესასრულებლად. ამისათვის, მას აქვს უფლება მოითხოვოს რაიმე მტკიცება, შეამოწმოს ექსპორტიორის ანგარიშები და ჩაატაროს ნებისმიერი სხვა სახის ინსპექცია, რომელსაც იგი ჩათვლის საჭიროდ. EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატის გამცემი საბაჟო უწყება უნდა დარწმუნდეს მე-2 პუნქტში ნახსენები ფორმების სწორად შევსებაში. კერძოდ, მან უნდა შეამოწმოს არის თუ არა პროდუქციის აღწერისთვის გამოყოფილი უჯრები შევსებული ისე, რომ გამორიცხული იყოს ყველანაირი ყალბი დამატებების შეტანის შესაძლებლობა.

6. EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატის გაცემის თარიღი მითითებული უნდა იყოს სერტიფიკატის მე-11 უჯრაში.

7. EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატი გაიცემა საბაჟო უწყების მიერ და გადაეცემა ექსპორტიორს ფაქტიური ექსპორტის განხორციელების დროისათვის.

მუხლი 17

რეტროსპექტულად გაცემული EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატი

1. მე-16 მუხლის მე-7 პუნქტის მიუხედავად, EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატი შეიძლება გამონაკლისის სახით გაიცეს ექსპორტის განხორციელების შემდეგ მასთან დაკავშირებული პროდუქციისთვის, თუ:

(a) იგი არ გაიცა ექსპორტირების დროს შეცდომების, დაუდევრობის ან განსაკუთრებული გარემოებების გამო; ან

(b) საბაჟო უწყებისთვის ცხადი გახდება, რომ EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატი გაცემული იყო, მაგრამ ვერ იქნა მიღებული იმპორტირებისას ტექნიკური მიზეზების გამო.

2. პირველი პუნქტის განხორციელების მიზნით, ექსპორტიორმა განაცხადში უნდა მიუთითოს იმ პროდუქციის ექსპორტირების ადგილი და თარიღი, რომელსაც უკავშირდება მოთხოვნილი EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატი, და ჩამოაყალიბოს მოთხოვნის მიზეზი.

3. საბაჟო უწყებას შეუძლია EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატის გაცემა რეტროსპექტულად მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაადგენს, რომ ექსპორტიორის განაცხადში მოცემული ინფორმაცია შეესაბამება საქმეში მოცემულ ინფორმაციას.

4. რეტროსპექტულად გაცემულ EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატს უნდა ახლდეს შემდეგი ფრაზა ინგლისურ ენაზე:

"ISSUED RETROSPECTIVELY"

5. მე-4 პუნქტში მოხსენიებული ფრაზა უნდა ჩაისვას EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატის მე-7 უჯრაში.

მუხლი 18

EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატის დუბლიკატის გაცემა

1. EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატის მოპარვის, დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში ექსპორტიორს შეუძლია მიმართოს მის გამცემ საბაჟო უწყებას და მოითხოვოს დუბლიკატი, რომელიც გამოიწერება ექსპორტთან დაკავშირებული დოკუმენტების საფუძველზე.

2. ამგვარად გაცემულ დუბლიკატს უნდა ახლდეს შემდეგი ფრაზა ინგლისურ ენაზე:

"DUPLICATE"

3. მე-2 პუნქტში მოხსენიებული ფრაზა უნდა ჩაისვას EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატის მე-7 უჯრაში.

4. დუბლიკატი, რომელზეც აღნიშნული უნდა იყოს EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატის დედანის გაცემის თარიღი, ძალაშია აღნიშნული თარიღიდან.

მუხლი 19

EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატის გაცემა ადრე გაცემული ან შედგენილი წარმოშობის სერტიფიკატის საფუძველზე

როცა წარმოშობილი პროდუქცია საბაჟო კონტროლის ქვეშ ექცევა კონტრაქტორი მხარის ტერიტორიაზე, შესაძლებელია წარმოშობის სერტიფიკატის შეცვლა ერთი ან რამდენიმე წარმოშობის სერტიფიკატით რომელიმე ამ პროდუქციის მთლიანად ან მისი ნაწილის გაგზავნის მიზნით კონტრაქტორი მხარის ქვეყნის სხვა ნაწილებში. შემცვლელი წარმოშობის სერტიფიკატ(ებ)ი გაიცემა იმ საბაჟო უწყების მიერ, რომლის მეთვალყურეობის ქვეშაც იქნება მოქცეული აღნიშნული პროდუქცია.

მუხლი 20

აღრიცხვის სეგრეგაცია

1. იქ, სადაც იდენტური და ერთმანეთის შეცვლის უნარის მქონე წარმოშობის მქონე და არმქონე მასალების ცალკეული მარაგის შენახვა ქმნის მნიშვნელოვან ფინანსურ ან მატერიალურ სირთულეებს, საბაჟო უწყებას, ამ საქმესთან დაკავშირებული პირების წერილობითი მოთხოვნით, ამგვარი მარაგების მართვის მიზნით შეუძლია ე.წ. "აღრიცხვის სეგრეგაციის" მეთოდის (შემდგომში წოდებული, როგორც „მეთოდი") ამოქმედება.

2. აღნიშნულმა მეთოდმა უნდა უზრუნველყოს, რომ (გარკვეული პერიოდის განმავლობაში) ისეთი მიღებული პროდუქციის რაოდენობა, რომლის განხილვაც შეიძლება წარმოშობის მქონე პროდუქციად, იყოს იმ რაოდენობის ტოლი, რომლის მიღებაც შესაძლებელი იქნებოდა მარაგების ფიზიკური სეგრეგაციის შემთხვევაში.

3. საბაჟო უწყებას შეუძლია გასცეს პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილება, ყველა შესაბამისი პირობის დაცვით.

4. აღნიშნული მეთოდის გამოყენება მოხდება და ჩაიწერება იმ ზოგადი საბუღალტრო აღრიცხვის პრინციპების საფუძველზე, რომლებიც გამოიყენება პროდუქციის მწარმოებელ ქვეყანაში.

5. აღნიშნული დახმარების მიმღებს შეუძლია გასცეს ან მოითხოვოს წარმოშობის სერთიფიკატი (რომელიც საჭირო იქნება) პროდუქციის იმ რაოდენობისთვის, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს წარმოშობის მქონედ. საბაჟო უწყების მოთხოვნის შემთხვევაში, მიმღებმა უნდა წარადგინოს ანგარიში რაოდენობათა მართვის შესახებ.

6. საბაჟო უწყებას შეუძლია აკონტროლოს ზემოხსენებული მეთოდის გამოყენება და შეაჩეროს მისი მოქმედება ნებისმიერ დროს, როცა იგი ჩათვლის, რომ მიმღები შესაბამისად არ იყენებს მინიჭებულ უფლებას (როგორი ფორმითაც არ უნდა ხდებოდეს ეს) ან არ ასრულებს წინამდებარე ოქმით განსაზღვრულ რომელიმე სხვა პირობას.

მუხლი 21

წარმოშობის დეკლარაციის შედგენის პირობები

1. მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ხ" ქვეპუნქტში აღწერილი წარმოშობის დეკლარაცია შეიძლება შეადგინოს:

(a) უფლებამოსილმა ექსპორტიორმა (22-ე მუხლის შინაარსის ფარგლებში); ან

(b) ნებისმიერი ისეთი პარტიის ნებისმიერმა ექსპორტიორმა, რომელიც შედგება ერთი ან მეტი წარმოშობის მქონე პროდუქციის შემცველი ფუთისგან, რომელთა საერთო ღირებულება არ აღემატება 6 000 ევროს.

2. მე-3 პუნქტის დებულებების გათვალისწინებით, წარმოშობის დეკლარაციის შედგენა შეიძლება, თუ მოცემული პროდუქცია შეიძლება ჩაითვალოს წარმოშობილად ევროკავშირში ან საქართველოში, და სრულდება წინამდებარე ოქმის სხვა პირობები.

3. წარმოშობის დეკლარაციის შემდგენელი ექსპორტიორი ნებისმიერ დროს მზად უნდა იყოს, ექსპორტიორი ქვეყნის საბაჟო უწყების მოთხოვნით, წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელიც დაადასტურებს მოცემული პროდუქციის წარმოშობის სტატუსს და ასევე წინამდებარე ოქმის სხვა მოთხოვნების შესრულებას.

4. წარმოშობის დეკლარაციას ადგენს ექსპორტიორი ანგარიშფაქტურაზე, მიწოდების შეტყობინებასა თუ სხვა კომერციულ

დოკუმენტზე, დეკლარაციაზე ბეჭდვის ან შტამპის დასმის გზით რომელზე დასატანი ტექსტი მოცემულია წინამდებარე ოქმის IV დანართში და გამოიყენება იმავე დანართში მოცემული ერთ-ერთ ენა. ყველაფერი ეს სრულდება ექსპორტიორი ქვეყნის შიდა კანონმდებლობის დებულებების შესაბამისად. თუ დეკლარაცია ხელითაა შევსებული, მაშინ იგი უნდა შესრულდეს მელნით და ბეჭდური ასოებით.

5. წარმოშობის დეკლარაციაზე უნდა იყოს ექსპორტიორის ხელმოწერა. თუმცა, უფლებამოსილ ექსპორტიორს (22-ე მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში) არ მოეთხოვება ამგვარი დეკლარაციის ხელმოწერა იმ პირობით, რომ მან ექსპორტიორი ქვეყნის საბაჟო უწყებას უნდა წარუდგინოს წერილობითი ვალდებულება, რომ იგი კისრულობს სრულ პასუხისმგებლობას ნებისმიერ იმ წარმოშობის დეკლარაციაზე, რომელიც განიხილება, როგორც ხელმოწერილი მის მიერ.

6. წარმოშობის დეკლარაცია შეიძლება შეადგინოს ექსპორტიორმა, როცა ხდება აღნიშნულ დეკლარაციასთან დაკავშირებული პროდუქციის ექსპორტი, ან ექსპორტირების შემდეგ იმ პირობით, რომ იგი წარმოდგენილი იქნება იმპორტიორი ქვეყნისთვის არა უგვიანეს 2 წლის განმავლობაში იმ პროდუქციის იმპორტის შემდეგ, რომელთანაც იგი არის დაკავშირებული.

მუხლი 22

უფლებამოსილი ექსპორტიორი

1. ექსპორტიორი ქვეყნის საბაჟო უწყებამ ნებისმიერ იმ ექსპორტიორს (შემდგომში "უფლებამოსილი ექსპორტიორი"), რომელიც ხშირად ახდენს წინამდებარე შეთანხმებით განსაზღვრული პროდუქციის გადაზიდვას, შეიძლება მიანიჭოს წარმოშობის დეკლარაციის შედგენის უფლებამოსილება მიუხედავად მოცემული პროდუქციის ღირებულებისა. ამგვარი უფლებამოსილების მსურველმა ექსპორტიორმა საბაჟოს ან სხვა კომპეტენტურ უწყებას უნდა წარუდგინოს პროდუქციის წარმოშობის სტატუსის და წინამდებარე ოქმის სხვა მოთხოვნების შესრულების მათთვის დამაკმაყოფილებელი მტკიცებულებები.

2. საბაჟო უწყებას შეუძლია უფლებამოსილი ექსპორტიორის სტატუსის მინიჭება იმ პირობებით, რომლებსაც იგი ჩათვლის შესატყვისად.

3. საბაჟო უწყება მიანიჭებს უფლებამოსილ ექსპორტიორს საბაჟოს უფლებამოსილების აღმნიშვნელ ნომერს, რომელიც უნდა დაისვას წარმოშობის დეკლარაციაზე.

4. საბაჟო უწყება გააკონტროლებს უფლებამოსილი ექსპორტიორის მიერ აღნიშნული უფლებამოსილების გამოყენებას.

5. საბაჟო უწყებას შეუძლია უფლებამოსილების ჩამორთმევა ნებისმიერ დროს. მას შეუძლია ამის გაკეთება მაშინ, როცა უფლებამოსილი ექსპორტიორი აღარ უზრუნველყოფს პირველ პუნქტში მოცემულ გარანტიებს, არ ასრულებს მე-2 პუნქტში მოცემულ პირობებს ან სხვაგვარად არასწორად იყენებს უფლებამოსილებას.

მუხლი 23

წარმოშობის სერტიფიკატის მოქმედების ვადა

1. წარმოშობის სერტიფიკატი ძალაში იქნება ექსპორტიორ ქვეყანაში მისი გაცემის დღიდან ოთხი თვის განმავლობაში და წარდგენილ უნდა იქნას ზემოხსენებული პერიოდის განმავლობაში იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო უწყებისათვის.

2. ის წარმოშობის სერტიფიკატები, რომლებიც წარდგენილია იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო უწყებისათვის პირველ პუნქტში დადგენილი წარდგენის საბოლოო თარიღის შემდეგ, შეიძლება მიღებული იქნას პრეფერენციული რეჟიმის მიღების მიზნით, როცა ამგვარი დოკუმენტების წარუდგენლობა საბოლოო თარიღისთვის გამოწვეულია განსაკუთრებული გარემოებებით.

3. დაგვიანებული წარდგენის სხვა შემთხვევებში, იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო უწყებას შეუძლია წარმოშობის სერტიფიკატის მიღება, თუ პროდუქცია წარდგენილია ზემოხსენებულ საბოლოო თარიღამდე.

მუხლი 24

წარმოშობის სერტიფიკატის წარდგენა

წარმოშობის სერტიფიკატი უნდა წარედგინოს იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო უწყებას იმ ქვეყანაში მოქმედი პროცედურების თანახმად. ზემოხსენებულმა საბაჟო უწყებამ შეიძლება მოითხოვოს წარმოშობის სერტიფიკატის თარგმანი და ასევე იმპორტის დეკლარაციასთან ერთად იმპორტიორის ანგარიში იმის შესახებ, რომ პროდუქცია აკმაყოფილებს წინამდებარე შეთანხმების განხორციელებისთვის საჭირო პირობებს.

მუხლი 25

იმპორტირება პარტიებად

როცა, იმპორტიორის თხოვნის თანახმად და იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო უწყების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად, ჰარმონიზებული სისტემის ზოგადი მე-2(ა) წესის მნიშვნელობის ფარგლებში და ჰარმონიზებული სისტემის XVI და XVII მუხლებში ან 7308 და 9406 პოზიციებში შემავალი დაშლილი ან აუწყობელი პროდუქციის იმპორტირება ხორციელდება პარტიებად, ამგვარი პროდუქციის წარმოშობის ერთადერთი სერთიფიკატი წარდგენილი უნდა იქნას საბაჟო უწყებისათვის პირველი პარტიის იმპორტირებისას.

მუხლი 26

საქონლის გათავისუფლება წარმოშობის სერტიფიკატისგან

1. პროდუქცია, გაგზავნილი პატარა შეკვრებად ერთი კერძო პირის მიერ მეორე კერძო პირისთვის, ან რომელიც შეადგენს მოგზაურების პირად ბარგს, განხილული იქნება როგორც წარმოშობის მქონე პროდუქცია და მისთვის არ მოითხოვება წარმოშობის სერტიფიკატი, თუმცა იმ პირობით, რომ ამგვარი პროდუქცია არ არის იმპორტირებული ვაჭრობის გზით და რომელიც აკმაყოფილებს წინამდებარე ოქმის მოთხოვნებს და სადაც ეჭვს არ იწვევს ამგვარი დეკლარაცია. თუ პროდუქცია გაგზავნილია ფოსტით, ასეთი დეკლარაცია შეიძლება შედგეს საბაჟო დეკლარაციაზე CN22/CN23 ან ამ დოკუმენტზე თანდართულ ფურცელზე.

2. იმპორტი, რომელიც დროდადრო ხორციელდება და შედგება მხოლოდ მიმღებების, მოგზაურების და მათი ნათესავების პირადი მოხმარების პროდუქციისგან, არ განიხილება როგორც იმპორტი ვაჭრობის გზით, თუ პროდუქციის ბუნებისა და რაოდენობიდან გამომდინარე აშკარაა, რომ არა აქვს ადგილი რაიმე კომერციულ მიზნებს.

3. ასევე, აღნიშნული პროდუქციის მთლიანი ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 500 ევროს მცირე ფუთების შემთხვევაში ან 1 200 ევროს იმ პროდუქციის შემთხვევაში, რომელიც შეადგენს მოგზაურების პირადი ბარგის ნაწილს.

მუხლი 27

თანმხლები დოკუმენტაცია

მე-16 მუხლის მე3 პუნქტში და 21-ე მუხლის მე-3 პუნქტში მოხსენიებული დოკუმენტები, რომლებიც გამოიყენება იმის დასამტკიცებლად, რომ EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატის ან წარმოშობის დეკლარაციის შესაბამისი პროდუქცია შეიძლება განიხილულ იქნას, როგორც კონტრაქტორი მხარის ტერიტორიაზე წარმოშობილი და შესრულებულია წინამდებარე ოქმის სხვა მოთხოვნები, შეიძლება, მათ შორის, შედგებოდეს შემდეგისგან:

(a) უშუალო მტკიცება ექსპორტიორის ან მომწოდებლის მიერ განხორციელებული პროცესებისა მოცემული საქონლის მიღების მიზნით, რაც შედის, მაგალითად, მათ ანგარიშებში ან შიდა ბუღალტერიაში;

(b) კონტრაქტორი მხარის ტერიტორიაზე გამოყენებული, გაცემული ან წარმოებული მასალების წარმოშობის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებიც გამოიყენება შიდა კანონმდებლობის შესაბამისად;

(c) კონტრაქტორი მხარის ტერიტორიაზე გაცემული ან წარმოებული მასალების კონტრაქტორი მხარის ტერიტორიაზე დამუშავების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებიც გამოიყენება შიდა კანონმდებლობის შესაბამისად;

(d) EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატები ან წარმოშობის დეკლარაციები, რომლებიც ადასტურებენ კონტრაქტორი მხარის ტერიტორიაზე გამოყენებული, გაცემული ან წარმოებული მასალების წარმოშობის სტატუსებს წინამდებარე ოქმის შესაბამისად; და

(e) მე-11 მუხლის თანახმად, კონტრაქტორი მხარის ტერიტორიის გარეთ განხორციელებული დამუშავება-გადამუშავების შესაბამისი მტკიცება, აღნიშნული მუხლის მოთხოვნების გათვალისწინებით.

მუხლი 28

წარმოშობის სერტიფიკატისა და დამატებითი დოკუმენტების შენახვა

1. ექსპორტიორმა, რომელიც მოითხოვს EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატს, სულ ცოტა, სამი წლის განმავლობაში უნდა შეინახოს მე-16 მუხლის მე3 პუნქტში მოხსენიებული დოკუმენტები.

2. ექსპორტიორმა, რომელიც ავსებს წარმოშობის დეკლარაციას, სულ ცოტა, სამი წლის განმავლობაში უნდა შეინახოს ამ წარმოშობის დეკლარაციის ასლი და ასევე 21-ე მუხლის მე-3 პუნქტში მოხსენიებული დოკუმენტები.

3. ექსპორტიორი ქვეყნის საბაჟო უწყებამ, რომელიც გასცემს EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატს, სულ ცოტა, სამი წლის განმავლობაში უნდა შეინახოს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტში მოხსენიებული განაცხადი.

4. იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო უწყებამ, სულ ცოტა, სამი წლის განმავლობაში უნდა შეინახოს მისთვის წარმდგენილი EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატი და წარმოშობის დეკლარაცია.

მუხლი 29

განსხვავებები და მექანიკური შეცდომები

1. მცირე განსხვავებების აღმოჩენა წარმოშობის სერთიფიკატსა და იმ დოკუმენტს შორის, რომელიც წარდგენილი იქნა საბაჟო უწყებაში ფორმალობების შესასრულებლად პროდუქციის იმპორტის მიზნით, თავად ფაქტიდან გამომდინარე, არ გააუქმებს წარმოშობის სერთიფიკატს, თუ სათანადოდ დამტკიცდება, რომ ეს დოკუმენტი ნამდვილად შეესაბამება განაცხადში მოცემულ პროდუქციას.

2. აშკარა მექანიკური შეცდომა, რომელიც დაშვებულია, მაგალითად, ბეჭდვის დროს, არ გამოიწვევს შესაბამისი დოკუმენტის გაუქმებას, თუ ამგვარი შეცდომები არ წარმოშობს ეჭვს ამ დოკუმენტში მოტანილი ფაქტების სისწორესთან დაკავშირებით.

მუხლი 30

ევროში გამოხატული თანხები

1. 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „b“ ქვეპუნქტის და 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის მუხლების დებულებების გამოყენების მიზნით იმ შემთხვევაში, როცა პროდუქციის ანგარიშფაქტურა შედგენილია ევროს გარდა რომელიმე სხვა ვალუტაში, კონტრაქტორი მხარეების ეროვნულ ვალუტებში გამოსახული თანხები, რომლებიც ეკვივალენტურია ევროებში გამოხატული თანხებისა, ყოველწლიურად უნდა შესწორდეს თითოეული შესაბამისი ქვეყნის მიერ.

2. პარტიას შეეხება 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „b“ ქვეპუნქტის და 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის დებულებები იმ ვალუტის გათვალისწინებით, რომელშიც შედგენილია ანგარიშფაქტურა, შესაბამისი ქვეყნის მიერ შესწორებული თანხის მიხედვით.

3. თანხები, რომლებიც გამოყენებული უნდა იქნას ნებისმიერ მოცემულ ვალუტაში, იმ ვალუტაში ეკვივალენტური იქნება ევროებში გამოხატული თანხისა ოქტომბრის პირველ სამუშაო დღეს. მხარეები თანხების რაოდენობას შეატყობინებენ ევროკომისიას 15 ოქტომბრამდე და მათი გამოყენება შესაძლებელი იქნება მომდევნო წლის 1 იანვრიდან. ევროკომისია შეატყობინებს ყველა შესაბამის ქვეყანას სათანადო თანხების შესახებ.

4. მხარეებს შეუძლიათ თანხის დამრგვალება, რაც დაკავშირებულია ევროში გამოხატული თანხის მათ ეროვნულ ვალუტაში გადაყვანასთან. დამრგვალებული თანხა არ უნდა განსხვავდებოდეს კონვერტირებული თანხის ოდენობისგან 5%-ზე მეტად. მხარეებს შეუძლიათ უცვლელად დატოვონ ევროებში გამოხატული თანხის ეკვივალენტური მისი ეროვნული ვალუტა, თუ მე-3 პუნქტში მოცემული წლიური შესწორების დროს ამ თანხის კონვერტაცია (დამრგვალებამდე) შედეგად მოიტანს ეროვნული ვალუტის ეკვივალენტის 15%-მდე ზრდას. ეროვნულ ვალუტაში გამოხატული ეკვივალენტი შეიძლება დარჩეს უცვლელი, თუ კონვერტაციას შედეგად მოჰყვება ამ თანხის შემცირება.

5. ევროში გამოხატულ თანხებს განიხილავს საბაჟო ქვეკომიტეტი ნებისმიერი კონტრაქტორი მხარის თხოვნით. განხილვისას საბაჟო ქვეკომიტეტი მხედველობაში მიიღებს შეზღუდვების ეფექტის შენარჩუნების სასურველობას რეალურ ვადებში. ამ მიზნით, მან შეიძლება გადაწყვიტოს ევროებში გამოხატული თანხების მოდიფიცირება.

თავი VI

ადმინისტრაციული თანამშრომლობის ზომები

მუხლი 31

ადმინისტრაციული თანამშრომლობა

1. კონტრაქტორი მხარეთა საბაჟო უწყებები მიაწვდიან ერთმანეთს იმ შტამპების ნიმუშებს, რომლებიც გამოიყენება მათ საბაჟოებში EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატისთვის, და საბაჟო უწყების იმ ხელმძღვანელთა თუ შესაბამისი კომპეტენტური და სათანადოდ უფლებამოსილი უწყებების მისამართებს, რომლებიც პასუხისმგებელნი იყვნენ ამ სერტიფიკატების და წარმოშობის დეკლარაციების დამოწმებაზე.

2. წინამდებარე ოქმის სათანადოდ გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით, კონტრაქტორი მხარეები დახმარებას გაუწევენ ერთმანეთს კომპეტენტური საბაჟო ადმინისტრაციების და შესაბამისი კომპეტენციის მქონე და სათანადოდ უფლებამოსილი უწყებების მეშვეობით EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატის ან წარმოშობის დეკლარაციის ნამდვილობის და ამ დოკუმენტებში მოცემული ინფორმაციის სისწორის შემოწმებაში.

მუხლი 32

წარმოშობის სერტიფიკატის შემოწმება

1. წარმოშობის სერთიფიკატების შემდგომი შემოწმება განხორციელდება არასისტემურად ან მაშინ, როცა იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო უწყებას გაუჩნდება გონივრული საფუძველი ეჭვი შეიტანოს დოკუმენტების ნამდვილობის, მოცემული პროდუქციის წარმოშობის სტატუსის ან წინამდებარე ოქმის სხვა მოთხოვნების შესრულების მიმართ.

2. პირველი პუნქტის დებულებების შესრულების მიზნით, იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო უწყება დააბრუნებს EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატს და ანგარიშფაქტურას, თუ ისინი (წარმოშობის დეკლარაცია ან ამ დოკუმენტების ასლები) წარდგენილი იყო ექსპორტიორი ქვეყნის საბაჟო უწყებისათვის და იძლეოდა (სადაც ეს საჭიროა) დაზუსტების მიზეზს. ნებისმიერი მიღებული დოკუმენტი და ინფორმაცია, რომელიც აღძრავს წარმოშობის სერთიფიკატში ან წარმოშობის დეკლარაციაში არასწორი ინფორმაციის არსებობის ეჭვს, უნდა გაიგზავნოს გასარკვევად.

3. აღნიშნულ ეჭვებს გაარკვევს ექსპორტიორი ქვეყნის საბაჟო უწყება. ამისათვის, მათ ექნებათ ნებისმიერი მტკიცებულების მოთხოვნის და ექსპორტიორის ანგარიშების ნებისმიერი ინსპექციის (და ყველა სხვა აუცილებელი შემოწმების) ჩატარების უფლება.

4. თუ იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო უწყება გადაწყვეტს მოცემული პროდუქციისათვის პრეფერენციული რეჟიმის შეჩერებას შემოწმების შედეგების მიღებამდე, იმპორტიორს შესთავაზებენ პროდუქციისაგან განთავისუფლებას სიფრთხილის იმ ზომების გათვალისწინებით, რომლებიც ჩაითვლება აუცილებლად.

5. შემოწმების მომთხოვნ საბაჟო უწყებას სასწრაფოდ მიეწოდება აღნიშნული შემოწმების შედეგები. ამ შედეგებში მკაფიოდ უნდა იყოს მოცემული არის თუ არა დოკუმენტები ნამდვილი, შეიძლება თუ არა მოცემული პროდუქციის განხილვა ისე, თითქოს ისინი წარმოშობილია კონტრაქტორი მხარის ტერიტორიაზე და სრულდება თუ არა წინამდებარე ოქმის სხვა მოთხოვნები.

6. თუ ეჭვის შეტანის შესახებ გონივრული საფუძველის შემთხვევაში შემოწმების მოთხოვნიდან ათი თვის განმავლობაში არ მოვა პასუხი ან თუ პასუხში არ იქნება მოცემული საკმარისი ინფორმაცია საეჭვო დოკუმენტის ნამდვილობაში ან პროდუქციის ჭეშმარიტ წარმოშობაში დასარწმუნებლად, მომთხოვნი საბაჟო უწყება (გამონაკლისი შემთხვევების გარდა) უარს იტყვის პრეფერენციული რეჟიმის

გამოყენებაზე.

მუხლი 33

დავების მოგვარება

1. თუ ამ ოქმის 32-ე მუხლში მოცემული შემოწმების პროცედურებთან დაკავშირებით წამოჭრილი დავები ვერ მოგვარდა შემოწმების მომთხოვნ საბაჟო უწყებასა და დადასტურებაზე პასუხისმგებელ საბაჟო უწყებას შორის, მაშინ ამგვარი დავები მოსაგვარებლად წარედგინება ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტს, როგორც ეს არის განსაზღვრული წინამდებარე შეთანხმების 408-ე მუხლის მე-4 პუნქტში. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება ამ შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) მე-14 თავი (დავების მოგვარება).

2. თუ წარმოიქმნება დავები ამ ოქმის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით, რომლებიც არ შეეხება ამ ოქმის 32-ე მუხლით განსაზღვრულ შემოწმების პროცედურებს, ამგვარი დავები განსახილველად წარედგინება საბაჟო ქვეკომიტეტს. IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) მე-14 თავის (დავების მოგვარება) შესაბამისად დავის მოგვარების პროცედურა შეიძლება ინიცირებულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საბაჟო ქვეკომიტეტმა ვერ მოახერხა დავის მოგვარება ექვსი თვის განმავლობაში საბაჟო ქვეკომიტეტში დავის წარდგენის დღიდან.

3. დავის ყველა შემთხვევა იმპორტიორსა და იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო უწყებას შორის განიხილება აღნიშნული ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად.

მუხლი 34

ჯარიმები

ჯარიმა დაეკისრება ნებისმიერ პირს, რომელიც შექმნის (ან გამოიწვევს შექმნას) არასწორი ინფორმაციის შემცველ დოკუმენტს პროდუქციისთვის პრეფერენციული რეჟიმის მოპოვების მიზნით.

მუხლი 35

თავისუფალი ზონები

1. კონტრაქტორი მხარეები მიიღებენ ყველა აუცილებელ ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ წარმოშობის სერტიფიკატის მქონე ის სავაჭრო პროდუქცია, რომელიც ტრანსპორტირებისას გამოიყენებს მათ ტერიტორიებზე არსებულ თავისუფალ ზონებს, არ იყოს ჩანაცვლებული სხვა საქონლით და არ დაექვემდებაროს რაიმე ქმედებებს გარდა ჩვეულებრივი ოპერაციებისა, რომლებიც გამიზნულია მათი გაფუჭებისგან დასაცავად.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებებისგან განთავისუფლების საფუძველზე, როდესაც ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე წარმოშობილი წარმოშობის სერტიფიკატის მქონე პროდუქცია იმპორტირებულია თავისუფალ ზონაში და განიცდის დამუშავება-გადამუშავებას, შესაბამისმა ხელისუფლებამ უნდა გასცეს ახალი EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატი ექსპორტიორის თხოვნით, თუ ზემოხსენებული დამუშავება-გადამუშავება შეესაბამება წინამდებარე ოქმის დებულებებს.

თავი VII

მუხლი 36

ოქმის გამოყენება

1. ტერმინი“ევროკავშირი“ არ გულისხმობს სეუტასა და მელილიას.

2. სეუტასა და მელილიაში იმპორტირებისას ქართული წარმოშობის მქონე საქონელი ისარგებლებს ისეთივე საბაჟო რეჟიმით, როგორიც ვრცელდება ევროკავშირის საბაჟო ტერიტორიაზე წარმოშობილ პროდუქციაზე, ესპანეთის და პორტუგალიის ევროგაერთიანებასთან მიერთების აქტის დანართი 2-ის შესაბამისად. თავის მხრივ, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ და სეუტასა და მელილიას ტერიტორიაზე წარმოშობილი საქონლის იმპორტზე საქართველო გაავრცელებს იგივე საბაჟო რეჟიმს, რომელიც გამოიყენება ევროკავშირის ტერიტორიაზე წარმოშობილი საქონლის იმპორტთან მიმართებაში.

3. სეუტასა და მელილიაში წარმოშობილი საქონლის მიმართ ამ მუხლის მე-2 პუნქტის გამოყენების მიზნებისთვის, შესაბამისი ცვლილებებით, გამოიყენება მოცემული ოქმი, 37-ე მუხლით გაწერილი სპეციალური პირობების გათვალისწინებით.

მუხლი 37

სპეციალური პირობები

1. მუხლი 12-ის მოთხოვნების შესაბამისად პირდაპირი გადაზიდვის შემთხვევაში, მიიჩნევა რომ:

(1) პროდუქცია წარმოშობილია სეუტასა და მელილიაში:

(a) სეუტასა და მელილიას ტერიტორიაზე მთლიანად წარმოშობილი პროდუქტი;

(b) სეუტასა და მელილიას ტერიტორიაზე მიღებული პროდუქტები რომელთა წარმოებაში გამოყენებულია პროდუქცია, რომელიც არ არის მოცემული ამ მუხლის „a“ ქვეპუნქტში, იმის გათვალისწინებით, რომ ეს პროდუქტები:

(i) არის საკმარისად დამუშავებული-გადამუშავებული მე-5 მუხლის შესაბამისად ან

(ii) წარმოშობილია ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე, იმ პირობით, რომ დამუშავება-გადამუშავება აღემატება მე-6 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

(2) პროდუქცია წარმოშობილია საქართველოში:

(a) საქართველოს ტერიტორიაზე მთლიანად წარმოშობილი პროდუქცია;

(b) საქართველოს ტერიტორიაზე მიღებული პროდუქტები, რომლის წარმოებაში გამოყენებულია პროდუქცია, რომელიც არ არის მოცემული ამ მუხლის „a“ ქვეპუნქტში, იმის გათვალისწინებით, რომ ეს პროდუქტები:

(i) არის საკმარისად დამუშავებული-გადამუშავებული მე-5 მუხლის შესაბამისად ან

(ii) წარმოშობილია სეუტასა და მელილიას ან ევროკავშირის ტერიტორიაზე, იმ პირობით, რომ დამუშავება-გადამუშავება აღემატება მე-6 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2. სეუტა და მელილია მიჩნეული იქნება ერთიან ტერიტორიად.

3. ექსპორტიორმა ან მისმა უფლებამოსილმა წარმომადგენელმა უნდა შეიტანოს "Georgia" და "Ceuta and Melilla" EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატის მე-2 გრაფაში ან წარმოშობის დეკლარაციაში. დამატებით, სეუტასა და მელილიას ტერიტორიაზე წარმოშობილი პროდუქციის შემთხვევაში, მითითება მოხდება გადაადგილების სერტიფიკატის მე-4 გრაფაში ან წარმოშობის დეკლარაციაში.

4. წინამდებარე ოქმის გამოყენებას სეუტასა და მელილიას ტერიტორიაზე უზრუნველყოფს ესპანეთის საბაჟო უწყებები.

თავი VIII

დასკვნითი დებულებები

მუხლი 38

შესწორებები ოქმში

1. საბაჟო ქვეკომიტეტმა შესაძლოა მიიღოს გადაწყვეტილება ოქმის დებულებებში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

2. საქართველოს პან-ევრო-ხმელთაშუაზღვის წარმოშობის წესების პრეფერენციულ რეგიონალურ კონვენციასთან მიერთების შემდეგ ერთი წლის ვადაში საბაჟო ქვეკომიტეტი ჩაანაცვლებს აღნიშნული ოქმით გათვალისწინებულ წესებს კონვენციასთან თანდართული წესებით.

მუხლი 39

მოქმედი გარდამავალი დებულებებიტრანზიტის და შენახვის პროცედურაში მყოფი საქონლის მიმართ

ამ შეთანხმების დებულებები გამოიყენება იმ პროდუქციის მიმართ, რომელიც აკმაყოფილებს მოცემული ოქმის მოთხოვნებს და ხელშეკრულების ძალაში შესვლის დროისათვის კონტრაქტორი მხარის ტერიტორიაზე ტრანსპორტირების პროცესშია ან დროებით ინახება საბაჟო საწყობში ან არის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ტერიტორიაზე, და უნდა წარედგინოს იმპორტიორი მხარის საბაჟო უწყებებს აღნიშნული თარიღიდან ოთხი თვის განმავლობაში რეტროსპექტულად შედგენილი წარმოშობის სერტიფიკატი და ყველა დამატებითი დოკუმენტი, რომელიც ამტკიცებს რომ გადაზიდვა მოხდა მე-13 მუხლის მოთხოვნების თანახმად.

შენიშვნები I ოქმის II დანართის ჩამონათვალთან დაკავშირებით

შენიშვნა 1:

ჩამონათვალი განსაზღვრავს ყველა საქონლისთვის მოთხოვნილ პირობებს, რომელთა საფუძველზეც ეს საქონელი შესაძლოა მიჩნეული იქნას შესაბამისად დამუშავებულად-გადამუშავებულად ოქმის მე-5 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში.

შენიშვნა 2:

2.1. ჩამონათვალის პირველი 2 სვეტი აღწერს მიღებულ საქონელს. პირველ სვეტში მოცემულია სასაქონლო პოზიციის ნომერი ან საქონლის ჯგუფის ნომერი, რომელიც გამოიყენება ჰარმონიზებულ სისტემაში. მეორე სვეტში მოცემულია საქონლის აღწერილობა, რომელიც გამოიყენება ამ სისტემაში სასაქონლო პოზიციის ან საქონლის ჯგუფისთვის. პირველ ორ სვეტში მოცემული თითოეული ჩანაწერისთვის წესი განსაზღვრულია მე-3 ან მე-4 სვეტში. იმ შემთხვევაში, როდესაც პირველ სვეტში ნომრის წინ დასმულია “ex”, ეს ნიშნავს, რომ მე-3 და მე-4 სვეტებში განსაზღვრული წესები გამოიყენება ამ სასაქონლო პოზიციის ნაწილის მიმართ, როგორც აღწერილია მე-2 სვეტში.

2.2. როდესაც რამდენიმე სასაქონლო პოზიციის ნომრები პირველ სვეტში ერთადაა დაჯგუფებული ან წარმოდგენილია საქონლის ჯგუფის ნომერი და ამიტომ საქონლის აღწერა მე-2 სვეტში მოცემულია ზოგადად, შესაბამის მე-3 და მე-4 სვეტებში განსაზღვრული წესები ვრცელდება ყველა საქონელზე, რომლებიც ჰარმონიზებული სისტემის შესაბამისად კლასიფიცირებულია საქონლის ჯგუფის სასაქონლო პოზიციებით ან ნებისმიერი სასაქონლო პოზიციებით, რომლებიც დაჯგუფებულია ერთად პირველ სვეტში.

2.3. როდესაც ჩამონათვალში დადგენილია სხვადასხვა წესები, რომლებიც გამოიყენება სასაქონლო პოზიციით განსაზღვრული სხვადასხვა საქონლისთვის, თითოეული განაცხადი შეიცავს სასაქონლო პოზიციით განსაზღვრული ნაწილის აღწერილობას, რომელსაც ეხება შესაბამის მე-3 და მე-4 სვეტებში დადგენილი წესები.

2.4. როდესაც პირველ ორ სვეტში შეტანილი ნებისმიერი საქონლისათვის წესები დადგენილია როგორც მე-3, ისე მე-4 სვეტში, ექსპორტიორს შეუძლია აირჩიოს, როგორც ალტერნატივა, რომ გამოიყენოს მე-3 სვეტით დადგენილი წესი, ან მე-4 სვეტით დადგენილი წესი. თუ მე-4 სვეტში დადგენილი არ არის წარმოშობის წესი, გამოყენებული უნდა იქნეს მე-3 სვეტით დადგენილი წესი.

შენიშვნა 3:

3.1. ოქმის მე-5 მუხლის დებულებები, რომლებიც ეხება საქონელს, რომელმაც შეიძინა წარმოშობის სტატუსი და რომლებიც გამოყენებულია სხვა საქონლის წარმოებაში, გამოყენებული იქნება, მიუხედავად იმისა, ეს სტატუსი შეძენილი იქნა საწარმოს შიგნით, სადაც გამოიყენება ეს საქონელი თუ სხვა საწარმოში კონტრაქტორი მხარის ტერიტორიაზე.

მაგალითი:

8407 სასაქონლო პოზიციით განსაზღვრული ძრავა, რომლისთვისაც წესი ადგენს, რომ მის წარმოებაში გამოყენებული წარმოშობის სტატუსის არმქონე მასალების ღირებულება არ შეიძლება აჭარბებდეს ფრანკო-ქარხნის ფასის 40 პროცენტს, დამზადებულია "ex" 7224 სასაქონლო პოზიციით განსაზღვრული "სხვა შენადნობი ფოლადისგან პირველადი ჭედვით".

თუ ეს შენადნობი ჩამოსხმულია ევროკავშირში წარმოშობის სტატუსის არმქონე სხმულისგან, ის შეიძენს წარმოშობის სტატუსს ჩამონათვალში განსაზღვრული "ex" 7224 სასაქონლო პოზიციისათვის დადგენილი წესით. ეს შენადნობი შეიძლება ჩაითვალოს როგორც წარმოშობის სტატუსის მქონე ძრავის ღირებულების გამოთვლისას, მიუხედავად იმისა, წარმოებულია თუ არა ის იმავე საწარმოში ან სხვა საწარმოში ევროკავშირში. ამგვარად, წარმოშობის სტატუსის არმქონე სხმულის ღირებულება მხედველობაში არ მიიღება წარმოშობის სტატუსის არმქონე გამოყენებული მასალების ღირებულების დამატებისას.

3.2. ჩამონათვალში განსაზღვრული წესი წარმოადგენს დამუშავება-გადამუშავების მოთხოვნილ მინიმალურ ოდენობას და დამატებითი დამუშავება-გადამუშავების განხორციელება ასევე ანიჭებს საქონელს წარმოშობის სტატუსს. პირიქით, როდესაც განხორციელებულია მოთხოვნილზე ნაკლები დამუშავება-გადამუშავება, საქონელს არ ენიჭება წარმოშობის სტატუსი. ამგვარად, თუ წესი ადგენს, რომ წარმოშობის სტატუსის არმქონე მასალა შეიძლება გამოყენებული იქნეს წარმოების განსაზღვრულ დონეზე, ნებადართულია ასეთი მასალის წარმოების უფრო ადრეულ ეტაპზე გამოყენება, მაგრამ არ შეიძლება ასეთი მასალის გამოყენება წარმოების უფრო გვიან ეტაპზე.

3.3. შენიშვნის დაცვით, სადაც წესში გამოყენებულია გამოთქმა "წარმოება ნებისმიერი სასაქონლო პოზიციით განსაზღვრული მასალისგან", მაშინ შეიძლება გამოყენებული იქნეს ნებისმიერი სასაქონლო პოზიციით განსაზღვრული მასალა (ის მასალებიც კი, რომლებსაც აქვთ იგივე აღწერა და იგივე სასაქონლო პოზიცია, რომელიც აქვს საქონელს), რაც შეიძლება დაექვემდებაროს ნებისმიერ სპეციფიკურ შეზღუდვას, რომელსაც ასევე შეიძლება შეიცავდეს წესი.

თუმცა, გამოთქმა "ნებისმიერი სასაქონლო პოზიციით განსაზღვრული მასალებით წარმოება, მათ შორის, სასაქონლო პოზიციის სხვა მასალები" ან "წარმოება ნებისმიერი სასაქონლო პოზიციის მასალებისგან, მათ შორის, სხვა მასალებისგან, რომელიც მიეკუთვნება იმავე სასაქონლო პოზიციას, რომელსაც მიეკუთვნება საქონელი" ნიშნავს, რომ შეიძლება გამოყენებული იქნას ნებისმიერი სასაქონლო პოზიციით განსაზღვრული მასალები, გარდა იმ მასალებისა, რომელთაც აქვთ საქონლის იდენტური აღწერილობა, როგორც მოცემულია ჩამონათვალის მეორე სვეტში.

3.4. როდესაც ჩამონათვალში მოცემული წესი ადგენს, რომ საქონელი შეიძლება წარმოებულ იქნას ერთზე მეტი მასალისგან, ეს ნიშნავს, რომ შეიძლება გამოყენებული იქნას ერთი ან მეტი მასალა. ეს წესი არ მოითხოვს, რომ გამოყენებული იქნას ყველა მასალა.

მაგალითი:

5208-დან 5212-მდე სასაქონლო პოზიციებით განსაზღვრული ბოჭკოებისათვის განსაზღვრული წესი ადგენს, რომ შეიძლება გამოყენებული იქნას ბუნებრივი ბოჭკოები და რომ სხვა მასალებს შორის, ასევე შესაძლებელია ქიმიური მასალების, გამოყენება. ეს არ ნიშნავს, რომ გამოყენებული უნდა იქნას ორივე. შესაძლებელია ერთი ან მეორე მასალის გამოყენება, ან ორივე მასალის გამოყენება.

3.5. როდესაც ჩამონათვალით განსაზღვრული წესი ადგენს, რომ საქონელი წარმოებული უნდა იყოს კონკრეტული მასალისგან, პირობა აშკარად არ კრძალავს სხვა მასალების გამოყენებას, რომელთაც მათი ბუნებრივი თვისებების გამო, არ შეუძლიათ დააკმაყოფილონ ეს წესი. (იხილეთ აგრეთვე შენიშვნა 6.2 ქსოვილებთან დაკავშირებით).

მაგალითი:

1904 სასაქონლო პოზიციით განსაზღვრულ კვების მზა პროდუქტებთან დაკავშირებით დადგენილი წესი, რომელიც სპეციალურად გამორიცხავს მარცვლეულის და მისი დერივატების გამოყენებას, არ კრძალავს მინერალური მარილების, ქიმიური ნივთიერებების

და სხვა დანამატების გამოყენებას, რომლებიც არ არის მარცვლეულისგან წარმოებული პროდუქტი.

თუმცა, ეს არ ეხება იმ საქონელს, რომლებიც, მართალია, არ შეიძლება წარმოებული იქნას ჩამონათვალით განსაზღვრული კონკრეტული მასალისგან, მაგრამ შეიძლება წარმოებული იქნას იმავე თვისებების მქონე მასალისგან წარმოების ადრეულ ეტაპზე.

მაგალითი:

“ex”, 62 საქონლის ჯგუფით განსაზღვრული ტანსაცმლის ერთეულის შემთხვევაში, რომელიც დამზადებული არ არის ნაქსოვი მასალებისგან, თუ ნებადართულია წარმოშობის სტატუსის არმქონე ნართის გამოყენება მხოლოდ საქონლის ამ კლასისთვის, შეუძლებელია პროცესის იმ ქსოვილით დაწყება, რომელიც არ არის მოქსოვილი – იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ქსოვილი, რომელიც არ არის ნაქსოვი, არ შეიძლება ჩვეულებრივ დამზადებული იყოს ნართისგან. ასეთ შემთხვევებში, საწყისი მასალა ჩვეულებრივ უნდა იყოს დართვამდე ეტაპზე – რაც არის ბოჭკოს ეტაპი.

3.6. სადაც ჩამონათვალით დადგენილ წესში ორი პროცენტი განსაზღვრულია, როგორც მაქსიმალური ღირებულება წარმოშობის სტატუსის არმქონე გამოყენებული მასალებისათვის, ეს პროცენტები არ შეიძლება ერთმანეთს დაემატოს. სხვაგვარად რომ ითქვას, წარმოშობის სტატუსის არმქონე ყველა გამოყენებული მასალის მაქსიმალური ღირებულება არასოდეს უნდა აჭარბებდეს მოცემულ პროცენტს. ასევე არ შეიძლება ინდივიდუალურ პროცენტზე გადაჭარბება იმ კონკრეტულ მასალებთან დაკავშირებით, რომლებსაც ეხება ეს პროცენტები.

შენიშვნა 4:

4.1. ტერმინი “ნატურალური ბოჭკოები” გამოყენებულია ჩამონათვალში ბოჭკოების განსაზღვრისათვის, გარდა ხელოვნური და სინთეტიკური ბოჭკოებისა. ეს შეზღუდულია იმ ეტაპებამდე, სანამ მოხდება დართვა (მათ შორის, ნარჩენი) და თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, მოიცავს ბოჭკოებს, რომლებიც არის დაჩეჩილი ან სხვაგვარად გადამუშავებული, მაგრამ არ არის დართული.

4.2. ტერმინი “ნატურალური ბოჭკოები” მოიცავს 0503 სასაქონლო პოზიციით განსაზღვრულ ცხენის ძუას, 5002 და 5003 სასაქონლო პოზიციებით განსაზღვრულ აბრეშუმს, ასევე 5101-დან 5105-მდე სასაქონლო პოზიციებით განსაზღვრულ მატყლის ბოჭკოებს და დამუშავებულ ან დაუმუშავებელ ცხოველის ბეწვს, 5201-დან 5203-მდე სასაქონლო პოზიციებით განსაზღვრულ ბამბის ქსოვილებს და 5301-დან 5305-მდე სასაქონლო პოზიციებით განსაზღვრულ სხვა მცენარეულ ბოჭკოებს.

4.3. ტერმინი “ქსოვილის პულპა (ცელულოზა)”, “ქიმიური მასალები” და “საქაღალდე მასალები” გამოყენებულია ჩამონათვალში, რათა აღწეროს ის მასალები, რომლებიც არ არის კლასიფიცირებული 50-დან და 63-მდე საქონლის ჯგუფებში და რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნეს ხელოვნური, სინთეტიკური ან ქაღალდის ბოჭკოების ან ნართის საწარმოებლად.

4.4. ტერმინი “ხელოვნური ძირითადი ბოჭკოები” გამოყენებულია ჩამონათვალში სინთეტიკური ან ხელოვნური ბოჭკოს ძენძის, ძირითადი ბოჭკოების ან ნარჩენის აღნიშვნისთვის, რომლებიც განსაზღვრულია 5501-დან 5507-მდე სასაქონლო პოზიციებით.

შენიშვნა 5:

5.1. როდესაც ჩამონათვალში მოცემული საქონლისათვის მითითება გაკეთებულია ამ შენიშვნაზე, მე-3 სვეტში განსაზღვრული პირობები არ გამოიყენება ნებისმიერი ძირითადი ქსოვილის მასალების მიმართ, რომლებიც გამოყენებულია ამ საქონლის წარმოებაში და რომლებიც, ერთად აღებული, წარმოადგენს გამოყენებული ძირითადი ქსოვილის მასალების საერთო წონის 10 პროცენტს ან ნაკლებს. (იხილეთ აგრეთვე შენიშვნები 5.3 და 5.4).

5.2. თუმცა, 5.1. შენიშვნაში განსაზღვრული დაშვება შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ შერეული საქონლის მიმართ, რომელიც დამზადებულია ორი ან მეტი ძირითადი ქსოვილის მასალისგან.

ძირითადი ქსოვილის მასალებია:

– აბრეშუმი;

– შალი;

– დაუმუშავებელი ცხოველის ბეწვი;

– დამუშავებული ცხოველის ბეწვი;

– ცხენის ძუა;

– ბამბა;

– ქაღალდის დასამზადებელი მასალები და ქაღალდი;

– სელი;

– ნამდვილი კანაფი;

– ჯუტი და ლაფანის ტექსტილის სხვა ბოჭკოები;

– მექსიკური აგავის და აგავის სხვა ჯიშების ტექსტილის ბოჭკოები;

– ანანასი, მანილას ხვირთქლი, ჭინჭრის და სხვა მცენარეული ტექსტილის ბოჭკოები;

– სინთეტიკური ხელოვნური ბოჭკოები;

– ხელოვნური ბოჭკოები;

– დენგამტარი ბოჭკოები;

– პოლიპროპილინის სინთეტიკური ხელოვნური ძირითადი ბოჭკოები;

– პოლიესტერის სინთეტიკური ხელოვნური ძირითადი ბოჭკოები;

– პოლიამიდის სინთეტიკური ხელოვნური ძირითადი ბოჭკოები;

– პოლიაკრილონიტრილის სინთეტიკური ხელოვნური ძირითადი ბოჭკოები;

– პოლიიმიდის სინთეტიკური ხელოვნური ძირითადი ბოჭკოები;

– პოლიტეტრაფლუროეთილენის სინთეტიკური ხელოვნური ძირითადი ბოჭკოები;

– პოლი(ფენილინი სულფიდის) სინთეტიკური ხელოვნური ძირითადი ბოჭკოები;

– პოლი(ვინილქლორიდის) სინთეტიკური ხელოვნური ძირითადი ბოჭკოები;

– სხვა სინთეტიკური ხელოვნური ძირითადი ბოჭკოები;

– ვისკოზის სინთეტიკური ხელოვნური ძირითადი ბოჭკოები;

– სხვა სინთეტიკური ხელოვნური ძირითადი ბოჭკოები;

– ნართი, რომელიც დამზადებულია პოლიესტერის პლასტიკურ სეგმენტებად სეგმენტირებული პოლიურეთანისგან, მიუხედავად იმისა, არის თუ არა დახვეული

– პოლიესტერის პლასტიკურ სეგმენტებად სეგმენტირებული პოლიურეთანისგან დამზადებული ნართი, მიუხედავად იმისა, გასუფთავებულია თუ არა;

– 5605 სასაქონლო პოზიციით განსაზღვრული საქონელი (მეტალიზებული ნართი), რომელიც შეიცავს ნაწილებს, რომელიც შედგება ალუმინის ფოლგის შემავსებლების, პლასტმასის ფენის შემავსებლებისგან, მიუხედავად იმისა, დაფარულია თუ არა ალუმინის ფხვნილით, რომელთა სიგანეც არ აღემატება 5 მილიმეტრს, რომლებიც შეერთებულია გამჭირვალე ან ფერადი წებოვანით პლასტმასის ორ ფენას შორის.

– 5605 სასაქონლო პოზიციით განსაზღვრული სხვა საქონელი.

მაგალითი:

5205 სასაქონლო პოზიციით განსაზღვრული ნართი, რომელიც დამზადებულია 5203 სასაქონლო პოზიციით განსაზღვრული ბამბის ბოჭკოებისგან და 5506 სასაქონლო პოზიციით განსაზღვრული სინთეტიკური ძირითადი ბოჭკოებისგან, არის შერეული ნართი. ამიტომ, წარმოშობის სტატუსის არმქონე სინთეტიკური ძირითადი ბოჭკოები, რომლებიც არ აკმაყოფილებს წარმოშობის წესებს (რაც ითხოვს ქიმიური მასალებისგან ან ქსოვილის პულპისგან წარმოებას) შეიძლება გამოყენებული იქნეს იმ პირობით, რომ მათი საერთო წონა არ აჭარბებს ნართის წონის 10 პროცენტს.

მაგალითი:

5112 სასაქონლო პოზიციით განსაზღვრული შალის ქსოვილი, რომელიც დამზადებულია 5107 სასაქონლო პოზიციით განსაზღვრული შალის ნართისგან და 5509 სასაქონლო პოზიციით განსაზღვრული ძირითადი ბოჭკოების სინთეტიკური ნართისგან, არის შერეული ქსოვილი. ამიტომ, სინთეტიკური ნართი, რომელიც არ აკმაყოფილებს წარმოშობის წესებს, (რაც ითხოვს ქიმიური ნივთიერებებისგან ან ტექსტილის პულპისგან წარმოებას), ან შალის ნართი, რომელიც არ აკმაყოფილებს წარმოშობის წესებს (რაც ითხოვს ნატურალური ბოჭკოებისგან წარმოებას, რომელიც არ არის დაჩეჩილი ან სხვაგვარად მომზადებული დართვისათვის), ან ამ ორის კომბინაცია, შეიძლება გამოყენებული იქნეს იმ პირობით, რომ მათი საერთო წონა არ აჭარბებს ქსოვილის საერთო წონის 10 პროცენტს.

მაგალითი:

5802 სასაქონლო პოზიციით განსაზღვრული ტაფტირებული ქსოვილის ბოჭკო, რომელიც დამზადებულია 5205 სასაქონლო პოზიციით განსაზღვრული ბამბის ნართით და 5210 სასაქონლო პოზიციით განსაზღვრული ბამბის ბოჭკოთი, არის მხოლოდ შერეული პროდუქტი, თუ თავად ბამბის ბოჭკო შერეული ბოჭკოა, რომელიც დამზადებულია ორი სხვადასხვა სასაქონლო პოზიციით კლასიფიცირებული ნართებისგან, ან თუ გამოყენებული ბამბის ნართები თავად არის შერეული პროდუქტი.

მაგალითი:

თუ ტაფტირებული ქსოვილის ბოჭკოები დამზადებულია 5205 სასაქონლო პოზიციით განსაზღვრული ბამბის ნართისგან და 5407 სასაქონლო პოზიციით განსაზღვრული სინთეტიკური ბოჭკოსგან, მაშინ, აშკარაა, რომ გამოყენებული ნართი არის ორი სხვადასხვა ძირითადი ქსოვილის მასალა და ტაფტირებული ტექსტილის ბოჭკოები შესაბამისად არის შერეული პროდუქტი.

5.3. იმ შემთხვევაში, თუ საქონელი შეიცავს "ნართს, რომელიც დამზადებულია პოლიესტერის პლასტიკურ სეგმენტებად სეგმენტირებული პოლიურეთანისგან", ეს დაშვება შეადგენს მხოლოდ 20 პროცენტს ამ ნართთან დაკავშირებით.

5.4. იმ შემთხვევაში, როდესაც პროდუქტი შეიცავს "ფენებს, რომელიც შედგება ალუმინის ფოლგის შემავსებლების, პლასტმასის ფენის შემავსებლებისგან, მიუხედავად იმისა, დაფარულია თუ არა ალუმინის ფხვნილით, რომელთა სიგანეც არ აღემატება 5 მილიმეტრს, რომლებიც შეერთებულია გამჭირვალე ან ფერადი წებოვანით პლასტმასის ორ ფენას შორის", ეს დაშვება შეადგენს 30 პროცენტს ამ ფენებთან დაკავშირებით.

შენიშვნა 6:

6.1. როდესაც ჩამონათვალში მითითება გაკეთებულია ამ შენიშვნაზე, ქსოვილის მასალები (სარჩულისა და სასარჩულე მასალის გარდა), რომლებიც არ აკმაყოფილებს ჩამონათვალის მე-3 სვეტში განსაზღვრულ წესს შესაბამისი დამზადებული საქონლისათვის, შეიძლება გამოყენებული იქნეს იმ პირობით, რომ ისინი კლასიფიცირებულია იმ სასაქონლო პოზიციით, რომელიც არ არის ის სასაქონლო პოზიცია, რომლითაც კლასიფიცირებულია თვითონ საქონელი და რომ მათი ღირებულება არ აჭარბებს თავად საქონლის ფრანკო ფასის 8 პროცენტს.

6.2. 6.3 შენიშვნის დაცვით, მასალები, რომლებიც კლასიფიცირებული არ არის 50_63 საქონლის ჯგუფებით, შეიძლება თავისუფლად იქნეს გამოყენებული ქსოვილების ნაწარმის წარმოებაში, მიუხედავად იმისა, შეიცავენ თუ არა ქსოვილს.

მაგალითი:

თუ ჩამონათვალით განსაზღვრული წესი ადგენს, რომ ქსოვილების კონკრეტული ნაწარმისთვის (როგორიცაა შარვლები) გამოყენებული უნდა იქნეს ნართი, ეს არ კრძალავს მეტალის საგნების გამოყენებას, როგორიცაა ღილები, იმიტომ, რომ ღილები არ არის კლასიფიცირებული 50-63 საქონლის ჯგუფებით. ამავე მიზეზით, ეს არ კრძალავს ელვა-შესაკრავების გამოყენებას, თუმცა ელვა-შესაკრავები ჩვეულებრივ შეიცავს ქსოვილს.

6.3. როდესაც გამოიყენება პროცენტებთან დაკავშირებული წესები, ინკორპორირებული წარმოშობის სტატუსის არმქონე მასალების ღირებულების გამოანგარიშებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული იმ მასალების ღირებულება, რომლებიც კლასიფიცირებული არ არის 50-63 საქონლის ჯგუფებით. .

შენიშვნა 7:

7.1. “ex”, 2707, 2713-დან 2715-მდე, “ex”, 2901, “ex” 2902, და “ex”, 3403 სასაქონლო პოზიციების მიზნებისათვის “სპეციფიკური პროცესები” მოიცავს შემდეგს:

(a) ვაკუუმური დისტილაცია;

(b) რედისტილაცია ძალიან სრული დანაწევრების პროცესით;

(c) კრეკინგი;

(d) რეფორმირება;

(e) ექსტრაქცია სელექციური გამხსნელებით;

(f) პროცესი, რომელიც შეიცავს ყველა შემდეგ ოპერაციას: გადამუშავება კონცენტრირებული გოგირდის მჟავით, ოლეუმის ან გოგირდის ანჰიდრიტით; ნეიტრალიზაცია ტუტე რეაგენტებით; გაუფერულება და გაწმენდა ბუნებრივად აქტიური მიწით, გააქტიურებული მიწით, გააქტიურებული ნახშირით ან ბოქსიტით;

(g) პოლიმერიზაცია;

(h) ალკალიზაცია;

(i) იზომერიზაცია.

7.2. 2710, 2711 და 2712 სასაქონლო პოზიციების მიზნებისათვის, “სპეციფიკური პროცესები” მოიცავს შემდეგს:

(a) ვაკუუმური დისტილაცია;

(b) რედისტილაცია ძალიან სრული დანაწევრების პროცესით;

(c) კრეკინგი;

(d) რეფორმირება;

(e) ექსტრაქცია სელექციური გამხსნელებით;

(f) პროცესი, რომელიც შეიცავს ყველა შემდეგ ოპერაციას: გადამუშავება კონცენტრირებული გოგირდის მჟავით, ოლეუმის ან გოგირდის ანჰიდრიტით; ნეიტრალიზაცია ტუტე რეაგენტებით; გაუფერულება და გაწმენდა ბუნებრივად აქტიური მიწით, გააქტიურებული მიწით, გააქტიურებული ნახშირით ან ბოქსიტით;

(g) პოლიმერიზაცია;

(h) ალკალიზაცია;

(i) იზომერიზაცია;

(j) მხოლოდ ex 2710 სასაქონლო პოზიციით განსაზღვრულ მძიმე ნავთობთან დაკავშირებით, ჰიდროგენით დესულფერიზაცია, რომელიც იწვევს გადამუშავებულ პროდუქტში გოგირდის შემცველობის სულ ცოტა 85 პროცენტით შემცირებას (ASTM D 1266-59 T მეთოდი);

(k) მხოლოდ 2710 სასაქონლო პოზიციით განსაზღვრულ მძიმე ნავთობთან დაკავშირებით, დეპარაფინირება, ფილტრაციით დეპარაფინირების გარდა;

(l) მხოლოდ ex 2710 სასაქონლო პოზიციით განსაზღვრულ მძიმე ნავთობთან დაკავშირებით, წყალბადით დამუშავება 20 ბარზე მეტი წნევით და 250 გრადუსზე ცელსიუსით მეტ ტემპერატურაზე, კატალიზატორის გამოყენებით, გარდა ისეთი პროცესისა, რომელიც იწვევს დესულფურიზაციას, როდესაც წყალბადი შეადგენს ქიმიური რეაქციის აქტიურ ელემენტს. ex 2710 სასაქონლო პოზიციით განსაზღვრული საპოხი მასალების წყალბადით შემდგომი გადამუშავება (ანუ ჰიდროდამუშავება ან დეკოლორიზაცია), უფრო კონკრეტულად, დამუშავება ფერის ან მდგრადობის გაუმჯობესებისათვის, არ ჩაითვლება სპეციფიკურ პროცესად.

(m) მხოლოდ ex 2710 სასაქონლო პოზიციით განსაზღვრულ საწვავ ნავთობთან დაკავშირებით, ატმოსფერული დისტილაცია, იმ პირობის არსებობისას, რომ გამოიხდება ამ პროდუქტების 30 პროცენტზე ნაკლები, მოცულობით, მათ შორის დანაკარგები, 300 გრადუს ცელსიუს ტემპერატურაზე, ASTM D 86 მეთოდით;

(n) მხოლოდ ex 2710 სასაქონლო პოზიციით განსაზღვრულ მძიმე ნავთობთან (გაზოილის და საწვავი ნავთობის გარდა) დაკავშირებით, მაღალი სიხშირის ელექტრული განმუხტვით დამუშავება.

(o) მხოლოდ და მხოლოდ ex. 2712 პოზიციის ნედლი პროდუქტების მიმართ (ნავთობის ვაზელინი, ოზოკერიტი, ლიგნიტის ცვილი ან ტორფის ცვილი, პარაფინის ცვილი ზეთის შემცველობით 0,75 მას.%-ზე ნაკლები), ზეთის მოცილება ნაწილობრივი კრისტალიზაციით.

7.3. ex 2707, 2713-დან 2715-მდე, ex 2901, ex 2902 და ex 3403 სასაქონლო პოზიციების მიზნებისათვის, მარტივი ოპერაციები, როგორიცაა გაწმენდა, დეკანტირება, მარილისგან გასუფთავება, გაუწყლოება, გაფილტვრა, შეღებვა, დაწებება, პროდუქტის გოგირდის შემცველ სხვადასხვა ნივთიერებებთან შერევით გოგირდის შემცველობის მიღება, ამ ოპერაციების ნებისმიერი კომბინაცია ან მსგავსი ოპერაციები, არ ანიჭებს წარმოშობის სტატუსს.

I ოქმის დანართი II

წარმოებული პროდუქციისთვის წარმოშობის სტატუსის

აღნიშნულ ჩამონათვალში მითითებულ ყველა პროდუქციას შესაძლოა არ ითვალისწინებდეს წინამდებარე შეთანხმება. შესაბამისად აუცილებელია შეთანხმების სხვა ნაწილების გაცნობა.

HS კოდი	პროდუქციის აღწერა	წარმოშობის სტატუსის მისაღებად წარმოშობის არმქონე მასალებზე განსახორციელებელი საჭირო სამუშაოები და გადამამუშავებელი პროცესები	
(1)	(2)	(3) ან (4)	
ჯგუფი 1	ცოცხალი ცხოველები	I ჯგუფის ყველა ცხოველი უნდა იყოს ქვეყანაში მთლიანად წარმოშობილი	
ჯგუფი 2	ხორცი და ხორცის საკვები სუბპროდუქტები	წარმოებაში გამოყენებული I და II ჯგუფის მასალები უნდა იყოს ქვეყანაში მთლიანად წარმოშობილი	
ჯგუფი 3	თევზი და კიბოსებრნი, მოლუსკები და წყლის სხვა უხერხემლოები	წარმოებაში გამოყენებული III ჯგუფის მასალები უნდა იყოს ქვეყანაში მთლიანად წარმოშობილი	
ex ჯგუფი 4	რძის პროდუქცია; ფრინველის კვერცხი; ნატურალური თაფლი; ცხოველური წარმოშობის კვების პროდუქტები, სხვა ადგილას დაუსახელებელი და ჩაურთველი; გარდა:	წარმოებაში გამოყენებული IV ჯგუფის მასალები უნდა იყოს ქვეყანაში მთლიანად წარმოშობილი	
0403	დო, აჭრილი რძე და ნაღები, იოგურტი, კეფირი და სხვა ფერმენტირებული ან შედედებული რძე და ნაღები, შესქელებული ან შეუსქელებელი, შაქრისა ან სხვა დამატ-კბობელი ნივთიერებების დამა-ტებით ან მათ გარეშე, საგემოვნო-არომატული დანამატებით ან მათ გარეშე, ხილის, კაკლისა ან კაკაოს დამატებით ან მათ გარეშე:	წარმოებაში: - გამოყენებული IV ჯგუფის მასალები უნდა იყოს ქვეყანაში მთლიანად წარმოშობილი - 2009 სასაქონლო პოზიციაში დასახელებული ყველა ხილის წვენი (გარდა ანანასისა, გრეიფრუტისა და ლაიმისა) არის ქვეყანაში წარმოშობილი, - გამოყენებული მე-17 ჯგუფის მასალების ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს პროდუქციის ფრანკო-ქარხნის ფასის 30%-ს	
ex ჯგუფი 5	ცხოველური წარმოშობის პროდუქტები,	წარმოებაში გამოყენებული V ჯგუფის მასალები უნდა იყოს ქვეყანაში მთლიანად წარმოშობილი	

	სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი; გარდა:		
ex 0502	ღორის ან ტახის ჯაგარი; მაჩვის ან სხვა თმა, საჯაგრისე ნაწარმის წარმოებისათვის გამოსაყენებელი; მათი ნარჩენები	თმის ან ჯაგრის გასუფთავება, დეზინფექცია, დახარისხება და გასწორება	
ჯგუფი 6	ცოცხალი ხეები და სხვა მცენარეები; ბოლქვები, ფესვები და მცენარეების სხვა ანალოგიური ნაწილები; მოჭრილი ყვავილები და დეკორატიული ბალახი	წარმოებაში: - გამოყენებული VI ჯგუფის მასალები უნდა იყოს ქვეყანაში მთლიანად წარმოშობილი - მასალების ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს პროდუქციის ფრანკო-ქარხნის ფასის 50%-ს	
ჯგუფი 7	ბოსტნეული და ზოგიერთი საკვები ძირნაყოფები და ბოლქვნაყოფები	წარმოებაში გამოყენებული VII ჯგუფის მასალები უნდა იყოს ქვეყანაში მთლიანად წარმოშობილი	

HS კოდი	პროდუქციის აღწერა	წარმოშობის სტატუსის მისაღებად წარმოშობის არმქონე მასალებზე განსახორციელებელი საჭირო სამუშაოები და გადამამუშავებელი პროცესები	
(1)	(2)	(3) ან (4)	
ჯგუფი 8	საჭმელი ხილი და კაკალი; ციტრუსების ან ნესვების ქერქი და კანი	წარმოება სადაც გამოყენებული: - ყველა ხილი, ან თხილეული უნდა იყოს ქვეყანაში წარმოშობილი, - XVII თავის მასალების ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს პროდუქციის ფრანკო-ქარხნის ფასის 30%-ს	
ex ჯგუფი 9	ყავა, ჩაი, მატე, ანუ პარაგვაის ჩაი, და სანელებლები; გარდა:	წარმოებაში გამოყენებული IX ჯგუფის მასალები უნდა იყოს ქვეყანაში მთლიანად წარმოშობილი	
0901	ყავა, მოხალული ან მოუხალავი, კოფეინით ან კოფეინის გარეშე; ყავის ჩენჩო და ყავის მარცვლის გარსი; ყავის შემცვლელები, რომლებიც შეიცავენ ყავას ნებისმიერი პროპორციით.	წარმოებაში გამოყენებული მასალები კლასიფიცირებული უნდა იყოს ნებისმიერი სასაქონლო პოზიციის ფარგლებში	

0902	ჩაი დაფქვილი ან დაუფქვავი	წარმოებაში გამოყენებული მასალები კლასიფიცირებული უნდა იყოს ნებისმიერი სასაქონლო პოზიციის ფარგლებში	
ex 0910	სანელებლების ნაერთი	წარმოებაში გამოყენებული მასალები შეიძლება კლასიფიცირებული იყოს ნებისმიერი სასაქონლო პოზიციის ფარგლებში	
ჯგუფი 10	მარცვლოვანები	წარმოებაში გამოყენებული X ჯგუფის მასალები უნდა იყოს ქვეყანაში მთლიანად წარმოშობილი	
ex ჯგუფი11	ფქვილ-ბურღულეული მრეწველობის პროდუქცია; ალაო; სახამებელი; ინულინი; ხორბლის წებოვანა; გარდა:	წარმოებაში გამოყენებული ყველა მარცვლეული, საჭმელი ბოსტნეული, ბოლქვები და ძირხვენები 0714 სასაქონლო პოზიციიდან ან ხილი უნდა იყოს ქვეყანაში მთლიანად წარმოშობილი	
ex 1106	წმინდად და უხეშად დაფქვილი ფქვილი და ფხვნილი 0713 სასაქონლო პოზიციის ხმელი პარკოსანი ბოსტნეულის, საგოს პალმის ნაყოფის გული	გამოშრობა და დაფქვა 0708 სასაქონლო პოზიციის პარკოსანი ბოსტნეულისა	
ჯგუფი 12	ზეთოვანი თესლები და ნაყოფები; დანარჩენი თესლები, ნაყოფები და მარცვალი; სამკურნალო მცენარეები და მცენარეები ტექნიკური მიზნებისათვის; ჩალა და ფურაჟი	წარმოებაში გამოყენებული XII ჯგუფის მასალები უნდა იყოს ქვეყანაში მთლიანად წარმოშობილი	
1301	შელაქი ბუნებრივი გაუსუფთავებული; გუმფისები ბუნებრივი, ფისები, გუმფისები და ძივთი (მაგალითად, ბალზამები)	წარმოებაში გამოყენებული 1301 სასაქონლო პოზიციის მასალების ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს პროდუქციის ფრანკო-ქარხნის ფასის 30%-ს	
1302	მცენარეული წვენები და ექსტრაქტები; პექტინური ნივთიერებები, პექტინატები და პექტატები; აგარ-აგარი და მცენარეული წარმოშობის სხვა წებოები და შემასქელებლები, სახეშეცვლილი ან სახეშეუცვლელი:		
	-აგარ-აგარი და მცენარეული წარმოშობის სხვა წებოები და შემასქელებლები, სახეშეცვლილი ან სახეშეუცვლელი.	საბოლოო პროდუქციის მიღება არამოდიფიცირებული წებოვანებისა და შემასქელებლისაგან	
	- დანარჩენი.	წარმოებაში გამოყენებული მასალების ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს პროდუქციის ფრანკო-ქარხნის ფასის 50%-ს	
ჯგუფი 14	მცენარეული მასალები წნული ნაკეთობების დასამზადებლად; მცენარეული წარმოშობის დანარჩენი პროდუქტები, რომელიც არაა დაკონკრეტებული ან შესული სხვაგან	წარმოებაში გამოყენებული XII ჯგუფის მასალები უნდა იყოს ქვეყანაში მთლიანად წარმოშობილი	

ex ჯგუფი 15	ცხოველური ან მცენარეული წარმოშობის ცხიმები და ზეთები და მათი გახლეჩის პროდუქტები; მზა საკვები ცხიმები; ცხოველური ან მცენარეული წარმოშობის ცვილები; გარდა:	წარმოებაში გამოყენებული მასალები კლასიფიცირებული უნდა იყოს ნებისმიერი სასაქონლო პოზიციის ფარგლებში, გარდა საბოლოო პროდუქციის სასაქონლო პოზიციისა.	
1501	ღორის ქონი (ლიარდის ჩათვლით) და შინაური ფრინველის ქონი, 0209 ან 1503 სასაქონლო პოზიციის ქონის გარდა:		
	- ძვლების ცხიმები ან ნარჩენები	წარმოებაში გამოყენებული მასალები შეიძლება კლასიფიცირებული იყოს ნებისმიერი სასაქონლო პოზიციის ფარგლებში გარდა 0203, 0206 და 0207 სასაქონლო პოზიციებისა ან 0506 სასაქონლო პოზიციის ძვლებისა	
	- დანარჩენი	წარმოებაში გამოყენებული ხორცი, ან ღორის საკვები ნარჩენები 0203, 0206 სასაქონლო პოზიციიდან, ან 0207 სასაქონლო პოზიციის ხორცი ან ქათმის ხორცის საკვები ნარჩენები	
1502	მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ცხვრების ან თხების ცხიმი, 1503 სასაქონლო პოზიციის ცხიმის გარდა:		
	- ძვლების ცხიმები ან ნარჩნები	წარმოებაში გამოყენებული მასალები შეიძლება კლასიფიცირებული იყოს ნებისმიერი სასაქონლო პოზიციის ფარგლებში გარდა 0201, 0202, 0204, 0206 სასაქონლო პოზიციისა, ან ძვლები 0506 სასაქონლო პოზიციისა	
	- სხვა დანარჩენი	წარმოებაში გამოყენებული II ჯგუფის მასალები უნდა იყოს ქვეყანაში მთლიანად წარმოშობილი	
1504	ცხიმები, ქონი და მათი ფრაქციები, თევზის ან ზღვის ძუძუმწოვრების, არარაფინირებული ან რაფინირებული, მაგრამ ქიმიური შემადგენლობის შეუცვლელად:		
	- მყარი ფრაქციები	წარმოებაში გამოყენებული მასალები შეიძლება კლასიფიცირებული იყოს ნებისმიერი სასაქონლო პოზიციის ფარგლებში, რომელიც მოიცავს სხვა მასალებს 1504 სასაქონლო პოზიციიდანაც	
	-დანარჩენი	წარმოებაში გამოყენებული II -III ჯგუფების მასალები უნდა იყოს ქვეყანაში მთლიანად წარმოშობილი	
	ცხიმოფლი და მისგან მიღებული ცხიმოვანი ნივთიერებები (სუფთა ლანოლინის ჩათვლით):	ნედლი შალის ცხიმ-ოფლის წარმოება 1505 სასაქონლო პოზიციიდან	

ex 1505			
1506	დანარჩენი ცხოველური ცხიმები და ქონი და მათი ფრაქციები, არარაფინირებული ან რაფინირებული, მაგრამ ქიმიური შემადგენლობის შეუცვლელად:		
	- მყარი ფრაქციები	წარმოებაში გამოყენებული მასალები შეიძლება კლასიფიცირებული იყოს ნებისმიერი სასაქონლო პოზიციის ფარგლებში, რომელიც მოიცავს მასალებს 1506 სასაქონლო პოზიციიდანაც	
	- დანარჩენი	წარმოებაში გამოყენებული II ჯგუფის მასალები უნდა იყოს ქვეყანაში მთლიანად წარმოშობილი	
1507 – დან 1515 -მდე	მცენარეული ზეთი და მისი ფრაქციები		
	- სოიო, მიწის თხილი, კურკოვანი პალმა, კოპრა, ბაბასუ, თუნგისა და ოიტიციცას ზეთი, მირტული და იაპონური ცვილი, ჟოჟობას ზეთის ფრაქციები და სამრეწველო და ტექნიკური დანიშნულების ზეთი, გარდა იმ საკვები პროდუქტების წარმოებისა, რომელიც გამოიყენება ადამიანთა მიერ მოხმარებისათვის	წარმოებაში გამოყენებული მასალები შეიძლება კლასიფიცირებული იყოს ნებისმიერი სასაქონლო პოზიციის ფარგლებში, გარდა საბოლოო პროდუქციის სასაქონლო პოზიციისა	
	- მყარი ფრაქციები ჟოჟობას ზეთის გარდა	წარმოებაში გამოყენებული სხვა მასალები 1507 –1515 სასაქონლო პოზიციებიდან	
	- სხვა დანარჩენი	წარმოებაში გამოყენებული ბოსტნეულის მასალები უნდა იყოს ქვეყანაში მთლიანად წარმოშობილი	
1516	ცხიმები და ზეთები ცხოველური ან მცენარეული და მათი ფრაქციები, მთლიანად ან ნაწილობრივ ჰიდროგენიზებული, ინტერეტერიფიცირებული, რეეტერიფიცირებული ან ელაიდინიზებული, არარაფინირებული ან რაფინირებული, მაგრამ შემდგომი დამუშავების გარეშე:	წარმოება სადაც გამოყენებული: - II ჯგუფის მასალები უნდა იყოს ქვეყანაში მთლიანად წარმოშობილი - ბოსტნეულის მასალები უნდა იყოს ქვეყანაში მთლიანად წარმოშობილი. თუმცა დასაშვებია, 1507, 1508, 1511 და 1513 სასაქონლო პოზიციების მასალების გამოყენება	

1517	მარგარინი; საკვებად გამოსაყენებელი ნარევები ან მზა პროდუქტები ცხოველური ან მცენარეული ცხიმებისაგან ან ზეთებისგან ან მოცემული ჯგუფის სხვადასხვა ცხიმებისა და ზეთების ფრაქციებისგან, 1516 სასაქონლო პოზიციის საჭმელი ცხიმების ან ზეთების ან მათი ფრაქციების გარდა:	წარმოება სადაც გამოყენებული: - II და IV ჯგუფის მასალები უნდა იყოს ქვეყანაში მთლიანად წარმოშობილი, - ბოსტნეულის მასალები უნდა იყოს ქვეყანაში მთლიანად წარმოშობილი თუმცა დასაშვებია, 1507, 1508, 1511 და 1513 სასაქონლო პოზიციების მასალების გამოყენება	
ჯგუფი 16	მზა საკვები პროდუქტები ხორცის, თევზის ან კიბოსნაირებისაგან, მოლუსკების ან წყლის სხვა უხერხემლოებისაგან	წარმოება: - I ჯგუფის ცხოველებისგან, ან/და - III ჯგუფის მასალებისგან, რომელიც უნდა იყოს ქვეყანაში მთლიანად წარმოშობილი	
ex ჯგუფი 17	შაქარი და შაქრის საკონდიტრო ნაწარმი; გარდა:	წარმოებაში გამოყენებული მასალები შეიძლება კლასიფიცირებული იყოს ნებისმიერი სასაქონლო პოზიციის ფარგლებში, გარდა საბოლოო პროდუცქციის სასაქონლო პოზიციისა	
ex 1701	ლერწმის ან ჭარხლის შაქარი და ქიმიურად სუფთა საქაროზა, მყარ მდგომარეობაში:	წარმოებაში გამოყენებული მე-17 ჯგუფის მასალების ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს პროდუქციის ფრანკო-ქარხნის ფასის 30%-ს	
1702	დანარჩენი შაქარი, ქიმიურად სუფთა ლაქტოზის, მალტოზის, გლუკოზისა და ფრუქტოზის ჩათვლით, მყარ მდგომარეობაში; შაქრის სიროფები საგემოვნო-არომატული ან საღებარი ნივთიერების დამატების გარეშე; ხელოვნური თაფლი, ნატურალურ თაფლთან შერეული ან შეურეველი; კარამელის კულერი:		
	- დანარჩენი შაქარი, ქიმიურად სუფთა ლაქტოზის, მალტოზის, გლუკოზისა და ფრუქტოზის ჩათვლით	წარმოებაში გამოყენებული მასალები ნებისმიერი სასაქონლო პოზიციიდან, რომელიც მოიცავს 1702 სასაქონლო პოზიციის მასალებსაც	
	- მყარ მდგომარეობაში; შაქრის სიროფები საგემოვნო-არომატული ან საღებარი ნივთიერების დამატების გარეშე;	წარმოებაში გამოყენებული მე-17 ჯგუფის მასალების ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს პროდუქციის ფრანკო-ქარხნის ფასის 30%-ს	
	- დანარჩენი	წარმოებაში გამოყენებული მასალები უნდა იყოს ქვეყანაში მთლიანად წარმოშობილი	
		წარმოებაში გამოყენებული მე-17 ჯგუფის მასალების ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს პროდუქციის	

ex 1703	მელასა, შაქრის ამოღებით ან რაფინირების შედეგად მიღებული:	ფრანკო-ქარხნის ფასის 30%-ს	
1704	შაქრის საკონდიტრო ნაწარმი (თეთრი შოკოლადის ჩათვლით), რომელიც არ შეიცავს კაკაოს:	წარმოება სადაც: - გამოყენებული მასალები კლასიფიცირებული უნდა იყოს ნებისმიერ სასაქონლო პოზიციის ფარგლებში, გარდა საბოლოო პროდუქციის სასაქონლო პოზიციისა - მე-17 ჯგუფის მასალების ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს პროდუქციის ფრანკო-ქარხნის ფასის 30%-ს	
ჯგუფი 18	კაკაო და კაკაოს პროდუქტები	წარმოება სადაც : - გამოყენებული მასალები კლასიფიცირებული უნდა იყოს სასაქონლო პოზიციის ფარგლებში, გარდა საბოლოო პროდუქციის სასაქონლო პოზიციისა - მე-17 ჯგუფის მასალების ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს პროდუქციის ფრანკო-ქარხნის ფასის 30%-ს	
1901	ალაოს ექსტრაქტი; მზა საკვები პროდუქტები წმინდად ან მსხვილად დაფქვილი ფქვილის, ბურღულის, სახამებლის ან ალაოს ექსტრაქტისაგან, კაკაოს შემცველობის გარეშე ან კაკაოს შემცველობით 40 მას.%-ზე ნაკლები მთლიანად ცხიმგაცლილ ფუძეზე გადაანგარიშებით, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი; მზა საკვები პროდუქტები 0401_0404 სასაქონლო პოზიციების ნედლეულისაგან, 5 მას.%-ზე ნაკლები კაკაოს შემცველობით ან მის გარეშე მთლიანად ცხიმგაცლილ ფუძეზე გადაანგარიშებით, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი:		
	- ალაოს ექსტრაქტი	წარმოება X ჯგუფის მარცვეულისგან	
	- სხვა დანარჩენი	- წარმოებაში გამოყენებული მასალები კლასიფიცირებული უნდა იყოს სასაქონლო პოზიციის ფარგლებში, გარდა საბოლოო პროდუქციის სასაქონლო პოზიციისა - IV და XVII ჯგუფების მასალების ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს პროდუქციის ფრანკო-ქარხნის ფასის 30%-ს	
	მაკარონის ნაწარმი, მოხარშული ან მოუხარშავი, გულსართით (ხორცისგან ან სხვა		

1902	პროდუქტების) ან მის გარეშე ან სხვა მეთოდით დამზადებული, ისეთები, როგორიცაა სპაგეტი, მაკარონი, ვერმიშელი, ატრია, ნამგალა, ცომის გუფთა, რავიოლი, კანელონი; კუსკუსი, მომზადებული ან მოუმზადებელი		
	- თევზის, კიბოსებრების, მოლუსკების ან წყლის სხვა უხერხემლოების შემცველობით 20 მას.%-ზე ნაკლები	წარმოებაში გამოყენებული მარცვლეული და დერივატები (გარდა მყარი ხორბლისა, და მისი დერივატივებისა) უნდა იყოს ქვეყანაში მთლიანად წარმოშობილი	
	- თევზის, კიბოსებრების, მოლუსკების ან წყლის სხვა უხერხემლოების შემცველობით 20 მას.%-ზე მეტი	წარმოებაში გამოყენებული: - მარცვლეული და დერივატები (გარდა მყარი ხორბლისა, და მისი დერივატივებისა) უნდა იყოს ქვეყანაში მთლიანად წარმოშობილი - II და III ჯგუფების მასალები უნდა იყოს ქვეყანაში მთლიანად წარმოშობილი	
1903	ტაპიოკა და მისი შემცვლელები, მომზადებული სახამებლისაგან, ფანტელების, გრანულების, ბურთულაკების, ნამცეცების ან სხვა ანალოგიური სახით	წარმოებაში გამოყენებული მასალები კლასიფიცირებული უნდა იყოს სასაქონლო პოზიციის ფარგლებში, გარდა 1108 სასაქონლო პოზიციის კარტოფილის სახამებლის	
1904	მზა საკვები პროდუქტები, მიღებული მარცვლოვანების მარცვლის ან მარცვლეული პროდუქტების გაფუებით ან მოხალვით (მაგ., სიმინდის ფანტელები); პურეული მარცვლოვანები (სიმინდის მარცვლის გარდა) მარცვლის ან ფანტელების სახით ან სხვა ხერხით დამუშავებული (წმინდად და უხეშად დაფქვილი ფქვილის, ბურღულის გარდა), წინასწარ მოხარშული ან სხვა ხერხით მომზადებული, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი	წარმოება სადაც გამოყენებული: - მასალები, არ არის კლასიფიცირებული 1806 სასაქონლო პოზიციაში - ყველა მარცვლეული და ფქვილი (გარდა მყარი ხორბლისა და მისი დერივატივებისა და ზია ინდურატა სიმინდისა) უნდა იყოს ქვეყანაში მთლიანად წარმოშობილი - მასალების ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს პროდუქციის ფრანკო-ქარხნის ფასის 30%-ს	
1905	პური, ცომეული საკონდიტრო ნაწარმი, ტკბილღვეზელა, ნამცხვარი და სხვა პურ-ფუნთუშეული და ცომეული საკონდიტრო ნაწარმი, კაკაოს შემცველი ან მის გარეშე; ვაფლის ფირფიტები, ცარიელი კაფსულები, ფარმაცევტული მიზნებისათვის ვარგისი, ვაფლის ობლატები დაბეჭდვისათვის, ბრინჯის ქაღალდი და ანალოგიური პროდუქტები:	წარმოებაში გამოყენებული მასალები ნებისმიერი სასაქონლო პოზიციიდან გარდა XI ჯგუფისა	
ex ჯგუფი 20	ბოსტნეულის, ხილის, კაკლის ან მცენარეთა სხვა ნაწილების გადამუშავების პროდუქტები გარდა:	წარმოებაში გამოყენებული ყველა ხილი, კაკალი და ბოსტნეული უნდა იყოს ქვეყანაში მთლიანად წარმოშობილი	

9112	საათის კორპუსები ზედ ან თან სატარებლად განკუთვნილი საათებისათვის და ანალოგიური კორპუსები მოცემული ჯგუფის სხვა ნაწარმისათვის და მათი ნაწილები:	წარმოებაში: - გამოყენებული მასალები, კლასიფიცირებული უნდა იყოს ნებიემიერ სასაქონლო პოზიციის ფარგლებში, გარდა საბოლოო პროდუქციის სასაქონლო პოზიციისა, და - გამოყენებული მასალების ღირებულება არ აღემატება პროდუქციის ფრანკო-ქარხნის ფასის 40%-ს	წარმოებაში გამოყენებული მასალების ღირებულება, არ აღემატება პროდუქციის ფრანკო-ქარხნის ფასის 30%-ს.
9113	თასმები, ლენტები და ბრასლეტები ზედ ან თან სატარებლად განკუთვნილი საათებისათვის და მათი ნაწილები:		
	- არაძვირფასი ლითონისაგან,	წარმოებაში გამოყენებული მასალების	

	მათ შორის, გალვანური მეთოდით მოვერცხლილი ან მოოქროვლი:	ღირებულება არ აღემატება პროდუქციის ფრანკო-ქარხნის ფასის 40%-ს	
	- დანარჩენი	წარმოებაში გამოყენებული მასალების ღირებულება არ აღემატება პროდუქციის ფრანკო-ქარხნის ფასის 50%-ს	
ჯგუფი 92	მუსიკალური ინსტრუმენტები; მათი ნაწილები და საკუთნოები	წარმოებაში გამოყენებული მასალების ღირებულება არ აღემატება პროდუქციის ფრანკო-ქარხნის ფასის 40%-ს	
ჯგუფი 93	იარაღი და საბრძოლო მასალები; მათი ნაწილები და საკუთნოები	წარმოებაში გამოყენებული მასალების ღირებულება არ აღემატება პროდუქციის ფრანკო-ქარხნის ფასის 50%-ს	
ex ჯგუფი 94	ავეჯი; ლოგინის საკუთნოები, ლეიბები, ლეიბის ფუძეები, დივანის ბალიშები და ავეჯის ანალოგიური ნატენი საკუთნოები; ლამპები და სანათი მოწყობილობები, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი; მნათი მაჩვენებლები, მნათი ტაბლოები სახელით ან დასახელებით, ან მისამართით და ანალოგიური ნაწარმი; ასაწყობი სამშენებლო კონსტრუქციები; გარდა:	წარმოებაში გამოყენებული მასალები, კლასიფიცირებული უნდა იყოს ნებიემიერ სასაქონლო პოზიციის ფარგლებში, გარდა საბოლოო პროდუქციის სასაქონლო პოზიციისა	წარმოებაში გამოყენებული მასალების ღირებულება, არ აღემატება პროდუქციის ფრანკო-ქარხნის ფასის 40%-ს.
ex 9401 და 9403	არაძვირფასი ლითონის ავეჯი, რომელიც მოიცავს ბამბის გაუტენავ ქსოვილებს, წონით 300 გრამი ან ნაკლები	წარმოებაში გამოყენებული მასალები, კლასიფიცირებული უნდა იყოს ნებიემიერ სასაქონლო პოზიციის ფარგლებში, გარდა საბოლოო პროდუქციის სასაქონლო პოზიციისა ან წარმოება ბამბის ქსოვილისგან, რომელიც უკვე იმ ფორმითაა რომ გამოყენებულ იქნას 9401 და 9403 სასაქონლო პოზიციაში შემავალი პროდუქციისთვის, იმ პირობით რომ	წარმოებაში გამოყენებული მასალების ღირებულება, არ აღემატება პროდუქციის ფრანკო-ქარხნის ფასის 40%-ს.
		- მისი ღირებულება არ აღემატება პროდუქციის ფრანკო-ქარხნის ფასის 25%-ს - მასალები უნდა იყოს ქვეყანაში წარმოშობილი და კლასიფიცირებული ნებისმიერი სასაქონლო პოზიციის ფარგლებში, გარდა 9401 და 9403 სასაქონლო პოზიციებისა	
	ლამპები და მნათი მოწყობილობები, პროჟექტორების, ვიწრომიმართული სინათლის ლამპების, ფარებისა და მათი ნაწილების ჩათვლით, სხვა	წარმოებაში გამოყენებული მასალების	

9405	ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი; მნათი მაჩვენებლები, ტაბლოები და სინათლის ჩაშენებული წყაროს მქონე ანალოგიური ნაწარმი და მათი ნაწილები, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი:	ღირებულება არ აღემატება პროდუქციის ფრანკო-ქარხნის ფასის 50%-ს	
9406	სამშენებლო ასაწყობი კონსტრუქციები:	წარმოებაში გამოყენებული მასალების ღირებულება არ აღემატება პროდუქციის ფრანკო-ქარხნის ფასის 50%-ს	
ex ჯგუფი 95	სათამაშოები, თამაშები და სპორტული ინვენტარი; მათი ნაწილები და საკუთნოები, გარდა:	წარმოებაში გამოყენებული მასალები, კლასიფიცირებული უნდა იყოს ნებიემიერ სასაქონლო პოზიციის ფარგლებში, გარდა საბოლოო პროდუქციის სასაქონლო პოზიციისა	
ex 9503	სათამაშოები დანარჩენი; მოდელები შემცირებული ზომის (“მასშტაბის”) და ანალოგიური მოდელები გართობისათვის, მოქმედი ან არამოქმედი ყველა სახის თავსატეხები:	წარმოებაში: - გამოყენებული მასალები, კლასიფიცირებული უნდა იყოს ნებიემიერ სასაქონლო პოზიციის ფარგლებში, გარდა საბოლოო პროდუქციის სასაქონლო პოზიციისა, და - გამოყენებული მასალების ღირებულება არ აღემატება პროდუქციის ფრანკო-ქარხნის ფასის 50%-ს	
ex 9506	გოლფის ყვანჯები და გოლფის სათამაშო საკუთნოები დანარჩენი	წარმოებაში გამოყენებული მასალები, კლასიფიცირებული უნდა იყოს ნებიემიერ სასაქონლო პოზიციის ფარგლებში, გარდა საბოლოო პროდუქციის სასაქონლო პოზიციისა, თუმცა შესაძლოა გამოყენებულ იქნას უხეში ფორმის ბლოკები გოლფ-კლუბისთვის	
ex ჯგუფი 96	სხვა მზა ნაწამი, გარდა:	წარმოებაში გამოყენებული მასალები, კლასიფიცირებული უნდა იყოს ნებიემიერ სასაქონლო პოზიციის ფარგლებში, გარდა საბოლოო პროდუქციის სასაქონლო პოზიციისა	
ex 9601 და 9602	ცხოველური მცენარეული ან მინერალური წარმოშობის ამოჭრისათვის გამოსაყენებელი მასალების ნაწარმი	წარმოება “დამუშავებული” ამოჭრისთვის გამოსაყენებელი იგივე სასაქონლო პოზიციაში შემავალი მასალებისგან	
ex 9603	ცოცხები, ჯაგრისები (ჯაგრისების ჩათვლით, რომელბიც წარმოადგენს მექანიზმების, ხელსაწყოების ან სატრანსპორტო საშუალებების ნაწილებს), იატაკის დასასუფთავებელი ხელის მექანიკური ჯაგრისები ძრავების გარეშე, შვაბრები და მტვრის ჩამოსაბერტყი ნაკრტენის ცოცხები; ცოცხების ან ჯაგრისების გასაკეთებლად მომზადებული კვანძები და კონები; სამღებრო ბალიშები და ლილვაკები ღებვისათვის;	წარმოებაში გამოყენებული მასალების ღირებულება არ აღემატება პროდუქციის ფრანკო-ქარხნის ფასის 50%-ს	

	რეზინის შვაბრები (ტენის მოსაშორებელი რეზინის ლილვაკების გარდა):		
9605	სამგზავრო ნაკრებები, გამოსაყენებელი პირადი ჰიგიენის, კერვის, ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის წმენდისათვის	სამგზავრო ნაკრებში შემავალმა ყოველმა ნაწილმა უნდა დააკმაყოფილოს წესი, რომელიც მის მიმართ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ თავიდანვე არ იყო შესული ნაკრებში. თუმცა შესაძლოა ჩართულ იქნას წარმოშობის არმქონე ნაწარმი, თუ მათი ღირებულება არ აღემატება ნაკრების ფრანკო-ქარხნის შემდგომი ფასის 15%-ს	
9606	ღილები, კნოპები, საკინძები, ღილების ფორმები და ამ ნაწარმის დანარჩენი ნაწილები; ღილების ნამზადები:	წარმოებაში: - გამოყენებული მასალები, კლასიფიცირებული უნდა იყოს ნებიემიერ სასაქონლო პოზიციის ფარგლებში, გარდა საბოლოო პროდუქციის სასაქონლო პოზიციისა, და - გამოყენებული მასალების ღირებულება არ აღემატება პროდუქციის ფრანკო-ქარხნის ფასის 50%-ს	
9608	ბურთულიანი კალმისტრები; ფეტრის ან სხვა ფოროვანი მასალების ბუნიკიანი კალმისტრები და მარკერები; მელნიანი ავტოკალმები, სტილოგრაფები და კალმისტრები დანარჩენი; პირგადასაღები კალმები; ფანქრები გამომგდები და სრიალა ღეროთი; კალმების საჭერები და ანალოგიური საჭერები; ზემოთ ჩამოთვლილი ნაწარმის ნაწილები (თალფაქებისა და მომჭერების ჩათვლით), გარდა 9609 სასაქონლო პოზიციის ნაწარმისა:	წარმოებაში გამოყენებული მასალები, კლასიფიცირებული უნდა იყოს ნებიემიერ სასაქონლო პოზიციის ფარგლებში, გარდა საბოლოო პროდუქციის სასაქონლო პოზიციისა. თუმცა, შესაძლოა გამოყენებულ იქნას იგივე სასაქონლო პოზიციაში კლასიფიცირებული ბუნიკები.	
9612	ლენტების საწერი მანქანებისათვის ან ანალოგიური ლენტები, გაჟღენთილი მელნით ან დამუშავებული სხვა ხერხით, განკუთვნილი ანაბეჭდების მისაღებად, კოჭებში, კასეტებში ან მათ გარეშე; ბალიშები, შტემპელის მელნით გაჟღენთილი ან გაუჟღენთავი, ყუთებში ან ყუთების გარეშე:	წარმოებაში: - გამოყენებული მასალები, კლასიფიცირებული უნდა იყოს ნებიემიერ სასაქონლო პოზიციის ფარგლებში, გარდა საბოლოო პროდუქციის სასაქონლო პოზიციისა, და - გამოყენებული მასალების ღირებულება არ აღემატება პროდუქციის ფრანკო-ქარხნის ფასის 50%-ს	
ex 9613	სანთებელები სიგარეტის და სხვა სანთებელები, მექანიკურისა და ელექტრულის ჩათვლით, მათი ნაწილები, გარდა კაჟბადისა და პატრუქებისა:	წარმოებაში გამოყენებული 9613 სასაქონლო პოზიციის ფარგლებში კლასიფიცირებული მასალების ღირებულება, არ აღემატება პროდუქციის ფრანკო-ქარხნის ფასის 30%-ს	
ex 9614	ჩიბუხები (თასისებრი ნაწილების ჩათვლით), მუნდშტუკები სიგარებისათვის ან სიგარეტებისათვის და მათი ნაწილები:	წარმოება უხეში ფორმის ბლოკებისგან (ნაჭრებისგან)	
ჯგუფი 97	ხელოვნური ნიმუშები, საკოლექციო ნივთები და ანტიკვარიატი	წარმოებაში გამოყენებული მასალები, კლასიფიცირებული უნდა იყოს ნებიემიერ სასაქონლო პოზიციის ფარგლებში, გარდა საბოლოო პროდუქციის სასაქონლო პოზიციისა	

I ოქმის დანართი III

ნიმუშები

EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატისა და და EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატის მიღებაზე განაცხადის ნიმუშები

ინსტრუქციები ბეჭდვისათვის

1. თითოეული ფორმის ზომა უნდა იყოს 210 X 297 მილიმეტრი; დასაშვებია სიგრძეში 5 მილიმეტრით ნაკლებობა და 8 მილიმეტრით მეტობა. გამოყენებული ქაღალდი უნდა იყოს თეთრი, ისეთი, რომ შეიძლებოდეს მასზე წერა, არ უნდა შეიცავდეს ხის მასას და უნდა იწონიდეს არანაკლებ 25 გ/მ^2-ს. მას უნდა ჰქონდეს მწვანე ნაბეჭდი დეკორატიული ფონი, რომელიც თვალისათვის ხილულს გახდის ნებისმიერ გაყალბებას ქიმიური და მექანიკური საშუალებებით.

2. ხელშემკვრელი მხარეების კომპეტენტურმა ორგანოებმა შეიძლება ისარგებლონ უფლებით, რომ დაბეჭდონ ფორმები თვითონ, ან დააბეჭდვინონ ისინი უფლებამოსილ მბეჭდავებს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში თითოეული ფორმა უნდა შეიცავდეს მითითებას ასეთ უფლებაზე. თითოეულ ფორმაზე დატანილი უნდა იყოს დამბეჭდავის სახელი და მისამართი ან ნიშანი, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება დამბეჭდავის იდენტიფიცირება. ფორმას ასევე უნდა ჰქონდეს სერიული ნომერი, დაბეჭდილი ან სხვაგვარად დატანილი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება ფორმის იდენტიფიცირება.

გადაადგილების სერთიფიკატი

1. ექსპორტიორი (სახელი, სრული მისამართი, ქვეყანა)	**EUR.1 No A** 000.000	
	ფორმის შევსებამდე იხილეთ შენიშვნები ფურცლის მეორე მხარეს.	
	2. პრეფერენციული რეჟიმით ვაჭრობისას გამოყენებული სერტიფიკატი	
3. მიმღები (სახელი, სრული მისამართი, ქვეყანა) (არჩევითი)	**და** ..... შორის (მიუთითეთ შესაბამისი ქვეყანა, ქვეყნების ჯგუფი ან ტერიტორიები)	

	4. ქვეყანა, ქვეყნების ჯგუფი ან ტერიტორია, რომელში წარმოშობილადაც ითვლება საქონელი	5. დანიშნულების ქვეყანა, ქვეყნების ჯგუფი ან ტერიტორია
6. ტრანსპორტირების დეტალები (არჩევითი)	7. შენიშვნები	

8. რაოდენობა; ნიშნები და ნომრები; პაკეტების რაოდენობა და ტიპი; საქონლის აღწერა	9. წონა (ბრუტო) (კგ) ან სხვა ერთეული (ლიტრი, მ3., სხვა.)	10.ინვოიები (არჩევითი)
11. საბაჟო ინდოსამენტი		

დეკლარაცია დამოწმებულია ექსპორტის დოკუმენტი ფორმა .....N …….. ……. საბაჟო ორგანო .....…… გამცემი ქვეყანა ან ტერიტორია ..... ბეჭედი .... ადგილი და თარიღი ……..... ..... ……..... (ხელმოწერა)	**12. ექსპორტიორის დეკლარაცია** მე, ქვემოთ ხელმომწერი, ვაცხადებ, რომ ზემოაღწერილი საქონელი აკმაყოფილებს ამ სერტიფიკატის გაცემისთვის მოთხოვნილ პირობებს. ადგილი და თარიღი ……..... ..... (ხელმოწერა)	

შენიშვნები

1. სერტიფიკატი არ უნდა შეიცავდეს ამონაფხეკს ან სიტყვებს, რომლებიც ერთმანეთის ზევითაა დაწერილი. ნებისმიერი გადაკეთება უნდა განხორციელდეს არასწორი დეტალების წაშლით და საჭირო შესწორებების დამატებით. ნებისმიერ ასეთ შესწორებაზე მითითებული უნდა იყოს იმ პირის სახელი, რომელმაც შეავსო სერტიფიკატი და რომელზედაც გაიცა უფლებამოსილება სერტიფიკატის გამცემი ქვეყნის ან ტერიტორიის საბაჟო ორგანოს მიერ.

2. სერტიფიკატში შეტანილ პუნქტებს შორის არ უნდა იყოს დარჩენილი ცარიელი ადგილი და თითოეულ პუნქტს უნდა ჰქონდეს ნომერი. პუნქტის ბოლოს გავლებული უნდა იყოს ჰორიზონტალური ხაზი. ნებისმიერი გამოუყენებელი ადგილი უნდა გადაიხაზოს ისე, რომ შემდგომში შეუძლებელი იყოს რაიმეს დამატება.

3. საქონელი უნდა აღიწეროს კომერციული პრაქტიკის შესაბამისად და მითითებული უნდა იყოს საკმარისი დეტალები ისე, რომ შესაძლებელი იყოს მათი იდენტიფიცირება.

გადაადგილების სერტიფიკატის განაცხადი

1. **ექსპორტიორი** (სახელი, სრული მისამართი, ქვეყანა)	**EUR.1** **N A** 000.000
	ფორმის შევსებამდე იხილეთ შენიშვნები ფურცლის მეორე მხარეს.
	2. პრეფერენციული რეჟიმით ვაჭრობისას გამოყენებული სერტიფიკატის განაცხადი .....
	და

3. მიმღები (სახელი, სრული მისამართი, ქვეყანა) (არჩევითი)	..... შორის (მიუთითეთ შესაბამისი ქვეყანა, ქვეყნების ჯგუფი ან ტერიტორიები)		
	4. ქვეყანა, ქვეყნების ჯგუფი ან ტერიტორია, რომელში წარმოშობილადაც ითვლება საქონელი	**5. დანიშნულების ქვეყანა, ქვეყნების ჯგუფი ან ტერიტორია**	
6. ტრანსპორტირების დეტალები (არჩევითი)	**7. შენიშვნები**		
8. რაოდენობა; ნიშნები და ნომრები; პაკეტების რაოდენობა და ტიპი საქონლის აღწერა	**9. წონა (ბრუტო) (კგ) ან სხვა ერთეული (ლიტრი, მ3., სხვა.)**		**10. ინვოისები** (არჩევითი)

(1) თუ საქონელი შეფუთული არ არის, შესაბამისად მიუთითეთ რაოდენობა ან მიუთითეთ "შეფუთვის გარეშე".

ექსპორტიორის დეკლარაცია

მე, ქვემოთ ხელმომწერი საქონლის ექსპორტიორი, რომელიც აღწერილია ფურცლის მეორე მხარეს,

ვაცხადებ, რომ საქონელი აკმაყოფილებს თანდართული სერტიფიკატის

გაცემისათვის საჭირო მოთხოვნებს;

ვაზუსტებ შემდეგნაირად იმ გარემოებებს, რომლის საფუძველზედაც

შესაძლებელი გახდა ამ საქონლის მიერ ზევით განსაზღვრული პირობების

დაკმაყოფილება:

……...

……...

……...

……...

წარვადგენ შემდეგ თანმხლებ დოკუმენტაციას: ([1]):

……...

……...

……...

……...

ვიღებ პასუხისმგებლობას წარვადგინო, შესაბამისი ორგანოების მოთხოვნისას, ნებისმიერი დამადასტურებელი მტკიცებულება, რომელიც შეიძლება მოითხოვონ ამ ორგანოებმა თანდართული სერტიფიკატის გაცემის მიზნით, და მოთხოვნის შემთხვევაში თანხმობა განვაცხადო ჩემი ანგარიშების ნებისმიერ ინსპექციაზე, ასევე ნებისმიერ შემოწმებაზე საქონლის წარმოების პროცესთან დაკავშირებით, რომელიც განხორციელდება აღნიშნული ორგანოების მიერ;

ვითხოვ ამ საქონლისთვის თანდართული სერტიფიკატის გაცემას.

(ადგილი და თარიღი)

……

(ხელმოწერა)

……

[1] იმპორტის დოკუმენტაცია, გადაადგილების სერთიფიკატი, ანგარიშფაქტურა, მწარმოებლის დეკლარაცია და სხვა, რომელიც შეეხება წარმოებაში გამოყენებულ პროდუქციას ან ქვეყანაში რეექსპორტირებულ საქონელს.

I ოქმის დანართი IV

წარმოშობის დეკლარაციის ტექსტი

წარმოშობის დეკლარაცია, რომლის ტექსტიც მოცემულია ქვემოთ, უნდა იქნას შედგენილი სქოლიოებში გაკეთებული შენიშვნების შესაბამისად. თუმცა, სქოლიოების განმეორება არ არის საჭირო.

Bulgarian version

Износителят на продуктите, обхванати от този документ (митническо разрешение № …[1]) декларира, че освен където ясно е отбелязано друго, тези продукти са с … преференциален произход [2].

Spanish version

El exportador de los productos incluidos en el presente documento (autorización aduanera n° …[1]) declara que, salvo indicación en sentido contrario, estos productos gozan de un origen preferencial …[2].

Czech version

Vývozce výrobků uvedených v tomto dokumentu (číslo povolení …[1]) prohlašuje, že kromě zřetelně označených mají tyto výrobky preferenční původ v …[2].

Danish version

Eksportøren af varer, der er omfattet af nærværende dokument, (toldmyndighedernes tilladelse nr. ...[1]), erklærer, at varerne, medmindre andet tydeligt er angivet, har præferenceoprindelse i ...[2].

German version

Der Ausführer (Ermächtigter Ausführer; Bewilligungs-Nr. ...[1]) der Waren, auf die sich dieses Handelspapier bezieht, erklärt, dass diese Waren, soweit nicht anderes angegeben, präferenzbegünstigte ...[2] Ursprungswaren sind.

Estonian version

Käesoleva dokumendiga hõlmatud toodete eksportija (tolli kinnitus nr. ...[1]) deklareerib, et need tooted on ...[2] sooduspäritoluga, välja arvatud juhul kui on selgelt näidatud teisiti.

Greek version

Ο εξαγωγέας των προϊόντων που καλύπτονται από το παρόν έγγραφο (άδεια τελωνείου υπ'αριθ. ...[1]) δηλώνει ότι, εκτός εάν δηλώνεται σαφώς άλλως, τα προϊόντα αυτά είναι προτιμησιακής καταγωγής ...[2].

French version

L'exportateur des produits couverts par le présent document (autorisation douanière n° ...[1]) déclare que, sauf indication claire du contraire, ces produits ont l'origine préférentielle ...[2].

Croatian version

Izvoznik proizvoda obuhvaćenih ovom ispravom (carinsko ovlaštenje br……...[1]) izjavljuje da su, osim ako je drukčije izričito navedeno, ovi proizvodi……[2] preferencijalnog podrijetla.

Italian version

L'esportatore delle merci contemplate nel presente documento (autorizzazione doganale n. ...[1]) dichiara che, salvo indicazione contraria, le merci sono di origine preferenziale ...[2].

Latvian version

To produktu eksportētājs, kuri ietverti šajā dokumentā (muitas atļauja Nr. …[1]), deklarē, ka, izņemot tur, kur ir citādi skaidri noteikts, šiem produktiem ir preferenciāla izcelsme …[2].

Lithuanian version

Šiame dokumente išvardytų produktų eksportuotojas (muitinės liudijimo Nr. …[1]) deklaruoja, kad, jeigu kitaip nenurodyta, tai yra …[2] preferencinės kilmės produktai.

Hungarian version

A jelen okmányban szereplő áruk exportőre (vámfelhatalmazási szám: …[1]) kijelentem, hogy eltérő egyértelmű jelzés hiányában az áruk preferenciális …[2] származásúak.

Maltese version

L-esportatur tal-prodotti koperti b'dan id-dokument (awtorizzazzjoni tad-dwana nru. …[1]) jiddikjara li, ħlief fejn indikat b'mod ċar li mhux hekk, dawn il-prodotti huma ta" oriġini preferenzjali …[2].

Dutch version

De exporteur van de goederen waarop dit document van toepassing is (douanevergunning nr. ...[(1)]), verklaart dat, behoudens uitdrukkelijke andersluidende vermelding, deze goederen van preferentiële ... oorsprong zijn [(2)].

Polish version

Eksporter produktów objętych tym dokumentem (upoważnienie władz celnych nr …[(1)]) deklaruje, że z wyjątkiem gdzie jest to wyraźnie określone, produkty te mają …[(2)] preferencyjne pochodzenie.

Portuguese version

O abaixoassinado, exportador dos produtos abrangidos pelo presente documento (autorização aduaneira n° [(1)]), declara que, salvo indicação expressa em contrário, estes produtos são de origem preferencial ...[(2)].

Romanian version

Exportatorul produselor ce fac obiectul acestui document (autorizația vamală nr. …[(1)]) declară că, exceptând cazul în care în mod expres este indicat altfel, aceste produse sunt de origine preferențială …[(2)].

Slovenian version

Izvoznik blaga, zajetega s tem dokumentom (pooblastilo carinskih organov št …[(1)]) izjavlja, da, razen če ni drugače jasno navedeno, ima to blago preferencialno …[(2)] poreklo.

Slovak version

Vývozca výrobkov uvedených v tomto dokumente (číslo povolenia …[(1)]) vyhlasuje, že okrem zreteľne označených, majú tieto výrobky preferenčný pôvod v …[(2)].

Finnish version

Tässä asiakirjassa mainittujen tuotteiden viejä (tullin lupa n:o ...[(1)]) ilmoittaa, että nämä tuotteet ovat, ellei toisin ole selvästi merkitty, etuuskohteluun oikeutettuja ... alkuperätuotteita [(2)].

Swedish version

Exportören av de varor som omfattas av detta dokument (tullmyndighetens tillstånd nr. ...[(1)]) försäkrar att dessa varor, om inte annat tydligt markerats, har förmånsberättigande ... ursprung [(2)].

English version

The exporter of the products covered by this document (customs authorization No ...[(1)]) declares that, except where otherwise clearly indicated, these products are of ...[(2)] preferential origin.

ქართული ვერსია

"ამ საბუთით (საბაჟოს მიერ გაცემული უფლებამოსილების N… [(1)]) წარმოდგენილი საქონლის ექსპორტიორი აცხადებს, რომ ეს საქონელი არის ... [(2)] შეღავათიანი/პრეფერენციალური წარმოშობის თუ სხვა რამ არ არის პირდაპირ მითითებული".

…….....[3]

(ადგილი და თარიღი)

…….....[4]

(ექსპორტიორის ხელმოწერა, ასევე იმ პირის სახელი, რომელიც ხელს აწერს დეკლარაციას, გარკვევით უნდა იყოს მითითებული)

1 როცა წარმოშობის დეკლარაცია შედგენილია უფლებამოსილი ექსპორტიორის მიერ, უნდა მოხდეს უფლებამოსილების აღმნიშვნელი ნომრის შეყვანა აღნიშნულ უჯრაში. როდესაც წარმოშობის დეკლარაცია არ არის შევსებული უფლებამოსილი ექსპორტიორის მიერ ფრჩხილებში მოყვანილი სიტყვა გამოტოვებული იქნება ან უჯრა რჩება ცარიელი.

2 პროდუქციის წარმოშობა უნდა იყოს მითითებული. როდესაც დეკლარაცია შეეხება, მთლიანად ან ნაწილობრივ, სეუტასა და მელილას ტერიტორიაზე წარმოშობილ პროდუქტებს, ექსპორტიორი ვალდებულია მიუთითოს ამის შესახებ "CM" სიმბოლოს საშუალებით.

3 შესაძლებელია არ მოხდეს ამ ინფორმაციის მითითება, თუ ის გათვალისწინებულია დოკუმენტში

4 იმ შემთხვევაში, როდესაც ექსპორტიორი არ არის ვალდებული ხელი მოაწეროს, ხელმოწერისგან გათავისუფლება ასევე გულისხმობს გათავისუფლებას ხელმომწერი პირის სახელის მითითებისგან.

ერთობლივი დეკლარაცია

ანდორას სამთავროს შესახებ

1. ანდორას სამთავრში წარმოშობილი პროდუქცია, რომელიც მოცემულია ჰარმონიზებული სისტემის 25-ე დან 97-ე თავებში, საქართველოში მიჩნეული იქნება ევროკავშირის ტერიტორიაზე წარმოშობილად, ამ შეთანხმების ფარგლებში.

2. პირველ პუნქტში ხსენებული პროდუქციის წარმოშობის განსაზღვრის მიზნით გამოყენებული იქნება I ოქმი "საქონლის წარმოშობის" ცნების განსაზღვრის და ადმინისტრაციული თანამშრომლობის მეთოდების შესახებ, შესაბამისი ცვლილებებით.

ერთობლივი დეკლარაცია

სან მარინოს რესპუბლიკის შესახებ

1. სან მარინოს რესპუბლიკაში წარმოშობილი პროდუქცია საქართველოში მიჩნეული იქნება ევროკავშირის ტერიტორიაზე წარმშობილად, ამ შეთანხმების მიზნებისთვის

2. პროდუქციის წარმოშობის განსაზღვრის მიზნით გამოყენებული იქნება I ოქმი "საქონლის წარმოშობის" ცნების განსაზღვრის და ადმინისტრაციული თანამშრომლობის მეთოდების შესახებ განმარტების ადაპტირება მოხდება პერიოდული ცვლილებების შესაბამისად სისტემის ჰარმონიზაციისათვის.

ერთობლივი დეკლარაცია

I ოქმში მოცემულ წარმოშობის წესებში ცვლილებების შეტანის თაობაზე "საქონლის წარმოშობის" ცნების განსაზღვრის და ადმინისტრაციული თანამშრომლობის მეთოდების შესახებ

1. მხარეები თანხმდებიან რომ მოთხოვნის საფუძველზე მოხდეს “საქონლის წარმოშობის” ცნების განსაზღვრის და ადმინისტრაციული თანამშრომლობის მეთოდების შესახებ I ოქმში გათვალისწინებული წარმოშობის წესების გადახედვა. ასეთი მოლაპარაკებების დროს ხელშემკვრელი მხარეები მხედველობაში მიიღებენ ტექნოლოგიების განვითარებას, წარმოების პროცესებს, ფასების ცვლილებას და ყველა სხვა ფაქტორს რომელმაც შეიძლება დაასაბუთოს წესებში ცვლილებების შეტანა.

2. “საქონლის წარმოშობის” ცნების განსაზღვრის და ადმინისტრაციული თანამშრომლობის მეთოდების შესახებ I ოქმის II დანართი პერიოდულად განახლდება ჰარმონიზებულ სისტემაში შესული ცვლილებების შესაბამისად.

---

[1] ევროკავშირი-თურქეთის ასოცირების საბჭოს 1995 წლის 22 დეკემბრის N 1/95 გადაწყვეტილება საბაჟო კავშირის დასკვნით ეტაპის განხორციელებაზე, ეხება პროდუქტებს, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გარდა, რომელიც განსაზღვრულია ევროპის თანამეგობრობასა და თურქეთს შორის შეთანხმებით ასოცირების შექმნის შესახებ, აგრეთვე ქვანახშირის და ფოლადის პროდუქტების გარდა, რომელიც განსაზღვრულია ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის თანამეგობრობასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის შეთანხმებით ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის თანამეგობრობის დამფუძნებელი შეთანხმებით მოცული პროდუქტებით ვაჭრობის შესახებ.

---

[1] „სპეციფიკური პროცესების“ სპეციალური პირობების სანახავად, იხილეთ შესავალი შენიშვნები 7.1 და 7.3

[2] “სპეციფიკური პროცესების“ სპეციალური პირობების სანახავად, იხილეთ შესავალი შენიშვნა 7.2

[3] ჯგუფი 32-ზე მე-3 შენიშვნა გულისხმობს, რომ აღნიშნული პრეპარატები არის იმ სახეობის რომელიც გამოიყენება ნებისმიერი მასალების შესაღებად ან საღებავი პრეპარატების წარმოებაში გამოსაყენებელ ინგრიდიენტებად, იმ პირობის გათვალისწინებით, რომ ისინი არ არიან კლასიფიცირებული 32 ჯგუფის სხვა პოზიციაში.

[4] “დაჯგუფებად“ მიიჩნევა პოზიციის ნებისმიერი ნაწილი, რომელიც გამოყოფილია დანარჩენისგან წერტილმძიმის მეშვეობით.

[5] ერთის მხრივ 3901-3906-ი პოზიციებში კლასიფიცირებული მასალების და მეორეს მხრივ 3907-3911-ი პოზიციებში კლასიფიცირებული მასალების გამოყენებით წარმოებულ პროდუქციის შემთხვევაში, ეს შეზღუდვა გავრცელდება მხოლოდ იმ ჯგუფზე, რომლის მასალებიც ჭარბობს წონის მიხედვით პროდუქციაში.

[6] აღნიშნული ფილები მიჩნეული იქნება მაღალი გამჭვირვალობის მქონედ: ფილები, რომელთა ოპტიკური დაბურვა, Gardner-ის დაბურვის საზომი ASTM-D 1003-16-ის (Hazefactor) თანახმად არის 2%-ზე ნაკლები.

[7] ტექსტილის მასალების ნარევისგან გაკეთებული პროდუქციის სპეციალური პირობების სანახავად, იხილეთ შესავალი შენიშვნა 5.

[8] ამ მასალის გამოყენება იზღუდება ისეთი ტიპის ქსოვილების წარმოებით, რომელიც გამოიყენება ქაღალდის წარმოების დანადგარებში.

[9] იხილეთ შენიშვნა 6

[10] ტრიკოტაჟის ხელით ან მანქანით დამზადებული, არალასტიური ან დაურეზინებელი, საგნები მიღებული, ხელით ან მანქანით დამზადებული ტრიკოტაჟის მასალების ერთად შეკერვის ან სხვაგვარად კომბინირების გზით (გამოჭრილი ან შეკერილი ფორმის მიხედვით), იხილეთ შენიშვნა 6.

[11] SEMI - ნახევრადგამტარი ხელსაწყოებისა და მასალების ინსტიტუტი

[12] ეს წესი ძალაშია 2005 წლის 31 დეკემბრამდე

II ოქმი

საბაჟო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ

მუხლი 1

განსაზღვრებები

ამ ოქმის მიზნებისათვის:

(a) „საბაჟო კანონმდებლობა“ ნიშნავს, მხარის ტერიტორიაზე მოქმედ, ნებისმიერ სამართლებრივ ან ნორმატიულ აქტებს რომელიც არეგულირებს საქონლის იმპორტს, ექსპორტს, ტრანზიტს და ნებისმიერ სხვა საბაჟო რეჟიმში ან პროცედურაში მოქცევას, მათ შორის აკრძალვის, შეზღუდვის და კონტროლის ზომებს;

(b) “თხოვნის წარმდგენი უწყება“ ნიშნავს, მხარის მიერ ამ მიზნებისათვის განსაზღვრულ, კომპეტენტურ ადმინისტრაციულ უწყებას რომელიც, ამ ოქმის საფუძველზე, წარადგენს თხოვნას დახმარების თაობაზე;

(c) “თხოვნის მიმღები საბაჟო ადმინისტრაცია“ ნიშნავს, მხარის მიერ ამ მიზნებისათვის განსაზღვრულ, კომპეტენტურ ადმინისტრაციულ უწყებას რომელიც, ღებულობს, ამ ოქმის საფუძველზე, წარმოდგენილ თხოვნას დახმარების თაობაზე;

(d) “პირადი მონაცემები“ ნიშნავს ნებისმიერ მონაცემს იდენტიფიცირებული ან იდენტიფიცირებადი პირების შესახებ;

(e) “ოპერაცია რომელიც არღვევს საბაჟო კანონმდებლობას“ ნიშნავს საბაჟო კანონმდებლობის ნებისმიერ დარღვევას ან დარღვევის მცდელობას;

მუხლი 2

მოქმედების სფერო

1. მხარეები ერთმანეთს გაუწევენ დახმარებას, თავიანთი კომპეტენციის სფეროში, ამ ოქმში განსაზღვრული პირობების შესაბამისად საბაჟო კანონმდებლობის, განსაკუთრებით კი საბაჟო სამართალდარღვევების პრევენციის, გამოძიების და მათთან ბრძოლის ქმედებების უზრუნველყოფის მიზნით.

2. საბაჟო საკითხებში, ამ ოქმით გათვალისწინებული დახმარება, გავრცელდება მხარეების ნებისმიერ ადმინისტრაციულ უწყებაზე, რომელიც პასუხისმგებელია ამ ოქმის გამოყენებაზე. ის გავლენას ვერ მოახდენს ორმხრივი სამართლებრივი დახმარების გაწევის შესახებ შეთანხმებებზე. ასევე ის არ გავრცელდება სასამართლო ორგანოების მიერ თავიანთი უფლებამოსილების განხორციელების საფუძველზე გაცვლილ ინფორმაციაზე გარდა იმ შემთხვევებისა როცა ასეთი ინფორმაციის გადაცემა ნებადართულია ამ უწყების მიერ.

3. ეს ოქმი არ ითვალისწინებს დახმარებას ტარიფების, გადასახადების ან ჯარიმების დაბრუნებაში

მუხლი 3

დახმარება მოთხოვნის საფუძველზე

1. თხოვნის წარმდგენი უწყების თხოვნის საფუძველზე, თხოვნის მიმღები უწყება უზრუნველყოფს, თხოვნის წარმდგენ უწყებას, შესაბამისი ინფორმაციით რომელიც შეიძლება გამოყენებული იყოს თხოვნის წარმდგენი უწყების მიერ საბაჟო კანონმდებლობის სათანადო აღსრულების უზრუნველყოფისთვის, მათ შორის იმ ინფორმაციით რომელიც შეეხება ჩანიშნულ ან დაგეგმილ ქმედებებს, რომლებიც არის ან შეიძლება იყოს საბაჟო წესების დარღვევა

2. თხოვნის წარმდგენი უწყების თხოვნის შემთხვევაში, თხოვნის მიმღები საბაჟო ადმინისტრაცია თხოვნის წარმდგენ საბაჟო ადმინისტრაციას მიაწვდის ინფორმაციას:

(a) არის თუ არა ერთი მხარიდან ექსპორტირებული საქონელი სათანადოდ იმპორტირებული მეორე მხარის ტერიტორიაზე, შესაბამის შემთხვევებში საქონლის მიმართ ჩატარებული საბაჟო პროცედურის დაკონკრეტებით;

(b) არის თუ არა ერთ მხარის ტერიტორიაზე იმპორტირებული საქონელი სათანადოდ ექსპორტირებული მეორე მხარის ტერიტორიიდან, შესაბამის შემთხვევებში საქონლის მიმართ ჩატარებული საბაჟო პროცედურის დაკონკრეტებით

3. თხოვნის წარმდგენი უწყების თხოვნის საფუძველზე, თხოვნის მიმღები უწყება, სამართლებრივი და ნორმატიული უფლებამოსილებების ფარგლებში, გადადგამს სათანადო ნაბიჯებს რათა უზრუნველყოს ზედამხედველობა:

(a) ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე რომლების მიმართაც წარმოიშობა საფუძვლიანი ეჭვი, რომ ისინი მონაწილეობენ ან მონაწილეობდნენ საბაჟო წესების დარღვევის ოპერაციებში;

(b) იმ ადგილებზე, სადაც საქონელი დასაწყობებულია ან შეიძლება დასაწყობდეს ისეთ ვითარებაში, რომელიც წარმოშობს საფუძვლიან ეჭვს, რომ საქონელი გამიზნულია საბაჟო წესების დარღვევის ოპერაციაში გამოსაყენებლად;

(c) იმ საქონლის შესახებ, რომელის გადაზიდვა ხორციელდება ან შეიძლება განხორციელდეს ისეთი მეთოდით, რომელიც წარმოშობს საფუძვლიან ეჭვს, რომ საქონელი გამიზნულია საბაჟო წესების დარღვევის ოპერაციაში გამოსაყენებლად;

(d) სატრანსპორტო საშუალებების შესახებ, რომლებიც შესაძლებელია გამოყენებული იყოს ისე, რომ წარმოიქმნება საფუძვლიანი ეჭვი იმის შესახებ, რომ ისინი განკუთვნილია საბაჟო წესების დარღვევის ოპერაციაში გამოსაყენებლად.

მუხლი 4

ნებაყოფლობითი დახმარება

მხარეები ერთმანეთს გაუწევენ ურთიერთდახმარებას, საკუთარი ინიციატივით, მათი სამართლებრივი და ნორმატიული უფლებამოსილების ფარგლებში, თუ ისინი მიიჩნევენ რომ ეს აუცილებელია საბაჟო კანონმდებლობის სათანადო გამოყენებისათვის, აღნიშნული განხორციელდება იმ ინფორმაციის გაცვლით, რომელიც შეეხება:

(a) ქმედებებს, რომლებიც წარმოადგენენ საბაჟო წესების დარღვევის ოპერაციას და რომელიც შეიძლება საინტერესო იყოს მეორე მხარისათვის;

(b) საბაჟო კანონმდებლობის დარღვევის ოპერაციებში გამოყენებულ ახალი საშუალებებს ან მეთოდებს;

(c) იმ საქონელს, რომელის შესახებაც ცნობილია, რომ ის არის საბაჟო წესების დარღვევის სუბიექტი;

(d) ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს რომელთა მიმართაც არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ისინი მონაწილეობენ ან მონაწილეობდნენ საბაჟო წესების დარღვევის ოპერაციებში;

(e) სატრანსპორტო საშუალებებს შესახებ, რომელთა მიმართაც არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ისინი გამოიყენება ან შეიძლება გამოყენებული იქნას საბაჟო წესების დარღვევის ოპერაციებში გამოსაყენებლად.

მუხლი 5

მიწოდება და ნოტიფიკაცია

1. თხოვნის წარმდგენი უწყების თხოვნის საფუძველზე, თხოვნის მიმღები უწყება, შესაბამისი სამართლებრივი და ნორმატიული უფლებამოსილების ფარგლებში, განახორციელებს ყველა შესაბამის ზომებს, რათა ამ ოქმის ფარგლებში უზრუნველყოს თხოვნის წარმდგენი უწყების ნებისმიერი საბუთის მიწოდება ან ნებისმიერი გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციის მიწოდება იმ პირისათვის, რომელიც ცხოვრობს თხოვნის მიმღები უწყების ტერიტორიაზე.

2. თხოვნა დოკუმენტებისა და გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაციის მიწოდების შესახებ გაკეთდება წერილობით თხოვნის მიმღები უწყების ოფიციალურ ენაზე ან ნებისმიერ სხვა ენაზე რომელიც მისაღებია ამ უწყებისთვის.

მუხლი 6

დახმარების თხოვნის ფორმა და შინაარსი

1. ამ ოქმის თანახმად გაკეთებული თხოვნა გაკეთდება წერილობით. მას დაერთვის თხოვნის შესასრულებლად აუცილებელი დოკუმენტები. გადაუდებელი სიტუაციის შემთხვევაში, შესაძლებელია ზეპირი თხოვნის გაკეთება, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა დამოწმდეს წერილობით.

2. პირველი პუნქტის შესაბამისად გაკეთებული მოთხოვნა უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

(a) მოთხოვნის გამგზავნი უწყება;

(b) მოთხოვნილი ღონისძიება;

(c) მოთხოვნის ობიექტი და მიზეზი;

(d) სამართლებრივი და ნორმატიული დებულებები და სხვა დაკავშირებული საკანონმდებლო ელემენტები;

(e) მაქსიმალურად ზუსტი და ყოვლისმომცველი მონაცემები იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა შესახებ, რომლებიც არიან შესწავლის ობიექტები, და

(f) შესაბამისი ფაქტებისა და განხორციელებული მოკვლევის რეზიუმე.

3. თხოვნის წარმოდგენა ხდება თხოვნის მიმღები უწყების ოფიციალურ ენაზე ან იმ ენაზე რომელიც მისაღებია ასეთი

უწყებისათვის. ეს მოთხოვნა არ გავრცელდება ნებისმიერ დოკუმენტზე რომელიც თან დაერთვის თხოვნას 1-ლი პუნქტის შესაბამისად.

4. თუ თხოვნა არ აკმაყოფილებს, ამ მუხლით განსაზღვრულ ოფიციალურ მოთხოვნებს, შესაძლებელია მოთხოვნილი იქნას მისი შესწორება ან სრულყოფა, მიმდინარე პერიოდში შესაძლებელია მიღებული იქნას პრევენციული ზომები.

მუხლი 7

თხოვნის შესრულება

1. დახმარების მოთხოვნის შესრულების მიზნით, მოთხოვნის მიმღები უწყება, თავისი კომპეტენციისა და შესაძლებლობების ფარგლებში ისე, თითქოს მოქმედებდეს დამოუკიდებლად ან მისი მხარის სხვა უწყების თხოვნით, მიაწვდის თხოვნის წარმდგენ უწყებას მის განკარგულებაში არსებულ ინფორმაციას, ჩაატარებს შესაბამის მოკვლევას ან უზრუნველყოფს მის ჩატარებას. ეს წესი ასევე ვრცელდება ნებისმიერ სხვა უწყებაზე, რომელსაც მიმართა თხოვნის მიმღებმა უწყებამ თუ ამ უკანასკნელს არ შეუძლია დამოუკიდებლად მოქმედება.

2. თხოვნა დახმარების შესახებ განხორციელდება თხოვნის მიმღები მხარის სამართლებრივი და ნორმატიული აქტების თანახმად.

3. ერთი მხარის მიერ შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი წარმომადგენლებს, მეორე მხარის თანხმობით და უკანასკნელის მიერ განსაზღვრული პირობების ფარგლებში, პირველი პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად, შეუძლიათ მიიღონ თხოვნის მიმღები უწყების ან ნებისმიერი სხვა შესაბამისი უწყების ოფისებში, ინფორმაცია იმ ქმედებების შესახებ რომლებიც არის ან შესაძლებელია იყოს საბაჟო კანონმდებლობის დარღვევა, რომელიც სჭირდება თხოვნის წარმდგენ უფლებამოსილ ორგანოს ამ ოქმის მიზნებისთვის.

4. ერთი მხარის მიერ შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს შეუძლიათ, მეორე მხარის თანხმობით და უკანასკნელის მიერ განსაზღვრული პირობების ფარგლებში, დაესწრონ უკანასკნელის ტერიტორიაზე განხორციელებულ მოკვლევას.

მუხლი 8

ინფორმაციის მიწოდების ფორმა

1. თხოვნის მიმღები უწყება მიაწვდის მოკვლევის შედეგებს თხოვნის წარმდგენ უწყებას წერილობით, შესაბამისი დოკუმენტების დამოწმებულ ასლებთან ან სხვა მასალებთან ერთად.

2. ეს ინფორმაცია შეიძლება წარმოდგენილი იყოს კომპიუტერიზებული ფორმით.

3. საბუთების დედნების გადაცემა მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც დამოწმებული ასლები არასაკმარისია. ეს დედნები უნდა დაბრუნდეს პირველივე შესაძლებლობისას.

მუხლი 9

გამონაკლისები დახმარების გაწევის ვალდებულებაში

1. დახმარება შეიძლება უარყოფილი იყოს ან დაექვემდებაროს გარკვეულ პირობებს ან მოთხოვნებს, თუ მხარე მიიჩნეს რომ ოქმით გათვალისწინებულმა დახმარებამ:

(a) შესაძლებელია ზიანი მიაყენოს საქართველოს ან იმ წევრ სახელმწიფოს, რომელსაც ამ ოქმის შესაბამისად ეთხოვა დახმარება;

(b) შესაძლებელია ზიანი მიაყენოს სახელმწიფო პოლიტიკას, უშიშროებას ან სხვა სასიცოცხლო ინტერესებს, კერძოდ კი, ამ ოქმის მუხლი 10(2)-ით გათვალისწინებულ შემთხვევებში; ან

(c) შესაძლებელია გასცეს სამრეწველო, კომერციული ან პროფესიული საიდუმლოება.

2. თხოვნის მიმღებ უწყებას შეუძლია მოახდინოს თხოვნის გადავადება, იმ საფუძველით რომ ის ხელს შეუშლის მიმდინარე გამოძიებას, სასამართლო წესით დევნას ან სამართალწარმოებას. ასეთ შემთხვევაში, თხოვნის მიმღები უწყება კონსულტაციებს ატარებს თხოვნის წარმდგენ უწყებასთან იმისათვის რომ დაადგინოს დახმარების გაწევა შესაძლებელია თუ არა თხოვნის მიმღები უწყების მიერ განსაზღვრული წესებისა და პირობების დაცვით.

3. თუ თხოვნის წარმდგენი უწყება ითხოვს ისეთ დახმარებას, რომლის გაწევაც ამგვარი თხოვნის შემთხვევაში თვითონ არ ძალუძს, იგი ამ გარემოებაზე გააკეთებს მინიშნებას თავის თხოვნაში. ასეთ თხოვნაზე რეაგირების გადაწყვეტილებას იღებს თხოვნის მიმღები უწყება.

4. პირველი და მეორე პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევების შესახებ, თხოვნის მიმღები უწყების, გადაწყვეტილების თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს თხოვნის წარმდგენ უწყებას.

მუხლი 10

ინფორმაციის გაცვლა და კონფიდენციალობა

1. ამ ოქმის საფუძველზე რაიმე ფორმით გაცვლილი ნებისმიერი ინფორმაცია შეიძლება ატარებდეს კონფიდენციალურ და შეზღუდულ ხასიათს, მხარეების შესაბამისი წესების თანახმად. ამ ინფორმაციაზე გავრცელდება ოფიციალური საიდუმლოების ვალდებულება იმავე ფარგლებში როგორითაც სარგებლობს მსგავსი ინფორმაცია მიმღები მხარის ტერიტორიაზე, შესაბამისი კანონმდებლობის და კავშირის ორგანოების მიმართ მოქმედი სათანადო ნორმების თანახმად.

2. პირადი ინფორმაციის გაცვლა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც მიმღები მხარე კისრულობს ვალდებულებას დაიცვას ეს ინფორმაცია იმ დონეზე რომელიც მიჩნეულია ადექვატურად მიმწოდებელი მხარის მიერ.

3. ამ ოქმის შესაბამისად მოპოვებული, ინფორმაციის გამოყენება, იმ ადმინისტრაციულ ან სამართლებრივ წარმოებაში, რომელიც დაწყებულია საბაჟო წესების დარღვევის საფუძველზე, მიჩნეულია ოქმის მიზნების განხორციელებად. შესაბამისად მხარეებს შეუძლია თავის მტკიცებულებების რეესტრში, ჩვენებებში და სასამართლოში წარმოდგენილ საქმეებსა და ბრალდებებში გამოიყენოს მტკიცებულებების ინფორმაცია და დოკუმენტები, რომლების გაცვლაც მოხდა ამ ოქმის საფუძველზე. უწყებას, რომელმაც გასცა ინფორმაცია ან დაუშვა წვდომა ასეთ დოკუმენტებთან, უნდა ეცნობოს ასეთი მოხმარების შესახებ.

4. ამ ოქმის შესაბამისად მოპოვებულ ინფორმაცია გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ ამ ოქმის მიზნებისათვის. იმ შემთხვევებში როდესაც მხარეს სურს გამოიყენოს ასეთი ინფორმაცია სხვა მიზნებისთვის, ის წინასწარ მიიღებს თხოვნის მიმღები უწყების წერილობით თანხმობას. ასეთი მოხმარება ექვემდებარება იმ შეზღუდვებს, რომლებიც დააწესა თხოვნის მიმღებმა უწყებამ.

მუხლი 11

ექსპერტები და მოწმეები

თხოვნის მიმღები უწყების წარმომადგენელი შეიძლება აღჭურვილი იყოს უფლებით, მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში წარდგეს როგორც ექპერტი ან მოწმე ადმინისტრაციულ ან სამართლებრივ სამართალწარმოებაში იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც გათვალისწინებულია ამ ოქმით, და წარმოადგინოს წარმოებისათვის აუცილებელი ობიექტი, დოკუმენტი ან მითი დამოწმებული ასლები. თხოვნა წარმომადგენლის მონაწილეობის შესახებ კეთდება თხოვნის წარმდგენი უწყების მიერ და მასში მითითებული უნდა იყოს, თუ რომელი ადმინისტრაციული თუ სამართლებრივი ორგანოს წინაშე მოუწევს მას წარდგომა, რა საკითხთან დაკავშირებით და რა როლში (თანამდებობა და კვალიფიკაცია).

მუხლი 12

დახმარების ხარჯები

მხარეები უარს აცხადებენ ამ ოქმის თანახმად გაწეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნაზე, გარდა როგორც წესი, იმ ხარჯებისა, რომლებიც გაწეული იქნა სახელმწიფო სამსახურში არმყოფ ექსპერტებზე, მოწმეებზე, თარჯიმნებზე და მთარგმნელებზე.

მუხლი 13

იმპლემენტაცია

1. ამ ოქმის იმპლემენტაცია ევალება, ერთის მხრივ, საქართველოს საბაჟო უწყებას და, მეორეს მხრივ ევროკომისიის კომპეტენტურ სამსახურებს და შესაბამის შემთხვევებში წევრი სახელმწიფოების საბაჟო უწყებებს. ისინი მიიღებენ გადაწყვეტილებებს ოქმის იმპლემენტაციისათვის აუცილებელი ყველა ზომის და ღონისძიების შესახებ, მონაცემთა დაცვის სფეროში მოქმედი წესების გათვალისწინებით.

2. მხარეები გამართავენ კონსულტაციებს და მიაწვდიან ერთმანეთს ინფორმაციას, იმპლემენტაციის იმ კონკრეტული წესების შესახებ, რომლებიც მიღებულია ოქმის დებულებების შესაბამისად.

მუხლი 14

სხვა შეთანხმებები

1. ევროკავშირის და წევრი ქვეყნების შესაბამისი კომპეტენციის გათვალისწინებით, ეს ოქმი:

(a) გავლენას არ იქონიებს მხარეების ვალდებულებებზე რომლებიც აღებულია ნებისმიერი სხვა საერთაშორისო შეთანხმების თუ კონვენციის საფუძველზე;

(b) ავსებს ურთიერთდახმარების შეთანხმებებს, რომლებიც დადებულია ან შეიძლება დაიდოს თითოეულ წევრ სახელმწიფოს და საქართველოს შორის; და

(c) გავლენას არ იქონიებს კავშირის იმ ნორმებზე, რომლებიც აწესრიგებს კომუნიკაციას ევროკომისიის კომპეტენტურ სამსახურებსა და წევრი სახელმწიფოების საბაჟო უწყებების შორის, ამ ოქმის საფუძველზე მოპოვებული ისეთი ინფორმაციის გაცვლაზე, რომლითაც შეიძლება დაინტერესებული იყოს კავშირი.

2. პირველი პუნქტის დებულებების მიუხედავად, ამ ოქმის დებულებებს ენიჭება უპირატესი ძალა ნებისმიერ ორმხრივი ურთიერთდახმარების შეთანხმებებთან მიმართებაში, რომელიც დადებულია ან შეიძლება დაიდოს წევრ ქვეყნებს და საქართველოს შორის, თუ ამ ორმხრივი შეთანხმების დებულებები არ შეესაბამება ოქმის დებულებებს.

მუხლი 15

კონსულტაციები

ამ ოქმის გამოყენების საკითხი დასაშვებობის გადაწყდება, შეთანხმების 74-ე მუხლის თანახმად შექმნილი საბაჟო ქვე-კომიტეტის ფარგლებში კონსულტაციების საშუალებით.

ოქმი III

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ჩარჩო ხელშეკრულების თაობაზე ევროკავშირის პროგრამებში საქართველოს მონაწილეობის ძირითადი პრინციპების თაობაზე

მუხლი 1

საქართველოს უნდა მიეცეს უფლება, მონაწილეობა მიიღოს ევროკავშირის ყველა მიმდინარე და სამომავლო პროგრამაში, რომლებიც ღიაა საქართველოს მონაწილეობისთვის იმ დებულებათა შესაბამისად, რომლითაც ეს პროგრამები იქნა მიღებული.

მუხლი 2

საქართველო განახორციელებს ფინანსურ კონტრიბუციას ევროკავშირის ძირითად ბიუჯეტში, იმ კონკრეტული პროგრამების შესაბამისად, რომლებშიც საქართველო მონაწილეობს.

მუხლი 3

საქართველოს წარმომადგენლებს უნდა მიეცეთ უფლება, მიიღონ მონაწილეობა დამკვირვებლის სტატუსით და საქართველოსთან დაკავშირებულ საკითხებზე, მართვის კომიტეტებში, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან იმ პროგრამების მონიტორინგის განხორციელებაზე, რომლებშიც საქართველოს შეაქვს ფინანსური კონტრიბუცია.

მუხლი 4

საქართველოს მხრიდან მონაწილეების მიერ წარმოდგენილი პროექტები და ინიციატივები, შეძლებისდაგვარად, დაექვემდებარება იგივე

პირობებს, წესებსა და პროცედურებს, ევროკავშირის პროგრამებთან მიმართებით, რომლებიც გამოიყენება წევრი სახელმწიფოების მიმართ.

მუხლი 5

ევროკავშირის თითოეულ პროგრამაში საქართველოს მონაწილეობასთან დაკავშირებული კონკრეტული პირობები, კერძოდ, გადასახდელი ფინანსური კონტრიბუცია, ასევე, ანგარიშების წარდგენა და შეფასების პროცედურები, განისაზღვრება კავშირსა და საქართველოს კომპეტენტურ უწყებებს შორის შეთანხმების გზით, შესაბამისი პროგრამების მიერ დადგენილ კრიტერიუმებზე დაყრდნობით.

თუ საქართველო ევროკავშირს მიმართავს დამატებითი დახმარების თხოვნით, ევროკავშირის კონკრეტულ პროგრამაში მონაწილეობის მიღების მიზნით, ევროპული სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტის ჩამოყალიბების შესახებ ზოგადი წესების თაობაზე 2006 წლის 24 ოქტომბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს N 1638/2006 რეგულაციის მე-3 მუხლის ან ევროკავშირის სხვა მსგავსი საკანონმდებლო აქტის შესაბამისად, რომლებიც შესაძლოა შემდგომში იქნეს მიღებული და რომლებიც ითვალისწინებენ ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის დამატებითი დახმარების გაწევას, საქართველოს მიერ ევროკავშირის დამატებითი დახმარების გამოყენებასთან დაკავშირებული პირობები განისაზღვრება ფინანსური შეთანხმებით, კერძოდ N1638/2006 რეგულაციის მე-20 მუხლის თანახმად.

მუხლი 6

ამ ოქმის მე-5 მუხლის შესაბამისად დადებული თითოეული შეთანხმება, ევროკავშირის ძირითად ბიუჯეტთან დაკავშირებული ფინანსური წესების შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 25 ოქტომბრის N966/2012 რეგულაციის (ევროკავშირი, ევრატომი), რომელმაც გააუქმა საბჭოს N1605/2002 რეგულაცია (ევროკავშირი, ევრატომი), თანახმად, უნდა ითვალისწინებდეს, რომ ფინანსური კონტროლი ან აუდიტი ან სხვა სახის შემოწმებები, ადმინისტრაციული გამოძიებების ჩათვლით, ჩატარდება ევროკომისიის, აუდიტორთა სასამართლოს და ევროპის თაღლითობის წინააღმდეგ ოფისის მიერ ან მათი უფლებამოსილების ქვეშ.

დეტალურად უნდა გაიწეროს დებულებები ფინანსური კონტროლისა და აუდიტის, ადმინისტრაციული ზომების, ჯარიმებისა და ანაზღაურების შესახებ, რომელიც ევროკომისიას, აუდიტორთა სასამართლოს და ევროპის თაღლითობის წინააღმდეგ ოფისს მისცემს იგივე უფლებამოსილებას, რაც მათ მინიჭებული აქვთ ევროკავშირში არსებულ ბენეფიციარებთან ან კონტრაქტორებთან მიმართებით.

მუხლი 7

წინამდებარე ოქმი გამოიყენება შეთანხმების ძალაში ყოფნის განმავლობაში.

თითოეულ მხარეს, მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების გზით, შეუძლია გააკეთოს წინამდებარე ოქმის დენონსაცია.

ნებისმიერი მხარის მიერ ოქმის დენონსაციის შემდგომ, მისი მოქმედების შეწყვეტა არ იმოქმედებს ჩასატარებელ შემოწმებებსა და კონტროლზე, საჭიროებისამებრ, მე-5 და მე-6 მუხლებით გათვალისწინებული დებულებების შესაბამისად.

მუხლი 8

წინამდებარე ოქმის ძალაში შესვლიდან არა უგვიანეს სამი წლისა, და მას შემდეგ ყოველ სამ წელიწადში ერთხელ, ორივე მხარეს შეუძლია გადახედოს ოქმის შესრულების მდგომარეობას, ევროკავშირის პროგრამებში საქართველოს რეალური მონაწილეობის საფუძველზე.

ოქმი IV

განმარტებები

ამ შეთანხმების მიზნებისთვის,

1. "*დარღვევა*" ნიშნავს ევროკავშირის სამართლის, ამ შეთანხმების ან შემდგომში გაფორმებული შეთანხმებებისა და კონტრაქტების დებულებების ნებისმიერ დარღვევას, რომელიც გამოწვეულია ეკონომიკური ოპერატორის მოქმედებით ან უმოქმედობით, რომელიც ზიანს მიაყენებდა ან მიაყენა ევროკავშირის საერთო ბიუჯეტს ან ევროკავშირის მიერ მართულ ბიუჯეტებს, ან შემოსავლის შემცირების ან დაკარგვის სახით, რომელიც მიიღება საკუთარი რესურსებიდან და მისი შეგროვება ხდება პირდაპირ ევროკავშირის სახელით, ან გაუმართლებელი დანახარჯების სახით.

2. "*თაღლითობა*" ნიშნავს

(a) დანახარჯებთან მიმართებით, ნებისმიერ განზრახ ქმედებას ან უმოქმედობას, რომელიც დაკავშირებულია:

- ყალბი, არასწორი ან არასრული ანგარიშების ან დოკუმენტების გამოყენებასთან ან მათ წარდგენასთან, რომელიც იწვევს ევროკავშირის საერთო ბიუჯეტის ან ევროკავშირის მიერ ან მისი სახელით მართული ბიუჯეტების ფულადი სახსრების უკანონო მითვისებას ან უკანონო დაკავებას;

- ინფორმაციის გაუმჟღავნებლობასთან კონკრეტული ვალდებულების დარღვევით, ანალოგიური შედეგით, რაც აღწერილია ამ მუხლის პირველ პუნქტში;

- ამ მუხლის პირველ პუნქტში ნახსენები ფულადი სახსრების უკანონო მითვისებასთან სხვა მიზნებისთვის, გარდა იმ მიზნებისა, რომლისთვისაც აღნიშნული ფულადი სახსრები იქნა გაცემული;

(b) შემოსავალთან მიმართებით, ნებისმიერ განზრახ ქმედებას ან უმოქმედობას, რომელიც დაკავშირებულია:

- ყალბი, არასწორი ან არასრული ანგარიშების ან დოკუმენტების გამოყენებასთან ან მათ წარდგენასთან, რომელიც იწვევს ევროკავშირის საერთო ბიუჯეტის ან ევროკავშირის მიერ ან მისი სახელით მართული ბიუჯეტების რესურსების უკანონო შემცირებას;

- ინფორმაციის გაუმჟღავნელობასთან კონკრეტული ვალდებულების დარღვევით, ანალოგიური შედეგით, რაც აღწერილია ამ მუხლის პირველ პუნქტში;

- კანონიერად მიღებული სარგებლის უკანონო მითვისებასთან, ანალოგიური შედეგით, რაც აღწერილია ამ მუხლის პირველ პუნქტში.

3. "*აქტიური კორუფცია*" ნიშნავს მიზანმიმართულად მიცემულ რაიმე სახის დაპირებას ან რაიმეს გაცემას, პირდაპირ ან შუამავლის მეშვეობით, ნებისმიერი სახის უპირატესობას საკუთრივ ნებისმიერი თანამდებობის პირისათვის ან მესამე

მხარისათვის, რომ მან იმოქმედოს ან არ იმოქმედოს თავისი მოვალეობების შესაბამისად ან თავი აარიდოს მისი ფუნქციების შესრულებას, თავისი ოფიციალური მოვალეობების დარღვევით, რაც ზიანს აყენებს ან, სავარაუდოდ, მიაყენებს ევროკავშირის ფინანსურ ინტერესებს.

4. "*პასიური კორუფცია*" ნიშნავს, როგორც თანამდებობის პირის მიზანმიმართულ მოქმედებას, რომელიც პირდაპირ ან შუამავლის მეშვეობით, ითხოვს ან იღებს რაიმე სახის უპირატესობას საკუთრივ თავისთვის ან მესამე მხარისათვის, ან იღებს დაპირებას ამგვარი უპირატესობის შესახებ, იმოქმედოს ან თავი შეიკავოს თავისი მოვალეობების შესაბამისად მოქმედებისგან ან თავი აარიდოს მისი ფუნქციების შესრულებას, თავისი ოფიციალური მოვალეობების დარღვევით, რაც ზიანს აყენებს ან, სავარაუდოდ, მიაყენებს ევროკავშირის ფინანსურ ინტერესებს.

5. "*ინტერესთა კონფლიქტი*" ნიშნავს ნებისმიერ სიტუაციას, რამაც, შესაძლოა, გამოიწვიოს ეჭვი პერსონალის შესაძლებლობების მიმართ, რომ ის იმოქმედებს მიუკერძოებლად და ობიექტურად, რაც შესაძლოა, გამოწვეული იყოს შემდეგი მიზეზებით: ოჯახი, ემოციური ცხოვრებისეული ასპექტები (მაგალითად, მეგობრობა, სასიყვარულო ურთიერთობები), პოლიტიკური თუ ეროვნული სიახლოვე, ეკონომიკური ინტერესი ან ნებისმიერი სხვა საერთო ინტერესი კონკურსანტთან, განმცხადებელსა თუ ბენეფიციართან, ან რაც გარე მესამე მხარის თვალით ობიექტურად ამგვარად ჩანს.

6. "*უკანონოდ გადახდილი*" ნიშნავს ევროკავშირის ფულადი სახსრების მარეგულირებელი წესების დარღვევით გადახდილს.

7. "*ევროპის თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისი*" (OLAF) არის ევროკომისიის თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალიზებული დეპარტამენტი. ოფისს გააჩნია ოპერაციული დამოუკიდებლობა და პასუხისმგებელია ადმინისტრაციული გამოძიების ჩატარებაზე, რაც მიზნად ისახავს თაღლითობის, კორუფციისა და ნებისმიერი სხვა უკანონო ქმედების წინააღმდეგ ბრძოლას რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს ევროკავშირის ფინანსურ ინტერესებზე, როგორც ეს განსაზღვრულია 1999 წლის 28 აპრილის ევროკომისიის გადაწყვეტილებაში 1999/352/EC, ECSC, Euratom ევროპის თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის ჩამოყალიბების შესახებ, 1999 წლის 25 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს რეგულაციაში (EC) N 1073/1999, რომელიც ეხება ევროპის თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის გამოძიებებს და 1996 წლის 11 ნოემბრის საბჭოს რეგულაციაში (Euratom, EC) N 2185/96, რომელიც ეხება ევროკომისიის მიერ ადგილზე შემოწმებებისა და ინსპექციების ჩატარებას, თაღლითობისა და სხვა დარღვევებისაგან ევროპული გაერთიანებების ფინანსური ინტერესების დაცვის მიზნით.